

F749
2000

F



სამეცნიერო



1

1

2000

აღუბნა მისი მისი გარდა
 მისი მისი გარდა
 მისი გარდა მისი
 მისი გარდა მისი
 მისი გარდა მისი

მისი გარდა მისი

აღუბნა მისი მისი გარდა
 მისი გარდა მისი გარდა
 მისი გარდა მისი გარდა

საშენატი

2000/1

თავისუფალი
მშენებელი

თბილისი (119)
საშენატი



შინაარსი

პროზა და პოეზია

დუდუკი ვან ბათუმის კინოგამგებთა კომიტეტი. გერმანულიდან თარგმნა დიდი ფანჯიკიძე	3
ადრეველი დიმიტრი. ბაბუაყვარას მკვდელი. გერმანულიდან თარგმნა დიდი ფანჯიკიძე	6
ვახტანგ კვიციანი. დემსები. თარგმნა გურამ ნუშაძე	15
უილიამ ფოლკერი. გამტაცებელი. დასასრული. თარგმნა ზაურ კილაძე	23
ემი ბლუმი. ორი მოთხრობა. თარგმნა დიდი მჭედლიშვილი	94
მაქს ბროდი. ფრანც კაფკას ცხოვრების უკანასკნელი წლები. გერმანულიდან თარგმნა შაია მირიანაშვილი	119
ფრანც კაფკა. სოფლის ეძიებ. გერმანულიდან თარგმნა შაია მირიანაშვილი	128
რეინა ვეიკა. უხიდავი ცეცხლი. დასასრული. თარგმნა ნოდარ ხუნდაძე	132

ხარბილები

მ. დობროვსკი. ბავშვთა აღზრდა-განათლება ბიბლიისა და ფიქრის გამოცემის სწავლებლით. თარგმნა ვასილ გუგუშვილი	240
კატუ ვაშაშვილი. მხატვრული სიტყვის დოგმა. გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ლვინევაძე	274
სამიონ ფრანკი. ნათელი სუფთა. თარგმნა დიდი მჭედლიშვილი	313

**საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური მუხრანული**

ბიზლინითყვე

2000, № 1

**მთავარი რედაქტორი
ნანა დარჩია-ბოლქვაძე**

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი

ნანა ანობაძე

მანანა ამისულაშვილი

ჯემალ აჯიაშვილი

ნანა ბართაია (პ/მგ მღივანი)

გურამ გოგიაშვილი

ნანა გოგოლაშვილი

თამარ ერისთავი

რუსუდან ქაბულაძე

დალი ფანჯიკია

ბივი შანაზარი

ბივი ქნელაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-73-41. პასუხისმგებელი მღივანი, განყოფილებათა გამგეები — 99-73-41.

გად. წარმ. 5. 11. 99 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 12. 99 წ., ქალაქის ზომა 70X108^{1/16}, სააღრ. თ. 20. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. ტირ 300. შეკ. 1316.

ფასი 3 ლარი

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, შ. კოსტაეას 14.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის პაილიგენშტატური ანდერძი



გერმანულიდან

თარგმნა დანი ფანჯიკიძემ

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ე. წ. „პაილიგენშტატური ანდერძი“ ინახება ქ. ჰამბურგის საქალაქო ბიბლიოთეკაში. იგი ბეთჰოვენის გარდაცვალების შემდეგ ჩპოვეს მის დანატოვარ ნივთებსა და ქალაქლებში და მაესტროს მდივანმა ანტონ შინდლერმა ხელით გადაწერილი თითო პირი დაუყოვნებლივ ლაიფციგში ფრიდრიხ როხლიცს, ხოლო ლონდონში იგნაც მოშელეს გაუგზავნა. როხლიცი 1827 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში მადლობას უხდის ა. შინდლერს და დასძენს: „ვერ აგიწერთ, რაოდენი სიხარული მომგვარა ანდერძში გამოხატულმა წრფელმა, ბავშვურმა გულკეთილობამ, ამ კეთილი სულის ვაებამ კი გულის სიღრმემდე შემძრა. დარწმუნებული ვარ, ეს დოკუმენტი ყველაზე ასეთსავე შთაბეჭდილებას მოახდენს. არც კი ვიცი, განსვენებულს, როგორც ადამიანს და არა როგორც ხელოვანს, ამ დოკუმენტზე უკეთ და დამაჯერებლად სხვა თუ რაიმე დაახასიათებდა“.

როხლიცმა სულ მოკლე ხანში, კერძოდ, 1827 წლის 17 ოქტომბერს ბეთჰოვენის ანდერძი ლაიფციგის სამუსიკო გაზეთში გამოაქვეყნა.

ჩემს ძმებს კარლ და იოჰან ბეთჰოვენებს

ო, ადამიანებო, თქვენ ყოველთვის ერთ უკეთურ, უჯიბათ კაცად მთვლიდით თუ მაცხადებდით და უსამართლოდ მექცეოდით, ისე რომ არც უწყოდით, ყოველივე ამას რა იდუმალი მიზეზი ჰქონდა. თქვენ უჯიბათი გეგონეთ, ჩემს სულსა და გულს კი ბავშვობიდან მოყოლებული კეთილმოსურნე, უნაზესი გრძნობები ამოძრავებდა. ამასთან ერთად ოდითგანვე დიდ საქმეებთან შესაჭიდებლად ვიყავი მზად, მაგრამ ნ წლიდან უკურნებელმა სენმა დამრია ხელი, ხოლო უგუნურმა ექიმებმა კიდევ უფრო გამიმწვავეს ისედაც მძიმე ავადმყოფობა. როგორ მოვტყუვდი, რა ამოდ ვებლაუჭებოდი გამოჯანსაღების იმედს, საბოლოოდ კი ქრონიკული სენის პირისპირ დარჩენილმა (რომლისგან განკურნებასაც ალბათ წლები დასჭირდებოდა ან სულაც უკურნებელი აღმოჩნდებოდა), თანდაყოლილი მგზნებარე ტემპერამენტის მქონე კაცმა, საზოგადოების უგულისყურობა მტკივნეულად განვიცადე და იძულებული გავხდი სიცოცხლე მარტოობაში გამეტარებინა. მართალია, ზოგჯერ მომინდომებია შინაგანი წინააღმდეგობები დამეძლია და ხალხში გავრეულიყავი, მაგრამ ო, რა სასტიკად დავუნარცხებივარ ხოლმე მინაზე ჩემი ცუდი სმენისგან მიღებული სავალალო გამოცდილების ძალას, ისე რომ ვერც მომიხერხებია

F 8012

ადამიანებისთვის მეთქვა, ილაპარაკეთ ხმამაღლა, ხმას აუწიეთ, იყვირეთ, მე ყრუ ვარ-მეთქი. მაგრამ ამის თქმა ხომ შეუძლებელი იყო, მაშინ ხომ უნდა მეღიარებინა ჩემი ერთ-ერთი გრძნობის ორგანოს სიძაბუნე, იმ გრძნობისა, რომელიც მე სრულყოფილებამდე აყვანილი უნდა მქონოდა, იმ გრძნობისა, რომელიც ოდესღაც მართლაც ისე უაღრესად სრულყოფილი გამაჩნდა, როგორიც ჩემს სფეროში ძალიან ცოტას თუ შეიძლება ჰქონოდა. ო, მე არ ძალმიძს, არ მეპატიება, თქვენს წრეში სიამოვნებით გავერიო და მერე უკუქცეული მიხილოთ, მაშინ ხომ ორგანის მეტ ტკივილს მომაყენებს ჩემი უბედურება, საზოგადოებამ რომ ხელი მკრას და გამრიყოს. ამიტომაც მეკრძალება საზოგადოებაში გარევა, დახვეწილი საუბარი, ერთმანეთის მოკითხვა, მე მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მაქვს უფლება საზოგადოებაში გამოვჩნდე, მე განკიცხულივით უნდა ვიცხოვრო, თორემ საზოგადოებას გავეკარები თუ არა, მაშინვე შიში მიპყრობს, ვაითუ ვინმემ შენიშნოს ჩემი უბედურება. ასე იყო ახლაც, ნახევარი წელიწადი სოფლად რომ გავატარე — ჩემმა გონიერმა ექიმმა მირჩია, რაც შეიძლებოდა დამეზოგა სმენა, თუმცა ასეთი ყოფა ჩემს ახლანდელ განწყობილებას ნაკლებად შეეფერებოდა, დიახ, ზოგჯერ ისე შევუპყრივარ საზოგადოებაში გარევის ჟინს, რომ ცდუნებას ვერ გავმკლავებივარ, მაგრამ სამაგიეროდ რაოდენ დამცირებულად მიგრძენია თავი, როცა ვინმეს, ჩემს გვერდით, ფლეიტის შორეული ხმა გაუგონია, ჩემს სმენას კი არაფერი მოსწვდენია, ან ვინმეს მწყემსის სიმღერისთვის მიუგდია ყური, მე კი კვლავ არაფერი გამიგონია. ასეთ ამბებს ლამის სასონარკვეთილებამდე მივუყვანივარ, სულ ცოტა დამკლებია, რომ სიცოცხლე საკუთარი ხელით არ მომესწრაფებინა. იმ წუთებში მხოლოდ მას, ხელოვნებას შევუჩერებივარ და აღარც მიფიქრია მანამდე მიმეტოვებინა წუთისოფელი, სანამ ყველაფერს არ ამოვთქვამდი, რისი ამოთქმის ძალასაც საკუთარ თავში ვგრძნობდი. აი ასე ვიხანგრძლივებდი ხოლმე ამ გასაცოდავებულ სიცოცხლეს, დიახ, მართლაც უბადრუკსა და საცოდავს, ასევე ვუხანგრძლივებდი სიცოცხლეს ჩემს უაღრესად მგრძნობიარე სხეულს და სულ მეშინოდა, ჩვეულებრივზე ოდნავ უფრო სწრაფ ცვლილებას კიდევ უფრო უარეს დღეში არ ჩავეყენებინე. მოთმინება! ასე ეწოდება იმ გრძნობას, რომელიც ამიერიდან წინამძღოლად უნდა ვიგულო, თუმცა იგი ისედაც არ მაკლია. დიდი ხანია იმედი მასაზრდოებს, სიმტკიცეს მმატებს და იქამდე გამაძლებინებს, სანამ დაუნდობელი პარცები (ბედისწერის ქალღმერთები. მთარგმნ.) არ ისურვებენ ჩემი სიცოცხლის ძაფის განყვეტას. გამოვკეთდები თუ არ გამოვკეთდები? ტვინს მიბურღავს ამაზე ფიქრი და ეს 28 წლის კაცი ჩემდაუნებურად ფილოსოფოსი ვხდები. ფილოსოფოსობა კი, მოგეხსენებათ, არც ჩვეულებრივი ადამიანისთვისაა იოლი, თორემ ხელოვანისთვის ხომ ძალიან ძნელი გახლავთ. უფალო, შენ ხომ ზეციდან იხედები ჩემს გულში, მიცნობ და უწყი, იქ მოყვასის სიყვარული და სიკეთის ქმნადობის სურვილი რომ ბუდობს. ო, ადამიანებო, თუკი ოდესმე წაიკითხავთ ამ სტრიქონებს, იქნებ დაფიქრდეთ, რა უსამართლოდ მექცეოდით. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ თქვენი უბედური თანამოძმე თავს ინუგეშებდა, რომ მისნაირი სხვაც იქნებოდა ამქვეყნად ვინმე, ვინც ბუნებისგან შექმნილი დაბრკოლებების მიუხედავად შეუძლებელს შეძლებდა, ოღონდ კი ღირსეულ ხელოვანთა და ადამიანთა რიგებში ჩამდგარიყო. თქვენ კი, ჩემო ძმებო, კარლ და

იოჰან, მინდა ჩემი გარდაცვალებისთანავე პროფესორ შმიტს ჩემი სახელით სთხოვოთ (თუკი იგი იმ დროს ცოცხალი იქნება) ეს ვერაღი სენი აღწეროს და ავადმყოფობის ისტორიას წინამდებარე უსტარი დაურთოს, ვინძლო სიკვდილის შემდეგ მაინც შემირიგდეს საზოგადოებასთან ერთად გაცხადებთ ჩემი მცირე ქონების (თუკი შეიძლება ჩემს ქონებას ქონება ვუნოდოთ) მემკვიდრეებად, პატიოსნად გაინაწილეთ იგი, კარგად მოექეცით, მხარში ამოუდევით ერთმანეთს. ჩემთვის თუ რაიმე დაგიშავებიათ, კარგად უწყით, რომ დიდი ხანია მიპატიებია, შენ კი, ჩემო ძმაო კარლ, დიდ მადლობას გიხდი უკანასკნელ ხანს ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და ერთგულებისათვის. ვისურვებდი ჩემზე უზრუნველი ცხოვრება გარგუნოთ ბედმა, ჩაუნერგეთ თქვენს შვილებს სათნოება, მხოლოდ მას შეუძლია და არა ფულს, გააბედნიეროს ადამიანი. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, სათნოება იყო ის ძალა, მე თვითონ უკიდურეს გაჭირვებაში რომ ამამალლა. მადლობელი ვარ აგრეთვე ჩემი ხელოვნებისა, მისი წყალობაა, თვითმკვლევლობით რომ არ დავასრულე სიცოცხლე. მშვიდობით იყავით და გიყვარდეთ ერთმანეთი. მადლობას ვწირავ ყველა მეგობარს, განსაკუთრებით კი თავად ლიხნოვსკის და პროფესორ შმიტს. ჩემი სურვილია თავად ლ.-ს ინსტრუმენტები რომელიმე თქვენგანთან ინახებოდეს. თუკი ოდესმე მათ გამო თქვენს შორის უთანხმოება ჩამოვარდეს, ან ისინი აუცილებელი საქმისთვის დაგჭირდეთ, მაშინვე გაყიდეთ. რომ იცოდეთ, როგორ გამიხარდება, თუ საფლავიდანაც შევძლებ შემწეობა აღმოგიჩინოთ. აღსრულდეს ესე ნება ჩემი. სიხარულით ვეგებები სიკვდილს. იგი აქამდე რომ მოსულიყო, ანუ მაშინ, როცა ჩემს ნიჭს ჯერ კიდევ შეეძლო გაფურჩქვნა, ბუნებრივია, სიკვდილს მოგვიანებით ვისურვებდი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიქნებოდი — განა იგი უსასრულო ტანჯვისგან არ დამიხსნიდა? მოდი, სიკვდილო, როცა ინებებ, იცოდე, მამაცურად შეგეგებები. კარგად იყავით და მიცვალებულს ნუ დამივიწყებთ, თქვენგან არდავიწყება ნამდვილად დავიმსახურე, რადგან სიცოცხლეში ხშირად მიფიქრია თქვენს ბედნიერებაზე. იყავთ მშვიდობით...

ლუდვიგ ვან ბეთოვენი
 პილიგენშტატი, 6 ოქტომბერი, 1802 წელი.



ბაბუანპირას მკვლელობა



ხერმანუდიან

თარგმნა დანი ფანჯიკიძემ

შავტანსაცმლიანი მამაკაცი სანტ ოტილიისაკენ მიმავალ ნაძვების ხეივანს მიუყვებოდა და თან ნაბიჯებს ითვლიდა. ერთი, ორი, სამი... ასამდე რომ ავიდოდა, თვლას უკუღმა იწყებდა. თეძოებს ისე ღონივრად მიიქნევდა, რომ ხანდახან ფეხიც კი ეშლებოდა; შემდეგ ნაბიჯების თვლასაც მოეშვა და თეძოების ქნევასაც.

ღია თაფლისფერი, გადმოკარკლული კეთილი თვალებით დაჟინებით ჩასცქეროდა ფეხქვეშ მსრბოლავ მიწას, მკლავები მხრებზე მოწყვეტილივით ეკიდა და ისე მიაყანყალებდა, რომ სახელოებიდან თეთრი მანუეტები ნამდაუნუმ ეჩაჩებოდა. ზოგჯერ ხეების კენწეროებზე დაისის მოყვითალო-მონითალო შუქი აციმციმდებოდა და თვალებში შეუჭყიტინებდა, მაშინ თავი აუცანცარდებოდა, ხოლო ხელები აბეზარ შუქს აღშფოთებით იგერიებდნენ ხოლმე. მარჯვენა ხელში ჩაბლუჯული წვრილი ხელჯოხი გზისპირა კორდის თავზე მიირხეოდა და ყვავილებს ელამუნებოდა.

მამაკაცი კვლავ მშვიდად და უგულისყუროდ მიდიოდა თავისი გზით, უეცრად ჯოხი მეჩხერ სარეველა ბალახს გამოედო. დარბაისელი ბატონი არ შეჩერებულა, მხოლოდ შეტოკდა და ჯოხს უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი, მაგრამ ჯოხი რომ აღარ მიჰყვა, გულმოსულმა ირგვლივ მიმოიხედა. ჯოხი ჯერ ამოდ მოქაჩა, მერე ორთავე ხელით ჩაებლაუჭა და ბარდებს გამოჰგლიჯა, სუნთქვაშეკრულმა ერთი კი შეავლო თვალი ჯოხსა და ბალახ-ბულახს და უკან ისე ღონივრად მიაწყდა, რომ შავი ჟილეტიდან ოქროს ძეწკვი ამოუვარდა.

გაალმასებული სქელი ბატონი ერთ წუთს გაუნძრევლად იდგა, ხეხეში ქუდი კეფაზე მოჰქცეოდა. ჯერ დაჟინებით ჩააცქერდა ბარდებს, მერე ჯოხი აღმართა, ყვავილებს ეძგერა და სახენამოჭარხლებულმა უენო მცენარეებს ყაპა-ჟუპი აუყენა. ჯოხს ზუზუნი გაჰქონდა, ჰაერში ყლორტები და ყვავილების ფურცლები დაფრიალებდა.

მამაკაცმა ქსუტუნ-ქსუტუნით განაგრძო გზა, თვალები უელავდა, ხეები სწრაფად გარბოდნენ მის ირგვლივ, მაგრამ იგი ვერაფერს ამჩნევდა. ბრტყელ, უწვერულვაშო, მობერებულ ბავშვურ სახეზე ცხვირი კარტოფილივით აჯდა, ტუჩ-პირი კი წითელი და ფუნჩულა ჰქონდა.

ერთგან გზა მკვეთრად უხვევდა მალლა და ამან გამოაფხიზლა, ნაბიჯი შეანელა, გაღიზიანებულმა ცხვირიდან ოფლი მოინმინდა, მაშინლა შეამჩნია, რომ სახე მოქცეოდა და მკერდი ქოშინისაგან აუდ-ჩაუდიოდა. ვაი სირცხვილო, ახლა რომ ვინმეს დაენახა, თავის თანამოსაქმეს ან ვინმე მანდილოსანს მოეკრა მისთვის თვალი! სახეზე ხელი მოისვა, ნაკვთები მალულად მოისინჯა და დარწმუნდა, რომ სახე დასწყნარებოდა.

გზა მშვიდად განაგრძო. მაშ, რატომღა ქოშინებდა? დარცხვენით გა-
ელღმა. როგორ იყო, ყვავილებს რომ მიუხტა და ხელჯობით მუსრი გა-
ავლო დიახ, ისევე ღონივრად და მარჯვედ ურტყამდა მიზანში, როგორც
თავისი შეგირდების გასილაქებისას იცოდა ხოლმე, ის საცოდავები/კან-
ტორაში ბუზებს მარდად თუ არ დაუჭერდნენ და წინ ზღმისუჭმუდვით
დახარისხებულს თუ არ დაულაგებდნენ.

დარბაისელმა კაცმა რამდენჯერმე გადააქნ-გადმოაქნია თავი, ეს რა
უცნაური ამბავი შემემთხვაო. „ქალაქი კაცს ნერვებს უშლის, დიახ, ნამ-
დვილად ქალაქი მიშლის ნერვებს“, ფიქრობდა იგი და თეძოებს მიათა-
მაშებდა, მერე ხეხეში ინგლისური ქუდი მოიხადა, სახესთან დაიფრიალა
და ნაძვებიდან მონაბერი ნიავით ქოჩორი გაიგრილა.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მოჰყვა ნაბიჯების თვლას: ერთი, ორი, სა-
მი... ნაბიჯი ნაბიჯს მიჰყვებოდა და მკლავებს კვლავ მონყვეტილივით
მიაყანყალებდა. ბატონმა მიხაელ ფიშერმა თვალი უგულისყუროდ მოაფ-
ლო გზის კიდეს და უეცრად დაინახა, ჩაფსკვნილმა ფიგურამ, თვითონ
მან, უკან როგორ დაიხია, ყვავილებს როგორ ეძგერა და ბაბუაწვერას
თავი როგორ წაასხიპა. მის თვალწინ ხელახლა, ნათლად გათამაშდა ყვე-
ლაფერი, რაც ცოტა ხნის წინ ჩაბნელებულ გზაზე მოხდა. მიზანში ამო-
ღებული ყვავილი ნვეთი წყალივით ჰგავდა სხვებს, მაგრამ მხოლოდ მან
მიიზიდა მისი მზერა, მისი ხელი, მისი ჯოხი. მკლავი ზეაღმართა, ჯოხმა
გაიზუზუნა, ზუმპ, და თავი ღეროს მონყდა, ჰაერში გადატრიალდა და
ბალახებში გაუჩინარდა. ვაჭრის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. ყვავილის
მონყვეტილი თავი დუნედ დაეშვა და ბალახში ასხმარტალდა, ღრმად,
კიდევ უფრო ღრმად ჩაეშვა, ბალახის საფარველი გაარღვია და მიწაში
ჩაიკარგა. ახლა იგი ზუზუნებდა, ზუზუნით მიიკვლევდა გზას მიწის წი-
ალში და ამიერიდან ველარავის ხელი ველარ შეაჩერებდა. ზემოდან კი,
უთავოდ დარჩენილი სხეულის ყელიდან თეთრი სისხლი მოწვეთავდა და
მიწაში გაჩენილ ხვრელში ჩაედინებოდა. ჯერ ცოტა მოდიოდა, ისევე, რო-
გორც დამბლადაცემულს გადმოსდის ტუჩის კუთხეებიდან დორბლი,
შემდეგ მსხვილ ნაკადად გადმოიღვარა ნებოვანი სისხლი, თავზე ყვი-
თელი ქაფი მოიგდო და ბატონ მიხაელისკენ დაექანა. ამაოდ ცდილობდა
ბატონი მიხაელი გაქცეოდა იმ ნაკადს, მარჯვნივ გადახტა, მარცხნივ გა-
დახტა, ზედ გადახტომაც მოიწადინა, მაგრამ სისხლის მდინარე უკვე მი-
სწვდენოდა და ფეხებს უთუთქავდა.

ანგარიშმიუცემლად დაიხურა ბატონმა მიხაელმა ქუდი ოფლით და-
ცვარულ თავზე, ჯოხი ორივე ხელში ჩაბლუჯა და მკერდზე მიიკრა. „რა
მოხდა?“ — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ. „მთვრალი არა ვარ. თავი არ უნ-
და ჩაიმარხოს, იგი უნდა იწვეს, ბალახში უნდა იწვეს. დიახ, დარწმუნე-
ბული ვარ, ახლა მშვიდად წევს ბალახში. ხოლო სისხლი... არა, ველარ
ვიხსენებ იმ ყვავილს, ტვინი მერევა“.

გაკვირვებული იყო, დაბნეული, შეცბუნებული, საკუთარ თავსაც ეჭ-
ვით უყურებდა, საშინელმა მღელვარებამ გათანგა, ძრწოლა მოჰგვარა იმ
ყვავილზე, მონყვეტილ თავზე, სისხლმდინარე ყლორტზე ფიქრმა. კვლავ
თავზე ახტებოდა ნებოვან ნაკადს. ვაი სირცხვილო, ახლა რომ ვინმეს და-
ენახა, თავის თანამოსაქმეს ან ვინმე მანდილოსანს მოეკრა მისთვის თვა-
ლი!

მიხაელ ფიშერს უეცრად მამლაყინწობის ყინმა მოუარა. ჯოხი მარ-

ჯვენაში ჩაბლუჯა, სერთუკზე დაიხედა და გაიჯგინა. შეეცადა აბეზარი ფიქრები დაეთრგუნა: მთავარია, თავი დაიმორჩილოს. დიახ, იგი, ფირმის შეფი, ენერგიულად შეებრძოლება ყოველგვარ ურჩობას. ამისთანებს ჭკუა უნდა ასწავლო: „რაო, რა გნებავთ? ჩემს ფირმაში მსგავსი საქციელი მიღებული არ გახლავთ. მსახურო, აბა ერთი მიაბრძანე ეგ ვაჭარბატონი“ მიხაელ ფიშერი ფიქრებში ისე გაერთო, რომ ჰაერში ჯონის უნევას მოჰყვა, თან ცივი, გამწყრალი სახე მიიღო, აქაოდა, ანი მე ვიციო. თანდათან ისე გაიფხორა, სასაცილოდ აღარ ჰყოფნიდა თავისი სიმხდალე. განა მართლა სასაცილო არ იქნება, ხვალ დილით ფრაიბურგის ყველა სააფიშე სვეტზე წითელ-წითელი განცხადებები იყოს გამოკრული: „სალამოს ექვსსა და შვიდ საათს შუა, იმენტალიდან სანტ ოტალიისაკენ მიმავალ გზაზე მოკლულია ბაბუანვერა. მკვლელობაში ეჭვმიტანილია...“ და ა. შ. ასე ქილიკობდა შავტანსაცმლიანი დონდლო მამაკაცი და სალამოს გრილ ნიავს შეჰხაროდა. იქ, ქვევით, ძიძები და შეყვარებული წყვილები წააწყდებიან მის ნამოქმედარს. ატყდება წივილ-კივილი და მნახველები თავქუდმოგლეჯილნი გაიქცევიან სახლებში. მკვლელზე ფიქრით ტვინს გაიხვრეტენ გამომძიებლები, დიახ, ბატონ მიხაელზე ფიქრით, ამ წუთში მუჭში რომ ქირქილებს ცბიერად. საკუთარმა უგუნურმა სიმამაცემ შეაძრწუნა, არ ეგონა, ასეთი თავზეხელაღებული თუ იყო. იქ, ქვევით კი მთელ ქალაქს წინ ედო მისი დაუდგრომელი ენერგიის დამამტკიცებელი საბუთი: ჰაერში უძრავად აწვდილი უთავო სხეული, ყელიდან თეთრი სისხლი რომ გადმოსწანწკარებდა.

ბატონმა მიხაელმა ხელები გაასავსავა. ზევიდან ისეთი სქელი და წებოვანი ნაკადი მოედინებოდა, ჭიანჭველები ზედ ეწებებოდნენ და თავს ველარ იხსნიდნენ.

ბატონმა მიხაელმა საფეთქლები მოიხრისა და ცხვირიდან ქშუტუნით გამოუშვა ჰაერი.

იქვე ახლოს კი, ბალახში ლპება თავი. ისრისება, ლპება, წვიმაში იხრწნება ყვითელ, მყრალ ტალახად, მომწვანო, ყვითლად მოლივლივე, ამონანთხევივით ლორწოვან ნაკადად იქცევა. და აი, სწორედ ეს ნაკადი წამოიქოჩრება, პირდაპირ ბატონი მიხაელისაკენ დაიძრება, აშკარაა, მისი დახრჩობა სწადია, მოდგაფუნებს, მიილტვის მისი სხეულისაკენ, ცხვირზე ეშხეფება. ამოდ ცდილობს თავი დააღწიოს აბეზარ ნაკადს, უკვე ფეხის ცერებზელა დგას და ისე მიხტუნავს.

სათუთ ბატონს შეაჟრჟოლა. პირში საზიზლარი გემო იგრძნო. ზიზლისგან გულარეულმა ნერწყვი ველარ გადაყლაპა და ფურთხებას მოჰყვა. მერე ლასლასით დაადგა გზას, ტურები ჩალურჯებული ჰქონდა, დროდადრო ფეხი ეშლებოდა და მოუსვენრად ცმუტავდა.

„მე უარს ვამბობ, მტკიცედ ვამბობ უარს თქვენს ფირმასთან ყოველგვარ ურთიერთობაზე“.

ცხვირსახოცი ნესტოებზე მიიჭირა. ის ოხერი თავი იქაურობას უნდა მოვაშოროთ, ღეროს კი მიწა უნდა წაეყაროს, უნდა ჩაიჭეჭყოს, ღრმად უნდა ჩაიმარხოს მიწაში. ტყეში მცენარის ლეშის სუნი იდგა. სუნი აქამდე, ბატონ მიხაელამდე აღწევდა და სულ უფრო და უფრო ემატებოდა სიმძაფრე. იმ ადგილზე სხვა ყვავილი უნდა დაირგას, სურნელოვანი ყვავილი, მიხაკების ბალი უნდა გაშენდეს. შუა ტყეში დაგდებული მძორი კი უნდა მოვაშოროთ, დიახ, მოვაშოროთ იქაურობას.

ის იყო დააპირა უკან მიბრუნება, რომ თავში გაუელვა, სასაცილო არ იქნება, ახლა რომ მართლა უკან მივბრუნდეთ? ნეტავ აცოდინა, რაში ენაღვლებოდა ის ბაბუაწვერა. საკუთარ თავზე გული მოუფიდა, ასე რამ შემაშინაო. გონი მაინც ველარ მოიკრიბა და საჩვენებელ თითზე იკბინა; „გამაგრდი, შე ოხერო, გამაგრდი-მეთქი“, ვითომ თავს შემოკრძანა, მაგრამ ამ დროს ისევ მუხანათურად, ზურგიდან წამოეპარა შიში და მთელ სხეულში დაუარა.

პირმოქუშულმა, სქელმა ბატონმა მფრთხალად მიმოაცეცა თვალები, შარვლის ჯიბეზე ხელი იტაცა, ჯაყვა ამოიღო და გახსნა.

ამასობაში ფეხები წინ მიაქროლებდნენ და აუტანელ ტკივილს აყენებდნენ, თითქოს ისინიც ამხედრებოდნენ თავიანთ პატრონს. მათმა თავნებობამ და წინსვლის ჟინმა ალაშფოთა. ეს ცხენი მაინც უნდა მოეთოკა ახლავე, უნდა ეგრძნობინებინა თავისი ძალა. ფერდებში ერთი ჩხვლეტა კმაროდა მათ მოსათვინიერებლად. ფეხები კვლავ წინ მიაქანებდნენ. ეს უკვე მკვლელობის ადგილიდან გაქცევას ჰგავდა და ეშინოდა, უცხო თვალსაც ასე არ მოსჩვენებოდა. ირგვლივ ჩიტების ჟიჟივი იდგა, ხოლო ქვემოდან შორეული კვნესა-გოდების ხმა ამოდიოდა. „შეჩერდით, შეჩერდით!“ დაუყვირა ფეხებს და ჯაყვა რომელიღაც ხეს დაასო.

ხის ტანს ორივე ხელი შემოხვია და ქერქს ლოყით გაეხახუნა. თითებს ისე ამოძრავებდა, თითქოს რალაცას ქმუჭნისო. „კანოსაში ჩვენ არ წავალთ!“ დაძაბული ფიქრისგან შუბლი შეეჭმუხნა, სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო, ხეს ბზარებს უსინჯავდა და წელში ისე იკუზებოდა, თითქოს ზედ უნდა გადაახტეს ვინმეო. ფეხით თელავდა და ბურღავდა ტელეგრაფის მავთულებს, მაგრამ მაინც ესმოდა მათი წკარუნი. ცდილობდა საკუთარი თავისთვისაც არ გაემხილა, რომ ბრაზი უკვე განელეობდა და მის არსებაში ბინიერი წადილი იღვიძებდა. ვნებიანი სურვილი ეწეოდა უკანვე ყვავილისა და მკვლელობის ადგილისაკენ.

ბატონ მიხაელს მუხლები მაცდურად უკანკალებდა, ჰაერს ქსუტუნით ისრუტავდა და შეშინებული ჩურჩულებდა: ოლონდ ის თავი დამამარხვინა და მერე აღარაფერი მიშავსო. ჩქარა, ღვთის გულისათვის, ჩქარა! სასონარკვეთილმა თვალები დახუჭა და ქუსლებზე ვითომ უნებურად შემოტრიალდა. შემდეგ, ვითომც აქ არაფერიო, პირდაპირ დაუყვა დაღმართს, არხეინად მისეირნობდა, წყნარად, განგებ უზრუნველად უსტვენდა, უკვე თავისუფლად სუნთქავდა და გზადაგზა ხეებს უცაცუნებდა ხელს. მერე რაც ალაღბედზე გაახსენდა, ის სიმღერა წამოიწყა: „კურდღელი იჯდა სოროში და უშფოთველად ეძინა“. გზაზე უწინდებურად ცეკვა-ცეკვით მიდიოდა, თეძოებს მიათამაშებდა და მკლავებსაც მოწყვეტილივით მიაყანყალებდა, ჯოხი კი სახელოში დამნაშავესავით გულდაგულ შეემალა. ზოგჯერ მოსახვევში თუ დაფრთხებოდა და უკან მიაწყდებოდა, თითქოს ვილაცის თვალს ემალებო.

ვინ იცის, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ის ყვავილი? ანდა საიდან მოიტანა, მკვდარიო? თავში გაუელვა, იქნებ დაშავებული გამოვაბრუნო, თუ საბიჯელს შევუყენებ და თავსა და ღეროზე სახვევს დავადებო, ფეხს აუჩქარა, ჯგიმვას მოეშვა და სირბილზე გადავიდა. მოუთმენლობისაგან კანკალებდა, მოსახვევში ტოტებგასხეპილ ხეს დაეჯახა და ისე მაგრად მიარტყა მკერდი და მუხლი, რომ ხმამალალი კვნესა აღმოხდა. წელი ძლივს წამოიღო, ქუდი ბალახებში ჩაუვარდა, გადატეხილმა ჯოხმა

სახელო შიგნიდან გაუფხრინა, მაგრამ არაფერი შეუმჩნევია. ოჰო, შეჩერებაც რომ უნდათ მისი, მაგრამ ნურას უკაცრავად ვერაფერი ვერ შეაჩერებს. აქამდე იპოვიდა კიდევ იმ ყვავილს! ისევ ძინს ჩაბთფორთხდა. მაინც სად იყო ის ადგილი? რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა იპოვოს, აუცილებლად უნდა იპოვოს, აი, ყვავილის დაძახება რომ შესძლებოდა... მაგრამ სახელი რომ არ იცის მისი? ელენი? იქნებ ელენი? უკნა, ცხადია, ელენი ერქმევა. ნაკუზული ბალახებს ჩასჩურჩულებდა და ყვავილებში ხელს აფათურებდა.

„აქ არის ელენი? სად წევს? სად წევს-მეთქი, თქვენ გეკითებით. იგი დაჭრილია, თავშია დაჭრილი, არა, თავში კი არა, ცოტა ქვევით, ყელშია დაჭრილი. ალბათ ჯერ არაფერი გაგიგიათ. ელენს უნდა ვუშველო. მე ექიმი ვარ, სამარიტელი. აბა მითხარით, სად წევს. შეგიძლიათ მენდოთ, მართალს გეუბნებით“.

კი, მაგრამ, როგორღა უნდა ეცნო. თავისი ხელით გადატეხილი ყვავილი? იქნებ სწორედ ის იყო, ამ წუთში რომ ეხებოდა ხელით, ან იქნებ იქვე, მის გვერდით ლაფავდა ის საბრალო სულს? არა, ოღონდ ეს ნუ მოხდებოდა.

ყვავილებს შეჰბლაოდა: „მომეცით ყვავილი, ნუ დამლუბავთ, ძალღებო! მე სამარიტელი ვარ. ნუთუ არ გესმით გერმანული?“

მინაზე განვა, დაეძებდა, ბრმად აფათურებდა ბალახში ხელს, ჭმუჭნიდა, ფხოჭნიდა ყვავილებს, პირი დაელო, თვალებს აპარპალებდა. კარგახანს იყურებოდა ასე გამოთაყვანებული.

„მომეცით, გეტყვით ჩემს პირობებს. წინასწარ მოვილაპარაკოთ. ექიმს ხომ აქვს ავადმყოფის მკურნალობის უფლება. თუ გინდათ, სულაც ახალი კანონები შემოვიღოთ“.

გზისპირებზე და ყველგან, იმ არემარეზე, ბინდ-ბუნდში ხეები შავად მოჩანდნენ. დააგვიანდა, თავი ამასობაში დაჭკნებოდა. სიკვდილზე ფიქრმა შეაძრწუნა და მხრები აუთახთახა.

შავი, მორგვივით ფიგურა ბალახიდან წამოიმართა და გზას კიდევ-კიდევ, ბარბაცით გაუყვა.

ბაბუაწვერა მკვდარი იყო, დიახ, მისმა ხელმა მოულო იმ უბედურს ბოლო.

ამოიოხრა და შუბლი ფიქრიანად მოისრისა.

ახლა ყოველი მხრიდან შეიძლებოდა დასხმოდნენ თავს. მერე რა, დაე ასე იყოს, აღარაფერი ენაღვლება, ახლა მისთვის სულერთია ყველაფერი. თავს წააცლიდნენ, ყურებს დაახევდნენ თუ ხელებს ნაკვერჩხლებში შეანყობინებდნენ, გასაქცევი გზა მაინც აღარსად ექნებოდა. იცოდა, მისი წამება სიამოვნებას მიანიჭებდა იმ მუტრუკ ჯალათებს და მათ ჯიბრზე ხმას არ ამოიღებდა. რა უფლება ჰქონდათ იგი დაესაჯათ, როცა თვითონვე იყვნენ ზნედაცემულები? დიახ, მან მოჰკლა ყვავილი, მაგრამ ისინი ვილასი ტიკი-ტომარები იყვნენ? თუ მოჰკლა, ჰქონდა კიდევ ამის უფლება და ამ უფლებას ვერავინ შეედავებოდა, დიახ, ყვავილების ხოცვა-ყლეტის უფლება ოდითგანვე ჰქონდა მონიჭებული და სულაც არ ევალებოდა, ვინმეს წინაშე თავი ემართლებინა. რამდენსაც უნდოდა იმდენ ყვავილს მოუსწრაფებდა სიცოცხლეს, ათასი მილის რადიუსზე, ჩრდილოეთით, სამხრეთით, დასავლეთითა და აღმოსავლეთით, თუნდაც მის ქადილზე გასცი-

ნებოდათ, ხოლო სიცილს თუ მერვეც არ მოიშლიდნენ, მაშინ გენახათ, იმ თავხედებს ყელში როგორ გააფთრებით დაეძგერებოდა.

შეჩერდა, მზერა შავად ჩამუქებულ ნაძვნარს დაასო. მოწოლილი სისხლისაგან ტუჩები დასკდომაზე ჰქონდა. შემდეგ კვლავ სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა.

აქვე, ტყეშივე, სამძიმარი უნდა ეთქვა, მიცვალებულის დემონსთვის. ამით ეტყოდა, უბედურება მოხდა, მაგრამ მე ხელი თითქმის არაფერში მირევიანო, შეახსენებდა, რა ქანცგანყვეტილი ამოდიოდა აღმართზე, სიცხესაც შეახსენებდა. ისე, სიმართლე თუ გნებავთ, ბაბუანვერების მთელი მოდგმა ფეხებზე ეკიდა.

სასო წარეკვეთა, ისევ აუცახცახდა მხრები:

„ნეტავ რას მიზამენ?“ ჭუჭყიანი თითები ლოყებზე ჩამოისვა, აზრს თავი ველარ მოუყარა.

ნეტავ თავს რად იტეხს, ღმერთო დიდებულო, ან ამ ტყეში რა დარჩენია!

უმოკლესი გზით გაიპარება აქედან, დაღმართს ტყე-ტყე ჩაივლის და ერთი კარგად, მშვიდად აწონ-დაწონის ყველაფერს, დინჯად განსჯის, დანვრილებით, საფუძვლიანად.

მინაზე ფეხი რომ არ დაუცურდეს, ხეებს ეპოტინება. იყოს ის ყვავილი, სადაც იყო, ისევ იმ გზაზე იდგესო, ეშმაკურად ხითხითებს გულში, ამქვეყნად მკვდარი სარეველას მეტი რა მოიძებნებაო.

მაგრამ ძრწოლა იპყრობს, ხის ტანს რომ შეავლებს ხელს და ხის ქერქიდან მრგვალი, უფერული ფისის წვეთი რომ გამოჟონავს. ხე ტირის. გარბის სიბნელეში ბილიკზე და უეცრად ხედავს, რა უცნაურად ვინროვდება გზა, თითქოს ტყეს მისი მახეში შეტყუება მოენდომებინოს. ხეები სამსჯავროზე იკრიბებიან.

რადაც უნდა დაუჯდეს, ტყეს თავი უნდა დააღწიოს!

ისევ შეასკდა რომელიღაც ნაძვს და ხემ თავში ჩასცხო ზეალმართული ხელები. ახლა უკვე ძალით იკაფავს გზას, სისხლი ღვარად ჩამოსდის სახეზე. იფურთხება, აქეთ-იქით აწყდება, ღრიალით ურტყამს წიხლს ხეებს, ხან მოსრიანებს, ხან მოგორავს თავდაღმართში, კისრისტეხით ჩამოათავებს ტყისპირის უკანასკნელ ფერდობს და სოფლის სინათლეებისაკენ გარბის, დაფლეთილი სერთუკი თავზე წამოუცვამს, მთა კი გრუხუნებს, ემუქრება, მუშტებს უღერებს, ხეებს ჭახანი და ჭრიალი გაუდით, უკან მოსდევენ და წყევლა-კრულვას უთვლიან.

გაუნძრევლად იდგა სქელი ბატონი სოფლის ეკლესიის წინ გაზის ფანართან. თავზე ქუდი არ ეხურა, გაწეწილი თმა შავი მიწით და ნაძვის წიწვებით ჰქონდა სავსე, მაგრამ არ იფურთხავდა. მძიმედ ხვნეშოდა. თბილი სისხლი ცხვირის კეხს ჩამოჰყვა და ფეხსაცმელზე დაენვეთა. ორივე ხელით ნელ-ნელა აინია სერთუკის კალთა და სახეზე მიიფარა. შემდეგ ხელები შუქს მიუშვირა და გაუკვირდა, ხელის ზურგზე მსხვილი, ლურჯი ძარღვები რომ დაინახა. ამობურცულ ძარღვებს ხელი გადაუსვა, მაგრამ ვერ ჩააწყნარა. ტრამვაის ზუზუნ-წკრიალში ბარბაცით დაადგა გზას და ვინრო ქუჩაბანდებით შინისაკენ გაემართა.

დიდხანს იჯდა გამოთავყვანებული საწოლ ოთახში, ხმამაღლა იმეორებდა, აი, აქ ვარ, აქ ვზივარო და სასოწარკვეთილი თვალებს აცეცებდა. მერე გაიარ-გამოიარა, ტანსაცმელი გაიხადა და კარადის კუთხეში მიკუ-

ჭა. სხვა შავი კოსტიუმი ჩაიცვა, შეზღონგზე წამოწვა და გაზეთში ჩარგო თავი. გაზეთი ხელში შემოეჭმუჭნა; რალაც მოხდა, რალაც მოხდა! ეს შეგრძნება არც მეორე დღეს მოსცილებია, თავის პულტთან რომ იჯდა. კანტორაში, თითქოს გაქვავდა. ლანძღვა-გინების თავი აღარ ჰქონდა და მასთან ერთად ოთახში უცნაური სიჩუმე დააბიჯებდა.

საკუთარ თავს ჩასჩინებდა, ეს ყველაფერი ალბათ დაშუსობრაო, მაგრამ შუბლზე დაჩნეული ნაკანრები რომ წამდვილი იყო? გამოდის, რომ არსებულა ამქვეყნად დაუჯერებელი ამბები: მას ხეებმა ურტყეს, ტყე კი მიცვალებულს დასტიროდა მოთქმა-გოდებით. ღრმა ფიქრებში ჩაფლული იჯდა კანტორაში და მოხელეების გასაოცრად ბუზების ბზუილსაც კი არაფრად აგდებდა. შემდეგ შეგირდებს დაუწყო ბღვერა, თავისი სამუშაო სულ მიატოვა და ოთახში ბოთლის ცემას მოჰყვა. ხედავდნენ, როგორ მაღლიმალ ურტყამდა მაგიდას მუშტს. ლოყებს ბუშტავდა და ბურდლუნებდა. ყველაფერს მოვუვლი, როგორც საჭიროა, ფირმასაც და სხვა რამეებსაცო, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, თავს არავის გავამასხარავებინებ, არავისო!

მეორე დღით, ანგარიშს რომ შეუდგა, უეცრად რალაც ძალამ აიძულა ბაბუანვერასთვის ათი მარკა ჩაერიცხა. შეეშინდა, თავისმა უგუნურებამ მწარედ ჩააფიქრა და პროკურისტს სთხოვა ანგარიში გაეგრძელებინა. ნაშუადღევს კი დინჯად, აულელვებლად, საკუთარი ხელით ჩადო ფული ცალკე უჯრაში. ესეც არ იკმარა და ანგარიში გაუხსნა ბაბუანვერას. დაიქანცა, სიმშვიდე მოსწყურდა. მალე საოცარი სურვილი იგრძნო. მისთვის საჭმელ-სასმელიც შეენირა და აი, მას შემდეგ ბატონი მიხაელის თეფშთან ყოველდღე იდგა თასი. შინამოსამსახურემ გაოცებისგან ხელი ხელს შემოჰკრა, ბატონმა მიხაელმა თასის დადგმა რომ უბრძანა, მაგრამ ბატონი ისე სასტიკად გაბრაზდა, შეპასუხებას ვინლა გაუბედავდა.

იგი თავის იდუმალ დანაშაულს ინანიებდა. ბაბუანვერას პარაკლისს უხდიდა და ეს დარბაისელი ვაჭარი ახლა თავგამოდებით ამტკიცებდა, ყოველ ადამიანს საკუთარი რელიგია აქვსო, დიახ, ღმერთთან ყველას თავისი პირადი დამოკიდებულება უნდა ჰქონდესო. არის ისეთი რამეები, ყველა რომ ვერ გაიგებსო. მის სერიოზულ, მაიმუნისებურ სახეს ტანჯვამ თავისი დალი დაამჩნია, ტანზეც გახდა და თვალები ჩაუცვივდა. იმ დღიდან მოყოლებული ყვავილი სინდისივით უთვალთვალებდა და მის დიდსა თუ პატარა საქმეში სინდისივით მკაცრად იხედებოდა.

იმ ხანებში ქალაქში დარი იდგა. მზე ხალისიანად დასჩახჩახებდა თავს მიუნსტერსა და შლოსბერგს. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ცოდვილი ფანჯარასთან მივიდა და მწარედ ატირდა, ასე მწარედ ბავშვობის შემდეგ აღარ უტირია.

გული უეცრად ამოუჯდა. იმ საძულველმა ყვავილმა ყველა ამქვეყნიური სილამაზე წაართვა და წუთისოფლის სილამაზეს აქეთ კი აყვედრიდა. მზე ანათებს და მზის სხივს ველარ ვხედავო. ველარც თეთრი იასამანის სურნელებას ვიყნოსავ, არავინ დახედავს ჩემი სამარცხვინო სიკვდილის ადგილს, არავინ აღავლენს ჩემს საფლავზე ლოცვასო. აი, რისი თქმის უფლება ჰქონდა იმ ყვავილს, თვითონ რა სასაცილოდაც არ უნდა მოსჩვენებოდა მისი ნათქვამი და სიმწრისგან რამდენიც არ უნდა ემტვრია თითები. ამიერიდან იმ უბედურს ყველაფერი აკრძალული აქვს, მთვარის შუქი, ზაფხულში პატარძლობა. ნებიერი ცხოვრება გუგულის, მოსეირნების, სა-

ბავშვო ეტლების გვერდით. ბატონმა მიხაელმა პირი მოკუმა. ყველას შეაჩერებდა, ვინც კი იმ მთაზე ასვლას დააპირებდა. ნეტავ, დაიქცეოდეს ეს ქვეყანა, რომ იმ ყვავილს სამუდამოდ ამოექოლოს პირი. ოღონდ ამ ტანჯვისგან დაეხსნა თავი და თვითმკვლელობაზე ფიქრსაც კი აღარ ფრიდებოდა.

დროდადრო ყვავილზე გული მოუვიდოდა და მაშინ კიბუნა დაეცეოდა ხოლმე. ჩიხში მოამწყვდევდა, ატყუებდა ყოველ წვრილმანში, ხელი ვითომ უნებურად მომიხვდაო და თასს გადაუბრუნებდა, ანგარიშიც მის საზარალოდ ეშლებოდა, მოკლედ, ისე მუხანათურად ექცეოდა, თითქოს ყვავილი მისი კონკურენტი ყოფილიყო. მისი სიკვდილის წლისთავზე თავი მოიკატუნა, ვითომ აღარაფერი მახსოვსო, მაგრამ ყვავილმა რომ თავი შეახსენა, იძულებული გახდა მისი ხსოვნისათვის ნახევარი დღე შეენირა.

ერთხელ, რომელიღაც საზოგადოებაში, სიტყვა საყვარელ კერძზე ჩამოვარდა და როცა ბატონ მიხაელს ჰკითხეს, ყველას რომელი კერძი გირჩევნიათო, მშვიდად ბრძანა ბაბუაწვერა, დიახ, ბაბუაწვერაა ჩემი საყვარელი კერძიო. ამაზე ყველას გულიანად გაეცინა, ბატონი მიხაელი კი სკამზე მოკუნტული იჯდა, ტუჩებმოკუმული უგდებდა ყურს სიცილხარხარს და ბაბუაწვერას ნიშნს უგებდა. თავი საზარელ ურჩხულად ესახებოდა, არხეინად რომ ყლაპავს ყოველ სულიერს და თან ბუნდოვან იპონურ ადათ-წესებსა და ჰარაკირიზე ფიქრობდა. მერე რა, გულში იმ ყვავილისგან მძიმე სასჯელს რომ მოელოდა.

აი, ასეთი გაუთავებელი პარტიზანული ომი ჰქონდა ბაბუაწვერასთან გაჩაღებული, განუწყვეტილ ნანაობდა სიკვდილის შიშსა და აღმაფრენას შორის. ზოგჯერ ყვავილის მრისხანე ყვირილი მოეყურებოდა და გული შიშნარევი ტკობით ეწურებოდა. ყოველდღე ახალ-ახალ ვერაგობას იგორებდა; ხშირად აღელვებული გამოიქცეოდა კანტორიდან და თავის ოთახს მიაშურებდა, რომ გეგმების დაწყობაში ხელი არავის შეეშალა. აი, ასე საიდუმლოდ მიმდინარეობდა ეს ომი და არავინ არაფერი კი არ იცოდა.

ყვავილი მას ეკუთვნოდა, უიმისოდ ცხოვრებას კომფორტი მოაკლდებოდა. უკვირდა, უიმყვავილოდ ნეტავ როგორ ვცხოვრობდიო. ახლა პირგამეხებული ხშირად დადიოდა სასეირნოდ სანტ ოტილიის გზაზე მდებარე ტყეში და აი, ერთ მზიან საღამოს, გადაჭრილ ხის ძირზე რომ იჯდა, უეცრად გაუელვა თავში აზრმა: აი, აქ იდგა მისი ბაბუაწვერა, მისი ელენი. დიახ, ის ადგილი ნამდვილად აქ უნდა ყოფილიყო. სქელ ბატონს ნაღველი და შიშნარევი მოწინების გრძნობა დაეუფლა. არა, იმ საღამოდან მოყოლებული მაინც როგორ შეტრიალდა მისი ბედ-ილბალის ფიქრიანად მოავლო კეთილი, ოდნავ დაბინდული თვალები სარეველებს, ელენის დებს, ან იქნებ ქალიშვილებსაც, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ბრტყელი სახე ონავრულმა აზრმა შეუტოკა. ო, ახლა კი გასკდება გულზე მისი საყვარელი ყვავილი. ერთი ბაბუაწვერა რომ ამოთხაროს, თუნდაც, გარდაცვლილის ასული, ქოთანში ჩარგოს, მოუაროს და უპატრონოს, მაშინ იმ დედაბერს ახალგაზრდა მეტოქე გაუჩნდება. ყველაფერს კარგად თუ მოიფიქრებს, იმ ბებრის სიკვდილს საბოლოოდ გამოისყიდის, დიახ, ყვავილს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს და ამით დედამისის სიკვდილს გამოისყიდის. ასე რომ არ ქნას, ასული ხომ უეჭველად დაილუპება! ო, როგორ გაანაწყენებს იმ დედაბერს, სულ მშრალზე დასვამს. კანონებში გათვითცნობიერებულმა ვაჭარმა პარაგრაფიც გაიხსენა დანაშაულის გამოს-

ყიდვის თაობაზე. ჯაყვით ამოთხარა ერთი ბაბუანვერა, შიშველი ხელე-
ბით სათუთად მიიტანა შინ, ოქროთი მოვარაყებულ ფაიფურის ქოთანში
ჩარგო და თავის საძინებელ ოთახში მოზაიკით მოოჭვილ მაგიდაზე წამო-
ჭიმა. ქოთნის ფსკერზე ნახშირით მიაწერა: „§ 2403. მუხლი მეხუთე“.

ბედნიერი კაცი ყოველდღე ღვარძლშერეული მონიშვნებით წყავდა
მცენარეს და მას მიცვალებულს, ელენს სწირავდა. ელენი ახლა კანონის
ხელში იყო, ესე იგი, დისციპლინარული სასჯელი აიძულებდა ბედს დამორ-
ჩილებოდა: აღარც თასს უდგამდნენ, აღარც საჭმელს აძლევდნენ და აღ-
არც ფულს. დივანზე წამოწოლილ ბატონ მიხაელს ხშირად ეჩვენებოდა,
მისი წივილი, მისი გაბმული კენესა მესმისო. უზარმაზარი წარმოდგენა
შეექმნა საკუთარ თავზე. ზოგჯერ რაღაც განდიდების მანიისებურიც კი
წამოუვლიდა ხოლმე. ასეთი მჩქეფარე ცხოვრებით არასოდეს უცხოვრია.

ერთ საღამოს კანტორიდან მშვენიერ გუნებაზე დაბრუნდა, შინამო-
სამსახურემ კარებშივე მოახსენა, წმენდისას მაგიდა გადამიბრუნდა და
ქოთანი გამიტყდაო. მცენარე თავის მიწიანად და ქოთნის ნამსხვრევებიან-
ნად სანაგვეში გადავაყრევინეო. ქალს მშვიდ, ოდნავ ზიზღნარევ კილოზე
ეტყობოდა, ამ ამბით ფრიად კმაყოფილი რომ გახლდათ.

მორგვივით მრგვალმა ბატონმა კარი ჩაკეტა. კოტიტა ხელებით ტაში
შემოჰკრა, ბედნიერებისაგან აჭყლოპინდა, გაოგნებულ ქალს თეძოებზე
ხელი მოავლო და ჰაერში იმ სიმალლეზე აიტაცა, რამდენზეც ამის საშუა-
ლებას თავისი ძალ-ღონე აძლევდა, თუმცა იმასაც მოერიდა, ქალისთვის
თავი ჭერზე არ მიერტყმევიინებინა, შემდეგ თეძოების ქნევით გასწია თა-
ვის საძინებელი ოთახისაკენ, აღგზნებული იყო, თვალებს შეუჩერებლივ
აპარპალებდა. ხმამაღლა ქოშინებდა, ფეხებს აბაკუნებდა და ტუჩები უცახ-
ცახებდა.

ამჯერად ველარავინ დაადანაშაულებდა. ყვავილის სიკვდილის გულ-
შიაც არ გაუვლია. საამისოდ თითიც არ გაუნძრევია. ის ბებერი, სიდედ-
რად რომ ერგებოდა. მაინც წყევლა-კრულვით აიკლებდა და ვინ იცის,
რას აღარ იტყოდა. მაგრამ მადლობა ღმერთს, მასთან აღარაფერი ესაქ-
მებოდა, ისიც და ბაბუანვერების მთელი ჯილაგიც. როგორც იქნა, თა-
ვიდან მოიშორა. ახლა სამართალიც და ბედნიერებაც მის მხარეს იყო. ამ-
ას წყალი არ გაუვიდოდა. ახლავე უნდოდა სანტ ოტილიენში, იმ ბუზლუ-
ნა, სულელ ტყეში წასვლა. ფიქრებში უკვე მიაქანავებდა თავის განუყ-
რელ შავ ხელჯოხს. ბატონი მიხაელის გამარჯვება ყვავილებს, ქვაქვეში-
ებს, გომბეშოებსაც, უნდა დაეჯერებინათ. ამიერიდან რამდენსაც უნდოდა,
იმდენ მკვლელობას ჩაიდენდა, ბაბუანვერების მთელი მოდგმა ფეხებზე
გვიდა.

ღვარძლიან სიხარულს ველარ ფარავდა. სქელი, ფაქიზად ჩაცმული
ვაჭარი, ბატონი მიხაელ ფიშერი თავშეუკავებლად იცინოდა და შეზლონ-
გზე ველარ კავდებოდა.

შემდეგ წამოხტა, ქუდი კეფაზე ჩამოიმხო. გაოცებისაგან რეტდასხმულ
შინამოსამსახურეს ჩაუქროლა და ქუჩაში გავარდა.

გზას სიცილ-ფრუტუნით დაადგა და სულ მალე ტყის წყვდიადში მი-
იმალა.



ლექსები



ქართველთა
წიგნიერების
დაცვის
და განვითარების
კავშირთა
დაცვის
და განვითარების
კავშირთა

თარგმნა გურამ ნემსაძემ

„წინ გაიხედე, გამარჯვება უპირველესად არის დანახვა შორეულის ახლოს მთლიანად, დაე, თავიდან მოინათლოს ქვეყნად ყოველი“.

გიიომ აკოლინერი

1959 წლის 8-9 იანვარი... სულ ორი დღე და ათი ლექსი, ავტორის მშობლიურ, ესპანურ ენაზე თავდაპირველად კუნძულ მაიორკაზე გამოქვეყნებული, უკვე მთელი ათი წლის შემდგომ ფრანგულად თარგმნილი „ლექტრ ფრანსეზში“...

ჩემთვის, ქართველი კაცისთვის, მისგან დახატული ფიროსმანივით ასე ახლობელი — უცხო პაბლო პიკასო და ასე მოულოდნელი შემოფეთება — პიკასო-პოეტი. და თითქოს ვხედავ, ხელშესახებად ვგრძნობ, — გენიალური მხატვრის შემოქმედება, ღვთაებრივ საიდუმლოთა საბადო, უფალმა თავის რჩეულს რომ უბოძა, იქცა პიკასოს პოეზიის ეკვივალენტად და მასაზრდოებლად ისევე, როგორც ბრუნვაში არსებულ ფულს ამაგრებს და განამტკიცებს სახელმწიფო ხაზინაში საიმედოდ დაცული ოქროს ზოდი.

„ნადირთა შორის მე ვარ უმძლავრესი, ხოლო კაცთა შორის უმძლავრესია ის, ვისაც მე აქ ვდარაჯობ“ — ასეთი ეპიტაფია ამშვენებს სპარტას უმამაცესი მეფის საფლავზე აღმართულ ლომის ქანდაკებას. დიდ ბერძენ კრიტიკოსს ფსევდო ლონგინეს კი ვაჟკაცობის ეტალონად მეფეთა და მეომართა მიერ ბრძოლაში გამოჩენილ გმირობაზე უმეტესად მხატვრის, მოქანდაკის, საერთოდ, ხელოვანის შემართება და გაბედულება მიაჩნია. ალექსანდრე მაკედონელსა და მის მეჯორეს ორივეს მიწა ფარავს, ხოლო იმდროინდელ ხელოვანთა ნაღვაწი თვალსაჩინოა და „ჰგიეს უკუნისამდე“.


ასევე ჰგიეს იგი — განუმეორებელი პიკასო, ცდუნებასავით ნამდვილი, გრანდიოზული და უბრალო, თანაც — მუდამ მოულოდნელი — მასთან ხომ უასმინის სურნელებას როგორღაც ძალდაუტანებლად ენაცვლება ერთი შეხედვით ამაზრზენი „ჩირქოვანი მუწუკები“... თავბრუდამხვევი სისწრაფით მონაცვლეობენ პერსონაჟები, ლანდშაფტები, საგნები, რაკურსები თუ მასშტაბები...

მის ლექსებს თან სდევს გაბედული ექსპერიმენტი, სიანცე, სილალე, ანუ ყველაფერი ის, რაც ასეთ ყმაწვილურ სიცინცხალეს ანიჭებს მათ.

პიკასო შეგნებულად აფერხებს თხრობას, ერთი შეხედვით, შეურწმელ აზრთა შეკავშირებით და ჩვენი ყურადღება თვით სიტყვათა მნიშ-

ვნელობაზე გადააქვს, რომ სიმბოლოთა ქარაგმით უფრო ცხადად შევიგრძნოთ საგანი, ფერი, ფორმა თუ მოცულობა და ლექსის მთლიანი განწყობილებაც მძაფრად აღვიქვათ.

ხომ მშვენიერია ზურმუხტი თავისთავად, მასთან დაგავშირებულ საოცარ ისტორია-ამბავთა თხრობის გარეშეც;



ზოგჯერ აკი მუსიკალური მელოდიაც ვერ ითმენს ამბავთ დატყობნულ ტექსტთან შეთავსებას.

პიკასო თითქოს ეგზოტიკურ კერძს გვიმზადებს განსხვავებულ გემოთა და სანელებელთა ურთიერთშერევით. ხომ ცხადია, მოვლენათა ამგვარად ჭვრეტას ლიტერატურული გამოცდილება არ ეყოფა ისევე, როგორც რაც უნდა ბევრი ვწეროთ და ვიკითხოთ ქვის თვისებებზე, მას ისე მძაფრად ვერ შევიგრძნობთ, როგორც მაშინ, როცა ვთლით და ხელისგულებით ვეფერებით. სწორედ ამგვარ გამოცდილებასთან ზიარება სურდა რაინერ მარია რილკეს, მორჩილ მოწაფედ (რომ ემსახურა როდენს. ეს გახდა კიდევ რილკეს პოეზიაში მიზეზი საგან-ლექსების წარმოშობისა. პიკასოც უჩვეულო, ახლებურ ტევადობას სძენს ლექსს და, რილკესი არ იყოს, გამოთქვამს ისე, „როგორც თვით საგნებს თავისში ყოფნა არასოდეს ჰქონია აზრად“.

მე არ ძალმიძს, თვალსაწიერი შემოვუსაზღვრო უსაზღვროებას, ვვრც პიკასოს შემოქმედებისთვის გამოვიგონებ „იზმით“ ან „ისტით“ დაბოლოებულ სახელწოდებას.

ამ ლექსების თარგმნა უთუოდ უკეთესადაც შეიძლებოდა, თუმც შრომა არ დამიკლია და ესპანურის პწკარედთან ერთად რუსული თარგმანიც გამოვიყენე, ლექსების დედნური ჟღერადობაც ვისმინე. რაც მთავარია, პიკასოს ლექსებიდან მომდინარე იდუმალი ხმა იმაზე მეტს მიმხელდა თითქოს, ვიდრე ეს მხოლოდ სიტყვასიტყვით თარგმნას შეეძლო...

მთარგმნელი

8. 1. 59

წყაროსთან ნამიან ბალახზე თითქმის
შიშველს და ცხვრის თუ დათვის
ტყავში გახვეულს
ყმანვილს ეძინა უდრტვინველი და
მშვიდი ძილით
სამყაროს ორ თუ სამ მხარეს შორის
გარეთ და შიგნით გარდაქმნილებს
ხის ბაყაყებად ანდა გნოლებად
იქვე ლუმელთან ნამცეცები სველდება პურის
მათ მულეტებთან და აბრეშუმის
ზეწრებთან ერთად
და ლითონის საფარველებთან
კვერცხი ნახარში ნაჩქარევად
სიმკვრივეს იძენს
და ემსგავსება უსწრაფესად
ფიცხელ ნალვერდალს

საზამთროს ნაჭერი და კიდევ წინილა
ჩამოკიდებული ყვავები მათ ზემოთ
სხვა არაფერი

ტამბურინის მომლოდინე ფიჭვის ფრთის გარდა
მახეში ებმებიან გადასაფარებლის ფორები
ქვის ტყეთა გაჭიმულ ზენარქვეშ
და ის რაც მოგროვდა მკვდარი და გამხმარი



ქართული
ბიბლიოთეკა

ლექსების წილში

ექცევა ხაფანგში ლოდების ჭიბებქვეშ
და მიმოფანტულა ხმა მისამღერების
და მჭახე ძახილი

კარი მოხატულა დიდი მსხვილი ფუნჯით
თავზე რომ ახურავს ცა გარინდებული
ანუ ცის ნაჭერი

აკვანთან დამდგარა და როგორც გუშაგი
ნამცეცებსა და სტვენას
აელვარებს

ზღვაში გადაგდებულ სახლის სახურავზე ღუმელის
კიდებზე შეტრუსული

ბუზი კი

პირსაბნის ონკანზე თათებს იგრილებს

9. 1. 59 (1)

საცხის კოლოფები ხაფანგში ებმებიან
ტრიალებს სუნი

და იქ სადაც შუაგულია

გაჭიმულან და კიდურები მიმოუყრიათ
ჩასჭიდებიან ბალბები კარებს


და შელებილა ჩალისფერად მარჯნების წყება
გამზადებულნი შესახვედრად დღესასწაულის
დამსხვრეულნი და დაფანტულნი ნაწილ-ნაწილად
მუნუკიანი ზედაპირებით

ათი ათასი მიჯაჭვულა თვალი უძლები
ესტრამადურულ კუპატების კრიალოსანზე
ჟღერს ვიოლინო ტირილისა და
მწუხარების

მოედნის ცენტრში და ანჩოუსის
სავსე მტევნები

სახურავქვემოთ ირწევიან და ქანაობენ
ფიჭვის ჭალაში ცეცხლის საათია და
ბრუნავს ცეკვით მოსასხამი
ხოლო რაფაზე

სუპი კაჟის კიბორჩხალების
შხეფებს ისვრის და დგას
ელვარე ნაპერწკლიანი



F 80.12

9. 1. 59 (2)

შემდეგ კი მოდის ფოსტალიონი
და ამკრები ოვაციათა „ოლეს“ შედახილთა
შემგროვებელი
ბრმა სამრევლო ეკლესიიდან
და კიდევ შაშვი
და რამონის ქალიშვილები
დონა პაკიტას შინაბერა შვილი უფროსი
კიდევ სიცივით გათოშილი მღვდელი
კანკალით
და ყველა ერთად მწვანე
კიდევ ზაფრანისფერი
დატვირთულები ატრიითა და
შავი ყურძნით
და ფორთოხლებით
მკვრივი წვნიანი ალოეთი
ანდა თალგამით
და კიდევ იმათ ჰქონდათ ტაფა კვერცხებიანი
ხინჩინიანი კარტოფილებით
და გაკვირვებით ჟღარუნებდა
კარზე ეყვანი
ზოგჯერ რწყილთაგან დაკბენილებს
ჰქონდათ შვებანი მხოლოდლა ფხანით
გრიგალი ზოგჯერ სასტიკია და
არ დაინდობს
ალარც მდიდრებს და ალარც ღარიბებს
წვიმით გაჟღენთილ და ჭუჭყიან
იმათ ტანსაცმელს
ცეცხლი აშრობდა ერთიანად
მათგან გაფენილს



9. 1. 59 (3)

ფილისის უფროსი ქალიშვილი
ტილებით სავსე
იმის ამარა რაც ზედ ეცვა
სხვა არც ებადა
დაასკდა ლოგინს სულთქმა-უშით
და გაშმაგებით
ლეიბი თავზე წაიხურა
ღვარა ცრემლები
რომ მესალინა ჰგონებოდათ
მისი ამგვარად წარმოსახვა
თუმც საეჭვოა
ფიქრობდა ვაჟი ალკალდის და
მასთან მედუქნეც

გადარეულნი მეტისმეტი სიამისაგან
ერთი უკრავდა ტამბურინზე
და მეორე კი ვირტუოზობდა
სამსიმიან ვიოლინოზე
ჭამდნენ ფორთოხალს
ხოლო წვენი ოქროსმტვრიანი
ეშხეფებოდათ ტანსაცმელზე



და დღე მზიანი
ფანჯრის ფალუზებს ჩამონეულს აელვარებდა
თითქოსდა კიბე ყოფილიყო ბუზებისათვის
და სასეირნოდ საგანგებო გამოგონება
ჰოი დედილო სელესტინა
მღეროდნენ ტკბილად
ხმაშენწყობით და უდარდელად.

9. 1. 59(4)

გაიგო როცა ფოსტალიონმა
გოგონა რასაც აკეთებდა მნიფე ჭვავისფერ
ქსოვილის ფონზე
მივიდა ხელში აიყვანა და მას თავისი
ხავერდოვანი მოსასხამი ფერად ცისფერი
მხრებზე ფაქიზად შემოახურა
მერე ილოცა გულმხურვალედ ახსენა ღმერთი
თიხის ქოთნები იატაკზე ელაგა მიჯრით
და ფანჯრის მიღმა საიდანაც მოსჩანდა ველი
იყო უასმინის ყვავილობა
და ბულრაობდნენ ხარები ველად
გოგონა იჯდა და პერანგზე ნაყშებს ქარგავდა
მაგრამ ძაფები აებურდა
რადგან გენერლის არ ჩანდა ცოლი და
აყოვნებდნენ მოსვლას მისი ქალიშვილები

რაც ამკრთალებდა დღესასწაულს
 და აფერხებდა
 ხოლო გოგონას ატირებულს
 და აცრემლებულს
 ძაფები უფრო დაეხლართა და აენუნა
 წონა ლეიბის ვინაიდან ვერ გაითვალა
 იტკინა წელი
 აი თურმე საქმე რაშია
 თუმც აფთიაქარს ძლიერ სურდა
 მისი გასინჯვა
 დღესასწაულის უფლის მიერ დადგენილ
 წესრიგს ვერ დაარღვევდა და ამიტომაც
 სულ უფრო მცირე იყო იმედი
 მისი წყალობის.



9. 1. 59(5)

იყო მგზნებარე სიყვარულში
 დაუდგარი და მხიარულიც
 იმად ღირს რათა დრო წარმავალი
 მიმდინარე საათების რიგით გამოიყენო
 უამიერად ამომწურავად
 და ამიტომაც შეიძლება შეუღლიტინო
 კიდევ ბიჭუნას რომლის ბაბუა
 ვირით სადღაც მიემგზავრება
 და ჩანს შორიდან
 ვით აცილებს ტალახს ფეხსაცმელს
 ლანჩების ერთიმეორეზე მიტყლაშუნებით
 მასზე ვერავინ ვერ იტყოდა
 შექმნა რაიმე
 ანდა პირიქით დაშალა თუ გაანადგურა
 მოუქნელია იგი ერთობ და ამდენადაც
 წვიმის ხმაურზე
 დაცემაზე პირველი წვეთის
 სახლში ქუნებით მიჩინდრიკობს
 რაც კი ღონე აქვს
 ხოლო თმები და ტომარა ფქვილის
 კვლავ უსველდება
 და მთა გრუხუნებს ჩხრიალებს ანდა
 არაკუნებს ვით სარეკელა
 და ვარდის ბურქიც შარიშურობს
 ზღვასთან ნებისად
 იქ მაგიდაზე მინის სურაა პური კოვზები
 პამიდვრებია და მისი სახე
 გაცრეცილი ღირსი ქებისა.

9. 1. 59 (6)

თქვა თერძმა ერთხელ
 კარგი ის არის
 ვისაც ცუდი არ შეემთხვევა
 და კიდევ ვისაც ვით გამჭოლი
 სხივების ჯერი
 სირცხვილი მწველი არ ეწვევა
 და არ განმსჭვალავს
 ვით შემოდგომის ჩამავალი მზის



მცხუნვარება

ბზარებს და ხვრელებს
 მოლივლივე შუქით რომ ავსებს
 ღრიჭოში აღწევს
 და სკამების ლოკავს რიკულებს
 მდორე საღამო გაირინდა
 მოსახვევებთან
 შეყოვნდა მნათი
 მზერას იპყრობდა და არენა

შლეგი ხარებით მოხეტიალე
 მომლერალთა ახარხარებით
 იხანძრებოდა ცის კიდურიც
 გადაიბუგა
 და მოგიზგიზე გარიჭრაჟი დაცხრა
 ალებით
 ეს ყოველივე ღამის ტანზე გავდა
 იარას
 ცა ფერად მდოგვის ქანაობდა და
 ის კი არა
 იყო არენა შეღებილი ფერად
 ლაჭვარდის
 და მწვანე მოლზე მოცეკვავე
 ადამიანებს
 არც კი ესმოდათ ვით თელავდნენ
 ქორფა ბალახებს და ყაყაჩოებს
 ნაშუადღევის საათის ოთხზე
 და არა ხუთზე
 ელვა რეისით
 ჯამბაზ გოგონას უეცარმა
 გამოცხადებამ
 შეცვალა ფერი სუპის ჯამში და
 უფრო რბილი გახდა იგი
 რადგან მოხუცთან გაცუდდა ცეკვა
 და სახილველიც
 გასხვაფერდა ანაზდეულად

9. 1. 59 (7)

ახონხოლინი სუპივით სველი
 და უფრო მთვრალი ვიდრე ხვრელია
 ცეკვავდა ხალეოს სულმოუთქმელად
 ახველებდა და მკრეხელობდა
 პიანინოს ქვეშ შარდავდა
 და ქარებს უშვებდა
 მისი ცოლი კი ღამაში და სულელი
 ქალი
 ჭუჭყიან ქალღმერთებში თევზებს
 ახვევდა
 და წვრილ ხამანწკებს კაბის კალთის
 ქვეშ



კანონიერი მისი ვაჟები შედეგი მათი
 კანონიერი ქორწინებისა ხუანიტო

ინახავდა საგულდაგულოდ
 ხოლო ხელები ჰქონდა წითელი
 ვით მოხარშული კიბორჩხალები
 და ქვითინებდა

ენრიკო და ბალდომერო
(რომელიც აგრეთვე უკვე დაიბადა)
იქვე ისხდნენ და მამის გამო
შერცხვენილები
ჩუმად წუნნიდნენ კარამელებს

იდგა ქვაბი და სიხარულის
მხიარულების
ნუგბარი კერძით
იხარშებოდა
სასურველი დღე სასწაული.



9. 1. 59 (8)

ფეხსაცმელი ყველის ჩექმა ბრინჯის
წყვილი კვერცხი და ლოკოკინების
ბუდე

ხვლიკუნები
ეჩიხას ოთხი ბიჭუნა
ველური თხილი ნუში და ნაბლი

ლულა წინილა და იადონი
მწყერი და სამელნის ფიალა
სპილენძის რეალი და შაშვი
ზღაპარი ფანქარი ქოთანი
ბუშტი თვალდახუჭობანას თამაში
ისტორია დედილო სელესტინასი
და კვადრილია სევილიელ
ყმაწვილებისა



ტორერო და ძია პერიკიტო და კიდევ
ყველა დანარჩენი სახელდობრ
ძალღი წმინდა როხოსი
სამი ოთხი
ნახევარი და მეოთხედი
ზღვა ტალღები და თევზი
მინდორი კრავეები და ძროხები
და ლაგარტიხის ხარები და პატარა

ჩამიჩი და კოპნია გნოლები
რეჰანი ქინძი როზმარინი ლავანდი.

9. 1. 59 (9)

მანეჟი მავთული და ხმელი ბალახების კვამლი
ქვა ხე კირი და ღვინო წითელი
ღელე არაყი ზეთისხილი კიდევ ბოცვერი
წინაკა მარილი ლიმონი და ფორთოხალი
ტრუსები წინდები გულისპირი და პერანგი
წინდები ქალის ქვეები და ქვეები
და კიდევ ქვეები

ასეთიც ასეთით ისეთიც ასეთიც
ასეთიც ისეთიც ასეთიც
და 1 და 2 და 3 და 4 და 5 და 6
და 7 და 8 და 9 და 10 და 11 და 12 და 13
და 14 და 15 და 16 და 17 და 18 და 19
და 20 და 21 და 22 და 23 და 24 და 25
და 26 და 27 და 28 და 29 და 30 და 31 და 32 და 33
და 34 და 35 და 36 და 37 და 38 და 39 და 40
და 41
და 42 და 43 და 44 და 45 და...



გამტასაგელნი



თარგმნა ზაურ კიციანი

1

ბაბუამ თქვა:

— აი ასეთი იყო ის კაცი, ბუნ ჰოგანბეკი.—კედელზე თუ გააკრავდით ბაბუას მონათხრობს, კიდევ იქნებოდა ბუნის ეპიტაფია მსგავსი ბერტილიონის ცხრილის ან საპოლიციო განცხადებისა ძებნილის თაობაზე და ყოველი პოლიციელი ჩრდილოეთ მისისიპიში, ვინც ამოიკითხავდა ამ კაცის ნიშნებს, უთუოდ იცნობდა თუნდაც ბრბოშიაც და დაიჭერდა მას.

შაბათი დღე იყო, ასე, დილის ათი საათი, ჩვენ — შენი დიდი პაპა და მე — კანტორაში ვიყავით. მამა მაგიდასთან იჯდა, გადმოეყარა ფული ტილოს ტოპრაკიდან, ითვლიდა და თან ქვითრებს უდარებდა. ის იყო მოედნის მაღაზიები დავიარე და ფული მივუტანე. ხოდა, ვიჯექი კედელთან სკამზე, შუადღით მას ჩემთვის ჩვეულებისამებრ ხელფასი უნდა მოეცა (ერთი კვირისა), ათი ცენტი. ამის მერე შინ წავიდოდით, ვისადილებდით და თავისუფალიც ვიქნებოდით, ყველაფერს ავინაზლაურებდი (მაისი იყო), ბეისბოლის სათამაშოდ წავიდოდი იმ ბიჭებთან, რომლებიც ჯერ კიდევ გათენებისთანავე უჩემოდ ერთ ამბავში იყვნენ; იმ იდეის მიხედვით (ჩემი არა, შენი დიდი პაპისა იყო), თუნდაც თერთმეტი წლის მამაკაცს უკვე ერთი წელიწადი მაინც უნდა გაელო თავისი წილი საზღაური, აღჭურვილიყო პასუხისმგებლობით იმ სივრცისადმი, იმ ადგილისადმი, რომელიც მას დაეკავებინა მსოფლიოს თუ არა, ჯეფერსონის, მისისიპის შტატის ეკონომიკის განვითარებაში. შაბათობით დილიდანვე, საუზმის მერე, ყოველთვის მივდიოდი სახლიდან მამასთან ერთად, მაშინ როდესაც ჩვენი ქუჩის სხვა ბიჭები აღიჭურვებოდნენ ხოლმე ბურთებით, ჩოგნებითა და თათმანებით. ის ჩემი სამი ძმა კი, რა სახსენებელია და, ჩემზე უმცროსები იყვნენ, პატარები, სწორედ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულნი; მამის ლოგიკისა და აზრისდა კვალად კი ყოველ უფროს მამაკაცს ძალუძს შესცვალოს, ოთხი ბალების მაგივრობა გასწიოს და ეკონომიკური კეთილდღეობა მოიპოვოს; ამიტომ იმათგან ერთს კიდევ შეუძლია თავისი მხრებით ზიდოს ეს ტვირთი. ასე და ამგვარად ყოველ შაბათ დილას მე უნდა მომეკრიბა ანგარიშები იმ ყუთებისა და ფუთების, ჩვენს ზანგ მედროგეებს მთელი კვირის მანძილზე რომ გადმოეზიდათ საბაყლო, რკინა-კავეულისა თუ საფერმერო მაღაზიებში, მერე ის ტილოს ტოპრაკები მამასთან წამელო, ის ფულს დაითვლიდა და შეაჯამებდა. შუადღემდე სულ იქ უნდა ვყოფილიყავი ვითომცდა ტელეფონის ზარზე საპასუხოდ — კვირაში ათ ცენტს მაძლევდნენ ამაში, რაც მისი ვარაუდით ჩემთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო.

ხოდა, ამ საქმიანობით ვიყავით გართული, რომ უცებ ბუნმა კარი შემოხეთქა და შემოხტა. დიახ, სწორედ შემოხტა. დერეფნიდან შემოსასვლელი კიბის საფეხური არ იყო მაღალი თუნდაც ათი წლის ბიჭისათვისაც კი (მაგრამ ჯონ პაუელმა, უფროსმა მეჯინებემ უთხრა სან ტომასს, უმცროს მეეტლეს, სადმე ნახე, გინდ ესესხე, გინდ ისე წამოიღე, გინდაც მოიპარეო ძელის ნაჭერი, საფეხურსა და საფეხურს შუა რომ შავდგა ჩემთვის). იმ ახმახ ბუნს ხომ მით უმეტეს არ გაუჭირდებოდა აქ გადმობიჯება. მაგრამ არა, ამჯერად სწორედაც შემოხტა კანტორაში. მშვიდადაც რომ გახლდათ, მაშინაც არ ეტყობოდა სახეზე დიდი სიღინჯე, ახლა სიბრაზისაგან ლამის ცოფებს ყრიდა. ხოდა, შემოხტა კანტორაში, მაგიდასთან მიიჭრა, მამას შეჰღრიალა, ხელი გასწიეთ, ბ-ნო მორი, იქით გამეცალეთო, მამას გადმოემხო, ქვედა უჯრას მისწვდა, სადაც საჯინიბოს საკუთრება პისტოლეტი ინახებოდა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, ბუნი იმ უჯრას რომ მისწვდა, სკამსაც გაჰკრა ხელი (გორგოლაჭებიანი მბრუნავი სკამი იყო) თუ თავად მამამ გასწია უკან, მისთვის რომ გამოწვდილ ხელზე თავისუფლად დაეკრა. ხოდა, ის კოხტად დაწყობილი მონეტები მთელ მაგიდაზე გაიფანტა, როცა მამა ბუნის ხელსა თუ იმ უჯრას ან ორივეს ერთად ეჯაჯგურებოდა.

— ხელი წაიღე, შე წყეულო!

— ლუდასი უნდა მოვკლა, — ღრიალებდა ბუნი, — ჩქარა, სანამ მოედნიდან არ გაპარულა! იქით გამეცალეთ, ბატონო მორი!

— არა, — იძახდა მამა, — გასწი აქედან!

— მაშ არ მომცემთ? — ჩაეკითხა ბუნი.

— არა, შე წყეულო, — მიუგო მამამ.

— აბა კარგი, — დასჭექა ბუნმა, უკან გადახტა, კარს მიაწყდა და გარეთ გავარდა. მამა სადაც იყო, იქვე დარჩა. ალბათ შეგიმჩნევია, გადააბიჯებს კაცი ოცდაათ-ორმოც წელს და ჭკუა ელევა, გულმავინყი ხდება-მეთქი, ამას არ ვამბობ. ამაზე ადვილი რა არის, სწორედაც ადვილია თქმა ოჰ, ეს მამაჩემი (ან ბაბუაჩემი) თუ დედაჩემი (ან ბებიაჩემი) რა დაბერებულა, ყველაფერი ავიწყდებაო. თუმცა არის რაღაც ისეთი ცხოვრებაში, რასაც ვერ დაივინყებ, თუნდაც სულ დაჩაჩანაკებული იყო. ვთქვათ, ხევი თუ ხნარცვი რამდენჯერ გადაგივლია ბიჭობაში ზედ გადებული ფიცრით. მაგრამ როცა ოცდათხუთმეტ-ორმოც წელს მიტანებული მიფოფხდები იქ, ბანცალ-ბანცალით მიადგები, რას ხედავ, აღარსად არის ის ფიცარი; შეიძლება ის ფიცარი სულაც აღარ გახსოვს, მაგრამ მაინც არ ჩააბიჯებ იმ სიცარიელეში, რომელზეც ფიცარი იყო გადებული. ახლა ეს შემთხვევა განსაჯე კანტორაში, ბუნს არც დაუკაკუნებია, ისე შემოიჭრა, მამას დაეტაკა და ლამის სკამიანად გადააყირავა, უჯრას ეცა, სადაც პისტოლეტი ეგულებოდა, მაგრამ მამამ იმარჯვა, ხელი ჰკრა თუ უკან გასწია, ეს კია, ბუნი გატრიალდა და ამ კანტორიდან გარეთ გაიჭრა. მამამ იფიქრა, ამით მორჩა და გათავდაო ყველაფერი, ლანძლვაც შეწყვიტა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, სკამი მაგიდასთან მისწია, მოკრიბა ის გაფანტული ფული, რომელიც თავიდან დასათვლელი გახდა, მერე ისევ და ისევ მოსდგა ბუნს, იმ პისტოლეტის გულისთვის კი არა, უფრო იმიტომ, ბუნი ბუნ ჰოგანბეკი რომ გახლდათ, და აღარ გაათავა, სანამ მე ხმა არ ამოვიღე.

— ახლა წავა და ჯონ პაუელს წაართმევს იარაღს, — ვუთხარი მე.

— რაო? — იყვირა მამამ, წამოვარდა და გაქანდა, მეც მივყევი, ოთახიდან გამოვცვივდით, დერეფანი გავიბინეთ, მერე კიბეზე აგტეხეთ ბრახაბრუნი, გარეთ გავცვივდით, საჯინიბოსკენ გავიქეცი, სადაც ჯონ პაუელი და ლასტერი მჭედელ გეიბს შველოდნენ, სამი ჯორი და ერთი ცდროგის ცხენი უნდა დაეჭირათ. მამას უკვე ლანძღვის თავი დაეჭონდა და ყოველ მესამე ნაბიჯზე ღრიალებდა: „ჯონი ბუნ! ჯონი ბუნ!“

მაგრამ ამჯერად დააგვიანდა, რადგან ბუნმა გააცურა იგი — ჩვენ ორივე, რადგან ჯონ პაუელის პისტოლეტს ამ ჩვენს საჯინიბოში არა მხოლოდ ზნეობრივი ღირებულება ჰქონდა, არამედ ემოციურიც. ეს იყო ორმოცდაერთი კალიბრის მოკლელულიანი რევოლვერი, ძველისძველი, მაგრამ დიდებულად შენახული, რადგან ჯონი კარგად უვლიდა მას მერე, რაც მამისგან ოცდაერთი წლისამ გამოისყიდა. თუმცა თითქოსდა ის არც იყო მისი საკუთრება; ანუ იმისი თქმა მინდა, ოფიციალურად ის არც კი არსებობდა. მას შემდეგ, რაც ეს საჯინიბო დაარსდა, წესად ჰქონდათ ეს ერთადერთი პისტოლეტი უნდა დაცულიყო კანტორაში მაგიდის მარჯვენა უჯრაში. ჯენტლმენური შეთანხმების თანახმად საჯინიბოს არც ერთ თანამშრომელს არ შეეძლო ცეცხლსასროლი იარაღის ტარება სახლში წასვლამდე, მით უმეტეს იქიდან მისი წამოღება. ჯონმა ყველაფერი აგვიხსნა, ჩვენც გავუგეთ და კიდევაც მხარი დავუჭირეთ, საჭირო თუ იქნებოდა, მედგრად წინ აღვუდგებოდით მთელ სამყაროსაც და თავად მამასაც. მაგრამ, მარ თალი თუ გნებავთ, არც არაფრის დარდი არ უნდა გვექონოდა, ბუნ ჰოჯანბეკი რომ არა. მან (ჯონმა) მოგვითხრო ჩვენ, თუ როგორ აგროვებდა პისტოლეტისთვის ფულს, მთელი ის ხანი არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა, თავის მამასაც ეხმარებოდა ფერმაში, მაშინ როდესაც შეეძლო თავის სურვილისამებრ გაეტარებინა დრო, ეჭამა ან დაეძინა. ასე იყო მანამ, ანამ ოცდაერთი წელი არ შეუსრულდა. მაშინ უკანასკნელი მონეტა ჩაუდო მამას ხელში და კიდევ მიიღო ის პისტოლეტი; მოგვითხრო, თუ როგორ გახდა ის პისტოლეტი მისი კაცობის ცხოველი სიმბოლო და შეუვალი მტკიცება, რომ ის უკვე ოცდაერთი წლის ვაჟკაცი იყო; თუ როგორ არ გაუვლია გულში, ვერც წარმოედგინა, ისეთი რა უნდა მომხდარიყო როდესმე, რომ ჩახმახი გამოენია და ესროლა ადამიანიშვილისთვის, თუმცა კი უიარალოდ ვერ იქნებოდა, სამუშაოდ წამოსული პისტოლეტს ვერა და ვერ დატოვებდა სახლში, რადგან მაშინ გინდაც კაცობა დაეტოვებინოს სადღაც ფარდულსა ან უჯრაში; ასე გვითხრა (და ჩვენც დავუჯერეთ), ჩემთვის რომ ეთქვათ, აარჩიე, ან პისტოლეტი დატოვე ან არადა სულაც ნუ მოხვალ კანტორაში, ცხადია, რასაც ავირჩევდიო.

ხოდა, მისმა ცოლმა მიტომაც კოხტად და მაგრად მიუკერა ჯიბე პისტოლეტისთვის შიგნიდან სამუშაო ხალათზე, მაგრამ ჯონი მაშინვე მიხვდა, ასე არ ივარგებსო. იმიტომ კი არა, რომ შეიძლებოდა საბედისწერო წამს გადმოვარდნოდა, არამედ იმიტომ, რომ მისი მოხაზულობა ეტყობოდა გარედან სამოსელს და სწორედ პისტოლეტიაო იქ, იტყოდი. ჩვენთვის ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ყველამ ისედაც ვიცოდით, რაც იყო — ბნმა ბელოტმა, თეთრმა უფროსმა მეჯინიბემ, ბუნმა, მისმა თანაშემწემაც (ვინც ღამე მორიგეობდა და ამ წუთას თავის სახლში, ლოგინში უნდა ყოფილიყო), ყველა ზანგმა მეეტლემ და მეჯინიბემაც, დაბოლოს სულ უკანასკნელმა დამლაგებელმა და მეც, ვისაც შაბათობით ქვითრების მიხედვით ფულის მოკრეფა და ტელეფონზე პასუხის გაცემა მევალებოდა, აგ-

რეთვე ბებერმა დენ გრინაპმაც, ვინც მუდამ ჭუჭყიანი იყო, თამბაქოს კვამლისგან გაზინზლული წვერით, ვინც იშვიათად თუ უნახავთ ფხიზელი და არც ჰქონდა რამე თანამდებობა საჯინიბოში, მაგრამ იმდენად ვისკის სიყვარულის გამო კი არა, უფრო იმ თავისი გვარის გულისთვის, გრინაპი კი არ გახლდათ, არამედ გრენიე, ამ ოლქში უძველესი, მაგრამ უკიდრსე-ბააყრილი გვარის წარმომადგენელი — ჰუგენოტი ლუის გრენიეს მისი წინაპარი, რომელმაც რევოლუციის შემდგომ გადმოვლო ვირჯინიისა და კაროლინას მთები, მისისიპიში ჩამოვიდა მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოც-დაათიან წლებში, დააარსა ჯეფერსონი და სახელიც შეარქვა — ის (ბებერი დენი) სადღაც გადაკარგულში ცხოვრობდა (ოჯახი მას არ ჰყავდა, მხოლოდ ერთი იდიოტი დისწული თუ დეიდაშვილი, ვინც დღემდე იმასთან ცხოვრობდა ქობში, ფრანგისხევის იქით, ლელიანში, გრენიეს პლანტაციის ნაწილი იყო ოდესღაც ეს არემიდამო), ის (ბებერი დენი), ვინც იმდენს არ სვამდა, რომ კოფოდან გადმოყირავებულიყო იმ დროს გამოცხადდებო-და ხოლმე საჯინიბოში, რომ სალამოს 10.30-ზე და დილით 4.12-ზე მატარე-ბლებს დახვედროდა სადგურში, რათა სავაჭრო ფირმების წარმომადგენ-ლები სასტუმროში მოეყვანა ან ღამე სამორიგეოდ მივიდოდა, როდესაც მეჯლისები, სპექტაკლები და კონცერტები იმართებოდა საოპერო თეატრ-ში (ზოგჯერ ნაბახუსევს სევდა და სიმძიმელი რომ შემოაწვებოდა გულზე, ასე ამბობდა, იყო დრო და გრენიები წინ მიუძღვოდნენ იოკნაპატოფას სა-ზოგადოებას, ახლა კი გრინაპები მეეტლეობას უწევნო მათ). სამუშაო-დან არ აგდებდნენ, რადგანაც, ასე ამბობდნენ, მისი ასული ბ-ნ ბელოტის პირველი ცოლი ყოფილა, თუმცა საჯინიბოში ყველამ ისე ვიცოდით, უფ-რო ამიტომ არ ითხოვდნენ, მამაჩემი თავის ბიჭობაში ბებერ დენის მამას-თან ერად მელიებზე ნადირობდა ფრანგისხევის ახლომახლო.

მის (პისტოლეტის) მოხაზულობას არა მარტო ჩვენ, მამაც ამჩნევდა. თუმცა მამამ ისედაც იცოდა ამის შესახებ. იცოდა, რალა თქმა უნდა; ჩვე-ნი დაწესებულება მეტად პატარა, მეტად შედუღაბებული, მეტად შეკრული იყო. ამიტომაც მამაჩემს ზნეობრივი პრობლემა ისევე აწუხებდა, როგორც ჯონ პაუელს, ორივემ კარგად იცოდა ეს და არ ავინყდებოდათ, ჭეშმარი-ტი ჯენტლმენები უნდა ყოფილიყვნენ მუდამ: თუკი მამა განაცხადებდა, ვიცოთ იმ პისტოლეტის ამბავი, მაშინ ასე უნდა ეთქვა ჯონისთვის, ხვალ სახლში უნდა დატოვო ეს იარაღი ან თავად შენ უნდა დარჩეო. თავის მხრივ ჯონმაც იცოდა ეს და რაკილა ისიც ჯენტლმენი გახლდათ, არც არასდროს აიძულებდა მამას პისტოლეტის არსებობა ელიარებინა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ჯონის მეუღლემ ახლა ქურთუკის მარცხენა მხარეს ისე და-აკერა ჯიბე, ვერაფერს ვერ შეამჩნევდით (ერთი შეხედვით მაინც), ვერც მაშინ, როდესაც ჯონს ქურთუკი ეცვა ან როდესაც თბილი ამინდი იყო (როგორც ახლა). ქურთუკი ჯონის ლურსმანზე ეკიდა აღკაზმულობის შე-სანახ საწყობში. ხოდა, ასე იყო იმ პისტოლეტის ამბავი, როცა ბუნი, ვი-საც იმიტომ უხდიდნენ ფულს, რომ პირობა ჰქონდა დადებული, შინ იქნე-ბოდა ამ დროს ლოგინში და არ მოჰყვებოდა მოედანზე ხეტიალს, სადაც შეიძლება გადასწყდომოდა იმას, რასაც გადააწყდა კიდევაც, რის გამოც ამ ერთი წუთის წინ საჯინიბოში შემოვარდა, კანტორაში შემოხტა და ორი-ვენი, მამაცა და ჯონ პაუელიც ტყუილების გუდად აქცია.

მაგრამ მამამ ამჯერადაც დააგვიანა. ბუნმა ისიც გააცურა და ჩვენ ყველანიც, რადგან ბუნმაც იცოდა აღკაზმულობის საწყობში იმ ლურსმნის

ამბავი. ხოდა, დიდი ჭკუა იხმარა და დერეფანს არ გაუყვა, კანტორას აღ-
არ ჩაუარა; ეზოში რომ გავცვივდით, დავინახეთ, ჯონი, ლასტერი და გეი-
ბი (ასევე სამი ჯორი და ერთი ცხენიც) როგორ უმზერდნენ მოქანავე ჭი-
შკარს, რომელშიც ეს წუთია ბუნი გამსხლტარიყო პისტოლეტმომარჯვებუ-
ლი. ჯონი და მამა ათიოდე წამს შესცქეროდნენ ერთმანეთს, და ჭნუნდნენ ეს
დრო საკმარისი გამოდგა, რათა მთელი მათი entendre-de-noblesse-ს¹ გატაცამ-
ტვერებულისყო სრულიად. თუმცა noblesse და ასევე oblige** კიდევ დარ-
ჩენილიყო.

— ჩემი პისტოლეტია, — თქვა ჯონმა.

— დიახ, — მიუგო მამამ, — ლუდასი დაუნახავს მოედანზე.

— დავიჭერ და პისტოლეტს წავართმევ, ოღონდ კი მითხარით, — უთ-
ხრა ჯონმა.

— ვილაცამ ხომ უნდა დაიჭიროს ლუდასი, — თქვა გეიბმა. თუმ-
ცა ტანმოკლე იყო, მაგრამ საოცრად ჯანიანი, ბუნზე უფრო ჯანიანი, ცა-
ლი ფეხი კარგა მაგრა მოღრეცოდა, დიდი ხანია სამჭედლოში დაშავებოდა;
მაგრამ შეეძლო ხელი ეტაცა ფეხში ცხენისა თუ ჯორისთვის, იმ თავის
მოღუნული მუხლის ქვეშ მოექცია და (თუკი რამეს მოეჭიდებოდა, ბოძს ან
სხვა რაღაცას) ის ცხენი თუ ჯორი ველარაფერს გახდებოდნენ, ვერც ფეხს
გაინთავისუფლებდნენ და ვერც იმას მოახერხებდნენ, მეორე ფეხით წიხლი
ჩაეკრათ. — ჰე, ლასტერ, გაიქეცი და დაიჭირე...

— ლუდასის დარდი ნუ გაქვს, — თქვა ჯონმა, — ლუდასს აღარაფე-
რი უჭირს. ნანახი მყავს მე ბუნ ჰოგანბეკი, — არ თქვა ბატონი ბუნიო,
თუმცა იცოდა, მამას არ გამოეპარებოდა ეს ამბავი, თეთრი კაცის თან-
დასწრებით არც არასდროს უქნია ასე, რადგანაც ჯონი ჯენტლმენი გახ-
ლდათ, მაგრამ მამასაც ესმოდა იმ noblesse-ს მნიშვნელობა, ისიც იცოდა,
პისტოლეტის ამბის დავინყება ასე ადვილად არ შეიძლებოდა, — ვიცი, რა
მსროლელიცაა. ოღონდ კი მითხარით, ბატონო მორი.

— არა, — მიუგო მამამ, — კანტორაში გაიქეცი და ბატონ ჰემპტონს
დაურეკე (დიახ, მაშინაც ერთი-ერთი ჰემპტონთაგანი იყო შერიფად) და
ჩემგან გადაეცი, რაც შეიძლება მალე დაიჭიროს ბატონი ბუნი. — მამამ
ჭიშკარს მიაშურა.

ხოდა, სამივემ მოედნისკენ გავსწიეთ, მე მივთოხარიკობდი, არ მინ-
დოდა ჩამოვრჩენილიყავი, სულაც არ მსურდა ბუნს დავნეოდი, მაგრამ
ერთი სული მქონდა ჩავჩხერილიყავი ბუნს, იმ პისტოლეტსა და ჯონ პა-
უელს შუა. რადგანაც თავად ჯონს ჰქონდა ნათქვამი, ლუდასის დარდი ნუ
გაქვთო. ყველამ ვიცოდით ბუნის დამიზნების ამბავი, და თუ ბუნი ლუდასს
ესროდა, ლუდასს მაინც არაფერი დაუშავდებოდა. ის (ლუდასი) ერთ-ერთი
ჩვენი მეეტლე იყო გასული სამშაბათის დილამდე. თუ რა მოხდა, ჩვენ გა-
ვიგეთ ბუნის, ბ-ნ ბელოტისა და ჯონ პაუელის მეშვეობით, თავად ლუდასმა
ბევრი ვერაფერი გვიამბო. ამ ერთი თუ ორი კვირის წინ ლუდასმა ახალი
სატრფო გაიჩინა. ასული (თუ ცოლი, ზუსტად არ ვიცი) ქალაქგარეთ მცხო-
ვრები ერთი არენდატორისა. ორშაბათ საღამოს ბუნი რომ მოვიდა — ბ-ნი
ბელოტი უნდა შეეცვალა და ღამე მორიგედ დარჩენილიყო — ყველა ეტლი

* ღირსეული ურთიერთგაგება (დამახინჯ. ფრანგ.).

** კეთილშობილება და ვალდებულება, ანუ კეთილშობილება ავალდე-
ბულებს.

და ფურგონი დაბრუნებულიყო გარდა ლუდასისა. ბ-ნმა ბელოტიმა უთხრა ბუნს, ლუდასი რომ მოვა, დამირეკეო, და სახლში წავიდა. ასეთი ჩვენება მისცა ბ-ნმა ბელოტიმა. ბუნმა კი თქვა, რაც ნაწილობრივ ჯონ პაუელმაც დაუდასტურა (მამა უკვე ამ დროს სახლში იყო წასული): წინა ჭიშკრით გავიდა თუ არა ბ-ნი ბელოტი, უკანათი მაშინვე შემოვიდაო, ლუდასი ფეხით. ლუდასმა უთხრა ბუნს, ერთ ბორბალს საბურავი მოუშვა, მეტიომ ჩვენს სახლთან შეჩერდა; მამას დაუნახავს და უთქვამს, საძოვრის ახლოს ტბორში ჩაიყვანე ფურგონი და საბურავი ისევ მაგრად შემოეკვრება ფერსოს, ხოლო ჯორები გამოხსენი, ჩვენსას შემოიყვანე, აჭამე და დილას წაიყვანეო. რა თქმა უნდა, ბუნმა დაუჯერა, ჯონ პაუელმა კი, რა თქმა უნდა, არა, რადგანაც ვინც კი იცის ჩვენი სამუშაოს ამბავი, მართალია, მამა ფურგონს კი დაატოვებინებდა სადღაც ღამით, მაგრამ ჯორებს გამოახსნევინებდა, საჯინიბოში მოაყვანინებდა და ბაგაში დააბმევინებდა, სადღაც განმენდნენ და აჭმევდნენ კიდევაც. მაგრამ ბუნმა განაცხადა, რაკილა ასე მითხრა, ამიტომ რაღა საჭირო იყო ბ-ნ ბელოტის შენუხება ვახშმობის ხანს, რატომ უნდა მეთქვა მისთვის ის, რაც მამამ უკვე იცოდა, ანუ სად იყვნენ ჯორები და ფურგონი, რომლებიც მამის საკუთრება იყო და არა ბ-ნ ბელოტისა.

ჯონ პაუელმა კი ასე მოუყვა, თუმცაღა უგულოდ, მართალი თუ გნებავთ, სიტყვასაც არ დაძრავდა, ბუნს რომ მისი (ჯონის) დუმილისა და სიმართლის არგაცხადებისთვის დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა არ მიენიჭებინა, უფრო დიდი, ვიდრე მისი ლოიალობა იყო საკუთარი რასისადმი. ხოდა, როცა დაინახა ლუდასი, ცარიელი რომ შემოდოდა უკანა კარით საჯინიბოში, სწორედ იმ წუთას კი ბ-ნი ბელოტი წინ კარიდან გადოდა და უფროსად იქ ბუნი რჩებოდა, ჯონს აღარც დაუგდია ყური, თუ რას წამოროშავდა ლუდასი, უკანვე დაბრუნდა, დერეფანი გაიარა, ეზოში გავიდა, ჩიხის ბოლოს მიაშურა. ფურგონის გვერდით დადგა თუ არა, ლუდასიც მოვიდა. ფურგონში ერთი ტომარა ფევილი, ერთგალონიანი ბოცა ნავთი და (ჯონის თქმით) ერთი ტოპრაკი ხუთცენტიანი პიტნის საწუნნი კანფეტები იდო. დაახლოებით ასე იყო ეს ამბავი, დაახლოებით იმითომ, რომ ვერავინ ვერ შეედავებოდა, ვერც ბუნი, ვერც ბ-ნი ბელოტი და ვერც მამა, რადგანაც კანონი იყო ჯონის სიტყვა ამ საჯინიბოში რომელიმე ცხენის თუ ჯორის თაობაზე, თუმცა სადმე სხვაგან კი ჩვეულებრივი დაქირავებული მუშა გახლდათ მორი პრისტის საჯინიბოსი, რაც მან და ლუდასმა კარგად იცოდნენ. შეიძლება სულაც ლუდასს შეეხსენებინა ჯონისთვის ეს ამბავი, მაგრამ არა მგონია, რადგან ლუდასს მხოლოდ ამისი თქმაღა ევალეობდა: „თუკი მორი პრისტი ყურს მოკრავს, რომ ფურგონი და აღკაზმულობა ვითხოვე, შეიძლება იმასაც მოკრას ყური, რა გაქვს ჩაკერებული, რა დაგაქვს მაგ ქურთუკის ქვეშ“.

თუმცა არა მგონია იმას ასე ეთქვას, რადგან მან და ჯონმა ისევე იცოდნენ ეს, როგორც ის ამბავი, რომ თუკი ლუდასი ვარაუდობდა, ჯონი მამას შეატყობინებდა იმას, რასაც ლუდასი ეძახდა „ნათხოვარ“ ფურგონსა და აღჭურვილობას, მამა ამას ყურს არც კი დაუგდებდა, და თუკი ჯონი იფიქრებდა, რომ ლუდასი (ან სხვა რომელიმე ზანგი საჯინიბოში და გინდაც ჯეფერსონში) ეტყოდა მამას იმ პისტოლეტის შესახებ, მამა არც ამას დაუგდებდა ყურს. ხოდა, ლუდასს სულაც არაფერი ექნებოდა ნათქვამი, ხოლო ჯონს კი მხოლოდ ეს უთქვამს: „კარგი. მაგრამ იცოდე, ყველა

ის ჯორი უკან საჯინიბოში უნდა დააბრუნო, არც ოფლის ნატამალი და-
ეცყოთ და არც მათრახის ნაკვალევი, ისე უნდა იყვნენ, თითქოსდა ახალ-
გამოღვიძებულნი ბაგაში, და ყველაფერი დილამდე, ბ-ნ ბელოტის მოსვლა-
მდე უნდა მოაგვარო“. (შენ ალბათ უკვე შეამჩნიე, რომ არც ერთს არ უხ-
სენებია ბუნი და არც ლუდასს უთქვამს: „ბ-ნმა ბუნმა იცის, ეს ჯორები
რომ არ იქნებიან აქ, ამალამ კი უფროსი ისაა, სანამ დილით ბ-ნი ბელოტი
მოვიდოდეს“. არც ჯონს უთქვამს ასე: „შენს ნაამბობს ვინც დაიჯერებს
ამ ჯორების შესახებ, ამალამ აქ რომ უნდა იყვნენ და არ არიან, რა ჭკუა
უნდა მოეკითხოს. და ბუნ ჰოგანბეკსაც თავი დაანებე იცოდე, თორემ ბ-ნი
მორი იმასაც გაიგებს, რომ აღკაზმულობა და ფურგონი ამალამ აქ არ იყო
და იმასაც, თუ სად იყო“.

მაგრამ ჯონს ასე არ უთქვამს. და თუმცა ჯორები უკვე ბაგაში იდგ-
ნენ გათენებამდე ერთი საათით ადრე, თხუთმეტი წუთის მერე, როცა დი-
ლის ექვს საათზე ბ-ნი ბელოტი საჯინიბოში მოვიდა, ლუდასს დაუძახა და
განუცხადა, დათხოვნილი ხარო. ლუდასმა თქვა, ბ-ნმა ბუნმა იცოდა, რომ
ჩემი ფურგონი აქ არ იყო, თავად გამგზავნა ერთი დოქი ვისკის საყიდლად,
დილის ოთხი საათი იქნებოდა, რომ მოფუტანეო.

— არსადაც არ გამიგზავნია, — მიუგო ბუნმა, — როდესაც წუხელ
მოეთრა და დაიწყო რომეზა, ჯორები ბატონი მორის ეზოშიაო, ყური არც და-
მიგდია, ისიც არ მიკითხავს, სად ჰყავდა ფურგონი და ჯორები წუხელ,
ესლა ვუთხარი, დილით აქ ვიქნები და უკან რომ დაბრუნდები, მაიკ უინ-
ბუშისას გამოიარე და ბიძია კელ ბუკრაიტის გამოხდილი ერთი გალონი
ვისკი წამომიღე-მეთქი. ფულიც მივეცი — ორი დოლარი.

— ნერედა ხომ მოგიტანე ვისკი, — უთხრა ლუდასმა, — არც კი ვი-
ცი, რა უკავი.

— ნახევარი დოქი წუმპე მომიტანე, წყალში გახსნილი ნაცარი და პი-
ლპილი — თქვა ბუნმა, — მე არ ვიცი, რას იტყვის ბატონი მორი, სად გყავდა
ჯორი? მთელი ღამე, მაგრამ კელვინ ბუკრაიტი კი კარგ დღეს არ დაგაყ-
რის, როდესაც ამ შენს მოტანილ ვისკის გავასინჯებ და ვეიტყვი, შენი გა-
მოხდილიაო, ასე ამბობს-მეთქი.

— ბ-ნ უინბუშამდე ბარემ რვა მილი იქნება ქალაქიდან, — მიუგო ლუ-
დასმა, — შუალამით თუ მივიდოდი იქ... — და მყის გაისუსა.

— აი თურმე რად გინდოდა ფურგონი, — უთხრა ბუნმა, — ჯეფერ-
სონში ველარ დათარეშობ და ახლა ქალაქგარეთ დაძრწიხარ, იქნებ შესაძ-
რომი ნახო სადმე უკანა ფანჯრიდან. თუმცა ახლა კი გექნება ბევრი დრო,
ესაა ცოტა შეწუხდები, რადგან ფეხით მოგიწევს ძუნძული...

— შენ მითხარი ერთი დოქი ვისკიო, — პირქუშად მიუგო ლუდასმა, —
ხოდა, მეც მოგიტანე ერთი დოქი...

— ნახევარიც კი არ იყო იმაში, — უთხრა ბუნმა. მერე კი ბ-ნ ბელოტს
მიუბრუნდა: — ერთი კვირის ხელფასსაც არ მივცემდი ამ უდღეურს (არ
დაგავინყდეს, მედროგეთა ხელფასი სულ ორი დოლარი იყო 1905 წელს),
სწორედ ამდენი მართებს ჩემი იმას იმ ვისკიში, რაღას უცდი? ბატონ მორის
ხომ არა, თავად რომ გააპანლუროს?

ბ-ნ ბელოტსა (და მამასაც) ნამდვილად რომ ნდომებოდათ ლუდასის
გაძევება, ერთი კვირის ხელფასს როგორ არ მისცემდნენ. ხოდა, არაფერი
მიუციათ (ლუდასმაც ეს იცოდა), მხოლოდ ერთი კვირის ხელფასი დაუქვი-

თეს (კვირაღლის ჩათვლით), რაკი უნებართვოდ სადღაც ჰყავდა ჯორები მთელი ღამე; ხოდა, ლუდასიც სხვა მედროგეებთან ერთად შემდგომ ორ-შაბათს მოვიდოდა და ჯონ პაუელსაც მზად ეყოლებოდა მისი ჯორები, ვითომცდა არც არაფერი მომხდარიყო, მაგრამ ბედი არ გინდა, წავიდა ქორები, მითქმა-მოთქმა, ხალხს პირს ვინ აუკერავს.

ხოდა, მამა, ლასტერი და მე მოსახვევით მოედნისკენ გავიქცეთ. მეც თავქუდმოგლეჯილი მივრბოდი და მაინც დავაგვიანეთ. მოსახვევი არც გვექონდა გავლილი, რომ სროლის ხმა გავიგონეთ, ხუთჯერ დასჭექა, ბახ! ბახ! ბახ!, ბახ! ბახ! ასე იყო მგონი, და როცა გავცვივდით მოედანზე (სულ ახლოს იყო, სწორედ ბიძია აიკ მაკ-კასლინის რკინა-კავეულის დუქნის პირდაპირ), ვხედავთ, აუარება ხალხია, თითქოსდა ბუნს ბევრი მოწმე სჭირდებოდა. ყოველი თვის პირველი შაბათი სავაჭრო დღე იყო მუდამ, მაისიც რომ ყოფილიყო, როდესაც ყურის მოსაფხანადაც არავის სცალია, თუმცა იოკნაპატოფას ოლქზე ამას ვერ იტყვოდი. ყველანი აქ შეყრილიყვნენ, შავებიც და თეთრებიც. ხოდა, ერთნი გარშემოხვეოდნენ ბ-ნ ჰემპტონს (ბაბუას პატარა ჰებისა, ვინც ახლათ შერიფი თუ შემდგომ წელიწადს უნდა იყოს) და კიდევ ვიღაც ორ თუ სამ ბუზიყლაპიას, რომლებიც ბუნს შესჭიდებოდნენ, სხვანი კი შერიფის თანაშემწეს ეშველებოდნენ, ოცდახუთი ფუტის იქით ლუდასს რომ აკავებდა, თითქოსდა გაქცეულები უცებ ერთ ადგილზე გაშეშებულიყვნენ, ანუ ფეხანეულები გარინდებულებიყვნენ თუ როგორც იყო. სხვანი კიდევ შეჯგუფულიყვნენ ბიძია აიკის დუქნის სარკმელთან, ბუნის ერთ ტყვიას რომ ჩაელენა (დანარჩენი ოთხის ნაკვალევი ვერსად ნახეს). ეს მერე, მანამდე კი ზანგის გოგოსთვის დუნდულს გაეკანრა და ისიც ქვაფენილზე დაგორებული ჭყვიროდა, სანამ ბიძია აიკი არ გამოვარდა დუქნიდან ღრიალ-ღრიალით, ბუნზე გააფთრებული სარკმლის გულისთვის კი არა (ბიძია აიკი მაშინ ჯველი იყო, ტყის საუკეთესო მცოდნე და მონადირე ამ ოლქში), ოცდახუთ ფუტზე მიზანს როგორ ააცილეო.

ამ ამბის გაგრძელებას არ დაუხანებია. ექიმ პიბოდის კაბინეტი ქუჩის იქით იყო, კრისტიანის აფთიაქის თავზე; ყველაზე წინ კიბეზე ბ-ნი ჰემპტონი ავიდა ჯონ პაუელის პისტოლეტით ხელში, ლასტერსა და ვიღაცა ზანგს გოგო მოჰყავდათ, დასაკლავი გოჭივით რომ ჭყვიროდა, ბუნი მამაჩემს მისდევდა, მერე მე და შერიფის თანაშემწე ლუდასთან ერთად, ჩვენს უკან კი იმდენი ხალხი მოდიოდა, ვიდრე ბ-ნმა ჰემპტონმა არ შეაჩერა ისინი და არ დაუღრიალა. მოსამართლე სტივენსის კანტორა იმავე სართულზე იყო, ოღონდ ექიმ პიბოდის სახლის მეორე მხარეს. ჩვენ რომ ავდიოდით, მოსამართლე კიბის თავზე გამოსულიყო და ჩამოგვყურებდა. ხოდა, ჩვენ, მამა, მე, ბუნი, ლუდასი და შერიფის თანაშემწე მასთან შევედით, ვინემ ბ-ნი ჰემპტონი ექიმ პიბოდის კაბინეტიდან გამოვიდოდა. მას არ დაუგვიანებია.

— ყველაფერი კარგადაა, — თქვა ბ-ნმა ჰემპტონმა, — ნაკანრილა დაეტყო. ბუნი ახალ კაბას უყიდის (კაბის ქვეშ თურმე არაფერი ეცვა) და კანფეტებს, მამამისს ათ დოლარს მისცემს, მეტი ხარჯი აღარც დასჭირდება. ჩემთან კი როგორ მოაგვარებს საქმეს, ჯერ ვერ გადამიწყვეტია. — და აქოშინებული წამით შეაჩერდა ბუნს. ტანვეება კაცი იყო, პანანინა ნაცრისფერთვალეებიანი, თუმცა ბუნი მაინც სჯაბნიდა სიმაღლეში. რას იტყვიო, ჩაეკითხა იგი ბუნს.

— შეურაცხყოფა მომაყენა, — მიუგო ბუნმა, — ასე უთხრა სან ტომასს ჩემზე, ეს ვირიშვილი ნაბიჭვარიო.

ბ-ნმა ჰემპტონმა ახლა ლუდასს შეხედა, შენ რას იტყვიო.

— მე ვირიშვილი არ მითქვამს, — მიუგო ლუდასმა, — მე ვთქვი, ჯორიშვილი-თქო.

— რაო? — მიაძახა ბუნმა.

— კიდევ უარესი, — თქვა მოსამართლე სტივენსმა.

— დიახაც უფრო უარესი, — შეჰყვირა ბუნმა, — ხომ გესმით ხოდა, რა უნდა მექნა მე, თეთრ კაცს, უნდა ვმდგარიყავი იქ და ამ შავდრუნჩა ჯორიშვილისგან ასეთები და ისეთები მომესმინა, ხუთი კაცის თვალწინ, შე ჭკუასაპყაროო, დამიძახა! ძალიანაც რომ მოინდომო, ამდენ შეურაცხყოფას როგორ ჩაყლაპავ, ამას არაფრით არ შევარჩენ, იცოდეთ. — თითქმის ტიროდა ბუნი, დიდი გონჯი წითელი სახე ბავშვივით დაპრანჭოდა. — კიდევ ერთხელ რომ ვიშოვნო პისტოლეტი და ვესროლო ლუდასს, ისევ ავაცილებ, ვიცი.

მამა სწრაფად და ცქვიტად წამოდგა. მხოლოდ ის ერთი იჯდა, მოსამართლე სტივენსიც კი ფეხებგაბოძიძგებული იდგა ცივი ბუხრის წინ, ხელები სერთუკის კალთების ქვეშ ამოედო, თითქოსდა ზამთარი იყო და გაჩაღებული ბუხრის წინ იდგა.

— სამუშაოს არ უნდა მოცდნენ, — თქვა მამამ, — რა ჩემი ბრალია ვილაცას თუ ხელები ექავება? — მერე ისე დასძინა, არავისთვის არ მიუმართავს, — მინდა რომ ორივე; ბუნიცა და ეს ჯველიც თავდებით გამოუშვან იმ პირობით, რომ წყნარად იქნებიან, ასი დოლარი საკმარისი იქნება თითოეულისთვის. მე დავდებ ამ თანხას. მხოლოდ ორივემ კი უნდა მოგვცეს პირობა, მაშინვე დამიბრუნონ ეს ფული, თუკი ერთ-ერთი ისეთ რამეს დააშავებს, მე რომ...

— არ მოგეწონებათ, — თქვა მოსამართლე სტივენსმა.

— დიდად დავალებული ვარ თქვენგან, — მიუგო მამამ, — როგორც კი რომელიმე მათთაგანი დაარღვევს მშვიდობას, თუმცა არ ვიცი, არის კი რამე კანონი ამის შესახებ.

— მეც არ ვიცი, — უთხრა მოსამართლე სტივენსმა, — ვნახოთ და თუკი ასეთი კანონი არ არის, უნდა შეიქნას.

— დიდად დავალებული ვარ თქვენგან, — თქვა მამამ. ჩვენ — მამამ, ბუნმა და მე კარისკენ გავსწიეთ.

— შემიძლია სამუშაოზე ახლავე დავბრუნდე, ორშაბათს აღარ დავუცდი, — განაცხადა ლუდასმა, — თუკი გჭირდებით.

— არა, — უთხრა მამამ. ჩვენ — მამა, მე და ბუნი კიბეს ჩამოყვევით და ქუჩაში გამოვედით. ჯერ კიდევ პირველი შაბათი იყო და ჩვეულებრივი სავაჭრო დღე, როგორც ყოველთვის, სანამ სხვა რომელიმე ბუნ ჰოგანბეკი არ იშოვნოდა სხვა პისტოლეტს. ქუჩა გამოვიარეთ, ისევ საჯინიბოსკენ წავედით. სწორედ მაშინ წარმოთქვა ბუნმა ჩემს თავს ზემოდან, მამის კეფის შემყურემ, ეს სიტყვები:

— თუკი კვირაში დოლარს ვიანგარიშებთ, ორასი დოლარი გამოდის წელიწადსა და ორმოცდარვა კვირაში. კიდევ აიკის სარკმელი — ეს ათი, თხუთმეტი დოლარი, ის გოგო არ უნდა დაგვავიწყდეს. გამოდის ორი წელიწადი და სამი თვე. დაახლოებით ორმოცი დოლარი ფული მაქვს. თუნდაც ვალის ანგარიშში დაგიბრუნოთ, არა მგონია თანახმა იყოთ, მე, ლუ-

დასი და სან ტომასი ცარიელ ბაგაში დაგვამწყვდიოთ ერთი ათი წუთით, ხომ ასეა?

— კი, ასეა, — მამამ მიუგო.

2



ქართული
ბიბლიოთეკა

ეს მოხდა შაბათს. ორშაბათ დილით ლუდასი ისევ გამოვიდა სამუშაოდ. შემდგომ პარასკევს კი ჩემი მეორე ბაბუა, დედაჩემის მამა, შენი დიდი პაპა გარდაიცვალა ბეი-სენტ-ლუისში.

მართალი თუ გნებავთ, ბუნი არც გვეკუთვნოდა ჩვენ. მხოლოდ ჩვენ, პრისტებს-მეთქი, უფრო სწორად, მაკ-კასლინებს და ედმონდებს-მეთქი, რომელთა უმცროსი განშტოება ჩვენ, პრისტები ვართ. სამთა საკუთრება გახლდათ ბუნი: არა მარტო ჩვენი, ბაბუას, მამისა და ჩვენი ბიძაშვილის, აიკ მაკ-კასლინის და კიდევ ერთი ბიძაშვილის, ზაქარია ედმონდისა, რომლის მამასაც, მაკ-კასლინ ედმონდსს ბიძია აიკმა დაბადების დღეზე (21 წელი შეუსრულდა მაშინ) მაკ-კასლინების პლანტაცია მიუბოძა — ის ეკუთვნოდა აგრეთვე მაიორ დე სპეინს და გენერალ კომპსონსაც, სანამ იგი ცოცხალი იყო. ბუნი კორპორაციას წარმოადგენდა, ხოლო ჩვენ სამნი, მაკ-კასლინები, დე სპეინი და გენერალი კომპსონი თანაბრად ვზიდავდით რაღაც გაურკვეველ მის წილ პასუხისმგებლობას. ამ კორპორაციის წესდების პირველი და უკანასკნელი მუხლის შესაბამისად, ყოველს, ვინც კი ადგილზე აღმოჩნდებოდა გასაჭირის ჟამს, იმ წუთსვე უნდა ეყორალა და მოეგვარებინა ის საქმე, ბუნის წყალობით, მისი მონაწილეობით თუ მისი იქ ყოფნით რომ იყო გაფუჭებული. ის (ბუნი) იყო სამეურვეო და საქველმოქმედო საზოგადოება, სადაც მთელი კრედიტი მას რჩებოდა, ხოლო სამეურვეო და საქველმოქმედო საქმიანობა ჩვენს ზურგზე გადადიოდა.

მისი ბებია ჩიკასოს ტომიდან იყო და ისეტიბეჰას დროს ცოლად გაყოლოდა თეთრ ვისკის ვაჭარს. იმისდა კვალად, თუ რამდენი ჭიქა ჰქონდა მირთმეული, ბუნი გაიძახოდა, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით ჩიკასოელი ვარ, მეფეთა ჩამომავალი ბებერი ისეტიბეჰას მხრიდანო, ხან კი ცოფები მოერეოდა, თუკი ვინმე გაბუდავდა და ეტყოდა, შენს ძარღვებში ერთი წვეთი სისხლი მაინც სჩქეფს ინდიელისო.

ჯიუტი იყო და ამავე დროს ერთგული, მამაცი და ყოვლად არასანდო; ექვსი ფუტის და ოთხი დუიმის სიმაღლისა ორას ორმოც ფუნტს იწონიდა, ჭკუა კი ბავშვისა ჰქონდა. ამ ერთი წლის წინ მამა უკვე ამბობდა, კიდევ ცოტაც და შენ იმაზე უფრო მონიფული გახდებიო.

კაცმა რომ თქვას, თუმცა კი ბიოლოგიურად ნორმალური, სისხლითა და ხორციით სავსე არსება იყო (თუნდაც ის, რომ, როცა ნაყლაპი გახლდათ, ხელები ექავებოდა სცემოდა არა ერთს და ორს იმ თავისი წარმომავლობის გამო ან თანხმობის თუ საპირისპიროს თქმისას იმისდა მიხედვით, რა ფეხზე ამდგარს მიერთმია დასალევი) და, მაშასადამე, სადღაც უნდა არსებულიყო პირველი ცხრა, ათი თუ თერთმეტი წელი, მაგრამ ისე კი ჩანდა, თითქოსდა ბუნი სწორედ ასეთი იშვა უკვე ცხრა, ათი ან თერთმეტი წლისა და სამნი იყვნენ მისი მშობელნი: მაკ-კასლინები—დე სპეინი კომპსონი, რათა გადაეჭრა ის პრობლემა, მაიორ დე სპეინის სანადირო ბანაკში რომ წარმოიქმნა.

დიახ, სწორედ ამ ბანაკში, რომელსაც შეიძლება თქვენ მაკ-კასლინთა

ბანაკი დაუძახოთ ბიძია აიკის სიკვდილის რამდენიმე წლის მერეც, ხოლო ჩვენ — თქვენი მამები — დე სპეინის ბანაკს ვეძახდით მაიორ დე სპეინის რამდენიმე წლის სიკვდილის შემდგომაც. მაგრამ ჩვენი მამების დროს, როდესაც მაიორმა დე სპეინმა იყიდა, ხელთ ჩაიგდო, თუ იჯარით აიღო ის მიწა (ან როგორც ახერხებდნენ იმხანად — 1865-1870 წლებში — მისისიპის შტატში მამულის შეძენას), ააგო სახლი, საჯდნობელი ოთხკუთხედიანი და ბანაკი მოაწყო, მისი საკუთრება რომ იყო მაშინ, სადაც თავად მოუხმობდა იმით, ვინც გულზე ეხატებოდა და თავადვე ურჩევდა, თუ რაზე ენადირათ. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო მათ ეხატრონებოდა, ვინც სანადიროდ ჰყავდა მოწვეული, მისი იყო ის არემიდამოცა და ის დათვები, ირმები, მგლები თუ ჯიქები, რომლებსაც ჯეფერსონთან სულ ახლოს, ოციოდე მილზე წააწყდებოდით. ეს უსიერი ტყე მდინარის განტოტებას კარგა შორს მიყვებოდა და კარგა დიდი ნაწილი იყო ბებერი ტომას სატპენის საოცნებო მეფური მიწაწყლისა, ასე რომ შეიმუსრა და უფრო მეტიც, თავად სატპენსაც მოულო ბოლო. იმ დროს ეს ადგილი იყო დასავლეთის ერთგვარი კარიბჭე, სწორედ აქედან, დაბებიდან და მისისიპის გაყოლებული პლანტაციებიდან იწყებოდა თითქმის ხელუხლებელი ლელიანები და უღრანი ტყეები.

მხოლოდ ოცი მილი იყო იქამდე სავალი იმხანად. ჩვენი მამა-პაპანი ღამით გადიოდნენ ჯეფერსონიდან საზიდრებითა და ფურგონებით ასე თხუთმეტ ნომბერს (ცხენზე ამხედრებული უფრო სწრაფადაც მიაღწევდა), გათენებისას კი უკვე ირმებსა და დათვებზე სანადირო ადგილებში იყვნენ. 1905 წელსაც ეს უდაბური ადგილები მხოლოდ ოცი მილით უკუიქცა; ჯერ კიდევ დაღამებამდე გაუდგებოდნენ ხოლმე გზას ფურგონები, რომლებითაც თოფები, სასმელ-საჭმელი, ქვეშაგები მიჰქონდათ; ჩრდილოეთის სატყეო კომპანიას ვინროლიანდაგიანი რკინიგზა გაეყვანა მორების გადმოსაზიდად, მთავარ გზას უერთდებოდა ეს ხაზი და სულ ახლოს, ერთ მილზე ჩაუვლიდა მაიორ დე სპეინის ბანაკს, მაიორ დე სპეინის ბრძანებით მემანქანე აქ აჩერებდა ორთქლმავალს, სწორედ აქ წამოეწოდათ მათი ჯერ კიდევ წინააღმდეგობით წამოსული ფურგონები. თუმცა 1925 წელს უკვე ვიცოდით, რომ განწირული იყო ყველაფერი. მაიორი დე სპეინი და სხვანი მისი მარაქიდან, გარდა ბიძაშენ აიკისა და ბუნის, უკვე გარდაცვლილები იყვნენ, ხოლო მათი მემკვიდრეები (ჯეფერსონიდან დე სპეინისეულ ბანაკამდე უკვე კარგი გზა იყო გაყვანილი) მიაქანებდნენ თავთავიანთ ავტომობილებს ცულების კაკუნსა და ხერხების ხრიალ-ღრჭიალში სწორედ იმ ადგილებში, სადაც ამ ერთი წლის წინ მხოლოდ კვალში ჩამდგარ ძაღლების ყეფასა თუ გაიგონებდით. რადგანაც ბანკირი გახლდათ მანფრედ დე სპეინი და არა მონადირე მამამისივით, მან გაყიდა განმედილი მიწის ნაკვეთები, ტყეც და უკვე 1940 წელს (მაკ-კასლინის იყო ახლაც ის ბანაკი) ისინი, ანუ ჩვენ-მეთქი, დატვირთული პიკაპებით ორასი მილის იქით ვეძებდით ხელუხლებელ ადგილებს, სადაც კარვების დადგმა შეიძლებოდა; ხოლო 1980 წლისთვის ავტომობილებითაც კი ველარ მიატანთ იმ ხელუხლებელ ადგილებს, რადგან სწორედ ამ ავტომობილების გამო აღარსად იქნება ეს ხელუხლებელი ადგილები. თუმცა კი მათ, ანუ თქვენ-მეთქი შეიძლება მიაგნოთ ხელუხლებელ ადგილებს მარსის ან მთვარის მეორე მხარეს და იქნებ კიდევ წაინადიროთ დათვებსა და ირმებზე.

მაგრამ იმხანად, როდესაც ბუნი ხორცშესხმული მოევილინა იმ ბანაკს

უკვე ათი, თერთმეტი ან თორმეტი წლისა, მაიორი დე სპეინი, გენერალი კომპსონი, მაკ-კასლინ ედმონდსი, უოლტერ იუელი, ბებერი ბობ ლიგეიტი და კიდევ ნახევარი დუჟინი მონადირეებისა მხოლოდ ოცი მილის იქით თუ წავიდოდნენ ქალაქიდან. თუმცაღა გენერალი კომპსონი, ჯერ კიდევ პოლკოვნიკის ჩინით რომ მეთაურობდა წარმატებით თავის რაზმს, მაილოსთან ბრძოლაში, მერე ასევე წარმატებით ბრიგადის გენერალის ჩინით ხელმძღვანელობდა ნაწილს ჯონსტონის არმიის ატლანტიკისკენ დახვევის დროს, ტოპოგრაფიას მაინცდამაინც ვერ სწყალობდა, უკვე ბანაკიდან ათი ნუთის გამოსულს თავგზა აერეოდა ხოლმე (ის ჯორი, რომელზეც ამხედრებული იყო, იმნუთსვე უკანვე დააბრუნებდა, ერთი კი ენიშნებინა, მაგრამ ნურას უკაცრავად, პატიოსანი სიტყვით გამოშვებული სამხრეთელი გენერალი, თანაც კომპსონი, ჯორის რჩევა-დარიგებას როგორ დაიჯერებდა). ასე რომ, დაბრუნდებოდა თუ არა უკანასკნელი მონადირე დილანდელი ნადირობის მერე, რიგ-რიგობით ბუკს დააყვირებდნენ, სანამ გენერალი კომპსონი არ მოვიდოდა. მაგრამ ამაზე არავინ წუხდებოდა, სანამ გენერალ კომპსონს ყურსაც არ დააკლდა. ერთ საღამოს უოლტერ იუელსა და ზანგისა და ჩიკასოს ტომის ინდიელის სისხლნარევ სემ ფატერს მის კვალში ჩადგომა მოუხდათ და მასთან ერთად ტყეში მთელი ღამის გათევაც. მაიორ დე სპეინს არჩევანი უნდა გაეკეთებინა, ან მისთვის კარვიდან ფეხი არ გამოედგმევინებინა ან კლუბიდან დაეთხოვა სულაც, სანამ ბუნ ჰოგანბეკი არ გამოჩნდა, ვინც უკვე ისეთი გოლიათი გამხდარიყო, ათი, თერთმეტი წლის ასაკშიც გენერალ კომპსონისთვის სიმალლეში გაესწრო. ხოდა, სწორედ მას დაავალეს მისი ძიძაობა — ამ უპატრონო ბაღლს, რომელმაც გარდა თავისი სახელისა არაფერი არ უწყოდა; ბიძია აიკმაც კი არ იცოდა, ზუსტად რომელმა, მაკ-კასლინ ედმონდსმა თუ მაიორ დე სპეინმა წამოიყვანა იქიდან ბუნი, სადაც ვილაცას დაეტოვებინა. აიკმა ის იცოდა მხოლოდ, რომ ბუნი თორმეტი წლისა იყო, როდესაც აქ, ბებერ კეროზერს მაკ-კასლინის მამულში გაჩნდა, სადაც მაკ-კასლინ ედმონდსი აიკს მამასავით თავს ევლებოდა და ეშხში შესულმა ბუნსაც გაუწია მამობა, თუმცა თავად მაკ-კასლინ ედმონდსი მხოლოდ ოცდაათისა გახლდათ.

ასე იყო თუ ისე, მაიორ დე სპეინი რომ მიხვდა, გენერალი კომპსონი ან კლუბიდან უნდა დაეთხოვა, რაიც გაუჭირდებოდა, ან ბანაკიდან ფეხის გამოდგმა აეკრძალა, რაიც შეუძლებელი იყო, გენერალი კომპსონი ბუნ ჰოგანბეკის მსგავსი კაციისთვის უნდა მიებარებინა; სწორედ მაშინ გამოჩნდა ბუნ ჰოგანბეკი, ვინც მაკ-კასლინ ედმონდსს მოეყვანა თუ ორივეს ერთად — ედმონდსსა და დე სპეინს, და ასე გადარჩნენ დავიდარაბას. აიკს ახსოვდა: ლეიბებს, თოკებსა და სურსათს ტვირთავდნენ ფურგონებზე 14 ნოემბერს, აქ იყო ტენიების ჯიმიც (ბაბუა ბობო ბიჩემპისა, რომელსაც მერე შეხვდებით), სემ ფაზერსიც და ბუნიც (ის, აიკი, ჯერ კიდევ ხუთი თუ ექვსი წლისა იყო, გაივლის კიდევ ოთხი თუ ხუთი წელი და ათისა რომ გახდება, იმასაც წაიყვანენ), წინ მაკ-კასლინი მიდის ცხენზე ამხედრებული სწორედ იმ ბანაკისკენ, სადაც ახლა ყოველ დილას ბუნს გამოჰყავს გენერალი კომპსონი, თავად ჯორზე შემჯდარს, და შეიძლება მის აღვირსაც ექაჩება, რადგან თორმეტი წლისაა უკვე და ტანით ბევრად უფრო დიდიც იმ ბერიკაცზე, რომელიც როგორმე დაღამებამდე ბანაკში უნდა დააბრუნოს.

გენერალმა ასე მიაჩვია ბუნი ტყეს, ასე ვთქვათ, თავისდა უნებურად და თავისდა დასაცავად. თუმცა უოლტერ იუელთან ჭამდა, სვამდა და ტყეში დაეხეტებოდა, იძინებდა იქ, სადაც ორივეს ერთად წვიმა დასდობდათ თავზე, მაინც ვერა და ვერ ისწავლა მიზანში სროლა. დიდი მოწონება ჰქონდა უოლტერ იუელის მონათხრობს, თუ როგორ უჩვენა მან ბუნს, სად უნდა გაჩერებულიყო (თავის მამა-პაპას მისწეოდა, როგორც ვინმე გენერალ კომპსონი, ანუ მისულიყო იმ სადგომს, სადაც ან უკვე კარგა ხნის დამთავრებული ომის გადამღრძვალ ჯარისკაცებს, ლურჯებსა თუ რუხებს, ერთი სული ჰქონდათ როდის მოხვდებოდნენ, სხვა ადგილი ასე თუ ისე დასაბანაკებლად სწორედაც არ მოეწონებოდათ. ხოდა, ახლა ბუნიც სხვებთან ერთადაც დადიოდა სანადიროდ), როგორ გაიგონა ძაღლების ყეფა და მიხვდა, ირემი სწორედ ბუნის წინ უნდა გამოვარდნილიყო, მერე როგორ მოესმა გასროლის ხმა, ხუთჯერ როგორ დაიჭეჯა ბუნის თოფმა (გენერალ კომპსონს უანდერძებია ეს თოფი, რომელიც დიდი ვერაფერი იყო ჯერ კიდევ კომპსონის დროს; და რას ვიფიქრებდი, თქვა უოლტერმა, ორჯერ ზედიზედ რომ დასცხებდა, მით უმეტეს ხუთჯერო!), როგორ მოესმა ბუნის ღრიალიც ტყის მხრიდან: „ჯანდაბა! მიდის! მიდის! მიდის!“ როგორ მიიჭრა ის — უოლტერი — ბუნთან, დაინახა მიწაზე დაგდებული ხუთი გასროლილი მასრა და აქვე, ათ ნაბიჯზე, ირმის ნაკვალევი, რომელსაც ერთი ტყვიაც არ გაკარებოდა.

მერე ბაბუამ ეს მანქანა იყიდა და ბუნმა თავისი გულისსწორი ნახა. იმხანად ის უკვე მამასთან მუშაობდა საჯინიბოში მაკ-კასლინ-ედმონდს-პრისტის თანხმობით. უკვე მაკ-კასლინ ედმონდსმაც აიღო მასზე ხელი, რადგან ბუნი უკვე მეორედ დარჩენილიყო მესამე კლასში ან შეიძლება მაკ-კასლინი, როგორც იქნა, მიხვდა, ბუნი ვერ მოძებნიდა ისეთ ფერმას, სადაც იმდენ ხანს შეძლებდა დარჩენას, რომ ფერმერობა ესწავლა. საჯინიბოში პირველ ხანებში იმას აკეთებდა, რასაც წააწყდებოდა, აჭმევდა საქონელს, წმენდდა აღკაზმულობას, რეცხავდა ეტლებს, მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, ცხენებსა და ჯორებში კარგად ერკვეოდა და მალე მედროგეოზას მიჰყო ხელი, დაჰყავდა საზიდრები და ფურგონები, ხვდებოდა დღის მატარებლებს, ჯდებოდა ორთვალეებსა და ეტლებზეც და სავაჭრო სახლების წარმომადგენლები მთელი ოლქის დუქნებში დაჰყავდა. ახლა მას ქალაქში უხდებოდა ცხოვრება, და როდესაც მაკ-კასლინი და ზაქარია ღამე სახლში არ იმყოფებოდნენ, მაშინ ბუნი მათსას იძინებდა, რათა ქალებსა და ბაღებს არ შეშინებოდათ. ერთი სიტყვით, ჯეფერსონში ცხოვრობდა, ანუ იქ ჰქონდა ბინა, ერთი ოთახი იმ სასტუმროში, რომელსაც ბაბუაჩემის დროს კომერციულ ოტელს ეძახდნენ და იმ იმედით გაეხსნათ, როგორმე პოლსტონ ჰაუზისთვის ეჯობნათ, რაც ვერა და ვერ მოახერხეს. თუმცა არც ისე მოცარვიათ ხელი: სასამართლოს სესიების დღეებში იქ რჩებოდნენ დასაძინებლად და საჭმელად ჟიურის წევრები და ის ფერმერებიც, რომელთა საქმეც უნდა გაერჩიათ. ცხენ-ჯორების ვაჭრებიც იქ უფრო კარგად გრძნობდნენ თავს, ვიდრე ნოხებსა, ბრინჯაოს საფურთხებლებსა ტყავის სავარძლებსა და ტილოს სუფრაგადაფარებულ მაგიდებს შორის ქალაქის მეორე მხარეს; მერე კი, უკვე ჩემს დროს, „სნოუპსის სასტუმრო“ შეარქვეს, როგორც გვამცნობდა ხელით გამოყვანილი წარწერა, სწორედ იმხანად იყო, რომ ბ-ნმა ფლემ სნოუპსმა (ბანკირმა, რომელიც ამ ათი თუ თორმეტი წლის წინ მოკლა მისმა შერეკილმა ნათესავმა, ვისაც, შეიძლება,

ბოლომდე არც სჯეროდა, სწორედ ამ ჩემმა ბიძაშვილმა დააჭერინაო ჩემი თავი, და მხოლოდ იმაზე ყოფილა გამწარებული, როგორ არ დამიხსნა შრომა-გამასწორებელი ბანაკიდან ან არ სცადაო მაინც) დაიწყო თავისი მოდგმის გამოყვანა ფრანგისხვევის მივარდნილი ადგილებიდან და ქალაქში მათი დასახლება; მერე კი სულ ცოტა ხნით, 1934-1936 წლებში, ეს სასტუმრო ხელში ჩაუვარდა ვიღაც უღალთმიან ქალბატონს, რომელიც მამაშენისა და პოლიციისთვის „ჩიკაგოელი პატარა გოგოს“ სახელით იყო ცნობილი; შენთვის კი ეს სახლი, ანუ ის, რაც დარჩა იმ ძველი დიდებისაგან, ქ-ნ რაუნსველის პანსიონია. მაგრამ ბუნის დროს ის ჯერ კიდევ კომერციული ოტელი იყო და, თუ ბუნს არ უხდებოდა კომპსონის, ედმონდის ან პრისტის სამზარეულოში იატაკზე დაძინება, მაშინ იქ მიდიოდა. ხოდა, სწორედ იმხანად იყიდა ბაბუამ მანქანა.

ბაბუას სულაც არ უნდოდა მანქანის ყიდვა, მაგრამ იძულებული იყო და რა ექნა; როგორც ბანკირს — პრეზიდენტს უძველესი ბანკისა ჯეფერსონში — იოკნაპატოფას ოლქში ეს იყო პირველი ბანკი. — იმთავითვე და სიკვდილამდეც ისე სჯეროდა, — თუმცა კი სხვა იოკნაპატოფელები უკვე კარგა ხანია მიხვდნენ, რომ ავტომობილი სულ მუდამ იარსებებდა, მოტორიანი ეტლი წარმავალი ფენომენია ვითარცა ღამე გამომტყვრალი სოკო, რომელიც ქრება მზის პირველი სხივების გამოჩენისთანავე. მაგრამ პოლკოვნიკმა სარტორისმა, პრეზიდენტმა სულ ახლახან დაარსებული ყოველდღიურად მზარდი სავაჭრო და საფერმერო ბანკისა, აიძულა მისი ყიდვა. უფრო სწორად, ამის მიზეზი გახდა ერთი მექანიკოსი, რომელიც ასევე წარმავალი ფენომენი გამოდგა, კაცი სიზმარეული, ცისფერთვალა და ბეცი, კარგი ოსტატი, სახელად ბუფალო. რადგანაც ბაბუას მანქანა სულაც არ იყო ჯეფერსონში პირველი (მე აქ არ მინდა ვახსენო მანფრედ დე სპეინის წითელი ფერის სარბოლო მანქანა. თუმცა დე სპეინს უკვე რამდენიმე წელია რაც ეყიდა და ყოველდღე დააქროლებდა ჯეფერსონში. დიდი ვერაფერი იყო მისი პატრონივით ზნეკეთილ მოქალაქეთათვის, ორივე გამოუსწორებელი მარტოსული, ორივე გამოუსადეგარი, როგორც გაუთავებელი შაბათი საღამო. თუმცა მანფრედი იმხანად მერი გახლდათ. ისე რომ ის წითელი მანქანა არა მარტო აგდებით უყურებდა ქალაქს — უბრალოდ მისთვის ქალაქი არც არსებობდა).

ბაბუას მანქანა არ იყო პირველი, რომელმაც ჯეფერსონი ნახა და პირიქით. ის პირველიც არ იყო, ჯეფერსონში რომ დარჩა. ორი წლის წინ ერთი უკვე ჩამოსულიყო მემფისიდან, სამი დღეც არ დასჭირდა ოთხმოცი მილის გამოვლას. წვიმა დაიწყო და ორი კვირა მოუხდა ჯეფერსონში გაჩერება, თბილისის მთელი ეს ხანი უშუქოდ ვიყავით და არც საქალაქო ტრანსპორტი გვექნებოდა, მარტო ბუნზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული მისი მუშაობა. რადგან ბ-ნი ბუფალო ის ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც ჯეფერსონიდან მემფისამდე იცოდა ორთქლის ელექტროსადგურის გამართვა; და იმ წუთიდანვე, როდესაც ცნობილი გახდა, ავტომობილი ხვალამდე მაინც ვერსად ვერ წავიდოდა, ბ-ნი ბუფალო და ბუნი გვერდიდან არ მოცილებიან ჩრდილებივით. ერთი დიდი და ერთი პატარა — ერთი გოლიათი, ამიაკისა და კუპრის სუნით აყროლებული აყლაყუდა და მეორე ტანმომცრო, ზეთითა და ჭვარტლით გაზინზლული კაცი, რომელსაც ისე მოუჩანდა თვალები, როგორც ცისფერი, ჩიტის ორი ფრთა ნახშირის ნატეხში ჩარჭობილი, და რომელსაც ჯიბით დაჰქონდა

მთელი თავისი (და მუნიციპალურისაც) ხელსაწყოები, ას დოლარსაც რომ არავინ გაიღებდა მათში; ერთი გარინდებული დაბმული ხარივით სევდით უმზერდა ავტომობილს, მეორე სიზმარეული ქალივით ეფერებოდა ჭუჭყიანი ხელებით, მერე კი უეცრად წელამდე ჩაყვინთავდა ხოლმე ანუული კაპოტის ქვეშ.

უჩინებელი

მთელი ღამე გაუთავებლივ წვიმდა და დილამდე ბრტყაჩქერებულა. მანქანის პატრონს ვილაცამ უთხრა და დაარწმუნა, როგორც ჩანს, ბ-ნმა ბუფალომ, რაც უცნაური იყო, რადგან არავის უნახავს ეს კაცი ელექტროსადგურიდან თუ თავისი სახლის ეზოს უკან მოწყობილი პატარა სახელოსნოდან გამოსული — გაუვალი იქნება გზა ერთი კვირით და შეიძლება ათი დღითაცო. ხოდა, ის კაცი მემფისში მატარებლით დაბრუნდა და ავტომობილი საწყობში დატოვა, რომელსაც უფრო გომურს დაუძახებდა ყველა უკანა ეზოში. ისიც საკვირველი იყო, როგორ მოახერხა ბ-ნმა ბუფალომ, ამ გულჩვილმა, დამყოლმა, თითქმის ენაბლუ კაცმა, რომლის გაპოხილ-გაზინზლულ სამოსელს რაღაც არამინიერი სიზმარეული სომნამბულიზმის არილი გადასდიოდა, როგორ, რა ხერხითა და საშუალებით, რა მესმერულ-ჰიპნოზური ძალით შესძლო, რისი არსებობის შესახებ თავადაც არაფერი უწყობდა, იმ სრულიად უცხო კაცის დარწმუნება, რომ ეს თავისი ძვირფასი სათამაშო ბ-ნ ბუფალოსთვის დაეტოვებინა.

ხოდა, დაუტოვა და თავად მემფისს დაბრუნდა, ისე რომ ახლა, როდესაც სინათლე გამოირთვებოდა ჯეფერსონში, ვინმეს ფეხით ან ცხენით ან ველოსიპედით უნდა გაევილო მთელი ქალაქი, ბ-ნ ბუფალოსთან მისულიყო და დაეძახა. ცოტა ხნის მერე გამოჩნდებოდა ისიც, გონებადაბნეული და სიზმარეული, აუჩქარებლად შემოუვლიდა სახლის კუთხეს და იმ თავისი უკანა ეზოდან გამოვიდოდა. მხოლოდ მესამე დღეს გაიგო მამამ, თუ სად იმყოფებოდა ბუნი, როგორც ჩანს, (და ასეც იყო), იმ დროს, როდესაც საჯინიბოში უნდა ყოფილიყო, მეტი არსად. რადგანაც სწორედ ამ დღეს სასონარკვეთილმა ბუნმა ჰაიპარად გათქვა თავისი საიდუმლო. თურმე ის და ბ-ნი ბუფალო ხელდახელ უნდა სცემოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბ-ნმა ბუფალომ, ამ სრულიად მოულოდნელი და საკვირველი შესაძლებლობის კაცმა გაპოხილი და ჭვარტილიანი, თუმცა კარგად გამართული პისტოლეტი დაუმიზნა.

თავად ბუნი ასე ჰყვებოდა ამას: მან და ბ-ნმა ბუფალომ არა მარტო სრულ თანხმობას მიაღწიეს, იმწამსვე შეითქვენენ, თუ როგორ ჩაეგდოთ ხელში ის ავტომობილი და მისი მფლობელი ქალაქიდან გაეძევებინათ; ხოდა, ბუნმა, რასაკვირველია, გაიფიქრა, რომ ბ-ნ ბუფალოს არ გაუჭირდებოდა მანქანის ტარების საიდუმლოს ჩახვედრა, ღამის სიბნელეში გასხლტებოდნენ და გზებზე ჯირითს მოჰყვებოდნენ. მაგრამ ბუნს თავზარი დაეცა და აღშფოთდა, როდესაც გაიგო, ბ-ნ ბუფალოს მხოლოდ ის ანუხებდა, როგორმე გაეგო ავტომობილის სირბილის საიდუმლო.

— დაამტვრია! — იძახდა ბუნი, — შიგნით რა არისო, და ნანილ-ნანილ დაშალა! ველარასოდეს ველარც ააწყობს!

მაგრამ ბუფალომ ააწყო. ორი კვირის მერე დაბრუნდა მისი მფლობელი, აამუშავა და გააქანა, ის კი იდგა და უმზერდა, ჩუმი, ზეთში მოთხუპნული და სიზმარეული; ერთი წლის მერე კი ბუფალომ საკუთარი ხელით გააკეთა მანქანა, ძრავა და სიჩქარის კოლოფი ჩაუდგა რეზინისბორბლიან ორთვალას; შუადღე იყო, როდესაც ეს აქოთებული მოწყობილობა

ქალაქის მოედანზე გაატარა ნელ-ნელა. დაფეთდნენ პოლკოვნიკ სარტორის-ის წმინდა სისხლის რაშები, მოსწყდნენ და გაჭენდნენ, ხათქახუთქით გაიტაცეს ეტლი და მილენ-მოლენეს კიდევაც, თუმცა კი, საბედნიეროდ, ცარიელი. უკვე მეორე დღეს, სალამოს, მერიამ დაადგინა, რომ იკრძალებოდა ყოველგვარი მექანიკური ძრავიანი ტრანსპორტის ქალაქში მოძრაობა. ხოდა, როგორც პრეზიდენტი უძველესი ბანკისა, ჩემ ბაბუამ უძველესი გახდა ავტომობილი ეყიდა ან დამორჩილებოდა უმცროსი ბანკის პრეზიდენტის ბრძანებას. ხომ გესმის, რას გეუბნები? უმცროს-უფროსობაზე რომ ვამბობ, ქალაქის სოციალურ იერარქიას კი არ ვგულისხმობ, სულაც არა, ისინი ბანკირები, განსწავლული ქურუმები იყვნენ, წილნაყარნი და ნაზიარებნი ყოველგვარ ფინანსურ საიდუმლოს, და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიცოცხლე ბაბუა მტკიცედ უარყოფდა, ვერაფრით ვერ დაეჯერებინა ავტომობილის ხანის დადგომა და იმთავითვე სულსა და გულს უშანთავდა ქვეყნის შემზარავი მომავლის წარმოდგენა, როცა ეკონომიკური აყვავების საფუძველი გახდება მასობრივი გამოშვების უესტისა და რეზინის ორბორბლიანი და ძრავიანი ხუხულა.

ხოდა, ბაბუამ ავტომობილი იყიდა და ბუნის ცისფერ ოცნებასაც ფრთები გამოესხა, მის უხეშ, უზაკველ გულში პირველმა სიყვარულმა ჩაიბუდა. „უინსტონ ფლაერის“ მარკისა იყო პირველი ავტომობილი, ჩვენ რომ შევიძინეთ, უფრო სწორად, ბაბუამ, რომელიც მერე „უაიტ სტიმერით“ შეცვალა, როდესაც ბებიამ ორი წლის შემდეგ საბოლოოდ განაცხადა, ვერ ვიტანო ბენზინის სუნს. იგი წინიდან ხელით იქოქებოდა (თუკი ამ დროს მისი მუხრუჭზე დაყენება არ დაგავინწყდებოდა), შეიძლება ერთი-ორჯერ ლავინის ძვალაც ზედ მიგემტვრიათ; ღამით სიარულისას წინ მიდგმულ ნავთის ლამპებს აანთებდით, წვიმის დროს ხუთი თუ ექვსი კაცის დახმარებით ტენტს გადააფარებდით თავზე და სარკმლებზე ფარდებს ჩამოუშვებდით ათ თხუთმეტ წუთში. ბაბუამ თავის მხრივ ერთი ნავთის ფარანიც დაუმატა, ახალი ცული, ჯალამბარი ეკლიანი მავთულითურთ და ამ მოწყობილობის მქონეთ ქალაქიდან გასვლა და თუნდაც მემფისს ჩასვლა შეგეძლო, — სწორედ ამის შესახებ უნდა გიამბო, თანაც ჩვენ ყველას, ბაბუებს, ბებიებს, მშობლებს, დეიდებს, დეიდაშვილებსა და ბავშვებს სპეციალური სამგზავრო ტანსაცმელი გვექონდა, თავსაკრავები, კეპიანი ქუდეები, დიდრონი სათვალეები, ტყავის თათმანები და გრძელი, სადა, ნიკაპიდან ქუსლებამდე ჩამოშვებული გაურკვეველი ფერის ლაბადები, სამტვერულები რომ ერქვა. მოგვიანებით ამაზეც მინდა გიამბო.

ბ-ნმა ბუფალომ უკვე კარგა ხანია შეასწავლა ბუნს თავისი თვითნაკეთი ავტომობილის ტარება. ჯეფერსონის ქუჩებში, რაღა თქმა უნდა, არ გამოსულან, ბ-ნ ბუფალოს წინა ეზოც არ გადმოუვლიათ, მაგრამ სახლის უკან ტრიალი მინდორი იყო, ბ-ნმა ბუფალომ და ბუნმა რომ გადატკეპნეს და გადაასწორეს (ასე თუ ისე), ავტოდრომად აქციეს. ხოდა, ბუნი და ბ-ნი უორდუინი, ბაბუას ბანკის მოლარე (ბერბიჭა გახლდათ და დღენი-დაგ კლუბში ატარებდა დროს, ცნობილი კაცი იყო ქალაქში, ათი წლის მანძილზე ერთი ოცდაათჯერ მაინც მოუწვევიათ ხელისმომკიდედ), მატარებლით წავიდნენ მემფისს და იქიდან ავტომობილით დაბრუნდნენ (ორ დღეზე ნაკლები დასჭირდათ, რეკორდი დაამყარეს). ბუნი უკვე მზად იყო ჯეფერსონის მძღოლებს შორის უხუცესი გამხდარიყო.

ბუნი ტკბილ ოცნებას მისცემოდა, ბაბუამ კი სულ მალე ის ავტომობილი გააუქმა; იყიდა, გადაიხადა, ბუნის თქმით, უზარმაზარი თანხა, მერე მშვიდად, დაკვირვებით შეათვალიერა და უქმად დააგდო. ბაბუას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ბოლომდე თანამიმდევრული ყოფილიყო. უკვე არსებობდა პოლკოვნიკ სარტორისის გამომწვევი ბრძანება და რაკილა ბაბუა უფროსი გახლდათ, ვერ მოითმენდა, რაღაც უნდა გველჩინებოდა და ვინაშენ ვინაშენ იმისა, თუ რა აზრისა იყო თავად მოტორიან ოთხთვალეებზე. თუმცა, მართალი თუ გნებავთ, მისი აზრი სრულად ემთხვეოდა პოლკოვნიკ სარტორისისას და ორივე (ამ დროს კი უკვე მთელ იოკნაპატოფას ოლქში ბენზინის სურნელი ტრიალებდა და ლამლამობით, განსაკუთრებით შაბათობით, ავტომობილების ხათქახუთქი და მუხრუჭების ღრჭიალი ისმოდა) გროშ-კაპიკს არ მისცემდა კაცს, რომელიც გატუტუცდებოდა და ავტომობილის ყიდვას მოისურვებდა. პოლკოვნიკ სარტორისის დანაშაული ის იყო, რომ არ იკადრა და არ დაეკითხა თავისზე უფროს კაცს, თანხმობა არ სთხოვა ამ საყოველთაო შეხედულებით სწორი გადაწყვეტილების გამოტანისას, იქამდე გაეძევებინა ავტომობილები ჯეფერსონიდან, სანამ ისინი გამოჩნდებოდნენ ქალაქში. გესმის? ბაბუამ იყიდა ავტომობილი არა იმიტომ, რომ პოლკოვნიკ სარტორისის ბრძანებას უარყოფდა, უბრალოდ უგულვებელყო მისი არსებობა და შეგნებულად კვირაში ერთხელ მაინც მის დამრღვევად გამოდიოდა.

ჯერ კიდევ პოლკოვნიკ სარტორისის ბრძანებამდე ბაბუამ თავისი ეტლი და ცხენები უკანა ეზოდან საჯინიბოში გადააყვანინა, რადგან ბებიას აქედან უფრო ადვილად შეეძლო ტელეფონით ეტლის გამოძახება, ვიდრე სახლის იქითა მხარეს კიბით სარკმელთან მისულიყო და მეეტლე მოეხმო. საჯინიბოში ვინმე ყოველთვის პასუხობდა მის ზარს. ნედი კი, გინდ სამზარეულოში მჯდარიყო და გინდ ბაგაში ან კიდევ სხვაგან (ანუ სადმე ახლომახლოს, როდესაც ბებიას დასჭირდებოდა), ძნელად თუ გამოეხმიანებოდა. მართალი თუ გნებავთ, არც არასდროს გამოეხმიანებოდა, ვისაც არ უნდა დაეძახა, რადგან ერთ-ერთი დამძახებელი შეიძლება მისი ცოლი ყოფილიყო სულაც. ხოდა, ასე მოვატანეთ ნედამდეც, ბაბუას მეეტლე რომ გახლდათ. მისი მეუღლე კი (ანუ უკვე მეოთხე ცოლი), დელფინა ბებიასთან მზარეულობდა. იმხანად მხოლოდ დედისთვის იყო იგი „ბიძია ნედი“. უფრო სწორად, დედა გვეუბნებოდა ხოლმე ბავშვებს, სამს მაინც, რადგანაც ალექსანდრეს არც არავის დაძახება შეეძლო ჯერაც, ბიძია ნედი დაუძახეთო. სხვა არავის არ ადარდებდა ეს ამბავი, ბებიასაც კი, ვინც მაკ-კასლინთა მოდგმისა გახლდათ, ეს არც ნედს ენალვლებოდა, რაკილა არცთუ იმდენი ხნისა იყო და მის ქოჩორს, ანუ იმას, რაც დარჩენოდა ძელოტი თავის გარშემო, ჯერ კიდევ არ შერეოდა ჭალარა (არც შერევია არასდროს. არც გათეთრებია და არც გარუხებია. სამოცდაათობმეტი წლისა მოკვდა და მხოლოდ ერთი ცვლილება დაეცყო, ამ ხნის მანძილზე, ოთხი ცოლი გამოიცვალა) და არც სურდა, ბიძია დამიძახონო. მხოლოდ დედას უნდოდა ასე, ვინც მაკ-კასლინების აზრით ნათესავადაც არ ერგებოდა მათ. ის კი — ნედი — მაკ-კასლინი იყო და მაკ-კასლინების უკანა ეზოში მოვლენოდა ამ ქვეყანას 1860 წელს. ჩვენი საგვარეულო საიდუმლო გახლდათ იგი და ყველას გვეკუთვნოდა მემკვიდრეობით თავისი ლეგენდითურთ (თავად ნედი უამბობდა ხოლმე ყველას დიდი მონდომებით), თითქოსდა მისი დედა უკანონო შვილი იყო ბებერი ლუციუს ქუინტუს

კეროზერსის და ზანგი მონა ქალისა; ნედი როგორ დაგვანებებდა იმის და-
ვიწყებას, რომ მხოლოდ ის და კიდევ მისი ბიძაშვილი აიზეკი რყვნენ ნამ-
დვილი შვილიშვილები გვარის დამაარსებლის, ჩვენ კი პატივსაცემი გავ-
ხლდით ედმონდსებისა და პრისტების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ
სამს — შენ, მე და ჩემს ბაბუას — დიდი პაპის სახელი გვერქვა, ისე რომ
მაინც მისი შორეული ნათესავები ვიყავით მხოლოდ და მუქი მტრები
ბიც.

ხოდა, როდესაც ბუნი და ბ-ნი უირდუინი მანქანით დაბრუნდნენ, სა-
ჯინიბო მზად დახვედრიათ მისაღებად. იატაკი განუახლებიათ, ჭიშკარიც,
უყიდიათ სულ ახალთახალი ბოქლომი, რომელიც ბაბუას ხელში ეჭირა,
გარშემო უვლიდა მანქანას და ყურადღებით ათვალიერებდა, თითქოს მის
წინ გუთანი ან სამკალი ან ფურგონი ყოფილიყო (გინდაც კლიენტი, თუ
გნებავთ, ვინც ბანკში მოსულიყო სესხის ასაღებად). მერე ბუნს ანიშნა,
გარაჟში შეიყვანეო. (დიახ, ჩვენ უკვე ვიცოდით, რა ერქვა ავტომობილის
სადგომს 1904 წელს მისისიპიშიაც).

— რაა? — თქვა ბუნმა.

— შეიყვანე იქ, — უთხრა ბაბუამ.

— თქვენ არ გასინჯავთ მაინც? — ჰკითხა ბუნმა.

— არა, — მიუგო ბაბუამ. ბუნმა შეიყვანა გარაჟში მანქანა (ამჯერად
მხოლოდ მან) და გამოვიდა იქიდან. ჯერ გაოცება დაეცყო სახეზე, მერე
აღშფოთება, მერე უნდობლობა და ბოლოს შეძრწუნება. გასაღები რა უყა-
ვიო? — ჰკითხა ბაბუამ.

— რაო? — თქვა ბუნმა.

— ჭანჭიკი. ქანჩი, კაუჭი, რითაც ქოქავენ. — ბუნმა რაღაც ამოაცო-
ცა ჯიბიდან და ბაბუას ჩაუდო ხელში. კარი დაკეტეო, უთხრა ბაბუამ,
თავად მივიდა მერე, ის ახალი ბოქლომი ჩამოკიდა და მისი გასაღებიც
ჯიბეში ჩაიდო. ბუნს ახლა საკუთარ თავთან გაემართა ჭიდილი. სადაცაა
უნდა აფეთქებულიყო. ჩვენ — ანუ მე, ბ-ნი უირდუინი, ბებია, ნედი, დე-
ლფინა თუ თეთრნიც და შავნიც, ვინც კი იყო მაშინ ქუჩაში ავტომობი-
ლის მოყვანის ხანს, ვუთვალთვალეზდით, როგორ იმარჯვებდა ამ ბრძო-
ლაში, ანუ პიკეტების პირველივე შეტაკებაში.

— სადილის მერე დავბრუნდები. ხოდა, მის სარა (ჩემი ბებია) გასინ-
ჯავს მაშინ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ. შეიძლება უფრო მალეც,
თუ ეს გვიანია.

— საჭირო იქნება და თავად დავრეკავ საჯინიბოში, — თქვა ბაბუამ.
სახუმაროდ არ იყო საქმე, ეს არ გახლდათ მენინავე ნაწილების შეჯახე-
ბა. ეს ნამდვილი ბრძოლა იყო. ან გამარჯვება ან დამარცხება, სხვა გა-
მოსავალი არ არსებობდა. აქ ყველაფერს ჰქონდა მნიშვნელობა — ადგილ-
მდებარეობას, მტრის ყურადღების მოსუსტებას, შეტევის მოგერიებას,
რაც მთავარია, ყველაფრის წინასწარგანჭვრეტას და გათვალისწინებას.
ასე იყო სამი დღე, ვიდრე შაბათი არ მოვიდა. ბუნი საჯინიბოში დაბრუნ-
და, ნაშუადღევს მერე სულ ტელეფონის შორიახლოს ტრიალებდა, თუმცა
ვითომცდა სხვათაშორის, მუშაობაც არ შეუწყვეტია, ანუ, ასე ჩანდა, სა-
ნამ მაშამ არ გაიგო, რომ ბუნმა თავისი ნებით, დაუკითხავად ლასტერი
ეტლის კოფოზე შესვა და შუადღის მატარებლის დასახვედრად გააგზავნა.
მატარებელი უნდა ჩამოსულიყო (თუ არ დააგვიანებდა) ზუსტად იმ დროს
და იმ წუთს, როდესაც ბაბუა მუშაობას ამთავრებდა ბანკში. თუმცა

ბრძოლის სასწორი ჯერ კიდევ არც ერთი მხრისკენ არ გადაქანებულიყო, ჯერ კიდევ საჭირო იყო ყურადღება, ვაჟკაცობა და შემართება, ჯერ კიდევ არ იყო დრო ზუსტი დარტყმისთვის; ბუნი ძველებურად მტკიცედ პფლობდა თავს და არც აპირებდა უკანდახევას. დიას, ლასტერი მე გავგზავნეო. ქალაქი იზრდება და, მგონი, ცოტა ხნის მერე ორჯე ეტლედ დაგვჭირდება სადგურშიო. ლასტერი ამიტომ მინდა გამოვწვრიფნა, მერე მე ეტლეობა რომ მივანდო. ნუ სწუხხართ, მე მას თვალყურს ვადევნებო.

მაგრამ ტელეფონს არ დაურეკავს. ექვს საათზე ბუნიც გამოუტყდა თავს, არც არაფერი იქნებაო დღეს. მაგრამ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულიყო, ჯერ კიდევ არაფერი არ იყო დაკარგული, დალამდებოდა და შეეძლო თავისი ძალების მცირეოდენი გადაადგილება მოეხდინა. მეორე დილას, დაახლოებით ათი საათი იქნებოდა, ის — ანუ მე და ის — თითქოსდა რაღაც საქმეზე ბანკში შევედით.

— გასაღები მომეცით, — უთხრა ბაბუას, — მისისიპის მთელი მტვერი და ტალახი, კიდევ ტენესისა დაგროვილი იქნება მის ქვეშ. შლანგს საჯინიბოდან წამოვიღებთ, თუკი თქვენი ნედს აქვს სადღაც გადაკარგული.

ბაბუამ ბუნს შეხედა, კარგა ხანს თვალი არ მოაცილა, თითქოსდა ბუნს მართლაცდა მოეყვანა ბანკში ფურგონი ან სათიბელი და გირაოდ თხუთმეტი დოლარი მოეთხოვა:

— ნესტი არ შეიძლება ეტლების სადგომში, — თქვა ბაბუამ. მაგრამ ბუნი ღირსეულად განაგრძობდა ბრძოლას, ფერიც არ შეცვლია, რადგანაც მას უფრო მეტი დრო ჰქონდა მარაგში.

— ეგ მართალია, ოღონდ გახსოვდეთ, რაც თქვა მექანიკოსმა, ყოველდღე უნდა ამუშავოთო ძრავა, თუნდაც ნუ გამოიყვანთ, ისე, თუ არადა შეიძლება სანთლებსა და მაგნეტოს ჟანგი მოეკიდოს და იქნებ ოცი-ოცდახუთი დოლარიც კი დაგჭირდეთ მემფისიდან მათ გამოსაწერად ან სულაც ქარხნიდან, მე თქვენ ჭკუას არ გასწავლით, უბრალოდ გეუბნებით იმას, რაც იმ მექანიკოსისგან ვიცო. თუმცა თქვენი ნებაა, თქვენია ის ავტომობილი და თუ გნებავთ, ჟანგს შეაჭმევინეთ, ვისი რა საქმეა. ისე კი ცხენს ასე არ მოექცეოდით, თუნდაც რომ ასი დოლარი გქონდეთ მასში მიცემული, დილა-ბნელზე თოკს შემაბმევინებდით და მატარებინებდით. ვაითუ შიგნეულობა დაუმძიმდესო. — ბაბუა გამოცდილი ბანკირი გახლდათ და ბუნმა იცოდა, რომ ბაბუამ უწყოდა, ვისთვის უნდა დაეჩქარებინა თამასუქის განაღდება, ვისთვის ეცლია და ვისთვის არც მოეთხოვა. ხოდა, ამოიღო ჯიბიდან გასაღები და ბუნს გაუწოდა ორივე, ბოქლომისაც და მანქანისაც. ბუნი მიტრიალდა და მომადახა, აბა წავიდეთო.

ჯერ კიდევ ქუჩაში ვიყავით, რომ ბებიას ძახილი გავიგონე, კიბით უკანა სარკმელთან ამოსულიყო და გაჰკიოდა, ნედს ეძახდა. მაგრამ ჭიშკართან მივედით თუ არა, გაჩერდა. უკანა ეზოში გავედით შლანგის წამოსაღებად, დელფინამ სამზარეულოს კარი გამოაღო, ნედი სად არისო გვკითხა, დილიდანვე გავკვივით, საჯინიბოში ხომ არაა?

— აბა სად იქნება, — მიუგო ბუნმა, — მე დავუძახებ. თუმცა კი ტყუილად ელოდებით. — ნედი აქვე იყო, ეზოში. ის და ორი ჩემი ძმა კიბის საფეხურებივით ერთმანეთს ჩახუტებულნი გარაჟში იჭვრიტებოდნენ. ალბათ ალექსანდრეც იქნებოდა მათთან, ოღონდაც ჯერ კიდევ სიარული არ შეეძლო. მიკვირდა, დეიდა კელის როგორ არ მოაფიქრდა მისი აქ მოყვანა.

მაგრამ ალექსანდრეც მაშინვე გამოჩნდა, დედას აეტატებინა ხელში და ჩვენი სახლიდან ქუჩა გადმოეჭრა. დეიდა კელი კი, როგორც ჩანს, საგებებს რეცხავდა. დილა მშვიდობისაო, მისს ელისონ, თქვა ბუნმა. დილა მშვიდობისაო, მისს სარა, დასძინა ესეც, რადგან ბებიაც მოსულყო აქ, დელფინაც გამოჰყოლოდა და ორი ჩვენი მეზობელი ქალიც, საძინებელი ჩაჩების მოხდაც ვერ მოესწროთ. მართალია, ბუნი ბანკირი არც მისულდათ. არც კარგი ვაჭარი, მაგრამ პარტიზანივით დიდებული იყო სწორედ. მივიდა, გარაჟის კარს ბოქლომი ჩამოხსნა და გამოაღო. პირველი იქ ნედი შეიჭრა.

— შენ, — უთხრა ბუნმა, — დილიდანვე აქ ხარ და შიგნით იჭვრიტები. რაო, როგორია?

— როგორიც არის, — მიუგო ნედმა, — ბ-ნი პრისტი ორასდოლარიან საუკეთესო ცხენს იყიდდა იოკნაპატოფას ოლქში ამ ფულით.

— იოკნაპატოფას ოლქში ორასდოლარიან ცხენს სად ნახავ, — თქვა ბუნმა, — რომც ყოფილიყო, ამ ავტომობილის საყიდლად ათობით ცხენი მაინც დასჭირდებოდათ. წადი და ის შლანგი მიუერთე.

— წადი და შლანგი მიუერთე ლუციუს, — მითხრა ნედმა, არც მოტრიალებულა, ისე. ავტომობილის უკანა მხარეს კარი გამოაღო, წინა მხარეს მაშინ ავტომობილებს არც ჰქონდათ კარი, პირდაპირ ახვიდოდნი და დაჯდებოდნი. — აძვერით, მისს სარა, თქვენც და მისს ალისონიც, — თქვა ნედმა, — დელფინა კი ბავშვებთან დარჩება და მერე გავასეირნებთ.

— მიდი, მიუერთე-მეთქი, გესმის, — უთხრა ბუნმა, — გარეთ თუ არ გამოვიყვანე, ისე ვერაფერს ვერ გავხდები.

— ხელში აყვანილს ხომ არ გამოიყვან? — უთხრა ნედმა, — ხოდა, ჩავსხდეთ და ისე გამოვიდეთ. მაინც მერე უნდა ვატარო და რაც უფრო მალე ვისწავლი ტარებას, მით უკეთესი. — ხი-ხი-ხი, — ჩაიხითხითა და ისევ დასძინა, — აძვერით, მისს სარა.

— ხომ არაფერი მოგვივა, ბუნ? — ჰკითხა ბებია.

— რა უნდა მოგივიდეთ, მისს სარა, — მიუგო ბუნმა. ბებია და დედა ჩასხდნენ. სანამ ბუნმა მათ კარი მიუკეტა, ნედი უკვე წინა საჯდომზე მოკალათებულიყო.

— გადი იქით, — თქვა ბუნმა.

— მოდი და შენს საქმეს მიხედე, თუ შეგიძლია, — მიუგო ნედმა, — ხელს არაფერს მოვკიდებ, სანამ არ ვისწავლი როგორ. აბა თავად ხომ არ მასწავლი რამეს. მიდი და ჩართე თუ რასაც უკეთებ.

ბუნმა მანქანას შემოუარა, მძლოლის ადგილიდან ადგა, სიჩქარის გადასართველებს და ბერკეტებს დაუნყო ჯახირი, მერე წინ დადგა და დასაქოქი დაატრიალა. მესამე გადატრიალებაზე ძრავამ იღმუვლა.

— ბუნ! — შეკვივლა ბებია.

— ნუ დელავთ, მისს სარა! — დაიღრიალა ბუნმა ძრავის ღმუილი რომ დაეფარა, მერე საჭესთან მივარდა.

— ჩქარა, — მიაძახა ბებია, — ნუ აყოვნებ და ნუ მანერვიულებ!

ბუნი აძვრა და ძრავას ხმა დაუნია. სიჩქარეში ჩააგდო, კიდევ ერთი წამიც და ავტომობილი ნელა დაიძრა, უკან სვლით გამოვიდა და მზეზე გაჩერდა.

— ხი-ხი-ხი! — ნედმა ჩაიხითხითა.

— ფრთხილად იყავი, ბუნ, — თქვა ბებია. ვხედავდი, როგორ ჩაჭიდებოდა ტენტის ბიგას.

— დიახ, მემ, — მიუგო ბუნმა. ავტომობილი ისევ დაიდრა და შემოტრიალება დაიწყო. მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო შემობრუნებული, რომ წინ წავიდა. ბებია ხელს არ უშვებდა ბიგას. პატარა გოგოს სახე გახდომოდა დედას. ავტომობილმა ნელა გადაჭრა ეზო და ქიშკარა გაჭერდა, პირით ქალაქისა და სამყაროსკენ. გასუსული იჯდა ბუნი საჭესთან, ისმოდა ძრავის საამურ-წყნარი თუხთუხი, სახე ისე მოეტრიალებინა, ბებიას რომ დაენახა. დიახ, დიახ, შეიძლება ბაბუასავით არ შეეძლო ჩაკირკიტებოდა გერბიან ქალაქებს, ვიღაც-ვიღაცებს ჯეფერსონში შეიძლება ეთქვათ, არაფერი არ გამოსდისო ხელიდან, მაგრამ ამ ბრძოლაში, ასე იყო თუ ისე, თავი გამოიჩინა და კიდევ მოიგო ეს ბრძოლა... ბებია იჯდა, ნახევარ წუთს ხმა არ ამოუღია. შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა.

— არა, — თქვა მან, — ბ-ნ პრისტს უნდა დავუცადოთ.

შეიძლება ეს არ იყო სრული გამარჯვება, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩვენმა — ანუ ბუნის — მხარემ არა მარტო აღმოუჩინა განლაგებაში მტერს (ბაბუას) სუსტი ადგილი, თავის მხრივაც ამ საღამოს ვახშამზე ამას თავად მტერიც აღმოაჩინდა.

ხოდა, კიდევ აღმოაჩინა, რომ მისი მხარე შემდრკალიყო. მეორე დღეს (შაბათს) საღამოს პირზე, ბანკი დაიკეტებოდა თუ არა და ამის შემდეგ ყოველ შაბათს, მაშინაც კი, როდესაც ზაფხული დადგა, ყოველდღე, დაბინდებისას, თუ თავსხმა წვიმა არ იყო, ბაბუა ჯდებოდა ბუნის გვერდით, ხოლო ჩვენ ყველანი ერთმანეთის შენაცვლებით — ბებია, დედა, მე, ჩემი სამი ძმა და დეიდა კელი, რომელმაც ჩვენ ყველანი გამოგვზარდა და მამაც, დელფინა, ჩვენი მრავალრიცხოვანი ნათესავები თუ მეზობლები, ბებიას უახლოესი დაქალები, ყველა თავის ჯერს ელოდებოდა და სათვალემორგებული, ტილოს ლაბადებმოსხმულები დასეირნობდნენ ამ ავტომობილით ჯეფერსონსა და მის შემოგარენში; დეიდა კელი და დელფინა არასოდეს მოკლებიან ამ სიამოვნებას, მაგრამ ნედს მხოლოდ ერთხელ ხვდა წილად ასეთი ბედნიერება, იმ წუთს, როდესაც ავტომობილი უკანა სვლით ნელ-ნელა გამოდიოდა გარაჟიდან და კიდევ იმ ორიოდე წუთს, როდესაც მანქანა მიტრიალდა, ნელა გაიარა ეზო, სანამ ბებია შიშით არ შეჰკივლა, არაო, შეჰკივლა ღია ქიშკარსა და იმას იქით მთელ სამყაროს. ეს იყო და ეს. მეორე შაბათს ნედი მიხვდა და დარწმუნდა, ანუ მისთვის ცხადი გახდა, ბაბუასაც რომ მოესურვებინა. მისი ოფიციალურ მძლოლად ან ავტომობილის დარაჯად დანიშვნა, ვერასგზით ვერ მიუახლოვდებოდა მას, თუკი ბუნის გვამს არ გადააბიჯებდა. თუმცა მან საერთოდ უარყო ამ ავტომობილის არსებობა, მაგრამ, მისი და ბაბუას, ასე ვთქვათ, ჯენტლმენური შეთანხმების მიხედვით, ნედი არც არასდროს იხსენიებდა აუგად ან ქილიკით ამ მის შენაძენს, ხოლო თავის მხრივ ბაბუა არც არასდროს შეაწუხებდა ნედს და დაავალებდა მის გარეცხვასა და გაპრიალებას, როგორც ეტლებს რეცხავდა და აპრიალებდა, თუმცა ბაბუამაც და ბუნმაც კარგად იცოდნენ, თუნდაც ბუნს დაენებებინა, ნედი მაინც ამაზე უარს იტყოდა. ასე და ამდაგვარად ბაბუამ ნედს დააკისრა ერთადერთი სასჯელი ამ მკრეხელობისთვის; ამით მან ნედს არ დაანება საჯაროდ უარი ეთქვა ავტომობილის გარეცხვაზე, სანამ ბუნი საჯაროდ უარს არ ეტყოდა ამაზე.

რადგანაც სწორედ იმხანად ბუნი გადაიყვანეს ერთხმად და საყოველთაო თანხმობით — დღის ცვლიდან ღამის ცვლაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან საჯინიბოსთვის სულაც დაიკარგებოდა. ვეფერსონელების მოცლილი ნაწილი, მამის ნაცნობ-მეგობრები ან უბრალოდ ცხენთა მოდგმის მეგობრები, რომლებსაც შეეძლოთ საჯინიბოს მისამართი მიეცათ რამე საქმისთვის თავიანთ კორესპონდენტებისთვის, [ხუჭბ] კორესპონდენტები ეყოლებოდათ, ბუნზე უფრო ხშირად აკითხავდნენ საჯინიბოს; ხოლო თუ მას, მამას ვგულისხმობ, დასჭირდებოდა ბუნი, ბაბუას ეზოში ვინშეს გამოაგზავნიდა, სადაც ის ჩვეულებისამებრ რეცხავდა და აპრილებდა ავტომობილს პირველი კვირების განმავლობაშიც კი, როდესაც შაბათიდან შაბათამდე ავტომობილი არსად არ უნდა წასულიყო, ყოველი დღით გამოჰყავდა იგი გარაჟიდან, ნაზად, თავდავიწყებით წმენდდა და რეცხავდა, არ ავიწყდებოდა არც ერთი ჭანჭიკი, მერე კი იქვე დაჯდებოდა და დარაჯობდა, სანამ არ გაშრებოდა.

— მთელ საღებავს ჩამორეცხავს და ის იქნება, — თქვა ბ-ნმა ბელოტმა, — პატრონმა თუ იცის, რომ ყოველდღე ოთხჯერ ან ხუთჯერ შლანგით ავლებს წყალს?

— მერედა რა ქნას, თუ იცის, — მიუგო მამამ, — ბუნი მაინც მთელი დღე იმ ეზოში იქნება და თვალს არ მოაცილებს.

— ღამის ცვლაში გადაიყვანეთ, — უთხრა ბ-ნმა ბელოტმა, — ხოდა, დღე რაც უნდა ის აკეთოს, ჯონ პაუელი კი სახლში წავიდეს და თავის ლოგინში გამოიძინოს ღამლამობით.

— უკვე გადავიყვანე, — თქვა მამამ, — მაგრამ, ვერავინ ვნახე გარაჟში გავაგზავნო ამის შესატყობინებლად.

აღკაზმულობის სანყოფინი იატაკზე ლეიბი იდო და იქ წვებოდნენ ღამლამობით ჯონ პაუელი ან სხვა მეჯინიბე თუ მისი თანაშემწე, რადგან ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო მეთვალყურედ ხანძარი არ გაჩენილიყო. ახლა კი მამის ბრძანებით ლეიბიანი ლოგინი დადგეს კანტორაში და ბუნს შეეძლო იქ დაძინება, დასვენება ხომ უნდოდა. მთელი დღეები ბაბუას ეზოში იყო და ვერც ვერავინ ეუბნებოდა რამეს, ან ავტომობილს რეცხავდა. ან იჯდა და თვალს არ აცილებდა.

ხოდა, ახლა, ყოველდღე დაბინდებისას ჩვენ ყველანი, ვინც კი დავეტეოდით უკანა საჯდომზე, მოედანს გავივლიდით და ქალაქგარეთ გავდიოდით. ბაბუას უკვე ნაყიდი ჰქონდა სათადარიგო ჯაჭვი და ის ავტომობილის განუყოფელი ნაწილი შექმნილიყო ძრავასავით.

პირველად ქალაქის მოედანი უნდა გადაგვევლო ყოველთვის. ყველა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ასე იფიქრებდა, ბაბუამ როცა ავტომობილი იყიდა, ბაბუას ის უნდა გაეკეთებინა, რასაც სხვა გააკეთებდა, ანუ ამდგარიყო და ჩასაფრებოდა პოლკოვნიკ სარტორისს და მის ეტლს, მერე გამოვარდნილიყო და ჭკუა ესწავლებინა, თუ როგორ გაბედა ისეთი განკარგულებისა და ბრძანების გაცემა რაც უფროსისთვის რჩევის დაუკითხავად, სხვების უფლებებს არად აგდებდა. მაგრამ ბაბუას ასე არ გაუკეთებია, როგორც ბოლოს ჩვენც მივხვდით პოლკოვნიკ სარტორისის გამო კი არა, ცხენებისა და ორთვალეების გამო. რადგანაც, როგორც უკვე ნათქვამი მაქვს შენთვის, ის გონებაბრძენი და შორსმჭვრეტელი კაცი გახლდათ: ბებია სარგადაყლაპულივით იჯდა მანქანაში, ბიგას ჩასჭიდებოდა და ბაბუას ბ-ნ პრისტს კი არ ეძახდა, თუმცა კი, რამდენადაც გვახსოვდა, სულ

ასე მიმართავდა, თითქოსდა მისი ცოლი არ ყოფილიყო, არამედ სახელით. ხოდა, ორთვალა ან ფურგონი თუ გამოჩნდებოდა, და პატრონი ცხენს უკან დაახევინებდა, რომელიც ხანდახან დამფრთხალი შეიძლება ყალბზეც კი დამდგარიყო, ბებია შეჰკვივლებდა: ლუციუს, ლუციუს, და ბაბუა (თუ მე-ეტლედ კაცი იყო და ორთვალასა ან ფურგონში არ ისხდნენ ქალები და ბა-
 ლლები) წყნარად ეტყოდა ხოლმე ბუნს:

— ნუ შეჩერდები. გასწი. ოღონდ ნელა იარე. — ხოლო თუ ქალი იყო, მაშინ გასძახებდა, შეჩერდიო, დინჯად გადმოვიდოდა და დაყვავებით დაუწყებდა ლაპარაკს ცხენს, ვიდრე ხელს აღვირში არ წაავლებდა, ქუდს მოუხდიდა ორთვალაში მსხდომარეთ, ავტომობილს გვერდით გამოატარებდა, მერე უკანვე დაბრუნდებოდა, დაჯდებოდა მანქანის წინა მხარეს და მხოლოდ მაშინ ეტყოდა ბებიას, უნდა შევაჩვიოთ, ვინ იცის, შეიძლება ათი, თხუთმეტი წლის მერე კიდევ ერთი ავტომობილი გამოჩნდესო ჯეფერსონში.

ისე მოხდა, რომ ბუფალოს საკუთარი ხელით მისივე უკანა ეზოში ამ ორი წლის წინ შექმნილმა თვითნაკეთმა ოცნების საგანმა კინალამ ბაბუა არ გადააჩვია იმ ჩვეულებას, რასაც ცხრამეტი წლის ასაკიდან ვერა და ვერ გადაჩვეოდა. ეს თამბაქოს ლეჭვა გახლდათ. პირველად რომ მიატრიალა თავი და უნდოდა გაქანებული ავტომობილიდან გადაეფურთხებინა, ჩვენ, უკან მსხდომები მივხვდით, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ რაღა დროს. არც ერთ ჩვენთაგანს ხომ არასდროს უვლია ავტომობილზე იმდენად შორს (ეს მოხდა პირველივე მგზავრობის ხანს), რომ საჯინიბოს ეზოდან გარეთ გასულიყო, მითუმეტეს, თხუთმეტი მილით საათში (თანაც თუ ათი მილის სიჩქარით მივდიოდით, ბუნი გვეუბნებოდა, ოციაო; თუ ოცით მივდიოდით, ორმოციაო; ქალაქიდან ხუთი მილის იქით გზის ნახევარმილიანი სწორი მონაკვეთი ვნახეთ, სადაც მანქანა საათში ოცდახუთ მილს გადიოდა; ჩემი ყურით მქონდა გაგონილი, ბუნი რომ უყვებოდა ვილაც კაცებს მოედანზე, სამოცი მილის სიჩქარით დამყავსო მანქანა. ეს მანამდე იყო, სანამ გაიგო, რომ ჩვენ უკვე ვიცოდით, სპიდომეტრი რაც იყო, მანომეტრის მსგავსი მონყობილობა წინა დაფაზე და როგორღა უნდა მივხვედრილიყავით?). ამასთან ჩვენ გარდა არავინ არ აქცევდა ამას ყურადღებას, ყველას სათვალე გვეკეთა, სამტვერული ლაბადები გვეცვა, გვექონდა შლაპებზე პირბადეები, და თუნდაც სულ ახალი ყოფილიყო ეს ლაბადები, ვინ თქვა რომ მტვრის გარდა სხვა არაფერი უნდა დადებოდა, თუნდაც ყავისფერი ლაქები თუ ნაწვეთები? შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ ბებია ხელმარცხნივ იჯდა (იმხანად ავტომობილს მარჯვენა მხრიდან მართავდნენ ეტლების მსგავსად და ჰენრი ფორდსაც კი, ვინც ბაბუასავით შორსმჭვრეტელი გახლდათ, არ გაუთვალისწინებია, რომ საჭეს მარცხნივ გადმოიტანდნენ), ბაბუას უკან. ხოდა, ბებიამ მაშინვე უთხრა ბუნს, მანქანა გააჩერეო, განრისხებულმა კი არა აღშფოთებულმა და შეურაცხყოფილმა. ბებია ორმოცდაათს იყო გადაცილებული იმხანად (თხუთმეტისა იყო, როცა მან და ბაბუამ ჯვარი დაიწერეს) და მთელი ეს ორმოცდაათი წელი ისე ცხოვრობდა, რომ გულშიაც კი არ გაუვლია, ვინმე მამაკაცი, მით უმეტეს მისი ქმარი, სახეში შეაფურთხებდა, ისევე, როგორც მანქანით მოსახვევს მოახლოებული ბუნი საყვირს არ დააყვირებდა. ხელიც არ აუწევია ფურთხის მოსაწმენდად, არც არავისთვის მიუმართავს, ისე თქვა:

— სახლში წამიყვანეთ.

— კარგი ერთი, სარა, — უთხრა ბაბუამ, — კარგი ერთი, სარა.

მან თამბაქო გადმოაფურთხა, და მეორე ჯიბიდან სუფთა ცხვირსახოცი ამოიღო. მაგრამ ბებია არ გამოართვა, ბუნმა დააპირა გადმოსვლა და სახლიდან წყლიანი ვედროს, საპნისა და პირსახოცის წაქოფებლად მაგრამ ბებია არ გაუშვა.

— არ მჭირდება, — თქვა ბებია, — სახლისკენ გასწი.

ჩვენც წავედით. დორბლი უკვე მიხმობოდა ბებიას სათვალის მინასა და ლოყაზე. დედამ უთხრა, ნერწყვით დასველებული ცხვირსახოცით მოგწმენდო. თავი დამანებეო, ელისონ, მიუგო ბებია.

დედას სულაც არ ადარდებდა თამბაქოს ამბავი, მანქანაში მაინც შეიძლება სწორედ ეს იყო თავიდათავი. ჩვენ, დეიდა კელი და ერთი თუ ორი მეზობლის ბავშვი, ყველანი უკანა სკამზე ვისხედით, დედას სიხარულით უბრწყინავდა სახე და გოგოსავით წამონთებოდა, რაღაც ფარის მსგავსი გაუკეთა მარაოს ტარს და მყის მოიმარჯვებდა ხოლმე, როდესაც ბაბუა თავს მიატრიალებდა. ხოდა, ახლა შეეძლო ისევ მოჰყოლოდა ღეჭვას, დედა მარჯვედ და მოხდენილად იშველიებდა ხოლმე ფარს. ჩვენც ყველანი მზად ვიყავით და ბაბუა გაიფიქრებდა თუ არა, ახლა უნდა მივაბრუნო თავი და გადავაფურთხოო, ის ფარი წამსვე აღიმართებოდა და ჩვენც მავთულგადაბმულებივით ერთდროულად მარჯვნივ გავწევდით თავს. სიჩქარე კი თითქმის ყოველთვის ოცი-ოცდახუთი მილი იყო საათში, რადგანაც უკვე იმ ზაფხულს კიდევ ორი ავტომობილი გამოჩნდა ჯეფერსონში; თითქოსდა იმ ავტომობილებმა მოტკეპნეს და მოასწორეს გზები ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ფულს გაიღებდნენ გზების მოსახესრიგებლად.

— კიდევ ერთი ოცდახუთი წელი და ამ ოლქის გზებზე ყველანაირ ამინდში ივლიან ავტომობილები, — თქვა ბაბუამ.

— მაგრამ ამას ბევრი ფული დასჭირდება, — უთხრა დედამ.

— კი, დიდძალი ფული დასჭირდება, — მიუგო ბაბუამ, — გზის მშენებლები აქციებს გამოუშვებენ, ბანკები კი შეისყიდიან.

— ჩვენი ბანკიც? — ჰკითხა დედამ, — ჩვენებიც იყიდიან საავტომობილო აქციებს?

— დიახ, — უთხრა ბაბუამ, — ჩვენც ვიყიდით.

— ჩვენ კი რას ვიზამთ?.. მე ვამბობ, მორი-მეთქი.

— ის ისევ საჯინიბოს მიხედავს, — თქვა ბაბუამ, — თუმცა კი ახალ სახელს დაარქმევს. პრისტიის გარაჟი შეიძლება ან პრისტიის საავტომობილო კომპანია. ხალხი ფულს არ დაიშურებს სიჩქარის გულისთვის. იმუშავენ კიდევაც ამისთვის, შეხედე ველოსიპედისტებს, შეხედე ბუნს. მაგრამ რატომაა ასე, არავინ იცის.

დადგა კიდევ ერთი მაისი, და ბეი სენტ ლუისში მოკვდა ჩემი მეორე ბაბუა, დედის მამა.

შაბათი იყო ისევ. შემდეგი შაბათი. ლუდასს კვლავ დაუწესეს ჯამაგირი შაბათობით. შეიძლება მართლა გადაეჩვია ჯორების სესხებას. ის იყო რვა საათმა დაჰკრა, მე კი ჯერ ნახევარი მოედანიც არ მქონდა დავ-

ლილი ქვითრებითა და ტილოს საფულე ტოპრაკით, ისაა სათესლე დუქნის შემოვლა დავამთავრე, რომ ბუნი შემოვიდა მეტისმეტად სწრაფად. მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი. არა, რა მიხვედრა უნდოდა ამას, რაკილა მთელი ჩემი სიცოცხლე ვიცნობდი ბუნს, თანაც მთელი წელი ყოველდღე ვხედავდი, როგორ დატრიალებდა იმ ავტომობილს. მეცა დაქრეს ტუტუტუკი ხელიდან გამომტაცა, გეყოფა, ასე მითხრა, წავიდეთო.

— რაო, — მივუგე, — ჯერ არც დამიმთავრებია.

— გეყოფა-მეთქი. თავი დაანებე. აბა, ჩქარა. ოცდამესამეს უნდა მიუსწრონ როგორმე, — ისე მომამძახა, არც შემოტრიალებულა. სულაც არ აღარდებდა, რომ ანგარიშები არ იყო გასწორებული. ასეთ ფარატიანა ქალღებებს რა გამოუღევედა სარკინიგზო კომპანიას. მაგრამ ფული იყო იმ ტოპრაკში.

— ვინ უნდა წავიდეს ოცდამესამეთი? — ვკითხე მე. დილის იყო სამხრეთისკენ მიმავალი ოცდამესამე მატარებელი. დიახ, ჯეფერსონში უკვე ბევრი მატარებელი გადიოდა და, რომ არ დაბნეულიყვნენ, დანომვრა მოუხდათ.

— ჯანდაბას შენი თავი, — თქვა ბუნმა, — ყურის დაგდება არ გიყვარს და აბა როგორ უნდა გითხრა, შენი ბაბუა მოკვდა წუხელ. უნდა ვიჩქაროთ.

— არ მომკვდარა! — ვუთხარი, კი არა, ლამის დავუყვირე, — აივანზე იყო ამ დილით, ჩვენ რომ ჩავუარეთ.

მართლაც ასე იყო. მამამ და მე, ორივემ დავინახეთ, გაზეთს კითხულობდა თუ ისე იდგა ან იჯდა და ელოდებოდა, ბანკში უნდა წასულიყო მალე.

— მერედა ჩვენს ბატონზე ამას ვინ გეუბნება? — თქვა ბუნმა, — მეორე ბაბუა მოგიკვდა, შენი დედის მამა, ჯექსონსა თუ მობილში რომ ცხოვრობდა, ანდა სადღაც იმ მხარეს.

— ოჰო, — ვუთხარი მე, — ვერ განგისხვავებია ბეი სენტ ლუისი და მობილი.

ყველაფერი უკვე ნათელი იყო. გულზე მომეშვა. ბეი სენტ ლუისი სამასი მილის იქით მდებარეობდა, სულ რამდენიმეჯერ მყავდა ნანახი ბაბუა ლესეპი, ორჯერ იყო ჩვენთან საშობაოდ ჯეფერსონში და სამჯერ ჩვენ ვიყავით მასთან, ისიც ზაფხულობით. თანაც კარგა ხანია ავადმყოფობდა. ჩვენ — დედასთან ერთად — შარშან ზაფხულს ვენვიეთ, სწორედ იმხანად ლოგინადაც ჩავარდა, მაგრამ მაშინ რა ვიცოდით (მოგვიანებით ზამთარში ერთი თვის მერე, როდესაც გაჩნდა ბაბუაშენის ძმა ალექსანდრე, დედა და დეიდა კელი იყვნენ მასთან, რადგანაც ეგონათ კვდებაო), რა ვიცოდით მეთქი, როცა ვთქვი, დედას ვგულისხმობდი, რადგან მოხუცი თუ ავად ხდება, ბავშვისთვის, ბიჭისა თუ გოგოსთვის, ის უკვე აღარც სწერია ცოცხლებში და მისი ნამდვილი გარდაცვალება გარემოს თუ გასწმენდს მხოლოდ, ვინაიდან რალა უნდა წარხოცოს, რაც წარხოცილია უკვე.

— კარგი, კარგი, — თქვა ბუნმა, — წამოდი, ჯექსონში, მობილსა და გინდ ნიუ ორლეანში, ჩემთვის სულ ერთია, სადღაც სამხრეთით კია. ახლა მთავარია მატარებელს მივუსწროთ. — ხოდა, ამ სახელს, ნიუ ორლეანს, მისდაუნებურად წამოროშილს, უნდა ემცნო და გაემხილა ჩემთვის ბუნის სანუკვარი ოცნება, მიზანი, სურვილი, მერე კი, მოგვიანებით, როცა თავის მზაკვრულად დაგებულ მახეში გამაბამდა და მაცდუნებდა, ყვე-

ლაფერს სულ ადვილად გავიგებდი, მაგრამ ამ ახალმა ამბავმა თავგზა ამირია და თანაც იმ წუთს ბუნმა უფრო მეტი იცოდა, ვიდრე მე. ამიტომ მყის გზას გავუდექით, მოკლებზე გადავჭერით მოედანი, მე მივრბოდი, მივთოხარიკობდი და სახლში სულ მალე მივედი.

არეულიყო იქაურობა. მატარებლის გასვლამდე მარტინსკის თუ იყო დარჩენილი და დედას არ ეცალა გლოვისა და მწუხარების სიძველეს. გაფითრებული და მდუმარე გამგზავრების სამზადისს შედგომოდა. რადგანაც ახლალა მივხვდი იმას, რაც ორჯერ ჰქონდა ბუნს ჩემთვის ნათქვამი, ბაბუა და ბებიაც ბაბუა ლესეპის დასაკრძალავად მიდიანო. ის და ბაბუა თურმე უნივერსიტეტის ერთ კურსზე სწავლობდნენ, ერთ ოთახშიც ცხოვრობდნენ და ერთი მეორის მეჯვარეებიც ყოფილან თავიანთ ქორწილში, რასაც შეიძლება რამდენადმე შეუწყვია ხელი, რომ დედასა და მამას ამდენ ხალხში ერთმანეთი აურჩევიათ სწორედ და ერთმანეთის თვალეებში ცქერას შეფიცებიან (თქვენ, მგონი, ახლა ამბობთ, ერთმანეთი დაუბიათო). ხოდა, ბებია და ბაბუა ლესეპი, ორივენი დედისერთა შვილების პატრონები, ერთმანეთისაგან კარგა შორ მანძილზე ცხოვრობდნენ და ამიტომაც არ დაუკარგავთ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარულიც კი. თანაც ხალხისთვის დაკრძალვა სახუმარო ამბავი არ იყო იმხანად. დაკრძალვა და არა სიკვდილი, სიკვდილი გაშინაურებული იყო ჩვენთან, ვერ ნახავდით საგვარეულო მატყანეს, რომელიც გადაჭრელებული არ ყოფილიყო საფლავის ქვების წარწერებით, სადაც შეიძლება სახელიც კი ვერ ამოგეკითხათ მიცვალებულის, იმდენად მსწრაფლწარმავალი ყოფილა მისი წუთისოფელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დედაც ესვენა იმავე საფლავში შვილთან ერთად, რაც იშვიათად როდი ხდებოდა. თუ არაფერს ვიტყვით ქმრებზე, ბიძებსა და დეიდებზე, რომლებმაც თორმეტის, თხუთმეტის, ოცდაათის თუ ორმოცი წლისამ დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე, არც იმ უშვილო ბიძაშვილ-დეიდაშვილ ბაბუებსა და ბებებზე, რომლებიც დაიხოცნენ იმ სახლსა და იმ საწოლში სადაც დაიბადნენ და არა იმ გაქათქათებულ-სტერილურ შენობებში, რომელთა პოეტური სახელწოდებები გვამცნობენ სიცოცხლის დაისს. მაგრამ დაკრძალვა, სამგლოვიარო ცერემონიალი უფრო ბევრს ნიშნავდა, ამ დროს ნათესაური კავშირი ფოლადის მავთულზე უფრო გრძელი ხდებოდა და მნიშვნელოვანი, ვინემ მანძილი ჯეფერსონსა და მექსიკის ყურეს შორის.

ხოდა, ბაბუა და ბებიაც გაემგზავრნენ გასვენებაზე. ამისდა კვალად ცხადი იყო, რაკილა სხვა უახლოესი ნათესავები არ გვყავდა ქალაქში, ჩვენ — მე, ჩემი სამი ძმა და დეიდა კელი — უნდა გავეგზავნეთ ბიძია ზაქარია ედმონდის ფერმაში, ჩვიდმეტი მილის იქით ქალაქიდან, სანამ უკან დაბრუნდებოდა დედ-მამა ოთხის დღის შემდეგ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ბაბუა და ბებია მხოლოდ ოთხ დღეს იკმარებდნენ. რადგანაც ბაბუა ისე არ წასულა ჯეფერსონიდან თუნდაც მემფისში, რომ ორი-სამი დღით არ შეევილო ან გამოევილო ნიუ-ორლეანში, რომელიც ასე უყვარდა. და რახან ასე იყო, შეიძლება დედაცა და მამაც თან წაეყვანა. ეს ამბავი კი იმას ნიშნავდა, რაც უკვე ორჯერ ჭკუამიუტანებლად წამოსცდა ბუნს, რომ ამ ავტომობილის მფლობელები, ანუ ყოველი, ვისაც ასე თუ ისე შეიძლებოდა დაენებებინა ან არ დაენებებინა მისი გამოყვანა და გასეირნება, სამი ასეული მილის იქით იქნებოდნენ ოთხი დღე და შეიძლება მთელი კვირაც. ხოდა, მისი ცდა და მზაკვრობა რო-

გორმე ვეცდუნებინე, თავის დაზღვევა იყო და მეტი არაფერი. ჩემი გულის მოგება თუ მოთაფვლა რომც არ მოესურვებინა, თუ მოინდომებდა, მარტოვაც კარგად წაიყვანდა ავტომობილს და კიდევაც წაიყვანდა, თუკი ნახავდა, გაუჭირდებოდა ჩემი მოსყიდვა, თუნდაც იმთავითვე სცოდნოდა, რამდენიმე დღის შემდეგ უკან დაბრუნებულს, კარგი დღე არ დაადგებოდა. თუმცა უარესი უფრო მერე იყო მოსალოდნელი, როდესაც ბაბუა ჩამოვიდოდა. რადგანაც უნდა დაბრუნებულიყო უსათუოდ. სად უნდა წასულიყო, ან სად უნდა ენახა თავშესაფარი ამ კაცს, ვისთვისაც სიტყვები, სახელები — ჯეფერსონი, მაკ-კასლინი, დე სპეინი, კომპსონი იყო სახელიცა და კარიც, დედაცა და მამაც. მაგრამ მცირეოდენი განსჯის უნარი, რაღაც ჩანასახი საღი აზრისა და ჭკუისა მაინც ჰქონდა და პირველად ჩემი, ასე ვთქვათ, მძევლად აყვანა სცადა. და სულაც არ სჭირდებოდა ჩემი გამოცდა, შემონმება. როდესაც დიდები ლაპარაკობენ ბავშვების უმნიკვლოებაზე, რას გულისხმობენ, არც კი იციან. თუკი მიეძალებით, მაშინ იტყვიან, გულუბრყვილონი არიანო ისინი. მაგრამ არც ესაა სწორი. ყველანაირ დანაშაულზე უფიქრია თერთმეტი წლის ბიჭს. მისი უმნიკვლოება იმდენად არ მომნიჭებულა, დანაშაულით რაიმე სარგებლის ნახვა რომ მოისურვოს და თავიდათავი აქ გულუბრყვილობა კი არა, უფრო უანგარობა უნდა იყოს, ხოლო მისი არცოდნა გულუბრყვილობით კი არ შემოისაზღვრებოდა, არამედ იმით, გამოცდილება რომ აკლია.

მაგრამ ბუნმა ეს არ იცოდა. მხოლოდ ჩემი ცდუნება უნდოდა იმას. დრო კი ცოტა ჰქონდა: მხოლოდ მატარებლის გასვლიდან დაბნელებამდე. ცხადია, შეეძლო გამგზავრება მაშინ, როცა დაწყნარდებოდა, გონს მოვიდოდა, ხვალ ან ზეგ ან რომელიმე დღეს; შეიძლება ოთხშაბათსაც. მაგრამ დღეს ყველაზე კარგი დრო ჰქონდა, რაკილა ჯეფერსონში ყველამ დაინახა მანქანა, ამოძრავებული წასასვლელად გამზადებული. თითქოსდა თავად ღმერთებს მოენიჭებინა ამ კაცისთვის გადასახადისგან თავისუფალი საათები თორმეტის ორი წუთიდან მზის ჩასვლამდე და როგორ უნდა ეთქვა უარი? მანქანა მოვიდა, ბაბუა და ბებია უკვე ჩასხდნენ, დაიდგეს ფეხსაცმლის ყუთი, სადაც ჰქონდათ შემწვარ-მოხრაკული წინილები, მაგრად მოხარშული კვერცხები და ღვეზელი, რადგან სანამ ჩქარ მატარებელზე გადასხდებოდნენ, პირველ საათამდე საკვანძო სადგურში ვაგონირესტორანი არ იქნებოდა; დედამ და ბებიამ კი იცოდნენ, ბაბუა და მამა სწორედაც არ მოიკლავდნენ თავს შიმშილით დღის პირველ საათამდე, რომელი მიცვალებულიც არ უნდა ჰყოლოდათ დასატირებელი. ბებიაც არ იზამდა ამას, დედას გარდა სხვა ვინმე რომ ყოფილიყო დაობლებული. თუმცა ეს არ იყო მთლად სწორი, ბებიას გული უფრო მეტს იტევდა, ვიდრე თავისი რძლის სადარდებელს; შეიძლება იმიტომაც, რომ დედა ქალი იყო, კაცებს კი უჭირთ სიკვდილთან გამკლავება, შეეჭიდებიან, შეებრძოლებიან მოსაგერიებლად და ამ ორთაბრძოლაში კიდევაც ცხვირ-პირს დაილენავენ; ქალები კი ამ დროს გვერდს შემოუვლიან, ნაზად, ბამბასა თუ აბლაბუდასავით გარს შემოენყვებიან, მყისვე თანაარსებობას შესთავაზებენ და ისიც ძალა და არაქათგამოლეული, მოთვინიერებული, სასარგებლოც შეიქნება, ვითარცა უქმრო-უცოლო ბეჩავი ნათესავები, რომლებსაც ცარიელი ადგილების შევსებალა შეუძლიათ ან შემოსწრებული სტუმრების სუფრასთან მიპატიჟება. ჩანთები მათი უკვე მანქანის ორივე ფრთაზე იყო მიბმული, სან-ტომასსაც დედისა და მამის ბარგი ქუჩაში გა-

მოეტანა, ჩვენც ყველანი უკან გამოვყევით. დედას შავი პირბადე ჩამოეფარებინა, მამას კი შავი სამკლაური გაეკეთებინა. ჩვენთან ერთად დეიდა კელიც გამოვიდა, ხელში ალექსანდრე ჰყავდა ატატიებული. ნახვამდისო, გვითხრა დედამ და ყველანი პირბადიდანვე დაგვკოცნა, ისეთივე სურნელი ასდიოდა მას, როგორც ყოველთვის, მაგრამ ახლა რაღაც შეფუფქვი შერეოდა ამ სურნელს, მსგავსი იმ თხელი შავი პირბადისა, რომელიც არც არაფერს ჰფარავდა, თითქოსდა ჩვეულებრივი დეპეშა კი არ მოგვსვლოდა სპილენძის მავთულით სამასი მილის იქით მდებარე ბეი სენტ ლუისიდან, უფრო მნიშვნელოვანი რაღაც; ო, დიახ, სწორედ მაშინ ვიგრძენი ეს სურნელება, როდესაც მან მაკოცა და მითხრა, შენ ახლა უკვე დიდი ბიჭი ხარ, უკვე კაცი, დეიდა კელის უნდა მიეხმარო, შენი ბიძაშვილი ლუიზა არ გააწვალთ იცოდე, — მერე სწრაფად ჩაჯდა ავტომობილში ბებიას გვერდით, აი მაშინ თქვა ბუნმა:

— ავზი უნდა გავავსო, მაკ-კასლინებისას წასასვლელად სადილის მერე. შეიძლება ახლა ლუციუსიც წამოვიდეს და შემეშველოს სადგურიდან უკან დაბრუნების ხანს.

ხედავ, რა კარგად იყო საქმე. იმდენად კარგად, რომ კიდევაც შეგრცხვებოდა. თითქოსდა თავად სათნოებასა და პატიოსნებას გაემართათ თამაში ჩანყობილი კარტით და ბაბუას, ბებიას, დედისა და მამის დასამარცხებლად პირიც შეეკრათ. მართალი თუ გნებავთ, თუნდაც ის ამბავი, რომ ავტომობილები ორი თუ სამი წლის წინ გამოჩნდნენ ჯეფერსონში, ბუნის წისქვილზე ასხამდა წყალს და ჩემსაზეც. ბ-ნი რაუნსუელი, ნავთობის კომპანიის აგენტი, იოკნაპატოფას ყველა წურტს ამარაგებდა ბენზინით, მათი ცისტერნა სადგურის სათადარიგო ლიანდაგზე იდგა და იქ გამართულ ტუმბოსთან ერთი ზანგი ტრიალებდა; ბუნსა და ყოველს, ვინც ბენზინის ყიდვას მოისურვებდა, დიდად არც უნდა შეეწუხებინათ თავი, მანქანას მიიყვანდა, გააჩერებდა, ის ზანგი წამოსწევდა წინა საჯდომს, ავზის მოცულობას შეიტყობდა საგანგებოდ მონიშნული ჯოხით, ავზს გაავსებდა, ფულს აიღებდა ან (თუ ბ-ნი რაუნსუელი იქ არ იმყოფებოდა) გადმოიღებდა გაქონილ დავთარს და ჩაგანერინებდა შენს სახელს და რამდენი ბალონი ბენზინი მიგქონდა. თუმცა ბაბუას თითქმის ერთი წელია რაც ნაყიდი ჰქონდა ავტომობილი, არც იმას და არც ბებიას, არც მამას და არც დედას ერთხელაც არ მოსურვებიათ გაეგოთ, თუ როგორ მუშაობდა მანქანა ან გაებედათ (სულაც ცნობისმოყვარეობის გამო) ბუნისთვის ეკითხათ რამე, ან დაეჭვებულიყვნენ, რას ამბობსო.

ხოდა, ის და მე ბაქანზე დავრჩით, მატარებელი დაიძრა, დედამ სარკმლიდან ხელი დაგვიქნია. ახლა ბუნის დრო დადგა, მას დარჩა ბურთი და მოედანი, მეც იმის ხელში ვიყავი, სანამ დეიდა კელი საგონებელს არ მიეცემოდა, რად დაავიანდა ბიჭსო. მგონი, ბუნმა არც კი იცოდა, რომ დიდად არ უნდა შეეწუხებინა თავი და შეიძლება არც ეთქვა, თუ სად მივდიოდით და სად უნდა მივსულიყავით საბოლოოდ, თუმცა არც ამას ჰქონდა მნიშვნელობა. იგი აქამდე ვერ ჩაწვდომოდა ადამიანის სულის მოძრაობას და, როგორც ჩანს, ისიც დავიწყებოდა, რაც კი იცოდა ოდესღაც ბიჭების შესახებ.

ბუნმა ახლა აღარ იცოდა, როგორ შედგომოდა საქმეს. რასაც იხვეწებოდა, ბედმა კიდევ აუსრულა ყველაფერი, მაგრამ თავგზა აერია და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. შენთვის ალბათ უკვე ნათქვამი აქვთ,

თუ რა ზნეც სჭირს ბედს და როგორ გვაბრუნებს, რას არ გადაგყრის კაცს, კარგსა თუ ცუდს, კარგს უფრო მეტს, ვიდრე მისი აზრით (შეიძლება სამართლიანადაც) კაცი იმსახურებს, და ცუდსაც იმაზე მეტს, ვიდრე მას ამის ზიდვა შეუძლია. ბუნსაც ასე დაემართა, ხოდა, ესლა ამოთქვა, რას იზამო.

ეჩინუნული

მაგრამ მე იმას არ მოვხმარებოვარ, შურის საძიებლად [წაწყაქმ] მჩამართული, ბუნზე კი არა, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე, ან კიდევ დედ-მამაზეც, რადგანაც თავის მოსაჭრელად ასე გამწირეს, ან იქნებ ბაბუაზეც, რომლის ავტომობილის გამოც უნდა მომჭროდა თავი; შეიძლება თავად ბ-ნ ბუფალოზეც, ამ თავდაუზოგავ, შერევილ კაცზე, ღვთის გლახაზე, რომელმაც ასე გულუბრყვილოდ დაიწყო ყველაფერი ამ ორი წლის წინ. მაგრამ ბუნი კი შემეცოდა, რადგან სულ ცოტა დრო ჰქონდა. თერთმეტს გადაცილებული იყო უკვე, დეიდა კელი მელოდებოდა, რომ სადაცაა დავბრუნდებოდი, იმიტომ კი არა, რომ იცოდა, გაიგონებდა თუ არა ქვედა გადასახვევიდან ოცდამესამე მატარებლის კივილს, ათი წუთის მერე სახლში უნდა ვყოფილიყავი, უფრო კი ერთი სული ჰქონდა, ბავშვებს ვაჭმევ და შემდეგ მაკ-კასლინებისას წავალო, სოფელში დაბადებული ქალი ქალაქს ვერ შეგუებოდა. ბუნი მე არ მიმზერდა. ცდილობდა როგორმე არ გამოეხედა ჩემკენ.

— მთელი სამასი მილია, — თქვა მან, — კიდევ კარგი მატარებელი გამოიგონეს, თორემ ჯორებშებმული ფურგონებით მოუხდებოდათ წასვლა ადრინდელივით, ათ დღეშიც კი ვერ ჩავიდოდნენ იქ, არათუ ათ დღეში უკანვე დაბრუნდებოდნენ.

მამამ თქვა, ოთხ დღეშიო, მივუგე მე.

— მართალი ხარ, — მითხრა ბუნმა, ასე აქვს ნათქვამი. ჩვენ იქნებ ოთხი დღე გვაქვს წინ სახლში დასაბრუნებლად, მაგრამ არც ეს არის დიდი დრო.

ავტომობილთან მივბრუნდით და ჩავსხედით. მაგრამ ბუნს მაშინვე არ აუმუშავებია ძრავა.

— შეიძლება, როცა პატრონი დაბრუნდება ათ... ოთხ დღეში, იქნებ მითხრას, ამასაც ასწავლეო ტარება. შენ უკვე დიდი ხარ. თანაც ისედაც იცი. თუ გიფიქრია ამაზე?

— არა, — მე მივუგე, — ვიცი, არ დამანებებს და იმიტომ.

— კარგი, ასე ნუ ჩქარობ. ოთხი დღე გვაქვს წინ, შეიძლება გადაიფიქროს. თუმცა ჩემი აზრით, ათიც კი. — ისევ არ აუმუშავებია მანქანა. — ათი დღე, — დასძინა მან, — როგორ გგონია, სანამდე შეუძლია მისვლა ამ მანქანას ათ დღეში?

— მამამ თქვა, ოთხშიო, — ვუთხარი მე.

— კარგი, კარგი, — მან მომიგო, — ოთხ დღეში იყოს.

— არ ვიცი და რა ვთქვა, — მე ვუთხარი, — არავის უთქვამს ჩემთვის და არც მეტყვის.

— კარგი, კარგი, — თქვა მან და მანქანა უეცრად აამუშავა, უკან დახია, მოატრიალა და გააქანა, მაგრამ არც მოედნისკენ, არც რაუნსუელის ბენზინის წერტისკენ.

— მგონი, ბენზინი უნდა ჩაგვესხა, — ვუთხარი მე.

მთელი სიჩქარით მივდიოდით უკვე. გადავიფიქრეო, თქვა ბუნმა, სადილის მერე ჩავასხამ, მაკ-კასლინებთან წასვლამდე. ასე უფრო ნაკლები

აორთქლდება, სანამ მანქანა ერთ ადგილზე იქნება გაჩერებული. ვინრო გზით მივქროდით, ორივე მხარეს ზანგების ქოხმახები, ბოსტნები და ქათმის შესარეკი ეზოები გვხვდებოდა, გულგახეთქილი წინილები და ქუჩის ძაღლები გარბოდნენ მტვრის ბულით გარშემობურვილები, ბორბლებს რომ დასხლტომოდნენ, უშენ მინდორზე გავედით, მთელი ეს კარგა დიდი ადგილი მანქანის საბურავებით იყო ნახაზი, ჩლიქებზე ნავეფლევო არსად ჩანდა; ვიცანი, ის ბ-ნ ბუფალოს თვითნაკეთი ავტოდრომი იყო. პოლკოვნიკ სარტორისის ბრძანებამ სწორედ აქ ამოაყოფინა თავი ამ ორი წლის წინათ, ბუნს აქ ასწავლიდა ავტომობილის ტარებას. თუ რა ხდებოდა, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ვიდრე ბუნმა მანქანა არ გააჩერა და არ მითხრა, აქეთ გადმოჯექიო.

ხოდა, ასე დამაგვიანდა სადილზე. დეიდა კელი უკვე აივანზე გამოსულიყო ხელში ატატიებული ალექსანდრეთი, და ჯერ კიდევ მანქანა არ გაგვეჩერებინა და გადმოსულები არ ვიყავით, რომ კვილი ატეხა. პატიოსან ბრძოლაში მომიგო საბოლოოდ ბუნმა, რადგანაც მთლად არ დავინწყებოდა საკუთარი ბავშვობა. რალა თქმა უნდა, ახლა უკვე კარგად ვიცი და მაშინაც კარგად ვიცოდი, ბუნისა და ჩემი დაცემა უეცრად და ერთდროულადაც მოხდა სწორედ იმ წამს, როდესაც დედამ დეპეშა მიიღო და ბაბუა ლესიპის გარდაცვალების ამბავი გაიგო. მაგრამ მეც სწორედ იმის დაჯერება მინდოდა, რომ მე ბუნმა დამამარცხა. ასე იყო თუ ისე, მაშინ მჯეროდა, შეუბღალავი, შეუმუსრავი პატიოსნების შარავანდი იცავდა იმ გვარს, რომლის წარმომადგენელიც მე გახლდით. ჩემი წინაპარი მამაკაცების რაინდული სული იყო ჩემი მწე და მშველელი, რაიც ზეპირი გადმოცემით ვიცოდი მამისგან და დედაც დღენიადაგ ნაზი ხმით ამას მეუბნებოდა. ხოდა, ასე გაზრდილი როგორ უნდა ვეცდუნებინე ვინმეს, თავად მე უნდა გამომეცადა ბუნი, საკუთარი პატიოსნება კი არ იყო ჩემთვის თავიდათავი, ის აზრი მამოძრავებდა, შეძლებდა თუ არა ბუნი ჩემს ცდუნებას, მაგრამ თურმე მეტიმეტად თავდაჯერებული ვიყავი და საკუთარი პატიოსნების საჭურვლისა და ფარის იმედი მქონდა; მოველოდი, მტკიცედ მჯეროდა, რომ გამძლე იქნებოდა ეს აბრეშუმით სიფრიფანა ზღუდე. მე ვამბობ, „აბრეშუმით სიფრიფანა-მეთქი“ და ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა, ზუსტი განსაზღვრებაა, რადგანაც თავის დროზე კარგად დავინახე, მეტწილად სიკეთის დამცველები და ისინიც, რომლებსაც პრაქტიკულად მისი ხორცშესხმა უნდათ, თავადვე დიდი ეჭვით ეკიდებიან მის ფარისებრ შეუვალობას და თავიანთ ბედობას სიკეთეს კი არ მიანდობენ, საშველად უხმობენ ხოლმე იმ ღმერთს თუ ქალღმერთს, სიკეთის განმგებლობა რომ აქვს დავალებული; სიკეთეს გვერდს რომ უვლიან, თითქოსდა ამით თავის ერთგულებას ამცნობენ ყოვლის მეუფე ქალღმერთს, მაღლობის ნიშნად კი ამ ქალღმერთმა ცდუნებისგან უნდა იხსნას ან როგორმე აარიდოს მის მძლავრობას. ბევრის ახსნა შეიძლება ამით, თავის დროზე ისიც დავინახე, რომ სიკეთის განმგებელი ის ქალღმერთი ბედის მეუფეცაა და იქნებ უგუნურობისაც.

ხოდა, ბუნმა პატიოსანი ბრძოლა მომიგო, როგორც ჯენტლმენტა წესი და რიგია, ხელთათმანებით, როდესაც ავტომობილი გააჩერა და მითხრა, გადმოჯექიო, მეგონა, ვიცოდი, რატომაც. ჩვენ ეს ადრეც გვექონდა გაკეთებული ოთხგზის თუ ხუთგზის, ბაბუას ნაკვეთზე გასვლისას. ბუნის მუხლებზე მჯდომარე საჭეს ვატრიალებდი, ის მისწორებდა და მანქანა

ნელა მიჰყავდა, ხოდა, მე უკვე en garde* ვიყავი და ის იყო პირი გავალდე იმის სათქმელად, ცხელა და დღეს მუხლებზე ვერ დაგიჯდები, თანაც დროა სახლში დაკბრუნდეთ-მეთქი, უცებ ვხედავ, მანქანიდან გადავიდა, ცალი ხელით კვლავ საჭეს ჩაჭიდებული, ძრავა კი თუხთუხს განაგრძობს, ერთი თუ ორი წამით გარინდებული ვიჯექი და თავი სიზმარში შევტონა. აბა ჩქარა, მითხრა მან, თორემ შეიძლება კელი გამოტყვევს მთელს ქვეყნიდან მკლავში ამოჩრილი ჩვილით და დაგვჭყვივლოსო.

საჭეს მივუჯექი, ბუნი გვერდით მომიჯდა, გადმოემხო, ცალი ხელი ერთ ხელზე დამადო სიჩქარის გადასართველად, მეორე კი მეორეზე და ასე ხან ამანევიინებდა და ხან დამანევიინებდა გაზს. წინ და უკან სიარულს მოვყევით ამ მზის სხივებდაფენილ მინდორზე, ჯერ ცოტათი წინ და მერე ცოტათი უკან, დრო ვისლა ახსოვდა, ბუნიც, ჩემსავით თავდავიწყებითა და გატაცებით მისწორებდა საჭეს (დიდი თამაშისთვის მოეკიდა ხელი, ხომ გესმის), დროიდან ამოვარდნილები, დროის მიღმა მყოფნი ველარაფერს ვგრძნობდით, სანამ სასამართლოს შენობის თავზე ნახევარი მილის იქით საათმა თორმეტი არ დაჰკრა და ისევ უკანვე არ გადმოგვისროლა სიცრუისა და მზაკვრობის სასტიკ სამყაროში.

— გეყოფა, — მითხრა ბუნმა, — აბა სწრაფად, — და არც დაუცდია, ამიყვანა, თავზე გადამატარა და ისე გადამსვა, თავად მიუჯდა საჭეს და მანქანა მინდორზე გააქანა სახლისაკენ. დანაშაულით შეკრული ორი მამაკაცისა იყო ჩვენი საუბარი და ამიტომაც, ცხადია, თანამონაწილეთა, თუმცა კი არა თანასწორთა, ჩემი ბალღური უზაკველობის გამო: ის იყო უნდა მეთქვა, ახლა რა ექნა, ერთი მითხარი-მეთქი, რომ ბუნმა ისევ დამასწრო და კიდევ გამითანაბრდა; ხომ იცი, რაც უნდა ქნა? დრო აღარ გვაქვსო.

— კარგი, — მივუგე, — გასწი, სახლში მანამ უნდა მივიდეთ, სანამ დეიდა კელი არ აკივლდება. — გესმის ახლა, რა მინდოდა მეთქვა სიკეთეზე, და პატიოსნებაზე? ალბათ გაგიგონია. თუ არადა გაიგონებ, რას ამბობს ხალხი ცუდ დროებასა ან ცუდ თაობაზე. ასე არ არის. არც ერთი ეპოქა, კაცთა მოდგმის არც ერთი თაობა არც არასდროს ყოფილა, არ არის და არც იქნება იმდენად დიდი, რომ დაიტეოს უკეთურობა ყოველი მისი მსწრაფლწარმავალი წამისა, ისევე როგორც არ შეიძლება შეისუნთქოს მთელი ჰაერი ამ წამისა. მხოლოდ ამისი იმედი თუ ექნება, შეძლებისდაგვარად ნაკლებად გაისვაროს მასში გავლისას. ვაი რომ სიკეთეს არ შეუძლია, არ ძალუძს ისე იზრუნოს თავისიანებზე როგორც უკეთურობას. იქნებ არცა მაქვს ამის უნარი — ის, ვინც სიკეთეზე თავსა სდებს, ხშირად ჯილდოდ ღებულობს იმ ცივ, უფერულ და უსახურ სუროგატს, რაც არამცთუ ვერ შეედრება ცოდვითა და ნეტარებით მონიჭებულ ბრწყინვალე ჯილდოთ, ახლოსაც ვერ მივა იმ მარადიულ, ცხოველ, მოუდუნებელ, ყოვლის შემძლე ოსტატობასთან, შეუდარებელ ნიჭს რომ გვაძლევს გამოგონებისა და წარმოსახვის და მერე განუხრელად და მტკიცედ რომ მიმართავს უკეთურობა ბაღლის პირველ ნაბიჯებს სიამოვნებათა გზაზე. ო, დიახ, რაოდენ წამოვიჩიტე მას შემდეგ რაც საათმა დაჰკრა ორი წუთის წინ. შემჩნეული მაქვს, როდესაც ბავშვებს დაეტყობათ ნაადრევი მონიფულულობის ნიშნები, პოეტებივით სცრუობენ უფრო მეტად სიამოვნები-

* მზად (ფრანგ.).

სთვის, ვიდრე სარგებლისთვის. აქამდე მეც ასე ვიყავი, თუმცა კი მქონდა გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც იძულებული ვიყავ გამომენახა თავდაცვის საშუალებანი იმათ (ჩემი მშობლების) წინააღმდეგ, ვინც ჩემზე უფრო დიდები და ძლიერები იყვნენ. მაგრამ ასე აქამდე იყო; მაგრამ არა — ახლა. ბუნის ორპირობა მეც გადმომედო და მაღე მისზე უფრო მეტი დამნაშავე გავხდი. რადგანაც (ვგრძნობდი, არა, ვეცოდნენ, ცხადი იყო, ბუნი უკვე ველარც მალავდა) მე უფრო საზრიანი აღმოვჩნდი, და უეცრად ზარზეიმის ისეთმა გრძნობამ ამიტანა, თავად ფაუსტს რომ განუცდია, ჩვენ ორთაგან პირველობა მე მეკუთვნოდა, მე ვიყავი მოთავე, ბატონი და ბელადი.

დეიდა კელი ალექსანდრეთი ხელში უკვე აივანზე გადმომდგარიყო და გადმოგვკიოდა.

— ჩუმად იყავი, — ავძახე მე, — სადილი მზადაა? მანქანა გაგვიტყდა და ბუნმა შეაკეთა. ბენზინის ჩასხმაც ვერ მოვასწარი. შევჭამ და ახლავე წავალთ ავზის გასავსებად.

სასადილო ოთახში შევედი. სადილი უკვე მაგიდაზე იყო, ლესები და მორი შეექცეოდნენ. დეიდა კელის უკვე გამოეწყო ისინი (ჩვიდმეტი მილის იქით უნდა წასულიყვნენ ბიძია ზაქარიასას ოთხი დღით, არადა, ისე გამოეწყო, თითქოსდა მემფისს უნდა სწევოდნენ; არ ვიცი, ასე რად გარჯილიყო, შეიძლება მეტი საქმე არც ჰქონდა, რაც დედ-მამა წავიდა, სადილის გაკეთების გარდა. თანაც მორი და ალექსანდრე წასვლამდე უნდა დაეძინებინა), თუმცა მორის უკვე მოესწრო გულისპირის დასვრა და ხელახლა უნდოდა დაბანა და ჩაცმა.

ყველაზე ადრე მაინც მე მოვრჩი და უკანვე (დეიდა კელი ისევ აკივლდა, სახლში იყო და ხმამაღლა არ გამოუვიდა, რალა თქმა უნდა. მაგრამ მარტოდმარტო და თანაც ზანგის ქალი რას გახდებოდა უკეთურობის წინააღმდეგ) ბაბუას ეზოში გავიქეცი. ნედი, ცხადია, ქალაქში გაიპარებოდა. თუმცა კი სადილად უნდა დაბრუნებულყო. დაბრუნდა კიდეც. მე და ის უკანა ეზოში ვიდექით, თვალმოჭუტული დამაცქერდა. ხშირად, შეიძლება ვთქვათ, ყოველთვის წითლად უელავდა თვალები მელიასავით. რაო, შენ ამათთან არ რჩებიო? — მკითხა მან.

— ბიჭებს დავპირდი, ხვალ უნდა წავყვე სათევზაოდ, კარგი ადგილი უნახავს ერთს.

ნედი თვალს არ მაცილებდა.

— ხოდა, მაკ-კასლინებთან გაუყვები ბუნ ჰოგანბექთან ერთად და უკანვე გამოჰყვები. მაგრამ მისს ლუიზას რალას ეტყვი, ხომ იცი, უკან აღარ გამოგიშვებს, მე თუ წამოვალ, შეგეშველები.

— არ მინდა, — მე ვუთხარი, — როგორმე იოლად გავალ უშენოდ. იმიტომ გეუბნები, რომ იცოდე, სადაც ვიქნები, მაშინ ვერაფერს დაგაბრალებენ. შენი შეწუხება არ მინდა, ბიძია აიკთან დავრჩები. — სანამ სხვები გაჩნდებოდნენ ამქვეყნად, ჩემს ძმებზე გეუბნებით, და დედაჩემი და მამაჩემი სახლში მოსვლას დააგვიანებდნენ, ბებიაცა და ბაბუაც სადღაც იყვნენ წასულები, ჩვეულებრივსამებრ, ნედთან და დელფინასთან. მტოვებდნენ ხოლმე. ხანდახან მათთან ვრჩებოდი ღამითაც, გასართობად. ახლაც შემეძლო იქ მისვლა, მაგრამ რის გულისთვის. ბიძია აიკი მარტოდმარტო ცხოვრობდა ერთადერთ ოთახში თავისი რკინა-კავეულობის დუქნის ზემოთ. თუნდაც ნედს (ან სხვასაც, ვინც ამის გაგებას მოიხურვებდა)

პირდაპირ ეკითხა მისთვის, ვიყავი თუ არა მასთან შაბათ ღამეს, ამასობაში ორშაბათიც დადგებოდა, მე კი მტკიცედ გადავწყვიტე, აღარ მეფიქრა ორშაბათზე. როგორ გგონია, ადამიანებს რომ მომავალი ორშაბათის დარდი ამოეყარათ გულიდან მტკიცედაც, სიკეთეს აღარც მოუხდებოდა ასეთი მძიმე და უმადური სამუშაოს შესრულება.

— ასე ხომ, — თქვა ნედმა, — უჩემოდაც იოლადაც გასვალ. იმდენად თავაზიანი ბრძანდები, რომ ჩემი შენუხება არ გინდა. როცა ატყდება ერთი დავიდარაბა, მაკ-კასლინებთან მოგაკითხავენ და ვეღარ გნახავენ იქ. მამამ ხომ გითხრა, იმათთან მიდიო, — ნედი თვალს არ მაცილებდა, მერე კი, ხი-ხი-ხიო, — ჩაიხითხითა.

— კარგი, — მივუგე მე, — მამას ეტყვი ჩემზე, თქვენ ნახვედით და იმანაც ამ კვირადღეს სათევზაოდ გასწია-თქო. აი დარდი...

— არც არავის ვეუბნები შენზე რამეს, — თქვა ნედმა, — რა ჩემი საქმეა. დედაშენის დაბრუნებამდე ეს კელის საქმეა. მაგრამ რაკი ბ-ნ აიკთან მიდიხარ ამაღამ, მისი საქმე უნდა იყოს, ხომ თქვი, იქ უნდა მივიდეო. — თვალს ისევ არ მაცილებდა, — ბუნ ჰოგანბეკი კი როდის მოვა შენს წასაყვანად?

— სულ მალე, — ვუთხარი, — შენი ბედი, მამასა და კიდევ ბაბუას არ ესმით, იმას რომ ეძახი ბუნ ჰოგანბეკიო.

— მე უფრო მეტჯერ ვეძახი მას ბატონოო, ვიდრე ღირსია, — თქვა ნედმა, — ვიდრე ის იმსახურებს, — დასძინა და ისევე, ხი-ხი-ხიო, — ჩაიხითხითა.

ხომ გესმის? ძალა არ დამიზოგავს, მაგრამ, საუბედუროდ, რა ღონე უნდა მექონოდა გულუბრყვილოსა და გამოუცდელს, დროც არა მექონდა. ბედი, ღმერთები, თუნდაც უკეთურება ყოფილიყვნენ შენი მწე და მშველელნი, დროც უნდა მოეცათ საკმარისი. კიდევ კარგი, ბიძია აიკის ნახვა არ იყო ძნელი შაბათს. მოდი და ჩემთან დარჩი ღამე, მითხრა მან, შეიძლება ხვალ სათევზაოდ წავიდეო, ოღონდ იცოდე, მამამ არ უნდა გაიგოსო.

— არა, სერ, — მივუგე მე, — ამაღამ არ დავრჩები. ნედთან და დელფინასთან წავალ, როგორც ყოველთვის, რაკი დედა არ არის, თქვენ იმიტომ გეუბნებით.

ხომ ხედავ, ყოველ ღონეს ვხმარობდი, რაც შემეძლო ყველაფერს ვაკეთებდი. საბოლოო წარმატების იმედი არ მექონდა-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი, ჩემი აზრით, უკეთურება სულ ტყუილად მცდიდა და შეეძლო ესოდენ აუცილებელი დრო სხვა, მნიშვნელოვანი მიზნებისთვის გამოეყენებინა. უკან, სახლში წამოვედი, ოღონდ არ გამოვექცეულვარ, გაქცეული არავის არ უნდა ვენახე ჯეფერსონში, თუმცა კი ვჩქარობდი. ხომ გესმის, ბუნს მარტოდ ვერ ჩავუგდებდი დეიდა კელის ხელში.

დროზე მივედი. მართალი თუ გნებავთ, დააგვიანეს ბუნმა და იმ ავტომობილმა. დეიდა კელის უკვე ხელმეორედ მოესწრო მორისა და ალექსანდრესთვის ტანსაცმლის გამოცვლა, და თუკი ნასადილევს დაიძინეს, სულ ცოტა ეძინათ. პირველად მოხდა ასე ჩვენს სახლში. ნედი ბრძანდებოდა აქ, თუმცა არ უნდა ყოფილიყო. არა, მთლად სწორად ვერ გამოვთქვი. საკვირველი ის კი არ იყო, აქ რომ მოსულიყო, ჩვენსას ხშირად ნახავდით, არამედ ის, რომ ფაცურობდა, მოხმარებას ცდილობდა, როცა ბებია და

ბაბუა ქალაქში არ იყვნენ. ბარგი გაჰქონდა გარეთ — მოწნული კალათა ალექსანდრეს სახვევებით, ჩემი რალაც-რალაცები ჩანთებით, ლესებისა და მორის ოთხი დღის სამყოფი ტანსაცმელი, სუფრაში გახვეული დეიდა კელის ავლადიდება. ეს ყველაფერი ნედმა ჭიშკართან დაახვავა და ასე უთხრა დეიდა კელის, შეგიძლია შინ დარჩე და ფეხები დაასვენო. ბუნ ჰოგანბექს დროგი დაემტვრა ალბათ და უნდა როგორმე შეაქეთოს. თუ გინდა დილიდანვე მაკ-კასლინებთან წასვლა, ბ-ნ ბელოტს დაურეკე და სან ტომასს გამოგზავნის ეტლით, ხოდა, დავჯდები ზედ და წაგიყვანო ადამიანურად.

თუმცა, როგორც ჩანს, ნედი შემცდარი არ უნდა ყოფილიყო. ორის ნახევარი გახდა (ამ დროს ალექსანდრე და მორი მოასწრებდნენ კიდევ გამოძინებას), ბუნი კი არსად ჩანდა; მორი და ალექსანდრე მოასწრებდნენ კიდევ ერთი ნახევარი საათით წაძინებას; ხოლო ნედმა რომ აღარ გაათავა, ხომ გეუბნებოდით, დეიდა კელიმ ბუნის სახელის ბრუნვა-ხსენებას თავი ანება და ნედს მისდგა, ვიდრე მან არ იკადრა გარეთ გასვლა ვაზის თალარში მოსასვენებლად. დეიდა კელის ის იყო ბუნისა და მისი ავტომობილის მოსაძებნად უნდა გავეგზავნე, რომ ის კიდევაც მოგრიალდა. გავხედე და ენა ჩამივარდა მუცელში. ტანსაცმელი გამოეცვალა. უფრო მეტიც, წვერი გაეპარსა, თეთრი და სუფთა საყულოიანი პერანგიც ჩაეცვა, ჰალსტუხიც არ დავიწყებოდა; როდესაც ავტომობილიდან გადმოვიდოდა ჩვენს ჩასასმელად, შეიძლება ხელზე სერთუკი ჰქონოდა გადადებული, ხოლო ავტომობილთან მისული დეიდა კელი მაშინვე ძარაში მის ჩანთასაც დაინახავდა; თავზარი დამეცა და ბრაზიც მომერია (ბუნზე კი არა), საკუთარ თავზე. უნდა მცოდნოდა, უნდა განმეჭვრიტა, რაკილა (ახლა ამასაც მივხვდი) მთელი ცხოვრება ვიცოდი, გინდაც ბუნთან გქონოდა საქმე და გინდაც ბაღთან და წინასწარ უნდა დამეჭირა თადარიგი. თავიდათავი ის კი არ იყო, ბუნი რომ სრულიად მოკლებული იყო საღად განსჯის უნარს, არამედ ის, რომ ჩემდა სასირცხოვრებ მე ვერ გავითვალისწინე ეს ამბავი და შევძახე, შევუყვირე იმას, ვისაც ბრალს ვდებთ ხოლმე ასეთ წუთებში, ნუთუ არ იცი, თერთმეტი წლის რომ ვარ, მეტი არა. ნუთუ გგონია, თერთმეტი წლისა ამდენს რომ შევძლებ? ნუთუ ვერ ხვდები, ამდენის ზიდვა არ შემიძლია! მაგრამ სულ მალე ბუნზეც გავბრაზდი იმიტომ კი არა, რომ მისმა სირეგვნემ ჩაშალა მანქანით ჩვენი მემფისს გასეირნება (თუმცა კი ჩვენი მგზავრობის ბოლო ადგილი, მემფისი ერთხელაც არ მიხსენებია არც შენტან და არც ბუნთან საუბრის დროს. რატომ მოხდა ასე? მეტი სად უნდა წავსულიყავით? ჩრდილოეთ მისისიპში მართლაცდა კიდევ სად შეიძლებოდა წასვლა? მთლად დაჩაჩანაკებული, სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული ვილაც არსება კი წარმოიდგენდა ან შიშის ზარით დაღანდავდა შორეულ საბოლოო საყუდელს, ოღონდ არა ბუნი და მე). მართალი თუ გნებავთ, იმ წუთას ესლა მსურდა, ნეტავი არასოდეს არაფერი გამეგონა მემფისზე, ბუნსა და ავტომობილზეც; იმ წუთას პოლკოვნიკ სარტორისს დავუჭირე მხარი და მინდოდა ალგვილიყო პირისაგან მინისა ბ-ნი ბუფალოცა და მისი ოცნებაც; გაჯავრებული ვიყავი ბუნზე, რადგანაც მან წიხლი ჰკრა და დაანგრია ვითარცა ბაღში ჩემი ასეთი დავიდარაბით აგებული სიცრუის, ტყუილი დაპირებებისა და ტყუილი ფიცის ხუხულა და წარმოაჩინა ჩემი სხვა ნაყალბევი, რისთვისაც ეშმაკს მივყიდე სული; კიდევ იმისთვის, რომ სააშკარაოზე გამოიტანა ჩემი სიმ-

დაბლუ და არარაობა. მე კი მინდოდა ჩემი პატივმოყვარეობა დამეკმა-
ყოფილებინა ეშმაკთან სარფიანი გარიგებით, სიამოვნებას არ მიველტვო-
დი და არც ცოდვის აკიდებას, ხანდახან ასე თავისდაუნებურად შემვიდო-
ბებიან სიქალწულეს, როდესაც წინდაუხედავად გადადგამენ ხოლმე ნა-
ბიჯს. მერე კი ბრაზმა გადამიარა. აღარაფერი დარჩა, სულ აღარაფერი.
აღარსად წასვლა აღარ მინდოდა. ერთი სიტყვით არსადაც არ მინდოდა
საერთოდ ყოფნა ახლა, ან თუ ამას ვერ შევძლებდი, მაშინ წარსულში
მერჩივნა ვყოფილიყავი, თავს ასე ვეუბნებოდი და კიდევაც მჯეროდა (ვი-
ცი, რომ მჯეროდა, რადგანაც მას აქეთ ათასჯერ გავიმეორებდი, და კვლა-
ვაც მჯერა, და იმედიც მაქვს, ვინემ ცოცხალი ვარ, და მზად ვარ პირში
მივახალო იმას, ვინც მეტყვის, ამას ველარ დაიჯერებო) მე აღარასოდეს
მოვიტყუილებ, სადავიდარაბოა და იმიტომ. გინდა ეს ციქნია და გინდ თუ-
ფშზე დაყრილ ქვიშაში ფრთა ჩავირჭვია. არც არასდროს ექნება ამას
დასასრული. არც მოსვენება გექნება. ვერც ვერაფერს ვახდები საბოლოო-
ოდ. ის ქვიშა არ დაგანებებს ამას, მორჩა და გათავდა.

მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. ბუნი უსიტყვოდ გადმოვიდა მანქა-
ნიდან. ნედი უკვე აწყობდა იქ კალათებს, ჩანთებსა და ფუთებს. პირ-
ქუშად ჩაიხითხითა, ხი-ხი-ხიო. მერე კი ასე დასძინა, წადით ბარემ და,
თუ დაიმტვრევით, დროზე მოასწრებთ შეკეთებას და გათენებამდე უკან-
ვე, ქალაქში დაბრუნებასო. მერე კი ბუნს მიუბრუნდა და უთხრა, შენც
უკანვე დაბრუნდები ქალაქში, სანამ წაბრძანდებიო.

ბუნმა ჰკითხა, სად წავბრძანდებიო?

— სადა და სავახშმოდ, — მიუგო ნედმა, — სად მიდის ჭკუათამყო-
ფელი კაცი მზის ჩასვლის ხანს?

— ჰოო, — თქვა ბუნმა, — შენ შენი ვახშმის დარდი გქონდეს. სხვის
ვახშამზე რას დარდობ.

ჩავსხედით და გავსწიეთ. მე და ბუნი წინ ვისხედით, დანარჩენები
უკან. შაბათის ხალხმრავალი მოედანი გავიარეთ და ქალაქგარეთ გავედით.
ვითომდა კი გავედით, მაგრამ სულაც არ წავწვულვართ წინ. კი მივალთ
იმ გადასახვევთან, საიდანაც ბიძია ზაქარიასკენ მიმავალი გზა იწყება,
მაგრამ ეს სულაც არ არის ის მიმართულება, რომელიც ჩვენ გვჭირდება.
თუნდაც იქით ვქნათ პირი, სადაც გვინდა, თავისუფლები მაინც არ ვი-
ქნებით, ვინემ უკან გვისხედან დეიდა კელი, ლესეპი, მორი და ალექსან-
დრე. მხოლოდ ნედი მოგვწყდა თავიდან, მაგრამ ვინ იცის, იქნებ საიდან-
ღაც გამოტყვრეს, ხი, ხი, ხიო, რომ გვითხრას, ხომ დაბრუნდებითო უკან,
ქალაქში. ბუნს ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის და მეც იმისთვის,
ერთხელაც არ გამომლაპარაკებია, გრძნობდა, რომ დამაფრთხო იმ თავისი
სუფთა პერანგით, საყელოთი, ჰალსტუხით, გაპარსული პირით დღისით,
მზისით, და ასე გამოწყობილი თითქოსდა გვამცნობდა, მივდივარ, გშორ-
დებითო. იმასაც გრძნობდა, მხოლოდ შეშინებული კი არა, განრისხებუ-
ლიც ვიყავი, შიშმა რომ ამიტანა. მივდიოდით ასე ამ შუადღის მზის სხი-
ვებით დაფენილ გზაზე, კიდევ ჩვიდმეტი მილი გვექონდა გასავლელი და
მანამდე უნდა გადაგვეწყვიტა, რა გვექნა და რა გაგვეკეთებინა. უკან
გვრჩებოდა მაისის ხასხასა მინა, მტვრის ბული მოიხვეოდა, მოგვეყვებოდა
და სიჩქარის შენელების ხანს ჯდებოდა, როდესაც ხიდს ან ქვიშნარს ვუ-
ახლოვდებოდით. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გალუულიყო ეს ჩვიდმეტი
მილი მიუხედავად იმისა, რომ ჩვიდმეტი მილი იყო. საგზაო ბოძები ქრე-

ბოდა ერთი მეორის მიყოლებით, სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა ის წამი, როცა უნდა მცოდნოდა, რის გაკეთებასაც ვაპირებდი. მე კი არ ვიცოდი არაფერი ან ვინმეს ეთქვა რალაც მაინც, სიტყვა დაეძრა, ხმა ამოელო, თუნდაც უკეთურებას რაც უნდა ის საზღაური მოეთხოვა მერე, მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო მარტოობა, დუმილი, დაბნელება ბუნმა სცადა რალაცის გაკეთება, იქნებ სიჩუმის ბრალი იყო ~~სიტყვა~~ იქნებ უჯობდა არა დუმილი თუნდაც ბრიყვული და იმთავითვე დასამარცხებლად განწირული. მაგრამ არა, საქმე ის იყო, ნახევარი გზა გავიარეთ უკვე და რალაც უნდა გაგვეკეთებინა, დაგვეწყო, დავძრულიყავით.

— ნუ იტყვი, ისეთი გზაა, იოკნაპატოფას იქითაც ასეა. კაცი ვერც ნახავს უკეთეს გზას მანქანისთვის, ვთქვამთ, დაკრძალვაზე თუ მიემგზავრები. როგორ ფიქრობ, დალამებამდე სადამდე მივალთ?

ხომ ხედავ? არც არავის მიმართა იმ კაცივით, ვინც წყალში ფართხალებს და სასონარკვეთილს ხელი ამოუშვერია, ხავსს ეძებს მოსაჭიდეზღად. მაგრამ ბუნმა ველარც ხავსი ნახა.

— არ ვიცი, — წარმოთქვა უკან მჯდომარე დეიდა კელიმ, ალექსანდრე მკლავზე გადაეწვინა. ქალაქიდან რაც წამოვედით, სულ ეძინა, ჩვიდმეტი მილი კი არა, ერთ მილზეც გამოსეირნება არ დაუმსახურებია, — და შენც ვერაფერს გაიგებ, თუმცა კი სულ მანქანას უტრიალებდი პატრონის უკანა ეზოს ფარდულში ბოქლომით ჩაკეტილს.

თითქმის მივალწიეთ ადგილს.

— ხოდა, შენც გინდა, — მხოლოდ ჩემს გასაგონად გამოსცრა კბილებში. ბუნმა, პირდაპირ მარჯვენა ყურში დამიმჩინა ვითარცა ტყვია ან ისარი, ან დაკეტილ სარკმელს პეშვით სილა.

— ხმა ჩაიწყვიტე, — ზუსტად ისევე მივუგე მე. ყველაზე ლაჩრული იქნებოდა მეთქვა მისთვის, გაჩერდი-მეთქი, მაშინვე მანქანიდან გადმომხვტარიყავი და გავქცეულიყავი. დეიდა კელის კი ალექსანდრე მიეჩეჩებინა ბუნისთვის ხელში და ბურჩებში გამომკიდებოდა ან ალექსანდრე უფრო მაგრად მიეხუტებინა და კივილს მოჰყოლოდა, ბუნი მაშინ ალბათ გზას გააგრძელებდა, სახლთან გადმოსხამდა მათ, მე კი ისევ გზაზე გამოვხტებოდი, ისევ ჩავჯდებოდი მანქანაში, როდესაც უკან, ქალაქისკენ გამოსწევდა ან სულ სხვა მიმართულებით, სადაც აღარ შევხვდებოდი იმათ, ვინც ხელს მტაცებდა და თავისუფლებას წამართმევდა, ლაჩრისა იყო ეს არჩევანი და არ ვიცი, რად არ ვქენი ასე, მე ხომ უკვე ტყუილების გუდა ვიყავი, ცრუპენტელა, და რატომღა უნდა გავჩერებულიყავი, არ გავმხდარიყავ მშიშარა და საბოლოოდ არ დამეღუპა თავი ფაუსტივით. თავს სიმდაბლის გვირგვინი დამედგა, ჩემი ახალი ბატონი მეიძულებინა პატივისცემით მომქცეოდა, თუნდაც რომ შევზიზღებოდი ასეთი გულნამცეცობის გამო. მაგრამ ეს არ ვქენი. და არც მოხდებოდა ასე, რადგანაც ერთი ჩვენთაგანი მაინც უნდა ყოფილიყო პრაქტიკული ჭკუის. ვთქვამთ და ბუნი და მე კარგა შორს წავსულიყავით, ვიდრე დეიდა ლუიზა ვინმეს გააგზავნიდა მინდორში ბიძია ზაკის წამოსაყვანად, ის თესვის დროს ყოველთვის დღის სამ საათზე იმყოფებოდა ხოლმე მინდვრად, და თუ ბიძია ზაკი ცხენით ველარ წამოგვეწეოდა... თუმცა არც იზამდა ამას, პირდაპირ ქალაქში გაჰქუსლავდა და საკმარისი იქნებოდა წამითაც ენახა ნედი და ბიძია აიკი, რომ უკვე სცოდნოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო, და კიდევაც იზამდა ამას, ტელეფონსა და პოლიციას მოიშველიებდა.

ჩვენ ჩამოვედით. გადმოვძვერი და ჭიშკარი გავალე (ბოძები ბებერი კუინტუს კეროზერხის დროინდელი იყო; შენმა ბიძაშვილმა კეროზერხმა კი ეს შესასვლელი ისე მოაწყო, რომ საქონელი ვერ შევიდოდა, მაგრამ ავტომობილს კი შეეძლო, უჩლიქებო იყო და არავინ დაუშლიდა). სახლისკენ გავსრიალდით ვინრო გზით (ახლაცაა ეს ოროთახიანი ქველურის სახლი, ხვრელები თიხით აქვს ამოლესილი; ეს სანახევროდ ხანგრძლივად და სანახევროდ ციხე-სიმაგრე ბებერ ლუციუსს აუგია 1813 წელს, როდესაც თავისი მონებითურთ კაროლინას მთები გადმოუვლია; ახლაც დგას შიგ ეს სახლი ფიცრებქვეშ, ედმონდსების რამდენიმე თაობის ცოლების ხელით მოჩუქურთმებული ამერიკული ნეოკლასიციზმის ყაიდაზე, ასეთ ჩუქურთმებს იმხანად გემის ბანზე გამართული საყუდრების ქვეშაც ნახავდით.)

მამიდა ლუიზამ და ყველამ ვინც იქ იყო, ჩვენი მოახლოება შორიდანვე გაიგონეს (შეიძლება გარდა იმათი, რომელთა დანახვაც ეზოში ცხენზე ამხედრებულ ბიძია ზაკს შეეძლო), ხოდა, წინა აივანზე, კიბის საფეხურებზე და ეზოში გამოფენილიყვნენ, როდესაც მივედით და გავჩერდით.

— კარგი, — მითხრა ბუნმა ისევ ისე ტუჩების გაუნძრევლად, — ესე იგი, გინდა.

რადგანაც, როგორც ახლა ამბობთ, მორჩა და გათავდა, დრო იმას აღარ ჰქონდა და საშუალება პირისპირ გამომლაპარაკებოდა, თუნდაც გადმოკრული ნათქვამით გაეგო ის, რის გასაგებად სულსაც არ დაიშურებდა; ჩვენ — ისა და მე — მოყვარულებიც კი არა, უარესნი, ახალბედანი ვიყავით, გესმის, ბაღლებივით, ჩვილებივით გამოუცდელნი მანქანის ქურდები, თუმცა ჩვენთაგან არც ერთი ქურდობას არ დაარქმევდა ამას, რაკილა უკანვე უნდა დაგვებრუნებინა მთელი და უნაკანრო, თუნდაც ხალხსა და ქვეყნიერებას (ჯეფერსონსაც კი) არ გავხსენებოდით და არ მოვეკითხეთ. თუნდაც რომ ის შემკითხვოდა და მე მეპასუხა. რადგანაც მე უფრო ცუდ დღეში ვიყავი, ვიდრე ის; მართალია, ორივეს დიდი გასაჭირი გვადგა, მაგრამ სად იმისი და სად ჩემი, რაკი მე რაღაც უნდა მელონა და სასწრაფოდაც, ორიოდ წამში, იმას კი შეეძლო მჯდარიყო მანქანაში საჭეზე ხელდაბჯენილი. რა მექნა არ ვიცოდი, იმდენი ტყუილი მქონდა ნათქვამი, ჩემი თავისვე თავად მიკვირდა, რაც მთავარია, იმათაც სჯეროდათ ჩემი, ანუ იძულებულნი იყვნენ დაეჯერებინათ და ისე ადვილადაც, რომ ამან გამაოცა და შიშმა შემიპყრო. იმ ბებერი ზანგივით ვიყავი, ვისაც ასე უთქვამს: „შენ წინაშე ვარ, ღმერთო, და თუ ჩემი გადარჩენა გნებავს, ვერც ნახავ ამაზე უკეთეს შემთხვევას, რამეთუ აქ ვარ და ვუმზერ შენს მუუფებას“. ჩემი ისარიც გავტყორცნე და ბუნისაც. და თუკი რომელიმე ჩვენთაგანის სულს კვლავ უკეთურება მოისურვებდა, ახლა მისი სვლის ჯერი იყო.

და კიდევ გააკეთა სვლა ანუ გამოგვეცხადა ბიძია ზაქარია ედმონდსის სახით. სწორედ ამ წუთას გამოვიდა სადარბაზოს კარიდან და სწორედ ამ წუთას დავინახე, ერთი ზანგის ბიჭი იდგა ეზოში და ხელში მისი ცხენის აღვირი მოემარჯვებინა. გესმის, ზაქარია ედმონდსი, კაცი, რომელიც არც არავის უნახავს ჯეფერსონში სამუშაო დღეს მარტის თვიდან, როდესაც თესვა იწყებოდა, ივლისის თვემდე, როდესაც მოსავლის აღება მთავრდებოდა, ახლა ქალაქში იყო ამ დილას (სასწრაფო საქმე ჰქონდა წისქვილში მოსაგვარებელი) და ბიძია აიკის დუქანთან იდგა, ერთი საათი თუ ცოტათი უფრო მეტი საკმარისი გამოდგა ბუნის გასაპარსავად და პერანგის

გამოსაცვლელად, ამ დროს კი ბიძია ზაკმა მოასწრო ცხენით სახლში მოსვლა და თავის ეზოში ჩამოხდომა სწორედ იმ წუთას, როდესაც ჩვენ მანქანით მივგრივდით. დამიძახა, შენ აქ რას აკეთებ? აიკმა შიშნა, ამალამ ქალაქში უნდა გაათიოსო. შენი წაყვანა უნდა ხვალ სათევზაოდო.

რალა თქმა უნდა, მაშინვე წივილ-კივილი ატეხა დედამ და პასუხის გაცემა აღარ მომიხდა, თორემ რა უნდა მეთქვა? სათევზაოდო, გაჰკიოდა ის, კვირადღესო? ერთი კი მამამისს ეს გაეგონა და მატარებლიდან გადმოხტებოდა, დეპეშასაც არ გამოაგზავნიდა, ისე! დედამისიც ამას იზამდა! მისს აღისონმა აუკრძალა მას ქალაქში დარჩენა ბ-ნ აიკთან თუ სხვასთან! შენ და ბავშვებთან ერთად წამოვიდეს, და თუ არ დაგიჯერებს, მაშინ ბიძია ზაკს უთხარიო!

— დაიცა, დაიცა, — თქვა ბიძია ზაკმა, — თავზე ნუ დამკივი. რას მეუბნება, ვერ გავიგონე, იქნებ გადაიფიქრა, ასეა?

— სერ? — მე მივუგე, — დიახ, სერ, უფრო სწორად, არა, სერ.

— რაო? რას ამბობ? აქ დარჩები თუ ბუნს გაჰყვები უკან?

— დიახ, სერ, უკან დავბრუნდები. ბიძია აიკმა დამიბარა თქვენთვის მეკითხა, — ვთქვი ეს და იმწუთასვე ისევ აკივლდა დეიდა კელი (თუმცა არც შეჩერებულა, მხოლოდ ერთი წამით სული მოითქვა, შეიძლება სწორედ იმწუთას, როდესაც ბიძია ზაკმა მიაძახა, გაჩერდიო), ხოდა, კიოდა და კიოდა, ბიძია ზაკი კი თავისას გაიძახოდა.

— გაჩერდი, გაჩერდი-მეთქი, ნუ დამაყრუე, თუ აიკი ხვალ არ გამოგიგზავნის, ორშაბათს თავად ჩამოვაყვანინებ.

მანქანას მივაშურე, ბუნს უკვე მოესწრო მისი ამუშავება.

— ჯანდაბას ჩემი თავი, — თქვა მან, თუმცა კი ხმადაბლა, დიდი პატივისცემით, მოწინებითაც.

— ნავიდეთ, — მე ვუთხარი, — ჩქარა ნავიდეთ აქედან.

ჭიშკრისკენ მივსრიალებდით, სწრაფად და თანდათან ვუმატებდით სიჩქარეს.

— შეიძლება ტყუილად დროს ვკარგავთ, ავტომობილით გასეირნებაა და მეტი არაფერი, — თქვა მან, — სულ ტყუილად მოგაცდინე, მგონი. სჯობს ფული გაგვეკეთებინა.

წამოდი-მეთქი, ვუთხარი ასე, რადგან როგორ უნდა მეთქვა მისთვის, გული მერევა, აღარ შემიძლია ამდენი ტყუილები-მეთქი. ვინაიდან ვიცოდი, უკვე მიმხვდარი ვიყავი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და გაუთავებელი იქნებოდა, დაუსრულებლივ გაიბერებოდა ჩემი ტყუილების გუდა, ძველის გასამართლებლად სულ ახალი და ახალი უნდა მეთქვა, ისე რომ ის ძველიც, უკვე, ფერგასული და გახუნებული, მოცილებული არ მექნებოდა.

ქალაქს ვბრუნდებოდით. ამჯერად ჩქარა მივდიოდით და თუკი გარშემო იყო ბუნების სურათები, ჩვენთვის, ვინც ავტომობილში ვისხედით, გინდ ყოფილიყო და გინდ არა. ხუთი საათი იქნებოდა მალე. ბუნმა წარმოთქვა დაძაბულად, მტკიცედ, თუმცა კი მშვიდად:

— ცოტათი უნდა გავაგრილოთ, ქალაქში დაგვინახეს, მთელი საბავშვო ბაღი მიგვყავდა მაკ-კასლინებთან, ახლა კი უკან ორნილა ვბრუნდებით, ხოდა, ამას იფიქრებენ, პატრონის გარაჟში დააყენებდნენ მანქანას. მერე კი ცალკ-ცალკე უნდა გვნახონ ჩვენთვის რომ დავსეირნობთ და არსადაც არ ვაპირებთ წასვლას. — აბა ამის მერე როგორღა უნდა მეთქ-

ვა: არა, ახლაც წავიდეთ. თუკი ტყუილი უნდა ვთქვა კიდევ, სჯობს უცხოთ ვუთხრა. ის კი განაგრძობდა, — მანქანა... რაო, რა თქვა მან, სანამ ნახვალთ, ქალაქში თუ ინებებთ დაბრუნებასო?

— რაო? ვინ თქვა?

— ნედმა. მაშინ, ქალაქიდან რომ მივდიოდით.

— არ მახსოვს, — მივუგე, — მანქანას კი რა ვუყუთებ?

— სადმე უნდა დავტოვოთ. მანამდე კი მოედანზე ვიხეტივალე, შენც სახლში მიხვალ ტანსაცმლის გამოსაცვლელად და კიდევ სხვა რამის წამოსაღებად. მთელი ბარგი-ბარხანა მაკ-კასლინებთან გადმოვტვირთე, ხომ გახსოვს, შენიც. მგონია, ასე სჯობს, თორემ შეიძლება ვინმე ყალთაბანდი სიარულს მოჰყვეს წინ და უკან სახლთან, იქნებ რამე დავინახო.

ორივემ ვიცოდით, ვინც იყო ის ყალთაბანდი.

— მოდი ეტლების სადგომში ჩავკეტოთ.

— იმის კასალები არა მაქვს, — მითხრა მან, — მარტო ბოქლომი. პატრონმა გამომართვა კასალები ამ დილით, ბოქლომი გახსნა და მერე კასალები შესანახად ბ-ნ ბელოტს მისცა, შენ გქონდეს, სანამ დავბრუნდებიო. მე კი ავტომობილი თავის ადგილას უნდა დავაყენო, როგორც კი მაკ-კასლინებიდან მოვბრუნდები, ბოქლომი უნდა ჩავკეტო, ის უგასალებოდ იკეტება. პატრონი კი ბ-ნ ბელოტს დეპუშას გამოუგზავნის, ამა და ამ დროს ჩამოვდივარ, უნდა დავხვდე.

— მაშინ უნდა გავბედოთ და ეგ არის, — ვუთხარი მე.

— ჰო, უნდა გავბედოთ. პატრონი და მისს სარა წასულები არიან, დელფინაც კი ვერ ნახავს მას ორშაბათ დილამდე.

ხოდა, გავბედეთ კიდევაც. ბუნმა ეტლების სადგომში შეიარა, სადღაც ზემოდან გადმოიღო გადამალული ჩანთა და ქურთუკი, მერე ხელით ჩამოსწია ბრეზენტი და ჩანთა და ქურთუკი მანქანის უკანა საჯდომზე დააგდო. ბენზინის ავზი გამზადებული ჰქონდა. სულ ახალთახალი იყო, ხუთგალონიანი, ბაბუამ ისე გააკეთებინა იმ მეთუნუქეს, ვისაც ხელსაწყოების ყუთი დაუკვეთა, ავზს სუნი აღარ ასდიოდა; ბებიას არ სიამოვნებდა ბენზინის სუნი. მანამდე ეს ავზი ჩვენ ერთხელაც არ გამოგვიყენებია, რადგანაც მანქანა შორს ჯერ არსად არ წაუყვანიათ. ძაბრი და ნატის ფილტრი უკვე გვეწყო იმ ხელსაწყოების ყუთში დომკრატთან და ქანჩთან ერთად, თავიდანვე რომ მოჰყვა მანქანას, გვექონდა კიდევ ფარანი, ცული, ნიჩაბი, ეკლიანი მავთულის გორგალი და ჯალამბარი, ბაბუამ რომ დაამატა, არც თუნუქის ვედრო დავინწყებოდა რადიატორში წყლის ჩასასხმელად, თუკი წყაროსთან ან გუბესთან გავლა მოუხდებოდათ. ბუნმა ის ავზი (სულ გავესო, შეიძლება ამიტომ შეაგვიანა მობრუნება) უკანა საჯდომზე დადგა, მერე ბრეზენტი აიღო, თუმცა სულ არ გაუშლია და ისე დააგდო, რომ დამალული რაც ჰქონდა, არაფერი არ გამოჩენილიყო.

— შენი რამერუმეებიც იქ შევაგდოთ, — თქვა ბუნმა, — მაშინ ეგონებათ, ბრეზენტის დაკეცვა დაზარებიათო... ახლა კი სახლში წადი, სუფთა პერანგი წამოიღე, პირდაპირ აქ მოდი და დამიცადე. მეც მალე მოვალ, მოედანზე გავივლი ერთხელ, იქნებ აიკმა რაღაცების გამოკითხვა დამინდოს. ხოდა, მერე წავიდეთ კიდევაც.

ჭიშკარი დავკეტეთ, ბუნს უნდოდა ბოქლომის ჩამოკიდება, მაგრამ

მე ვუთხარი, არ — არც კი ვიცი, რატომ ვუთხარი, — ალბათ ბოროტებამ კარგა მაგრა იჯეჯილა ჩემს სულში, — ჯიბეში ჩაიდე-მეთქი.

ბუნი მიხვდა თუ რატომ, და ასე მითხრა:

— მართალი ხარ, ეშმაკმა დასწყევლოს, ამდენი გაგვიკეთებია და სულაც არ გვჭირდება, ვილაც გამოტყვევებს, ვისაც ეგონება დაკეტვა და ვინცეზიან და თავად დაკეტოს.

სახლში წავედი, სწორედ ქუჩის გადაღმა რომ იდგა, ახლა იქ ბენზინის სადგურია, ბაბუას სახლი კი მრავალ ბინად არის დაყოფილი, მობინადრეები აქ დიდხანს ვერ ძლებენ. სახლში არავინ იყო და რა თქმა უნდა არც დაეკეტათ, რადგანაც იმ დროს ჯეფერსონში არავინ არ კეტავდა სახლს. ექვსი საათი ახალი დაწყებული იყო, მზე ჯერ კიდევ კარგა ხანს არ ჩავიდოდა, თუმცა დღე უკვე გალუღიყო, გათავებულიყო; ჩუმი და ცარიელი სახლი სულაც არ იყო უკაცრიელი, თითქოს უჩინარი სულები ტრიალებდა აქ. უცებ დედა მომინდა. შეჩერება მინდოდა, ყელში ამომსვლოდა თავნებობა, იქ მიბრუნება მინდოდა, სადაც არ იყო საფრთხე და სადაც ვერ ვიზამდი იმას, რომლის ქმნაც ავტომობილის ქურდობას ნიშნავდა, მაგრამ გვიანლა იყო. არჩევანი უკვე გაკეთებული გვექონდა, სატანისთვის მიმეყიდა სული რაღაც ოსპის შეჭამანდისთვის და კიდევაც უნდა შეხვრიბა ეს შეჭამანდი; განა ბუნმა არ მომაგონა, თითქოსდა განჭვრიტა კიდევ ეს ჩემი სისუსტე და მერყეობა ამ გამოცარიელებულ სახლში და ასე გამაფრთხილა ამდენი გაგვიკეთებია და ან რა გაგვაჩერებსო.

ჩემი ჩასაცმელი — სუფთა პერანგები, შარვლები, წინდები, კბილის ჯაგრისი, — ყველაფერი მაკ-კასლინებთან წაიღეს. ცხადია, კიდევ ბევრი იყო დარჩენილი იმ ჩემს ყუთში გარდა კბილის ჯაგრისისა, რომელიც, თუნდაც ნაძლევზე ჩამოვიდოდი, დედის არყოფნის დროს არც არავის გაახსენდებოდა, არც დეიდა კელისა და არც მამიდა ლუიზას. მაგრამ ჩასაცმელი არაფერი არ წამომიღია იმიტომ კი არა, რომ დამავინწყდა, წამოღება არ მინდოდა. სახლში მხოლოდ შევედი, კარის უკან ვიდექი კარგა ხანს, რათა თავი დამერწმუნებინა, ჩვენ ორთაგან ფარხმალს უთუოდ ბუნი დაყრის-მეთქი. მერე გამოვედი, ქუჩა გადმოვჭერი, ბაბუას უკანა ეზო გადმოვიარე და საჯინიბოსკენ გავსწიე. თუმცა არც ბუნს დაუყრია თურმე ფარხმალი. იქ მისულმა გავიგონე ძრავის თუხთუხი. ბუნი უკვე საჭეს მისჯდომოდა და, მგონი სიჩქარეშიც ჩაეგდო.

— სუფთა პერანგი რად არ წამოიღე? — მითხრა მან, — კარგი, მემფისში გიყიდი. დაჯექი და წავიდეთ, — უკანა სვლით გამოვიდა ფარდულიდან. კარზე ისევ იყო დაკიდებული ღია ბოქლომი. შემოდიო, და მის დასაკეტავად ნუ გაჩერდები, მითხრა, უკვე გვიანიაო.

არა-მეთქი, მე მივუგე. თუ რატომ, მაშინაც ვერ ვიტყოდი: ბოქლომი დაკიდებული იყო და ურდულიც გადარაზული. ისე გეგონებოდათ, მანქანა შიგნით დგას თავისთვისო თუმცა ან იქნებ ასეცაა, იქნებ სიზმარში ვარ და ხვალ დილით, რომ გავიღვიძებ იქნებ სულაც ახლა, ერთი წამის მერე, გადარჩენილი აღმოვჩნდე, აღარაფერი მიჭირდეს. ხოდა, კარი მივხურე, ბოქლომიც ჩაკეტე, ბუნს ჭიშკარი გავუღე და ისიც მივხურე. მანქანაში რომ ავძვერი, ის უკვე დაძრული იყო, იქნებ სულაც არ გაჩერებულა.

— უკან თუ წავალთ, მოედანს გვერდით ჩამოვიტოვებთ-მეთქი, ვთქვი მე. მან კი კვლავ ასე მომიგო:

— ახლა უკვე გვიანია. მეტი რაღა შეუძლიათ, აკივლდებიან, — მაგრამ არც არავინ აკივლებულა. მოედანი უკან დაგვრჩა და მაინც არ იყო დაგვიანებული. საბოლოო გადანყვეტილება ერთი მილის იქით გახდებოდა ცხადი, იქ, სადაც მემფისისაკენ მიმავალ გზაზე გადასახვევი იწყებოდა მაკ-კასლინებისკენ, სადაც შემედლო მეთქვა სდექ. უნდა ჩავიდე და ის კიდეც იზამდა ამას. უფრო მეტიც, შემედლო მეთქვა გადავიდეთ იქვე მაკ-კასლინებთან ჩამიყვანე, ვიცოდი, ამასაც შემისრულებდა. მერე უცებ თავში გამიელვა, ასე რომ მეთქვა მივტრიალდეთ, ბ-ნ ბელოტს გამოვართმევ ვასალებს, მანქანა უკანვე ცარაჟში ჩავკეტოთ. პატრონმა ხომ ასე იცის, რომ ახლა იქ დგას ამასაც იზამდა. უფრო მეტიც, მას უნდა ასე ვუთხრა, უხმოდ მევედრება კიდეც ამას; ორივენი შეძრწუნებულები ვართ მისი პირადი უგუნურობის გამო კი არა, არამედ ორივემ ერთდროულად თავზე როგორ ავიღეთ ხელი. ხოდა, ბუნმა იცის, თავს თავად ვერ მოთოკავს, ძალა არ ეყოფა, ჩემი ძალა და პატიოსნება უნდა მოიშველიოს. გესმის? უკეთურობაზე რა გითხარი? თუკი ადგილებს შევუცვლიდით ყოველივეს და ბუნს ხმის ამოუღებლად ვანიშნებდი, გავტრიალდეთ-მეთქი, მაშინ მე მხოლოდ მის პატიოსნებასა და თანაგრძნობაზე ვიქნებოდი დამოკიდებული, მაგრამ ის, ვისაც ბუნი სთხოვდა, ჯერ კიდეც არ იყო სიკეთითა და გულმონყალებით დაჯილდოებული.

ხოდა, ამიტომაც აღარაფერი ვთქვი, გადასახვევი — ჩემს გადასარჩენად გამონვდილი ულონო ხელი — გაქრა და წარიხოცა, აღიგავა კიდეც. მე ვთქვი, კარგი, ასე იყოს, მოვდივარ. ბუნმა შეიძლება გაიგონა, რადგანაც მისთვის ჯერ კიდეც პატრონი ვიყავი. ასე იყო თუ ისე, ჯეფერსონი ჩამოიტოვა, რაც უნდა იყოს, სატანა მაინც შველის თავის ერთგულთ; ხოდა, ასე მითხრა:

— ისე კი რისი უნდა გვეშინოდეს, იქნებ ჯოჯოხეთის ლელესი, მაგრამ ჯოჯოხეთის ლელე ჩვენ ველარაფერს დაგვაკლებს.

— მერედა ვინ ამბობს, დაგვაკლებსო? — მე ვუთხარი. ჯოჯოხეთის ლელე ხუთი მილითაა დაცილებული ქალაქს და მთელი ცხოვრება ისე ჩაუქროლებ, შეიძლება არც კი იცოდეს რა ჰქვია. მაგრამ ვინც მაშინ მასზე გადადიოდა, იმათ კი იცოდნენ. ხის ხიდი კი იყო იმ ლელებზე, ოღონდ იქ მისასვლელად შუა ზაფხულშიაც ტალახით სავსე ორმოებით უნდა გველო.

— მერედა მე რას გეუბნები, — ბუნმა თქვა, — დიდი არაფერია-მეთქი. მე და ბ-მა უორდუინმა ისე გადავიარეთ ამ ერთი წლის წინ, რომ ჯალამბარი არც კი მოგვიშველებია, ცული და ნიჩაბილა დაგვჭირდა. ბ-ნმა უორდუინმა გამოართვა ვილაცას იმ სახლში, ნახევარი მილის იქით რომ არის და, მგონი, უკან აღარც მიუტანია. შეიძლება ის კაცის თავად მოვიდა და უკან წაიღო მეორე დღეს.

თითქმის სწორი გამოდგა, პირველი ტალახი ჩამოვიტოვეთ და ხიდიც გადავიარეთ. მაგრამ მეორე ლაფმა აღარ გაგვატარა. მანქანა შეძაგდაგდა ერთხელ, მეორედ, გადაიხარა და ველარ დაიძრა. ბუნს დრო არ დაუკარგავს, ფეხსაცმელები წაიძრო (დამავინყდა მეთქვა, კარგადაც გაპრიალებული), შარვლის ტოტები წაიკოტავა და იმ ლაფში ჩააბიჯა, აბა გადმოჯექიო, დამიძახა, პირველ სიჩქარეში ჩააგდე და, როცა გეტყვი, გაზს დააჭირე, ხომ იცი, როგორც უნდა, ამ დილას არ გასწავლეო. საჭეს მივუჯექი, ჯალამბარი არც გადმოუღია, არ მჭირდებაო, ბევრი დრო უნდა ამას, გად-

მოიღე — უკან დადევი, ჩვენ კი გვეჩქარებაო. მართლაც არ დასჭირდა. ლობე მიჰყვებოდა გზას, ზედა ჭიგო ამოაძრო იქიდან და მუხლებამდე წყალსა და ლაფში ჩამდგარმა უკანა ღერძს ამოსდო ბერკეტივით. შიდი, მიდი, ცეცხლი შეუნთეო, დამიძახა და ავტომობილი წამოსწია, მიანგა მთელი ძალით და მშრალზე ააგდო, გადართე, გადართეო! — უფრო დასწრაფდა და მეც არ დამიყოვნებია. მერე ამოვიდა, გვერდზე მიმწია და — მხვატე მიუჯდა საჭეს, ტალახიანი შარვლის ტოტები არც ჩამოუნწევია.

რადგანაც მზე სადაცაა უნდა ჩასულიყო და უკვე დაღამდებოდა, როდესაც ბოლენბოს ჩავიდოდით, ლამე იქ უნდა გაგვეთია, ხოდა, რაც კი შეგვეძლო გავქანდით და მალე ჩავუარეთ ბ-ნ უოტის, ჩვენი ოჯახის მეგობრის სახლკარს; შობა დღეს მამამ წამიყვანა იქ სანადიროდ, რვა მილით იყო დაცილებული ქალაქს და ოთხი მილით — მდინარეს. მზე სწორედ იმ სახლის უკან ჩადიოდა, როდესაც ჩავუარეთ და გზა განვაგრძეთ. მთვარე მალე ამოვიდოდა, და კიდევ კარგი, რადგანაც ჩვენი მანქანის ნავთის ფარნები იმდენად გზას არ ანათებდნენ, რამდენადაც ჩვენს მოახლოებას ამცნობდნენ შემხვედრთ. უცებ ბუნმა თქვა, ვინ ამაყროლა, შენო? მაგრამ სანამ მე ვეტყოდი, მე რა შუაში ვარ-მეთქი, ავტომობილი დაამუხრუჭა. წამით გაუნძრევლად იჯდა, მერე ხელი უკან გაიწვდინა და დაჭმუჭნული ბრეზენტი გადასწია უკან საჯდომზე. ნედი წამოიწია და დაჯდა. შავი კოსტიუმ-შარვალი ეცვა, თეთრი პერანგი, სახელოებზე ოქროს სამაგრებით და შლაპაც ეხურა თავზე; თუმცა შალსტუხი და საყელო არ ეკეთა, მაგრამ საკვირაო სამოსელში კი გამოწყობილიყო; ხელში პატარა ხელჩანთა ეკავა (ახლა ამას თქვენ პორტფელს ან მცირე ზომის ჩემოდანს დაარქმევდით), რომელიც ბებერ ლუციუს მაკ-კასლინს ეკუთვნოდა ჯერ კიდევ მამაჩემის დაბადებამდე, არ ვიცი, შიგ რა ედო ახლა, მე კი ყოველთვის ბიბლიას ვხედავდი იქ (მაკ-კასლინების დიდი ბებიას ნაქონს), თუმცა კითხვა მან არ იცოდა, და კიდევ პატარა მათარას, რომელშიც ორი სუფრის კოვზი ვისკი თუ ჩაეტეოდა.

— ვაი ჩემს თავს, — წამოიძახა ბუნმა.

— აბა მარტო თქვენ გინდათ გასეირნება, — მიუგო ნედმა და, ხიხიო, დააყოლა.

4

— მეც ისევე შემიძლია ამ მანქანით გავისეირნო, როგორც შენ და ლუციუსს, — თქვა ნედმა, — უფრო მეტადაც. პატრონისაა ეს მანქანა, ლუციუსი მისი მხოლოდ შვილიშვილია, შენ კი სულაც არაფერი არა ხარ მისი.

— კარგი, კარგი, — უთხრა ბუნმა, — შემძვრალა ამხელა კაცი ბრეზენტის ქვეშ, მე კი ტალახში ჩამდგარი წელში გავწყდი ამ მანქანის თრევიტ.

— ერთი იცოდეთ, რა სიცხეა ამის ქვეშ, — თქვა ნედმა, — თავბედი დავიწყველე, შიშით ვერც გავინძერი, ვაითუ ამ არახრახებულმა თუჯმა ტვინი დამანთხევინოს ოღროჩოღრო გზაზე-მეთქი, და კიდევ მიდი და ელოდე ბენზინით თუ რაღაცით თუ რაც ჰქვია იმას, არ აგაფეთქოს ნაკუნ-ნაკუნად, არადა რა უნდა მექნა? ოთხი მილითღა ვიყავით დაცილე-

ბული ქალაქიდან. შენი ამბავი რომ ვიცი, ფეხით გამისტუმრებდი სახლში.

— ახლა კი ათი მილია სულაც, — მიუგო ბუნმა, — როგორ გგონია, ახლა ფეხით აღარ გაგისტუმრებ სახლში?

სული აღარ მომითქვამს, ისე ვუთხარი, ხომ არ დაგაწინებდა? უაიეტის სახლამდე ორი მილია და გინდაც ორი მილით ვიყოს დასტოვებული ბეი სენტ ლუისს.

— მართალი ხარ, — გაუხარდა ნედს, — სულ ცოტა სავალია აქედან.

ბუნმა წამითლა შეხედა.

— გამოძვერი და კარგად დაახვიე ეგ ბრეზენტი, ხომ ხედავ, რამდენი ადგილი უკავია, — უთხრა ნედს, — კარგადაც უნდა გაანიავო, იცოდე, რაკი მაგასთან ერთად უნდა ვიაროთ.

— შენ ისე ახტუნებდი და ახეთქებდი ამ მანქანას, — თქვა ნედმა, — მარცხი მომივიდა და ახლა შენი პირიდან ველარ ამოვალ.

სანამ ვიდექით, ბუნმა ფარნები აანთო, ბრეზენტის კიდით ფეხები გაინმინდა, წინდები და ფეხსაცმელი ჩაიცვა, შარვლის ტოტები ჩამოუშვა, უკვე შემშრალიყო. მზე ჩავიდა და მთვარემ გამოანათა. კარგა დაღამებული იქნებოდა, ბოლენბოს რომ ჩავიდოდით.

ვიცოდი, რომ ბოლენბო ახლა მეთევზეთა ბანაკი იყო და ეკუთვნოდა ვილაც გამსვლელ იტალიელ ბუტლეგერს. გამსვლელს-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ერთი ან ორი კვირით გადიოდა იქიდან ოთხ წელიწადში ერთხელ, სწორედ მაშინ, როდესაც ყოველი ახალი შერიფი მუშაობას უნდა შედგომოდა და ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, სინამდვილეში რა სურდათ მის ამომრჩევლებს. მდინარის მთელი ეს შესართავი, რომელიც ნაწილი იყო ტომას სატპენის სამფლობელოსი, მისი ან გაცამტვერებული დიდკაცური ოცნების საგნისა, ხოლო თავის დროზე მაიორ დე სპეინის სამონადირეო ბანაკი, ახლა ამოეშროთ. მთელი ეს ველური მხარე, სადაც ბუნი თავის ბიჭობაში ნადირობდა (უფრო სწორად, კუდში დასდევდა თავის მფარველებს) დათვზე, ირემსა თუ ჯიქზე, ახლა ბამბისა და სიმინდის ყანად გადაქცეულიყო და უაიეტის გადასასვლელიდან სახელილა დარჩენილიყო.

ჯერ კიდევ 1905 წელსაც კი ხელუხლებელი იყო ეს მხარე, თუმცა ამ დროს უკვე იქ ირემს, დათვსა და ჯიქს (ასევე მაიორ დე სპეინის და იმის მონადირეებს) იშვიათად ნახავდით; ბორანიც აღარსად იყო; ჩვენ ახლა რკინის ხიდს ვეძახდით უაიეტის გადასასვლელს, რკინის ხიდს იმიტომ, რომ ეს რკინის ხიდი პირველი იყო და რამდენიმე წელი ერთადერთიც მთელ იოკნაპატოფას ოლქში. მაგრამ დიდი ხნის წინათ, ჩიკასოს ტომის ბელადების, ისეტიბუჰას, მოკეტუბეს და ვილაც მეფისმკვლელი-უზურპატორის მმართველობის დროს, ვისაც საკუთარი თავისთვის დუუმი დაერქმია, როდესაც პირველი უაიეტი ჩამობრძანდა აქ და ინდიელებმა მდინარეზე გადასასვლელი უჩვენეს, სადაც მან დუქანი დადგა, ბორანი ააგო და იმ გადასასვლელს თავის საპატივცემლოდ საკუთარი სახელი უწოდა, რამდენიმე მილზე ეს არა თუ ერთადერთი გადასასვლელი, მთავარი ნავთსაყუდელიც იყო; ნავები (ზამთრობით კი, წყალუხვობის დროს, პატარა ორთქლის გემიც) პირდაპირ უაიეტის დუქნის წინა კარს მოადგებოდნენ ხოლმე ვიკსბერგიდან ჩამოტანილი ვისკით, გუთნებით, გაუნმენდავი ნავ-

თითა და პიტნის კანფეტებით და უკან დაბრუნებულებს აქედან მიჰქონდათ ბამბა და ბენვეული.

მაგრამ მემფისი ვიკსბერგზე უფრო ახლოს იყო და თუნდაც ჯორებით იქ უფრო მალე მიხვიდოდით, გზაც შეძლებისდაგვარად სწორი გაიყვანეს ჯეფერსონიდან მდინარის სამხრეთის მოსახვევამდე, სადაც უაიეტის ბორანი მიდიოდა, ასევე, ჩრდილოეთის ნავთსაყუდელიდანაც, სადაც ბორნითვე შეიძლებოდა ჩასვლა, მემფისამდეც შეძლებისდაგვარად სწორი იყო გზა. ბამბასა და სხვა ტვირთს სწორედ ამ სავალით ეზიდებოდნენ ჯორებითა და ხარებითაც; სწორედ ამ დროს გამოტყვრა ერთი უთვისტომო გოლიათი, ვინც იძახდა, ბოლენბო ვარო; ზოგი ასე ამბობდა, მართლაც გამოისყიდაო უაიეტისგან პატარა, ბნელი, აქამდე ჯერ კიდევ მყუდრო ერთოთახიანი სამყოფელი, საცხოვრებელიცა და დუქანიც. და ამავე დროს ჩიკასოს ძველ გადასასვლელზე მისი რალაც უფლებანი. სხვანი კი ამასაც ამბობდნენ, რომ იმ ბოლენბომ უბრალოდ ასე განუცხადა მას (უაიეტს), შენ აქ დიდხანს იყავი, ხოდა, კმარა, ოთხი მილით გაეცალე მდინარეს და ფერმერობა დაიწყეო.

ასე იყო თუ ისე, უაიეტი ასედაც მოიქცა. და მას შემდეგ მისი პატარა, მივარდნილი ადგილსამყოფელი ხმაურიანი ბუდე გახდა: ლამის გასათევი შენობა, სასაუზმე და ლუდხანა იმათთვის, ვინც ყოველდღე გზაში იყო, ჩხუბისთავი ნავების დამქირავებლებისა თუ ადგილობრივი მეჯორეებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ნავთსაყუდელის ორივე მხრიდან მობჯენილ ნაპირებზე ეგებებოდნენ ფურგონებს, მზად ჰყავდათ დასვენებული ორი, სამი და ზოგჯერ ოთხჯორიანი შებმაც, მერე ლანძღვა-გინებით ამ ფურგონებს მდინარის ნაპირზე მოათრევდნენ, ბორნით მეორე მხარეს გადაიყვანდნენ და იქიდან კი ციცაბო სავალით ფლატეზე. აქ გაუთავებელი ღრიალი იდგა, ნამდვილ ვაჭკაცებს თუ შეეძლოთ აქ მოსვლა. კარგ ვაჭკაცებს-მეთქი, სანამ პოლკოვნიკმა სარტორისმა (იმ ბანკირს არ ვგულისხმობ, ვისაც დაუმსახურებელი დიდება ნაწილობრივ მემკვიდრეობით მოეპოვებინა, ვინც გახლდათ მიზეზი ამ წუთას ბუნისა და ჩემი იქ ყოფნისა; მე მის მამაზე მოგახსენებთ, სამხრეთის კონფედერაციული შტატების მამაც პოლკოვნიკზე, ვინც იყო მეომარი, მოქალაქე, სახელმწიფო მოღვაწე, დუელიანტი და, თუ დავუჯერებთ ერთი ოცდაერთი წლის იოკნაპატოფელი ყმანვილკაცის ბიძაშვილების თუ გარებიძაშვილების სიტყვას, კაცის მკვლელიც) სანამ-მეთქი რკინიგზა არ გაიყვანა სამოცდაათიანი წლების შუა და არ დაანგრია ეს დაუნყნარებელი ადგილი.

ოდონდ არც ბოლენბოს დუქნისთვის და არც თვით ბოლენბოსთვის ხელი არავის უხლია. ფურგონთა წყება მოაწყდა აქაურობას და მდინარიდან ნავები განდევნეს, ხოლო ბოლენბოს ბორანი უაიეტის გადასასვლელს დაერქვა. მერე რკინიგზაც გაიყვანეს და ბამბის გადასაზიდავად აღარც ფურგონები გახდა საჭირო და აღარც ბოლენბოს ბორანი. თუმცა, ორმოცი წლის წინათ, იმ ვაჭართან, უაიეტთან დადებული გარიგებით ბოლენბომ დაამტკიცა, რომ დიდებულად შესძლო განეჭვრიტა, რა ძალისა იქნებოდა მომავლის ზვირთები და ზურგზე როგორ უნდა მოქცეოდა მათ; ახლა კი თავისი ვაჭიშვილის, კიდევ ერთი გოლიათის სახით, ვინც 1865 წელს (ასე ამბობდნენ) შეერთებული შტატების ბანკნოტებით გამოკერილი პალტოთი დაბრუნებულიყო (როგორც თავად ამბობდა) არკანზასიდან, სადაც (მისივე თქმით) ღირსეულად დაუტოვებია ცხენოსანთა მფრინავი რაზმი,

თუმცა კი მისი მეთაურის სახელი ვერა და ვერ გაეხსენებინა. მამამ თავის უკან მობრუნებულ ვაჟიშვილში დაინახა, რომ იგი მასავით მოხერხებული, მარჯვე და წინდახედული იყო. თავდაპირველად ბოლენბოსან მხოლოდ ერთი ღამით რჩებოდნენ, მერე კი საგანგებოდ დაინყეს აქ ჩამოსვლა, ყოველთვის ღამით და მეტწილად ჰაიჰარად, რათა ბოლენბოსან ცხენის ან ძროხის ჭანჭრობში გადამალვა მოესწრო, სანამ კონკრეტული მსახურნი და მათი პატრონები ჩამოუსწრებდნენ. კანონის მსახურნი-მეთქი იმიტომ, რომ ცოფებმორეული აუარება ფერმერი ჩამოდოდა ხოლმე ერთი მიმართულებით მომავალ კვალს გამოდევნებული, აგრეთვე შერიფებიც, კაცისმკვლელების კვალს რომ მოსდევდნენ. ფედერალური უწყების გადასახადის ამკრეფსაც დაეტოვებინა იმავე მიმართულებით ნაკვალევი. თუ პირველი ბოლენბო ვისკით ვაჭრობდა, ახლანდელი ვისკს თავად ხდიდა, ამასთან მფლობელი იყო საცეკვაო დარბაზისა. ასე დაარქვა მას, როგორც ჩანს, თვალის ასახვევად, რადგან ვინ არ იცოდა ირგვლივ ერთი მილის მანძილზე, რა გარყვნილების ბუდე გახლდათ ეს ადგილი; მღვდლები და მოხუცი ქალბატონები ცდილობდნენ შერიფების არჩევნებისას ისეთების გაყვანას, რომლებიც ბოლოს მოუღებდნენ ბოლენბოელი ლოთიფოთების, ვაი-მუსიკოსების, კარტის მოთამაშეებისა და კალთამადლიანი გოგოების თარეშს იოკნაპატოფას ოლქში და მთლიანად მისისიპშიც. მაგრამ ბოლენბოსა და მის ირგვლივ არსებული — საჯინბოს, თავშესაქცევ სრა-სახლსა, თუ რაც გნებავთ, ის დაარქვით — მიღმა მყოფთ სულსა და გულს არ გვიმღვრევდა, იქ რაც ხდებოდა. თავად ისინი არასოდეს სტოვებდნენ თავიანთ ადგილსამყოფელს და თუ არ გინდოდა იქ მისვლა, არავინ გაიძულებდა; ამასთან, მისი ახალი საქმიანობა (თუ თავიანთის ცემის საგანი) ფრიად შემოსავლიანი იყო. ხოდა ხმა დაირხა, რომ თუკი ვიღაც-ვიღაცების მარიფათი და თავმომწონეობა მხოლოდ დაფეხვილი ცხენისა და მჭლე ხბოს ქურდობით შემოიფარგლება, აქ არც უნდა ჩაბრძანებულიყვნენ. ჭკუადამჯდარი ხალხი კი არც იხედებოდა ბოლენბოსკენ, მათ შორის, რა თქმა უნდა, შერიფებიც, რომლებიც არამარტო ჭკუადამჯდარნი იყვნენ, არამედ ოჯახის პატრონებიც და კარგად ახსოვდათ ის უბედური მოხელე, გადასახადის ამკრეფი ფედერალური უწყებიდან, იმ ცოტა ხნის წინ რომ ჩავიდა და უკვალოდ გაქრა.

სწორედ ასე იყო 1886 წლის ზაფხულამდე, სანამ ერთი ბაპტიისტი მღვდელი, ჰაირამ ჰაიტაუერი, კაცი ბოლენბოსავით გოლიათი, ვინც ფორესტის ერთ-ერთი ასეულის კაპელანი გახლდათ 1861-1865 წლებში ყოველ კვირას, ხოლო დანარჩენ ექვს დღეში იმ ასეულის მეომრებიდან ყველაზე სასტიკი და მძვინვარე, ვინც ცხენზე ამხედრებული ბიბლიით და მუშტებმომარჯვებული შეიჭრა ბოლენბოს სამფლობელოში და მუშტების წყალობით ჭეშმარიტ გზაზე დააყენა სუყველა, ზოგს ერთხელ გაჰკრა, ზოგს ორჯერ ან სამჯერაც, თუკი საჭირო იყო. ხოდა, 1905 წლის მაისის ერთ დღეს შებინდებისას ბუნი და ნედი რომ აქ ჩამოვიდნენ, ბოლენბოს უკვე მესამე თაობა დახვდათ აღზევებული, ანუ ორმოცდაათი წლის შინაბერა, მისი ერთადერთი ასული — გოროზი, ხმელ-ხმელი, ჭალარა დედაკაცი, ვინც ჰფლობდა ას ოცდათხუთმეტი აკრ დიდებულ მიწას, სადაც მოჰყავდა ბამბა და სიმინდი, ხოლო თავისი დუქნის ზედა სართულზე გამართული ჰქონდა ერთი ოთახი, სადაც ელაგა შემოძენილი ლეიბები, თუმცა კი გაქათქათებულ ზეწრებით, ბალიშისპირებითა და საბნებით აქ

ჩამოსული მეთევზეებისა თუ მელიებსა და ენოტებზე მონადირეებისთვის, რომლებიც (ასე ამბობდნენ) კვლავაც მოაშურებდნენ ხოლმე ამ ადგილს უკვე სანადიროდ და სათევზაოდ კი არა, მისს ბოლენბოს სუფრის ეშხით.

ავტომობილის ხმაური გაეგონა თურმე. თუმცა ჩვენ არ ვყოფილვართ პირველნი; მეცამეტენი ხართ ამ ბოლო ორ წელიწადში, ხოლმე ამ ბოლო თორმეტ დღეში თქვენი ავტომობილი უკვე მეხუთეაო, [თქვა] მანქანამ ქალს უკვე ორი ქათამი დაკარგოდა და რაც ჰყავდა, ორფეხი თუ ოთხფეხი და იმათთან ერთად ძაღლებიც კი, ალბათ ყველა უნდა გამოემწყვდია. თავად ის, მზარეული და ერთი ზანგი აივანზე გამოსულიყვნენ სახეზე ხელაფარებულნი, ჩვენი ფარნების მოციმციმე შუქს რომ თვალეები არ მოეჭრათ. ბუნი კარგა ხანია მისთვის უცხო არ იყო, მაგრამ ავტომობილი იცნო პირველად; მართალია, ჩვენი მეცამეტე იყო, მაგრამ თუ ვისი და ვისი იყო, იმის თვალს კარგად შეეძლო უკვე გარჩევა.

— მაშ, მოაღწიეთ ჯეფერსონამდე, როგორც იქნა, — თქვა მან.

— ამ ერთ წელიწადში? — მიუგო ბუნმა, — რას მეუბნებით, მისს ბოლენბო, ჯეფერსონამდე კი არა, ათასჯერ ამაზე უფრო შორსაც ყოფილა, ათასჯერ მაინც. თქვენც უარს ნუ იტყვით, მანქანა არც თქვენ განყენთ.

სწორედ მაშინ გვითხრა იმ ორ წელიწადში ცამეტი ავტომობილისა და ორი ქათმის ამბავი.

— მათ ცოტათი მაინც გაისეირნეს ავტომობილით, — თქვა, — რასაც ჩემს თავზე ვერ ვიტყვი.

— ნუთუ ჯერ მანქანით არ გაგისეირნიათ? — ჰკითხა ბუნმა. მერე ნედს უთხრა, აბა ერთი გადმოდი და დასაქოქი წამოიღე, შენ კი ლიუშ, მისს ბოლენბო წინ დასვი, საიდანაც ყველაფერს უკეთ დაინახავს.

— დაიცა, — უთხრა მისს ბოლენბომ, — ალისას ვეტყვი, ვახშმის გაკეთება არ დაავინწყდეს.

— ვახშამი დაიცდის, — თქვა ბუნმა, — ნაძლევს ჩამოვალ, ალისამაც არ იცის, მანქანით გასეირნება რა არის. აქ მოდი, ალისა. შენ გვერდით ვინ არის, შენი ქმარი?

— გათხოვებას ჯერ არ ვაპირებ, — მიუგო მზარეულმა, — და რომც მინდოდეს, იფემს არ გავყვები სწორედ.

— ვინც უნდა იყოს, აქ მოიყვანე, — უთხრა ბუნმა. მზარეული და ის კაცი უკანა სკამზე დასხდნენ, სადაც ბენზინის ბიდონი და დახვეული ბრეზენტის იყო. ნედი და მე ღია კართან ვიდექით, იქიდან ლამპის შუქი გვცემდა და ავტომობილს გავცქეროდით, მისი უკანა ფარნების წითელ შუქს. იგი გზაზე გავიდა, მერე შეჩერდა, უკანა სვლით წამოვიდა და გვერდით ჩაგვიქროლა. ბუნმა საყვირი დააყვირა, ოდნავ დაძაბული მისს ბოლენბო წინ იჯდა. მანქანამ რომ ჩამოგვიარა, უკანა სკამზე მჯდომარე ალისამ და იფემმა ხელი დაგვიქნიეს.

— ჰო-ჰო, ბიჭო! — დაუყვირა იფემმა ნედს, — რა ცხენია!

— გეგონოს, — გამოსძახა ნედმა და ბუნს გახედა, — მადლობა თქვას, რომ პატრონი აქ არ არის, თორემ ნახავდა სეირს!

ავტომობილმა დაამუხრუჭა, უკანა სვლით წამოვიდა, მოგვიახლოვდა და გაჩერდა.

— ჰოო, — თქვა მისს ბოლენბომ.

შეტოკდა და მერე მყისვე დასძინა, — აბა წავიდეთ, ალისა.

ვახშამს შემოვუსხედით. მაშინ კი მივხვდი, თუ რად მოუწევდათ გული

აქეთ მონადირეებსა და მეთევზეებს, თავაზიანი მადლობა მოვახსენე მისს ბოლენბოს, ბუნმა ლამპა წამოიღო და მალლა ავედით.

— რა ცარიელი მოდიხარ? — თქვა ბუნმა, — სუფთა ცხვირსახოცი მაინც არა გაქვს?

— არც არაფერი მინდა-მეთქი, ვუთხარი.

— აბა ასე ხომ არ დაიძინებ, ნახე, რა ქათქათა თეთრი ზეწრებიც კვსაცმელი და შარვალი მაინც გაიხადე. დედაშენი კბილებგამოუნმენდავი არ დაგაძინებდა.

— დამაძინებდა, — მივუგე, — რალას იზამდა, ჯაგრისი არ მაქვს.

— დედაშენს ეგ ვერ გააჩერებდა, შენც კარგად იცი, თუკი რამეს ვერ იპოვნოდი, სამაგიეროს გაგაკეთებინებდა, თავადაც იცი რატომ.

— კარგი, — ვუთხარი, ჩემს ლეიბზე წამოგორებული ვიყავი უკვე, — ძილი ნებისა.

მან ლამპის ჩასაქრობად ხელი გაიწვდინა.

— ასე ხომ? — მომაძახა.

— თავი გამანებე, — ვუთხარი.

— კიდევ ერთ სიტყვას დაძრავ და სახლში წავალთ. ახლა არა, დილით.

— ამდენი გზა იმიტომ გამოვიარეთ, რომ ახლა შეგშინებოდა?

— ღამე მშვიდობისა, — თქვა, ლამპა ჩააქრო და დაწვა. მყის შემოგვეხვია გაზაფხულის ღამე. ჭანჭრობებიდან ისმოდა ბაყაყების მოგუდული ყიყინი, ტყის შრიალი, ვეებერთელა ტყის იდუმალი ხმები, ველური ბუნება ველური ბინადარნით — ენოტებითა და კურდღლებით, თხუნელებითა და ონდატრებით, დიდი ჭოტებითა და დიდივე — მოკასინისა და ჩხარუნა — გველებით; გვესმოდა ხეებისა და მდინარის სუნთქვა; და რა თქმა უნდა, იყვნენ მოჩვენებებიც ძველი ჩიკასოელების, რომლებმაც ამ მიდამოს მიანიჭეს სახელები ჯერ კიდევ მანამ, სანამ თეთრი ხალხი მოვიდოდა — უაიეტი, ბებერი სატპენი, მაიორ დე სპეინის მონადირეები, სანამ გამოჩნდებოდნენ ბამბით სავსე ბრტყელძირიანი ნავეები, ფურგონები, ღრიალით რომ მოჰყავდათ გამყოლებს, ყაჩაღები და კაცისმკვლელები, რომლებმაც შვეს მისს ბოლენბო; უეცრად ბუნის მხრიდან რალაც ხმაური მომესმა.

— რას იცინი? — გავძახე.

— ჯოჯოხეთის ღელე გამახსენდა, ასე, თერთმეტ საათზე ვიქნებით იქ ხვალ დილით.

— შენ არ ამბობდი შავი დღე დაგვადგებაო იქ?

— მერე და როგორი, — თქვა, — ცულისც დაგვჭირდება მე, შენ და ნედს, ბარიც, მავთულიც, ჯალამბარიცა და არ ვიცი კიდევ რა, ლობის სარებიც. ხოდა, ნედზე ვიცი, ხვალ რომ გადავივლით იმ ჯოჯოხეთის ღელეს, მაშინ ვნახავ, რა გუნებაზეც დადგება. სანანებლად გაუხდება, რა უნესობაც გააკეთა, რომ გასკდა და გატრუნული იწვა ბრეზენტის ქვეშ, ვინემ მემფისის მიწას არ იგრძნობდა ბორბლებქვეშ.

ადრე დილას გამალვიძა მეც და ყველანი ნახევარი მილის გარშემო. კარგა ხანი დასჭირდა, სანამ წამოძინარევ ნედს გამოიყვანდა იფემის სახლიდან, სამზარეულოში ასაუზმებდა (და კიდევ უფრო მეტხანს მოუნდა იქიდან მის გამოტყუებას, რაკი ქალი დაინახა იქ). ვისაუზმეთ და ასეთი საუზმის მერე, მონადირე ან მეთევზე რომ ვყოფილიყავი, სულაც ვერ შე-

ვძლებდი გარეთ ფეხით ხეტიალს. ბუნმა კიდევ ერთხელ გაასეირნა მისს ბოლენბო, ამჯერად ალისა და იფემი აღარ დაუპატიჟებია, თუმცა კი იფემი მის გვერდით ტრიალებდა. მერე ჩვენ, უფრო სწორად, ბუნმა ავზში ბენზინი ჩაასხა, რადიატორში წყალი, იმიტომ კი არა, რომ საჭირო იყო, მე მგონი, იმიტომ, მისს ბოლენბო და იფემი რომ უყურებდნენ. მერე გზას დავადექით. მზე ამოდოდა, რკინის ხიდი გადავიარეთ მდინარეზე (და გემის ჩრდილზეც, ღამით ის არ გამხსენებია); სხვა ქვეყანაში შევდიოდით, სხვა ოლქში. სალამო დადგებოდა და სხვა შტატში, მემფისს ვიქნებოდით.

— თუკი ჯოჯოხეთის ღელეს გავალწევთ, მაშინ, — თქვა ბუნმა.

— კარგი ერთი, მორჩი ამაზე ლაპარაკს, — ვუთხარი.

— კი, ბატონო, — თქვა, — ჯოჯოხეთის ღელეს იმის დარდი არა აქვს, გინდ ეს გითქვამს, გინდ ის, შენ თავად ნახავ.

ცოტა ხნის მერე დაიძახა, უკვე მივედით კიდევცო.

თერთმეტი საათი ის იყო დაიწყო. სწრაფად გადავიარეთ გორები, გზა მშრალი და მტვრიანი იყო, აქეთ-იქიდან აჯეჯილებული ყანები მოუყვებოდა, კვირადლე იყო, წყნარი და უკაცრიელი; საკვირაოდ გამოწყობილი ხალხი აივნებზე დამსხდარიყო; ბაღლები და ძაღლები მოაწყდებოდნენ ხოლმე ღობეს ან შარაგზაზე გამოცვივდებოდნენ ჩვენ საყურებლად; ჩამოვიტოვეთ ორთვალეები, ეტლები, ფურგონები, ცხენებსა და ჯორებზე ამხედრებული ხალხი, ერთი ან ორ-ორი თუ სამ-სამი შემომსხდარიყვნენ ცხენებზე, ოღონდ ჯორზე არა (ცხრას გადაცილებული იყო, როცა სხვა ავტომობილს გავუსწარი. ბუნმა თქვა, ფორდიაო, მისს ბოლენბოსავით მყისვე ცნობდა მანქანებს). ყველანი გაზაფხულის ჟამს შეფოთლილ ხეივნებში შემალულ პატარა, თეთრად შეღებილ ეკლესიებისკენ მიეშურებოდნენ.

ვეებერთელა ველი გადაიშალა ჩვენ წინ. ტირიფებითა და კვიპაროსებით შემოჯარულ ღელესკენ მიმავალ დაღმართს დავადექით. ტყუილად ვიხეთქავდი-მეთქი გულს, ვიფიქრე, ღელე იმ მდინარეზე ბევრად უფრო ვინროა, მანამდე რომ გადმოვიარეთ. მტვრით გადათეთრებული გზა აღმართს მიჰყვებოდა მის იქითა მხარეს. ბუნმა გინება-გინებით გააქანა თავქვე მანქანა, თითქოსდა უნდოდა რაც შეიძლება მალე გაჭრილიყო ბრძოლის ველზე, სადაც ვიღაც სულდგმულს უნდა შეებოდა, ჩვეულებრივ მტრად ჩასაფრებულს კი არა, არამედ იმას, ვინც დანდობას არ იმსახურებდა, როგორც შენი სწორი მტერი, ადამიანი.

— ერთი ამას შეხედე, — თქვა ასე, — თითქოსდა ახალდადებული კვერცხივით შეურყვნელი იყოს. გზაც კი მოჩანს აქედან, ვითომცდა დაგვცინის კიდევც და გვეუბნება, კი, კი, გადადი და მემფისსაც მიაღწევ, მაგრამ იმასაც ვნახავ, როგორ გადახვალო.

— თუ ასეა, რატომ გვერდს არ ავუვლით? — თქვა ნედმა, — შენს ადგილზე რომ დამსვა, სწორედ ამას ვიზამდი.

— ჯოჯოხეთის დაბლობს ვერ შემოუვლი! — დაულრიალა ბუნმა, — ერთი გზით ალაბამაში ამოყოფ თავს, მეორეთი მდინარე მისისიპიში მოადნენ ტყაპანს.

— მემფისთან მაქვს ერთხელ ნანახი მისისიპი, — უთხრა ნედმა, — მემფისიც ნანახი მაქვს, ალაბამა კი არასდროს არ მინახავს, ისე კი არ ვიტყვოდი უარს იქ გავისეირნო.

— შენ ჯოჯოხეთის ღელის დაბლობშიც არ ყოფილხარ, — უთხრა

ბუნმა, — შენ ხომ იმ ბრეზენტის ქვეშ გასანათლებლად იყავი შემძვრალი. თუ იცი, აქაც და ჯეფერსონშიც ორად ორი ავტომობილი რატომაცა, ეს და კიდევ ის „ფორდი“? სხვა მანქანა არცაა, აი რატომ!

— მისს ბოლენბოს ცამეტი უნახავს თავის სახლთან ჩამოვლილი ამ ბოლო ორ წელიწადში, — მე ვუთხარი.

— იმათათგან ორი ეს ერთია, — თქვა ბუნმა, — ხოლო მეორე არჩენი თერთმეტი მას ჯოჯოხეთის ღელესთან ჩარჩენილი დაუთვლია, არ იცი?

— საჭესთან ვინ იყო, საკითხავი ეს არის, — გადმოჰკრა ნემა და ხი-ხი-ხიო, დააყოლა.

ბუნმა იმნამსვე დაამუხრუჭა ავტომობილი და მოუტრიალდა.

— აბა გადადი, ალაბამას ნახვა ხომ გინდა. თხუთმეტი წუთია ლაყ-ბობ და ამდენი დრო დაკარგე ტყუილად.

— მთელი დღე კაცი შენთანაა და გინდა ამის გულისთვის გადასვა? — უთხრა ნემა, მაგრამ ბუნს ყურიც არ შეუბერტყავს, მგონი, რაც თქვა, დაუფიქრებლად თქვა სულაც. მერე მანქანიდან გადაძვრა, ბაბუამ რომ საფეხურზე ხელსაწყოების ყუთი დაამაგრებინა, სადაც ჰქონდა ჯალამბარი, ნიჩაბი, ცული და ფარანი, ის ყუთი გახსნა, ყველაფერი ამოალაგა ფარნის გარდა და ნედის გვერდით უკანა საჯდომზე დაყარა.

— დროს ნულარ დავკარგავთ, — სხაპასხუპით თქვა მან, თუმცა კი აუმღვრევლად, წყნარად, თავდაოკებით, ყუთი დახურა და ისევ საჭეს მიუჯდა, — გავსწიოთ, რაღას ვუცდით?

მერედა რა მოხდა-მეთქი, ასე ვფიქრობდი, კიდევ ერთი სოფლის გზა, კიდევ ერთი დაჭაობებული ღელე უნდა გადაგვევლო, ანუ უფრო სწორად გზა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო კარგად გამშრალი, მაგრამ არც მთლად ალაფებული ჩანდა; წუმპეები და ოღროჩოღრო ადგილები ჩვენს ბედად უკვე ჩავლილებს ამოევსოთ ჩინჩხვარითა და ტოტებით, ზოგან კი ტალახი ჯვარედინად დაწყობილი ჭიგოებით დაეფარათ (ჰო, დიახ, უეცრად მივხვდი, რომ ჩვენ წინ გზა — სხვა რაღა უნდა დამერქვა — სველი კი არა, ტლაპოდ გადაქცეულიყო სულაც). ხოდა, შეიძლება ბუნი გახლდათ დამნაშავე, რადგანაც თავად დაასახლა ეს სევდისმომგვრელი არემიდამო მოჩვენებებით, ტალახში ჩაფლული ავტომანქანებით, იქიდან გადმომსხდარი ხალხით, რომლებიც გარინდებული კვიპაროსებისა და ტოტებჩამოშლილი ტირიფების ქვეშ, მორიალე ქინქლების დუნდგოში, სიმწრის ოფლით გახვითქულები აქაურობას იკლებდნენ ლანძღვა-გინებით. მერე გავიფიქრე, მგონი, გავიარეთ-მეთქი, თანაც ისე, თვალი არ მომიკრავს შემშრალი ფერდობისთვის, რაც იმისი მაუნყებელი იქნებოდა, რომ უკვე მივუახლოვდით მეორე ნაპირს, თუმცა ვეღარც ღელეს ვხედავდი ჩემ წინ და მით უმეტეს ვერც ხიდს. ავტომობილი კიდევ მოსრიალდა, გადაიხარა და ისე დადგა, როგორც გუშინ გრიგალას ღელესთან; ბუნმა ისევ გაიხადა ფეხსამოსი და წინდები, აიკეცა შარვლის ტოტები, თავი მოატრიალა და ნედს უთხრა, შენც გადმოდიო.

— მე არ ვიცი, რა გავაკეთო, — თქვა ნემა, არც განძრეულა, — ავტომობილის ჯერ არაფერი ვიცი, ვიქნები აქ ჩემთვის, ლუციუსის გვერდით, ხელს არ შეგიშლი.

— ხი, ხი, ხი, — გამოაჯავრა ბუნმა ნედს და ბრაზით თვალები გამოაკვესა, — მოგზაურობა ხომ გინდა, ხოდა, იმოგზაურებ კიდევაც. გადმოდი-მეთქი!

— საკვირაო ტანისამოსი რომ მაცვია... — მიუგო ნედმა.

— მეც მაცვია, — დაულრინა ბუნმა, — მაგრამ წყვილ შარვალს არ დავეკანკალებ და შენც არ გირჩევ.

— ლაპარაკი კარგი იცი, — უთხრა ნედმა, — შენ ბატონი მორი გყავს და რა გიჭირს. მე კი ფულს ჩემით ვშოულობ, დამეხვევა და ახალი ჩემით უნდა ვიყიდო.

— შენს ცხოვრებაში არ გიყიდია არც ტანსაცმელი, არც ფეხსაცმელი და ქუდი, — თქვა ბუნმა, — ის ერთი შემოძენილი სერთუკიც ბებერი ლუციუს მაკ-კასლინისა გერგო, და კიდევ ვინ იცის, გენერალ კომპსონის, მაიორ დე სპეინისა თუ პატრონისა რამდენი. თუ გინდა, ნურც აიკეცავ შარვლის ტოტებს და ნურც ფეხსაცმელს გაიხდი, ჩემი საქმე არ არის. გადმოდი და ეს ავტომობილი გამომათრევიანე ცოცხლად!

— ლუციუსი მოგეშველება, — უთხრა ნედმა, — ჩემისთანა ბერიკაცი მასთან რას მივა, ტანით ჩემზე დიდიცაა.

— ის საჭესთან უნდა იყოს, — გასძახა ბუნმა.

— საჭესთან მე დავჯდები თუ გინდა, — მიუგო ნედმა, — რაც მე ცხოვრებაში ცხენები, ჯორები და ხარები მიტარებია, ვითომ ეს ოთხი ბორბალი რა არის მათთან შედარებით, — მერე მე მომიტრიალდა, — გადმოხტი, ბიჭო, და ბატონ ბუნს მიეშველე. ფეხსაცმლისა და წინდების გახდა არ დაგავინყდეს...

— ახლავე მანქანიდან გადმოდი, თორემ ერთ ხელს ქეჩოში წაგავლებ, მეორე ხელით კი ავტომობილს ქვეშიდან გამოგაცლი, — დაემუქრა ბუნი. ნედმა იკადრა გადმოხტომა, რალაი მიხვდა, თავს ვერ დაიძვრენდა, მაგრამ რალაც კი წაიბურტყუნა, როდესაც ფეხზე იხდიდა, შარვლის ტოტებს იკეცავდა და სერთუკის ლილებს იხსნიდა. ბუნს რომ გავხედე, ის უკვე ასკილის ჯაჭვებში შემძვრალიყო და იქიდან მოათრევდა სამ ლატანსა და ტოტებს!

— ჯალამბარი არ დაგჭირდება? — ვკითხე.

— იცი რა, — მითხრა ბუნმა, — თუ მაგის დრო მოვა, აღარც შენეკითხები. — მაშასადამე, ხიდს რალაცა მოუვიდა, გავიფიქრე, იქნებ ხიდი სულაც აღარ არის. ბუნმა თითქოსდა ჩემს გულში ჩაიხედაო, — ხიდის დარდი ნუ გაქვს, ჯერ კიდევ შორსაა იქამდე.

მერე კი მივხვდი, რასაც გულისხმობდა, მაგრამ ჯერ ვერა. ნედმა შიშით ჩაჰყო ფეხი წყალში.

— რა ჭუჭყიანი წყალია აქ, ვერ ვიტან ხოლმე თითებს შუა ჭუჭყს.

— ეს იმიტომ, ჯერ კიდევ არ ხარ კარგად გახურებული, — უთხრა ბუნმა, — აბა ერთი ეს კეტი აიღე. ხომ თქვი, ავტომობილისა არა გამეგება რაო. ახლა კი ცოტა შენუხდები, მართალია, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ცხოვრება აღარ დაიჩივლებ, — მერე მე მომიბრუნდა:

— პირველ სიჩქარეში ჩააგდე და როცა დავძრავ აღარ გააჩერო.

ასეც მოვიქეცი, ბუნმა და ნედმა თავ-თავიანთი კეტები ავტომობილის უკანა ლერძს ამოსდეს და დააწვნენ; ორი თუ სამი ფუტით წინ გასწიეს, მერე კი ხუთი ფუტითაც, ვიდრე ისევ არ მოსრიალდა და ორივე ისე განუნა თავით ფეხამდე, ვითარცა შხეფმრფქვევებმა, ჩვენი მღებავებო რომ ხმარობენ ახლა.

— ხომ ხედავ, რაც არის? — თქვა ბუნმა და გამოაპურჭყა. კიდევ ერთხელ რაც ძალა და ღონე ჰქონდა დააწვა კეტს და კიდევ ცოტაოდნავ წინ

გავინიეთ, — ახლა ხომ მიხვდი, რაც არის ავტომობილი? ცხენსა და ჯორს არ ჩამოუვარდება, უკან არ უნდა დაუდგე მხოლოდ.

მერე ხიდი დავინახეთ. ხოდა, მივატანეთ კიდევ გზის ისეთ მშრალ (შედარებით) მონაკვეთს, რომ ბუნი და ნედი მთლად ლაფში ამოვლებულნი, საკმაოდ ჩამოგვრჩნენ. ბუნი ქშენა-ქშენით მორბოდა და გაჰყვიროდა, მიდი! მიდი! არ გააჩერო! მეც არ გავჩერებულვარ, ვიდრე ას არ დავხეჩე ჩვენსა და ხიდს შუა რაღაცას არ მოვკარი თვალი, და არ მივხვდი, თუ რას გულისხმობდა ბუნი. მანქანა გავაჩერე. ეს გზა (თუ გასასვლელი, რაც გნებავთ, ის დაარქვით) ჩვენ წინ არათუ შეცვლილიყო, არამედ უცნაურად გარდასახულიყო და ახლა რძიანი ყავით სავსე ვეებერთელა საცავს ჰგავდა, რომლიდანაც აქა-იქ შესაბრალისად ამოჩრილ უცნაურ გროვად მოჩანდა ბუჩქებისა და ხეების ნამუსრევი, მიწაც ბელტებად ისე იყო ამოტრიალებული, თითქოსდა ზედ გუთნით გადაევლოთ; მერე კიდევ რაღაც დავინახე და მივხვდი, რაზეც მიკიბულ-მოკიბულად მეუბნებოდა ბუნი ჯოჯოხეთის ლელის შესართავის შესახებ ამ ერთი წლის წინ და ახლაც შიშით გაუთავებლივ მიმეორებდა მას მერე, რაც ჯეფერსონიდან ნამოვედით. გზასთან (უფრო სწორად, ხნარცვთან) სულ ახლოს ხეზე მიბმული იყო ორი ჯორი საგუთნე მონყობილობით, აღვირით, ჭაპანით, ცალუდით და საჭაპანე ჯაჭვითაც. საგულდაგულოდ დახვეული შალითა გადაედოთ ჭაპანზე; მძიმე ორსახნისიანი გუთანი აეყუდებინათ მეორე ხეზე; ბუნსა და ნედს სადაცაა რომ უნდა შეშრობოდა, ისეთივე ტალახი აკვროდა მასაც, გუთანსვე ჩაეხუტებინა ხელნა, ისიც ტალახიანი; ორიოდე ნაბიჯზე კი პატარა სახლი იდგა, სახელდახელოდ აგებული, ოროთახიანი, დახურული აივნითურთ, სადაც სკამზე გადწოლილიყო ერთი კაცი, ფეხშიშველი, აჭიმებჩამოშვებული. მისი (ასეთივე ტალახიანი) უხეშად ნახელავი ფეხსამოსი იქვე ეყარა კედელთან სკამის უკან. მაშინლა მივხვდი, ჯოჯოხეთის ლელესთან კი არა (როგორც ბუნი მეუბნებოდა), გასულ წელს აქ გამოურთმევიათ მას და ბ-ნ უორდუინს ნიჩაბი, რომლის დაბრუნება (ბუნისავე სიტყვებით) ბ-ნ უორდუინს დავინყუბია, და თუნდაც არ გამოერთმიათ იგი (ნიჩაბი), ამით არც არაფერი დაშავდებოდა.

ნედმაც ყველაფერი დაინახა. პირქუშად ჩაათვალიერა ჯერ ტალახი და მერე მოსართავებით აღკაზმული ჯორები, რომლებიც კუდის ქნევით ქინქლებს იგერიებდნენ ჩვენს მოლოდინში. — ვერაფერს იტყვი, მომზადებული კაცი... — თქვა მან.

— ხმა გაიკმინდე, — მძვინვარედ ჩასჩურჩულა ბუნმა, — სიტყვა არ დაძრა, ჩუმად იყავი, — თქვა შეკავებული გააფთრებით, მერე მანქანაზე მიაყუდა თავისი კეტი, გადმოიტანა ჯალამბარი, ჯაჭვი, ცულიცა და ნიჩაბიც. სამგზის წარმოთქვა, ნაბიჭვარიო, მერე მე მომიბრუნდა, და შენცო.

— მე? — ვთქვი.

— ერთი ამ ჯორებს შეხედე, — თქვა ნედმა, — ხელნაც დაუმზადებია...

— არ გესმის, ხმა გაიკმინდე-მეთქი! — კვლავ მძვინვარე ჩურჩულით ამოთქვა ბუნმა, — არ გესმის, რასაც გეუბნები? უკაცრავად, მაგრამ ეს მინდა გითხრა, ხმა გაიკმინდე-მეთქი.

— ნეტავ ვიცოდე, ეს ლისტერი რა ეშმაკად დასჭირვებია? — თქვა ნედმა, — სახელურებამდეა ტალახით დასვრილი, თითქოსდა... რას იტყვი,

იმიტომ ჩამოუყვანია ეს ჯორები და ხნავს ამ ადგილს, რომ ლაფი არ გამოილიოს?

ბუნს ხელში ეკავა ნიჩაბი, ცული და ბაგირი, წამით ასე გავიფიქრე, რომელიმეს ან სამივეს ერთად ესვრის-მეთქი ნედს. ხოდა, საჩქაროდ ვუთხარი:

ერეკუნული
ბიზლიქიქა

— გინდა, რომ მე...

— ჰო, — თქვა ბუნმა, — სამივეს გვექნება საქმე. — მე... უფრო სწორად, მე და ბ-ნ უორდუინს აქ შარშან პატარა უსიამოვნება მოგვივიდა ამ კაცთან. ახლა კი, რომც მოვკვდეთ, უნდა გავალწიოთ აქედან...

— რამდენი მიეცი შარშან, აქედან რომ გაეყვანე? — ჰკითხა ნედმა.

— ორი დოლარი, — მიუგო ბუნმა, — ისე რომ სჯობს ეგ შარვალ-პერანგი გაიხადო, ვერავინ დაგინახავს აქ მაინც...

— ორი დოლარიო? — თქვა ნედმა, — კარგია ამ ჩრდილში ფერმის გამართვა და მხარეთქოზე წოლა. ნეტავი პატრონს დავესაჩუქრებინე ასეთი დიდებული ლაფით. ბამბაზე სარფიანი ყოფილა.

— კარგია, — უთხრა ბუნმა, — ახლა კი ისწავლი, როგორც უნდა ტალახის ზელა. — და ნედს ჯალამბარი და თოკი მისცა.

— აბა მიდი ტირიფთან, დიდი რომელიცაა, და კარგად შემოახვიე.

ნედმა თოკი გაშალა და ჯალამბარიანად ხესთან მივიდა. მეც გავიხადე შარვალი და ფეხსამოსი. ლაფში ჩავდექი, სიგრილე მესიამოვნა. მგონი, ბუნსაც ასევე, შეიძლება ნედმაც მოითქვა სული, რადგანაც მოსახდენი უკვე მომხდარიყო და უფრო მეტად რაღა დასვრიდა. ასე იყო თუ ისე, უკვე აღარაფრად ჩაუგდია ტალახი, შიგ ჩაცუცქდა და თან გაუთავებლივ დუდლუნებდა, ნაბიჭვარიო, მერე მანქანას მავთული მიაბა, ყულფი გაუკეთა, გაჭიმა და ჯალამბარს მიამაგრა.

— შენ კი მიდი და, — მითხრა მე, — აი ის ფიჩხი აქ მოათრიე. — მერე თითქოსდა მიხვდა, რასაც ვფიქრობდი.

— ვინ იცის, აქ საიდან გაჩნდა, შეიძლება თავად კაცმა მოაგროვა, რომ ხალხმა მოიშველიოს და თქვას, რა კარგია, რა მაღლი გვიქნაო.

ხოდა, მოვათრიე ფიჩხები, ხმელი ფოთლები და მანქანის წინ ლაფში ჩავყარე; ბუნმა და ნედმა ჯალამბარი მოიმარჯვეს და მოემზადნენ. მერე მე და ნედმა ჯალამბარის თოკი გავქაჩეთ, ბუნი კი მანქანის უკან დადგა იმ თავისი ძვირფასი კეტიტ.

— ვიცი, არც ისე გაგიჭირდებათ, — გვითხრა, — წამოვწევ თუ არა, გასწიეთ და გასწიეთ თოკი. აბა მიდით!

ეს ყველაფერი რაღაც სიზმარეულივით იყო თითქოს. შემზარავი არა, სწორედ სიზმარეულივით — მშვიდი, აუმღვრეველი, თითქმის პირველყოფილი ლაფის ტბორი და შლამი, ტროპიკული ჭალა და სიცხე, რომლის წიაღში ჯორები უშფოთველად ურტყამდნენ მიწას ჩლიქებს და კუდის ქნევით იგერიებდნენ მირიად მორიალე უჩინარ სიცოცხლეს, რომლებიც დაბადებამდე განწირულნი იყვნენ ბიოლოგიური დასასრულისა და სიკვდილისათვის. და მთელი ჰაერი ამით იყო სავსე, იგი გვეხვეოდა გარს და გვივსებდა ფილტვებს; ეს ავტომობილი, ძვირფასი მექანიკური სათამაშო, რომელსაც ჰქონდა სიჩქარე და ძალა დუჟინი ცხენისა, მაგრამ მთლად უსუსური და გამოუსადეგარი აქ, სადაც ორ სტიქიონს — მიწას და წყალს — ერთმანეთთან შეეკრათ დროებითი კავშირი, რომელშიც შერწყმულიყო, თავად არ უწყოდნენ ისე, თაობანი სულ უღონო და განუ-

ყოფელი მრავლის უმრავლესი ერთეულებისა და მთლიანობათა, მოძრაობის უნარი რომ ჰქონდათ და მოვლენილნი იყვნენ ამქვეყნად არამექანიკური საშუალებებით; ჩვენ სამნი, სამი ერთმანეთის მსგავსი ორფეხი, თუმცა უკვე მთლად ტალახში ამოსვრილები, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევჭიდებოდით მიწასა და წყალს და ჩვენი წინსვლა — თუ რაც იყო ეს — ჰგავდა მისხალ-მისხალ მყინვარის მოძრაობას. ამ დროს კი ის კაცი იჯდა დაწულ სკამზე, გადმოგვყურებდა აივნიდან, ნედი და მე როგორ მისხალ-მისხალ ვენოდით თოკს, რომელიც თანდათან ლაფით მოითხვარა და ხელიდან გვისხლტებოდა, ხოლო მანქანის უკან მომდგარი ბუნი დემონივით და ტიტანის ძალით აწვებოდა კეტს, წამოსწევდა ხოლმე ავტომობილს და წინ სწევდა. ერთხელ კიდევაც მოისროლა ის კეტი, დაიხარა, ხელი ჩაავლო მანქანას და ერთი თუ ორი ფუტით ურიკასავით წინ გააგორა. ამაზე მეტს კაცი ვერ შესძლებს, ამაზე მეტს ვერ იზამს და არც უნდა ქნას. ასედაც ვუთხარი სუნთქვაშეკრულმა.

— არა, მეტი არ შეგვიძლია, არაფერი არ გამოგვივა;—და ბუნმა მომაკვდავი კაცის ხმით, თითქოს შეყვარებულს ერურჩულებო; ნაზად ამოთქვა:

— გზიდან ჩამომეცალე, თუ არადა გადაგივლი, იცოდე.

— არა, — ვუთხარი ტალახში აფართხალებულმა და კოჭლობით მისკენ გავსწიე, — არა, თავს მოიკლავ.

— მე არ დავლლილვარ, — ისევე ჩუმად წარმოთქვა ბუნმა, — ახლა მოვკიდე ხელი როგორც უნდა, შენ და ნედმა კი დაისვენეთ, სანამ სულს მოითქვამდე, იქნებ კიდევ მოიტანო ტოტები.

— არა, — მე მივუგე, — არა! აგერ უკვე ის მოდის! გინდა რომ აქ დადგეს სეირის საყურებლად? — რადგან არათუ ვხედავდით, უკვე გვესმოდა — ის ჯორები ფრთხილად როგორ მოჭყაპუნებდნენ ტალახის კიდებზე და ჩამოშვებული ჯაჭვები თითქოს რაღაც მუსიკალური წკარუნით გვამცნობდნენ მათ მოახლოებას. კაცი ერთს მოჯდომოდა და მეორეს წინ მოუძღვებოდა, ფეხსაცმლები ერთმანეთზე გადაება და ჭაპანზე გადმოეკიდა, ხელნა წინ გამოეშვირა და თოფივით დაეკავებინა, როგორც ძველ სურათებზე გამოსახულ კამეჩებზე მონადირეებს თოფები აქვთ ხოლმე მომარჯვებული; ხმელ-ხმელი იყო და ჩვენზე უფროსი მეჩვენა პირველად.

— დილა მშვიდობისა, ბიჭებო, — დაგვიძახა მან, — ახლა კი, მგონი, დადგა დრო ჩემი მოსვლისა. როგორ ხარ, ჯეფერსონელო, — ბუნს მიუბრუნდა, — იმ ზაფხულს, მგონი, აღარ ჩარჩენილხარ აქ, ხომ?

— მგონი კი, — უთხრა ბუნმა. ვით გადაბრუნებული ფურცელი წამში სრულიად გამოიცვალა პოკერის მოთამაშესავით, მაგიდის მეორე მხარეს მოწინააღმდეგეს ხელში მეორე ორიან კარტს რომ დაუნახავს, — ჩვენ ამჯერადაც გადავივლიდით ამ ადგილს, აქაურებს რომ ტალახით არ გაგვესოთ.

— არ გენყინოს, — უთხრა იმ კაცმა, — ამ ტალახმა საუკეთესო მოსავალი იცის.

— ორ-ორი დოლარი ამ ტლაპოდან, — არ უნდა იყოს ცოტა, — თქვა ნედმა. თვალთ მოჭუტა იმ კაცმა, ნედს გამოხედა.

— რას მეუბნები, — მიუგო მან, — მოდი ეს ხელნა აიღე, ზედვე გეტყობა, არ შეგეშლება, სადაც უნდა გამოაბა ჯორს.

— ჩამოდი და გამოაბი, — უთხრა ბუნმა, — ორ დოლარს იმიტომ

არ გაძლევთ, აქ დიდ მცოდნედ მოგვაჩვენო თავი, შარშან თავად არ გააკეთე?

— შარშან კი, — თქვა მან, — ამ წყალში ძრომამ და ხელნაზე მისაბმელი ჯაჭვის თრევამ წელი მომწყვიტა, რევმატიზმიც ავიკიდე, ჯანს გაფრთხილება უნდა. — ხოდა, აღარც შეუნუხებია თავი. მხოლოდ ჯორები მოაყენა, ბუნმა და ნედმა კი ჯაჭვი ჭაპანს მოუმარჯვენს. შეძდევ ბუნი ტალახში ჩაჯდა და ჯაჭვის მეორე ბოლო მანქანისკენ მისწია, სად სჯობს გამოვაბაო? — ჰკითხა მან.

— აბა რა ვიცი, — უთხრა კაცმა, — ამ ლაფიდან რა ნაწილის გატანა გინდა, ხოლო მთლიანად გამოსაყვანად ღერძს გამოაბი. მაგრამ ჯერ ეს ნიჩბები და თოკები ავტომობილში ჩაალაგეთ ისევ, აქ მაინც აღარ დაგჭირდებათ.

ნედმა და მე ასეც ვქენით, ბუნმა კი გამოაბა მანქანას ჯაჭვი და მერე სამივენი აქვე საცქერლად დავდექით. გამოცდილი კაცი, თქმა არ უნდა, ჯორებსაც გამონვრთნიდა; მათ ავტომობილი დაძრეს ტალახიდან, ხელნასაც ცირკის ჯამბაზებივით ატრიალებდნენ, მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ რალაც თქვა ჩვენ გვერდით მომავალ ჯორზე ამხედრებულმა კაცმა, მათრახიც შეარხია და კიდევ გამოვიდნენ იქ, სადაც მიწა მეტი იყო, ვიდრე წყალი.

— კარგია, ნედ, — თქვა ბუნმა, — მოხსენი უკვე.

— არა, ჯერ არა, — მიუგო კაცმა, — ზედ ხიდთან ერთი ტბორია, სადაც მუქთად გადამყავს. ერთი წელია არ ყოფილხარ, შეიძლება არც იცოდე. — მერე ნედს მიუბრუნდა, — სამარქაფო გადასასვლელს ვეძახით ამ ადგილს.

— საშობაო შუაგულს, ამას უნდა გულისხმობდე? — უთხრა ნედმა.

— შეიძლება ასეც იყოს, — თქვა კაცმა, — ეს კი რაღაა?

ნედმა უთხრა:

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბებერი ლუციუს კვინტუს კეროზერსი ცოცხალი იყო, ომამდე ჩვენ ასე ვიცოდით და ედმონდსების ბიჭი ასე აკეთებს ახლაც, ყოველ გაზაფხულზე მიწის შუაგულში საუკეთესო ნაკვეთს შემოსაზღვრავენ და აქედან მინდვრის ბოლომდე ბამბის მთელი მოსავალი საერთო საშობაო სამზადისს უნდა მოხმარდეს, პატრონისა კი ზანგებს უნდა გაუნაწილონ საშობაოდ. სწორედ ამიტომ ეძახიან საშობაო შუაგულს. თქვენ კი ამ ტალახს ზელთ და ეს ამბავი არც კი იცით.

კაცი წამით ნედს შეაცქერდა, — ნედმა კი ჩაიციინა, ხი-ხი-ხიო.

— კარგია, — თქვა კაცმა, — თორემ ასე მეგონა, ერთმანეთისა აღარ გვესმის-მეთქი.

მერე ბუნს მიუბრუნდა, სჯობს ვინმე საჭეს მიუჯდესო.

— მართალი ხარ, — მიუგო ბუნმა. მერე მე მითხრა, აბა დაჯექიო.

ხოდა, ასე მთლად ლაფში ამოვლებულმა საჭეს ჩავჭიდე ხელი, მაგრამ მანქანას ძვრა ვერ ვუყავი. კაცმა თქვა:

— დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, სჯობს ახლავე გითხრათ. გასული წლიდან აქ ფასი გაორმაგდა.

— რატომ? — უთხრა ბუნმა, — იგივე მანქანა, იგივე ტბორი და სული წამინწყდეს, თუ იგივე ტალახი არ იყოს.

— გასულ წელს ასე იყო, მაგრამ ახლა მეტი მოთხოვნაა და ფასიც მეტია.

— დასწყევლოს ღმერთმა, — ამოთქვა ბუნმა, — კარგი, გასნი.

ხოდა, წავედით მეორე წუმპისკენ, ჩვენდა სამარცხვინოდ ჯორზე ჩქარა არა, არ შევჩერებულვართ, ისე გამოვედით იქიდან. ჩვენ წაბ უკვე ხიდი იყო, იმას იქით კი მოჩანდა გზა, ჯოჯოხეთის ღელის კიდე და დასასრული ჩვენი წვალეებისა.

— ახლა ყველაფერი კარგადაა, — თქვა კაცმა, — ^{უჩინებულად} ~~ვიდრე~~ დაბრუნდებით.

ბუნმა მანქანას გრძელი ჯაჭვი მოხსნა. ნედმა კი უღლები და ხელნა იმ ჯორზე მჯდომარე კაცს დაუბრუნა.

ჩვენ ამ გზით აღარ წამოვალთო, უთხრა ბუნმა.

— და სწორიც იქნებით, — მიუგო კაცმა.

ბუნი ისევ ტბორთან დაბრუნდა და ტალახი ჩამოიცილა ხელებიდან, მერე მანქანასთან მოტრიალდა და ჯიბიდან ოთხი დოლარი ამოიღო. ეს კაცი არც კი შეტოკებულა.

— ექვსი დოლარი, — ასე თქვა.

— გასულ წელს ორი დოლარი იყო, — უთხრა ბუნმა, — ახლა გაორმაგებულიაო, ხომ თქვი. გაორმაგებული ორიანი ოთხიანია. ხოდა, აი ოთხი დოლარი.

— თითოეულ მგზავრს დოლარი უნდა, — თქვა კაცმა, — გასულ წელს ორნი იყავით და ორი დოლარი დაგჭირდათ. ახლა კი ფასი გაორმაგდა. სამნი ხართ და ესეც ექვსი დოლარი. მაგრამ ჯეფერსონამდე თუ ფეხით წასვლა გირჩევნია, წადი, ოღონდ ამ ბიჭსა და ზანგს სულაც არ აქვთ ამის სურვილი.

— ფეხით სიარული იქნებ მეც არ მინდა, — უთხრა ბუნმა, — მაგრამ ვთქვათ და არ მოგცე ექვსი დოლარი, ანდა სულაც ვერაფერი მოგცე?

— შეიძლება, — თქვა კაცმა, — თუმცა ეს ჯორები ახლა დაღლილ-დაქანცულებია, მაგრამ, მგონი, მაინც შეიძლებენ იქ ჩაგათრიონ, საიდანაც ამოგათრიეს.

ბუნმა იკადრა უკან დახევა.

— დასწყევლოს ღმერთმა, ეს ბიჭი ღლაპია და ამას...

— ხოდა, ჯეფერსონში ფეხით დაბრუნება სულაც არ გაუჭირდება, — თქვა კაცმა, — თუმცა ის გზა არ დამოკლდება ამიტომ.

— კარგი, — უთხრა ბუნმა, — ამასაც ხომ ხედავ, ჭუჭყიც რომ მოაცილო, მაინც ისეთივე შავი ექნება.

კაცი წამით სადღაც შორს იმზირებოდა. მერე ბუნს გამოხედა:

— ამ ჯორებს ფერის გარჩევა არ შეუძლიათ, შვილო.

5

ბუნმა ასე გვითხრა ნედსა და მე, როგორც კი ჯოჯოხეთის ღელეს გავალწევთ, ცივილიზაციის ქვეყანაში გადავალთო; მისი სიტყვით, ამ გზებზე ბუზებივით ირეოდნენ ავტომობილები. თუმცა კი ჯერ აუცილებელი იყო რაც შეიძლება შორს გავცილებულიყავით ჯოჯოხეთის ღელეს, ვითარცა ჯოჯოხეთის საუფლოს თუ დაკარგულ ქვეყანას იმდენზე მაინც, რომ თავალს მიფარებოდა; თუმცა შეიძლება ღირსი არც ვიყავით ცივილიზაციის სიკეთისა, სანამ არ მოვიცილებდით ჯოჯოხეთის ღელის ღაფს. წაიყვანა კაცმა თავისი ჯორები, წაიღო ექვსი დოლარი და ხელნა. კარგად

დავინახე, თავის ქოხს არ მიბრუნებია, გაიარა ის ქანჭრობი და თვალს მიეფარა, თითქოსდა დაასრულა თავისი სამუშაო დღე. ნედს არ გამოპარვია ეს გარემოება,

— სულაც არ ყოფილა ღორი, მეტი რა უნდა, ჯერ კიდევ სადილობამდე ექვსი დოლარი გააკეთა.

— სწორედ დრო არის, — თქვა ბუნმა, — რამე შეგვჭამოს ხოდა, გავხსენით ყუთი, რომელშიც მისს ბოლენბომ სანოვაგე ჩაგვიღაგა. ჯალამბარი, ცული და ნიჩაბი, ჩვენი ფეხსაცმლები, წინდები და ჩემი შარვლები (მანქანისათვის კი რა უნდა გვექნა, ასე იოლად ვერ გარეცხებოდა, სანამ მემფისს არ ჩავიდოდით, სადაც დარწმუნებული ვიყავით, ყოველ შემთხვევაში, იმედი გვექონდა, ლაფი აღარ შეგვხვდებოდა); მერე ღელეზე ჩავიტანეთ და კარგად გავრეცხეთ ხელსაწყოები და ჯალამბარიც და ისევ ჩაუღაგეთ, მაგრამ ბუნისა და ნედის ტანსაცმელს არაფერი ეშველებოდა, თუმცა ბუნი მაინც შევიდა წყალში ტანსაცმლიანყველაფრიანად, დაიბანა და სცადა ნედიც დაეყოლიებინა, შენც ასე გააკეთეო. თავად კი ჰქონდა მეორე ხელი ჩასაცმელი. ნედი უარზე დადგა, მხოლოდ პერანგი გაიხადა და მყისვე ჩამოიცივა თავისი სერთუკი. მგონი გითხარით, ერთი პატარა საგანგებო ჩემოდანი ჰქონდა და სადმე უცხო მხარეს თუ მიდიოდა, თან მიჰქონდა, ვით მისი პიროვნების ღირსების გამომხატველი (ნედი იმით დაატარებდა ბიბლიასა და ორი სუფრის კოვზ, როგორც ჩანს, ბაბუას საუკეთესო ვისკის) ისევე, როგორც დიპლომატიისთვის მისი საკუთარი ბარგი, რომელშიც ზოგჯერ უფრო ცოტა რამ დევს, ვიდრე მოსალოდნელია.

შემდეგ წავისადილეთ — შაშხი, შემწვარი წინილები, ფუნთუშები, სახლში გაკეთებული მსხლის მურაბა, ღვეზელი და ერთი დოქი ბადაგი დავაყოლეთ. მერე მოვხსენით ბორბლებს ტალახგამძლე ჯაჭვი (სულ ტყუილად იძახდნენ, ყველგან გაგიყვანთო), ავზში ბენზინის მოცულობა გავზომეთ, მართალია, დიდი მანძილი არ გაგვივლია, მაგრამ ბევრი კი დაუნვით, და გზას გავუდექით. არჩევანი უკვე გაკეთებული გვექონდა, რალა დროს სინანული და მწუხარება იყო, იმის ძახილი, ეს რა მოგვივიდა-თქო; რკინის ხიდით სხვა ოლქში გადასვლა და რუბიკონის გადავლა ერთი იყო, ჯოჯოხეთის ღელის შემდეგ კი კარიბჭეც მოვიკეტეთ და უკან დასაბრუნებელი ხიდიც დავწვით. ისე რომ ახლა ჩვენ ამ გამარჯვებით სულის მოთქმა დავიმსახურეთ, ჯილდო სიმტკიცის გამოჩენისთვის ან იმის საზღაური, რომ არა და არ გვინდოდა დამარცხების აღიარება, როდესაც მასთან პირისპირ დავდექით თუ თავად ის დადგა ჩვენთან პირისპირ. ან იქნებ სიკეთემ ჩვენზე ხელი აიღო და უკეთურობას მიგვცა, და ისიც ჩინებული ძიძა გამოდგა, ზრუნვა და პატივი არ მოგვაკლო და გამარჯვების სანაცვლოდ საბოლოოდაც გაგვაყიდინა სული.

შეცვლილიყო უკვე მიდამოც. ფერმები გამოჩნდა დიდი, მდიდრული, მჭიდრო ღობეებგარშემოვლებული შედებილი სახლებითა და ბელლებითაც კი. ქალაქური იერი დაჰკრავდა უკვე ყველაფერს, ფართო, ლარივით გადაჭიმულ მძიმე ბორბლებით დაღარულ შარაგზაზე გავედით; ბუნმა როგორღაც ზარზეიმით წარმოთქვა, თითქოსდა ეჭვით ვეკიდებოდით მის ნათქვამს ან თითქოსდა სულაც ჩვენს ჯიბრზე გამოეგონებინა ეს გზა, შეექმნა, გაეყვანა, გაენმინდა, მოესწორებინა საკუთარი ხელით (და იქნებ ბორბლების ნაკვალევიც გაეწვლო):

ყოველ შემთხვევაში, როდესაც მე ჩამოვყავდით. არ ვიცი სწორედ, ამჯერად როგორ მოახერხა ბუნმა ჩემი ფიქრის გამოცნობა.

— პანსიონის მაგვარ სახლში მივდივართ, — ასე თქვა, მოგეწონება ვიცი. ამ ერთი კვირის წინ ერთი გ... ქალბატონის წერილი მივიღე, თურმე თავისი ძმისწული ჰყავს სტუმრად და არ მზავსებდა, იქაური მზარეული ქალი კი ნედის მასპინძელი იქნება.

— ხი-ხი-ხი, — ჩაიქირქილა ნედმა. ტრამვაების გარდა აქ ბევრი იყო ფაქტონი, ეტლი, დროგი, ორთვალა და ერთი ვიქტორიაც. ცხენები კი, მართალია, ჩვენკენ ბრეცავდნენ თვალის თეთრონს, მაგრამ არ დამფრთხალან, მემფისში ცხენები უკვე აღარ ფეთდებოდნენ მანქანების დანახვაზე; თუმცა ბუნს არ შეეძლო თავი მიეტრიალებინა, მაინც გახედა ნედს ცალი თვალით. ვითომ რაო? — უთხრა.

— არაფერი, — მიუგო ნედმა, — წინ იყურე და ჩემი დარდი ნუ გაქვს. ჩემზე ნუ სწუხარ. მეგობრები აქ მეც მყავს. ოლონდ დამანახე, სადაც ამ ავტომობილს გააჩერებ ხვალ დილაშდუ, და დროზე მოვალ.

— ჯანდაბას შენი თავი, — უთხრა ბუნმა, — არ დააგვიანო იცოდუ, თუ გინდა ჯეფერსონში ფეხით არ დაბრუნდე. მე და ლუციუსს სამოგზაუროდ არ დაგვიპატიჟებინარ და თავში ქვა გიხლია, არც ჩვენ გვეჭირდები და არც ჯეფერსონს, — გინდ დაბრუნდი, გინდ არა, თავს არ მოვიკლავ.

— ჯეფერსონში რომ დავბრუნდებით ამ ავტომობილით, ნეტა რას ეტყვი პატრონ პრისტსა და ბ-ნ მორის, თავი მოსაკლავი მაშინ გექნება, — უთხრა ნედმა. მაგრამ უკვე გვიან იყო დავა და კინკლაობა, ხოდა, ბუნმა მარტო ეს უთხრა:

— კარგი, კარგი, — იმას კი გეტყვი, ჯეფერსონში დაბრუნება თუ გინდა, მაიმუნობას თავი გაანებე და მანქანაში დამხვდი იცოდუ.

მთავარ ქუჩასთან სულ ახლოს ვიყავით — მაღალი შენობები, მაღაზიები, სასტუმროები: გასტონისა (ახლა უკვე აღარ არის), პიბოდის (სხვაგან გადავიდა) და გეიოზოსი, რომელთანაც ჩვენ, მაკ-კასლინ-ედმონდს-პრისტები ფიცით ვიყავით შეკრული, რადგანაც, როგორც ლეგენდა გვამცნობს (ზოგისთვის შეიძლება მართლაც ლეგენდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენთვის ეს ისტორიული ფაქტი იყო), ჩვენი შორეული ნათესავი თეოფილუს მაკ-კასლინი, აიკ ბიძიას მამა ყოფილა თურმე იმ მხედრების რაზმში, გენერალ ფორესტის ძმის წინამძღოლობით რომ ცხენებითვე ვესტიბიულში შეიჭრნენ და კინალამ იანკების გენერალი არ დაატყვევეს. მაგრამ გეიოზომდე ჩვენ არ მივსულვართ. ბუნმა გვერდით ჩიხის მაგვარ ქუჩაზე შეუხვია, სადაც ორი ბარი იდგა, ხოლო მის გასწვრივ სახლები, არც ახალი და არც ძველი, თანაც აქ ისეთი სინყნარე იყო, როგორც ჯეფერსონში კვირის ნაშუადღევს. ხოდა, ასე თქვა ბუნმა:

— ნუხელ უნდა ყოფილიყავი აქ, ნეტავი მაშინ რას იტყოდი; თუნდაც რომელიმე შაბათ საღამოს, თუნდაც ყოველ საღამოს, როდესაც ამ ქალაქში თავშეყრაა მეხანძრეების, პოლიციელების, ქველმოქმედთა თუ სხვათა,

— იქნებ მწუხრის წირვაზეა ყველა წასული, — ვთქვი მე.

— არა, — თქვა ბუნმა, — არა მგონია ასე იყოს. მგონი, ისვენებენ.

— რისგან? — ვკითხე მე.

ხი-ხი-ხიო, ჩაიხითხითა ნედმა უკანა სკამზე, როგორც ჩანს, ამით გვამცნო, მემფისში ადრეც ვარო ნამყოფი, შეიძლება ამას ბაბუაც ხვდებოდა, მაგრამ რამდენად ხშირად, ეს კი არ იცოდა. ისიც უნდა გახსოვდეს,

მაშინ მხოლოდ თერთმეტი წლისა ვიყავი. რადგან ცარიელი იყო ქუჩა, ბუნმაც შესძლო თავის მიტრიალება.

— კიდევ ერთხელ გიცდია და მაშინ ნახავ, — უთხრა ნედს.

— კიდევ რა მიცდია? — ჰკითხა ნედმა, — შენ მხოლოდ ეს მიტხარი, ხვალ დილით ამ ოხრობას სად დააყენებ და თქვენზე უკეთესი გეცხადები შიგ.

ხოდა, ბუნმა უჩვენა, სადაც უნდა მივსულიყავით; სხვა შენობებივით ამ სახლსაც სჭირდებოდა საღებავი. იმის მოტიტვლებულ ეზოში, სახლის სადარბაზო კარის წინ რიკულებით შემოღობილი ადგილი იყო ერთი, გადმოხურული, მსგავსად იმისა, ჭის გარშემო ოთხ კედელს რომ შემოავლებენ. ბუნმა მანქანა გზისპირას გააჩერა. მერე ნედს მიუბრუნდა.

— კარგი, — თქვა ასე, — დავიმახსოვრებ. ახლა კი შენ დამიგდე ყური. დაჰკრავს თუ არა საათი რვას ხვალ დილით, უკვე მოსული უნდა იყო. გესმის, პირველად რომ დაჰკრავს და არა უკანასკნელად. იმ უკანასკნელის მოსასმენად მე აღარ დავრჩები.

ნედი უკვე გადასულიყო იმ ჭუჭყიანი პერანგით და თან გადაეტანა თავისი პატარა ჩემოდანი.

— შენ შენი საქმეები გაქვს მოსაგვარებელი და ჩემზე ნულარ დარდობ. თუ მორჩები შენს საქმეს ხვალ რვა საათისთვის, მეც მოვრჩები როგორმე; — თქვა და წავიდა. მერე არც შეჩერებულა და არც უკან მოუხედავს, ხი-ხი-ხიო, — ისე ჩაიხითხითა.

— წავიდეთ, — თქვა ბუნმა, — მისს რება დაგვაბანინებს. — გადმოვედით მანქანიდან. ბუნს თავისი ხელჩანთის გადმოღება უნდოდა უკანა სკამიდან, მაგრამ შეჩერდა, ჰო მართლაც, გადაიხარა, დაფას მისწვდა, ავტომობილის გასაღები გამოაძრო და ჯიბეში შეინახა, ის იყო ხელჩანთა უნდა გადმოეღო, რომ ისევ შეჩერდა, გასაღები ჯიბიდან ამოიღო და მი-თხრა, შენ გქონდეს, იქნებ მივაკარგო, შეინახე ჯიბეში, ოღონდ არ გამოგივარდეს, ცხვირსახოცის ქვეშ ჩადევიო. გასაღები გამოვართვი, მან კი ისევ ხელჩანთისკენ გაიწია, ისევ შეჩერდა, სწრაფად გახედა პანსიონს, ოდნავ მიტრიალდა, უკანა ჯიბიდან საფულე ამოაცურა, ტანზე მიიკრა, გახსნა და ერთი ხუთდოლარიანი ამოიღო; მერე კიდევ ერთდოლარიანიც დაამატა, საფულე დაკეტა და ზურგს უკნიდან ჩემკენ გამოაცოცა. სწრაფად ჩამჩურჩულა, ესეც შენ გქონდეს, ესეც შეიძლება სადღაც დამრჩეს, თუკი ფული დაგვჭირდება, გეტყვი, რამდენიც უნდა ამოიღო.

პანსიონებში აქამდე ნამყოფი არ ვყოფილვარ, არ დაგავინწყდეს, მხოლოდ თერთმეტის ვიყავ. ხოდა, ჩავიდევი ის საფულე ჯიბეში, ბუნმა გადმოიღო თავისი ხელჩანთა, ჭიშკარში შევედით და იმ სახლის სადარბაზოს რიკულებიანი შემოღობილისკენ გავსწიეთ. ბუნმა დარეკა თუ არა, იმწამსვე შიგნიდან ფეხის ხმა მოგვესმა. — ხომ გითხარი? — სწრაფად ჩამილაპარაკა ბუნმა, — ალბათ ფარდებიდან უჭვრეტდნენ მანქანას. კარი ყმანვილმა ზანგის ქალმა გაგვიღო, მაგრამ მან პირის გაღებაც ვერ მოასწრო, თეთრკანიანმა ქალმა გვერდზე მისწია. ისიც ახალგაზრდა იყო, მკაცრი სასიამოვნო სახისა, მხოლოდ ყლალთმიანი, ვებერთელა მოყვითალო ბრილიანტის საყურეები უელვარებდა. პირველად ვხედავდი ასეთ დიდ ბრილიანტებს.

— დასწყევლოს ღმერთმა, ბუნ, — თქვა მან, — კორიმ როგორც კი მიიღო შენი წერილი, იმ წუთას დეპეშა გამოვაგზავნი, ბიჭი არ ჩამო-

იყვანო-თქო. მთელი კვირა უკვე მყავს ერთი და მოასწრო კიდევაც ამ სახლისა და ქუჩის ამოტრიალება, მგონი მთელი მემფისისაც. ახლა არა თქვა, დეპეშა არ მიმიღიაო.

— არ მიმიღია, — მიუგო ბუნმა, — ეტყობა, ჯეფერსონიდან წამოსულები ვიყავით. ახლა კი რა ვქნა? ეზოში დავაბა?

— კარგი, შემოდით, — გვითხრა, გვერდზე მიდგა და შიგარქუმე შევედით, კარი იმ წუთასვე ჩაკეტა ზანგის გოგომ, არ ვიცოდი რატომ, შეიძლება მემფისში ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაშინაც კი, როდესაც სახლში იყვნენ. ჩვეულებრივი იყო შემოსასვლელიც, ზევით ამავალი კიბითურთ, მაგრამ რალაც უცხო სუნი მეცა, მთელი სახლი რომ მოეცვა. პირველად მცემდა ასეთი სუნი. ვერ გეტყვი, არ მომეწონა-მეთქი, თუმცა მოულოდნელი იყო. გესმის, თითქოსდა მთელი ცხოვრება ველოდი, რომ ერთხელაც ასეთ სუნს ვიგრძნობდი. მე მგონი, ასე ჯიქურ და გაუფრთხილებლივ შეიძლება გაზიარონ მხოლოდ იმ გამოცდილებას, ურომლისოდაც მშვენივრად გასძლებ სიცოცხლის ბოლომდე. მაგრამ ასეთ გარდაუვალ (თუ გნებავთ, აუცილებელ) გამოცდილებას სულაც არ შეშვენის, რომ ბარემოებამ, ბედისწერამ საამისოდ არ მოგამზადოს და რამდენიმე ხნით არ დაიცადოს. ვინემ თხუთმეტისა არ გახდები. აი როგორი იყო ეს სუნი. ქალი ისევ ლაპარაკობდა:

— შენც კარგად იცი, ბატონ ბინფორდს ძალიან არ უყვარს, აქ ლაპებები რომ მოჰყავთ არდადეგების დროს. შენც ხომ გესმოდა, რასაც ამბობდა, როდესაც კორიმ შარშან ზაფხულს პირველად მოათრია აქ ეგ ეშმაკის ფეხი; ვითომდა არკანზასის ფერმაში კარგი აღმზრდელები არ ეყოლებოდაო. ბ-ნ ბინფორდმა სწორად თქვა: სულ ერთია, ყველანი მაინც მოვლენ აქ, რატომ უნდა დავაჩქაროთ, ჯერ ფულის შოვნა ისწავლონ, დახარჯვა კი, ვიცი, არ გაუჭირდებათო. კლიენტები აქ საქმეზე მოდიან და ჩვენ მათი მომსახურების მაგივრად ცხვირმოუხოცველ ბაღლებს უნდა ველოლიავოთ.

ახლა უკვე სასადილო ოთახში ვიყავით. იქ პიანოლა იდგა. მერე ქალმა იკითხა, რა ჰქვიაო?

— ლუციუსი, — უთხრა ბუნმა, მერე მე მომიბრუნდა, — მისს რებას მიესალმე. — მივესალმე ისე, როგორც ვიცოდი, ანუ ისე, ბაბუას რომ დედამისმა ასწავლა, ხოლო ბაბუამ მამაჩემს, ხოლო დედაჩემმა კი ჩვენ; ანუ როგორც ნედი იძახდა, „ფეხი ფეხს ჰკრაო“, მერე გავსწორდი. მისს რება თვალს არ მაცილებდა, გაოცება ეტყობოდა სახეზე.

— დასწყევლის ღმერთი, — თქვა, — დაინახე, მინი? მისს კორი სადაა?

— იცვამს გამალებული, რა ქნას, — მიუგო მინიმ. ხოდა, სწორედ მაშინ დავინახე, მინის კბილზე ვამბობ, დიახ, რის თქმა მინდა, თუ რატომ — მე — თქვენ — ყველა — ვერ ვივინყებდით მინის. მშვენიერი კბილები ჰქონდა, თეთრზე თეთრ კენჭებს ჰგავდა, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილს საფლავის ქვებზე, ლაპარაკისა თუ ღიმილის დროს რომ ელავდნენ მუქ შოკოლადისფერ სახეზე. უფრო მეტიც, მარჯვენა ზედა კბილზე ოქრო ჰქონდა გადაკრული და სხვა თეთრად მბზინავ კბილებს შორის დედოფალივით ბრწყინავდა და გიზგიზებდა, როგორც ნელი, შინაგანი ცეცხლი და ოქროზე მეტად ჭრიდა თვალს. სწორედ ამიტომ ეს ერთი კბილი უფრო დიდი გეჩვენებოდა, ვიდრე მისს რებას ბრილიანტის ყვით-

ლად მოელვარე საყურეები ორივე ერთად (შემდეგ გავიგე — თუ როგორ, ამას მნიშვნელობა არ აქვს — ის ოქროს კბილი ამოუღია თურმე და მის ნაცვლად ჩვეულებრივი, სხვებივით თეთრი ჩაუსვამს. მენყინა. ასე ვფიქრობდი, მისი რასისა და ასაკის რომ ვყოფილიყავი, ცოლად შევიერთავდი მხოლოდ იმიტომ, ყოველდღე ქამის დროს, ჩემ პირდაპირ სუფრაზე იმ კბილისთვის მეცქირა; თერთმეტი წლის ვიყავ მხოლოდ და ასე მეტონა, რომ საჭმელს ასეთი კბილის წყალობით სხვანაირი გემო უნდა ჰქონოდა, ბევრად უკეთესი).

მისს რება კვლავ ბუნს მიუბრუნდა,

— რა მოგივიდა, ტახებთან ხომ არ გიჭიდავია?

— გზაზე ტლაპოში ჩავვარდით, მანქანით ჩამოვედით. აგერ იქ ქუჩაში დგას.

— დავინახე, — მიუგო მისს რებამ, — ყველამ დავინახეთ. ახლა არა თქვა, ჩემიანო. პირდაპირ მითხარი, პოლიცია ხომ არ გეძებს. მაშინ მომწყდი აქედან. ბ-ნ ბინფორდს არ უყვარს, სახლში რომ პოლიცია ტრიალებს, მეც ასევე.

— ამ მანქანის დარდი ნუ გაქვს, — მიუგო ბუნმა.

— აბა ჭკუით, — თქვა მისს რებამ. მერე კვლავ მე გამომხედა. თავისთვის ჩაილაპარაკა, ლუციუსიო, ისე, თავისთვის. — კარგი იყო ადრე ჩამოსულიყავი, ბ-ნ ბინფორდს უყვარს ბაღლები. მაშინაც კი, როდესაც ეჭვი დარევს ხოლმე ხელს, ღირსნი არიან თუ არა სიყვარულის, ამ უკანასკნელ კვირას კი მკვდარსაც აიტანდა ეჭვები. მაგრამ ვინემ მას ეჭვი ღრღნის, ოტისს ბედმა გაუღიმა და სწორედ სადილის მერე ზოოპარკში წაიყვანა სასეირნოდ. ლუციუსსაც შეეძლო წასულიყო. მაგრამ ერთი მხრივ კი სჯობს, რომ არ წაყვა. თუკი ოტისი ისეთივე წარმატებით გაულვივებდა ბატონ ბინფორდს ეჭვებს, როგორც სადილობამდე, მაშინ იქნებ ველარც დაბრუნდეს უკან, ცხადია, თუ ბატონმა ბინფორდმა ლომის ან ვეფხვის გალიასთან ახლოს მიიტყუა. მაგრამ რომელი ლომი და ვეფხვი გაუძლებს იმ ბიჭს თუნდაც ერთი კვირით, კიდევ რომ შეათრიონ. — მერე ისევ მე შემომხედა და კვლავ თქვა, ისევ თავისთვის, ლუციუსიო. შემდეგ მინის მიუბრუნდა, მალლა ადი და ყველას უთხარი, ნახევარი საათით აბაზანაში ნურავინ შევაო. ბუნს კი ისევ ჰკითხა, გამოსაცვლელი ტანსაცმელი თუ გაქვსო?

— კი, მაქვს, — მიუგო ბუნმა.

— ხოდა, იბანავე და გამოიცვალე, აქ წესიერი სახლია და არა რაღაც ბუნაგი. ვერას ოთახში წაიყვანე ესენი, მინი, ახლა ვერა თავის ნათესავებთანაა პადუკაში.

მერე ასე უთხრა ბუნს და, მგონი, მეც, მინიმ ოტისს ლოგინი სხვენში გაუშალა, ლუციუსმაც იქ დაიძინოსო ამალამ...

კიბეზე ფეხის ხმა მოისმა, მერე შემოსასვლელში და კარს უკან. ტანსრული ყმანვილი ქალი შემოვიდა ამჯერად, მსუქანი კი არა, ბუნივით მოსული. უფრო სწორად, ნორჩი ასული, შავთმიანი და ცისფერთვალება. პირველად ვიფიქრე, რა უშნო სახე აქვს-მეთქი, მაგრამ ოთახში შემოსულმა რომ შემომხედა, სულაც აღარ ჰქონდა მნიშვნელობა როგორი სახე ჰქონდა.

— გამარჯობა, გოგონი, — უთხრა ნედმა. მაგრამ ქალს არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, ორივენი, ის და მისს რება მე მიმზერდნენ.

— აბა ერთი ნახე, — თქვა მისს რებამ, — ლუციუს, ეს მისს კორია.

მეც სალამის ნიშნად ისევ ფეხი ფეხს შემოვკარი.

— ხომ ხედავ, — განაგრძო მისს რებამ, — ზრდილობის სასწავლებლად ჩამოიყვანე შენი დისწული და აი ისწავლოს. თუმცა კი არ იცის, ეს რა არის და რად უნდა გააკეთოს ასე. მაგრამ თუნდაც მაიმუნივით მიბადოს ლუციუსს, ჩათვალე უკვე, რომ ისწავლა. კარგი, ბუნს მიუბრუნდა, — ნადი და დაიბანე.

— იქნება კორი დაგვეხმაროს, — თქვა ბუნმა, მისს კორისტვის ხელი არ გაუშვია, — გამარჯობა, გოგონი.

— რა ჭაობის ვირთხას დამსგავსებინარ, — უთხრა მისს რებამ, — დასწყევლოს ღმერთმა, კვირადღეს მაინც იყოს აქ წესიერად ყველაფერი.

მინიმ მალლა აგვიყვანა, გვიჩვენა ჩვენი ოთახი და აბაზანა, მოგვცა საპონი, პირსახოცები და მერე გავიდა. ბუნმა თავისი ხელჩანთა ლოგინზე დააგდო, გახსნა, იქიდან სუფთა პერანგი და სხვა შარვალი ამოიღო, ყოველდღე ჩასაცმელი, რადგან ახლა რომ ეცვა, საკვირაო, აღარც ერთი დღისთვის აღარ ვარგოდა, ვიდრე ნავთით არ გაინმინდებოდა. — ხედავ? — მითხრა, აკი გეუბნებოდი, სუფთა პერანგი მაინც წამოიღე-მეთქი.

— სულაც არა მაქვს ეს დასვრილი, — მივუგე მე.

— ერთი მაინც უნდა გქონდეს ახალი, აბაზანის მერე რას ჩაიცვამ?

— ბანაობას არც ვაპირებ, — ვუთხარი, — გუშინ ვიბანავე.

— მერე რა, მეც ვიბანავე, — თქვა ბუნმა, — არ გაიგონე, მისს რებამ რაც გითხრა?

— გავიგონე, — ვუთხარი, — ყველა ქალს ერთი სული აქვს, ოღონდ კი ვინმე აბაზანაში შეაგდოს.

— რამდენიმე საათს რომ დაჰყოფ აქ, კიდევ ბევრ რამეს გაიგებ ქალებზე. თუკი გეუბნებიან, რალაც გააკეთეო, სჯობს გააკეთო და არ მოჰყვე გარჩევას, გავაკეთო თუ არ გავაკეთოო. — ბუნს უკვე ამოელო სხვა პერანგი და შარვალი. რა უნდოდა შარვლისა და პერანგის ამოღებას ერთი ხელჩანთიდან, მაგრამ ძალიან კი გაუჭირდა, მეტადრე მათი დაწყობა. დახრილი იდგა იმ თავის ხელჩანთაზე პერანგით ხელში და შეცბუნებულს ვერ გადაეწყვიტა, შარვალი სად დაედო. პერანგი რომ დადო, შარვალი ისევ ხელში აიღო და განზე გადადო, მერე პერანგი შარვალს მიუდო, შემდეგ ხმამალლა ჩაახველა, ყელი ჩაინმინდა, ფანჯარასთან მივიდა, გააღო და გაიხედა, შემდეგ დაკეტა, უკან გამობრუნდა, ლოგინთან, ჩემკენ არ გამოუხედავს, ისე დაიწყო ხმამალლა ლაპარაკი, თითქოსდა პირველი ამოსულიყო შობადლის დილას ჩემს საძინებელში და მეუბნება, ნაძვის ხესთან რა საჩუქრები დამხვდება, თუმცა კი შენ თოვლის ბაბუას სულ სხვა რამეს სწერდი და სთხოვდიო.

— ვერც წარმოიდგენ, რამდენ რამეს გაიგებს კაცი სულ ცოტა ხანში, მანამდე რომ სულაც არ ჰქონდა წარმოდგენა და ვერც იფიქრებდა, რასაც ახლა გავიგებ, შეიძლება მთელი ცხოვრება გამომადგესო. ცხადია, თუკი დაიმახსოვრებს და არ დაივიწყებს, თავად განსაჯე, ჩვენ ხომ გუშინ დილას წამოვედით, ორი დღე არცაა გასული, არადა, რამდენი რამ ისწავლე: მანქანის ტარებაო, მემფისში როგორ ნახვიდე, ისე რომ რკინიგზა თუ მატარებელი არც კი დაგჭირდეს, უფრო მეტიც, უკვე იცი, მანქანა როგორ ამოატრიო ტალახიდან. გაივლის დრო, დაკაცდები, შენი საკუ-

თარი გეყოლება, ტარება გეცოდინება, მემფისში მიმავალი გზაც, ტალახისა და ლაფის აღარ შეგეშინდება.

— პატრონმა მითხრა, როცა გაიზრდები, ტალახს ველარც ნახავთ. ყველა გზა ისეთი სწორი იქნება, რომ ბანკმა შეიძლება მოგთხოვოს, სულაც ჩამოგართვას ავტომობილი განვადების ვადის გადაუხდელობის გამო ან შეიძლება ისე დაძველდეს, ერთხელაც არ გახდეს ტალახიდან ამოსათრევიო.

— კი ბატონო, — თქვა ბუნმა, — შეიძლება მართლაც ასე იყოს, შეიძლება აღარც გახდეს ტალახიდან ამოსათრევი, მაგრამ შენ უკვე იცი, როგორც უნდა ამოათრიო, რატომ? რატომ და იმიტომ, რომ შენი ცოდნა შენვე დაგრჩება და არც არავის არ მისცემ.

— ვის უნდა მივცე? — ვუთხარი, — ტალახი აღარსად იქნება და ამის ცოდნა არც არავის დასჭირდება.

— კი ბატონო, კი ბატონო, — მითხრა ბუნმა, — ყური დამიგდე, ტალახზე ნულარ ვილაპარაკებთ; ყმანვილმა კაცმა... ბიჭმა შეიძლება გაიგოს ისეთი რალაც, რაზედაც ადრე არ უფიქრია, აქამდე აზრადაც არ მოსვლია, და როცა უკვე დასჭირდება ამის ცოდნა, უკვე ეცოდინება კიდევაც; რადგანაც თუკი როდესმე რამე გისწავლია, მოვა დრო და უქმად არ დაგრჩება, გამოგადგება... ოღონდ უნდა გახსოვდეს, გულში ჩაბეჭდილი უნდა გქონდეს; გესმის ახლა, რას გეუბნები, გასაგებია?

— არ ვიცი, — მივუგე მე, — შეიძლება მართალიც იყოს, რადგანაც ამდენს მელაპარაკები.

— კი ბატონო, — თქვა, — ეს ერთი, მეორე კი ის არის, რომ მე და შენ სულ მუდამ კარგი მეგობრები ვიყავით. ჩვენ ახლა დროს ვატარებთ, ვმოგზაურობთ. შენ უკვე გაიგე ისეთი რალაც-რალაცები, ადრე რომ არც გინახავს და არც გსმენია; კიდევაც ვამაყოფ, რომ შენ გვერდით ვარ და გეხმარები, ასე ვთქვათ, გათვითცნობიერებაში. დღესაც გინდა, არ გინდა, უფრო მეტს გაიგებ, რაზედაც არა მგონია მანამდე გეფიქროს; ნახავ, ჩახვდება და შენდა უნებურად მონაწილეც იქნები, თუმცა ჯეფერსონშიც და სხვაგანაც ბევრი გეტყოდა, შენთვის ეს ჯერ ადრეაო. მაგრამ იცოდე, სისულელეა ეს ყველაფერი, შენ ხომ ის ბიჭი ხარ, ვინც არა მარტო მანქანის ტარება ისწავლა და მემფისისკენ მიმავალი გზაც, შეუძლია მანქანაც კი ამოათრიოს იმ ლაფიდან, ვილაც ნაბიჭვარს თავის საკუთრებად რომ გაუხდია, და ეს ყველაფერი ერთ დღეში; კი, სწორედ შენისთანა ბიჭს შეუძლია, რასაც შეხვდება, ყველაფერი კარგად გაიგოს. მხოლოდ... — კვლავ ჩაახველა, ყელი ამოიწმინდა, ფანჯარასთან მივიდა, ისევ გამოალო, კვლავ გადააპურჭყა, ისევ დაკეტა და უკან დაბრუნდა.

— მაგრამ არის კიდევ მესამეც, რაც მინდა როგორმე აგიხსნა. ყოველმა მამ... ყმან... ბიჭმა შეიძლება ისეთი რამ დაინახოს, ისეთ რამეს გადაეყაროს და ისეთი რამე მოისმინოს, რაც იქნებ იმ წუთას ვერ გაიგოს და ვერც კი წარმოიდგინოს, თუ როდესმე გამოადგება ამის ცოდნა, მაგრამ მოვა დრო და კარგადაც გამოიყენებს, თუკი არ დაავინყდება, თუკი ვინმესთან არ გათქვა. ხოდა, სწორედ მაშინ მიხვდები, რა ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, რომ ამ დროს გვერდით გყავდა დიდი ხნის მეგობარი, ვისაც ჩვილივით ზურგზე მოკიდებული საჯინიბოში მიჰყავდი,

ვინც სულ პირველად შეგსვა ცხენზე, ვინც წინასწარვე გაფრთხილებდა, გულმავინყობის ან შემთხვევის ან კიდევ, ვინ იცის, რის გამო, შენდა ჭირად ვინმეს არ უთხრა და არ მოუყვე, რაც თავს გადაგხდება.

— შენ იმის თქმა გინდა, რომ ამ მოგზაურობის ხანს რასაც ვნახავ, არც პატრონს, არც მამას, არც დედასა და ბებიას არ ვუამბობ სახლში და ბრუნებულმა, ასე, არა?

— მეთანხმები თუ არა? — თქვა ბუნმა, — სულ ჩვეულებრივი, სალი გონებით თუ ვიმსჯელებთ, მე და შენი ამბავი ვისი გასარჩევი უნდა იყოს? რატომ უნდა უამბო?

— მერედა რატომ ამას პირდაპირ არ მეუბნები? — ვუთხარი.

მიუხედავად ამისა ჩემი ბანაობის ამბავი თურმე სულაც არ დავინყებოდა; სააბაზანოში კიდევ უფრო მოტკბო-შედედებული სუნი მეცა. პანსიონების შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი. შეიძლება ისეთებიც იყო, სადაც მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ. ბუნს რომ ვკითხე ეს, მაშინ ჩვენ კიბეზე ჩამოვდიოდით. სალამოვდებოდა და მშოდა.

— სწორად ამბობ, ქალებია აქ, — თქვა, — და თუ დავინახე, რომელიმესთან უზრდელად მოიქეცი...

— კაცებიდან სულ არავინაა ამ სახლში?

— არა, ბ-ნ ბინფორდის გარდა აქ არავინ ცხოვრობს. საჭმელიც აქ ისეთი არაა, როგორც სხვა პანსიონებში. მაგრამ ბევრი ხალხი კი ირევა. ვახშობის მერე, უფრო გვიანაც. მოდიან და მოდიან. თავადაც ნახავ, დღეს კვირადღეა და ბ-ნი ბინფორდი ამ დღეს განსაკუთრებით მკაცრია, არავითარი ცეკვა-თამაში, მხოლოდ მათი უახლოესი მეგობრები მოდიან, წყნარად, თავაზიანად, დიდხანს არც რჩებიან, არც ბ-ნი ბინფორდი დაანებებს ამას — ყველა, ვინც აქ მოვა, წყნარად და თავაზიანად უნდა მოიქცეს. ისე კი მთელი კვირის განმავლობაშიაც სალამოობით ეს კაცი ასევე ფხიზლადაა, ხმაურს არ დაანებებს, ვინც არ უნდა იყოს. შენც წყნარი და თავაზიანი იყავი, ვართობას არ მოგიშლი, მაგრამ ფრთხილად. იცოდე, რამე საყვედური არ დაიმსახურო. ბატონი ბინფორდი თავიდან ხმას არ აუწევს, ორჯერ ერთი და იგივეს გამეორება არ უყვარს. აბა წავიდეთ, ისინი ალბათ მისს რებას ოთახში არიან.

მართლაც იქ იყვნენ: მისს რება, მისს კორი, ბ-ნი ბინფორდი და ოტისი. მისს რებას ახლა შავი კაბა ეცვა და მკერდს სამი ბრილიანტი უმშვენებდა, ასევე ყვითლად მოელვარენი. ბ-ნი ბინფორდი დიდულვაშიანი, ჩია ტანის კაცი იყო, ოთახში ყველა ზემოდან დაჰყურებდა ჩემსა და ოტისის გარდა. შავი საკვირაო კოსტიუმი ეცვა, ეკეთა ოქროს საკინძეები, ოქროს საათი ოქროსავე დიდი ძენკვით, ხელთ ეპყრა ოქროსბუნკიანი ხელჯოხი, ეხურა ქვაბუნა ქუდი; ვისკიანი ჭიქა ედგა იდაყვთან მაგიდაზე. მაგრამ სულ პირველად მის თვალებს შეამჩნევდით, რადგანაც ჯერ კიდევ არც იყავი ოთახში შესული, უკვე გიმზერდა. ოტისიც საკვირაო სამოსელში იყო გამოწყობილი. ჩემზე დაბალი იყო და მაინც ეტყობოდა, რაღაც რიგზე ვერ ჰქონდა ყველაფერი.

— სალამო მშვიდობისა, ბუნ, — თქვა ბ-ნმა ბინფორდმა.

— სალამო მშვიდობისა, — მიუგო ბუნმა, — ეს ჩემი მეგობარი ლუციუს პრისტია.

ჩემებურად მივესალმე, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. თვალი კი მო-
მაცილა.

— რება, — თქვა მან, — რამე დასალევი მოუტანე ბუნსა და კორის.
მინიმ კი ამ ბიჭებს ლიმონათი მოუმზადოს.

— მინი ვახშამს აწყობს, — უთხრა მისს რებამ. კედლის კარადის
კარი რომ გამოაღო. ბარის მაგვარი რაღაც დავინახე, ერთ-ერთი ბიჭები
ენყო, მეორეზე ბოთლები. — კორისაც ლიმონათი ისევე უნდა, როგორც
ბუნს. ეგ ლუდს მიირთმევს.

— ვიცი, — თქვა ბ-ნმა ბინფორდმა, — პარკში რომ ვიყავით, სად-
ღაც გამისხლტა. ლუდი კი უნდოდა, მაგრამ ვერავინ ნახა, ვინც ბარში
შევიდოდა და უყიდდა. შენც მიირთმევ ლუდს, ბუნ?

შევიდოდა და უყიდდა. ესეც მიირთმევს ლუდს, ბუნ?

— მაინც რატომ? — მითხრა ბ-მა ბინფორდმა; — არ მოგწონს თუ
ვერ შოულობ?

— არა, სერ, — მივუგე მე, — ჯერ კიდევ არც ისე დიდი ვარ.

— მაშინ ვისკი, ხომ? — მკითხა ბ-ნმა ბინფორდმა.

— არა, სერ, — ვუთხარი, — არაფერს არ ვსვამ. დედას სიტყვა მი-
ვეცი, მანამდე არ დავლევ, სანამ მამა ან პატრონი არ შემომთავაზებენ.

— პატრონი ვინაა? — მკითხა ბ-ნმა ბინფორდმა ბუნს.

— ბაბუამისზე ამბობს, — უთხრა ბუნმა.

— ჰოო, — თქვა ბ-ნმა ბინფორდმა, — ავტომობილის პატრონი. იმი-
სთვის, ეტყობა, პირობა არავის მიუცია.

— იმას არც სჭირდება, — თქვა ბუნმა, — გეუბნება რაც უნდა
გააკეთო და უნდა გააკეთო.

— ის, მგონი, შენთვისაც პატრონია, — თქვა ბ-ნმა ბინფორდმა, —
ხანდახან.

— აბა როგორ, — მიუგო ბუნმა.

სულ ვცდილობ აგიხსნა ბ-ნ ბინფორდის ამბავი; და ისევე ვერ შევამ-
ჩნიე, როდის დამიწყო მზერა.

— მაგრამ ახლა დედაშენი აქ არ არის, — თქვა, — ბუნმა და შენ
ერთად აიწყვიტეთ თავი. ოთხმოცი მილით... შორსაა... ხომ?..

— არ შემიძლია, სერ, — ვუთხარი, — დედას შევპირდი.

— ვხედავ, — თქვა ბ-ნმა ბინფორდმა, — შენ სიტყვა მიეცი, ბუნთან
ერთად არ დავლევო. იმის პირობაც ხომ არ მიეცი, კახპებშიც არ ვივლიო
მასთან ერთად?

— ჰაი, შე თახსირო, — თქვა მისს რებამ.

როგორ ვთქვა არ ვიცი, ოღონდაც ის და მისს კორი ორივენი ერთად
შეხტნენ ადგილზე, — მისს რებას ერთ ხელში ვისკის ბოთლი ეკავა, მე-
ორეში სამი ჭიქა.

— კმარა! — თქვა ბ-ნმა ბინფორდმა.

— გეგონოს, — უთხრა მისს რებამ, — შემიძლია შენც აქედან მი-
გაბრძანო. თუ გგონია, ვერ იზამსო, ცდები, წესიერად ილაპარაკე იცოდეს!

— თქვენც ასევე, — უსაყვედურა მისს კორიმ მისს რებას, — მაგაზე
უკეთესად არც თქვენ იქცევით, პირდაპირ ამათ თვალწინ.

— კმარა-მეთქი, — გაიმეორა ბ-ნმა ბინფორდმა, — ერთს ლუდი ვერ უშოვნია, მეორე არ სვამს, იქნებ ორივენი აქ იმიტომ მოვიდნენ, რომ ზრდილობა ისწავლონ და კარგი განათლება მიიღონ. მარტლაც ასეა. ახლა გაიგეს, რომ „კახპა“ და „თახსირი“ ორივე სიტყვაა და კარგად უნდა დაფიქრება, ვიდრე ისროდე, თორემ შეიძლება ტყვია თავად მოიხვედრო.

— კარგით ერთი, — უთხრა ბუნმა. ბინფორდმა

— რაო?! დასწყევლის ღმერთი, კიდევ ერთი ტახი შემოგორებულა ჩვენს ლაფის გუბეში, — თქვა ბ-ნმა ბინფორდმა, — და კარგა მოსულიც. გონს მოდით, მისს რება, ვიდრე ყელი სულ მთლად არ გაგვიშრა.

მისს რებამ ვისკი ჩამოასხა, ხელი უკანკალებდა, ბოთლისა და ჭიქის რაკარუკთან ერთად მისი ჩახრინწულ-გააფთრებული ჩურჩული მოისმოდა, თახსირი, თახსირი, თახსირიო.

— კარგია, — თქვა ბ-ნმა ბინფორდმა, — მშვიდობას გაუმარჯოს, აბა დავლიოთ. — მან ჭიქა ასწია და ის იყო დაიწყო: „ქალბატონებო და ბატონებო“... რომ ვილაცამ ამ დროს — მგონი, მინი უნდა ყოფილიყო — სადღაც ჩვენ უკან ზარი ჩამოკრა, ბ-ნი ბინფორდი წამოდგა.

— ამას რა სჯობს, — თქვა მან, — სმენა იყოს და გაგონება. ზრდილობა და განათლება ამას გვასწავლის, უკეთესია, ლანძღვის სიტყვებზე ნუ მოვაცდენთ პირს, ნამდვილად ასე სჯობს.

ბ-ნი ბინფორდი აუჩქარებლად გაგვიძღვა სასადილო ოთახისკენ. ისევ გაისმა ფეხის ხმა, ვილაცები მოიჩქაროდნენ. ორი ახალგაზრდა ქალი იყო, ერთი მათთაგანი სულ ნორჩი იყო, კიბეზე ჩამორბოდნენ, თან ღილებს იკრავდნენ. ერთს წითელი კაბა ეცვა, მეორეს ვარდისფერი, მალი-მალ სუნთქავდნენ.

— რაც შეგვეძლო ვჩქარობდით, — უთხრა ერთმა ბ-ნ ბინფორდს, — მგონი არ დაგვიგვიანებია.

— კარგია, — მიუგო ბ-ნმა ბინფორდმა, — დაგვიანებულთა ნახვა ამალამ სწორედ არ მესიამოვნებოდა.

შევედით. საკმარისზე მეტი ადგილი იყო ყველასთვის სასადილო მაგიდასთან ჩემი და ოტისის ჩათვლით. მინის უკვე გაეწყო სუფრა, ყველაფერი ცივი იყო, შემწვარი წინილები, გახუხული პური, ბოსტნეული, რაც კი სადილიდან დარჩენილიყო. ბ-ნ ბინფორდს კი ცხელი საჭმელი მოართვეს ვეებერთელა თეფშით, ხახვის სანებელში ჩანყობილი ხორცი, (გესმის, რამდენად გაუსწრო ბ-ნმა ბინფორდმა თავის დროს? უკვე რესპუბლიკელი გამხდარიყო, ოღონდ 1905 წლის რესპუბლიკელის ყაიდისა არა. არც ის ვიცი, ტენესის რომელ პარტიაში იყო შესული ან საერთოდ თუ იყო რომელიმეს წევრი. რესპუბლიკელებიო, რომ ვახსენე, 1961 წლის დროინდელს ვგულისხმობ, უფრო მეტიც, იგი კონსერვატორი იყო. შეიძლება ასე ითქვას: რესპუბლიკელი ის არის, ვისაც ფული თავად აქვს ნაშოვნია; ლიბერალი ის, ვისაც ქონება მემკვიდრეობით ხვდა წილად; დემოკრატი კი მორბენალთა შეჯიბრებაში მონაწილე ფეხშიშველა ლიბერალია; კონსერვატორი კი იგივე რესპუბლიკელია, ვისაც წერა-კითხვა აქვს ნასწავლი). ყველანი მაგიდას მივუსხედით. ჩვენს შორის ის ორი ახალ-მოსული ახალგაზრდა ქალიც იყო; უკვე იმდენი უცხო ხალხი მყავდა ნანახი, მათი სახელები აღარ მახსოვდა და აღარც ვცდილობდი დამახსოვრებას. თანაც ის ორნი მეტად აღარსად მინახავს. ჭამა დავიწყეთ. შეიძლება

ბ-ნ ბინფორდის ხორცს საამური სუნი იმიტომ ასდიოდა, რომ დანარჩენ კერძებს ნაშუადღევს აქეთ სუნი სრულიად გასვლოდა. მერე იმ ახალმოსული ქალბატონებიდან ერთ-ერთმა, უფრო უფროსმა განაცხადა:

— რას იტყვით, ბ-ნო ბინფორდ? — იმ მეორემაც ჭამა შეწყვიტა და ყურები ცქვიტა.

— რას? — ჰკითხა ბ-ნმა ბინფორდმა.

— თქვენ იცით, რას, — შეჰყვირა ქალმა, — მისს რება, ხომ იცით, რომ რაც შეიძლება ვცდილობთ. არ ვხმაურობთ, არც მუსიკას მოვითხოვთ კვირადღეობით, სხვაგან კი არაფერს არ იკლებენ. ხმის ამოღებასაც კი ვუშლით ხოლმე ჩვენს კლიენტებს, სულ ვეჩინებთ, ჩუმად იყავით, ჩუმად-თქო. მაგრამ, თუ ჯერ კიდევ არ ვუსხედვართ სუფრას, როდესაც ის კარს გამოაღებს და ინებებს შემობრძანებას, ყოველ შაბათს ოცდახუთი ცენტი უნდა ჩავუშვათ იმ დაწყველილ ყულაბაში...

— ამ სახლის წესი ასეთია, — თქვა ბ-ნმა ბინფორდმა, — წესის გარეშე კი სახლი არ იქნება. დიდი უბედურება ხართ კახპები, ზოგჯერ მაინც ქალბატონებივით უნდა მოიქცეთ, არადა, არ შეგიძლიათ. თუმცა კი სულ ჭკუას გასწავლით.

— ასე ნუ გველაპარაკებით, — წამოიძახა უფროსმა.

— კარგი, — მიუგო ბ-ნმა ბინფორდმა, — ახლა სხვანაირად გეტყვით. თქვენისთანა ქალბატონების უბედურება ის არის, კახპებივით იქცევით და დროზე შეჩერება არ შეგიძლიათ.

ფეხზე წამოხტა ის უფროსი. იმასაც რაღაც უცნაურობა სჭირდა. სიბერის ბრალი არ იყო, ბებიაჩემივით არ იყო მოტეხილი, რადგანაც არც იყო ბებერი. არა, თითქოს მიუსაფარს და მარტოსულს აქ არ უნდა ეცხოვრა მას, ეს ყველაფერი მოეთმინა. საერთოდაც არც არავინ უნდა ყოფილიყო ასე.

— მაპატიეთ, მისს რება, — თქვა მან, — დღესვე, ახლავე უნდა წავიდეთ აქედან.

— მაინც სად? — ჰკითხა ბ-ნმა ბინფორდმა, — ბერდი უოტსისას, ამ გზის გადაღმა? იმ ქალმა იქნებ ამჯერად გამოგატანოს ის შენი სკივრი, თუ გაყიდული არა აქვს ჯერ.

— მისს რება, მისს რება, — ნელა თქვა ქალმა.

— კარგი ერთი, — მყისვე მიუგო მისს რებამ, — დაჯექი და ჭამა დაასრულე. არსადაც არ ნახვალ. კი, მშვიდობა მეც მიყვარს. ოღონდ ერთ რაღაცას გეტყვი და ამით დავამთავროთ ერთხელ და სამუდამოდ, — და მაგიდის იქით მჯდომარე ბ-ნ ბინფორდს მიმართა, — რა ჯანდაბა მოგივიდათ დღეს, რომ თქვენს ჭკუაზე არა ხართ და გესლს ანთხევთ.

— არაფერიც არ მომსვლია, — უთხრა ბ-ნმა ბინფორდმა.

— სწორია, არაფერი, — თქვა უეცრად ოტისმა, — რა უნდა მომხდარიყო. იგი ადგილიდანაც არ დაძრულა. — ამ სიტყვების მერე თითქოს ელექტროდენმა დაუარა ოთახს; მისს რებას ღია დარჩა პირი, ხელში ჩანგალი გაუშეშდა. მე ვერაფერს ვერ მივხვდი. მაგრამ დანარჩენები მიხვდნენ, მათ შორის ბუნიც, თუმცა მეც მივხვდი ერთი წუთის მერე.

— ვინ არ დაძრულა ადგილიდან? — იკითხა მისს რებამ.

— ის ცხენი, — თქვა ოტისმა, — ის ეტლიანი ცხენი, ვისზეც ფულს ჩავედით, ხომ მართალია, ბ-ნო ბინფორდ?

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ჩვეულებრივმა ღენმა კი არა, მაღალი ძაბვის ღენმა დაგვარტყა ყველას, გახსოვს, მე რომ გითხარი, რალაც უცნაურობა სჭირდა-მეთქი ოტისს. მაგრამ თავიდათავე ახლა ეს არ იყო, ანუ მხოლოდ ეს არ იყო. მისს რებას ფარ-ხმალი არ დაუყრია. მართლა გასაოცარი ხალხია ქალები, ყველაფერს გაუძლებენ, რადგანაც სიბრძნე არ აკლიათ და იციან, თუკი ვერ გაექცევი, მწუხარებისა და გასაჭირის მორევში პირდაპირ თავით უნდა გადაეშვა და სამშვიდობოს ისე გახვიდე. მე მგონი, იმიტომ ახერხებენ ამას, რომ არა მარტო ფიზიკურ ტკივილს არ აქცევენ ყურადღებას, არც სირცხვილი ჰკლავთ, როცა დამარცხდებიან ხოლმე.

— ცხენზეო? — თქვა მან, — სად იყო? ზოოპარკსა და ოვერტონის პარკში?

— ოვერტონის პარკში კი არა, — მიუგო ოტისმა, — დოღზე. ტრამვაიში ერთ ვილაცას შევხვდით, იცოდა, რომელი ცხენი და ეტილი მოიგებდა, ოვერტონის პარკში ამიტომ აღარ წავსულვართ. მაგრამ იმ ცხენს არ მოუგია. ხომ ასეა, ბატონო ბინფორდ? მაგრამ ჩვენ მაინც იმ კაცზე მეტი არ წავიგია, ორმოცი დოლარი მთლიანად არც დაგვიკარგავს, რადგანაც ბატონმა ბინფორდმა ოცდახუთი ცენტი მე მომცა, არ გამთქვაო. ასე რომ, ჩვენი წაგება სულ ოცდაცხრამეტი დოლარი და ოცდახუთი ცენტი იყო. მერე ის ოცდახუთი ცენტიც აღარ დამრჩა, ლუდი დავლიე. ბატონმა ბინფორდმა წელან სწორედ ეს გითხრათ. ხომ ასეა, ბ-ნო ბინფორდ?

ყველანი ისევ გაჩუმდნენ. თითქოსდა მშვიდობის მაუნყებელი იყო ეს სიჩუმე. მერე მისს რებამ ჩაილაპარაკა:

— გათახსირებული, — და დასძინა, — მიდი, თუ გინდა დაამთავრე შენი ბიფშტექსი! — მაგრამ დამარცხება არც ბ-ნ ბინფორდს უყვარდა. ისიც გულამაყი იყო, უკან არ დაიხევდა საბრძოლო მამალივით. დანაჩანგალი ფრთხილად, აუჩქარებლად, ჯვარედინად დადო თეფშზე, მერე ხელსახოცი დაახვია, რგოლში ჩადო, წამოდგა, უკაცრავადო, და ისე გავიდა. არავისთვის არ შეუხედავს, არც ოტისისთვის.

— ღმერთო დიდებულო, — წარმოთქვა იმ დაგვიანებულ ქალთაგან ერთმა შედარებით ყმაწვილმა. მაშინლა შევამჩნიე მინი, ნახევრად ღია სამზარეულო კარში იდგა. — ხედავთ?

— თავიდან მომწყდით, — უთხრა მისს რებამ გოგოს, — ორივენი.

იმწამსვე წამოდგა ორივე.

— სულ... სულ წავიდეთ?... — თქვა ახალგაზრდა ქალმა.

— არა, — მისს კორიმ მიუგო, — ამ ოთახიდან უნდა გახვიდეთ და ახლა თუ ვინმეს არ ელოდებით, აქ სადმე გაისეირნეთ.

ისინი აღარც გაჩერებულან. მისს კორიც წამოდგა. ოტისს უთხრა, შენც მაღლა ადი შენს ოთახში და იქ იყავიო.

— მისს რებას კარს ჩაუვლის, — თქვა ბუნმა, — ჰოდა, ის კიდევ დაუმატებს.

— უკვე დავიმატე მეოთხედზე უფრო მეტი, — უთხრა ოტისმა, — ოთხ-მოცდახუთი ცენტი იყო, პიანოლას ტრიალისთვის რომ მომცეს, როცა

იმ შაბათ საღამოს ცეკვა გამართეს. მაგრამ ლუდის ამბავი გაიგო თუ არა, ის ცენტებიც წამართვა.

მისს რებამ შეხედა.

— მაშ იმ ოთხმოცდახუთი ცენტისთვის გაყიდე? —

— უთხრა:

— სამზარეულოში შედი, — უთხრა მისს კორიმ ოტისს, — შენთან იყოს ერთხანს, მინი.

— კარგი, — მიუგო მინიმ, — საყინულესთან ვეცდები არ მივუშვა, მაგრამ ვერცხლის წყალივითაა და რას გავაჩერებ.

— ჯანდაბას, აქ იყოს, — უთხრა მისს რებამ, — ახლა უკვე გვიანაა. გასულ კვირას არც უნდა დაგვენებებინა არკანზასის მატარებლიდან ჩამოსვლა.

მისს კორი ახლოს მიუჯდა მისს რებას.

— რად არ წახვალთ და ბარგს არ ჩაულაგებთ? — უთხრა დაყვავებით.

— შენ რა, ეჭვი გეპარება? — თქვა მისს რებამ, — თუნდაც ყველაფერს ვანდობ, რაც მაქვს, უკანასკნელ პენიმდე, ეს ოხერი ცხენები რომ არა.

იგი უეცრად წამოდგა და გასწორდა. წარმოსადეგი ქალი იყო, მკაცრი, ლამაზი სახისა, ოღონდაც მეტიმეტად ჟღალთმიანი.

— დასწყევლის ღმერთი, გგონია, უმისოდ ვერ გავძლებ? — თქვა მან.

— კარგით, კარგით, — უთხრა მისს კორიმ, — ცოტა უნდა დალიოთ, გუნებაზე მოგიყვანთ, მიეცით მინის გასაღები... თუმცა არა, თქვენს ოთახში ჯერ ვერ შევა.

— უკვე წავიდა, — თქვა მინიმ, — სადარბაზოს კარმა გაიბრახუნა. ბევრი მომზადება არ უნდა, უცებ იცის ხოლმე.

— სწორია, — თქვა მისს რებამ, — მე და მინი აქ გუშინდელი მოსულები არა ვართ. ხომ ასეა, მინი?

ხოდა, მისცა გასაღები მინის, თავად კი დაჯდა. მინი გავიდა და მყისვე ერთი ბოთლი ჯინი შემოიტანა. თითო ჭიქა გადაკრეს, მინიმაც კი (თუმცა ამდენი თეთრი ხალხის თვალწინ აღარ დალია, სავსე ჭიქა სამზარეულოში შექონდა ხოლმე და სულ მალე უკანვე ბრუნდებოდა ცარიელით), ჩემი და ოტისის გარდა. სწორედ მაშინ გავიგე ბ-ნ ბინფორდის ამბავი.

იგი გამგებელი იყო თურმე აქ. მისი ოფიციალური წოდება თუ თანამდებობა ეს გახლდათ, თუმცა ამის არა საბუთი, ცხადია, არ არსებობდა. ყველა ასეთ დაწესებულებასა თუ სახლს ყოველთვის უნდა ჰყოლოდა ვინმე განმკარგულებელი. სხვა, უცხო სამყაროში, სადაც იმდენად სწყალობთ ბედი, რომ არ სჭირდებათ ასეთი ქანცგამწყვეტი, ძალღუმადური შრომა, ბ-ნ ბინფორდს სხვა, უფრო შეურაცხყოფელი სახელი ჰქონდა. მაგრამ აქ მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ და არა მარტო სამეურნეო ნაწილის გაძლოლა ევალებოდა, ქალების ისტერიკაც უნდა მოეთმინა, აქაურობის კატალიზატორი ყოფილიყო, თუმცა არც არავინ უფასებდა და არც მადლობას ეუბნებოდა. სუსტი და მყიფე იყო მისი ძალაუფლება და მაინც ცდილობდა როგორმე რესპექტაბელურობა მიენიჭებინა ამ ისტერიის სა-

უფლოსთვის, რათა შეენარჩუნებინა გადახდისუნარიანობა და ლუკმაპური არ მოკლებოდათ; იგი საქმის მწარმოებელიც იყო, ითვლიდა შემოსავალს, იხდიდა გადასახადებს, ანგარიშს უსწორებდა ვაჭრებსა და ხელოსნებს, ყველას მასთან უნდა ჰქონოდა საქმე, საბაყლოს, სპირტიანი სასმელების თუ ნახშირის გამყიდველებს, წყადსადენის მუშებს, რომლებიც ათბობდნენ ზამთარში გაყინულ მილებს, ბუხრის მწმენდავეებსა და მუხუხუხეებს; სწორედ ბ-ნი ბინფორდი აძლევდა ქრთამს კანონის წარმომადგენლებს, ხმის ჩახლეჩამდე ეკამათებოდა მერიისა თუ სხვა უწყებათა გადასახადის ამკრეფებს და ლანძღავდა გაზეთის მომტან ბიჭს, თუკი გაზეთს დაუგვიანებდა. ცნობილიც იყო ამ საზოგადოებაში (გამგებლებს ვგულისხმობ), როგორც თითოთ საჩვენებელი კაცი, რადგანაც გამოირჩეოდა დახვეწილი მანერებით, სანდომიანობით, სტილით, პრინციპებითა და შეურყვნილი ზნეობით; მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე იგი მისს რებას საყვარელი იყო და მასზე უფრო ერთგული ქმარიც კი ვერ იქნებოდა; მხოლოდ ეს ერთი ნაკლი ჰქონდა, გულგრილი ვერ რჩებოდა დოლზე გამოსულ ცხენებისადმი, რომლებზეც ფულის ჩასვლა შეიძლებოდა. ვერა და ვერ მოეთოკა ეს ლტოლვა, თუმცა კი ებრძოდა მთელი ძალით, მაგრამ ყოველთვის შეძახილის გაგონებაზე, აბა გასწითო! შეიძლებოდა პირველივე შემხვედრი არამზადის წერა შექმნილიყო, ვისაც თუნდაც ერთი დოლარის ჩასვლა შეეძლო.

— თავადაც იცის ეს, — თქვა მინიმ, — ბევრჯერ გაუკიცხავს თავი საკუთარი თავის თუ სხვათა წინაშე, ასეთი უნებისყოფო როგორ ვარ, ცთუნებას როგორ ვერ უნდა გავუძლო, გარემოებანი როგორ უნდა მჯანბნიდესო, თუმცა გარეშე ხალხის თვალში მამლაცინწად გამოიყურებოდა. რამდენჯერ მოუცია ჩვენთვის სიტყვა, თავადაც სჯეროდა ხოლმე ამ სიტყვის, მაშინაც კი, გახსოვთ, როდესაც ამ ორი წლის წინ იძულებული ვიყავით გაგვეძევებინა. მერე კი, გახსოვთ, რამდენი ბრძოლა დაგვჭირდა მის დასაბრუნებლად, — უთხრა მან მისს რებას.

— როგორ არ მახსოვს, — თქვა მისს რებამ, — მოდი, კიდევ ერთიც დავლიოთ.

— არ ვიცი, როგორ შეძლებს, — განაგრძო მინიმ, — როცა მიდის, მხოლოდ ის მიაქვს, რაც აცვია, ყველაფერი ხომ მისს რებას ნაყიდია. გავა ორი დღე და ნახავთ, იმ ორმოც დოლარს თუ უკლებლივ არ გამოაგზავნის.

— უფრო სწორად, ოცდაცხრამეტსა და სამოცდათხუთმეტ ცენტს, — თქვა ბუნმა.

— არა, მთელ ორმოც დოლარს, — მიუგო მინიმ, — დოლარის ის მეოთხედიც ხომ მისს რებასია. უფრო ნაკლებზე არ დათანხმდება. მერე მისს რება კაცს გაუგზავნის, მაგრამ ის არ მოვა. გასულ წელს, როდესაც ძლივს ვიპოვნეთ, საკანალიზაციო მილების გაყვანაზე მუშაობდა სადგურის უკან, საიდანაც მატარებელი ფრისკოში მიდის. ხოდა, სანამ მუხლებში არ ჩაუვარდა...

— კარგი ერთი, — მიუგო მისს რებამ, — რამდენს ლაპარაკობ, სჯობს ერთიც დაასხა.

მინიმ ჭიქებში ჩამოსხმა დაიწყო, შემდეგ ბოთლით ხელში გაჩერდა.

— ეს რა ღრიალია? — თქვა მან.

ყველამ გავიგონეთ მოყრუებული ღრიალი უკანა ეზოს მხრიდან.

— წადი და ნახე, — უთხრა მისს რებამ, — ეგ ბოთლი კი აქ მომეცი.

მინიმ ბოთლი მისცა და სამზარეულოში გავიდა. მისს რებამ დაისხა და ბოთლი მისს კორის გადააწოდა.

— ორი წელი გავიდა მას აქეთ და იქნებ ახლა მაინც ეყოს ჭკუა, — თქვა მისს კორიმ.

— ვინ ნახა მისი ჭკუა, — თქვა მისს რებამ, — მოდი დაასხი და გადაეცი.

მინი დაბრუნდა და თქვა, კაცი დგას ვიღაც უკანა ეზოში, ამ სახლის კედელს მოჩერებია და ღრიალებს, ბუნ ჰოგანბეკ, ბატონო ბუნ ჰოგანბეკო. თან დიდი რალაც ახლავს.

ყველანი ბუნს მივყევით, სამზარეულო გავირბინეთ და უკანა ვერანდაზე გავედით. თითქმის მთლად ჩამობნელებულიყო, მთვარე არც ისე მაღლა იდგა და კარგად ვერ ანათებდა. შუა უკანა ეზოში ორი ჩრდილი მოჩანდა, ერთი პატარა და ერთი დიდი. პატარას თავი აენია და ღრიალებდა; ბუნ ჰოგანბეკ! ბატონო ბუნ ჰოგანბეკ! ჰეი, ჰეიო! ვიდრე ბუნმა ღრიალითვე არ ჩააჩუმა:

— ხმა ჩაინყვიტე! ხმა ჩაინყვიტე! ხმა ჩაინყვიტე!
ეს წედი იყო, გვერდით კი ცხენი ედგა.

(გაგრძელება იქნება)



ორი მოთხრობა



თარგმნა დიდი მჭედლიშვილმა

სიყვარული ღვეჯელი არ არის

სპეციალობით ემი ბლუმი ფსიქოლოგია. ფაქიზი, დაფიქრებული, ტაქტიანი... ვისაც შეუძლია მოგის-მინოს, მაგრამ არ განგსაჯოს. ეს არა მხოლოდ ახალი სახელია, ეს არის სრულიად ახალი ინტონაცია. ემი ბლუმის პროზა მრავალი ლიტერატურული პრემიით არის დაჯილდოებული. აქ წარმოდგენილი ორივე მოთხრობა შეტანილია მრავალ სხვადასხვა ანთოლოგიასა და კრებულში — „წლის საუკეთესო მოთხრობა“ (1991—1992).

ემი ბლუმისადმი ინტერესი მხოლოდ მისი ნაწარმოებების თემატიკით არ არის განპირობებული — წერს საოცრად მსუბუქად, მისი სიტყვა არის არაჩვეულებრივად ტევადი, მსუბუქი ირონიით დალდასმული.

დედის დაკრძალვის დღეებში პანაშვიდზე პირველად გავიფიქრე, ქორნილი ხომ არ ჩავშალო: არც ჯონ უესკოტია ქმრობისთვის დიდი ბედენა და ვერც ჩემი თავი წარმომიდგენია მის უესკოტის შემოთავაზებულ გრძელ საქორნილო კაბაში-მეთქი... მე და ჯონი ამ წლის შობა დღეს დავინიშნეთ. დედას უკვე მაშინაც აღარ ჰქონდა საამქვეყნო პირი, თუმცა მოსალოდნელზე ადრე, მაისში გარდაიცვალა. „დაგვტოვა უმშვენიერესმა სულმა, ადამიანმა, ვისაც დიდი სიხარული და ნუგეში მოჰქონდა მახლობლებისთვისო“. — მღვდლის ამ სიტყვებზე ეკლესიის ცისფერ თალს ავხედე და გავიფიქრე: დედა ალბათ არ მოისურვებდა, ცხოვრება ასეთი ადამიანის გვერდით გამეტარებინა-მეთქი. ჯონმა, რა თქმა უნდა, მკითხა, ჩამოსულიყო თუ არა ბოსტონიდან დაკრძალვაზე, რაზედაც უარი ვუთხარი და, ცხადია, არც ჩამოსულა — ჩემს დამოუკიდებლობას სცა პატივი, იმას კი ვერ მიხვდა, რომ ჩემი მწუხარებით, უბრალოდ, მის შეწუხებას მოვერიდე.

დაკრძალვის ცერემონიალის შემდეგ დედის ნეშტის პატარა ურნა შინ მივიტანეთ. სამძიმარზე საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა — მამის კოლეგები იურიდიული სკოლიდან, რამდენიმე მისი ყოფილი სტუდენტი, ბიძია სტივა თავის ახალ ცოლთან ერთად, ჩემი ბიძაშვილები, რომლებსაც მე და ლიზი ყოველთვის „ვინმე ნომერ პირველად“ და „ვინმე ნომერ მეორედ“ მოვიხსენიებდით. ჩვენი იმ დროის მეზობლები, რომლებიც ჩვენს

ოჯახს უკვე მაშინ მეგობრობდნენ, როცა დედაჩემის ნაძერწ ქანდაკებებს ჯერ კიდევ გასავალი არ ჰქონდა. დედას ნაცნობ-მეგობრები ხელოვანთა წრიდან, დედას დები, ჩემი სკოლის ამხანაგები, ჩემი საუკეთესო მეგობარი კოლეჯიდან, ლიზის მეგობრები და უამრავი ვილაც, ვინც მე საერთოდ ვერ ვიცანი, ვინაიდან დიდი ხანია უკვე სახლში არ ვცხოვრობდი. ჯერ კოლეჯში ვიყავი, მერე იურიდიულ სკოლაში.

სტუმრებს მე, მამა და ჩემი და ვიღებდით. მამა განურჩევლად ყველას გულში იხუტებდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მხრებზე ხელს ურტყამდნენ თუ ხელს ართმევდნენ, ყველას თავის დათვურ ტორებში იმწყვდევდა. ვხედავდი, როგორ მოსწყდებოდა ხოლმე იატაკს იმ ადამიანის ფეხები, ვისაც იგი გულში იკრავდა. მე და ლიზის კი შეეძლოთ ისე მოგვექცეოდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ — ვინ მხრებზე გვიტყაპუნებდა, ვინ თავზე ხელს გვისვამდა, გულში გვიკრავდა ან თვალელებში მწუხარედ შემოგვეცქეროდა.

მამას ხნორედ ჩვენი დამლაგებელი, ქალბატონი ელისი ჰყავდა ლამის დახრჩობამდე ჩაბლუჯული, ხელში პატარა ჩემოდნით ბატონი დეკუევრო რომ შემოვიდა. მამამ ქალბატონი ელისი ლამის გააგდო ხელიდან, ბატონი დეკუევროსაკენ მტკიცე ნაბიჯით გასწია, ამოიიღლიავა და ორივენი კვნესა-ოხვრით ვალსის მოცეკვავეებივით აქანავდნენ. მე და ჩემი და დივანზე ჩამოვსხედით და თავითავსმიდებული ვუყურებდით, მამა თავისი მეგობრისა და ჩვენი დედის საყვარლის კეფას ცრემლით როგორ რწყავდა.

მე თერთმეტის ვიყავი, ლიზი — რვის. ეს ის ზაფხული იყო, ბატონი დეკუევრო და მისი რვა წლის გიზელა მენის შტატში, ჩვენს აგარაკზე რომ ჩამოვიდნენ. ლიზი მაშინ ჯერ ისევ ტიტლიკანა, საბანაო კოსტიუმის გარეშე დატანტალვებდა. ეს პატარა აგარაკი მამასა და ბიძია სტივს თავისი მშობლების — სპენსერებისაგან ერგოთ. ივლისს ჩვენ ვატარებდით ამ სახლში, სექტემბერში კი ჩვენს ადგილს ბიძია სტივი იკავებდა მთელი თავისი ჯალაბობით. მამა ძმას ისევე ექცეოდა, როგორც ჩვენ ვექცეოდით ჩვენს ბიძაშვილებს, ამიტომაც ოჯახები მათი ჩამოსვლის მხოლოდ პირველ დღეს ხვდებოდა ერთმანეთს.

იმ წელიწადს ბატონი დეკუევრო ცოლის გარეშე თავის გოგონასთან ერთად სტუმრობდა — როგორც აგვიხსნეს, მის ცოლს თურმე სამშობლოში, არგენტინაში მოუწია გამგზავრება ავადმყოფი ნათესავის სანახავად, თუმცა ჩვენ ამას სულაც არ დავუმწუხრებივართ. ქალბატონი დეკუევრო ნამდვილი პროფესიონალი დედა გახლდათ, ამიტომაც როცა ის ჩვენთან იყო, მე და ჩემი და გუნებაზე ვერ ვიყავით. გინდა თუ არა ხილი უნდა გაგვერეცხა ჭამის წინ, სადილის შემდეგ დავწოლილიყავით და დაგვესვენა, გასაშავებლად ლოსიონი წაგვესვა და დილდილობით ჩვენი ლოგინები დაგველაგებინა. ცუდი ქალიაო — ვერ იტყოდი, ეგ არის, თავს გვაბეზრებდა, მაშინ როცა დედაჩვენის მიერ დადგენილი საზაფხულო წესები ძალზე მარტივი და იოლი გახლდათ — დამპალი და ჭიანი არაფერი გვეჭამა, მარტოს არ გვებანავა, რაც მთავარია, არ გაგვებედა და დედა რვა საათზე ადრე არ გაგვეღვიძებინა, თუ, რა თქმა უნდა, სისხლისაგან არ ვიცლებოდით ანდა სულაც სული არ გვძვრებოდა. ეს იყო და ეს. თუმცა ქალბატონი დეკუევრო სულ იმის ცდაში იყო, რაღაც დაემატებინა მისი ამ სიისათვის: დედა კი მუდამ მშვიდად და აუღელვებლად ექცეოდა — არც ეკამათებოდა, არც ცხოვრების ნირს იცვლიდა. აშკარად გვაგრძნობინებდა, რომ ისე-

თი პიროვნებისაგან, როგორც ქალბატონი დეკუვერო ბრძანდებოდა, თავი თვითონ დაგვეცვა... გიზელა არქიტექტორის ინსტიტუტის მეორე კურსზე იყო, როცა ცოლ-ქმარი დეკუვეროები გაიყარნენ.

მომხიბვლელი, სათნო და თვინიერი გიზელა მე და ლიზის ძალიან გვიყვარდა, ზოგჯერ დავცინოდით კიდევაც, რის შემდეგ უფრო მეტად გვიყვარდებოდა, ვინაიდან თვით ჩემზედაც კი არასოდეს დაუჩინებელია. ოჯახის მამაც ძალიან მოგვწონდა. ერთმანეთს დღესასწაულებსა და პიკნიკებზე ვხვდებოდით. არ მახსოვს, ბატონ დეკუვეროს ჩვენზე უკბილოდ ეხუმროს როდისმე. პირიქით, სულ გვაქეზებდა, ქათინაურებით გვაავსებდა და საუცხოო სუვენირებით გვანებივრებდა. როცა ჩემი კუდა ვარცხნილობა მომბეზრდა და თმის გაზრდა გადავწყვიტე, ბატონმა დეკუვერომ ვერცხლის სამაგრები მაჩუქა, ხოლო ლიზის, რომელიც სამი წლიდან სულმოუთქმელად კითხულობდა, ნამდვილი ტყავის ჩასანიშნი მოუტანა. მე და ლიზი საჩუქრებს რომ ვათვალისწინებდით, დედა იქვე იდგა და ბატონი დეკუვეროს ამ ხელგაშლილობაზე ეცინებოდა.

მახსოვს, გიზელა და მამამისი რომ ჩამოვიდნენ, ყველანი ვერანდაზე ვისხედით. მანქანიდან პირველი ბატონი დეკუვერო გადმოხტა. მონაბლისფრო-მოოქროსფრო გრუზა თმა აყვავებულ ბაბუანვერას მიუგავდა. ტანზე ყვითელი მაისური და ყავისფერი ჯინსის შარვალი ეცვა. გიზელა მამას გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა, ოღონდ თმა უკან ბურქად ჰქონდა შეკრული. მზისგან გარუჯულ სახეზე რამდენიმე ფუმფულა კულული ჩამოშლოდა. ის ორიოდე ნაბიჯი, რომელიც მათ ვერანდისაგან აშორებდა, სწრაფად რომ გამოველო, გიზელამ მამას ხელში ხელი ჩასჭიდა და მეც მაშინვე მისადმი გული სინაზით ამეფსო — ჯერ ერთი, არ მალავდა, რომ მამა ძალიან უყვარდა, ისევე როგორც მე — მამაჩემი. მეორეც, არც იმას მალავდა, რომ ჩვენი, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, ანდა იქნებ სულაც მხოლოდ ჩემი? ლიზისი აბა ვის უნდა შეშინებოდა, როცა თავი სულ წიგნში ჰქონდა წარგული და არავის დასაშინებლად არ ეცალა.

დედა და მამა მათ შესახვედრად პარმალიდან ჩამოვიდნენ. ვეება, წელზემთ შიშველ მამას გვარიანად წამოზრდილ ლიპზე რეზინმოფამფალე-ბული ლურჯი, გახუნებული შარვალი ჩასჩაჩოდა. დაჭორფლილი, ოფლით დაცვარული ზურგი ჩვეულებისამებრ ვარდისფრად ულაპლაპებდა. საკმარისია მზეზე გასულიყო, რომ მწითური თმა თავსა, მხრებსა და მკერდზე კიდევ უფრო ცეცხლისფრად აპრიალებოდა. მამა ამაცობდა საკუთარი გვარის გენეალოგიით — სპენსერები ხომ ნახევრად ვიკინგები იყვნენ! დედას თავისი ჩვეული საზაფხულო სამოსი — შავი ზედა-ქვედა საბანაო კოსტიუმი ეცვა. არ მახსოვს ზაფხულობით როდისმე რაიმე სხვა სცმოდეს. სალამოს, ცოტა რომ აგრილდებოდა, მამაჩემის რომელიმე პერანგში ისე გაეხვეოდა, როგორც კიმონოში, იყო წლები, როცა საბანაო კოსტიუმი ტანზე სულ შემოტმასნილი ჰქონდა და მის ბრტყელ მუცელსა და თანაბარ ნამზეურს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა. შემდგომ და შემდგომ წლებში კანი თითქოს დამწვარი და დანაოჭებული უჩანდა, ხოლო საბანაო კოსტიუმი ზოგან მოსუსხული, ზოგან კი ტანზე მოშლილიფებული ადგა. მაშინ იგი საოცრად ბევრს ეწეოდა, მერე გავიდოდა პარმალზე და ახველებდა. მახსოვს იმ ზაფხულს საბანაო კოსტიუმი განსაკუთრებულად უხდებოდა. დედას ზოგჯერ ვერანდიდან გადმოხტომა უყვარდა. მამას მკლავებში რომ ჩაუვარდებოდა, მისი გრძელი, მშვენიერი თმა მამას მარაოსა-

ვით გადაეშლებოდა სახეზე, მერე დაატრიალებდა ხელში ატატებულს და ილიმებოდა და ილიმებოდა...

დედამ და მამამ ჯერ გადაკოცნეს ბატონი დეკუვერო და გიზელა, მერე დედამ ტილოს პატარა ქრელ ჩანთას ხელი დაავლო, მამამ ჩემოდანი აიღო და სტუმრებს ორივენი სახლისკენ წამოუძღვნენ.

მე და ლიზის ჩვენი აგარაკი სასახლედ მიგვაჩნდა. ხშირად სწამს გვებს სიამაყით ვეპატიჟებოდით — არდადეგებს ქალაქგარეთ, ჩვენ სახლში ვატარებთ, თქვენი მშობლები წინააღმდეგი თუ არ იქნებიან, გვესტუმრეთ-თქო. მოგვწონდა, სტუმრებს რომ ვეპატიჟებოდით, ვითომ ისე, სასხვათაშორისოდ რომ მოვიხსენებდით ჩვენს აგარაკს, თუმცა ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ იგი ნამდვილი ზღაპრული სასახლე იყო. ნაძვები და არყის ხეები ჩვენი სახლიდან წყლისპირამდე ჩადიოდა. გადაადგამდი რამდენიმე ნაბიჯს ხავსმოდებულ კენჭებზე და შეერეოდი წყლის წყნარად მოლივლივე ზედაპირს. ფიცრის პატარ-პატარა ხიდების ხიმინჯებს შორის ნაცრისფერი თევზები დასრიალებდნენ, ფეხებზე გველამუნებოდნენ. საკმარისი იყო ჩვენს ძველ, ცისფერ ნავში ჩავმსხდარიყავით, რომ ნიჩბის ყოველ მოსმაზე აქეთ-იქით გაშლიგინებულყვენენ.

სახლი სამი საძინებლის, პატარა სამზარეულოსა და უზარმაზარი სასტუმრო ოთახისაგან შედგებოდა, რომელსაც თითქმის სახლის ნახევარი ეკავა. უფროსების ორი საძინებელი მეტისმეტად პატარა იყო, თითო მზრდილი ტახტის მეტი არაფერი ეტეოდა. მშობლების საძინებელში ტახტს ვარდებიანი ყვითელი გადასაფარებელი ეფარა, მეორე ოთახში — თეთრი, ცისფერზიზილოებიანი. ბავშვების საძინებელი გაცილებით ფართო იყო. სამივე ტახტს ფერად-ფერადი ბალიშები და ფუმფულა გადასაფარებლები ამშვენებდა. მუდმივად ნესტგამჯდარ ბალიშებს ფიჭვისა და მარლის სუნი უდიოდა. თუმცა ჩემს ბალიშს ამას გარდა „მა გრიფის“ სურნელიც სდიოდა, ვინაიდან ბალიშის ქვეშ დედას ზოგჯერ თავისი შარფის ამოდება სჩვეოდა. შხაპი ეზოში, მწვანე პოლიეთილინის ფარდის იქით იყო მონყობილი, ჩვეულებრივი სააბაზანო ოთახი კი — მშობლების საძინებლის გვერდით.

ბატონი დეკუვერო და გიზელა ისე ბუნებრივად ჩაენერნენ ჩვენს საზაფხულო ყოფაში, თითქოს მხოლოდ გასული ზაფხული კი არა, ყოველი წლის ყოველი ეს დრო ჩვენ გვერდით გაეტარებინოთ. ზაფხულის ეს თვე ჩემს მეხსიერებაში სიმშვიდისა და მადლით სავსე კეთილდღეობის განსახიერებად დარჩა. დილით ჩიტების სტვენა და ჭიკჭიკი გვალვიძებდა. ავდგებოდით თუ არა, საუზმის თადარიგს ვიჭერდით. თუ ამ დროს მშობლები ფეხზე იყვნენ, მაშასადამე, ფაფა უკვე იხარშებოდა, თუ არადა, ან თითო ნაჭერ ღვეზელს მოვიჭრიდით, ან მუცელს ცივი სპაგეტით გამოვიტენიდით, ანდა სულაც ზეფირით ვკმაყოფილდებოდით. უფროსთაგან, როგორც წესი, პირველი დედა დგებოდა. დაღევდა ერთ ქიქა ყავას, თმას დაგვარცხნიდა, დაგვიწნავდა და თავისუფლები ვიყავით, რაც გვინდოდა იმას ვაკეთებდით და საითაც მოგვეპრიანებოდა, იქით გავრბოდით. „ექსპედიციაში“ თუ წავიდოდით, დედა ზურგჩანთაში ჩაკეცილი სალდათური საბნის ზემოდან რაიმე ხილსა და უშველებელ ბუტერბროდებს დაგვიწყობდა, ხოლო როცა თავპირისმტვრევით საბანაოდ ტბისაკენ მივქროდით, იდგა ვერანდაზე და ხელს გვიქნევდა.

შინ მხოლოდ სადილობისას მოვდიოდით, რაც ხელთ მოგვხვდებოდა,

ყველაფერს უსიტყვოდ ვნთქავდით და ისევ ტბაზე ან ტყეში გავრბოდით, ანდა სულაც მახლობელ ქალაქში მივდიოდით — იქნებ ქალაქელ გოგობიჭებს ჩვენთან თამაში მოესურვებინათ. რას აკეთებდნენ მთელ დღეს უფროსები, წარმოდგენა არა მაქვს. ზოგჯერ ისინიც ტბაზე მიდიოდნენ საბანაოდ, ზოგჯერ დედას იმ ფარდულში ვხედავდი, სტრუდინის მაგივრობას რომ უწევდა. მაგრამ ხუთი-ექვსი საათისათვის, როცა ჩვენს შინ შემობრუნების დრო დგებოდა, უფროსები უკვე ვერანდაზე ისხდნენ და მშვიდი, ბედნიერი სახით ჯინს წრუპავდნენ.

ვახშმის შემდეგ მამები ჭურჭლის რეცხვას იწყებდნენ, დედა ვერანდაზე სიგარეტის მოსაწევად გადიოდა, მერე ჩააქრობდა სიგარეტს და ცეკვის დროც დგებოდა. მე, ლიზი და გიზელა წელში ვიგრიხებოდით, ვტოკავდით, ფეხებს ვაბაკუნებდით და დედას მთელი თავგამოდებით ვბაძავდით. მალე სასტუმრო ოთახის კარებში ლუდის ტოლჩებით მხრებზე ჭურჭლის ტილოგადაკიდებული მამები გამოჩნდებოდნენ. როგორც წესი, დედა პირველად მამას მიუბრუნდებოდა:

— დენი, ვიცეკვოთ?

ამ სიტყვებით მხარზე ხელს დაადებდა, სახეგაბრწყინებული მამაც ტილოს ბატონ დეკუევროს მიაჩჩებდა, ლუდით სავსე ტოლჩას იატაკზე დადგამდა და ფეხების ფლატუნითა და მოუქნელი გრაციით ცეკვას იწყებდა. ზოგჯერ ხელებს ისე ააფართხუნებდა, უზარმაზარი თევზი ან დათვი გეგონებოდა. დედა კი — ოცნებაში წასული, თავით ფეხამდე მუსიკას მინდობილი ნაზად, მსუბუქად დასრიალებდა. მელოდიას მელოდია ცვლიდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, მამას საყვარელი ფეტს დომინოც უნდა ყოფილიყო. ცეკვავდნენ და ცეკვავდნენ ქანცის განყვეტამდე. ბოლოს მამაჩემი აქოშინებული ჩაეშვებოდა სავარძელში.

შუა ოთახში მარტო დარჩენილი, მუსიკის ტაქტს აყოლილი დედა კი, იდგა ერთ ადგილას და წელა ირწეოდა.

— გაუჩო, მეგობარო, ეცეკვე, თორემ საცაა სისხლი ჩამექცევა, — მიუბრუნდა მამა ბატონ დეკუევროს.

ბატონი დეკუევროს ნამდვილი სახელი ბოლივარი იყო, რაც მე მხოლოდ დედის დაკრძალვის დღეს შევიტყე ლიზისაგან. ჩვენ კი, იმიტომ რომ გაუჩოს დაძახება გვერიდებოდა, მუდამ ბატონ დეკუევროს ვეძახდით.

ბატონი დეკუევრო მხრებს მოხდენილად შეათამაშებდა, ორივე ჭურჭლის ტილოს მამას მიუგდებდა და ჯერ მისთვის თვალი არ მოეშორებინა, რომ მუსიკის ტაქტს აყოლილს ნაბიჯი უკვე დედისაკენ ჰქონდა გადადგმული:

— ხვალ დილიდან, დენ, იცოდე, სირბილს ვიწყებთ, ადრინდელი ფორმა უნდა დაიბრუნო, თუ გინდა რომ მთელი ღამე შეუჩერებლად იცეკვო.

— მაინც, რომელი „ადრინდელი“? ოცი წელია ამ მშვენიერ ფორმაში ვარ, რა უნდა დავიბრუნო?

ამაზე ყველანი გულიანად იცინოდნენ. ბატონი დეკუევრო და დედა ერთმანეთს გადახედავდნენ, მერე დედა მამასთან მივიდოდა და ოფლით დაცვარულ შუბლზე კოცნიდა. მერე ჩაავლებდა ბატონ დეკუევროს ხელს და შუა ოთახში გაჰყავდა.

როცა დედა და მამა ცეკვავდნენ, მე და ჩემს დას შეგვეძლო გვეხით-

1. ასე ეძახდნენ ამერიკელ კოვბოებს.

ხითა, ისე როგორც ბადმინტონის თამაშისას, შეგვეძლო ფეხებშიც გავბლანდოდით, როცა ჩოგანი ორს ეჭირა, თამაშში კი ყველანი ვიდებდით მონაწილეობას. მაგრამ როცა დედა და ბატონი დეკუევერო ცეკვავდნენ, ვერანდაზე სარწვეველა სკამში ჩამსხდრები ან ფანჯრის რაფაზე წამოსკუპულები მივჩერებოდით და ერთმანეთის შეხედვისაც კი გვეშინოდა.

ისინი მხოლოდ სწრაფ ცეკვებს ცეკვავდნენ — ცეკვავდნენ ისე, თითქოს მთელი სიცოცხლე მხოლოდ ამას ელოდებოდნენო. დედაჩემის მოძრაობა სულ უფრო მსუბუქი, აზრიანი და ნარნარი ხდებოდა, ბატონი დეკუევერო კი ისე გახალისდებოდა, ისე აინთებოდა, როგორც წყვილიდან გამობრწყინებული მზის სხივი. რაც შეეხება მამას, ისე ცეკვავდა, როგორც ცხოვრობდა — გულგახსნილად, ხმაურით, დამცინავად და, ცოტა არ იყოს, მოუქნელად. სამაგიეროდ, ჩვეულებრივ წყნარი, დაფიქრებული და დინჯი ბატონი დეკუევერო დედასთან ცეკვისას სრულიად გარდაიქმნებოდა ხოლმე. ბედნიერი და თითქოს ზეშთაგონებული დაფრინავდა, დედას ხან მიეჭრებოდა, ხან დაატრიალებდა, გარშემო უვლიდა და მის ყოველ ნაბიჯსა და ყოველ უმნიშვნელო მოძრაობასაც კი ეხმაურებოდა. ჯერ ყველას გაგვიღიმებდნენ რიგრიგობით, მერე კი დადინჯებულ, ვნებით სავსე მზერას კვლავ ერთმანეთისკენ მიაპყრობდნენ.

— იცეკვე რა, მამასთან, — ეტყოდა დედას ლიზი ყველა ჩვენს — განზე დარჩენილთა მაგივრად.

დედა ლიზს ჰაეროვან კოცნას გამოუგზავნიდა:

— კარგი, ძვირფასო, ახლავე. — მერე მამაკაცებს მიუბრუნდებოდა და სიცილით გამოუცხადებდა: — რას იზამ, — ამ გადაკრულად ნათქვამმა საკმაოდ ხმამაღლა და არაორაზროვნად გაიჟღერა. — მოდი, დავამთავროთ, გაუჩო. დროა ეს მაიმუნები დასაძინებლად წავიყვანო. გოგოებო, კმარა, ახლავე ლოგინისაკენ მოუსვით, უკვე გვიანია.

და სამ უფროს ადამიანს ჯერ სამზარეულოში შევყავდით რძის დასალევად, მერე აბაზანაში დასაბანად, კბილების გასახეხად და მზისგან დამწვარ ბეჭებზე ლოსიონის წასასმელად. ბოლოს ყველანი ჩვენ დიდ საძინებელში შევლაგდებოდით. გიზელას გასაოცრად, მე და ჩემს დას ტრუსებსა და მაისურებში გვეძინა.

— უპიჭამოდ წვებით? — გვკითხა გაკვირვებულმა პირველ საღამოს.

მე კმაყოფილმა ჩავიფრუტუნე:

— პიჭამო აქ საჭირო არ არის.

გვაკოცებდნენ უფროსები და გავიდოდნენ, ჩვენ კი ვინეკით და ვუსმენდით, თხილს როგორ აკნატუნებდნენ და ბანქოზე თავნახრილები ჩუმად როგორ ლაპარაკობდნენ — ხან ჯინს თამაშობდნენ, ხან პოკერს, თან დაინა ვაშინგტონსა და ოდეტას უსმენდნენ.

ერთხელაც, დაახლოებით შუალამე იქნებოდა, უცებ გამელვიძა, ლოგინიდან წამოვდექი, სასტუმრო ოთახი გავიარე და სამზარეულოსაკენ წავედი — წყალს დავლევე, თანაც ვნახავ, თუფშზე ხენდროს ღვეზელი ხომ არ დარჩა-მეთქი. ვხედავ, დედა და ბატონი დეკუევერო ჩახუტებულები დგანან. ძალიან გავვოცდი, შევფიქრიანიდი. იმ დროს უკვე უამრავი ფილმი მქონდა ნანახი, ვიცოდი, როცა ორი ადამიანი ერთმანეთს ასე ეხუტებოდა, მაშასადამე, ჰკოცნიდნენ. ასეც იყო. ეს სულაც არ ჰგავდა ჩემთვის ნაცნობ დედასა და მამას ჩახუტებას, თუნდაც იმიტომ, რომ მამა დედაზე მთელი ოცი სანტიმეტრით მაღალი იყო და ორმოც-ორმოცდაათი კილოგ-

რამით მეტს იწონიდა. ისინი ერთმანეთს ისე კი არ ეხვეოდნენ, როგორც ეს კინოში ხდებოდა — სიფრიფანა, თეთრი, შავთვალა, შავთმიანი ქალი სრულიად იკარგებოდა უზარმაზარი ვარდისფერ-ნარინჯისფერი მამაკაცის ტორებში და ქვევიდან ზევით ისე აჰყურებდა, როგორც გოდიატს. სამაგიეროდ ბატონი დეკუევრო და დედა და-ძმასავით იდგნენ უავი-ფავს მიდებულები, ორივენი ჩამოქნილ-ჩამოქანდაკებულები, მუჭებში მძილები, გრძელ, მზით გარუჯულ შიშველ კანჭებზე ასხეპილები. დედას ხელი ბატონ დეკუევროს მაისურის ქვეშ ჰქონდა შეყოფილი.

დედამ, ეტყობა, იგრძნო ჩემი მზერა, თვალები ნელა გაახილა.

— როგორ შეგვაშინე, ძვირფასო, მე და ბატონი დეკუევრო ახლა სწორედ „მშვიდობიან ლამეს“ ვუსურვებდით ერთმანეთს. შედი ტუალეტში, მერე მოვალ და საბანს ამოგიგებ, კარგი?

არა, არ პირფერობდა, უბრალოდ, განმიმარტავდა, რომ მე მისთვის გაცილებით მეტს ვნიშნავდი, ვიდრე ბატონი დეკუევრო. ისინი ისე სწრაფად და შეუმჩნევლად მოსწყდნენ ერთმანეთს, უკვე იმავე წუთს დამავინწყდა, როგორ გამოიყურებოდნენ ერთმანეთს გადახვეულები. დედას თავი დავუქნიე და ის, რაც ახლა ვნახე, ჩემს ცნობიერებაში უკვე ჩვეულებრივ „ლამე მშვიდობისად“ იქცა — დედა ხომ გამომშვიდობებისას ყველა თავის ახლო ამხანაგს ჰკოცნიდა.

სააბაზანოდან რომ დავბრუნდი, ბატონი დეკუევრო უკვე აღარ იყო. მხოლოდ დედა იდგა და მთვარეს შეჰყურებდა — მე მელოდებოდა... მერე საძინებელში გამომყვა, ლოგინში ჩამაწვინა და ჯერ შუბლზე მაკოცა, მერე ტუჩებში.

— დაიძინე, სულელო, — დილამდე...

— დილაზე მოცვიან ალადებს ხომ გამოგვიცხობ? — მომეჩვენა, რომ სწორედ ახლა უნდა მეთხოვა რაიმე.

— ვნახოთ, ჯერ გათენდეს... დაიძინე.

— დედიკო, გეხვეწები...

— კარგი, ხვალ მოცვის დღეს ვაცხადებ. ახლა კი ლამე მშვიდობისა, ბაჭიავ. — იგი ზღურბლზე წუთით შედგა, ერთი გადმომხედა და წავიდა.

მეორე დილას მამა დილით ადრე ადგა — ამხანაგებთან ერთად ტბაზე სათევზაოდ წასასვლელად ემზადებოდა. ყოველ შაბათს ჩაიცვამდა თავის ძველ მაისურს, წაიკრავდა გამელოტებულ თავზე წითელ ხელსახოცს, აიღებდა ნემსკავებითა და სატყუარებით სავსე კოლოფს და მიდიოდა, შინ კი, როგორც წესი, სამი საათისათვის ბრუნდებოდა. ბატონი დეკუევრო იფიცებოდა, მზად ვარ გავასუფთაო, მოვხარშო და მთელი ეს დაჭერილი თევზი შევჭამო, ოღონდ დილიდან საღამომდე ბეისბოლის ქუდებსა და თეთრ წინდებში გამონყობილი ამ თავგადაკლული მეთევზეების გვერდით დგომას ვერავინ მაიძულებსო.

დილით თვალი გავახილე თუ არა, მაშინვე ყავისა და გამდნარი კარაქის სუნნი მეცა. ლიზი და გიზელა უკვე საწოლში აღარ იწვნენ. ძალიან გავბრაზდი — ალადების გამოცხობა დედას პირველმა მე ვთხოვე, დილით კი ყველამ დამასწრო, ვინ იცის, იქნებ ერთი ცალიც აღარ დამიტოვეს-მეთქი!

ბატონი დეკუევრო და ლიზი მაგიდასთან ისხდნენ და უკვე ამთავრებდნენ ჭამას. დედა სასტუმრო ოთახში პატარა ლურჯ დივანზე იჯდა და გიზელას თმას ვარცხნიდა, ისე კი არა, როგორც მე, არამედ გაცილებით

ფრთხილად, თან — წესიერად დაჯექიო, — წარამარა ხელს არც ბეჭებზე უტყაპუნებდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, გიზელა უამისოდაც წყნარად იჯდა, არც ცქმუტავდა და ჯაგრისი თმას რომ დაანიწქნადა, არ დრიალებდა.

მე უკვე მზად ვიყავი ყველასა და ყველაფერზე გავბრაზებულყავი, მაგრამ დედამ თვალი ჩამიკრა და მითხრა:

— კურდღელო, შენი ოლადები ქურაზე დგას. გაუჩო, თუ შეიძლება ელენს თეფში გადმოუდგი, ხელი არ დაინვას.

ბატონმა დეკუევრომ მრგვლად შებრანული, ფუმფულა, მუქ ლილისფერ მოცვმოსხმული ოლადებით სავსე თეფში წინ დამიდგა, მერე ქალაღის პირსანმენდს მოხია, ზედ დანა და ჩანგალი დადო და ლოყაზე ხელი მომითათუნა. ხელისგულზე ყავისა და დარიჩინის სუნი ასდიოდა, თან, იცოდა რა ჩემი გემოვნება, მაშინვე კარაქი, თაფლი და სიროფი მომიცურა.

— სიროფი დაგისხა? — მკითხა ბატონმა დეკუევრომ.

პასუხად თავი დავუქნიე. თან შუბლქვემოდან ჩუმად შევყურებდი, მაგრამ ახლა იგი სრულიად არ ჰგავდა იმ კაცს, ვინც წუხელ ჩემს დედას გულში ასე უცნაურად იკრავდა.

— დიდებული ოლადებია, ლაილა, — უთხრა დედას.

— ჰო, დედიკო, ძალიან გემრიელია... — ვცდილობდი დახვეწილ მანერებში დეკუევროს ოჯახს არ ჩამოვრჩენოდი, მაგრამ ეს ჩემთვის ადვილი არ იყო. გიზელა ხომ ყველაფერზე — გმადლობთო და როგორც გენებოთო, — ამბობდა.

დედამ გაიღიმა და გიზელას თმა სამაგრით შეუკრა. მზე უკვე გვარიანად აჭერდა. ოლადები ფართხაფურთხით გადავსანსლე და მაგიდის ქვეშ ლიზის ფეხი წავკარი:

— წავედით.

— ჯერ დაიბანე, — მითხრა დედამ.

მივედი და სახე სამზარეულოს ონკანს შევუშვირე, ამაზე დედამ და ბატონმა დეკუევრომ სიცილი ატეხეს. გამარჯვებულმა თავი ამაყად გავაქნიე, გოგოებთან ერთად ქურაში გავვარდი, თოკიდან პირსანმენდი ჩამოვგლიჯე და ტბისაკენ სამივემ თავპირისმტვრევით მოვკურცხლეთ.

— ვინც უკან დარჩა, სულელია, — შევყვირე გიჭივით, ხიდურიდან ტორპედოსავით მოვწყდი და ტბის ცივად მოსარკული ზედაპირისკენ ბზრი-ალით დავეშვი. უკან ლიზი და გიზელა მომყვნენ. წყალში მანამდე ვიჭყუმპალეთ, ვიდრე მანქანით მამა არ წამოგვადგა თავზე. სათლი ახლად დაჭერილი თევზით ჰქონდა სავსე. ჯიპიდან გადმოხტა, ხელი დაგვიქნია და გამოგვიცხადა, ორი დღე დილიდან სალამომდე მხოლოდ თევზი გვექნება, თევზის მეტს ვერაფერს მიირთმევთო. ყველამ ამოვიოხრეთ, ვითომ ცხვირები ავიბზუეთ, მამამ გაიციხა და შინისაკენ გასწია.

ერთმანეთს მისდევდა მზიანი, ერთმანეთის მსგავსი დღეები — ვბანაობდით, ტბაზე მამასთან ერთად ხიდურიდან თევზს ვიჭერდით, ბუტერბროდებს შიგ წავში მივირთმევდით, ვერანდაზე სარწველა სავარძელში ვქანაობდით და ფორთოხლის წვენს ნება-ნება ვწრუპავდით.

მერე მთელი კვირა გადაუღებლად წვიმდა. ერთ დილასაც გავიღვიძე და მესმის, წვიმას სახურავზე შხაპაშხუპი გააქვს. დედამ კარში თავი შემოყო და გვითხრა:

— საყვარლებო, ხედავთ, რა ამინდი გვეწვია! კაკაოსა და დარიჩინიან ტოსტებზე რას იტყვით?

მაშინვე ფაცხაფუცხით ჩავიცვით და სამზარეულოში გავიქცით. დედას თეფშები და ფინჯნები უკვე ჩამოეწყო, თვითონ კი წვიმიანი დღისათვის, როგორც წესი, სანგრიას ამზადებდა — ჯერ დიდი თეთრი კანისტრიდან ფორთოხლის წვენი გადმოასხა არაქისის ზეთის სამჭურჭელში, მერე რაც სახლში ფორთოხალი, ლიმონი და გრეიფრუტი იყო, ერთად დაჭრა, მე ხილზე ბრენდის დასხმის ნება დამართო, გიზელას შაქრის ჩაყრა დაავალა, ლიზის კი წილად ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე ერგო — მთელ ამ მასალაზე წითელი ღვინით სავსე ბოთლი უნდა მოეპირქვავებინა. არ მახსოვს, წვიმიან დღეებში მშობლებს სხვა რამ დაეღიათ, გარდა სანგრიისა.

მერე დილის სიგარეტის მოსაწეად დედა ვერანდაზე გავიდა. მალე საძინებლიდან მამაც ჩამოვიდა და ისიც ვერანდაზე გავიდა. ჩვენ დაჭერობანას თამაში დავიწყეთ. ვთამაშობდი და თან ცალი თვალი მშობლებისკენ მეჭირა, რომლებიც დანწულ ტახტზე მყუდროდ მოკალათებულიყვნენ გვერდიგვერდ. რამდენიმე წუთის შემდეგ ბატონი დეკუვეროც გამოჩნდა, ვერანდისკენ ერთი გაიხედა და თავი მაშინვე პირველსავე ხელთ მოხვედრილ ჟურნალში წარგო.

რახან უფროსებმა ჩვენი გართობა არ ისურვეს, გადავწყვიტეთ ჩვენს ოთახში შევსულიყავით და „მონოპოლისტობანა“ გვეთამაშა. ორი საათის შემდეგ, მე რომ მეტწილად ციხეში გავატარე, ლიზის კი თავისი უგერგილობის გამო რენტის მოკრება დაავიწყდა, ნამცეცა გიზელამ ჩვენ ორივე საბოლოოდ გაგვაკოტრა. შემდეგ ყველანი სამზარეულოში შევედით, რათა ცოტა რაღაც შეგვეჭამა. ყველა წვიმიანი დღე გაუთავებელ ცმუცნაში გადიოდა, მხოლოდ ბანქოს თამაშში თუ გავერთობოდით და ჭამას ის თუ გადაგვავიწყებდა. ერთთავად წვენსა და გაზიან წყლებს ვუბერავდით, ან ყველი გვედო პირში, ან ბანანი, ნამცხვარი, ძეხვი, სიმინდის ჩხირები თუ მაგრად მოხარშული კვერცხი. უფროსები ყველსა და კრეკერს შეექცეოდნენ, თან სანგრიას აყოლებდნენ.

მახსოვს, იმ საღამოს მამები სავარძლებში ისხდნენ და მთელი გულიყურით კითხულობდნენ. დედა თავის ოთახში სახატავად წავიდა, ჩვენ კი მოწყენილობისაგან ლამის გამოვთავყვანდით. დედა თავისი ოთახიდან ძირს სიგარეტისათვის რომ ჩამოვიდა, ხედავს, ვზივარ და თაფლით გადღაბნილ მაგიდაზე ჩემი სახელი დიდი გულმოდგინებით გამომყავს, ლიზი და გიზელა კი ბამბით გატენილ პატარა ლურჯ დივანს ბრდღვნიან.

— ღმერთო ჩემო, ელენ, მოეშვი ამ ოხერ თაფლს! ლიზ, გიზელა, ახლავე თავი დაანებეთ! სხვა თუ ვერაფერი მოგიფიქრებიათ, გადით გარეთ და წვიმაში ითამაშეთ!

თითქოს შორეული მგზავრობიდან დაბრუნდნენო, კაცებმა თავი ძლივს ანიეს:

— ღმერთმანი, ლაილა... — დაიწყო მამამ.

— ლაილა, გარეთ თავსხმაა, ჩვენ მივხედავთ, — დასძინა ბატონმა დეკუვერომ.

— ვხედავ, როგორც მიხედეთ, შედეგი თვალწინაა, — სარკასტულად იღიმება დედა.

— მართლა, დედა? მართლა შეიძლება წვიმაში ვითამაშოთ? შეიძლება ყველაფერი გავიხადოთ და წვიმაში ვირბინოთ?

— რა თქმა უნდა, აბა რა აზრი აქვს ტანისამოსის დასველებას, არც საცურაო კოსტიუმი გჭირდებათ, არა მგონია, ეზოში დოყლაპიების ბრბომ მოიყაროს თავი.

ერეკუნული

ვიდრე დედა გადაიფიქრებდა, ვერანდაზე გავცვივდივდი ტრანსპარენტული ფაცხა-ფუცხით გავიძრეთ და ერთი ყიჟინითა და ყივილ-ხივილით ჭაობად ქცეულ ბალახებში ხტუნაობა დავიწყეთ. თან დავცინოდით და თან გვეცოდებოდნენ ის ჩვენი კბილა გოგო-ბიჭები, რომლებიც იძულებულები იყვნენ სახლებში გამოკეტილები მსხდარიყვნენ.

რა თამაშს აღარ ვიგონებდით. ერთ-ერთი თამაში ასეთი იყო: თქაფათქუფით წამოსული წვიმის ნაკადის ქვეშ უნდა დავმდგარიყავით და შესალოცი სიტყვები წარმოგვეთქვა, ანუ ყველა იმ ადამიანის სახელი გავგვეხსენებინა, ვისაც კი ვიცნობდით. მოკლედ, ბევრი ვიცინეთ და ბევრი ვითამაშეთ. წვიმის ნაცრისფერ საბურველში ყველაფერი გასლიპული, გაზუნზლული, ირეალური ჩანდა. მშობლები ვერანდაზე ისხდნენ და გვიყურებდნენ.

როცა ბოლოსა და ბოლოს ასე დიდებულად გალუმპულები და ამით აღფრთოვანებულები შინ შევცვივდით, ხაოიან პირსანმენდებში გაგვახვიეს და საძინებელ ოთახში ჩასაცმელად გაგვგზავნეს, რათა ვახშამზე ჩაცმულები ჩამოვსულიყავით.

დედამ სამივეს თმა დაგვეარცხნა და სპაგეტისათვის სანებელი მოამზადა, მამამ სალათი დაჭრა, ბატონმა დეკუვერომ ტორტი ხენდროთი მორთო, შუაში კი წითლად მოღუდღუდე ხილის პირამიდა ააგო. ყველანი ნეტარების მწვერვალზე ვიყავით. უფროსები სულ იცინოდნენ, ვარდისფერ სანგრიას წრუპავდნენ და ჟონგლიორებივით ხილს ერთმანეთს ესროდნენ.

ვახშმის შემდეგ დედას საცეკვაოდ სასტუმრო ოთახში რომ მივყავდით, უცებ დენი გამოირთო.

— ეშმაკმა დალახვროს! — აღშფოთდა სამზარეულოში მამა.

— რა ჯანდაბაა! — კვერი დაუკრა ბატონმა დეკუვერომაც. გვესმოდა, სიცილითა და ბუზლუნ-ბუზლუნით სიბნელეში როგორ დაბოდიხლობდნენ და ჯიბის ფარებს ეძებდნენ.

— მშვენიერო ქალბატონო, კავალერია გეახლათ! — მამამ ფარანი ხელში შეათამაშა და თავი დახარა.

— ამერიკული და არგენტინული დივიზიონები.

ბატონ დეკუვეროს ესპანურად ელაპარაკოს, ადრე არაწოდეს მსმენოდა, მისგან ერთი ესპანური სიტყვაც კი არ გამეგო.

— მაშასადამე, არავითარი საფრთხე არ მომელის, ყოველ შემთხვევაში, ბოროტმოქმედები ვერაფერს დამაკლებენ, თუმცა, მეორე მხრივ... — თქვა დედამ და გაიცინა.

მამებმაც ერთმანეთს მხრებზე ხელი დაადეს და იმათაც გაიცინეს.

— რა, დედიკო, რა „მეორე მხრივ“? — ვთქვი და ისე ჩავეჭიდე, როგორც ბავშვობაში ვიცოდი, როცა მეშინოდა უზარმაზარ უნივერსალში არ დავკარგულიყავი.

— არაფერი, კურდღელო, დედამ სისულელე თქვა, ყურადღებას ნუ მიაქცევ. მთოხლელებო, აბა ახლავე საწოლებისაკენ მოუსვით! შეგიძლიათ

დანვეთ და რამდენიც მოგესურვებათ, ილაქლაქოთ. ამ კარს კი ჩავკეტავთ, ქუჩაში უკვე აღარაფერი გვესაქმება.

მამებმა აბაზანამდე მიგვაცილეს და წაგვჩურჩულეს — საპირფარე-
შოში შედით, დანარჩენ პროცედურებს კი მოეშვით, ხომ ხედავთ, სინათლე
არ არისო. მერე დასაძინებლად წაგვიყვანეს და ძილის წინ კორფემ გვა-
კოცა. მამას ჩხვლეტია უღვაში ჰქონდა, ბატონი დეკუევეროს უღვაში კი
ნაზად, თითქმის შეუმჩნევლად გვეხებოდა. ერთი წუთის შემდეგ საძინე-
ბელში დედა შემოვიდა, ლოყა ლოყაზე მომადო და მომეფერა. ისეთი ნა-
ზი და თბილი ლოყა ჰქონდა, ხავერდის ბალიში გეგონებოდა.

როცა გავიღვიძე, ჯერ ისევ ბნელოდა. წვიმას გადაელო და დენიც უკვე
მოსულიყო, დერეფანში ნათურა ბღღვრიალებდა. ეტყობა, დენის მოსვლა
ვერაგინ გაიგო, არადა, დენს ხომ დაზოგვა და გაფრთხილება უნდა-მეთ-
ქი. — ლოგინიდან დაბრძენებული ქალივით წამოვდექი, მთელ სახლს ჩა-
მოვუარე და სინათლე ყველგან ჩავაქრე.

აბაზანასთან რომ მივედი, უცებ მუცლის ტკივილი ვიგრძენი და ალბათ
ბევრი ბატიბუტი ვჭამე-მეთქი, — გავიფიქრე. მერე კარგა დიდხანს ვი-
ჯექი ტუალეტში და ვუყურებდი, კედელზე ყავისფერი ობობა როგორ მი-
ცოცავდა. ობობა რამდენჯერმე ჩამოვადგე, ის კი ისევ პირსაწმენდისაკენ
მიიწეოდა. მართალია მუცელი ისე აღარ მტკიოდა, მაგრამ გადავწყვიტე,
დედა გამეღვიძებინა. ვიცოდი, მამა გაცილებით მეტი თანაგრძნობით მო-
მეკიდებოდა, მაგრამ ისეთი ღრმა ძილი სჩვეოდა, ვიდრე იმას გავაღვიძებ-
დი, დედას ხალათი უკვე ჩაცმული ექნებოდა და მუცელსაც ალერსიანად
დამიზღვდა, თუმცა არა ისეთი თანაგრძნობით, როგორც ამას მოულოდ-
ნელი ავადმყოფობის მსხვერპლი მოისურვებდა.

დერეფანში სინათლე ისევ ავანთე და მშობლების საძინებლისაკენ გავ-
წიე. საძინებლის კარს ხელი ვკარი და იმ მხარეს გავიხედე, სადაც დედა
იწვა. როგორც ყოველთვის, დედას მამაჩემის ზურგზე აკრულს ეძინა. ას-
ევე დედის ზურგზე აკრულს ეძინა ბატონ დეკუევეროსაც. მისი ცალი ხე-
ლი საბნის ზემოთ ესვენა, მეორე ხელი კი დედაჩემის თმაზე ედო.

ცოცხალი ხანს შევჩერდი და ოთახიდან უკან-უკან გამოვედი. უფროსე-
ბიდან არავინ შერხეულა, სამივენი ღრმად, ხმაშენყობით სუნთქავდნენ.
რა ვნახე, რა იყო ეს? მინდოდა ისევ შევსულიყავი, ერთხელ კიდევ შემეხე-
და, იქნებ გამქრალიყო ზმანება, ან იქნებ იმდენ ხანს მეცქირა, ვიდრე
რალაცას მივხვდებოდი და გავერკვეოდი.

მუცლის ტკივილი აღარ გამხსენებია, ლოგინში შევძვერი და ლიზი-
სა და გიზელას გადავხედე — ჩემ მიერ ამ წუთას დანახული ორი მამა-
კაცის ორ პირწავარდნილ ასლსა და ალიკვალს. მათაც ისევე ღრმად ეძი-
ნათ, როგორც დედას, მამას და დეკუევეროს. იქნებ ბატონ დეკუევეროსაც
საწოლი ისე ჩაენგრა, როგორც ჩვენ ჩავვენგრა ორი წლის წინ? იქნებ
წვიმა ჩამოვიდა და ლოგინი დაუსველა? არა, ალბათ ველარ დავიძინებ,
თვალსაც ველარ მოვხუჭავ-მეთქი... მაგრამ მერე უკვე დილა მახსოვს: ისევ
წვიმდა. ლიზი და გიზელა დედას კინოში წაყვანას სთხოვდნენ. დედას მა-
რთლაც „მუსიკის ჰანგების“ სანახავად მივყავართ, მას ხომ მეზობელ ქა-
ლაქში მთელი წელიწადი ზედიზედ უჩვენებდნენ!

იმ ზაფხულს მნიშვნელოვანი მეტი არაფერი მომხდარა. ჩემს მეხსი-
ერებაში ის ყველაფერი ერთ უწყვეტ სურათად შერწყმული დარჩა: თევ-
ზის ჭერა, ბანაობა თუ ნავით სეირნობა ღია ტბაში. დეკუევეროები რომ

მიემგზავრებოდნენ, გიზელას გადავებზე, ბატონი დეკუვეროსაკენ კი გახედვაც არ მინდოდა, მაგრამ დაიხარა და ყურში ჩუმად წამჩურჩულა:

— მომავალ წელს ძრავიან ნავს ჩამოვიტან და გასწავლი, წყლის თბილამურებით როგორ ისრიალო.

ამ სიტყვების შემდეგ მაგრად, მაგრად ჩავეკარი, დედაც კი თითქოს მლოცავსო, თავზე ხელისგული დამადო.

მომდევნო ზაფხულს მთელი ივნისი ბანაკში ვიყავი და დეკუვეროებს არ შევხვედრივარ, თუმცა მათ ის ზაფხულიც ჩვენს აგარაკზე გაატარეს. მერე ორი ზაფხული ზედიზედ გამოტოვეს. ამის შემდეგ გიზელა, ლიზი და მე ერთად გაგვაგზავნეს ნიუ-გემფშირის ბანაკში, უფროსებმა კი ერთი კვირა ერთად გაატარეს იქვე მახლობლად მდებარე აგარაკზე. ამის შემდეგ ერთხელაც მამამ უცებ გამოაცხადა — ელვირა დეკუვეროსთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება აღარ შემიძლია, ან ის მომიღებს ბოლოს, ან არადა, მოვკლავო, რაზედაც დედამ მშვიდად უპასუხა, არც ისე ცუდი ქალიაო.

მას აქეთ ჩვენ თითქმის იშვიათად ვხვდებოდით. ბატონი დეკუვერო და გიზელა ერთხელ ჩემს გამოსაშვებ საღამოზე ჩამოვიდნენ, მერე დედას ჰქონდა ბოსტონში გამოფენა, მერე მამას ორმოცდაათი წლისთავზე გვენვივნენ, მერე ლიზის გამოსაშვები საღამო იყო. გარდა ამისა, დედას ხშირ-ხშირად უწევდა ნიუ-იორკში ყოფნა და ყოველთვის მათთან ვახშობდა, ხოლო თუ რაიმე მიზეზის გამო გეგმა შეეცვლებოდა, ვახშამს სადილით ცვლიდა.

დაკრძალვაზე გიზელამ ჩამოსვლა ვერ შესძლო. იმ წელიწადს იგი არგენტინაში ცხოვრობდა და პაპამისის მიერ დაარსებულ არქიტექტურულ ფირმაში მუშაობდა...

სამძიმარზე მოსული ხალხი რომ წავიდ-წამოვიდა, ბატონმა დეკუვერომ გიზელას წერილი გადმოგვცა. ძალზე თბილი წერილი იყო. შიგ კალმითა და ტუშით შესრულებული დედაჩემის პორტრეტი იდო. მამა და დეკუვერო ერთ ბოთლ შოტლანდიურ ვისკს მიუსხდნენ, მე და ჩემი და აღარც კი გავხსენებდით — ბილი ჰოლიდის ფირფიტა ჩართეს და მისი ხავერდოვანი სიმღერის ხმაზე ვისკს დამწუხრებულები შეექცეოდნენ. სტუმრების მიერ მორთმეული ტკბილეულის საჭმელად მე და ლიზი სამზარეულოში შევედით. მაგიდაზე ათასნაირი ტკბილეული იყო გაშლილი — სახლში გამომცხვარი კვერები, სტრუდელი, კარტოფილის ტკბილი ღვეხელი და მისის ელისის შოკოლადის სუფლიანი ტორტი... მაგიდასთან დავსხედით, წინ თეფშები დავიწყეთ და ფინჯნებში რძე დავისხით.

— იცი, — ჩაილაპარაკა პირგამოტენილმა ლიზიმ, — მთელი ამ აპრილის მანძილზე, რაც შინ ჩამოვედი, ყოველდღე რეკავდა, — თქვა და თავი სასტუმრო ოთახისკენ გააქნია.

ვერ მივხვდი, იწონებდა თუ კიცხავდა მის საქციელს. ამის თაობაზე არც მე გამაჩნდა ჩემი აზრი.

— დედა ახლა ბოლივარს ეძახდა, — თქვა ლიზიმ.

— რა?! ჩვენ კი გაუჩოს დაძახებისა გვრცხვენოდა და არ ვიცოდით როგორ მიგვემართა.

— ჰო, მაგრამ, ამ გაზაფხულზე სულ ბოლივარს ეძახდა. იცი, ელ, დედა ყოველდღე ელაპარაკებოდა და ბოლივარს ეძახდა.

ლიზის სახეზე ცრემლი ნაკადად სდიოდა. დედა ახლა ძალიან, ძალიან გვაკლდა და გვენატრებოდა. გადაუსვამდა ლიზის რბილ, ფაფუკ თმა-

ზე ხელს და ნებას არ მისცემდა, ასე ცრემლად დაღვრილიყო. მაგიდას გადავწვდი და ლიზის ხელი ხელში ავიღე. მეორე ხელში კვლავ ჩანგალი მეჭირა. უცებ მომეჩვენა, რომ დედა მომჩერებოდა ღიმილით, ოდნავ თვალებმოჭუტული. ასე მაშინ მიყურებდა, რაიმეზე რომ გავჯიუტდებოდი და რალაცას არ დავუჯერებდი. ჩანგალი დავდე, ლიზისთან მივედი და გულში ჩავიკარი. ლიზი ისე ღონემიხდილი მომეხუტა, თითქოს სხეულში ძვლის ნატამალიც არ ჰქონდა.

— მესამედ რომ დარეკა, დედას მოურიდებლად ვკითხე, — წარმოთქვა ჩემს მხარზე თავჩარგულმა.

— მერედა რაო, რა გითხრა? — ლიზის პასუხი რომ გამეგო, ოდნავ განზე გავინიე.

— მითხრა, რა თქმა უნდა, ყოველთვის შუადღისას რეკავს, იცის, ამ დროს ცოტა უფრო ღონივრად ვარო... მე კი ვუთხარი, ამას არ გეკითხები, არ ვიცოდი, ასე ახლოს თუ იყავით-მეთქი.

— პირდაპირ ეგრევე უთხარი?

— ჰო. იმან კი — ძვირფასო, მე ისე არავის ვყვარებივარ, როგორც ბოლივარსო. დავიბენი, გაოგნებული ვიჯექი და ვფიქრობდი, მსურდა კია ამის გაგება? მერე დედამ დაიძინა.

— შენ? შენ რალა იფიქრე?

— არ ვიცი, მინდოდა ერთხელ კიდევ მეკითხა, თუმცა...

— დიდი უცნაური ვინმე ხარ, ლიზი! — თავი ველარ შევიკავე. მართლაც რომ უცნაური ვინმეა ეს ჩემი დაიკო. ვითომ წყნარია და ჩუმჩუმელა, უცებ კი ისეთ რამეს დააბრეხვებს, ან ისეთ გარემოს შექმნის, მე რომ ვერც კი წარმოვიდგენ.

— თუმცა კითხვა აღარ დამჭირებია, მეორე დღეს, მისი დარეკვის შემდეგ, თვითონვე წამოიწყო... ისეთი ქანცგაცლილი იყო, სისუსტისაგან ოფლში ისე იყო გახვითქული, ყურმილი ძლივს ეჭირა. მიუხედავად ამისა, მაინც იღიმებოდა. მერე ბალში ჯუჯა ვაშლის ხეებს გახედა: „ბოლივარი რომ გავიცანი, ვაშლები ყვაოდა. უნდოდა ბალში ამ ადგილას დიდი ქანდაკება დაედგა და მთხოვა, ხეები ძირფესვიანად მოვთხაროთო. ბუნებასთან გაჯიბრება სხვა არაფერია, თუ არა მეტისმეტი თავდაჯერება-მეთქი. მაშინ შემომთავაზა სხვა ადგილას გადაგვერგო ხეები. ბოლოს როგორც იქნა, დავთანხმდი, მან კი მკითხა — განა ასე ცუდია თავდაჯერებამ? მაშა რომ გაიცნო, ვისკი ერთად დალიეს და ფეხბურთის საყურებლად დასხდნენ. მე ვახშამი მოვამზადე. მერე ორივემ ჭურჭელი დარეცხა. აი, ისე, როგორც აგარაკზე, ხომ გახსოვს? როცა ისიცა და თქვენც ყველანი ჩემ გვერდით იყავით, მე კი ნეტარების ზღვაში ვცურავდი“.

— ნეტარებისო, ასე გითხრა? ეს დედას სიტყვებია?

— ჰო, ელენ... ღმერთო ჩემო, ნუთუ გგონია, სიკვდილის სარეცელზე მწოლარეს რალაც საინტერესო გამონათქვამებს მივანერდი?

— მაპატიე.

— მოკლედ, საუბარს შევეყვით და... გადავწყვიტე დამეზუსტებინა, კერძოდ, რაზე იყო საუბარი — ჩვეულებრივ მეგობრობასა თუ უფრო მეტ სიახლოვეზე. დედამ გაიცინა და ისე შემომხედა, როგორც ჩვენი ბავშვობის დროს იცოდა, როცა ვიტყუებოდით, ამხანაგთან მივდივართო, სინამდვილეში კი რალაც ჯოჯოხეთური სასმელი უნდა გაგვესინჯა ან სილის კარიერი გვეთხარა. ჰოდა, ზუსტად ისე შემომხედა, როგორც

მაშინ და ხელზე ხელი მომკიდა. ისეთი სიფრიფანა და მსუბუქი ხელი ჰქონდა, ბუმბული გეგონებოდა. ელ, ასე მითხრა, ჩვენ სამივეს ერთმანეთი გვიყვარს, ორივე გასაოცარი მამაკაცია, ორივე თავისებურად არაჩვეულებრივი, სიყვარულს ორივე იმსახურებს და ორივე სწორედ ისეთია კარგი, როგორც არისო. მამაზე ასე თქვა, ქვეყნად ყველგან საუკეთესო ქმარია, მასზე უკეთესს ქალი ვერც ინატრებს, ბედნიერნი ვართ, ჩემი შვილების მამა სწორედ ეს კაცი რომ არისო. მაშინ მე ვკითხე, როგორ შეგიძლია ორივე ერთდროულად გიყვარდეს, ან ისინი ამას როგორ ითმენენ-მეთქი? მან კი ასე მიპასუხა — „ძვირფასო, სიყვარული ღვეზელი არ არის, ნაჭერ-ნაჭერ არ იჭრება, მე შენც მიყვარხარ და ელენიც. მართალია ორივენი სხვადასხვანაირად, მაგრამ მთელი გულითა და სულით, ვინაიდან ორივენი ძალზე სხვადასხვანაირები ხართ, საუცხოო, მაგრამ სრულიად სხვადასხვა. ჰოდა, მეც თვითული თქვენთაგანის გვერდით სრულიად სხვა ვხდები. თქვენ ორში ვერც ერთს ვერ გამოგარჩევთ, ჩემთვის ორივენი ერთნი ხართ. ასე ვარ მამასა და ბოლივარის მიმართაც. ხალხს ჰგონია, რომ ეს შეუძლებელია, რომ ეს ასე არ ხდება... სინამდვილეში კი ხდება... უბრალოდ, უნდა იპოვო, უნდა მიაგნო ასეთ კაცს“, — თქვა, თვალები დახუჭა და დღის ბოლომდე აღარ გაუხელია... რა იყო, ასე რად გაოცდი?

— ღმერთო ჩემო, მაშასადამე, მართალია... მე ხომ ეს ვიცოდი...

— იცოდი? იცოდი და არაფერი მითხარი?

— ლიზი, მაშინ შენ რვა წლისა იყავი, დიდი-დიდი ცხრის! როგორ უნდა მეთქვა? მეც კი ხეირიანად არაფერი მესმოდა.

— ვიცოდიო! მაინც რა იცოდი? — მკითხა მკაცრად ლიზიმ.

აბა როგორ მეთქვა, სამივე ერთ ლოგინში რომ ვნახე? იქნებ იმის თქმა ჯობდა, ბატონ დეკუევროსთან დედას რომანი მამის ნებართვით ჰქონდამეთქი. მაგრამ, როგორ მეთქვა, რა სიტყვები შემერჩია? ვიჯექი დაბნეული და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ბოლოს ავდექი და უბრალოდ ვუთხარი:

— ერთ ღამეს, როცა ჩვენ უკვე დაწოლილები ვიყავით, დედა და ბატონი დეკუევრო ერთმანეთს ჰკოცნიდნენ.

— მერედა, მამა? მამა სადღა იყო?

— არ ვიცი, მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, მამამ ეს იცოდა, დედამაც ხომ ასე გითხრა, მამამ იცოდა და წინააღმდეგი არ იყოო...

— ჰო, რა თქმა უნდა... ღმერთო ჩემო...

მე ისევ დავჯექი. ჭამა თითქმის დამთავრებული გვექონდა, სამზარეულოში კაცები რომ შემოვიდნენ. ორივე საკმაოდ ნასვამი იყო, მაგრამ სიმთვრალე თითქმის არ ეტყობოდათ. ესაა ოდნავ არეული სახეები ჰქონდათ. კაცმა რომ თქვას, ალბათ არც ჩვენ გამოვიყურებოდით დამშვიდებული — ვისხედით ტირილისაგან თვალებდასიებულ-დანითლებული და წინ საჭმლის ნარჩენების გროვა გვედგა.

— ნახე რა ღამაზეები არიანი — უთხრა მამას ბატონმა დეკუევრომ, ოდნავი ბანცალით კარის ზღურბლზე რომ გადმოვიდნენ.

— რა თქმა უნდა, ღამაზეები და თან ძალიან ჭკვიანებიც.

აღარ და აღარ დაამთავრა მამამ ჩვენს არაჩვეულებრივ ჭკუასა და გონიერებაზე ლაპარაკი. მე და ლიზი შეცბუნებულები, თუმცა შექცებით მაინც ნასიამოვნები ვიყავით.

— ელენს სულ ლაილას ტურ-პირი აქვს... — თქვა ბატონმა დეკუვერომ და მე მომიბრუნდა, — ზუსტად ისეთი ტურ-პირი გაქვს, როგორც დედას, მარჯვენა კუთხე მარჯვენაზე ოდნავ აწეული. რომ იტყვიან, ნამდვილი სრულყოფილების ნიმუში.

მამამ თანხმობის ნიშნად თავი ისე დაუქნია, თითქოს „ასეთი“ უდავო ჭეშმარიტება დღემდე არავის წამოსცდენოდეს. მერე ლიზის მიუბრუნდა:

— შენ კი სულ დედაშენის თვალები გამოგყვა. იმ დღეს, შენ რომ დაიბადე, თვალებში ჩაგხედე და გავიფიქრე — ღმერთო, დიდებულო, ამ ბავშვს სულ ლაილას თვალები აქვს, ოღონდ ლურჯი კი არა, მწვანე-მეთქი.

დასტურის ნიშნად, რა თქმა უნდა, ბატონმა დეკუვერომაც თავი დაუქნია.

გარეგანი ორგანოებიდან ახლა ალბათ შინაგანზე გადავლენ-მეთქი, — გავიფიქრე.

მაგრამ მამა მაგიდასთან მოვიდა და მხარზე ხელი დაგვადო:

— გოგოებო, თქვენს დედიკოს თქვენ უსაზღვრო ბედნიერება მიანიჭეთ. არც ერთი თავისი ქმნილებით ისე არ უამაყია, როგორც თქვენით, თქვენსავით არაფერი ახარებდა. დარწმუნებული იყო, ორივენი ყველასაგან განსხვავებული და განსაკუთრებულნი იყავით... — თქვა მამამ და ატირდა. ბატონმა დეკუვერომ მხრებზე ხელი მოხვია და ახლა თვითონ განაგრძო:

— დიახ, განსაკუთრებულნი და განუმეორებელნი. სტუდიაშიც მხოლოდ თქვენი პორტრეტები ეკიდა. მერწმუნეთ, იცოდა, რომ ყველანი დავმწუხრდებოდით, გავწამდებოდით, მაგრამ არ უნდოდა სიხარული დაგვიწყებოდათ, პირიქით, უნდოდა ყველაფერს გაეხარებინა თქვენი გული — გემრიელ საჭმელს, ღვინოს, ყოველ ალიონს, კოცნას... — და ისიც ატირდა.

— გოგოებო, ჩვენ ახლა წამოვწვებით და როცა ავდგებით, სადმე სავახშმოდ წაგიყვანთ. — სველი ბაგით მამამ ლოყაზე გვაკოცა და ორივენი საძინებლისაკენ წავიდნენ.

მე და ლიზიმ ერთმანეთს გადავხედეთ.

— გინდა დავლიოთ? — შევთავაზე ლიზის.

— არა, არ მინდა. მარტო დარჩენა თუ არ გეზარება, წავალ, მეც წამოვწვები.

ისეთი სახე ჰქონდა, იფიქრებდი, ზეზეულად სძინავსო. ლიზისათვის უარი არ მითქვამს. სულერთია მე მაინც ჯონისთვის უნდა დამერეკა.

ლიზი მოვიდა, მაგრად, ძალიან მაგრად მომეხვია, მეც გულში ჩავიკარი და თმიდან შოკოლადის ნაფხვენები ჩამოვფერთხე.

ვიჯექი მარტო სამზარეულოში და ჯონიზე ვფიქრობდი... ვფიქრობდი, როგორ მოვუყვებოდი დედაჩემის ამბავს, მის სიყვარულს, იმას, თუ როგორ იწვა ორ მამაკაცს შორის ცოლქმრულ სარეცელზე და აშკარად ვხედავდი, ჯონი პირში წყალს როგორ ჩაიგუბებდა, როგორ გაიფიქრებდა, რახან ცოლს ნებას აძლევდა, სხვა კაცთან წოლილიყო, ესე იგი, არ უყვარდაო. დედაზე კი — რახან ქმარი აიძულა „საკუთარ ჭერქვეშ“ ეს გარყვ-

ნიღება ეთმინა, გამოდის რომ წმინდანყლის ძუკნა იყო... მარტო გაიფიქრებდა კი არა, შეიძლება ხმამალლაც ეთქვა. არა, უსათუოდ უნდა დავურეკო, ვიდრე საბოლოოდ არ გავბრაზებულვარ იმ სიტყვების გამო, რაც მას არ წარმოუთქვამს, უნდა დავრეკო... თორემ ღიზი, როგორც ყოველთვის, ვიცი, გუნებაში იფიქრებს, ტყუილად ატეხა ერთი ამბავი...

ნომერი ავკრიფე. ჯონი ძალიან თბილად შემხვდა, საღვთოდაც კურგი და საყვარელი იყო — თავს როგორ გრძნობ, პანაშვიდმა როგორ ჩაიარა, მამა რას შვრება, თავი როგორ უჭირავსო. მე ყველა მის შეკითხვას ვუპასუხე, მაგრამ მივხვდი, რომ სხვას ველარაფერს მოვუყვებოდი... და რომ ცოლად ვერასოდეს გავყვებოდი იმ კაცს, ვისაც სხვას ველარაფერს მოვუყვებოდი“.

— ელენ, ძვირფასო, — თქვა ჯონმა, — მთელი სულითა და გულით გითანაგრძნობ, ვიცი, როგორი გამწარებული იქნები. დღეს ხომ შენთვის ასეთი სამწუხარო დღეა.

რა თქმა უნდა, ჯონმა ის თქვა და ის სიტყვები შეარჩია, რაც სრულიად შეეფერებოდა ვითარებას — მართალი და მართებული სიტყვები. მაგრამ ამ სიტყვებმა ყური მომჭრა, ვინაიდან იმ ოჯახის შვილი ვიყავი, წესსა და კანონს დიდად რომ არ დაგიღევდა და არც თავად ვიყავი მზად წესებითა და კანონებით ცხოვრებისათვის.

ჯონის გულისტკენა არ მინდოდა, არავითარი სურვილი არ მქონდა, მენყენინებინა, მაგრამ მხოლოდ ამის გამო ცოლად ნამდვილად ვერ გავყვებოდი.

— ჯონ, ყველაზე სამწუხარო ეს კი არა, ის არის, რომ შენი ცოლი ვერ გავხდები, არ შემიძლია. ვიცი, ტელეფონით ეს ძნელი მოსასმენია, მაგრამ... — ამ სიტყვებზე ხმა ჩამიწყდა, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა.

— ელენ, ბოსტონში რომ დაბრუნდები, მოდი მაშინ მოვილაპარაკოთ. ვიცი, ახლა ძალიან შენუხებული ხარ და ძალიან გიმძიმს... იქნებ დედაჩემსა და შენ შორის მოხდა რაიმე? ნუ ღელავ, ჩამოხვალ და ყველაფერს მოვაგვარებთ.

— შენ გგონია, დედას სიკვდილის გამო გადავიფიქრე? ისე, სიმართლე რომ ითქვას, ასედაცაა, მაგრამ... არა, იმიტომ კი არა... არა, ჯონ, შენ ამას ვერ გაიგებ... ვერც დედაშენის ნაყიდ კაბას ჩავიცმევ და ვერც ცოლად გამოგყვები... მაპატიე.

ჯონი დიდხანს დუმდა და ბოლოს მითხრა:

— ელენ, ეს შეუძლებელია. უკვე მოსაწვევებიც შევუკვეთეთ!

და აი, უცებ დავრწმუნდი, რომ სწორად მოვიქეცი. ჯონს რომ ეთქვა — ეშმაკმა დალახვროს, მოვდივარ, სალამოზე მანდ ვიქნებიო, ანდა სულაც — რა სისულელეს ლაპარაკობ, რაც უნდა მოხდეს, მაინც შეგირთავო — იქნებ დავთანხმებულიყავი, უარი იქნებ გადამეფიქრებინა, მაგრამ ჯონმა სწორედ ის თქვა, რაც თქვა... რა უნდა მექნა, ჩუმად გამოვემშვიდობე და ყურმილი დავკიდე.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მარტო დედა კი არა, ორი ადამიანი დამესაფლავებინოს. ვიჯექი და ტორტს პატარ-პატარა ნაჭრებს ვაჭრიდი და გვერდზე ვანვენდი. დედას რომ დავენახე, ალბათ სასეირნოდ გამიშვებდა. ის იყო მაგიდის ალაგება დავინწყე, რომ მამა და ბატონი დეკუვერო გამოჩნდნენ. ორივენი ოდნავ დამშვიდებულები მეჩვენნენ.

— ელ, რას იტყვი, რომიანი ვისკი ხომ არ დაგველია? — იკითხა მამამ.

— ჰო, თუ წინააღმდეგი არ იქნები... — დასძინა ბატონმა დეკუვერომაც.

— არა, არ ვიქნები... ეს-ესაა ჯონ უესკოტს უარი ვუთხარი.

— ჰოო? — თუმცა რომელმა წარმოთქვა ეს თავაწიანი „ჰოო“ — არ ვიცი.

— ერთმანეთს ბედნიერებას ვერ მოვუტანთ-მეთქი.

— მეც სწორედ ამის თქმას ვაპირებდი, — თქვა მამამ და ხელი გადამხვია: — ძვირფასო, ვიცი, ეს ადვილი არ არის, მაგრამ სწორად მოიქეცი. დედა დარწმუნებული იყო, იმ ტიპს ცოლად არ გაჰყვებოდი. — მერე ბატონ დეკუვეროს მიუბრუნდა: — წარმოგიდგენია, ლაილას თითქოს სარკეში ჩაეხედოს.

— ასეა, დენი, ასე. ის ყოველთვის მართალი იყო. — დაუდასტურა ბატონმა დეკუვერომ.

— ჰო, თითქმის ყოველთვის... — თქვა მამამ, რაზედაც ორივემ ისე ჩაიციინა, თითქოს ეს მხოლოდ მათთვის იყო გასაგები. მერე ერთმანეთს ხელი ძველი ბოქსიორებივით ჩამოართვეს.

მამა სკამის ზურგზე გადაწვა.

— კარგი, შენი დარიგების ჯერია.

— პენი ვითამაშოთ... ქულას გაძლევ, — თქვა დეკუვერომ.

წყარო, ვერცხლის სურაში მორაკრაკე

ჩემი დის ხმა ვერცხლის სურაში მორაკრაკე მთის წყაროა. მისი წკრი-
ალი გაგრილებს, ზეცისკენ მიგაფრენს, სხეულის სიმხურვალეს გაშორებს.
ის თოთხმეტისაა, მე თორმეტის. ოპერაში „ტრავიატაზე“ ვართ. სპექტაკ-
ლის დამთავრების შემდეგ მანქანის სადგომიდან განზე გავყავარ, მომის-
მინეო, — მეუბნება, მერე პირს დიდზე ალებს და მისი ყელიდან მკაფიო,
წკრიალა ხმა იღვრება. ოპერის მუდმივი სტუმრები მანქანებთან ირინდე-
ბიან, სულგანაბულები უსმენენ და ბოლოს მქუხარე ოვაციას უმართავენ.

მინდა როზა მუდამ ასეთი მახსოვდეს, ამიტომაც ყველა მის ფსიქო-
თერაპევტს ამ ეპიზოდს ვუყვები, მინდა იმათაც იცოდნენ, როგორი იყო
ჩემი და, და რომ მათ წინ ახლა ნამდვილი როზა არ იდგა. ნაირ-ნაირ
შლაგერამდე, რეკლამათა ნაირ-ნაირ ჰანგებამდე იყო პუჩინი და მოცარ-
ტი, იყო ტკბილხმოვანი საეკლესიო საგალობლები, რომლებშიც ისეთი ძა-
ლა იმალებოდა, იტყოდი, საცაა ჯვარცმიდან იესო ქრისტე გარდმოხდება და
აღტაცებული ტაშს დაუკრავსო. მინდა ყველამ იცოდეს, ვიდრე ის ამ ქო-
ნის გორად იქცეოდა, საავადმყოფოს დერეფნებში ახლა სავარჯიშო შარ-
ვალსა და საორსულო ფარფარა კაბაში გამოწყობილი რომ დაგორავდა,
არამდეილის დაწყებითი სკოლის სანდომიანი გოგო იყო, ლენდმარკის სა-
შუალო სკოლაში კი — ყველაზე ლამაზი... იქნებ იქ სხვა ლამაზი გოგოე-
ბიც იყვნენ, მაგრამ მე მათ ვერ ვამჩნევდი. ჩემი იდეალი როზა გახლდათ,
ჩემი ქერათმიანი მფარველი, ჩემი დამრიგებელი, დედას ცვალებად განწყობათა და „ტამპეკსის“ საიდუმლოებათა შორის ჩემი მეგზური.

პირველად ეს ამბები თხუთმეტი წლისას დაეწყო. შინ ხან დაღონებუ-

ლი ბრუნდებოდა, ხან აცრემლებული, ხანაც თვალებგაბრწყინებული. ბოლოს სახლში თითქმის აღარ შემოდის. იქვე, ჩვენი სახლის უკან, ტყე იწყებოდა. იჯდა იმ ტყეში შებინდებამდე, ვიდრე დედა ეკლიან მანანებში თავს არ წაადგებოდა და შინ არ წამოიყვანდა. ისე იყო გარინდებული, გეგონება, ამ ქვეყანას არ არისო. თეთრი ჯინსი ტალახში ქქონდა ამოსვრილი, ცისფერ სვიტერზე ხმელი ფოთლები აჰკვროდა. ასე ცარილად მამაკვირამ. სამი კვირის შემდეგ კი დედამ, პროფესიით მუსიკოსმა და საერთო აღიარებით სრულიად არამდგრადი ფსიქიკის ქალმა, მამაჩემს, ექიმ ფსიქიატრს, კეთილსა და მუდამ სევდიანი განწყობის კაცს უთხრა:

— მგონი, ჭკუიდან გადადის.

— ეს რა, დიაგნოზია? — მამამ გაზეთი აიღო, მაგრამ მაშინვე დადო და ამოიოხრა, — მაპატიე, უხეშად მომივიდა. მეც ვატყობ, რომ რაღაც ანუხებს. ელაპარაკე?

— რაზე, დევიდ, გესმის, ჭკუიდან გადადის-მეთქი. დედიკოსთან გულითადი საუბარი კი არა, კლინიკაში უნდა მიყვანა.

ერთხანს კიდევ წაიკამათეს, მერე რამდენიმე საათს მამა როზასთან გამოლაპარაკებას ცდილობდა, ის კი იჯდა და მაჯაზე ბუსუსებს ხან ზევით აილოკავდა, ხან ქვევით. დედა დერეფნიდან უთვალთვალებდა ფერწასული და ცრემლებმომშრალი. ბარგი უკვე გაემზადებინა. როცა მამას სამმა კოლეგამ საკონსულტაციოდ ისე, უფასოდ, როგორც მეგობრებმა, შემოგვიარეს, დედა უკვე მანქანაში იჯდა და გვერდით როზას ჩემოდანი ედო. წასვლისას მომეხვია და მითხრა — სალამოს დავბრუნდები, ოღონდ როზას გარეშეო. მერე კი, ის, რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა, ამ სიტყვებით გამიქარწყლა:

— ერთს შუბლზე სიგიჟე აწერია, მეორეს — არა. რომც მოინდომო, შენ ეს საფრთხე წამდვილად არ გელის, — თქვა და ღიმილით თმაზე ხელი გადამისვა.

შემდგომი ათი წელი როზამ დიდსა თუ პატარა კლინიკებში გაატარა. უამრავი საშინელი ფსიქოთერაპევტი მკურნალობდა, თუმცა შიგადაშიგ კარგებიც გამოერეოდნენ. ერთ კლინიკას არც ფანჯრები ჰქონდა, არც სურათები კედლებზე, დერეფნებში კი საავადმყოფოში ხანგრძლივი ყოფნით ფერგამკრთალი პაციენტები დააფლატუნებდნენ. დედა მისალებშიც არ შესულა, მიატრიალა როზა და გასასვლელისაკენ მტკიცედ გასწია. მამამ კოლეგებს მოუბოდიშა და ისიც დედასა და როზას გაჰყვა. ფსიქიატრებს, სოცმუშაკებსა და მედებს დედა ყურადღებას არ აქცევდა, ავადმყოფებისათვის კი, რაზედაც მოხვდებოდა, ჰენდელსა და ბესი სმიტს უკრავდა. ერთ-ერთ კლინიკაში მაღლიერი თუ იმედმიცემული ნათესავების ნაჩუქარი „სტიენვეი“ იდგა, ერთგან კი დედას დაკვრა ძველ, დაჩხაპნილ პიანინოზე უხდებოდა, რომლისთვისაც ასაწყობად ხელი ალბათ მთელი ასი წელია არავის ეხლო. როგორც ჩანს, კლინიკებში დიდი ხანია უკვე დავინწყებოდათ, რა დანიშნულება ჰქონდა ამ მუსიკალურ ინსტრუმენტებს. მამა ადმინისტრატორებსა და გამგეებს დინჯად, პატივისცემით ელაპარაკებოდა, მკურნალ ექიმებთან კი ცდილობდა ძმაკაცურად ყოფილიყო... სამაგიეროდ ოჯახის ფსიქიატრებს ვერც ერთი ვერ ვიტანდით.

ყველაზე უარესი, ვინც იმ წლებში ბედმა გვარგუნა, ჩვენი სახლის ღია მწვანეკედლებიან კაბინეტში იყო წამობრძანებული. თავისი გამჭრიახი თვალით მან მაშინვე შეამჩნია და უმაღლესად დედაჩემის არა-

მინიერი სილამაზე, მისი გახუნებული მაისური, გოგოს ჩასაცმელი ვინრო ჯინსი, მამას დასრესილი პიჯაკი, დალაქული ჰალსტუხი და ჩვიდმეტი წლის გოგოს კვალობაზე ჩემი გამომწვევი იერი. იმ წელს როზა და შოდა ისე შორს იყვნენ ერთმანეთისაგან, როგორც არასდროს. ეცვა უზარმაზარი, განიერზე განიერი შარვალი, ასევე განიერზე განიერი „გამეფლანსო“ კაბა და ნამდვილი პლუშის დათვი გეგონებოდა. ჩვენ განუწყვეტლად ვისხედით, ექიმი უოკერი ავადმყოფობის ისტორიას კითხულობდა, რომ როზამ უცებ გამომწვევი მანჭვა-გრეხა და მკერდის სრესა დაიწყო. ექიმმა შეშფოთებულმა შემოგვხედა. მე და დედას გაგვეცინა. თავი ვერც მამამ შეიკავა და იმასაც გაეღიმა — ჩემი და ხომ მუდამ ასე იწყებდა ახალი ექიმის გაცნობას!

— საინტერესოა, მთელ ოჯახს ასე რატომ უხარია როზას ეს უხამსი საქციელი? — თქვა დოქტორმა უოკერმა.

როზამ ხმამაღლა დააბოყინა და ისევ გაგვეცინა მე და დედას. იმის გამო, რომ ჩვენთან დიდხანს ვერავინ ძლებდა, ეს უკვე ჩვენი მეშვიდე ფსიქოთერაპევტი იყო. სამწუხაროდ, ექიმმა უოკერმა გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა სამივესთვის:

— აი, მაგალითად, შენ, ვაიოლეტ, რას ფიქრობ, მოგწონს შენი დის საქციელი?

გიყვარდეს, ისე იყვნენ ყველანი დაცქვეტილები ასეთ რამეებზე! ეტყობა, სახელმძღვანელოებში ეწერათ, მშობლები თუ სიტყვაძუნწნი არიან, შეეცადეთ დას გამოესაუბროთო.

— არ ვიცი, ალბათ უნდა შეწყვიტოთ მასზე ისე ლაპარაკი, თითქოს აქ ის საერთოდ არ იყოს.

— არც ისე ცუდი ნათქვამია, — შენიშნა დედამ.

მამამ თავი დაუქნია:

— მართლაც, რომ...

— ტრ... ია მაინც ხვდება, — დასძინა როზამ.

— რას იზამ, ვხედავ, ერთსულოვანი ოჯახი ბრძანდებით, — თქვა ექიმმა უოკერმა ყასიდი თანაგრძნობით.

— ეი, ნისკარტა ქრცვინო, რა სისულელეებს როზავ? — როცა გაბრაზდებოდა, როზა გაცილებით უკეთესად აზროვნებდა — ექიმი მართლა ჰგავდა თეთრად გამოქარქატიებულ ქრცვინს. ამაზე ყველას გაგვეცინა, წარმოიდგინეთ, მამასაც კი, რომელიც ამქრის ძმობის ხათრით ცდილობდა კოლეგის საქმეში არასოდეს ჩარეულიყო.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ექიმმა უოკერმა აუდიენცია დამთავრებულად ჩათვალა და წავიდა. მე და დედამ ღიმილით გადავხედეთ ერთმანეთს. როზა, რა თქმა უნდა, რა ჭკუამხიარულიც იყო, ისევ ისეთ ჭკუამხიარულად დარჩა, ჩვენ კი, როგორც იქნა, შვებით ამოვისუნთქეთ.

ის დღე, რა დღესაც როზას ავადმყოფობის მთელი იმ ხნის მანძილზე ყველაზე საუკეთესო ფსიქოთერაპევტი გავიცვანით, თითქმის ასეთივე წარუმატებლად დაიწყო. ჩვენ ისე შევაშინეთ ახალგაზრდა პრაქტიკანტი ქალი, ისე გავაოგნეთ და დავაბნინეთ როზას კურატორი, რომ მან უმაღლესი ექიმი ტორნი გამოგვიგზავნა — ეს იყო ას ოცდაათი ტეხასური კილოგრამი წონის კაცი, სანებელი „ჩილით“ ჩაბუჭებული, სიმინდის კვერებით ამოყორილი და ლუდი „ეული ვარსკვლავით“ გაპიპინებული... ფეხზე შავი,

მაღალყელიანი კოვბოური წაღები ეცვა, იმ ადგილას კი სადაც კისერი უნდა ჰქონოდა, ვინრო დაწნული ჰალსტუხი ეკეთა.

— უჰ, რა დღეა! — თქვა გახარებულმა როზამ და საკუთარი მკერდის სრესა შეწყვიტა, — აი შიზანიც ამას ჰქვია! პირდაპირ შიზან-გიგანტია!

— სალამი შიზან-ნამცეცავ!

ეჩინეწული
შიზანიცეცა

წარმოიდგინეთ, რამხელა და რამსიმალლე უნდა ყოფილიყო კაცი. რომ ჩემი და ნამცეცავდ მოსჩვენებოდა. ტორნმა უმაღ ჩვენც მოგვანათლა: — ეს კეთილი ექიმი აიბო-შიზია, ეს მაღამ კაჟ-შიზი (აბა სცადე და გატეხე, თუ კაცი ხარ!), ის კომბინიზონიანი გოგო კი, რომლის ქვეშ ჯერაც არაფერი ამჩნევია, არშიზო-კოკორია, ყველას რომ ხელიდან დაუსხლტებო.

მოკლედ, ჩემი მარტოობაც შეამჩნია და ჭკუიდან არგადაცდენის უნარიც, ხელდახელ ჩასწვდა თვითეული ჩვენთაგანის არსს. მე, დედა და მამა მაშინვე დავმშვიდდით.

ექიმმა ტორნიმ გაგვიმართლა. მალე როზა სარეაბილიტაციო ცენტრში გადაიყვანეს. ამ ცენტრის უფროს ქალბატონს მიზანი ისე უყვარდა, როზას ყოველგვარ უსაქციელობას იტანდა, იმასაც კი, რომ ჩემი და მზადყოფნა ყველა შემხვედრს მიტმასნებოდა, ოღონდაც ის ხმები ჩაეხშო, ასე რომ ანამებდა და სულს ხდიდა.

შიზანმა როზას მტკიცედ განუცხადა:

— არა, ჩემო კარგო, არ შემიძლია, ამქვეყნად ყველა მშვენიერ ქალთან ვერ დავწვები. რაც მთავარია, არ შემიძლია შენი ექიმიც ვიყო და მიყვარდე კიდევაც. მაპატიე, იმედი მაქვს, ვინმე კარგ ბიჭს მოძებნი, ვინც ნაზი და კეთილი იქნება შენს მიმართ. ხომ იცი, როგორი ვიქნებოდი, ბედს რომ გაელიმა და შენი მეგობარი გავმხდარიყავი... სხვა რა გზაა, სხვა უნდა მოძებნო ჩემისთანა.

და როზამაც თავი ანება ნარკომანების, ლოთებისა და სხვა ათასი ჯურის შერეკილის ლოგინში შეთრევას. ექიმი ტორნი ჩვენ ყველამ ძალიან შევიყვარეთ.

მამა ისევ შეუდგა მდიდარი ნევრასტენიკების მკურნალობას, თან კვირაში ერთხელ ექიმი ტორნის კლინიკაში უფასო კონსულტაციებს ატარებდა. დედამ მოცარტის კონცერტების ფირფიტა ჩაწერა და როზას საავადმყოფოში რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტი გამართა. მე კოლეჯში დავბრუნდი, სადაც ერთ ჩინებულ ყმანვილს, ტეხასელ ბეისბოლისტს შევხვდი... როზა წამალს ახლა უკვე რეგულარულად სვამდა, ორმოცდაათი კილოგრამი დაიკლო და თავშესაფართან ახლოს მდებარე მახარობლის ეკლესიაში გალობაც კი დაიწყო.

თავიდან კულტის მსახურებმა არ იცოდნენ, რა ექნათ ამ გორასავით უშველებელი, სასაცილოდ ჩაცმული ქერა გოგოსათვის, რომელიც რეპეტიციის დროს ეკლესიის კარის ზღურბლზე იდგა და ოცნებაში წასული ირწეოდა, მაგრამ საკმარისი იყო „უფალო ყოვლისშემძლეს“ სულ რამდენიმე ტაქტი ემღერა, რათა დირიჟორი უმაღ მიმხვდარიყო, რომ ამ გოგოს განუმეორებელი ხმა ჰქონდა! და რომ ამ ღვთის გლახა როზუნისკოს წყალობით მისი გუნდი, „გუნდი იმედისა და სასოებისა“ უსათუოდ გავიდოდა ოლიმპიადის ფინალში.

შოკოლადისფერი, ღია თუ მუქი ყავისფერი სახეების ზღვაში თეთრად

ანათებდა როზას ყველაზე დიდი, ქერა კულულების ჩარჩოში ჩასმული ქათქათა თეთრი სახე. ასე გეგონებოდა, ერთი კი არა, ერთმანეთს შერწყმული ორი თეთრი ქალი იდგა. მისი ვერცხლივით წკრიალა სოპრანო ადი რობიშოს ოქროს მსუყე კონტრალტოს აბრეშუმით წმინდა და ფოლადით მტკიცე მაქმანად ეწვინოდა. ჩვენ თვალებიდან ცრემლები გვდიოდა, დიდებულ, მუქ წითელ კაბებში გამოწყობილი როზა დაუბრუნებლად ერთმანეთს გადახვეულები, აქეთ-იქით ირწეოდნენ და თავის ანგელოზურ ხმებს ზეცაში ღმერთთან აგზავნიდნენ. როცა მათი ხმები ზევით, ჰაერში მიიღეოდა, ღიმილით გადმოგვცქეროდნენ მგალობელთა ქანდარიდან.

მიუხედავად ამისა, დრო და დრო როზა ისევ აურევდა ხოლმე. შინაგანი ხმები სულს უწუნავდა და ათასგვარ სისულელეს ადენინებდა, თუმცა ექიმი ტორნი, ადი ან დედა მის ამ შეტევებს, როგორც წესი, ყოველთვის ადვილად ერეოდნენ. ასე გაიარა ხუთმა კარგმა წელმა, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ შიზანი გარდაიცვალა — ბლომა ცხარე სანებელმოსხმული მორიგი სარდელი ვერ გადაყლაპა, შუა ივლისის გაგანია სიცხისაგან ჩახუთულ უკონდენციონერო კაბინეტში სული ვერ მოითქვა, ტეხასურად ძლიერი სისხლის ჩაქცევა დაემართა და გარდაიცვალა.

როზა ერთი კვირა თავს იკავებდა — წამალს ბეჯითად სვამდა და გუნდშიც ისევ მღეროდა. დღეში ათჯერ მაინც გადაალაგებდა და გადმოალაგებდა ნივთებს თავის ოთახში. დასაფლავების დღეს სულით ავადმყოფები ისე მიისწრაფოდნენ ექიმი ტორნის დაკრძალვაზე, როგორც მორწმუნენი წმინდა ადგილებისაკენ. შიზოიდებს, მძიმე ნევრასტენიკებს თუ, უბრალოდ, „ამქვეყნიურ ცხოვრებას ვერ შეგუებულთ“ — ყველას დაკრძალვაზე დასწრება და ექიმ ტორნთან გამომშვიდობება სურდა. ძლიერი ფსიქოტროპული პრეპარატებით გაჭყიპულები ეკლესიაში ლამის სკამებიდან ცვიოდნენ. ხელიხელჩაკიდებული გიჟები ხან ტიროდნენ ხანაც თავის თავს ელაპარაკებოდნენ, ნახევრად შეშლილ-შერეკილები კი ბრმა ლეკვებივით ერთმანეთს აწყდებოდნენ.

მალე როზამ წამლის სმას თავი დაანება. ერთხელაც კიბიდან ვილაც შეშლილი დააგორა, რის შემდეგაც თავშესაფარში მის დატოვებაზე უარი განაცხადეს. მამამ სადაზღვევო კომპანიას დაურეკა და გაარკვია, რომ ახლა, გახანგრძლივებულ ფსიქიატრიულ დაზღვევაზე გადასვლის იმედი ორმოცდახუთ დღეზე ადრე არ უნდა ჰქონოდა. რა უნდა გვექნა, როზას ნივთები ცელოფანის სანაგვე პარკში ჩავყარეთ და შინ წასასვლელად მოვემზადეთ. კართან ტახტზე დორბლიანი იდიოტი ბიჭი გორაობდა. გამოსვლისას ჩემმა დამ გამომშვიდობების ნიშნად თვალი ჩაუკრა.

როგორც კი როზამ თავის ოცდაათივე პლუშის დათუნია თავ-თავის ადგილას ჩამოსვა, მამამ საოჯახო თათბირი დაიწყო:

— მძიმე გამოცდა გველის... ეს მთელი ოჯახის გამოცდა იქნება. მე მგონი, უნდა მოვიფიქროთ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, როგორ გავატაროთ ეს ორმოცდახუთი დღე. მე, მაგალითად, ვშიშობ, რომ...

— არავითარი აბები!.. — განაცხადა როზამ, იატაკს ჩააჩერდა და მოკლე, გატიკნული თითებით, იმ თითებით, ოდესღაც თმას რომ მიწნავდა და ლოყებზე ტიტებს მიხატავდა, თავისი ჩაფართხუნებული კაბის გაზინთხულ ქობას ძიძგნა დაუწყო. მამამ დედას სასონარკვეთილმა გადახედა.

— როზა, გინდა ახალი მანქანა გყავდეს? — ჰკითხა დედამ.

ასე გაგრძელება შეუძლებელია. წინ კიდევ ოცდაშვიდი დღეა. როზას მთელი ღამეები არ სძინავს, დედას — მით უმეტეს. გეფიცები, ოცდაშვიდი ათასს სიამოვნებით გადავიხდიდი, ოღონდაც კლინიკაში დაზღვევის გარეშე დაეტოვებინათ!

— თუ ასეა, გადაიხადე და გააგზავნე ჰარტლ-რიზში. ჩინებული ადგილია, როზას იქ ძალიან მოსწონდა ხელოვნების გაკვეთილები.

— როგორ არ გავაგზავნიდი, მაგრამ ეს შეუძლებელია, სადაზღვევო პოლისი მოქმედების დაწყებამდე უსიმპტომო თვენახევარს მოითხოვს. მოკლედ, არავითარი ჰოსპიტალიზაცია.

— ღმერთო ჩემო, მამა! თვენახევარი კი არა, როზა საათნახევარიც არ არის უსიმპტომოდ! სად იყო, სად მოძებნე ასეთი დაზღვევა?

— ეს ერთადერთი ხანგრძლივი დაზღვევაა ქრონიკულებისათვის. — მამამ პირზე ხელი ისე აიფარა, თითქოს ეშინია, რამე ზედმეტი არ წამომცდესო და ისევ ბალში გავიდა. შეიძლება ატირდა კიდევაც.

ვიდრე დედა და როზა დაბრუნდებოდნენ, მამა ბალში მუშაობდა, მე — შინ ვიცდიდი. როზა თავით ფეხამდე გალუმბული მოვიდა, შარვალი მუხლებამდე ჰქონდა აკეცილი. იგი დიდი ხვენჩითა და მუდარით ძლივს დაითანხმეს რათა ტყიდან წამოღებული უამრავი ნიჟარა და წყლის მცენარე უკანა პარმალზე დაეტოვებინა. დედამ მაკოცა და მერე როზას მიუბრუნდა, სთხოვა, შარვალი გამოეცვალა.

როზას თვალები ღამის გადმოსცვივდა:

— არა და არა!.. არა და არა!.. — ამ სიტყვებით მუხლებზე დაეცა და სამზარეულოს იატაკზე თავის რტყმევას მოჰყვა. დედამ სასწრაფოდ წელზე ხელები მოხვია, შეეცადა შეეკავებინა, მაგრამ როზამ ხელი ისე ღონივრად გაჰკრა, დედა უკან-უკან ნაბარბაცდა და მთელი ძალით მიასკდა მაცივარს.

— ვაიოლეტ, მიხედე, რაღაც მოუხერხე.

თვალის დახამხამებაში იატაკზე იმ ადგილას გავწეე, სადაც როზა საკუთარი თავის გაჭეჭყვას ცდილობდა. და აი ჩემი მუცლიდან ზუსტად ნახევარ სანტიმეტრზე როზა შეჩერდა:

— ოი, ვაიკა, დედიკო, მაპატიეთ! ოღონდაც არ გამინყრეთ!.. — იგი იატაკიდან ძლივს წამოდგა, ღმუილ-ღმუილით თავისი ოთახისაკენ გაიქცა.

დედამ სახეზე წყალი შეისხა და პირი ჭურჭლის ტილოთი შეიმშრალა. როზას ღმუილზე მამაც შემოვარდა, თან გზადაგზა რეზინის ტალახიან ჩექმებს იხდიდა.

— მოდი აბა დაგხედო! — დედას თავი ფრთხილად მოუტრიალა და ფერმკრთალ სახეზე დაჟეჟილი ადგილები მოუსინჯა, — რა მოხდა, რა დაგემართა?

დედა ჯიქურ შემომაჩერდა.

— ვაიოლეტ, რა მოხდა-მეთქი? — გაიმეორა მამამ, — როზა სადაა?

— რაღაცაზე გაბრაზდა, ზევით რომ მირბოდა, შემთხვევით დედას დაეჯახა.

ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ სამჯერ ვიცრუე, ეს მეორე იყო.

— დედას დაეჯახა? ახლა ალბათ ძალიან წუხს, ალბათ რცხვენია. მის წინ, რა თქმა უნდა, შენ აღმოჩნდებოდი, ძვირფასო! თუმცა დარწმუნებული ვარ, არ უნდოდა, შემთხვევით მოუხდა. — მამამ დედას ჩაი დაუსხა. მისმა სიტბომ და სიყვარულმა, მთელი სიცოცხლე რომ ებრძოდა სიბრა-

ზის მოულოდნელ აფეთქებებსა და ხანგამოშვებულ გაბუტვა-გაუცხოებებს, ფინჯანი აავსო და დედას გრძელი, ნატიფი თითები გაუთბო. დედა წამოწვა, თავი მამას მუხლებზე დაუდო. მე თვალი მოვარიდე.

— მოდი ჯერ მაგიდა გავანყოთ, როზას მერე დავუძახოთ, — თქვა დედამ. — ანდა არა, ჯობია შენ დაუძახო, დევიდ, უკეთესი იქნება უკრველს შენ თუ დაგინახავს.

სადილმა მღელვარედ ჩაიარა. როზა გულით და სულით ცდილობდა, თავს მორეოდა და სულ მულტფილმების პოპულარულ სიმღერას ღიღინებდა. საჭმელს თითქმის არ მიჰკარებია, მაგრამ კაბაზე წვენი გადაისხა და ატირდა. მამამ დედას გადახედა, როზას თავის ხელსაწმენდი მიანოდა და ისიც თავისი ფარფარა კაბის წმენდას დიდი მონდომებით შეუდგა. უკვე აღარ ტიროდა.

— ჩემს საწოლში წოლა მინდა, მინდა დავიძინო, მინდა სახლში ვიყო, მინდა შენთან ვიყო, წითლად მოკაზმულმა ბაღში ვისეირნო, ხელში ბაღლი მეჭიროს, ნანას ვუმღეროდე... წითლებში ნუ დადიხარ, სიყვარულსაც ნუ მთხოვ, იმიტომ რომ მეძინება, ჩემს საწოლში წოლა მინდა...

— კარგი, როზა, კმარა. ზევით აგიყვან და შენს საწოლში დაგანვენ. მერე დედაც მოვა და თავის გოგონას მშვიდობიან ღამეს უსურვებს. გეყოფა, როზა, დამშვიდდი.

როზა მამას განვდილ ხელს ჩაებლაუჭა. მამამ წელზე ხელი მოხვია და ორივენი ოთახიდან გავიდნენ.

დედამ სახეზე ხელები აიფარა, წუთით გაყუჩდა და მერე სუფრის ალაგება დაიწყო, თან შუბერტის „Schlummerlied“-ს ღიღინებდა. ამ სიმღერას ბავშვობაში იგი ყოველ საღამოს გვიმღეროდა.

მამამ სამზარეულოში შემოიხედა, დედას ანიშნა, დროა ავიდეთო, და ზევით წაიყვანა. მალე ორივენი უკან მობრუნდნენ.

— როზას სძინავს... — თქვა მამამ.

მერე ყველანი ვერანდაზე გავედით. ვისხედით და ჭრიჭინობლების სიმღერას ვუსმენდით. სხვა რა იყო იმ საღამოს, არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ჰაერში გაღვრილი ჩუმი სევდა და ჩემი მეხსიერებისათვის იშვიათი სურათი — დედა და მამა ხელიხელჩაკიდებულები ისხდნენ და მზის ჩასვლას გასცქეროდნენ.

შუალამის სამ საათზე თხელი საბნის ქვეშ შემცივდა და გამელვიძა. საბნის ძებნისას რატომღაც როზას ოთახშიც შევიხედე, მაგრამ როზა ოთახში არ დამიხვდა. სვიტრი და ჯინსი ჩავიცვი და ძირს ჩავედი. შინაგანად ვგრძნობდი, რომ არც აქ იქნებოდა... მერე პარმალზე გავედი — ცვრიან ბალახზე, ტყისაკენ, როზას ფართო ნაკვალევი ჯაჭვივით გაჭიმულიყო.

მშობლები არ გავალვიძო, ან თვითონ ის არ შევაშინო-მეთქი, წყნარად დავუძახე:

— როზა, მე ვარ, სადა ხარ?

უცებ კინალამ ზედ წავანყდი — თეთრს, უზარმაზარს — მთვარის შუქს გაეუფერულებინა მისი ფარფარა ბალახონი, შარვალი გალუმპოდა, თავი უკან გადაეგდო, თეთრი, ქათქათა ყელი ანტიკურ სვეტს მიუგავდა.

— როზა!

წელა, ოდნავ სუნთქავდა. უცებ ქუთუთოები შეარხია და წყნარად წაიჩურჩულა:

— კონცერტი დამთავრებულია... — ჰო, მგონი, ზუსტად ეს თქვა.

გვერდით მივუჯექი. უღონოდ გადაგდებულ ხელში წამლის შუშა ეჭირა, შიგ მხოლოდ ორიოდ თეთრი აბი იყო ჩარჩენილი. ვიჯექი/და ვუყურებდი, როგორ ქრებოდნენ ვარსკვლავები.

როცა ყველა ვარსკვლავი ჩაქრა, როცა მზემ ცის კაბადონი შეავარდისფრა, შინ დავბრუნდი. დედას მხრებზე საბანი წამოესხა და პარმალზე გველოდა. ვაითუ დედამ გამარტყას? ვაითუ მომკლას? მე ხომ მისი საყვარელი ასული სიკვდილს მივანებე, ხელი არ შევეშალე? მივდიოდი და ფეხი უკან მრჩებოდა.

— ჩემი ვაჟკაცი გოგოები... — თქვა დედამ და ნატიფი, ძლიერი ხელეები შემომაჭდო, — მართლაც რომ ვაჟკაცი გოგოები გავზარდე, მებრძოლი დედოფლები... — მერე მაგრად მაკოცა და ტყისაკენ მარტო წავიდა.

მოგვიანებით დედამ მამაც გააღვიძა, მაგრამ მამამ ტყეში წასვლა ვერ შეძლო. მერე დედამ პოლიციასა და დაკრძალვის ბიუროში დარეკა, ყურმილი დადო, დანვა და დაკრძალვის დღემდე არ ამდგარა. ორივეს — მეც და დედასაც მამა გვაჭმევდა, მამამ დაურეკა ყველას, ვინც საჭირო იყო კუბოც მამამ შეარჩია.

დედა უკრავდა, ადის ხმა ოქროს ჩუქურთმას წნავდა. თვალეები დავხუჭე და თვალწინ ისევ ჩემი და დამიდგა — თორმეტი წლისაა, თავგადახრილს გრუზა ქერა კულულები უკან გადაჰყრია, დგას ოპერის მახლობლად მანქანების გაჩერებაზე, ფარების ყოველ გამოშუქებაზე თვალეები ეჭუტება და რაკრაკით იღვრება მთის წყარო ვერცხლის სურაში, გულებს სიამით გვივსებს, და სულ ზევითა და ზევით, ცისაკენ მიგვაფრენს.



ფრანს კაფკას სხოვრების
უკანასკნელი წლები



გერმანულიდან

თარგმნა მაია მირიანაშვილმა

„აქ, ჩემ ირგვლივ, არავინაა ისეთი, ჩემი რომ ესმოდეს. გყავდეს ერთი ადამიანი, ვისაც ესმის შენი, თუნდაც ცოლი, ეს უკვე ნიშნავს, რომ ყოველი მხრიდან საყრდენი გაქვს, ღმერთი გყავს“, — წერდა კაფკა 1915 წელს თავის დღიურში. ამგვარი ბედნიერება მან ცხოვრების უკანასკნელ წლებში თითქოს იგემა კიდევც, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, მისი ცხოვრების დასასრული უფრო პოზიტიური და სიცოცხლით იყო აღსავსე, ვიდრე მთელი მისი ცხოვრება მანამდე.

1923 წლის ზაფხულში ფრანცი თავის დასთან და დისშვილებთან ერთად იმყოფებოდა ბალტიის ზღვისპირა ქალაქ მიურიცში. აქ მან აღმოაჩინა საზაფხულო ბანაკი, ბერლინელ ებრაელთა სახალხო თავშესაფარი, რომელიც დოქტორმა ლეემანმა დააარსა. სწორედ ამ სახლის სამზარეულოში შეამჩნია მან გოგონა, რომელიც თევზს ასუფთავებდა. „ასეთი ნაზი ხელები და ამგვარი სისხლიანი სამუშაო?!“ — შესძახა კაფკამ. გოგონას ისე შერცხვა, რომ დაბნეულობისაგან რა ელონა, არ იცოდა.

ეს იყო კაფკას პირველი შეხვედრა დორა დიმანტთან, თავისი ცხოვრების მომავალ თანამგზავრთან. დორა დიმანტი მაშინ ცხრამეტი თუ ოცი წლისა იქნებოდა. წარმოშობით წარჩინებულ, აღმოსავლელ ებრაელთა ხასიდური ოჯახიდან გახლდათ. მამისადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად, დორამ ვერ შესძლო თავისი ოჯახის ტრადიციების შეზღუდულობის ატანა და იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო ოჯახიდან ჯერ ბრიუსელში, მერე ბერლინში, ბოლოს კი მიურიცში, სახალხო სახლის წარმომადგენლად. ის იყო შესანიშნავი, გამორჩეული ებრაელი ქალი. იმ დროისათვის კაფკა განსაკუთრებული მონდომებით ეწაფებოდა ებრაული ენის შესწავლას. მის ხელნაწერებში არაერთი ფურცელი მოინახა ებრაული ენის სავარჯიშოებით. დორასა და კაფკას შორის პირველი დიალოგიც იმით დამთავრდა, რომ დორამ კაფკას ძველ ებრაულზე წაუკითხა ერთი თავი იესაიადან, ფრანცს არ გამოპარვია ქალის მსახიობური ნიჭი და სწორედ მისი რჩევით და უშუალო ხელმძღვანელობით შეისწავლა დორამ ეს ხელოვნება.

აქ გატარებულმა ზაფხულის მშვენიერმა დღეებმა კაფკას უდიდესი ძალა და გამბედაობა დაუბრუნა; გადაწყვიტა ბერლინში დაბრუნებულიყო და დორასთან ერთად ეცხოვრა იქ. ამჟამად მას ისე მტკიცედ ჰქონდა ეს გადაწყვეტილი, რომ უცილობლად შეასრულებდა კიდევც. 1923 წლის

ივლისის ბოლოს მან დატოვა პრაღა, ამასთან, ოჯახურ წინააღმდეგობებსაც გაართვა თავი. ბერლინიდან მოწერილი პირველივე წერილიდან ვიგრძენი, რა ბედნიერად გრძნობდა თავს: „ღამითაც კი მშვენიერად მიძინავს“, — მწერდა იგი. ის ჯერ შტეგლიტცის გარეუბანში ცხოვრობდა. სწორედ აქ შექმნა მან შედარებით მხიარული მოთხრობა „ერთი ჰატარა ქალი“, რომელიც, რა თქმა უნდა, ეძღვნებოდა იმ ქალს, ვინც მათ სახლი მიაქირავა და ვისთანაც კაფკას გამუდმებული გაუგებრობა ჰქონდა. ეს ქალი არ სწყალობდა არც ფრანცს და არც დორას. ექვსი კვირის შემდეგ ისინი გადავიდნენ გრუნენვალდის ქუჩაზე № 13“-ში, ქალბატონ რეტჰერგის ვილაში, რომლის სიმშვენიერითაც ფრანცი აღფრთოვანებული იყო. ისინი მხოლოდ და მხოლოდ ორ ძალზედ მოკრძალებულ ოთახში ცხოვრობდნენ. ამ სახლში მე იგი რამდენჯერმე მოვინახულე, ალბათ სულ სამჯერ. აქ მე იდგინა აღმოვაჩინე; როგორც იქნა, ჩემს მეგობარს კარგ გუნებაზე მყოფს ვხედავდი, თუმცა მისი ჯანმრთელობა უკვე გაუარესებული იყო. ფრანცი ლაპარაკობდა დემონებზე, რომელთაგანაც იგი, როგორც იქნა, განთავისუფლდა: „მე მათ ხელიდან დავუსხლტი. პრაღიდან წამოსვლას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ახლა იქნებ ისინი მეძებენ კიდევ, მაგრამ ვერ მპოულობენ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით“. როგორც იქნა, კაფკამ შექმნა დამოუკიდებელი კერა, იდეალი. იგი ახლა უკვე ოჯახის შვილი კი არა, ასე ვთქვათ, ოჯახის მამა გახლდათ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ კაფკა პარადოქსისაკენ, პრინციპულად განუხორციელებელი იდეალისაკენ კი არ ისწრაფვოდა, როგორც კიერკეგაარდი „კრიზისის თეოლოგიით“, არამედ მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, რომ ფრანცს ჭეშმარიტი და აზრით აღსავსე ცხოვრება სურდა. იგი დაახლოებით მარტინ ბუბერის ხაზზე იდგა და კიერკეგაარდის საპირისპიროდ სიმარტოვესა და ცოლქმრულ კავშირზე აი რას ამბობდა: „ქორწინება არის ეგზემპლარული, განსაკუთრებული კავშირი, ეს კავშირი, როგორც სხვა არაფერი, ძალზე გვაახლოვებს ერთმანეთთან და მხოლოდ და მხოლოდ ამ კავშირს შეუძლია გვაზიაროს ჭეშმარიტი ღვთის შვილად თავისუფლებას“... ამ მხრივ კაფკა მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, მიუხედავად საშინელი ავადმყოფობისა, რომელიც მას ცხოვრებას უმოკლებდა, სწორ გზაზე იდგა და თავისი ცხოვრების ჭეშმარიტ თანამგზავრთან ერთად ბედნიერად გრძნობდა თავს. ის თითქოს უფრო მეტი ხალისითაც მუშაობდა. სწორედ ამ ძირეულმა ცვლილებამ, მისმა ცხოვრებისაკენ შემობრუნებამ გამაბედვინა და მომცა ძალა დამერღვია პირობა და უარი მეთქვა ფრანცის მიერ ჩემდამი დიდი ხნის წინ გამოგზავნილ წერილობით თხოვნაზე, რის თანახმადაც მეკრძალებოდა მისი წაწერების გამოქვეყნება.

მხოლოდ მე არ მომჩვენებია მაშინ ფრანცი შეცვლილი და ახალ ადამიანად გარდაქმნილი. მისი ბოლო წერილებიდანაც აშკარად ჩანს შესანიშნავი გუნება-განწყობილება, სილალე და ბოლოს და ბოლოს მოპოვებული სიმტკიცე. ეს გარდაქმნა დისადმი მიწერილი წერილის ამ ნაწყვეტიდანაც იგრძნობა: „საყვარელო ფალი, მაგიდა ბუხართან დგას, მე კი ბუხრისკენ ზურგშექცეული ვზივარ, რადგან შესანიშნავად მითბობს ამ მუდამ ცივ ზურგსაც კი. ჩემი ნავთის ლამპაც არაჩვეულებრივად ანათებს. ეს ლამპა ხომ ნამდვილი შედევრია როგორც ნაკეთობის, ასევე ყიდვის თვალსაზრისითაც. იგი ცალ-ცალკე შეგროვილი და ნაყიდი ნაწილებისგანაა შეკონსტრუირებული. (რალა თქმა უნდა, არა ჩემს მიერ; აბა, ამას მე როგორ გავაკე-

თებდი) ერთი სიტყვით, ამ ლამპასთან ვზივარ და ვკითხულობ შენს უკვე ძველ, მაგრამ საყვარელ წერილს.

საათი წიკნიკებს, შენ წარმოიდგინე, ამასაც შევეჩვიე, მხოლოდ იშვიათად ვაქცივ ყურადღებას. (ადრეულ წერილებში კი აშკარად ჩანს, რომ კაფკას მეტიმეტად აღიზიანებდა საათის წიკნიკი, იგი ყოველწუთად ცდილობდა საათი მისი ოთახიდან კარგა მოშორებით ყოფილიყო.) ახლა საათს ჩემთან გარკვეულწილად პირადული დამოკიდებულება აქვს. არადა, სულ ახლახანს არ იყო, საათს და ამგვარ ნივთებს, ზურგი რომ ვაქციე? უფრო სწორად, მათ მაქციეს ზურგი, თუმცა კარგი გაგებით. ამის გადმოცემა ძნელია. კალენდარიც განმიდგა თითქოს, სულ ჩაიკეტა თავის თავში და მხოლოდ მაშინლა მახსენებს თავს, როცა მისი რჩევა მესაჭიროება...

ყველაფერი რომ მოგწერო, რასაც აქ ვსაქმიანობ და რითაც ვარ დაკავებული, ვერასოდეს დავასრულებ ამ წერილს. თითქოს აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვიყო ჩაფლული, სინამდვილეში კი ჩემს გარშემო საოცარი სიმშვიდეა, სხვათა შორის არასოდეს რომ არ ყოფილა, ისეთი სიმშვიდეა“...

ფრანცი მეტიმეტად განიცდიდა იმდროინდელ ამბებს. „1923 წლის ზამთარში დაწყებული ინფლაცია ბოლოს მოუღებს ფრანცს, ეს მასზე მომაკვდინებლად იმოქმედებს. ამ მშვიდი გარეუბნიდან გასვლა როცა უნევს, მუდამ განადგურებული ბრუნდება, თითქოს ხელჩართული ბრძოლა გადაიტანაო, — მწერდა დორა. — ლარიბთა გაჭირვება გულთან მი-აქვს, მთლად განაცისფრებული ბრუნდება. მაგრამ მთავარი მხოლოდ ეს თანაგრძნობა როდია, თავადაც ძალიან უჭირს. ჯიუტად ცდილობს მხოლოდ თავის პატარა პენსიით გავიდეს იოლას. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ისიც საოცრად დათრგუნვილი იღებს თავისი ოჯახისგან ფულს ან რაიმე სხვა დახმარებას. ამ ბოლო ხანს რაღაც მცირეოდენი ფული იშროვა და ფიქრობს ოჯახს ვალი გაუსტუმროს ან რაიმე ძვირფასი საჩუქრები გაუკეთოს ოჯახის წევრებს დაბადების დღისთვის. იგი ყველანაირად ცდილობს დაფაროს სინამდვილე“.

თუ ვინმე ფრანცის სანახავად მიდიოდა, თავის საზრუნავზე იშვიათად, ისიც ხუმრობით თუ დასცდებოდა რაიმე. ერთხელ ასევე ხუმრობით თქვა: მე და დორა ერთ დაფახფახებულ შენობას ვიქირავებთ, დორა მზარეულად იმუშავებს (დორა შესანიშნავი მზარეული იყო), მე კი ოფიციალტად და ასე გავალთ იოლასო.

დორამ გამიმხილა, ბერლინში ცხოვრებისას ფრანცმა თავისი ხელნაწერები დამანვევინაო. ფრანცმა უბრძანა და მანაც ხელეპაკანკალებულმა აღასრულა ეს ბრძანება. მოგვიანებით კი ნანობდა, იტანჯებოდა, თუმცა იმასაც ამბობდა, ამავე სიტუაციაში ალბათ დღესაც დავემორჩილებოდი კაფკას თხოვნასო. დორასთან დარჩენილი ხელნაწერების კონფისკაცია კი გესტაპომ მოახდინა 1933 წელს და საჯაროდ გაანადგურა. მე პროექტ კამილ ჰოფმანს ვთხოვე — იგი მაშინ ჯერ დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საელჩოს ატაშედ იყო გამოგზავნილი ბერლინში — ჩარეულიყო ამ საქმეში და გერმანიის მთავრობისთვის გამოეთხოვა ეს ხელნაწერები, მაგრამ ამაოდ გაისარჯა, არაფერი გამოუვიდა. მოგვიანებით თავად გახდა მსხვერპლი ნაციზმის დევნისა.

მიუხედავად თავისი სულიერი განონასწორებულობისა, რომელსაც ბოლომდე ინარჩუნებდა, ფრანცის ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო

უარესდებოდა. მე განგაში ავტეხე და 1924 წლის 14 მარტს ბერლინში ჩავედი, ჩვიდმეტში კი ფრანცი პრალაში ჩამოვიყვანე. დორამ და დოქტორ კლოპშტოკმა იგი სადგურამდე მიაცილეს. რამოდენიმე დღის შემდეგ დორაც ჩამოვიდა.

იმჟამად ფრანცი კვლავ მშობლებთან ცხოვრობდა, ისინი დიდადაც ზრუნავდნენ მასზე, მაგრამ ფრანცის აზრით, ეს იყო კარანი მისი დამოუკიდებლობისა. მას სურდა ყოველდღე მომენახულებინა, თუმცა გადაჭრით არასოდეს მოუთხოვია, გინდა თუ არა მნახეო. იგი დიდი გაგებით ეკიდებოდა ჩემს მოუცლელობას. ყოველი შეხვედრისას ისე მელაპარაკებოდა, თითქოს გრძნობდა, ერთმანეთის ნახვა აღარ მოგვიწევდა კარგა ხანს. „ხვალაც ამ დროს მოდი“, — მეუბნებოდა იგი წამოსვლისას, გარკვეულ წილად მკაცრადაც კი. იგი დღითიდღე სუსტდებოდა, გადანყდა, სანატორიუმში უნდა გადაგვეყვანა.

„ყველა საშინელებას გადააჭარბა იმ ამბავმა, ათ აპრილს რომ მოხდა, — წერია ჩემს დღიურში, — კაფკა სანატორიუმიდან უკან გამოაგზავნეს. სანატორიუმს ავადმყოფთა გადასაყვანად ღია მანქანები ემსახურებოდა. იმ დღეს, საუბედუროდ, წვიმდა და ქარიც ქროდა. და მთელი ამ მგზავრობის განმავლობაში დორა მთელი ტანით წამომართული, ყველანაირად ცდილობდა ზედ გადაფარებოდა კაფკას“.

რობერტ კლოპშტოკმაც კვლავაც დიდი სიყვარული და ერთგულება გამოიჩინა კაფკასადმი. ბერლინში შეწყვიტა კვლევითი სამუშაოები (ამ გამოკვლევებმა მოგვიანებით მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღეს ფილტვების თერაპიის სფეროში) და იმ დღიდან ფრანცს არ მოშორებია სიკვდილამდე. ეს ორი ადამიანი, დორა და დოქტორი კლოპშტოკი თავიანთ თავს ხუმრობით ფრანცის „პატარა ოჯახს“ უწოდებდნენ. ეს იყო საოცარი გულითადი თანაცხოვრება სიკვდილის გვერდით. ფრანცმა თავადაც იცოდა თავისი მძიმე ავადმყოფობის შესახებ, მაგრამ ვამჩნევდით, იმედს მაინც არ კარგავდა, თითქოს უშუალო საფრთხეს არ აცნობიერებდა, ვენის კლინიკაში პროფესორი ჰაიეკი მას კარგად არ ეპყრობოდა. ამაო იყო ყველა ძალისხმევა და გაფრთხილება. თხოვნითაც მივმართეთ, კაფკასათვის ერთ-საწოლიანი ოთახი გამოეყო, რადგან ფრანცს ერთი-ორჯერ მომაკვდავის გვერდით მოუწია წოლა; ერთხელ საოცრად აღელვებულმა მომიყვა მღვდლის უდიდეს მოთმინებაზე, რომელიც მომაკვდავს სულის ამოსვლამდე თანაგრძნობითა და სათნოებით შესცქეროდა, როცა ექიმები კარგა ხნის გაქცეულები იყვნენ უკვე იმ ოთახიდან, ვენაში გავლენიან პირებს მივმართე წერილობით, ვერფელი თავგამოდებით გამოექომაგა ფრანცს, მაგრამ უგულო და უხეშმა პროფესორმა ასევე თავგამოდებით აგვიხსნა: კაფკაც ისეთივე პაციენტია, როგორც ამ სანატორიუმში მყოფი სხვა პაციენტები და განსაკუთრებულს მის პიროვნებაში ვერაფერს ვხედავო. შემდეგ კი თავის ეს მოსაზრება შემდეგნაირად დააგვირგვინა: „ვილაც ვერფელი მწერს, რომ ვილაც კაფკასთვის რაღაც ვიღონო. ვინ არის კაფკა ვიცი, ეს არის პაციენტი № 12-იდან, მაგრამ ვერფელი ვილაა, არ ვიცი“...

დორამ და კლოპშტოკმა, როგორც იქნა, მიაღწიეს იმას, რომ აპრილის ბოლოს კაფკა უფრო კარგ გარემოში, კლოსტერნოიბურგთან, კიირლინგის სანატორიუმში გადაეყვანათ. ჩემდამი მოწერილ ერთ-ერთ წერილში აი რას მწერდა ვერფელი: „პროფესორ ჰაიეკის აზრით, კაფკას ერთადერთი და საუკეთესო გამოსავალია საავადმყოფოს პირობებში ყოფნა,

სადაც ხელთ აქვთ ყველა საჭირო სამკურნალო საშუალება. სანატორიუმიდან წამოსვლისას ამას რომ გვეუბნებოდა, თითქოს გვაფრთხილებდაო.

კიირლინგში კაფკას ერთი ლამაზი, ყვავილებით მორთული ოთახი მიუჩინეს. ორ უერთგულეს ადამიანთან ერთად სწორედ ამ ოთახში გაატარა მან თავისი უკანასკნელი დღეები მშვიდად და ბედნიერად. რამდენადაც ამის საშუალებას მისი ტკივილები იძლეოდა.

პროფესორი ნოიმანი და დოცენტი ოსკარ ბუკი რამდენჯერმე ჩავიდნენ კიირლინგში კაფკას სანახავად. ახლაც მაკანკალებს დოქტორ ფელიქს ველტშის სამ მაისს დაწერილი წერილის წაკითხვისას: „გუშინ ქალბატონმა დორამ დამირეკა კიირლინგიდან. ბატონ კაფკას საშინელი ტკივილები ჰქონია ხორხში, განსაკუთრებით ხველებისას. ჭამის დროს ისეთი ძლიერი ტკივილები აქვს, რომ ყლაპვა თითქმის შეუძლებელი ხდება. მაშასადამე, ხორხში მიმდინარეობს ხრწნადი ტუბერკულოზული პროცესი, რომელმაც საყლაპავი მილის ნაწილიც მოიცვა. ამგვარ შემთხვევაში რაიმე ოპერატიულ სამედიცინო ჩარევაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამიტომ ძირითადად გამაყუჩებელი ნემსები უკეთდება. მაგრამ ქალბატონმა დიმანტმა დღესაც დამირეკა და მამცნო, რომ გამაყუჩებელი მხოლოდ ხანმოკლე შედეგს აღწევს, მერე კი კვლავ უმძლავრდება ტკივილებიო. ქალბატონ დიმანტს ვურჩიე ბატონი კაფკა სასწრაფოდ გადაეყვანათ პრალაში და ნათესავებისადაც შეეტყობინებინათ მისი მდგომარეობა, რადგან პროფესორ ნოიმანის აზრითაც ფრანცს მხოლოდ სამი თვის სიცოცხლეა დარჩენოდა. ქალბატონმა დიმანტმა უარყო ეს წინადადება, ვაითუ ფრანცი ყველაფერს მიხვდესო. ჩემთვის გასაგებია, დორა მეტისმეტად განიცდის კაფკას მდგომარეობას, დაყინებით ითხოვს კიდევ ერთხელ მოიწვიონ კონსილიუმი კიირლინგში. ამაოდ ვეცადე ამეხსნა, ბატონ კაფკას ფილტვებშიც და ხორხშიც ერთნაირად მძიმე მდგომარეობა აქვს და ვერც ერთი სპეციალისტი ველარ უშველის, მხოლოდ მორფიუმის საშუალებით თუ შეუმსუბუქებენ-მეთქი ტკივილებს“.

ბოლო რამოდენიმე კვირა ფრანცი ცოტას ლაპარაკობდა, წერილებით გვაგებინებდა თავის აზრებს. ერთი-ორი წერილი დღესაც მაქვს შემონახული. „მოთხრობას ახალი სათაური ექნება — „ჟოზეფინა მომღერალი — ანუ ხალხი თავგების ქვეყანაში“. შეიძლება ეს არც თუ ისე კარგად უღერდეს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მასში განსაკუთრებული აზრი დევს. ეს ცოტა მსჯელობის საკითხია“.

როგორც ჩანს, კაფკა ძალიან ბევრს ფიქრობდა მამაზე, ხშირად იხსენებდა, როგორ დადიოდა მასთან ერთად ბავშვობაში ცურვაზე. ერთხელ აი რა უამბო მან დორას: „როცა პატარა ბიჭი ვიყავი და ჯერ ცურვა არ ვიცოდი, მამას — რომელმაც ასევე არ იცოდა ცურვა — საცურაო აუზზე დავყავდი. მახსოვს, როგორ ვისხედით შიშვლები, როგორ მივირთმევდით ძეხვს და პურს, და ზედაც მამას საყვარელ ლუდს ვაყოლებდით. საუბრე მამას ყოველთვის თან მოჰქონდა, რადგან საცურაო სკოლის სასაუზმეში ყველაფერი ძვირი ღირდა. შეგიძლია წარმოიდგინო ეს მკაცრი კაცი პატარა მშიშარა ბიჭუნასთან ერთად? ან ის, როგორ ვიცმევდით პატარა ბნელ ოთახში? ან თუნდაც ის, ძალზე დამორცხვებულს როგორ მექაჩებოდა მამა, გარეთ რომ გამოვეყვანე გასახდელიდან? შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ უნდოდა მამას, რომ მე ამ ეგრეთ წოდებულ ცურვაზე ვეტარებინე, და კიდევ ეს ლუდის სმაც?!“

თავად ფრანცი ალკოპოლს არ ეტანებოდა, მაგრამ ცოდნით იცოდა, რა იყო ლუდით, ღვინით, ხორციტ ტკბობა. ზოგჯერ დაყნოსავდა სასმელებს და ხოტბას ასხამდა მათ საოცარ სურნელს, თუმცა არავინ იცოდა, ამას იგი გულწრფელად ამბობდა, თუ ირონიულად. რამოდენიმეჯერ მოსვა კიდეც ლუდი და ღვინო და აღფრთოვანებულმა ფურცელზე დამიწერა: „ისეთი შეგრძნება არ გეუფლება, თითქოს ლეონარდო ნერისას წინ ერთი ქიქა ღვინო ედგა? — (მწერდა იგი ჩემთვის უცნობ ვილაც ლეონარდზე, გადაკვრით).

ამგვარად, ფურცლებით გასაუბრებისას ფრანცმა ერთხელ თავისი ბიძაშვილის ამბავიც მომიყვა: „ჩემი ბიძაშვილი საოცარი ადამიანი იყო, ორმოციოდე წლის იქნებოდა, როცა დაიღუპა. რობერტი ადვოკატი იყო, მთელი დღე საქმიანობდა, არც გართობას იკლებდა. მახსოვს ერთხელ, ხუთი საათი იქნებოდა, სოფიის საცურაო აუზზე მოვიდა, ტანსაცმელი გაიხადა, წყალში ჩახტა და ისე ლალად და ლამაზად გაცურა, რომელიღაც ველურ მხეცს მოგაგონებდა, თვალები სიცოცხლით აღსავსე ჰქონდა; წყლის ძალით გახალისებულმა ძალზედ შორს გაცურა. ეს იყო საოცრება. ამ ამბიდან ნახევარი წლის შემდეგ კი ის დაიღუპა. ელენთამ მოკლა. ექიმები ამ ავადმყოფობას რალაც ინექციით ებრძოდნენ, მაგრამ ამაოდ“.

ფრანცი ასევე ბევრს მწერდა თავის იმჟამინდელ პრობლემებზე, მდგომარეობაზე. შიგადაშიგ ასეთ წინადადებებსაც მწერდა: „მეფეთა შვილები“, „უსასრულობაში უსასრულო ნავსაყუდელი“. ის საოცრად დაღლილი ჩანდა, დაღლილი და მოუთმენლობით აღსავსე.

თერთმეტ მაისს ვენაში გამგზავრება გადაწყვიტე, რათა კიდეც ერთხელ მომენახულებინა ფრანცი. საოცრად უცნაური რამ მოხდა. დამიძახეს, ჩქარა, ტელეფონთან ვილაც ქალი გიხმობთო, ვენიდან გირეკავენო. პალტოიანადვე შევვარდი ოთახში. დორა იყო, ამ სიტყვებით დაიწყო: „შენ დარეკე?“. „არა, ეს-ეს არის შემოვედი“. „ვილაცამ დარეკა პრადის ყოველდღიური გაზეთიდან და შენ მეგონე“, — თქვა მან. ეს ამბავი ჩემთვის ამოუხსნელი დარჩა ყველა ჩემი მცდელობის მიუხედავად. პრადის ყოველდღიური გაზეთი ყოველდღე რეკავდა ვენაში, მაგრამ არასოდეს კიირლინგში. ამგვარად, ვიდრე კიირლინგამდე ჩავალწევდი, ველოდი, რომ ვინმეს სიკვდილს გავიგებდი. სახლიდან გამოსვლისთანავე შევიტყვე, რომ ჩემს სახლში ქვემო სართულზე ერთი ახალგაზრდა კაცი კვდებოდა თურმე. სადგურზეც ერთი შავებში ჩაცმული ქალი გამომელაპარაკა, როგორც მერე მივხვდი, მინისტრ ტუზარის ქვრივი ყოფილა, თავისი მეუღლის სიკვდილზე მელაპარაკებოდა. ვენაში აღარავის დავლაპარაკებოვარ, სადგურიდან პირდაპირ სასტუმროსკენ გავემართე და დილით პირველივე მატარებლით კლოსტერნოიბურგში გავემგზავრე, იქიდან კი კიირლინგში ჩავედი და იქ საღამომდე დავრჩი.

იმ დღეს ფრანცი საოცრად გამოცოცხლებული მეჩვენა. ექიმების საპირისპიროდ მე მისი მდგომარეობა უიმედოდ არ ჩამითვლია. ჩვენ მოვილაპარაკეთ და გეგმაც კი დავსახეთ ჩვენს შემდგომ ერთობლივ მგზავრობაზე, ვენაზე გავლით. პირველი, რაც დორამ მომიყვა (რადგან თავად ფრანცს ბევრი ლაპარაკის უფლება არ ჰქონდა) და ფრანცმაც დამიდასტურა, საოცრად უცნაური ამბავი იყო. დორამ განმიცხადა, ფრანცს სურს, იქორწინოს ჩემზეო. ფრანცს თურმე თანხმობის მისაღებად წერილიც გაუგზავნია დორას ღვთისმოსავი მამისათვის: მართალია, მე ერთი ურ-

წმუნთ ებრაელი კაცი ვარ, მაგრამ უკვე „მონანიე“ და „დაბრუნებული“ და აქედან გამომდინარე, იმედს არ ვკარგავ, რომ თქვენი უპატივცემულესობა ოჯახში მიმიღებთო. ეს წერილი დორას მამასთან გაატარეს იმ პიროვნებას, ვისაც დორას მამა განსაკუთრებულ პატივს სცემდა და ენდობოდა. მაგრამ წერილის წაკითხვისთანავე დორას მამამ მხოლოდ ერთი მოკლე „არა“ წარმოთქვა და ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე ბარათი უკან დააბრუნა.

ეს წერილი და ამ გულქვა რაბის ეს მოკლე პასუხიც, ჩემი ჩასვლის შემდეგ მალევე მოვიდა. ფრანცი მოუთმენლად სწვდა წერილს და მთელი დღე „ეს პატარა ოჯახი“ მხოლოდ ამ თემაზე საუბრობდა. მართალია, კაფკა იცინოდა, მაგრამ ემჩნეოდა, რომ იტანჯებოდა. ჩვენ ყველანი ვცდილობდით მისი ფიქრი სხვა რამეზე გადაგვეტანა, მაგრამ ამაოდ; ცოტა ხნის შემდეგ დორამ განზე გამიყვანა და ჩამჩურჩულა: „ყოველ ღამით ფრანცის ფანჯარასთან ბუ მოდის, ეს სიკვდილის ფრინველია“.

ფრანცს კი სიცოცხლე სწყუროდა. საოცარი სიზუსტით ასრულებდა ექიმის ყოველგვარ მითითებას, რაც წინათ არასოდეს სჩვეოდა. დორა რომ ადრე გაეცნო, ალბათ სიცოცხლისადმი წყურვილი ადრევე და დროულად გაუძლიერდებოდა. ეს ჩემი აზრია. ვფიქრობ, ეს ორი ადამიანი საოცრად უხდებოდა ერთმანეთს. აღმოსავლელ ებრაელთა რელიგიური ტრადიციების ის მდიდარი საგანძური, რომელსაც დორა ფლობდა, ფრანცის ალტაცებას იწვევდა მუდამ. ახალგაზრდა ქალის კი, ვინც ჯერ არაფერი უწყობდა დასავლეთის დიდი კულტურისა, არანაკლებ იზიდავდა თავისი მასწავლებელი და შესტრფოდა როგორც თავისი ოცნების უიშვიათეს პიროვნებას, რომელსაც იგი ანცად, ბავშვური ხალისით შეეგუა. ისინი ბავშვებით ეხუმრებოდნენ ერთმანეთს.

მახსენდება, როგორ იბანდა დორა ხელებს ფრანცის ნაბან წყალში. ამას ისინი „ოჯახურ დაბანვას“ უწოდებდნენ, სულისშემძვრელი იყო დორას მზრუნველობა ავადმყოფის მიმართ, გულისამაჩუყებელი იყო მისი უძილო ღამეები და მისი უზღვავი ენერჯია. დორამ მიაჩნო, სიხარულისგან როგორ ატირდა ფრანცი, როცა ერთმა ცნობილმა ექიმმა (უკვე უკანასკნელ სტადიაში მყოფს) უთხრა, ყელში უკეთესი მდგომარეობა გაქვსო; დორას გულში იკრავდა და ეუბნებოდა, არასოდეს მდომებია სიცოცხლე და ჯანმრთელობა ისე, როგორც ახლათ. ამ სიტყვებმა ჩვენი ერთი მოგზაურობისას ნათქვამი გამახსენა. ეს იყო 1919 წლის ნოემბერში, ჩვენ ერთად ვმოგზაურობდით შელეზენში. ამ მოგზაურობიდან ორი მოგონება ამომიტივტივდა. ჰამსუნზე საუბრისას კაფკამ მითხრა, ამ ავტორის სურვილის მიუხედავად, ყოველივე ბოროტება უმეტესად ქალებისაგან მოდისო. ბოლოს კი, როცა მატარებელი გაჩერდა, მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა: „რა უამრავი სადგურია გასავლელი სიკვდილამდე, და რა ძალზე ნელა მიიზღაზნება ეს გზა“. ახლა უკვე მძიმედ დაავადებულმა როცა შეიგრძნო ცხოვრების სიტკბო, სიამოვნებით იცოცხლებდა კიდევ, მაგრამ...

სამ ივნისს, სამშაბათ დღეს გარდაიცვალა ფრანც კაფკა, მიცვალებული დახურული კუბოთი პრალაში გადაასვენეს და თერთმეტ ივნისს ოობ საათზე ებრაელთა სასაფლაოზე დიდი ჭიშკრის ახლოს დაკრძალეს, როცა ჩვენ, ექვსს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ფრანცის ბინისკენ ძველ

ქალაქში, უკან ვბრუნდებოდით, შევამჩნიეთ, რომ რატუშის დიდი საათი ოთხთან გაჩერებულიყო.

მოგვიანებით ფრანცის მშობლებმაც ამ სასაფლაოზე ჰპოვეს საბოლოო ნავსაყუდელი.

ფრანცის უკანასკნელი საათების შესახებ მე ძირითადად დორასა და რობერტ კლოპშტოკის გადმოცემებიდან ვიცი და შემეძლია გაცნობოთ:

ორშაბათ საღამოს ფრანცი ძალიან კარგად იყო, მხიარულობდა, ოხუნჯობდა. ყველაფრისთვის გაუსინჯავს გემო, რაც კლოპშტოკს ქალაქიდან ჩამოუტანია: მარწყვი, ალუბალი, ყველაფერს ხანგრძლივად ყნოსავდა და საერთოდ, ბოლო დღეებში გაორმაგებული ტკბობით ტკბებოდა. მოითხოვდა, რომ მის თვალწინ ესვათ წყალი ან ლუდი სვენებ-სვენებით. სხვების ტკბობით თავად ტკბებოდა. ბოლო დღეებში ძალზე ბევრს ლაპარაკობდა ხილსა და სასმელზე.

ორშაბათ დღეს მშობლებს წერილი მისწერა — ესაა ნიმუში თავდაჭერილობისა და ბავშვური სიყვარულისა (დაახლოებით მსგავსი იმ წერილებისა, რომლებიც ჰაინემ თავისი ავადმყოფობის ჟამს მისწერა დედას). არანაირი კვალი აღელვებისა წერილში არ ჩანდა.

„უსაყვარლესო მშობლებო, ხშირად მწერთ, ჩამოვალთო, მაგრამ ვერ ახერხებთ, არადა, რამდენი ხანია ერთად აღარ ვყოფილვართ, პრალაში ერთად ყოფნას მე არ ვთვლი, ეს მხოლოდ იმჟამინდელი სიტუაციიდან იყო გამომდინარე და ველარც კი ვიხსენებ, როდის იყო ეს. წერილებიდან ვხვდები, რომ მამას დღევანდელი ღვინისა ბევრი არა გაეგება რა, რაც შეეხება ლუდს, აქ კი მე მას სავსებით ვეთანხმები. მახსენდება ჩვენი ერთობლივი ლუდის სმა მრავალი წლის წინ, როცა მამას ქალაქის საცურაო სკოლაში დავყავდი...

ძალზე გამეხარდებოდა, თუ მესტუმრებოდით, რასაც ალბათ ბევრი დაბრკოლება ელობება წინ, უპირველეს ყოვლისა, ალბათ მამას პასპორტთან დაკავშირებული სიძნელეები.

რაც შეეხება ჩემს მდგომარეობას, ალბათ უკვე იცით პირველი სირთულეების შესახებ აქ და ვენაში, ამ ყველაფერმა, ცოტა არ იყოს ძალღონე გამომიღია. ამასთან ტემპერატურის სწრაფი დავარდნაც დაერთო, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ჩემს დასუსტებას.

მხოლოდ ახლალა გამოვდივარ ამ დაუძლურებული მდგომარეობიდან დორასა და რობერტის დახმარებით (რა ვიქნებოდი მე მათ გარეშე). სიძნელეები, რა თქმა უნდა, ახლაც არის, მაგალითად, თუნდაც ახლახანს გადატანილი კატარი. მიუხედავად ჩემი საოცარი მცდელობისა, კარგი ჰაერისა და კარგი კვებისა, ხეირიანად ჯერ მაინც ვერ გამოვჯობინდი, პრალაში რომ ვიყავი, იმ დონეზეც კი არა ვარ, ახლა ამას ისიც მიათვალეთ, რომ მე მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკის უფლება მაქვს, ისიც, არც თუ ისე ხშირად. არა, მაინც ყველაფერი საუცხოოა. ამ ბოლო ხანებში პროფესორმა მითხრა, თქვენი საქმე უკეთესობისაკენ მიდისო, ხორხთან დაკავშირებით. ჩემთვის დიდი ნუგეშია ამ ძვირფასი და თავდადებული ადამიანის თუნდაც ერთი სიტყვა. იგი ყოველ კვირას ჩამოდის მანქანით, სამაგიეროდ კი არაფერს ითხოვს. ერთი სიტყვით, თითქოს უკეთესობაა, მაგრამ ჩემი აზრით, არაფერი ამდაგვარი არ ხდება. თუ გგონიათ, რომ აქ ჩამოსულთ გამომჯობინებული დაგხვდებით, სჯობია, ამ განზრახვაზე ხელი აიღოთ, ჯერჯერობით მაინც“.

კვირას (და როგორც ამბობენ, სამშაბათსაც, რასაც მე ვერ ვიჯერებ) ფრანცი კიდევ მუშაობდა თავისი ბოლო წიგნის „შიმშილის ოსტატის“ კორექტურაზე და გამომცემლობის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ჩემს მინიშნებებს საკმაო გულისყურით არ მოგვიდნენო. ერთხელ დორამ სამართლიანად შენიშნა: „ფრანცი დღეს უკმაყოფილებას ითხოვს ყველასგან, წინააღმდეგ შემთხვევაში მეტი სმეტი და იტანჯება“...

ლამის თორმეტ საათზე ფრანცს ეძინა. ოთხ საათზე დორამ კლოპშტოკს უხმო ოთახში, ფრანცი ცუდად სუნთქავსო. კლოპშტოკმა საშიშროება შეიგრძნო, ექიმი გააღვიძა; ექიმმა გამაყურებლები გაუკეთა. ტკივილისაგან გამწარებულმა ფრანცმა კლოპშტოკს უთხრა: „თქვენ ყოველთვის მაიმედებდით, მთელი ოთხი წელიწადი მტანჯავთ, მე თქვენ აღარ გელაპარაკებთ“. ორი წემსი გაუკეთეს. მეორე წემსს რომ უკეთებდნენ, ფრანცს უთქვამს: „ნუ მატყუებთ, თქვენ მხოლოდ ტკივილისაგან მათავისუფლებთ, მომკალით, თორემ ჩემი ცოდვა თქვენ მოგვეკითხებათ“. მეორე პანტოპონი გაუკეთეს და მანაც გაიხარა: „ოჰ, ეს კარგია, კარგი, მაგრამ კიდევ გამიკეთეთ, ეს არ მყოფნის“, და ჩაეძინა. მისი უკანასკნელი სიტყვები თავისი დისადმი ელისადმი იყო მიმართული. კლოპშტოკს ფრანცის თავი ეჭირა. ფრანცს ყოველთვის ეშინოდა, ვინმე არ დავასწეულოო. ახლაც გაიძახოდა (ექიმის ნაცვლად მას თავისი და ერვენებოდა) „წადი, ელი, წადი, ასე ახლოს ნუ დგახარ“. როცა კლოპშტოკმა თავი წამოუწია, მან კმაყოფილმა ჩაილაპარაკა: „ჰო, ასე, ასე კარგია“.

ბოლო წუთებში ის საოცრად უხეში გახდა, სანიტარს არ იკარებდა, ხელებს იქნევდაო, მითხრა კლოპშტოკმა. ექიმსაც მთელი ძალით აუკრა ხელი: „ნულა მტანჯავთ, რისთვისღა მიხანგრძლივებთ ტანჯვას?“ მაგრამ როცა კლოპშტოკი საწოლს მოშორდა, რათა წემსი გამოეცვალა, ფრანცმა მაშინვე დაადევნა: „ნუ მიდიხართ შორს“. მეგობრის პასუხზე — „არა, არ მივდივარ შორს“, — ფრანცი მისუსტებული ხმით გამოეპასუხა: სამაგიეროდ მე მივდივარ შორს“.

აი რას მწერს ოთხ ივნისს კლოპშტოკი კიირლინგიდან: „საბრალო დორა, თუმცა ახლა ყველანი ვართ საბრალონი. მაგრამ მაინც მასავით გასაცოდავებული ამქვეყნად არავინაა დღეს. თითქმის სულ არ სძინავს და თუ ჩაიძინა, ძილშიც კი დაუსრულებლად ჩურჩულებს: „ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო“... მე შევპირდი, დღეს ნაშუადღევს ფრანცის ოთახში შევიყვან, თუ დაწვები და დაიძინებ-მეთქი. ფრანცი სრულიად მარტოდ იყო იქ, ჩვენ კი ვერაფერს ვაკეთებდით. ჩვენ აქ ვიყავით, ის კი იქ იყო სიბნელეში, მიუსაფარი და გაყინული, ვერც კი აგინერ, რა ხდება აქ. ამის აღწერა არც შეიძლება. დორას ვინც იცნობს, მხოლოდ ის მიხვდება, როგორ იტანჯება იგი და რა ძლიერ ჰყვარებია ფრანცი. თქვენ ალბათ გესმით დორასი. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულვართ, რა დაგვატყდა თავს, ჯერ კიდევ ვერ გაგვიზრებია, რომ კაფკა ჩვენთან აღარ არის. ბოლოს რომ ვნახეთ, გაყინული, მკაცრი და მიუკარებელი სახე ჰქონდა, სული მისი განწმენდილი მარადისობაში გადასახლებულიყო. უკეთილშობილესი და უძველესი წარმოშობის მეფეს ჰგავდა. მშვენიერი იყო, როგორც მარმარილოს ბიუსტი“.

სოფლის აქიმი

წინამდებარე მოთხრობის მთავარი გმირი — ექიმი — დაუნდობლობის მსხვერპლი აღმოჩნდა. ვილაცის ყალბ გამოძახებას ავადმყოფის დასახმარებლად, ზამთრის სუსხის მიუხედავად, შორ გზას დაადგა. მეორე პერსონაჟი — ცხენების მეპატრონე — იმ დაუნდობელ ადამიანთა წარმომადგენელია, ვინც ყველაფერს იკადრებს სხვების ნდობის მოსაპოვებლად და შემდეგ მათი ცხოვრების დასანგრევად. რაც შეეხება მესამე პერსონაჟს — ავადმყოფს — იგი ცხოვრების დაუნდობლობამ უიმედობაში ჩააგდო და იძულებულია აიტანოს ის ტკივილი რომელიც უკვე ჭრილობად ექცა. ეს ჭრილობა ცხოვრებისადმი შებრძოლების უუნარობამ წარმოშვა და ველარანაირი ექიმი ვერ უშველის მას. ცხენების მეპატრონემ ექიმიც და ავადმყოფიც თავისი მზაკვრული გეგმების განსახორციელებლად გამოიყენა. ექიმის სახით ვითომდა ჩემი ჩაუსახა ავადმყოფის ოჯახს, მაგრამ დროებით. ექიმსაც ადხოვა ცხენები, მაგრამ ესეც მხოლოდ და მხოლოდ სხვისი ცხოვრების დასანგრევად წინასწარ გამიზნული თვალთმაქცობა გამოდგა. ამ ცხოვრებაში ვინ მსხვერპლია და ვინ კიდევ მტარვალი...

მთარგმნელი.

დიდ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი: გადაუდებელი მგზავრობა მელიოდა. აქედან ათ მილზე ერთ პატარა სოფელში მძიმე ავადმყოფთან გამომიძახეს. ჩემსა და მას შორის კი დიდი თოვლის საფარი იყო გადაჭიმული. ეტლი კარგი მქონდა, მაღალბორბლებიანი, სწორედ რომ ჩვენი სოფლის შარაგზაზე გამოსადეგი. ჰოდა, მეც ბენვის ქურქში გახვეული, ჩანთით ხელში უკვე მზად ვიყავი წასასვლელად, მაგრამ ცხენი არ მყავდა. ჩემმა ცხენმა გაყინულ თოვლზე ამდენ სიარულს ველარ გაუძლო და ღონემიხდილმა წუხელ განუტევა სული. ჩემი მოსამსახურე გოგო ახლა მთელ სოფელში დარბოდა აღმა-დაღმა, იქნებ ვინმემ ცხენი გვათხოვოსო. იმედი არა მქონდა, ვინმე გვათხოვებდა. თოვლით გარშემორტყმული, უძრავად ვიდექი ჩემს ეზოში და ველოდი. ჭიშკართან გოგონა გამოჩნდა, უცხენოდ, რალა თქმა უნდა. აბა, ვინ გაიმეტებდა ამგვარ გზაზე ცხენს? მე კიდევ ერთხელ მოვათვალეერე ეზო, იქნებ რაიმე ვიპოვო-მეთქი, მაგრამ როცა ვერაფერი აღმოვაჩინე, გამწარებულმა ვკარი ფეხი უკვე წლობით გამოუყენებელ სალორის მობრეცილ და გაუბედურებულ კარს. კარი უცებ გაიღო და ჭრილით მოაწყდა ანჯამებს.

სალორიდან სითბო და თითქოს ცხენის სუნი გამოვარდა. მავთულზე ჩამოკიდებული პატარა დაბინდული ნათურა აქეთ-იქით ქანაობდა. ტიხარს იქით ცისფერთვალეება კაცის სახე გამოჩნდა. „შევკაზმო?“ — იკითხა მან და ოთხით გამოფოფხდა. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. დავიხარე, რათა კარგად შემეხედა სალორეში. „კაცმა არ იცის, რას აღმოაჩენ საკუთარ სახლში“, — გადავულაპარაკე მოსამსახურე გოგონას. ორივეს გაგვეღიმა. „გამარჯობა, ძმაო, გამარჯობა, დაო!“ — გამოგვძახა ყმანვილმა და უცებ სალორიდან ორი უმშვენიერესი, ფეხებლონიერი ცხენი გამოიყვანა. ცხენებს ლამაზი თვალეები ოდნავ დაეხარათ. „მიეხმარე“, — ვუთხარი ჩემს მოსამსახურეს. დაუზარელი გოგონა სწრაფად მიიჭრა

ცხენებთან, რათა ყმანვილისათვის ეტლის აღკაზმულობა მიენოდებინა. ის იყო მიუახლოვდა, რომ ყმანვილმა ხელი შემოხვია და ლოყაზე უკბინა. გოგონამ იკივლა და ჩემკენ გამოიქცა. ლოყაზე წითლად დამწწნოდა ბიჭის ნაკბენი. „ნადირო!“ — მივაძახე განრისხებულმა. „ცხენები გინდა?“ გავჩუმდი, სხვა რა გზა მქონდა, იმ უცხო, საიდან მოსულემა კაციმა ხომ თვითონ გამოთქვა სურვილი დამხმარებოდა, მაშინ რთულად ვეფელე. „უარსი მითხრა? ყმანვილმა თითქოს ჩემი ფიქრი წაიკითხაო, ჩემი შეძახილისთვის არც კი მიუქცევია ყურადღება, მხოლოდ ერთხელ გამომხედა და კვლავ ცხენების აღკაზმვა განაგრძო. „დაბრძანდით, — მითხრა მან საქმიანად, — ეტლი მზადაა“. ასეთი მშვენიერი ცხენებით არასოდეს მიმგზავრია. გახარებული ავედი ეტლში. „წაყვანით მე წავიყვან, რადგან შენ გზა არ იცი“, — ვუთხარი მე. „რა თქმა უნდა, — მომიგო მან. — მე არ მოვდივარ თქვენთან ერთად, აქ ვრჩები, როზასთან“. „არა!“ — იკივლა როზამ და სახლში შევარდა. ვიგრძენი საფრთხის მოახლოება. გავიგონე, გოგონამ როგორ გადაკეტა კარი ჯაჭვით, როგორ აირბინა კიბეზე და დავინახე, ყველა ოთახში რომ ჩააქრო შუქი, ალბათ იმ ბიჭის ეშინოდა, არ მიპოვოსო.

„შენ ჩემთან ერთად წამოხვალ, — მივუტრიალდი ყმანვილს, — თუ არადა, არც მე წავალ, რა აუცილებელიც არ უნდა იყოს ჩემი წასვლა. სულაც არ მიფიქრია, ცხენების საფასურად გოგონა მომეცა შენთვის“. „ყოჩაღ!“ — წამოიძახა მან და ხელები ისე მძლავრად შემოარტყა ერთმანეთს, რომ ეტლი ადგილს მოწყდა. ჯერ კიდევ მესმოდა, როგორ ლენდა ჩემი სახლის კარს გამძვინვარებული კაცი, მერე კი ჩემი სმენაც, მხედველობაც და გონიც ცხენების თქარათქურმა შთანთქა. თვალის დახამხამებაში, ისე რომ გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, ავადმყოფის სახლის კართან აღმოვჩნდი. ცხენები მშვიდად იდგნენ, აღარც თოვდა. ირგვლივ ყველაფერს მთვარის შუქი დასთამაშებდა. სახლიდან ავადმყოფის და და მშობლები გამომეგებნენ. ეტლიდან თითქმის ჩამომიღეს. მათი აბდაუბდა ლაპარაკისა არაფერი გამეგებოდა. ავადმყოფის ოთახში მძიმე, სულის შემხუთველი ჰაერი იდგა, მინდოდა ფანჯარა გამომეღო, მაგრამ ჯერ ავადმყოფი უნდა გამესინჯა. სიცხე არ ჰქონდა, არც ცივი იყო, არც თბილი, გამხდარი სახიდან ცარიელი თვალებილა იმზირებოდნენ. ბიჭმა ოდნავ წამოიწია, პერანგი არ ეცვა, კისერზე ჩამომეკიდა და ყურში ჩამჩურჩულა: „ექიმო, თავი დამანებე, გამიშვი, მოვკვდე“. ავადმყოფის დამ ჩანთის დასადებად სკამი შემომიტანა. ჩანთაში ანგარიშმიუცემლად რალაცის ძებნას მოვყევი. დროდადრო ბიჭი ხელით მეხებოდა, თითქოს ცდილობდა თავისი თხოვნა შეეხსენებინა. მერე პინცეტი ამოვიღე, სანთლის შუქზე შევამოწმე და ისევ უკან ჩავდე. „საოცარია, — გავიფიქრე ჩემთვის, — ამგვარ გამოუვალ სიტუაციაში ღმერთი გშველის, გიგზავნის ცხენებს საიდანღაც, მაგრამ თან გაზარალებს კიდევ...“ ჩემი მოსამსახურე გოგო გამახსენდა. რა ვიღონო, როგორ გადავარჩინო, როგორ გამოვტაცო იმ ბიჭს ხელიდან? მაგრამ აქედან ამ სიშორიდან რა შემიძლია? სხვის ცხენებს ხომ არ დავხოცავ? ცხენებს რატომღაც მოშვებოდათ ღვედები, თავადაც არ ვიცი როგორ, ფანჯარასთან მოსულიყვნენ და ოთახში იყურებოდნენ. როგორმე ახლავე უკან უნდა დავბრუნდე, თითქოს ცხენებიც მიხმობდნენ, დავბრუნდეთო, მაგრამ როგორ, ჯერ არ გადამეწყვიტა. ამასობაში ავადმყოფი ბიჭის დამ ქურთუკი ჩამომართვა, მამამ კი ერთი ჭი-

ქა რომი შემომთავაზა. თან ისე ყნოსავდა, თითქოს მიმანიშნებდა, საკუთარ განძს, ხომ ხედავ, რა გულუხვად გთავაზობო. ამ სურათმა შემზარა და სასმელზე უარი ვთქვი, მოხუცი კი შემებრაღა. დედა ავადმყოფის საწოლთან იდგა და მიხმობდა. მეც დავყევი მის ნებას. აშასობაში/ერთ-ერთმა ცხენმა იქაურობა ჭიხვინით აიკლო. ბიჭს მკერდზე დავადე თავი, მესმოდა მის გულს როგორ გაუდიოდა ბაგაბუგი, უცნაურად რომ ბიჭი ჯანმრთელი იყო. შეიძლება ცოტათი სისხლნაკლული, მზრუნველი დედისგან ყავით გაყლენთილი, მაგრამ ასეა თუ ისე, ჯანმრთელი. ერთი სიტყვით, ერთი ბიძგიც კმაროდა მისი ლოგინიდან წამოსაყენებლად. მაგრამ მე ცხოვრებას ვერ შევცვლიდი, ამიტომაც შევეშვი, ინვეს-მეთქი. მე რაიონიდან მომავლინეს ექიმად და რაც შემედლო კეთილსინდისიერად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. ცუდი ანაზღაურების მიუხედავად, ღარიბებს უანგაროდ ვეხმარებოდი. როზაზეც ხომ უნდა ვიფიქრო, ამ ბიჭმა კი რაც უნდა ის ქნას — მეც კი მინდა სიკვდილი. რას ვაკეთებ ამ უსასრულო სუსხიან, გაუთავებელ ზამთრის დღეებში. ცხენი მომიკვდა, სოფელშიც არავინ მათხოვა, ეს შემთხვევითი ცხენები რომ არა, მე ალბათ ჩემი ღორებით მომიწევდა მგზავრობა. მაგრამ ამის შესახებ ავადმყოფის ოჯახმა არაფერი იცის, და რომც იცოდეს, არ დამიჯერებს. რეცეპტების გამონერა ადვილია, მაგრამ ადამიანების შეცნობა — რთული. სჯობს უკან დავბრუნდე, როგორც ჩანს, ტყუილუბრალოდ შევიწუხე თავი, თუმცა ამას მაინც შეჩვეული ვარ. ღამის გამოძახებებით მთელი რაიონი მტანჯავს. მაგრამ ამჯერად რომ როზაც შევნირე? ეს ღამაზი გოგონა ამდენ ხანს ჩემს სახლში ცხოვრობდა და ვერც ვამჩნევდი. რაღაც უნდა მომეფიქრებინა, აქედან რომ დამეღწია თავი. ესენი მე როზას ვერ დამიბრუნებდნენ. ჩანთა ავიღე და ქურთუკისკენ გავიწვდინე ხელი. ოჯახის წევრები გვერდი-გვერდ იდგნენ, მამას კვლავ რომიანი ჭიქა ეჭირა ხელში და ყნოსავდა. დედაც აქვე იდგა, ალბათ ჩემით იმედგაცრუებული. კი მაგრამ, რას ელის ეს ხალხი ჩემგან? ავადმყოფის და ტუჩებს იკვნეტდა, აცრემლებული შემომცქეროდა და თან გასისხლიანებულ პირსახოცს მიჩვენებდა. შექმნილ ვითარებაში ღამის დამეჯერებინა, რომ ბიჭი მართლაც ავად იყო. მე კვლავ მივედი მასთან, მანაც ისე შემომცინა, თითქოს მადისაღმძვრელი ნვნიანი მიმეტანოს. ახლა ორივე ცხენი ჭიხვინებდა. ამ ხმაურმა ალბათ უფრო შემინყო ხელი ავადმყოფის გასინჯვაში... და მე აღმოვაჩინე, დიახ, ბიჭი მართლაც ავად იყო. მარცხენა მხარეს ფერდთან, თეფშისოდენა ჭრილობა გახსნოდა. ზემოთა ნაწილი თითქმის უკვე გახრწნილიყო, ნაპირებზე სისხლი შემხმარიყო. ჭრილობის გარეგანი სურათი ასეთი იყო, მაგრამ შიგნით, ნუ იკითხავთ. უფრო საზარელი რამ არასოდეს მინახავს. ჭრილობის სიღრმეში ჭიები დაფუთფუთებდნენ. საბრალო ბიჭო, შენ ველარაფერი გიშველის, მე ვნახე შენი ჭრილობა. აშასობაში კი მთელი ოჯახი იმედიანად შემომცქეროდა, ერთი-მეორეს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ, კართან მომდგარი მეზობელი გლეხებიც მე მომჩერებოდნენ. „გადამარჩენ?“ — ამოიკვნესა ცხოვრებითა და საკუთარი ჭრილობით გულდამძიმებულმა ბიჭმა. აქაურები უცნაური ადამიანები არიან, ექიმისგან ყოველთვის რაღაც შეუძლებელს ითხოვენ. აღარც რწმენა აქვთ, აღარც მღვდელი აკეთებს თავის გასაკეთებელს. ყველა ჯოხი ექიმზე უნდა გადატეხონ. ალბათ მსხვერპლად შენირვასაც მომთხოვენ. და აი, ისინიც, ოჯახის წევრები და სოფლის უხუცესობა... გა-

რეთ სოფლის გუნდი მღერის. მელოდია თითქოს მარტივი ჩანდა, ტექსტი კი ასეთი იყო:

„გააძრეთ ტანზე, რადგან მან უნდა განკურნოს სნეული,
და თუ არ განკურნავს, მოკალით,
ის ხომ ექიმია, ის ხომ ექიმია მხოლოდ!“



ქართული
სიმღერების

მე თვინიერად, მშვიდად შევცქეროდი მათ, ვიცოდი, მაინც არაფერი მიშველიდა. თავსა და ფეხებში ჩამავლეს ხელი და საწოლისაკენ წამათრიეს, კედლის მხარეს, საითაც ბიჭს ჭრილობა ჰქონდა, სწორედ იმ მხარეს დამანვინეს და ოთახიდან გავიდნენ. კარი ჩაკეტეს. სიმღერა მიჩუმდა. მთვარე ღრუბლებს ამოეფარა. საბანში მთბილოდა. ფანჯრის ღრიჭოში ცხენების თავების ჩრდილები ირხეოდნენ. „იცი რა? — მესმის უეცრად ზედ ყურთან, — მე შენ არ გენდობი. რატომ მოხვედი, იმიტომ რომ დახმარების მაგივრად სასიკვდილო სარეცელზეც შემავინროვო? თვალბდასათხრელი ხარ“. „მართალია, — გამოვეპასუხე მე, — ეს სამარცხვინოა, მაგრამ მე ხომ მხოლოდ ექიმი ვარ. რა უნდა გავაკეთო? ეს არც ჩემთვისაა იოლი“. „გინდა, მაგ ბოდიშით მომიქონო თავი და ისევ მე გიშველო? მე, რომელიც ამ მშვენიერი ჭრილობით დამასაჩუქრა ცხოვრებამ? მხოლოდ ეს გამაჩნდა ამქვეყნად“. „მეგობარო, — ვუთხარი მე, — ცდები. ბევრი და ყველანაირი ავადმყოფი მინახავს და უნდა გითხრა, რომ შენი ჭრილობა არც ისეთი საშინელებაა. ერთ კუთხეში სიღრმის მიუხედავად პირსაც იკრავს უკვე“. „ეს მართლა ასეა თუ მატყუებ და მიმეტებ სანამებლად?!“ „მართალს გეუბნები, ენდუ რაიონის ექიმის პატიოსან სიტყვას“. თითქოს დაიჯერაო, გაჩუმდა. ახლა დრო იყო ჩემს გადარჩენაზეც მეფიქრა. ცხენები კვლავ ერთგულად მელოდნენ. ტანსაცმელს, ქურქსა და ჩანთას ერთად მოვუყარე თავი, ჩაცმაზე დროის დაკარგვა არ ღირდა, საწოლიდან მეორე მხარეს ვისკუპე, ცხენმა მორჩილად დაიხია უკან. ჯერ ჩემი ტანსაცმელი მოვისროლე, ქურქი ცოტათი შორს გადაფრინდა და სახელოთი მაგრად გამოედო კაუჭზე. „არა უჭირს, — თავადაც ვისკუპე და ერთ-ერთ ცხენს შემოვახტი. ცხენებს ისე ჰქონდათ ღვედები მოშვებული, რომ ერთიმეორეზე თითქმის არც იყვნენ გადაბმულნი. ეტლიც ძლივს მოჩანჩალებდა. ჩემი ქურქიც თოვლზე ეთრეოდა. „ყოჩაღ“, — ჩავილაპარაკე მე, თუმცა ეს რა სიყოჩაღე იყო. ბებრეკი მოხუცივით ნელა მიიზღაზნებოდნენ ჩემი ცხენები ამ უკიდუგანო თოვლში. ჩვენს უკან ისმოდა ბავშვების სიმღერა.

„გაიხარეთ, ავადმყოფებო,
ექიმი თქვენსავე საწოლში წევს“.

ვერასოდეს დავბრუნდები ჩემს სახლში. ჩემი ბრწყინვალე პრაქტიკაც დაიღუპა. ყველაფერი დავკარგე, ჩემს სახლში ცხენების საზიზღარი პატრონი დათარეშობს, როზა მისი მსხვერპლია, მე კი დავძრწვიარ ახლა ამ ბედუკუღმართი ცხოვრებისაგან გარიყული, უგზოუკვლოდ მივექანები, საკუთარი ეტლითა და სხვისი ცხენებით. მცირეა, ქურქიც აღარა მაქვს, ეტლის ბოლოსაა ჩამოკონწიალებული. ვერც ვერასოდეს მივწვდები. მომწონდებელიც არ ჩანს, ან ვინ შეინუხებს ჩემთვის თავს! როგორ მოვტყუვდი! როგორ მოვტყუვდი! ვიღაცის ცრუ გამოცახებას ავყევი და დავღუპე ყველაფერი...





თარგმანა ნორაი ხუნდაძე

...მოულოდნელად ისეთი ბარდნა დაიწყო, რომ ავტობუსმა გორაკიდან ქარბუქში ზუსტად ისე ჩაყვინთა, როგორც თეთრი თოშით სავსე მდინარეში, სადაც წყალი დაღმა მიექანება, მორევში ძაბრივით მრგვალდება და თან მიაქვს ეზოთა და ხეთა ძლივს შესამჩნევი კონტურები. წამის განმავლობაში ყველაფერი ამოძრავდა და ერთმანეთში აირია და აღარ იყო არც გზა, არც გზისპირი, არც მალლობი, არც დაბლობი. ყველაფერი ირყეოდა და დუღდა, გრიალებდა და დქაფუნობდა, ტრიალებდა და ბრუნავდა — რალაც გიჟურად როკავდა, თან ისე ჩამობნელდა, ადამიანთა სახეებმა გამომეტყველება დაკარგა, ტანსაცმელმა — ფერი, საგნებმა — მოცულობა და ხაზებმა მკაფიოობა. ყველაფერი გაუფერულდა, გაბრტყელდა და არარეალური გახდა, როგორც ზღვის ფსკერზე ჩაძირულ, ქიმერებით დასახლებულ ნავზე, რომელსაც ზედაპირზე ამოსვლა აღარ ძალუძს, გარდაუვალ ხვედრს ეწინააღმდეგება და მხოლოდღა გაშმაგებით ფეიქავს, როგორც ცოცხალი არსება. ჯემას მარტოობის მძაფრი გრძნობა დაეუფლა. დაენანა საკუთარი თავი და კიდევ რალაცა — თითქოსდა დაკარგული, სამუდამოდ დაკარგული. ეჩვენებოდა, რომ სამუდამოდ მიატოვა ყველა და ყველაფერი, რაც მის ცხოვრებას შეადგენდა, და უაზროდ დაეხეტებოდა ამ მერყევ უფსკრულში, სადაც პლანეტონი ხანგამოშვებით მირაჟად იქცეოდა ხოლმე — გუმბათებად და კოშკებად, კამარებად და თალებად — და ისევ ქრებოდა, დნებოდა, უჩინარდებოდა და ქალს დანაკლისით გამოწვეულ ყრუ ტკივილს უმწვავებდა. რის დანაკლისის? არა, სახლის არა, საიდანაც ჯემას თვითონვე უნდოდა წამოსვლა. იქნებ მანძილის ზრდასთან ერთად — ისევე, როგორც ფრენისას სიმალლის მატებასთან ერთად, — სახლმა იწყო მოხაზულობათა დაკარგვა და მცნებად, უბრალო სიმბოლოდ, მისი დარდის განზოგადებულ საგნად იქცა? იქნებ მას ენანებოდა რალაცა, რაც სინამდვილეში არ არსებობდა?..

ავტობუსი ბრმად მიბურღავდა ქარბუქს, მიძიგძიგებდა ჭყაპით ალაფებულ გზაზე და განუწყვეტილად ღრჭიალებდა, როგორც ჯართის დიდი გროვა, წამდაუნუმ აჯახუნებდა ცუდად დახურულ კარს, — კარის ღრიჭოდან უკვე შემოდოდა თოვლი. ფანჯრები ძრავის გუგუნთან ერთად ზრიალებდნენ. მათ მქრქალი, თეთრ-მონაცრისფრო ჯავშანი ჰქონდათ აკრული, რომელიც თანდათანობით მკვრივდებოდა და რომელშიც დროდადრო ჩნდებოდა და ქრებოდა ბუნდოვანი რუხი ჩრდილები.

გარშემო თოვლი იყო, მხოლოდ თოვლი...

დასასრული. დასაწყისი იხილე „საუნჯე“ № 5—6, 1999 წ.

— ვინ იკითხა მურგალე? — გაისმა კაბინიდან შოფრის ხმა.

ქალს ფიქრის ძაფი გაუწყდა, მეო, შოფერს გამოეხმაურა, ბარგს ხელი დასტაცა და წინ აჩქარებით გაემართა, სავარძლებს შორის მიზავალი ცდილობდა წონასწორობა შეენარჩუნებინა: ავტობუსი აქეთ-იქით ირწუნოდა, ქალს კი ხელები ჩემოდნითა და პორტფელის შქონდა დაკავებული.

— თქვენ მაღაზია გნებავთ თუ სასოფლო საბჭო? — შეეძინა შოფერმა.

— მე ვეტერინარული უბანი მინდა.

— მაშასადამე, სავაჭრო ჯიხურთან გაგიჩერებთ.

„მეზოვეები“ საქარე მინიდან სველი მატყლის მსგავს რალაცას გაჭირვებით წმენდდნენ და ზედ მეტ-ნაკლებად გამჭვირვალე ნახევარწრეს ხაზავდნენ, რომელსაც თავბრუდამხვევი სისწრაფით აცვივოდა ფიფქები და ხანგამოშვებით გაიელვებდა ხოლმე შავი სილუეტები, ხან თივის ზვინებს რომ ჰგავდა, ხანაც გოტიკურ კოშკებს. ნეტა რომელი მათგანი იყო მაღაზია?

— მითხარით...

— რა იყო?

— მაღაზიასთან გაჩერდებით?

— აბა, რა... — ცოტა არ იყოს მკვახედ ჩაიბურტყუნა შოფერმა, რადგან საშინელი ამინდი იყო და წინ აღარაფერი ჩანდა, რის გამოც გუნება გაფუჭებოდა.

— მე გამომყევით, — გაისმა ზურგს უკან მამაკაცის ხმა, მერე მოკლედ, მოგუდული სიცილი. — ჩემთან არ დაიკარგებით.

ჯემა მიტრიალდა. ეტყობა, გზის ჩვენებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ არ მოეწონა კილო, რომლითაც ეს ითქვა, მით უფრო არ მოეწონა სიცილი. ქალს ხმა არ გაუღია, მხოლოდ თვალი შეავლო და იგრძნო, რომ ყველაზე მეტად თვითონ ეს წვეროსანი კაცი არ მოეწონა. ნეტა ნასვამი ხომ არ იყო?

ავტობუსმა დაახლოებით კიდევ ერთი კილომეტრი გაიარა და გაჩერდა.

— აქ უნდა ჩამოვიდე?..

— დიახ.

ჯემა მანქანიდან გადმოვიდა და მაშინვე თოვლის კორიანტელში გაეხვია — ბარდნიდა. სალამოს ბინდბუნდში, ქარბუქს კიდევ უფრო რომ დაეებნელებინა, ბუნდოვნად გამოჩნდებოდნენ და გაიელვებდნენ, ირგვლივ იშლებოდნენ და ყელყილაობდნენ, შენივთდებოდნენ და დნებოდნენ აჩრდილისებრი სილუეტები ისევე, როგორც ავტობუსის ფანჯრის მიღმა იმ წუთიდან, თეთრი ქაოსი რომ დატრიალდა. ამ აჩრდილთა შორის წინ, გაჩერებასთან, ჩანდა მხოლოდ ერთი შენობა, რომელიც რეალურს ჰგავდა. მას სათანადო აბრაც ჰქონდა, რომელიც იუნყებოდა, რომ ეს იყო ამა და ამ სამომხმარებლო კოოპერაციის ესა და ეს მაღაზია. მაღაზიისკენ ფართო ბილიკი მიდიოდა, რომელიც ახლა ისევე, როგორც ყოველივე გარშემო, თოვლით იყო დაფარული.

— იქით ნუ მიდიხართ! — გაისმა ჯემას უკან. — ხომ გითხარით, მე გამომყევით-მეთქი.

ქალს არ სურდა წვეროსანთან ნაცნობობა, მაგრამ ახლომახლო სუ-

ლიერი არ ჩანდა და სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ კაცს გაჰყოლოდა. ქალი ასეც მოიქცა, მაგრამ ცდილობდა ოდნავ ჩამორჩენოდა: იცოდა, როგორც ამგვარ შემთხვევაში ხდება ხოლმე, აუცილებლად დაუნწყებდნენ გამოკითხვას, ვინ და საიდან ხარო, მას კი საკუთარ თავზე ლაპარაკი სულაც არ უნდოდა.

ქრისტეშვილი
ბიზნიშვილი

— მელანიასთან მიდიხართ?

ასე იწყება ხოლმე.

— პრაქტიკანტი ხომ არა ხართ? — დაინტერესდა კაცი.

— მმმ, — გაურკვეველად ჩაილულულა ჯემამ და კაცს საშუალება მისცა, რაც სურდა, ის ეფიქრა.

— გაზაფხული კი არა, რაღაც უბედურებაა! თოვლიც რომ ჩამოჰყარა... შორიდანა ხართ?

— დიახ.

— საიდან?

— რა მნიშვნელობა აქვს?

— გასაგებია! როგორც კადრების განყოფილებაში იციან... — მხიარულად შეეხმიანა კაცი. — ჩემოდანი მძიმეა?

— არა.

კაცმა ჩაიციინა.

— ეტყობა, აღარ ღირს სახელი გკითხოთ.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა ჯემა.

— გეტყობათ, ადამიანებისგან ცუდი ბევრი გინწნევიათ.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— თქვენ ისეთი...

— კიდევ შორია?

— უბნამდე? არა, აი, ხედავთ?

ჯემამ იმ მიმართულებით გაიხედა, საითაც უცნობი მიუთითებდა, მაგრამ მხოლოდ ორი აბოლებული ღრუბელი დაინახა, რომლებიც შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც გნებავთ, მაგრამ შენობას არაფრით ჰგავდა. თუმცა, რომ მიუახლოვდნენ, ეს ორი ღრუბელი დიდ ხეებად გადაიქცა — ცაცხვებად თუ ნეკერჩხლებად, რომელთა ძირშიაც დაბალი შენობა იდგა.

— აი, თქვენი ციხე-დარბაზიც.

ეს იყო დამრეცსახურავიანი ძველი სახლი, რომელიც აქ, ალბათ, გასული საუკუნიდან იდგა და თანდათანობით ჩამძვრალიყო მიწაში. იქვე მახლობლად ფარნიანი ბოძი აღმართულიყო, აქვე იყო კადონიც, რომელზედაც, ალბათ, აღარც აბამდნენ ცხენს ან ძროხას, ეტყობა, საერთოდ მივიწყებული ჰქონდათ და ისეთი არავინ იყო, კადონი აეღო.

— გმადლობთ, — უთხრა ჯემამ, — და მშვიდობით.

— ნახვამდის, — უდარდელად მიუგო კაცმა... — ვინ იცის, იქნებ ისევ შევხვდეთ ერთმანეთს და კვლავ მკითხოთ გზა.

— არა მგონია, — მიუგო ჯემამ, თანდათანობით რომ შორდებოდა.

— მაგას ნუ იტყვით, ჩვენი დაბა პატარაა, — მიაძახა კაცმა, თან კიდევ რაღაც დაუმატა, რაც ქალს არ გაუგონია და არც ცდილა გაეგონა.

ამობურცული, თოვლით დაფარული საფეხურები, რომელთაც ქარბუქის დროს არავის ფეხი არ შეხებია, თითქმის დანამქრული და ასევე ფეხდაუკარები ბილიკი და თოვლმიყრილი პატარა ფანჯრები შენობას არა-

საცხოვრებელი ნაგებობის იერს ანიჭებდა. რატომღაც ეგონა, კარიც ბოქლომით იქნება დაკეტილიო. როცა ჯემა პარმალზე ავიდა და თოვლს პირველი ნაკვალევი დააჩნია, რომელიც ქარბუქმა მაშინვე ხარბად დაფარა, კარი მართლაც დაკეტილი აღმოჩნდა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სახლი მიტოვებული და უკაცური იყო. ჯემამ დააკაკუნა კარი არავინ გაუღო, ხმაც არავინ გასცა. სახლი ჩამკვდა და მთელი ეს სურათი ნაღვლისმომგვრელი იყო.

„აი, როგორი ყოფილა მურგალე“, — ფიქრობდა ჯემა, ყურადღებად ქცეული გარშემო რომ იცქირებოდა, თოვლი კი თვალებს უბრმავებდა და შრიალებდა. კაცის ჭაჭანება არ იყო, კიდევ ერთხელ დააბრახუნა, თუმცა იმედი არ ჰქონდა, გამომეხმაურებიანო. მართლაც მისი ბრახუნი აინუნშიაც არავის ჩაუგდია. ძალსაც არ დაუყფფია. გული ისევ შეეკუმშა დარდისა და მარტოობისაგან.

ერთხანს კიდევ იდგა, ზედ ათოვდა, თმაც დაუსველდა და ხელთათმანებიც. თოვლი კი განუნწყვეტილვ მოდიოდა და მოდიოდა, თითქოს გადაენწყვიტა, ყველაფერი დაეფარა და გადაესწორებინა. ჯემამ ჩემოდანი ისევ აიღო და მძინარე მზეთუნახავის ამ მოჯადოებულ სამეფოში თუნდაც ერთი ცოცხალი არსების საპოვნელად გაემართა. გადანყვიტა, მახლობელ სოფლამდე მისულიყო, მაგრამ კუთხეში რომ მოუხვია, სახლის მეორე მხარეს განათებული ფანჯარა და კიდევ ერთი შესასვლელი დაინახა. კარი ოდნავ მოღებული იყო და გარეთ სურნელოვანი კვამლი გამოდიოდა. რაღაცას წვავდნენ.

მცირე სამზარეულო მტრედისფერი კვამლით იყო სავსე და ხანშიშესული ქალი ბლინებს აცხობდა.

— გამარჯობათ!

ქალმა უკან მოიხედა.

— მე თქვენთან გამომგზავნეს...

— რომელი კოლმეურნეობიდან ხართ? — ჰკითხა ქალმა, ხელში დიდი დანა რომ ეჭირა და ბლინის გადაბრუნებას ჩქარობდა, რადგან, ეტყობა, ღუმელში მაგარი ცეცხლი ენთო. — თუ უფროსი გინდათ, თავის ბინაშია.

— ტექნიკუმიდან ვარ. პრაქტიკაზე ჩამოვედი.

— ვაიმე, ღმერთო ჩემო! — სიხარულითა და ძრწოლით შესძახა ქალმა, ტაფას თავი მიანება და დანამომარჯვებული სტუმრისკენ გამოემართა. ქალი მაღალი იყო, მხარბეჭიანი, მამაკაცს ჰგავდა, ძვალმსხვილი და ძარღვმაგარი გახლდათ, ბებერი ცხენივით ძარღვმაგარი, და როცა მიუახლოვდა, ჯემამ ლამპის შუქზე შენიშნა, რომ ზედა ტუჩზე უღვაშები ამოსვლოდა. — ჩემო ძვირფასო, რა თავივით გალუმპულხარ, თოვლში ამოგანგლული არ მოგვადექი კარს! — კვლავ შესძახა ქალმა იმავე გაურკვეველი კილოთი, რომლითაც შეიძლებოდა აღშფოთებაც გამოხატულიყო და აღტაცებაც, ხელები წინსაფარზე შეიწმინდა და ჯემას მხრებში ვაჭკაცურად ჩააფრინდა. ჯემამ, ზურგში დანის ტარს რომ გრძნობდა, შიშით გაიფიქრა: ვაითუ ამ უღვაშიანმა პირმა მაკოცოსო! — მე მელანია ვარ! — ისე ხმამაღლა და აღტაცებით უთხრა ქალმა, თითქოს ჯემას განსაკუთრებით სასიამოვნო ახალ ამბავს ამცნობსო, კიდევ აპირებდა რაღაცის დამატებას, მაგრამ მხურვალე ცეცხლზე ბლინებმა ლურჯი კვამლი აუშვეს

და გაცნობა საკმაოდ მიფურჩეხებული გამოვიდა — ჯემამ თავისი სახელიც კი ვერ უთხრა ხეირიანად.

ნერონმა უცებ გაიგონა ის, რაც ვოიცეხოვსკის გამოცხადება — კარს ფეხის ხმა უახლოვდებოდა. ვოიცეხოვსკის ბინის კარი — აქაური ჩვეულების საწინააღმდეგოდ — თითქმის მუდამ დაკეტილი იყო. იმის საბაბი გახდა, რომ მასზე ათასნაირი ხმა გავრცელებულიყო: ამბობდნენ, ძველმანებს უფრთხილდებო, ცხვირს ზედმეტად იბზექსო, მუდამ უცხო ქალები ჰყავსო და სხვა მისთანანი, და თუკი ეს მართალი იყო, მხოლოდ ნაწილობრივ. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ვოიცეხოვსკის არ უნდოდა ვინმე შესწრებოდა, როცა წვერს იპარსავდა, როცა საჭმელს მიირთმევდა ან ტანსაცმელს იცვლიდა, საყოფაცხოვრებო თუ ფიზიოლოგიური ხასიათის მქონე ერთ-ერთი იმ აუცილებელი საქმიანობის დროს, შორიდან კომიკური რომ ჩანს. თუმცა საჭიროდ არ მიაჩნდა ამის გამო რაიმე ახსნა-განმარტება მიეცა და მსგავს შეკითხვებს ღიმილით პასუხობდა, ჩუმად ყალბ ფულს ვბეჭდავო...

გარედან დააკაკუნეს.

— ვი-ინ არ-რის? — დაიჭრიალა ტიერმა და კარისკენ გაქანდა, რომლის იქითაც ნაცნობი ბარიტონი გუგუნებდა: — მელანია მოო-ოვიდა! მელანიაა!

მაგრამ მელანია მარტოკა არ მოსულა. მას უცნობი ქალიშვილი ახლდა, რომელშიც ვოიცეხოვსკიმ შეუცდომლად ამოიცნო პრაქტიკანტი. „აკრედიტაციის მიზნით გამოცხადდა“, — გაიფიქრა მან, თან ქალიშვილი შეათვალიერა და დაასკვნა, რომ იგი სავსებით ნორჩი და ქორფა იყო, ოღონდ ოდნავ ვიწრო მხრები ჰქონდა და საერთოდ ნაზი აგებულებისა გახლდათ. თუმცა მთავარია არა ბიცეფსები და ტრიცეფსები, არამედ ფხა, როგორი თავი აბია მხრებზე. გოგონას გაუჭირდება რთული მშობიარობის მიღება ან ლეიკოზზე სისხლის დიდი რაოდენობით ალება თუ მოუხდა.

— სალამო მშვიდობისა, აი, ჩემი საბუთები, — უთხრა ქალიშვილმა და თავის მხრივ ვოიცეხოვსკის შეაცქერდა, დიდხანს უყურებდა ჩაცვებით და ვოიცეხოვსკიმ მსუბუქი ირონიით გაიფიქრა: საინტერესოა, როგორი ვჩანვარ ქალიშვილის თვალში თვითონ მე, იქნებ იმასვე ფიქრობს ჩემზე, რასაც მე ვფიქრობ მასზე, — ვიწრო მხრები აქვს, ნაზი აგებულებისაა და არცთუ შთამბეჭდავი გაბარიტების პატრონია, ყოველ შემთხვევაში ისეთი წარმოსადეგი არ არის, როგორიც ჩემი „სულიერი მამა“ მეგონაო.

— მობრძანდით.

გოგონას წამწამები აუპარპალდა, როგორღაც გაჭირვებით მოსწყვიტა / ზერა ვოიცეხოვსკის და ნერონზე გადაიტანა.

— არ გიკბენთ, თამამად შემოდით. გეშინიათ ძაღლების?

ქალიშვილმა თავი დაუქნია.

— მაშ ცოფის საწინააღმდეგო აცრა როგორ უნდა გააკეთოთ?

— შევეჩვევი, — შეპირდა ქალიშვილი.

— დიდებულება, — თქვა ვოიცეხოვსკიმ და ქალიშვილს თვითნაკეთ ყდაში ჩასმული მივლინების ფურცელი და სხვა მოწმობები გამოართვა.

— მელანია მოვიდა! — განაგრძობდა ყრიამულს ტიერი. — ეგ ლაზ-ლანდარა!

— ჰაიტი, შე ენაჭარტალა, შენა! — ნაზად ჩაილაპარაკა მელანიამ, ტუჩები საყვირივით დაამრგვალა და ფრინველს ისე დაუნყო აღერსი, როგორც ბავშვს. ვოიცებოვსკიმ კი ქალაღებში გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:



— „ჯემა ევა, მესამე კურსი“.

თავი ასწია.

— მაპატიეთ, რომელია თქვენი სახელი?

— ცხადია, ჯემა, — ნერვულად, ოდნავ მოუთმენლად წარმოთქვა ქალიშვილმა და განითლდა კიდევ, რადგან, როგორც ჩანდა, ამისთანა კითხვას პირველად არ უსვამდნენ.

ვოიცებოვსკიმ გაიფიქრა, არც ისე ცხადია, თუმცა, მას „ევა“ უხდება — სულ ერთია, სახელია მისი თუ გვარი. ბუნებრივი ქერაა თუ შეღებილი? თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვსო.

— მაშასადამე, დეპეშა თქვენ გამომიგზავნეთ?

— მე არ ვიცოდი, საჭირო იყო თუ არა, მაგრამ...

„დეპეშის გამოგზავნა მართლაც არ იყო საჭირო“, — თავისთვის გაიფიქრა კაცმა, ხმამაღლა კი უთხრა:

— ბოლოს და ბოლოს მივხვდი, ვისგანაც უნდა ყოფილიყო, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ გამიჭირდა... ჰო, მე ვოიცებოვსკი ვარ. ასე რომ, შეიძლება ჩაითვალოს — გავიცანით ერთმანეთი.

სხვა საბუთებიც გადაფურცლა: სტუდენტის ბილეთი, ხელოვნური დათესლვის ტექნიკოსის მოწმობა...

— მანდ „მართვის უფლება“ არის, — უთხრა ქალიშვილმა.

— რის მართვის უფლება? — დაინტერესდა კაცი.

— მანქანის!

ვოიცებოვსკიმ „მართვის უფლება“ იპოვა და გადაშალა. იგი ახალი იყო და ნებოს სუნი ასდიოდა. პროვინციული ფოტოგრაფის მომენტალურ სურათზე ჯემა ძალზე მამაცად გამოიყურებოდა და ცხვირი მაღლა აებზიკა.

„საინტერესოა, ახდენს თუ არა ავტონსპექტორებზე გავლენას მსხვერპლის სახის გამომეტყველება?“ — გაიფიქრა ვოიცებოვსკიმ. მან საბუთები დახურა და ჯემას დაუბრუნა, ქალიშვილმა კი ოდნავ იმედგაცრუებით გამოართვა — ეტყობა, მოელოდა, რომ ახალი „მართვის უფლება“ ვოიცებოვსკიზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

— მაშ ასე, ხვალ ხუთ საათზე. მექანიზაციის სკოლის ფერმაში მივმგზავრებით ბრუცელოზზე სისხლის ასაღებად. შეკითხვები გაქვთ?

ქალიშვილს შეკითხვები არ ჰქონდა.

— მაშინ სულ ეს არის.

— არაფერიც! — ჩაერია საუბარში მელანია. — მოვედით, რათა უფროსობა კოლექტიურ ბლინებზე მიგვეწვია.

— ასეა საქმე?

რაო, პან ვოიცებოვსკი, ხომ არაფერი შეგეშალა შენს ნაქებ პედაგოგიკაში? ნუთუ შენ კი არა, მელანიას, რომელსაც ხელფასი სამოცი მანეთი აქვს, უნდა მოემზადებინა ეს „კოლექტიური ბლინები“ თუ, რაც გინდა დაარქვი? წავიდეს? წასვლის დიდი სურვილი არა აქვს. არ წავიდეს? როგორღაც უხერხული ჩანს. ჰმ. ბოლოს და ბოლოს ღირს კი ეს უმ-

ნიშვნელო ამბავი ამისთანა პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანოს? წასვლაც შეიძლება, სამსახურის შენობაში ეს უფრო მოსახერხებელიც კია, ვინემ საკუთარ ბინაში, — არავითარ მოვალეობას არ გრძნობ, სტუდენტის სტატუსიც იმის უფლებას იძლევა, განწყობილებისა და მდგომარეობის მიხედვით მოიქცე, მაშინ, როდესაც საკუთარ ოჯახში ტრადიცია და ეტიკეტი უამრავ მოვალეობას აკისრებს მასპინძელს და სურვილის შემთხვევაში თქვენი თავაზიანობა შეიძლება ყველანაირად ახსნან...

— იყოს ნება თქვენი! — დაეთანხმა ვოიცებოვსკი, რომელიც მზად იყო მსხვერპლი გაელო, მაგრამ თავის დასაძვრენიც დაიტოვა — ვახშიმიდან გამოქცევა რომ შესძლებოდა, დაუმატა, სახლიდან დიდი ხნით წასვლა არ შემოიძლია, რადგან, ალბათ, „კოპუდრუვიდან“ დამირეკავენო. ამის მომიზეზება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, რადგან უბანში მას ისეთივე წარმატებით მოძებნიდნენ, როგორც შინ. თუმცა არც მელანიასა და არც ჯემას ამის თაობაზე არაფერი უთქვამთ — მით უკეთესიო, გაიფიქრა.

ვოიცებოვსკი მეორე ოთახში გავიდა, რათა ზოგი რამ აელო იმ მარაგიდან, საგანგებოდ ამნაირი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის რომ ჰქონდა, და თავისი წილი გაელო საერთო ვახშიმისათვის. ესმოდა, როგორ საუბრობდნენ ამასობაში მელანია და ჯემა, და თავისთვის აღნიშნა, რომ გოგონას ახლა უფრო ბუნებრივად ეჭირა თავი, ვინემ მისი თანდასწრებით, უფრო თავისუფლად, რაც გასაგებიც იყო, რადგან, ასე იყო თუ ისე, ვოიცებოვსკი მის უფროსად, დამრიგებლად ითვლებოდა, ამავე დროს სავსებით უცხო კაცი გახლდათ, რომელსაც სხვათა შორის უბოდიშო დამოკიდებულება არა სწყუროდა და ამას არც მალავდა, რათა წინასწარ აეცდინა თავიდან ქალთა სქესისათვის დამახასიათებელი საერთო სენი — სწრაფვა იმისადმი, რომ თავზე დაგაჯდეს ან მსგავსი რამ სცადოს. ჯემას ჩუმი, თითქოსდა ჩავარდნილი ხმა ჰქონდა — ვერ გაიგებდი, ბუნებით ასეთი ხმის პატრონი გახლდათ თუ ვოიცებოვსკისადმი პატივისცემით იყო ეს გამოწვეული, სამაგიეროდ, მელანიას ხმამალალი გუგუნი ავლენდა საუბრის ხასიათს. ეტყობა, ჯემამ ტიერის ამბავი იკითხა, რადგან მელანიამ უპასუხა:

— აბა რა, აფრიკიდანაა... თვითონ? არა, არ ყოფილა... მხოლოდ გერმანიაშია ნამყოფი... ომის დროს... აქ იშოვნა... ერთ ქალს გამოართვა, სახელად ალისა ჰქვია...

ვოიცებოვსკი უნებურად დაიძაბა, იგი ელოდა, ახლა პეტერსაც ახსენებსო, და თუმცა ქალს პეტერის სახელი არ უხსენებია, მაინც იცოდა, რომ მელანია პირველივე შესაძლებლობისთანავე ყველაფერს ამოუყაჭავდა პრაქტიკანტ გოგონას მის და მისი ცხოვრების შესახებ, დაწვრილებით ჩაუკაკლავდა ყოველივეს, წარსულს დაუსურათხატებდა და, როგორც დიდებული მზარეული, შლეგი ფანტაზიის გარნირით შეაზავებდა, იქნებ მელოდრამატული სანებელიც დაერთო. როგორც ყოველ ჩაკეტილ კაცს, ვოიცებოვსკისაც სასტიკად აბრაზებდა და აღიზიანებდა უცხო ადამიანების ცდა მის ცხოვრებისეულ წვრილმანებში ეკირკიტათ და მის სულში ხელი ეფათურებინათ, მაგრამ გამოცდილებით იმდენად დაბრძენებულიყო, რომ ხვდებოდა: ამის მიმართ ყოველგვარი წინააღმდეგობა დონკიხოტობას წარმოადგენდა და შეიძლებოდა დასაცინიც კი გამხდარიყო. ამი-

ტომ თავს არიდებდა რაიმე ახსნა-განმარტებას, არაფერზე დავობდა, მხოლოდ ილიმებოდა ხოლმე, როცა მის ყურამდე აღწევდა ერთ-ერთი იმ ფანტასტიკურ ვერსიათაგანი, რომლის შემოქმედიც, რაშიაც უსაფუძვლოდ როდი იყო დარწმუნებული, სანიტარი მელანია გახლდათ, მისი მარჯვენა ხელი და საყრდენი, მისი აჩრდილი და მისი უბედურება — გუბებრი როკაპი მელანია, რომლის განთავისუფლებაც, ალბათ, ათობედევან მაინც უნდოდა, მაგრამ არ გაათავისუფლა, რადგან იცოდა, რომ გაეთავისუფლებინა, ისევ მიიღებდა და მერე ნამდვილად უარესად წავიდოდა საქმე...

სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა, ქალიშვილი ერთხანს შეეყოყმანდა, თითქოს ფიქრობდა, უკანა სავარძელზე მოკალათებულიყო თუ ვოიცებოვსკის მისჯდომოდა გვერდით, სადაც ადგილი თავისუფალი იყო, რადგან ერთი საათის წინ მელანია სახელმწიფო მანქანით გაემგზავრა. კაცმა მოკლე შესტით ანიშნა, გვერდით მომიჯექიო.

— გთხოვ.

და ჯემა დაჯდა.

მზე კარგა ხნის გადანვერილი იყო, ზეცას ჟოლოსფერი ედო, ჩრდილებს — იისფერი. პეიზაჟი აკვარელურად წმინდა იყო, ტონები და ფერები ერთმანეთში მდორედ გადადიოდნენ, როგორც ადრეული გაზაფხულისას ხდება ხოლმე. გუშინდელ ქარბუქს არ შეუყოვნებია და არ დაურღვევია წყლის დროთა რიგი. ერთი მზიანი დღე საკმარისი გამოდგა, რომ ყველაფერს თავისი ადგილი დაეჭირა.

„კარგი დღეა“, — გაიფიქრა ვოიცებოვსკიმ.

მანქანა ნელა მიჰყავდა, წყლის გუბებთან ამუხრუჭებდა, სადაც შესაძლებელი იყო, ორმოებს გვერდს უქცევდა, სიამოვნებდა ამ პატარა, მორჩილ ჯაბახანაში ჯდომა. მინასავით კრიალა ზეცაში კვალი ისე ადიოდა, როგორც სანთლებიდან, და დარს წინასწარმეტყველებდა. ადამიანები ვახშამს ამზადებდნენ, კარტოფილს ორთქლში ატარებდნენ ღორებისათვის. მოუსვენარი და კაშკაშა დღის შემდეგ, თვალებს რომ ჭრიდა და აბრმავებდა, სალამო მშვიდად და მთვლემარედ სუნთქავდა...

ვოიცებოვსკიმ მანქანა ვეტუბნის პარმალს მიაყენა, რომ ჯემა იქ გადმოესვა. ქალიშვილი გადმოვიდა, მაგრამ როდის-როდის მიხურა კარი, იდგა და ვოიცებოვსკის უყურებდა. იქნებ მითითებებს ელოდებოდა?

— ხვალ ხუთზე, — მოკლედ უთხრა ვოიცებოვსკიმ. — კარგად იყავი.

ჯემა ჩუმად გაეპასუხა ბინდბუნდიდან:

— ნახვამდის.

მაშ ასე, ბოლოს და ბოლოს მარტოკა დარჩა. მართალი რომ ითქვას, ძალღვივით დაილალა. ახლა შინ წავა, შინ...

თუმცა ორმოცდაათი მეტრის გავლაც ვერ მოასწრო, რომ აღისა შენიშნა. ქალს ჩანთები ეჭირა და გზისპირს მიჰყვებოდა, ეტყობა, ავტობუსიდან ჩამოსულიყო, და კაცმა ფარების შუქზე დაინახა, რომ ქალს ამინდის შესაფერისად არ ეცვა — საზამთრო თუ საშემოდგომო პალტო ეცვა, ძალზე შავი, ერთობ მძიმე და გრძელი, პალტო მის ფიგურას ზორზოხსა და მოუხეშავს აჩენდა. შეიძლება ეს არა პალტოს, არამედ ლიპი გზის ან მძიმე ტვირთის, ან კიდევ უბრალოდ დროის ბრალი იყო. და როცა კაცმა

მანქანა დაამუხრუჭა და ალისას გაუსწორდა, მიხვდა, რომ ამის მიზეზი მართლაც დრო იყო — ალისა თანდათანობით ბერდებოდა. კაცმა გაიფიქრა, შეიძლება ქალიც ამასვე ფიქრობდეს ჩემზე, რადგან წლებმა არც ერთი ჩვენგანი არ დაინდო და თითქოს მხოლოდ პეტერი არსებობსო დროის გარეშე...

ვოიცეხოვსკიმ მანქანა გააჩერა. თვითონაც არ იცოდა, რატომ გააჩერა და რის თქმას უპირებდა ალისას. მაგრამ, როცა ქალმა იმედიანი თვალი შეავლო, კაცი მიხვდა, რომ ალისა მისგან პეტერის ამბის გაგებას მოელოდა, და იმასაც მიხვდა, თვითონაც იმიტომ გააჩერა მანქანა, რომ ალისასგან გაეგო რაიმე ამბავი. მაგრამ ორივენი უსიტყვოდ მიხვდნენ, რომ ვერავითარ ახალ ამბავს ვერ შეიტყობდნენ ერთმანეთისგან. ალისამ დიდსულოვნად ააცილა კაცს თავიდან ამაზე ლაპარაკი, თავის მხრივ ვოიცეხოვსკიც ასე მოიქცა, თითქოსდა ერთმანეთის დაზოგვას ცდილობდნენ ეს საოცრად განსხვავებული ადამიანები, რომელთაც მხოლოდ ერთი რამ აკავშირებდათ — ორთავეს უყვარდა პეტერი. ალისამ უთხრა, თავისუფალი დღე მქონდა და რიგაში ვიყავო, კაცმა კი აცნობა, მექანიზაციის სკოლიდან ვბრუნდებიო, რადგან ადამიანები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, ასეთი წესი არსებობს — რაღაც უნდა უთხრან ერთურთს. ისინი არაფერზე ჩიოდნენ. მაგრამ ყოველთვის, როცა ალისას შეხვდებოდა ხოლმე, კაცს სევდა იპყრობდა. შესაძლებელია, ალისაც ამ დღეში ვარდებოდა. და კიდევ, კაცი წინასწარ გრძნობდა, რომ მთელ საღამოს სევდის ტყვეობაში იქნებოდა და აქ ვერავითარი ნაკურთხი წყალი ვერ უშველიდა, და ასე სასურველი მარტოობა დაახრჩობდა...

ქალი საჩქაროდ გამოემშვიდობა. ვოიცეხოვსკიმ მანქანა დააყენა და დაღლილი აუჩქარებლად გაემართა სახლისაკენ, თან ჩვეულებრივზე მეტად კოჭლობდა.

პარმალზე ვიღაცა იჯდა.

— შენა ხარ, ათის? — შეეხმიანა კაცი.

— მე ვარ.

— რას აკეთებ ამ სიბნელეში?

— ნერონს ძვლები მოვუტანე.

— მერე არ გიკბინა?

ბიჭმა გაიცინა.

— ჩვენ ახლა ამ საქმეს გამოვასწორებთ, — უთხრა ვოიცეხოვსკიმ და გასაღების ამოსაღებად ჯიბეში ჩაიყო ხელი.

გასაღები ამოიღო და კარი გააღო.

— გთხოვ.

ათისი წინ გაატარა. ნერონი წკმუტუნით გამოვარდა, ბიჭი ძალღს მოეხვია და სახეგაბრწყინებულმა რუხ ჯაგარზე გადაუსვა ხელი. ვოიცეხოვსკი კი ბავშვის კეფას შესცქეროდა და მისი აწეწილი მოგონებებიდან ისევ წამოტივტივდა ფიქრი პეტერზე, რომელსაც იგი უცხო ადამიანად მიაჩნდა.

ეს ბიჭი? რას ეძებდა მასში ათისი? იქნებ ათისს იგი სულაც არ სჭირდებოდა და მხოლოდ მისი ძალღი უყვარდა? იქნებ მხოლოდ მისი საოცარი ზღვისიქითური ფრინველი იზიდავდა? ერთი სიტყვით, ცხოველები და არა თვითონ ფელიქს ვოიცეხოვსკი?

კარგი, იყოს ასე...

მაგრამ უნერია თუ არა ათისის ამ გატაცებასა და მიდრეკილებას ერთ მუშტად შეიკრას და მის მონოდებად, ცხოვრების მიზნად გადაიქცეს? თუ ზოგად ოცნებადა და ლტოლვად გადაიქცევა — მთვარის თალებად და ფუჭყვაავილად, უდაბნოს მირაჟად, საოცარ ციალის აფეთქებულ საუკუნო და მტანჯველ, მოუკლავ წყურვილად?..

ვოიცეხოვსკიმ საკუთარი თავი იმაზე დაიჭირა, რომ ისევ პეტერზე ფიქრობდა და არა ათისზე. იქნებ პეტერს თავისი არშინით ზომავდეს და ამაში იყოს მისი საბედისწერო შეცდომა? იქნებ ის, რაც მას ტანჯავდა და უაზრობად მიაჩნია, პეტერისთვის ნამდვილი ბედნიერება იყოს, რის გაგებაც მას, ვოიცეხოვსკის, უბრალოდ არ ძალუძს, როგორც გაუგებარია შინაყუდასათვის გადამფრენი ფრინველების გენებში ხეტიალის ინსტინქტი? კაცმა რომ თქვას, რა ვიცი თ სხვა ადამიანების, თუნდაც საკუთარი ვაჟიშვილების შესახებ?..

ვოიცეხოვსკიმ ჩაახველა, რათა ეს ფიქრები მოეშორებინა. რა აზრი აქვს ამნაირ ფიქრებს: განა მათ, ამ უნაყოფო ფიქრებს, შეუძლიათ რამე შეცვალონ ან გამოასწორონ?

— ივახშმე, ათის?

— კი.

— ჩემთანაც ხომ შეექცევი ცოტას?

— შეიძლება, — დაეთანხმა ბიჭი.

— ჯერ ნერონი გაასეირნე, მე კი მანამდე ჩაის ავაღულებ.

კაცმა გაზზე ჩაიდანს შემოდგა და აბაზანაში გავიდა.

ცხელი წყალი, რა თქმა უნდა, არ იყო, აბა, ბოილერს ვინ გააცხელებდა. მან ცივი წყლის ონკანი მოუშვა და გაიხადა, თუმცა შეეყოყმანდა, სანამ შხაპქვეშ დადგომას გაბედავდა. ამგვარ მომენტში ყველაზე ნათლად და თვალსაჩინოდ ჩანს — ბრრ, ყინულივით ცივია ეს ოხერი! — რამდენად ძლიერია ადამიანში საკუთარი ტყავის გაფრთხილების ინსტინქტი. პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით... ყინულივით ცივი წყლის ნაკადქვეშ მდგომსაც შეგიძლია იფილოსოფოსო, პან ვოიცეხოვსკი! აი, მესმის ენთუზიაზმი! ვაითუ, ცოდვილი სული გაგძვრეს. აბა, აბა, თავს ნუ იკატუნებ, მეტი სიცოცხლე, თავი მაღლა! რალაც შთამაგონებელი და იდიურია საჭირო! ვთქვათ, Mens sana in corpore sano.

— ძია!

— უკვე დაბრუნდი?

— ჩაიდნიდან წყალი გადმოდის!

— გაზი გამორთე. ახლავე გამოვალ. გესმის?

— ჰო.

ყინულივით ცივმა წყალმა ოფლთან ერთად დაღლილობაც ჩამობანა, სამაგიეროდ თავი მოაგონა ძველმა, კეთილმა რევმატიზმმა — არც უამისობა ყოფილა. არ მოსწონს ამგვარი შხაპი, არა... აბაზანა ურჩევნია! სათბურა. ვეფხვის მალამო. თუმცა მძიმე დღის შემდეგ სითბოს უფრო ძნელად იტანდა — მაშინვე გადამწიფებული სოკოსავით ნაოჭდებოდა,

1. ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია (ლათ.).

ძალა ეკარგებოდა, როგორც ლიმონათს თავლია ბოთლში. დაუსუსტდა ტვინისა და კუნთების ტონუსი — ბებერია!

— ბიძია!

— მოვდივარ, ახლავე მოვდივარ. უკვე მოვრჩი.

— ტიერს ვაჭამო?

— უკვე ვიმშრალე.



ქართული
ბიბლიოთეკა

ხელი თავისთავად გაექცა ხაოიანი ზენრისკენ. ასე, ახლა წვერს გაიპარსავს. ამას ორი-სამი წუთი დასჭირდება. იგი სალამოობით იპარსავდა წვერს. ეს იყო ცოლიანი კაცის მრავალწლიანი ჩვეულება. თუმცა არა მხოლოდ ცოლიანისა. ხშირად დილაობით თავქუდმოგლეჯილი გარბოდა საქმეზე... ასე, ახლა კი ხალათი. როგორ გრძნობს თავს? არა უშავს რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტკივილს მუხლის სახსარში, მაგრამ ეს არაფერია...

კაცმა ჩაი დააყენა და ყველი დაჭრა.

— მოიტა შექარი. აქ კი ნამცხვარი მაქვს. როგორ გგონია, მურაბა გვინდა?

— რისი მურაბა გაქვს?

— ალუბლისა.

— კურკიანია?

— ჰო.

— დედა ამბობს, კურკები მავნებელიაო — შეიძლება ბრმა ნაწლავში გაიჭედოსო, — ამცნო ათისმა, მაგრამ ქილა მაინც მოიტანა — დიდი ამბავი, თუ გაიჭედება, ბრმა ნაწლავი გინდა გქონია და გინდა არა...

ორივენი დასხდნენ, უფრო ზუსტად რომ ითქვას, ყველანი დასხდნენ: პოლიციოგისკი მაგიოის ერთ მხარეს, მის პირდაპირ კი ათისი, ტიერი სკამის ზურგზე შემოსკუპდა, მის გვერდით იატაკზე ნერონმა მოიკალათა. ნამდვილი იდილია იყო. „ორთა პორტრეტი ცხოველებითურთ“, — გაიფიქრა ვოიცეხოვსკიმ, რომელმაც მოზღვავებულ სენტიმენტალობას ჩვეული ირონია გაურია.

— ნება მიბოძე, დაგისხა.

ათისმა თავისი ფინჯანი გაუშვირა.

— რზე დააკაკუნეს.

— შემოდით!

— მერთო დიდებულს, წუთუ დღეს ისევ მოუნდება სადმე გამგზავრება?!

მაგრამ ეს აიგარი იყო.

— გ-გამარჯობათ. აი, სად ყოფილა! — წამოისროლა ზღურბლს მომდგარმა აიგარმა. იგი ენას ძლიერ უკიდებდა, რაც მოწმობდა, რომ მაგრად იყო აღშფოთებული. — ი-იცო, რა გითხ-რრა!

— დაჯექი ჩემთან, აიგარ.

— ა-არ შემიძლია. დედა ისეა გაკაპასებული. მთელი მ-მურგაღე უნდა შემოირბინო, სანამ ამ ოპროჯილას იპოვიდეო. ვაი, როგორ მოგხვდება!.. მაშინვე ვთქვი, რომ თქვენსას იქნებოდა... აბა, ათის, ცოცნლად.

ათისი ნელა ჩამოფორთხდა სკამიდან.

— რამდენჯერ გაგიმეორო? მუდამ იძულებული ვარ, კვალდაკვალ

გსდომ მეძებარივით. სწორედ ახლა ფ-ფეხბურთს გადმოსცემენ, მე კი...
 ლ-ლაპარაკიც აღარ მინდა. აბა, გაინძერი! ჰოდა, ასე, ნახვამდის.

სამაგიეროდ ათისი არ დამშვიდობებია, არც კი მოუხედავს უკან,
 და ვოიცეხოვსკის მისი სახე არ დაუნახავს.

— Do widzenia, ponie... do widzenia, — ზარზეიმით ^{ქრისტეშვილი} ტი-
 ერმა.

— ხმა ჩაიწყვიტე, შე ყბუდო, შენა! — დაღლილი ხმით უთხრა ვოი-
 ცეხოვსკიმ.

კარი გაჯახუნდა და ფეხის ხმა თანდათანობით მიწყდა. დაუცლელი
 ფინჯანი, მონაკბეჩი ყველიანი ბუტერბროდი... რა მაგრად არის დაღ-
 ლილი... მიირთვი, პან ვოიცეხოვსკი, ძალა მოიკრიბე, ცხვირი რად ჩამო-
 გიშვია? თანაც ენთუზიაზმზედაც კი ლაპარაკობდი. უბრალოდ სიბერე
 შემოგეპარა, ძვირფასო ექიმო..

ნეტა ვინმე დარეკავდეს. მაგრამ — თფუ, თფუ! — ენამ არ უყვილოს,
 ზარი გამოძახების თითქმის ასპროცენტიანი გარანტიაა. სულ სხვაა, ცი-
 ლდამ რომ დაურეკოს რაუდავიდან. თუმცა საეჭვოა დაურეკოს. განა სა-
 სიამოვნო რა უნდა უთხრან ერთმანეთს ადამიანებმა, რომელთათვისაც
 აცუნდრუკების სტადია უკან დარჩაო, — ჩაიცინა თავისთვის.

ნეტა ვინმე მოვიდოდეს და თუნდაც ფურნაკში დებისგან გამაგრე-
 ბულ ბლინებსა და შარშანდელ მარწყვის მურაბაზე დაპატიყებდეს...

ვოიცეხოვსკი იჯდა, ნიკაპით ხელისგულს დაყრდნობოდა. ცხელ ჩაის
 ფინჯანში სურნელოვანი ორთქლი ასდიოდა. ჩაი თანდათანობით ცივდე-
 ბოდა.

დანაკლისის მძაფრი გრძნობა დაუფლებოდა, რაც სულ არ შეეფერე-
 ბოდა შემთხვევას! ნეტა ისეთი რა მოხდა? არაფერიც არ მომხდარა, ათი-
 სი წავიდა და მორჩა...

— ეს რა გულჩვილი ვინმე ხარ, ფელიქს ვოიცეხოვსკი, — უთხრა სა-
 კუთარი თავს. — ცუდად დახვეულ გორგალს ჰგავხარ. უაზრო გაუგებ-
 რობა, ოდნავი შეუთანხმებლობა, მცირე შეფერხება კმარა, რომ თავგზა
 აგერიოს; ძაფის წვერი რომ ჩამოცურდეს, უმალ დაიშლები და გულის-
 გულაიდე დაირღვევი. ნუ ფუთფუთებ წარსულში, ნუ იქექები, ამას არა-
 სოდეს შეუხორცებია ჭრილობა. ტანჯვით კი ცოდვებს ვერ გამოისყიდი,
 შენ იესო ქრისტე არა ხარ, პან ვოიცეხოვსკი.

მაგრამ მას შეეძლო მხოლოდ ისეთი ყოფილიყო, როგორც გახლდათ,
 საკმაოდ ბებერი, რომ შეეგნო თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე-
 ები, და ძალზე ხნიერი იმისათვის, რომ რამე შეეცვალა.

შეეძლო სიქაჩლე დაემალა, მაგრამ თმას ვერ ამოიყვანდა, შეეძლო
 ხელჯოხი არ ეხმარა, მაგრამ მაინც იკოჭლებდა, შეეძლო არ ელაპარაკა
 იმის თაობაზე, რა სტკიოდა, მაგრამ არ ძალუძდა არ ეფიქრა — ისევე
 როგორც ყოველ ჩვენგანს, არც მას ძალუძდა საკუთარ ჩრდილზე გადაე-
 ბიჯებინა. და მას დაჰქონდა თავისი წარსული, მახლობელ ადამიანთა და-
 ლუპვითა და საკუთარი ტანჯვით აღნიშნული, როგორც ლოკოკინას და-
 აქვს თავისი სახლი, ოღონდ ეს ვერაფერს შეელოდა: შემთხვევითი შეხება
 და უცებ შიშვლდებოდა ცოცხალი ქსოვილი. წარსული ირგვლივ ეხვეოდა
 და მას არ შეეძლო მისთვის თავი დაეღწია, გაფრენილიყო. და მისი ყვე-
 ლაზე დიდი სატანჯველი იყო...

დედის სიკვდილი, რაც სულ არ ახსოვს? თუ მამის სიკვდილი, რაც გატანჯული კაცისთვის შვების მომგვრელი იყო? ევას გარდაცვალება, რომლის სიმწარეც მანძილმა და დრომ გაუნელა? თუ მართას სიკვდილი, ადვილი და უცაბედი, როგორც გულით ავადმყოფთა უმრავლესობას ემართება, უმტკივნეულო სიკვდილი, როგორსაც საკუთარს მისცა? — უსურვებდა?

ზენონის სიკვდილი! ნაქცეული, არაქათგაცლილი ადამიანისთვის დამაზნებელი ავტომატის ლულა, ადამიანისათვის, რომელსაც ისიც კი არ აღირსეს, რომ ფეხზე მდგარი მომკვდარიყო. და პეტერის განდგომა, რაც სიკვდილის ტოლფასი, თუმცა არა, სიკვდილზე უარესიც იყო — იგივე გახლდათ, რაც ღალატი... შვილის სახეზე აღბეჭდილი ელდა მათი პირველი შეხვედრისას...

გონებით — კი, გონებით შეეძლო გაეგო და შეეგნო, რომ ოთხი წლის ბავშვისთვის სიტყვა „მამა“ მხოლოდ მარტინ კუპენტან იყო დაკავშირებული და არა მოულოდნელად მოვლენილ თავგადაპარსულ ცოცხალ ჩონჩხთან — მაშ სხვა რა იქნებოდა მაშინ ახალდაბრუნებული ვოიცეხოვსკი? მაგრამ საკუთარი თავისთვის მაინც ვერაფერი მოეხერხებინა — შეხვედრის მოლოდინში ბუნებითმა სულწასულობამ და ავადმყოფურმა გაღიზიანებამ სძლია გონების ხმას, ქუდმოხდილი კაცი იდგა, როგორც მთხოვნელი, და მის არსებაში რაღაც დაიმსხვრა. ოთხ წელიწადში მის არსებაში ბევრი რამ დაიმსხვრა — თავდაპირველად რაოდენის ციხეში, მერე სალასპილსში, შემდეგ შტუტგოფში და იმის მერეც, როცა მოსთხოვეს, დაასაბუთე, როგორ და რატომ დარჩი ცოცხალიო. ეგონა, ყველაფერი განიცადა, რის გაძლებაც და ატანაც შეეძლო ადამიანს, და აწი ქედს ვერაფერი მომახრევინებს, ვერაფერი შემადრწუნებსო. მაგრამ გამოირკვა, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა... ვოიცეხოვსკი კუპენტანს — მარტინსა და მარიანას — ცხარე, მწველი, მტრობაში გადაზრდილი ეჭვით შესცქეროდა, რადგან იმათ ეკუთვნოდა მისი ვაჟი, მისი პეტერი. ისინი კი სიჭრთხილთა და შიშით მისჩერებოდნენ, პეტერის წასართმევად მოგვევლინაო, გადაეწყვიტათ, ბავშვი არ დაეთმოთ, მზად იყვნენ, ნებისმიერ ფასად დაიცვათ თავიანთი უფლებები შვილობილზე, თუნდაც საამისოდ ძალის გამოყენება დასჭირდებოდათ. პეტერი კი ყვიროდა: არ მინდა... არ მინდა... არ მინდაო... შეშინებული გაურბოდა ფელიქსს და მარიანას იფარებოდა. ეს დარტყმასავით იყო, კიდევ უფრო მეტი, ვიდრე დარტყმა — ეს ღალატი იყო.

კაცი საოცრად დამცირებული იდგა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში მრავალჯერ იყო თავლაფდასხმული, მიწასთან გასწორებული და ნაცემ-ნაგვემი და არც ისე დიდი ხნის წინ ფიქრობდა, უკვე ვერავინ და ვერაფერი მომაყენებს ტკივილსო. თუმცა გამოირკვა, რომ ცდებოდა, რომ ტანჯვის ფორმებს დასასრული არა აქვს. მაგრამ იმ დროს, როცა პეტერმა მამაზე უარი თქვა და გაჰყვიროდა, არ მინდაო, კაცმა თავს შეჰფიცა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, თავი შეეყვარებინა შვილისათვის, თუნდაც ძალდატანებით. ეს გონების დაბნელებას ჰგავდა.

მაგრამ რის მოპოვება და მითვისება შეიძლება ძალდატანებით, ისე, რომ არაფერს ანგარიში არ გაუწიო? ნივთის, სიამოვნების... მაგრამ როგორ და რით უნდა მოიპოვო სიყვარული? ეგონა, ბავშვის გულისთვის

ყველაფერს დავთმობო, მაგრამ ეს მხოლოდ ქალს შეუძლია — ეს მის ძალას აღემატებოდა. მეორე მხრივ კი განა შეიძლებოდა, მისთვის მოეთხოვათ, პეტერზე უარი ეთქვა, მისთვის, ვისაც დაძაბუნებული და დასნეულებული სხეულიდა შემორჩენოდა? შეეძლო კი, შერიგებოდა/იმას, რომ პეტერს მამაზე უფრო სჭირდებოდა უცხო ქალი, ვიდრე მარიანა კუპენი?

ზიზლიჩიძე

ვერავინ მოხაზავდა კავკასიურ ცარცის წრეს. მაგრამ იქნებ ვერც ამას ეშველა, რადგან სრული უანგარობა მხოლოდ დედას ეხასიათებს... ისინი კი, ორივენი, მარიანაცა და ვოიცეხოვსკიც, თითოეული თავისი უფლებითა და სიმართლით, თავისი სიყვარულითა და რწმენით, თავისი ეგოიზმითა და კრეტინიზმით პეტერს სხვადასხვა მხარეს ექაჩებოდნენ და გლეჯდნენ, არ უფიქრდებოდნენ — ან არ სურდათ ჩაფიქრებოდნენ, რომ ასე შეიძლებოდა შუაზე გაეგლიჯათ, ვერ ხვდებოდნენ — ან არ სურდათ მიხვედრილიყვნენ, რომ მათ გარდა სხვასაც შეიძლებოდა ტკივილი განეცადა. ბავშვმა რა იცის? რა ტკივილი უნდა განიცადოს ბავშვმა? მხოლოდ მუცელი შეიძლება წამოსტკივდეს... თუ არ ყვირის, მაშასადამე, არ სტკივბია.

პეტერი?

იანგარიშა ვინმემ ის ძალა, რასაც წინილა ნაჭუჭის გამოტეხას ახმარს ან კვირტის გამოხეთქვას რომ სჭირდება? ან ის ენერგია, ქამასოკოს ასფალტის ამოსახეთქად რომ სჭირდება? და განა არ შეიძლება ქალის სამშობიარო ტანჯვა იმ ახალშობილის ტანჯვას შეედაროს, სინათლე რომ იხილა?

ჩემი ბავშვობის ყოველი დილა
იყო საამო და მხიარული...

ასეთი რამ მხოლოდ შლაგერებსა და იმ ადამიანთა ბურუსით მოცულ წარმოდგენებში არსებობს, რომლებიც დიდი ხნის წინ ყოფილან ბავშვები და ახლა თითქმის დავიწყებულიც კი აქვთ — როგორც მასა და მარიანას... ქალს იმის გულუბრყვილო, წმინდა რწმენა მაინც შემორჩა, რომ პეტერისთვის სასიკეთოდ ირჯებოდა. მას კი, ვოიცეხოვსკის, თავისი დანაშაული სტანჯავს და, თითქოს კნუტების დამკარგავი კატა არისო, უნდა, რომ თავის გამოცარიელებულ ბუნაგში თუნდაც ლეკვი შეიტყუოს.

ვოიცეხოვსკი წამოდგა, ბუფეტთან მივიდა და ის გააკეთა, რასაც იშვიათად აკეთებდა: სირჩაში ორმოცდაათიოდე გრამი კონიაკი ჩაისხა და ერთბაშად გადაჰკრა. მას სასმელის არც სიმაგრე უგრძვნია, არც გემო: *Wihil humani a me. alienum puto.*¹ ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. წინ და უკან დააბიჯებდა. მაგნიტოფონს გადააწყდა. უნდოდა, ისეთი რამ მოესმინა, მის განწყობილებას რომ შეეფერებოდა — პენდელი ან ბახი ჩაერთო. თუმცა სხვა ჩანაწერი გამოდგა და პეროიკული მუსიკის ნაცვლად ოთახში ახალგაზრდული, წკრიალა, მოზეიმე ხმები დაიღვარა, ისინი ქება-დიდებას ასხამდნენ ძველ კეთილ happy end-ს, ბედნიერ დასასრულს, და ირწმუნებოდნენ, რომ ამქვეყნად ყველაფერი დიდებულია და კიდევ უფრო უკეთესი იქნება, მშვენიერი, ბრწყინვალე და შეუდარებელი.

1. ჩემთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის (ლათ.).

- ექიმო!
- გისმენთ, მელანია, გისმენთ.
- პირისპირ მინდა მოგელაპარაკოთ.
- ეს კი მუქარასავით უღერს! კი, ბატონო. რა განუხებთ? /
- პრაქტიკანტის თაობაზე მოგახსენებთ. ქართული
საქართველო
- ინყება... — ჩაიბუზღუნა ვოიცეხოვსკიმ და დაეჭვებოდა.
- რა „ინყება“? არაფერიც არ ინყება. კი არ ინყება, არამედ, როგორ ვთქვა... გრძელდება...
- გრძელდება? სახელდობრ რა გრძელდება?
- არც კი ვიცი, ხეირიანად როგორ გიამბოთ. კაცმა ამოიოხრა.
- ღმერთო დიდებულო, ეტყობა, ბედმა გაგწირა, პან ვოიცეხოვსკი, თუ კი ამის მოყოლა თვით მელანიასაც კი არ ძალუძს!
- იცით, ექიმო, ვეჭვობ, რომ...
- დავაზუსტოთ: საქმე ფაქტთან გვაქვს თუ ეჭვთან? გაუგებრობა რომ ავიცილოთ თავიდან.
- ახლა ამოიხვრის ჯერი მელანიას დაუდგა.
- ერთი მხრივ, თითქოს მხოლოდ ეჭვთანა გვაქვს საქმე, მეორე მხრივ კი...
- ასე თუ ისე გასაგებია. განაგრძეთ! ყველაფერი ამოყაჭეთ, მზადა ვარ, საშანელებაც კი მოვისმინო.
- ვეჭვობ, ექიმო, რომ ეს გოგო სახლიდან... გამოქცეულია. კაცს შვებით გაეცინა. *O sancta simplicitas!*
- სულ ეს არის? არც კი მიკითხავს, რომელ წელშია დაბადებული, მაგრამ მე სავსებით საფუძვლიანად მიმაჩნია, რომ ჯემა სრულწლოვანია... მოითმინეთ, მელანია... და კი არ გამოქცეულა, არამედ ოფიციალურად არის გამოგზავნილი: მივლინებით, რომელსაც ბეჭედიც უზის და ხელმოწერაც აქვს. რაც შეეხება მუშაობასა და ყოფაქცევას, არავითარი შენიშვნა არა მაქვს. თქვენ გაქვთ რაიმე შენიშვნა? მაშ რაზე ვიმტვრევთ ბებერ თავებს, ძვირფასო მელანია? პანიკისა და გულის გატეხის საბაბის ნაშაბლსაც ვერ ვხედავ. მე...
- აოკირკიტა და ბიუროკრატი ხართ თქვენ, ექიმო! ბეჭედი. კანონი. ხელოვნება. ხოლო რა უტრიალებს ადამიანს აქ, — ქალმა მკერდზე, გულის სახლოეს, დაიკრა მუშტი, — ფეხებზე გკიდიათ.
- წუ ღელავთ, ძვირფასო მელანია! მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ. მაშ ასე, შემოგჩივლათ, რომ...
- ელოდეთ, რომ რაიმეს შემოგჩივლებთ! არაფერიც არ შემოუჩივლია. ისედაც ჩანს. თვალეშში ეტყობა. ბევრი რამ ილაცება... მიმღერა კიდევ.
- ისე უმიზნებოდ? როგორღაც ალოგიკურად მეჩვენება.
- ემნიშვნელო რამით დაიწყო — ვკითხე, შინ წერილს რატომ არ გზავნი-ბეთქი, მან კი...
- ჯაშინვე სიმღერა წამოიწყო?... მელანია, მე თქვენ სულელი გგონივართ.

1. წმინდა უბრალოება (ლათ.).

— სულაც არა. თითქმის ისე იყო, როგორც ვამბობ, ოღონდ თავდაპირველად ოდნავ ნაკინკლავდით. მოთმინება დამაკარგვინა. ბოლოს დავემუქრე — ერთს ჩაგცხებ-მეთქი. მინდოდა კიდევ იმ ღმერთგამწყვთალისთვის ჩამეცხო!

— ერთხელ უკვე ჩასცხეთ, მელანია, ჩვენი ვეტერინარული უბნის კეთილ სახელს, — ცივად უთხრა ვოიცებოვსკიმ, — ჩვენი საოცარი კლიბერალიზმის წყალობით. მეშინია, რომ კიდევ ერთხელ გინდათ ასეთი რამ ჩაიდინოთ — ამჯერად თქვენი საოცარი მიდრეკილებით სხვის სულში ხელის ფათურისადმი.

— მე ვაფათურებ სხვის სულში ხელს? ექიმო, მე მხოლოდ სიკეთე მინდა!

— შეიძლება, რატომაც არა. მაგრამ იქნებ ასეთი გამოთქმა გაგეგონოთ — ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა კეთილი ზრახვებით არისო მოფენილი?

— ადამიანს თუნდ სულიც გასძვრომია — თქვენ ეს არ განუხებთ!

— მერე რა, შეიძლება ეს ასეც იყოს. ოღონდ თქვენგან განსხვავებით ამის დაჩქარებას არა ვცდილობ.

— იცით რა! მე...

— მეშინია, მელანია, რომ თუ ასე განვაგრძეთ, ამაზე ლაპარაკს ვეღარ მოვრჩებით. ამიტომ მოდით, ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ. მაშ, მე ნავალ, თქვენ კი...

— მე თქვენ მიყვარდით და პატივს გცემდით, ექიმო, ახლა კი...

— ახლა ჩემზე გული გაგიტყდათ, გასაგებია. სამწუხაროა, მელანია, რომ პერიოდულად და რეგულარულად გაძლევთ ხოლმე იმის საბაბს, რომ ჩემზე გული გაგიტყდეთ, თუმცა მახარებს, რომ ყოველთვის გულახდილად მეუბნებით ამას.

მელანიამ კარი ჩვეულებრივზე უფრო დიდი ხმაურით გაიჯახუნა და ინსტრუმენტებიც ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ააყლარუნა.

ჰმ. მაინც რა უნდოდა მელანიას? პრაქტიკანტი დაკითხვაზე გამოეცხებინა? კი მაგრამ რა საბაბით? ბოლოს და ბოლოს აქ პროკურატურა ხომ არ არის. მისი სიტყვები და კილო, რასაკვირველია, შორიდან შეიძლებოდა ცივი და იქნებ ცინიკურიც კი მოგჩვენებოდათ. მაგრამ რა უნდა ექნა? მელანიას აჰყოლოდა და სხვის სულში დაეწყო ფათური, როგორც ქურდი აფათურებს ხოლმე სხვის ჯიბეში ხელს, და მაძებარივით დასდგომოდა სხვის ნაკვალევს? პრაქტიკის ხელმძღვანელის სტატუსი არც გამომძიებლის უფლებამოსილებას ანიჭებდა, არც მოძღვრის.

მაინც რა მოხდა მათ შორის გუშინ? ვოიცებოვსკის საკუთარ ინტუიციასა და წარმოსახვაზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ ამის გასარკვევად ფანტაზია არ ეყო. ჩუმი, გულჩათხრობილი ჯემა და გულჩვილი მელანია ნაკინკლავებულან, თანაც ისე, რომ ფხიზლები ყოფილან? ეს მისტიკაა.

შინიდან გამოქცეულიაო... ეს ნაღდი სისულელეა და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. წერილებს არ აგზავნისო... ეს უფრო ჰგავს სიმართლეს. იქნებ ისეთი არავინ ჰყავს, ბარათი გაუგზავნოს? ჰო, მართლა. მამამისი ტყეში მუშაობს, დედამისი აგრონომია. ეს ადგილობრივი ცნობათა ბიუროს მონაცემებიდან გაიგო.

კონფლიქტური სიტუაციაა? თუ გული აიყარა ოჯახზე?

წერილებს არ გზავნისო...

იმას რალა უნდა ეწოდოს, პეტერსა და მას ერთმანეთს რომ აშორებს? კონფლიქტური სიტუაცია თუ გულის აყრა? კაცმა რომ თქვას, ისინი მუდამ უცხოები იყვნენ ერთმანეთისთვის...

კარსმილმა მინის მსხვერვის ხმა გაისმა. ეტყობა, დიდი შპრიცი გატყდა. ძალიან დასანანი კია. აჰ, მელანია, მელანია! ახლა დანაშაულს აღიარებს და თავს წყევლა-კრულვით აიკლებს, როგორც მთავარმონამე. ღმერთო დიდებულო, მართლა არ მოდის! და ეს სიამოვნება არ ასცდება.

— კარგი, მელანია, კარგი, ყველაფერი გავიგონე და გასაგებია ჩემთვის... ყველაფერი... რას იზამ, ასეც ხდება... რა არ ხდება ამქვეყნად... ავტომობილები ეჯახება ერთმანეთს და არც გულის გახეთქვაა იშვიათი შემთხვევა... ადამიანები თავს იკლავენ, ყულფში თავს უყრიან... და ამასთან შედარებით რას წარმოადგენს ერთი შპრიცი? — კაცი ლაპარაკობდა და თან იცვამდა, რათა მელანია მალე მოეშორებინა თავიდან, მერე ანგარიშგების საქალაღდე ილღიაში ამოიდო და ქუჩაში გავიდა, სადაც კანტორის სიახლოვეს უკვე იდგა გაზიკი. მზე იყო მაღლა, ზეცაში, მზე იყო დაბლა, დედამინაზე, იმდენი მზე იყო, ერთბაშად ბუსავით თვალდაბრმავებული პარმაღზე შეჩერდა.

— დილა მშვიდობისა!

— აჰ, ეს თქვენა ხართ, ჯემა, გამარჯობათ!

ვოიცეხოვსკი ქალიშვილს შეაცქერდა: აბა, რა მოხდება, მელანიაზე ჩივილს ხომ არ დაიწყებსო?

არა, არ დაუჩივლია.

— მე რაუდავაში მივემგზავრები და ყველაფერს თქვენს იმედზე ვტოვებ. — ბოლო სიტყვები ხუმრობით უთხრა, მაგრამ ჯემამ ისეთი ბავშვური სერიოზულობით უპასუხა, კაცს უნებურად გაელიმა.

— კარგით, ექიმო.

ჰო, კიდევ რა?

— თუ შემაგვიანდა, შეიძლება იქიდან დაგირეკოთ.

— კეთილი, ექიმო.

მგონი, მეტი არაფერი უნდოდა. ფეხებში დილიდანვე გრძნობდა რალაცნაირ მტკივნეულ სიმძიმეს — ნუთუ ისევ შეიცვლება ამინდი? მუცელში ყავა პქონდა, თავში — ტორიჩელის სიცარიელე. უნდა გაემგზავროს, დროს გაფრთხილება სჭირდება.

მელანია სანოღზე გაშოტიღიყო და ტიროდა. ტიროდა გულამოსკვნით, როგორც ბავშვები ტირიან — მთელი სხეულღით თრთოდა და სახე ბალიშში ჩაემალა. ისმოდა მისი სღუკუნი თუ მიყრუებული ზმუიღი. ტიროდა ღრმა სასონარკვეთღიღებით, როგორც ტირის ასაკგადასული ქალი, რომელმაც იცის, რომ მომავალი აღარაფერს უქადის — არც შვიღები ეყოღება, არც შვიღიშვიღები, არც ქმარი, არც პარმაღიანი სახღი ექნება, არც ხავერდად ყვავიღებიანი და მზესუმზირიანი ბალი, იცის, რომ ახღა უკანასკნელი შანსი გაუშვა ხელიდან — თუ ყოვეღივე ამას ვერ შეიძენდა, ხუხულას ან ქვიშის ციხე-დარბაზს მაინც აიგებღა, რაც, რასაკვირ-

ველია, თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ სულ არარაობას მაინც სჯობია; იცის, რომ ბრალს ვერავის დასდებს, რადგან ბევრი ვინმე და ბევრი რამ არის ამაში დამნაშავე, მაშასადამე, ასეთი ყოფილა მისი ბედისწერა, ხოლო ბედისწერას რომ რაიმე ბრალი დასდო, იგივეა, ძალღმობა საკუთარი კუდის დაჭერა განიზრახოს, — და რომ მომავალში მას, კორიდან ერთი რამ ელოდება; ან კუდიანი დედაბერივით წყევლავს და ცრულოს ყველაფერი, რაზედაც ფარულად ოცნებობდა, ან დარდი სპირტიანი სასმელით ჩაიხშოს, რაც სხვათა შორის, სცადა კიდევ, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ — იმ წყეულმა სასმელმა პირიქით, დააღალატა, გააღიზიანა, თავშეკავების უნარი წაართვა, მოატყუა, საწოლზე დასცა, მკერდიდან გული ამოგლიჯა და ცრემლის ზღვა ადინა, თითქოს ბენზინით აპირებდა ხანძრის ჩაქრობას.

მაინც რა მოხდა?

მელანია ჰუგო დუმინს შეხვდა. მას შემდეგ, რაც გაიყარნენ, ჰუგო და მელანია არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს და თავისთავად შემთხვევით შეხვედრაში განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა. და შეიძლება ახლაც, როგორც ყოველთვის, ყველაფერს ისე ჩაეველო, როგორც წესი და რიგია, ეს კაშკაშა, ბრდღვიალა გაზაფხულის მზე რომ არ ყოფილიყო, რომელიც უღვთოდ აშიშვლებდა ყოველივეს, რასაც ზამთარი გულმონყალედ ფარავდა. ჰოდა, მელანიამ დაინახა, რომ ჰუგოს მკვდრის ფერი ედო და თვალის უპეები ჩალურჯებოდა. ისიც დაინახა, რომ მისი ბრეზენტის ზურგჩანთიდან მრგვალად გამობურცულიყო თეთრი ფუნთუშები, აგურის მოყვანილობის შავი პური კი არ ჩანდა. ეს რომ შენიშნა, ქალი მიხვდა, რომ ჰუგოს ჯანმრთელობა ისევ გაუარესებოდა, ისევ სტანჯავდა კუჭის წყლული, რომ მას შვრიის ფაფა და ორთქლში მოხარშული კატლეტები ესაჭიროებოდა და არა ხმელა პური, რითაც თავს საბოლოოდ იღუპავდა. მან ისიც უწყოდა, რომ ამგვარი კვებით ჰუგოს შეეძლო ღვთისთვის მიეზარებინა სული, და გაზაფხულის კაშკაშა ფონზე ეს განსაკუთრებული სიცხადით ჩანდა, რადგან ჰუგო ისე ცუდად გამოიყურებოდა, ადრე არასოდეს რომ არ ენახა.

— გამარჯობა, მელანია, — ჩვეულებრივ უთხრა კაცმა. მელანიამ სალამზე სალამითვე უპასუხა და უნდოდა მისთვის გვერდი აექცია — ისევ ისე, ჩვეულებრივ, მაგრამ ჰუგო შეჩერდა, მოიკითხა, როგორ ხარო, და ჯიქურ დაუსვა კითხვა, ხომ არაფერი მოგიფიქრებიაო, ქალმა კითხვა შეუბრუნა, რას გულისხმობ, რა უნდა მომეფიქრებინაო, თუმცა მაშინვე მიხვდა, რასაც გულისხმობდა კაცი, იმდენად ნათლად მიხვდა, რომ მკერდში გული შეუხტა. მაშინ ჰუგომ დაუმატა: ნუთუ არასოდეს გიფიქრია, აზრადაც არ გაგივლია ლაუვაში დაბრუნებამო? ასე უთხრა ჰუგომ, ქალს კესანესფერი თვალებით რომ მისჩერებოდა. და მელანიამ, რომელმაც ყველაფერი მშვენივრად გაიგო და გული ისე უძგერდა, ლამის საგულედან ამოვარდნოდა, ჰკითხა, როგორ უნდა გავიგო შენი სიტყვები — სამუდამოდ უნდა დავბრუნდეო? კაცმა უთხრა, სამუდამოდ, საუკუნოდო, და გაფითრებული ტუჩებით გაიღიმა. მელანიაში ყველაფერი ყვიროდა: კი, კი, კიო! — და პირიც დააღო, რათა ხმამაღლა დაედასტურებინა ეს, მაგრამ სულ ბოლო წამს, სანამ ამ სიტყვების წარმოთქმას მოასწრებდა, ქალი კაცს ჩაცხებით ჩააცქერდა სახეში და მიხვდა, რომ, სამწუხაროდ, არა-

ფერი გამოვიდოდა და ლაუვაში ცხოვრებას მაინც ვერ შეძლებდა, რადგან ყოველდღე გაახსენდებოდა ის, რის დაზინყებაც სურდა, და ეს ცხოვრება კი არა, ნამდვილი ტანჯვა იქნებოდა.

— არა, ჰუგო, — უთხრა ქალმა მაშინ, რაკი სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, — მე არც ვეტყვინარულ უბანში ვცხოვრობ ცუდად.

ასე უპასუხა ქალმა, თანაც ისე მშვიდად, თვითონაც ცხელ-ცხელ დარჩა, თითქოს საკუთარი თავისთვის სამარადისო მარტოობის განაჩენი გამოეტანოს.

— გეტყობა, თვითონ ვოიცეხოვსკიზე გიჭირავს თვალი, — ეჭვის ნატამალის გარეშე უთხრა ჰუგომ ისე გულგრილად, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ავად იყო და მას მომვლელი სჭირდებოდა და არა ცოლი, როგორც დედამისს სჭირდებოდა ერთ დროს მომვლელი.

— ჰო, დღე-დღეზე ველი, ხელს როდის მთხოვს, — უთხრა მელანიამ, რაც პირზე მოადგა.

— მაშინ გასაგებია, — უდრტვინველად დაეთანხმა ჰუგო, რომელიც მიხვდა, რომ ვის ვის, მაგრამ თავგადაკლულ მექალთანე ვოიცეხოვსკის ვერაფერს მოუხერხებდა.

და ისინი ერთმანეთს გაშორდნენ, როგორც შორდებიან ადამიანები ბაზარში, სადაც ერთს უმნიშვნელო რალაცის გაყიდვა უნდოდა, მეორემ კი არ ისურვა მისი ყიდვა — სანყენია, მაგრამ ღირს კი ამის გამო ერთმანეთზე გაბრაზება და კბილების ლესვა? ყოველ შემთხვევაში ჰუგო ასე ფიქრობდა, თუმცა მხოლოდ მელანიამ იცოდა, რა ძვირი დაუჯდა ეს უარი, რომელიც შორიდან შეიძლებოდა ისეთი ამაყი და ზვიადი მოგჩვენებოდათ, თითქოს მთელს რაუდავის რაიონში თუ არა, მურგალეში მაინც უპირველესი მზეთუნახავი ყოფილიყო მელანია. თვითონ ვოიცეხოვსკიზეო... შეიძლება სიცილით მოკვდეს კაცი, რა თავში იხლის მელანიას ვოიცეხოვსკი, ნამდვილ ჯაგლაგს! სასაცილო იყო, ქალს კი ცრემლები ახრჩობდა. და შინ რომ დაბრუნდა, ცრემლებს გზა მისცა. თავი რომ დაემშვიდებინა, არაყი გადაჰკრა, მაგრამ ამან სანინაალმდეგო შედეგი გამოიღო და მელანია ხმამაღლა აღრიალდა, ვერასგზით ვერ შეეწყვიტა ტირილი, ვერ დამშვიდებულყო, ვერ დაემთავრებინა და წერტილი ვერ დაესვა.

მანქანის ფარების შუქზე ჯემამ ისე უცებ გაივლვა, რომ ვოიცეხოვსკი ვერ გეტყოდათ, როგორ, რა ნიშნით იცნო ქალიშვილი სიბნელეში და, ნამიც რომ ჰქონოდა მოსაფიქრებლად, საეჭვოა ამ ადგილას მანქანა გაეჩერებინა, სადაც ჯემას არაფერი ესაქმებოდა და თითქოსდა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ღამის თორმეტ-პირველ საათზე, თუმცა მოფიქრების დრო ვოიცეხოვსკის არა ჰქონდა და ხელებმა საჭე მისი სურვილის გარეშე მიატრიალეს მარჯვნივ, ფეხი კი თავისთავად დააწვა პედალს და მანქანა ჯემასგან ათიოდე მეტრის დაშორებით გაჩერდა.

— ეს ნამდვილად თქვენა ხართ! — შესძახა ვოიცეხოვსკიმ. — მე კი მეგონა, მომეჩვენა-მეთქი. შინ მოდიხართ?

— დიახ.

მანქანაში რომ ჯდებოდა, ჯემამ ოდნავ წაიბორძიკა. ვოიცეხოვსკიმ მისაშველებლად წაინია, მაგრამ ქალიშვილი მის გამოწვდილ ხელს არ დაეყრდნო და კაცმა მხოლოდ პატარა ჩემოდანი ჩამოართვა. ჩემოდანში

კი კაცის ყურისათვის ერთობ ნაცნობი ჟღარუნი გაისმა და მაშინვე მიხვდა:

- ინსტრუმენტებია?
- დიახ.

ქალიშვილი კაცს გვერდით მიუჯდა და ჩემოდანი მუხლებზე დაიდო.

- გმადლობთ.
- გამოგიძახეს?
- დიახ.

კაცმა გვერდიდან შეხედა და ჩაახველა.

- არც ისე ყოჩაღად გამოიყურებით. ხომ არ ვცდები?

— არა, არ ვცდებით, — უხალისოდ მიუგო ქალიშვილმა, მერე ნერვულად ალაპარაკდა. იგი თანდათანობით ცხარდებოდა: — დამირეკეს, მაგრამ ხეირიანად ვერ ამიხსნეს, სად უნდა მივსულიყავი... მექანიკურ სახელოსნოებთან ვცხოვრობთო. ჰოდა, ვიხეტიალე ამ სიბნელეში სახელოსნოების გარშემო, პარკშიც შევედი, სასაფლაოზედაც კი მოვხვდი.

- სასაფლაოზე? — გაოცდა ვოიცებოვსკი.

— დიახ.

— მაგრამ რამდენადაც ვიცო, იქ აურრუციემსის გადასახვევამდე არცერთი კარ-მიდამო არ არის.

- თქვენ იცით, მე კი...

— რასაკვირველია, — დაეთანხმა ვოიცებოვსკი და შეეცადა ახლოს მდებარე ხუტორები გაეხსენებინა. — მაინც სად უნდა მისულიყავით?

- კუპენში.

— გასაგებია. თანაც დაგვიანებისთვის გისაყვედურეს. ასე იციან.

— ეს კიდევ არაფერი! — თქვა ჯემამ. — წინ სისხლიანი დანით შემომეგებნენ. ვილაც საშინელი ქალი...

- ახალგაზრდა იყო თუ მოხუცებული?

— უკვე ხანშიშესული, ოცდაათზე მეტისა იქნებოდა.

„აღბათ, აღისა იყო“, — მიხვდა ვოიცებოვსკი, თუმცა „საშინელი ქალი“ და „ხანშიშესული“ არასგზით არ ესადაგებოდა მის წარმოდგენას აღისაზე.

— განა არ შეეძლო ჩემს შესახვედრად გამოსულიყო? გაგიგონია, ამდგარა და ჩემს მისვლამდე დაუკლავს... შენ მხოლოდ პირუტყვის მოკვლა შეგიძლიათ. თითქოს მართლა ის მდომებოდეს! მივდიოდი და ინსტრუმენტები მიმქონდა, ზონდიც არ დამვიწყნია, შემეძლო გადამერჩინა... შევეცდებოდი მაინც გადარჩენას... ქალმა კი ის სისხლიანი დანა მომაჩერა ხელში და შემოლობილისაკენ მიჯიკავა, სადაც ორი ბატკანი ჰყავდა. მიდი, ისინიც დახოცეო! თითქოს ცხვარი მე დამეკლას და არა მას!

და მოხდა ის, რასაც კაცი ჯემასგან სულ არ მოელოდა, — ქალიშვილი ატირდა. ვოიცებოვსკი მოიღუშა. იგი ცრემლებს ვერ იტანდა. ეს მისი სისუსტე იყო, რასაც აღიარებდა კიდევც, ისევე როგორც ბევრ სხვა ნაკლოვანებას, რაც არაერთხელ ძვირად დასჯდომია. ცრემლები მის ემოციურ ნატურას აფორიაქებდა და წონასწორობას აკარგვინებდა, აღელვებდა და აბრაზებდა, აგრესიული და ამავე დროს უსუსურიც ხდებოდა. და ქალებს რომ სცოდნოდათ, რა ბევრი რამის მიღწევა შეიძლებოდა ვოიცებოვსკისთან ცრემლებით, აღბათ, უფრო ხშირად ისარგებლებდნენ ამ მშვენიერი საშუალებით, რასაც უფრო ინტუიციით მიმართავდნენ, ვინემ შეგნებუ-

ლად. ვოიცეხოვსკის კი თავდაცვის ინსტინქტი, როგორც წესი, ანიშნებდა მისთვის სახიფათო მომენტის მოახლოებას, ასე რომ საამისოდ მუდამ მზად იყო.

— თუ იმედი გქონდათ, რომ... — ალაპარაკდა ვოიცეხოვსკი, გულგრილობის მიღმა მღელვარებას რომ მალავდა, — თუ იმის უმეტესად გქონდათ, რომ მხოლოდ დაფნის გვირგვინი და წარმატება გქონდათ, ხოლო მარცხი და ხელის მოცარვა გვერდს აგივლიდათ, ვეტერინარობისათვის ხელი არ უნდა მოგეკიდათ.

ჯემამ არ უპასუხა, მხოლოდ ჯიბეში აფათურებდა ხელს და ცხვირსახოცს ეძებდა.

— რას ფიქრობდით, როცა ვეტერინარულ განყოფილებაზე შედიოდით?

— არაფერზე არ ვფიქრობდი, — მოულოდნელად შესძახა ჯემამ. — ბავშვობიდან მიყვარდა ცხოველების წვალეა და ამიტომ ავირჩიე.

რას იტყვი, პან ვოიცეხოვსკი? მაშ როგორ პასუხს ელოდი შენს პროვოკაციულ — უფრო რბილად რომ ვთქვათ, — სტერეოტიპულ შეკითხვაზე? რომ აღტაცებული მოჰყვებოდა ტიტინს საგაზეთო სტატიის სულისკვეთებით? თუ მხრებს აიწურავდა? მოგეწონებოდა კი, რომ ქალიშვილი, ვისაც ნამდვილ მუშაობაზე ჯერ წარმოდგენაც არა აქვს, თავისი შრომის ნაყოფისადმი გულგრილი ყოფილიყო? განა იმიტომ მიდიოდა ჩემოდნის ბრაგაბრუგით კუპენში, რომ გასისხლული დანა ენახა?

— მაპატიეთ, თუ შეიძლება, — ხმადაბლა თქვა კაცმა, — თუკი ჩემმა სიტყვებმა გული გატკინეს. მაგრამ მეშინია, რომ ჩვენს საქმეში ამგვარი რამ არაერთხელ გადაგხდებათ. არაერთხელ მოგვეგებებიან გასისხლული დანით და ყოველი ჩვენი ძალისხმევა ამაოდ ჩაივლის, დამიჯერეთ, კოლეგა. როგორც იტყვიან, ღმერთმა გაშოროთ ისეთი არასასიამოვნო სიტუაციები, როცა იძულებული გახდებით, თვითონ აიღოთ დანა ხელში.

ჯემამ ცხვირსახოცი იპოვა და ცხვირი ხმაურით მოიხოცა.

— თქვენ, ექიმო, ყველაფერი იცოდით, როცა ვეტერინარობა აირჩიეთ? თვითონ რაღას ფიქრობდით?

კაცმა გაიცინა.

— მე? მეც შემეძლო თქვენივე სიტყვებით მეპასუხა — მგონი, არაფერსაც არ ვფიქრობდი. ოღონდ ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ძალზე ხშირად მინახავს, ცოცხალი არსებანი როგორ ვნებდნენ ერთმანეთს, აწამებდნენ და ტანჯავდნენ. და მე ორიდან ერთი დამრჩენოდა: ან იდეალისტი უნდა გავმხდარიყავ, ან ცინიკოსი. მე პირველი ავირჩიე. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი — ყოველ შემთხვევაში, იმაზე გაცილებით ახალგაზრდა, ახლა რომ ვარ, — და სიკეთის ჩადენის სურვილით ვიწვოდი. სასაცილოა, არა? — დაურთო კაცმა, რომ მისი სიტყვები ძალზე პათეტიკურად არ აუღერებულყო.

თუმცა ჯემამ ეს შენიშვნა უყურადღებოდ დატოვა, მხოლოდ ესლა ჰკითხა:

— და აგისრულდათ სურვილი?

— კერძოდ, რომელი? — ვერ გაუგო ვოიცეხოვსკიმ.

— სიკეთის ჩადენის.

— დიდი იმედი მაქვს, რომ ნაწილობრივ მაინც ამისრულდა, — გულწრფელად უთხრა კაცმა. — მთელი ასი პროცენტით ჩვენი სურვილები

იშვიათად სრულდება. მაგრამ დიდი თვალთმაქცი ვიქნებოდე, მემტკიცებინა, ჩემი სამუშაოთი არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი კმაყოფილი. დი-ახ, ვყოფილვარ. შეიძლება ეს კმაყოფილება ხანდახან ილუზორული იყო, როცა პრაქტიკული — შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივი — ეფექტი ჩემი ნაღვანისა კმაყოფილების ხარისხს სრულად ვერ პასუხობდა, რასაც აგრეთვე შქონია ადგილი. ალბათ, ტექნიკუმში გასწავლემდინ, რომ ერთი გეგმაზომიერი მასობრივი აცრა, ვთქვათ, ტუბერკულოზზე, საზოგადოები-სათვის გაცილებით უფრო დიდი სარგებლობის მომტანია, ვინემ ცალკე-ული პირუტყვის სიცოცხლის ხსნა! რასაკვირველია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ განსაკუთრებულ შემთხვევებს, როცა ლაპარაკია გამორ-ჩეულ ეგზემპლარებზე ან დიდ მატერიალურ ღირებულებებზე. რა ფასი აქვთ, მაგალითად, უჯიშო ძაღლებს ან კატებს? ვიდრიცაში ყოველ გაზა-ფხულზე ასობით ლეკვსა და კნუტს ახრჩობენ. არავითარი ფასეულობა — მხოლოდ სიცოცხლეა ძვირფასი. მაინც რა ღირს სიცოცხლე? რა არის მი-სი შესასყიდ-გასასყიდი ფასი? მე არ შევუდგებოდი ამაზე მსჯელობას, რადგან იძულებული გავხდებოდი, ბევრი რამისთვის გადამესვა ხაზი. თუნდაც იმ გასხივოსნებულ ნუთებისათვის, გაშიშვლებულ ცხოვრებას-თან შეხებისას რომ განმიცდია, რომელიც არავითარი რაციონალური მო-საზრებით არ არის დაცული. და ამას რელიგიური სურნელი რომ არ დაჰ-კრავდეს, ვიტყვოდი, ცხოვრება წმიდათანმიდაა, ჩვენ კი მისი ქურუმები ვართ-მეთქი. ამაღლებულად ჟღერს, ხომ მართალია? მაგრამ ყოველდღი-ურ ცხოვრებაში, მადლობა ღმერთს, მყვირალა სიტყვებს არ წარმოვთ-ქვამთ და ჩვენს მისიაზე ბრძნულად არა ვმსჯელობთ, არამედ მთელ რიგ პრაქტიკულ და უმადურ, ერთფეროვან და მომქანცველ მანიპულაციებს ვახორციელებთ — მომართული საათივით დავდივართ. და მხოლოდ ხან-გამოშვებით გამჟღავნდება ხოლმე ყოველივეში ამ პროზაულ ქმედებათა ღრმა აზრი და გვაფორიაქებს — ეს აფეთქებასა და ლავის ამოფრქვევას ჰგავს. ხოლო თუ ჩაუფიქრდები, ხანდახან ეჭვიც კი შეგეპარება, შეეძლო კი აქ თვითონ ობიექტს გადამწყვეტი როლი შეესრულებინა? რაღაც შემ-თხვევითობაა, ურთიერთდამთხვევაა, — გარკვეული სიხშირის რალაცნაი-რი ვიბრაციაა, მაგრამ ეს უცებ ექოსავით პოულობს გამოძახილს სწორედ ჩვენი სულის წყობაში, რომელიც ჯოჯოხეთის მანქანასავით ფარულად მუშაობდა ჩვენში მიმართული საათის მსგავსად...

ვოიცეხოვსკი გონს მოეგო. ღმერთო დიდებულო, რა ზარივით რეკავს და ბუღბუღივით რაკრავებს თავდავიწყებამდე მისული, ყველაფრის თქმის ზურვილს აყოლილი ნუთუ მართლა ისე დაბერდა, რომ ხმამალა ფიქ-რობს და თვითონვე ვერ შეუმჩნევია? იქნებ სიბერის შემდგომ სტადიაზე ცარიელ ბინაში საკუთარ თავს გაუბას მუსაიფი?.. მჭევრმეტყველების რა ჟინმა წამოუარა ასე მოულოდნელად! იმედი ვიქონიოთ, რომ ქალიშვილს ეძინა, სანამ შენ გალობად იღვრებოდი, პან ვოიცეხოვსკი...

სამწუხაროდ, არა, არ სძინებია. ჯემას გვერდიდან რომ შეხედა, მის ოვალებს წააწყდა. „... ეჭვიც კი შეგეპარება, შეეძლო კი აქ თვითონ ობი-ექტს გადამწყვეტი როლი შეესრულებინა...“ თუკი ეს ასეა, დღევანდელი დღის მოვლენები ვოიცეხოვსკის უფრო ღრმად შეხებია, ვინემ ეჩვენება. ხოლო თუ ეს ასე არ არის და „ობიექტი“ ან ყოველ შემთხვევაში „ობიექ-ტის“ ცრემლები — ეშმაკმა წაიღოს!.. საოცრად უკმაყოფილო იყო თავი-სი თავით და საკუთარ თავდაუჭერლობას შერცხვენასავით განიცდიდა,

კი მაგრამ რას ფიქრობდა ჯემა მისი მჭევრმეტყველების ნიაღვარზე? სიცილით არ იცინოდა, მდუმარედ იჯდა, რისთვისაც კაცი მადლიერი უნდა იყოს.

ეს სიზმარი მრავალგზის ჰქონდა ნანახი, იმდენჯერ, რამდენჯერ სიზმარშიაც კი გრძნობდა, მომხდარი სინამდვილე არ იყო — დასაქმდა ეს შეგნებული ჰქონდა, შთაბეჭდილება მაინც ისეთი ცხადი და მძაფრი იყო, რომ ცივ ოფლში გახვითქულს ეღვიძებოდა, გული ყრუდ უცემდა და მერე მთელ ღამეს თვალგახელილი იწვა, ყურს უგდებდა ღამის იდუმალ ხმაურს, სიბნელესა და სიმყუდროვეში ჩაფლული გარემოდან რომ იღვრებოდა. ძლივს მოდიოდა გონს. ეშინოდა, ისევ არ დამეძინოს და კვლავ კოშმარის ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთ.

სიზმარში მოკვლას უპირებდნენ.

მასაც ვიტოლდ სტენგრევიცი კლავდა, როგორც ზენონს, და ფელიქსი, ისევე როგორც მისი ძმა, ეზოში ეგდო. ნაბიჯის გადადგმის თავიც აღარ ჰქონდა და მიწას ხელებით დაყრდნობილი, წამოწევას ცდილობდა, მაგრამ არ შეეძლო და მზით გადამწვარ ბალახში ფართხალებდა, თავი სასაცილო და საცოდავი ეჩვენებოდა, გასრესილ ჭიასავით იკლაკნებოდა. და ეს იმ მომენტში ხდებოდა, როცა სულაც არ უნდოდა სასაცილო და საცოდავი ყოფილიყო. თავდაუზოგავად ცდილობდა, ფეხზე წამომდგარიყო და სასონარკვეთილი სწყევლიდა თავის სისუსტესა და უძლურებას, უსუსურობასა და სიძაბუნეს, რაც ამ გადამწყვეტ უამს მის მიმართ საკუთარი სხეულის უნამუსო ღალატს წარმოადგენდა. მხოლოდ თავის აწევა შესძლო, რათა ლულის მრგვალ, ჩაბნელებულ თვალში ჩაეხედა, მეტი ვერაფერი. ყოველ შემთხვევაში იმას მაინც აკეთებდა, რაც შეეძლო: დაძაბულობისაგან აკანკალებული წყევლა-კრულვას უგზავნიდა ჯალათებსა და სიკვდილს, რომლისაც, როგორც ყოველ ცოცხალ არსებას, ეშინოდა, შეუპოვარი გაშმაგებითა და ძრწოლით მიიწევდა პირდაპირ ლულისკენ, რომლის თვალიც მის წინაშე ფართოვდებოდა და იზრდებოდა, შავ, მძიმედ მოგუგუნე გვირაბს ემსგავსებოდა...

ღია ფანჯრიდან ღამის წყვდიადში გახვეული მიდამოს მთვლემარე ხმაურთან ერთად შორეული ყრუ გუგუნიც აღწევდა. ფანჯრის სიო მკრთალმა ციალმა გაანათა, შორიდან შესუსტებული გრიალი გაისმა — ჭექა-ქუხილი ახლოვდებოდა. ვოიცეხოვსკი თვალგახელილი იწვა და აკვირდებოდა, როგორ მატულობდა გუგუნე და ნერვულად მოცახცახე შუქი რა ჩქარ-ჩქარა ანათებდა ფანჯრის კვადრატს, როგორ აფრიალდა ფარდა და როგორ შემოიჭრა გარედან ერთი ყლუპი მძიმე ნესტიანი ჰაერი.

მუდამ ასე ხდებოდა ხოლმე — რომ გაიღვიძებდა, საკუთარ განცდებს ანალიზს უკეთებდა და თითქმის ყოველთვის ახერხებდა იმის გაგებას, რომელმა გარეგანმა გამაღიზიანებელმა განაცდევინა ხელახლა ნაცნობი სიზმრის მთელი საშინელება. მაგრამ რას ცვლიდა მისი უნარი გაგებისა და ახსნისა? შეეძლო ამ უნარს თუნდაც თავიდან აცილება სიზმრის განმეორებისა? გამოცდილებით იცოდა, რომ არ შეეძლო და რომ გონებას ქვეცნობიერების დინებაზე ბატონობა არ ძალუძდა. განა მხოლოდ მის სიზმარში შეიჭრა გაზაფხულის პირველი ჭექა-ქუხილი შორეული ომის ექოსავით? ალბათ, არა. საერთოდ მიუღებელია ამაზე ხმამაღლა საუბარი. ყვავილების სურნელით, ტენითა და სითბოთი გაჯერებულ

ამ ჭექა-ქუხილიან ღამეს სხვა ადამიანებსაც ნამდვილად დაესიზმრებათ წარსულის სურათები, ვისაც ამისთანა ან ამის მსგავსი ბედისწერა ერგო, ვინაც ყოველ გაზაფხულზე სულ უფრო ნაკლები და ნაკლები რჩება, რადგან ამისთანა ბიოგრაფიის მქონე ადამიანები დიდხანს ვერ ცოცხლობენ.

უნიკალი

და ფელიქს ვოიცეხოვსკიმ თავისი დაბრუნების მომენტში უარყოფით იცოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა და ამჟამინდელი ზღვარი მის მოლოდინსა და იმედს სჭარბობდა: არ ეგონა, რომოცდაათი წლის ზღურბლს თუ გადააბიჯებდა. და განა ცხოვრების ხანმოკლეობის შეგნება — ვითარებასა და გარემოსთან ერთად — არ ძერწავდა მის ხასიათსა და მოქმედების წესს? და განა ის არ აქეზებდა უკიდურესობამდე განევითარებინა თავისი ნიჭი და უნარი, არაფერი გადაედო სახვალოდ, რომელიც შეიძლება აღარც ყოფილიყო? განა კაცი, რომელსაც თავი გაძარცვულ-გაქურდულად მიაჩნდა, თავის მხრივ არ ცდილობდა, ბედისთვის წაერთმია და წაეგლიჯა ყველაფერი, რის მოსწრებაც შეიძლებოდა, თანაც ნებისმიერ ფასად, თუნდაც ცხოვრების სანთელი ერთავე მხრიდან დაეშვა, რადგან ის, ვისაც დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია, ხარბად ცხოვრობს. *Carpe diem!*¹ მას არ სურდა ჭკნობა და ხრწნა, არც ნებივრობა და თავის თავის გაფრთხილება სურდა, მხოლოდ ის უნდოდა, ოდნავ მაინც გაეხანგრძლივებინა სიცოცხლე. და მუდამ — როგორც ოცდაათი წლის წინ, ისე წუხელაც, როცა ჭექა-ქუხილი არემარეს აყრუებდა, — ცხადშიაც და სიზმარშიაც, ყველაზე უფრო საკუთარი სხეულის ღალატისა ეშინოდა. დაულალავი, იჭვნეული სიბეჯითით ადევნებდა თვალყურს საკუთარ ტროას ცხენს — თავის ძველისძველ რევმატიზმს, რომელიც ხანგამოშვებით გადმოაგდებდა ხოლმე უნაგირიდან: ერთ მშვენიერ დღეს შეეძლო ერთხელ და სამუდამოდ წაექცია — სხეულის ნაწილები გაეთანგა და დაეძაბუნებინა, ჩაეხშო სურვილები და დაეჩლუნგებინა ინსტინქტები. მას ის წუთი აკრთობდა, როცა სიცოცხლის წყურვილს სიცოცხლისუნარიანობა აღარ გაამაგრებდა, თვითონ მას შეიძლება ეს ვერც კი შეემჩნია, როგორც ვერ ამჩნევს ამ გარდატეხას ადამიანთა უმრავლესობა. და სხვა ვინ ეტყვის, თუ თვითონ არ უთხრა დროზე საკუთარ თავს: გეყოფა, ვოიცეხოვსკი, კმარა, სიკვდილის ხელოვნება ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხელოვნებაა, სიკვდილის ხელოვნება მეორეა სიცოცხლის ხელოვნების შემდეგ! მას ნაკლებად აწუხებდა, რა დაემართებოდა *post mortem*², და მხოლოდ ერთი რამ სურდა — რომ გადამწყვეტ წამს ჰყოფნოდა გამბედაობა თავი აენია და ლულის შავ, მრგვალ თვალში ჩაეხედა...

ნებზე ნერონის სველი და ცივი დრუნჩი შეეხო. ძალღი მხოლოდ მისთვის ცნობილი ნიშნებით უშეცდომოდ ხვდებოდა, რომ პატრონმა გაიღვიძა. იგი მახვილი სმენით იჭერდა მისი სუნთქვის რიტმში მომხდარ ცვლილებას. ვოიცეხოვსკიმ ხელი დივანიდან დაბლა დაუშვა და ძალღს თავზე მიუალერსა თავისი მგრძნობიარე თითებით, რომლებიც ცოცხალი არსების შეხებას იმდენად მიჩვეოდნენ, რომ მათგან მბრძანებლური და დამამშვიდებელი მაგნეტიზმი იფრქვეოდა. ნერონი მუცლით კიდევ უფრო

1. ისარგებლე დღით! (ლათ.).
2. სიკვდილის შემდეგ (ლათ.).

ახლოს მიუხიხდა და იმ ტკბილი და ნეტარი ერთგულების ნიშნად გაინაბა, მოშინაურებულ არსებათაგან ადამიანისადმი მხოლოდ ძალი რომ ავლენს.

ვოიცეხოვსკი, ძალს დაბნეული რომ ეალერსებოდა და სახეზე მის რბილ სუნთქვას გრძნობდა, ფიქრობდა — სიზმარში არა მხოლოდ ჩემს, ზენონის სიკვდილსაც ისევ და ისევ განვიცდიო. იქნებ მის ქვეყნობიერებაში, სიზმრად უცნაურ მოზაიკას რომ ქმნის ოდესღაც მომხდარის, ანდა შესაძლებელი თუ არარეალური მოვლენების ნამსხვრევებისაგან, ძმის დაღუპვა აღიბეჭდა, როგორც ყველაზე მძიმე დანაკლისი? თუ ყოველივე ამას გაუნელებელი სიმძაფრე სიახლემ მიანიჭა, რადგან მანამდე — ორმოცდაერთი წლის გაზაფხულამდე, როცა პოლიცაებმა მათს ეზოში დახვრიტეს მძიმედ დაჭრილი ზენონი, რომელსაც მამა აბანოში მალავდა, — იმ დღემდე არასოდეს ენახა, როგორ სცემდნენ ნაქცევულს და როგორ კლავდნენ ადამიანს.

ამაში შეიძლება ომისთვის დაგედო ან არც დაგედო, ბრალი, თუმცა სწორედ ომმა ჩაითრია ისინი თავის საშინელ დოლაბებში. მათ არ გადაუნყვეტიათ, დაენყოთ ეს დავიდარაბა და ხოცვა-ჟლეტა თუ არ დაენყოთ, და ყოველივე ამისთვის ისინი პასუხს არ აგებდნენ. მაგრამ ვინ არის ყოველივე ამისთვის პასუხისმგებელი? ყველას პასუხისმგებლობის თავისი სფერო აქვს, თავისი „აქედან აქამდე“. არსებობდა მხოლოდ სფეროები და ამ სფეროთა სისხლიანი დაპირისპირება, როდესაც ერთმანეთს ეჯახებოდნენ... იდეები? მრწამსი? კლასობრივი წინააღმდეგობანი? შეხედულებანი?

რომელმა მრწამსმა დააკავშირა „ახალ წესწყობილებასთან“ სტენგრევიცი, რომელსაც, ალბათ, არც ესმოდა მისი არსი? რომელ იდეებს შეეძლოთ მოსისხლე მტრების — გერმანელ ბარონთა ნაშეირისა და ყოფილი ყმის ბადიშიშვილის ერთმანეთთან დაკავშირება? მოკვლის უფლებას? დარცვის შესაძლებლობას? ზენონ ვოიცეხოვსკი სტენგრევიცისთვის იყო კი პირველ რიგში კომუნისტი, იმ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელმაც ხუტორ ლიგოტნეს ხუთი პექტარი მიწა ჩამოაჭრა, თუ, უწინარეს ყოვლისა, იყო ლამაზი, ქედმაღალი და წარმოსადეგი პოლონელი, ეს ტილიანი მათხოვარი, ვისიც სკოლაში სწავლისას ვიტოლდს ფარულად შურდა და ვისზედაც ბოლოს და ბოლოს მოიპოვა უპირატესობა, თუმცა ეს უპირატესობა მისთვის არც ჭკუას და არც ძალას არ მიუნიჭებია, მხოლოდ იარაღმა მიანიჭა უპირატესობა. იარაღმა ბევრს მისცა საშუალება ძალა მოეპოვებინა და სხვა ადამიანზე თავისი უფლება ეგრძნო.

„მოყვასის სიცოცხლისა და სისხლის ფასად თვითდამკვიდრება ყველაზე დიდი სენია, რომელიც სპობს ყველაფერს, რითაც homo sapiens-ი ქრცვინისგან განსხვავდება, — ფიქრობდა ფელიქს ვოიცეხოვსკი, — ყოვლისშემძლე სიკვდილის ანგელოზის როლი კი შარავანდედით მოსავს შარულიან პიგმეის, რომელსაც ხელში იარაღი ჩაუბლუჯავს...“

ის, რასაც მელანია გამოსათხოვარ საღამოს ეძახდა, სინამდვილეში სამი ადამიანისათვის მოწყობილი მოკრძალებული ვახშამი გახლდათ ვოიცეხოვსკის ბინაში, მარტოხელა კაცის მიერ გაშლილ სუფრასთან, რომლისთვისაც, გარდა ყავისა და ბუტერბროდებისა, მასპინძელმა ყველაფერი რაუდავაში შეიძინა, გასტრონომსა და კულინარიაში. ისევე, რო-

გორც ერთ დროს მელანიას სირჩები, გარეგნულად კომპანია სხვადასხვა ჯურისა ჩანდა. ფელიქს ვოიცებოვსკის, რომელიც მუდამ გაკრიალებულ-დაუთოებულ ტანსაცმელში იყო გამოწვეპილი, უფრო საშინაო კოსტიუმი ჩაეცვა, ვინემ გამოსასვლელი. ჯემას, რომელსაც განსაკუთრებული ჩასაცმელ-დასახურავი საერთოდ არა ჰქონდა, და მურგალეში უნდა ჩამოეტანა, სპორტული ჯემპრი და შარვალი ეცვა და უხერხულად გრძნობდა თავს მელანიას გვერდით, ვისაც ლუქსის შავი კაბა ემოსა, თეთრი, მაქმანებიანი გულისპირი რომ ჰქონდა და საზეიმო ჩანდა, როგორც დირიჟორის ფრაკი, და ყოველგვარი ოფიციალური შემთხვევისათვის, თუნდაც გასვენებისთვისაც კი გამოდგებოდა. და საერთოდ, სალამოს მშვენება თითქოს ჯემა კი არ იყო, ვის პატივისცემადაც ეწყობოდა ეს პატარა ზეიმი, არამედ მელანია გახლდათ: ლაქის ლამაზი, უნივერსალური და ტანკებივით ყველგანმავალი ფეხსაცმელები, თითქოს მურგალეს თიხიანი ნიადაგისთვის შექმნილი, მომწარო სუნამო „იანტარი“, რაც ახლა მოდაში იყო, განსაკუთრებით ხანდაზმული ქალებისათვის, საკუთარი ხელით დახვეული თმა, მელანიას მხატვრულ მონაცემებზე რომ მეტყველებდა, თუმცა არცთუ ძალიან უხდებოდა, რადგან ისედაც გრძელ სახეს კიდევ უფრო გრძლად უჩენდა, და პლასტიკის საყურეებიც კი ვერაფერს იტყოდი — ნაღდი ქალბატონი იყო! ყოველივე ამას არ შეეფერებოდა მისი დიდრონი, უხეში, სარეცხი პასტიტა და სადებიზინფექციო საშუალებებით დაღრღნილი ხელები მოკლედ დაქნილი და ბალში მუშაობისგან დამახინჯებული ფრჩხილებით.

მასპინძლის ფაიფურის კოხტა ჭურჭლეულს შორის იდგა თიხის ჯამი მელანიას საფირმო კერძით — ბლინებით. სამწუხაროდ, მისმა საფირმო სასმელმა ვერ დაიმსახურა ამგვარი პატივისცემა, ვოიცებოვსკიმ იგი სადღაც გადაშალა და სტუმრებს მხოლოდ ერთი ბოთლი ღვინო ჩამოუდგა.

მაშინ როდესაც ვოიცებოვსკი სამზარეულოში ყავას ფქვავდა, რათა მოედულებინა, ჯემა ოთახს ათვალეერებდა, სადაც მხოლოდ მეორედ იმყოფებოდა, თანაც პირველად თავს შებორკილად, შებოჭილად გრძნობდა — ძალისაც ეშინოდა და ვოიცებოვსკისაც, ასე რომ ხეირიანად ვერაფერი დაათვალეერა. წიგნები უმთავრესად ძველებურ ყდაში იყო ჩასმული, თანაც უცხო ენაზე გამოცემული, ვოიცებოვსკი ხომ, როგორც მელანიამ უთხრა, ექვს ენაზე ლაპარაკობდა. ვარდისფერი ტორშერი, რომელიც უფრო ქალის ოთახს შეეფერება, ვინემ მამაკაცისას. ირგვლივ უცნაური და, ალბათ, ძვირფასი, იშვიათი სამშვენისები, პატარ-პატარა ქანდაკებები, ეშმაკებისა და ღმერთების ფიგურები. კედელზე სურათი, რომელზედაც აღბეჭდილია თეთრი ქრიზანთემები თუ ფერგამკრთალი ღრუბელი. სანერ მაგიდაზე უკვე თავახდილი მაგნიტოფონი დგას — შეიძლება ამ შემთხვევის გამო არის თავახდილი, ან იქნებ საერთოდ ხშირად რთავენ. არათუ ვეტერინარული უბნის შენობაში პრაქტიკანტებისათვის გამოყოფილი სენაკის, არამედ დედამისის სახლის შემდეგაც, სადაც ახალი, თანამედროვე და უსახო ავეჯი დგას, აქ თვალში არაფერი ეჩხირებოდა ადამიანს, ყველაფერი გემოვნებით იყო შერჩეული და ტორშერის ვარდისფერ შუქზე, რომელსაც თითქოს უჩინარ საცეცხლეში მოკიაფენაკვერჩხლები აფრქვევდნენ, ჯემას იდუმალებით მოცულად და რომანტიკულად ეჩვენებოდა. ეს ბინა განსხვავდებოდა ყველა სხვა ბინისაგან, სადაც კი ჯემა ყოფილა, ქალიშვილი მზერით სამჯერ მიუტრიალდა საპი-

რისპიროდ დაკიდებულ სურათს, მაგრამ მაინც ვერ დაადგინა, რა ეხატა ტილოზე — ღრუბლები, ყვავილები თუ წყლის ბამბა. ჯემა პირველად ხედავდა ასეთ სურათს, რომელიც წარმოსახვას აძლევდა გასაქანს და ამაში, ისევე როგორც ყველაფერში აქ, იყო რაღაც მომაჯადოებელი, რაც მისთვის აქამდე უცნობი გახლდათ.

— ხვალ ამ დროს, ალბათ, უკვე შინ იქნები, — უფხურა მელანიამ, თავისას რომ ფიქრობდა.

— თუ დღეს ავტობუსს გავყევი, — დაეთანხმა ჯემა, ტილოს თვალს რომ არ აშორებდა. — ხოლო თუ სალამოს ავტობუსს გავყევი, ჯერ კიდევ გზაში ვიქნები.

მელანიამ ერთხანს იყუჩა. სამზარეულოში ყავის საფქვავე ზუზუნებდა.

— ერთი მხრივ, — მელანიამ საუბარი განაახლა, როცა ზუზუნი შეწყდა, — შენი პრაქტიკა დღეს მთავრდება. დღიური წესრიგშია. მივლინება ხელმოწერილია. დახასიათება გაქვს. მეორე მხრივ, ნეტა სად მიგერქარება, ხომ მართალია?

ჯემამ დაბნეულად გაიციინა.

— რა გაციინებს?

— ისე, უბრალოდ.

— სახლი არ მოგენატრა?

— რად უნდა მომნატრებოდა! ჩავალ თუ არა, დამსაქმებენ, იატაკს მომარეცხინებენ ან ძამიკოს მომაჩეჩებენ.

— რა ხნისაა?

— ერთი წლის... ჩემი ნახევარძმაა. თან დღესასწაულიც ახლოვდება. დედა და ჩემი მამინაცვალი სადმე სტუმრობას მოინდომებენ და მე ბავშვს ვერ მოვშორდები. კიდევ კარგი, რომ ჯემა არსებობს. ხომ ასეა?

ქალიშვილმა ისევ უხალისოდ გაიციინა, რადგან გაახსენდა, რომ ეს დედის საყვარელი გამოთქმა იყო: „ჭვავება ოქროს ფერი დაიდო, ანი ველარ მოშორდები“, „აი, ძროხა ხბოს მოიგებს და წუთითაც ვერ მოშორდები“, „ბავშვს თუ გააჩენ, ვერ მოშორდები. ვერც სწავლას შესძლებ, ვერც სადმე გამგზავრებას. არ გეგონოს, მე მივხედავ. მე კიდევ შეიძლება მეყოლოს საკუთარი შვილები“. სწორი გამოდგა, მართლაც ეყოლა...

— არ გიყვარს ბავშვები? — ჰკითხა მელანიამ.

— არა.

მელანიამ მძიმედ ამოიოხრა, ჯემა კი წამოდგა, მაგნიტოფონთან მივიდა და თვალთვლება დაუწყო, რათა არ განეგრძო საუბარი, მას რომ არ სიამოვნებდა. ან საერთოდ რატომ წამოიწყო? ვინ ექაჩებოდა ენაზე?

— შეიძლება ჩავრთო? — გასძახა ჯემამ ფოიცებოვსკის, მაგრამ ან კაცმა ვერ გაიგონა შეკითხვა, ან ჯემას სმენამდე არ მიაღწია მისმა პასუხმა, თუმცა კარი სანახევროდ იყო გამოღებული.

ჯემამ მაინც ჩართო. დაიგრიბლა საბოლოო აკორდმა, ასე რომ მუსიკის ხასიათის აღქმა ვერ მოახერხა, მერმე კი სინწყნარე დამყარდა. ჯემამ ხმის რეგულატორი გადაატრიალა და სინწყნარეში გაისმა უცნაური, მონოტონური და ძალზე რიტმული ბგერები: დუმ-დუმ-დუმ...

— სწორედ ის არის! — ამოიოხრა მელანიამ.

— რა, დეიდა?

— ნაბიჯები. არ გახსოვს, რომ გითხარი?

დიახ, დიახ, ნაბიჯებია, ვოიცებოვსკი განმარტოებით რომ უსმენს! მართლაც რომ უჩვეულო და იდუმალეებით მოცული ხმებია, მაგრამ არასგზით არ არის ქალის ფეხის ხმა, მით უმეტეს ქალისა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი რომ აცვია, ფეხის ხმა არც ახლოვდებოდა და არც შორდებოდა, თითქოს სადღაც განზე მიილტვოდა და როგორღაც უსიცოცხლო იყო, თავზარდამცემად უსიცოცხლო და რიტმული — ძველი წარმოსადგენია ცოცხალი, არსება, რომელიც ასე დადის. იქნებ თავისუფლებამონატრებული ვეფხვია გალიაში გამომწყვდეული, იქნებ ადამიანია — საავადმყოფოს დერეფანში ან ციხეში. ასე სიარული მხოლოდ მას შეუძლია, ვინც არსად მიდის, ვისაც იმედი არა აქვს, რომ სადმე მივა. აბათიის მიღმა თითქოსდა ფარული სასონარკვეთილება იმალეობდა.

— რას უსმენთ, კოლეგებო? — დაინტერესდა ვოიცებოვსკი, ყავადანით ხელში რომ დაბრუნდა.

— რა არის ეს? — გაოცებით, უნებური შიშითაც კი იკითხა ჯემამ. ვოიცებოვსკიმ ჩაიქირქილა.

— ისე ხართ გაფითრებული, ძვირფასო ჯემა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამოგიცვნიათ, რაც არის.

ქალიშვილმა თავი გაიქნია.

— არა.

— ეს არის დრო, — დაუდევრად უთხრა ვოიცებოვსკიმ, ყავადანი მაგიდაზე დადგა და ბოთლს დაუნყო გახსნა, სწორედ იმ „მუსკატს“, რომელიც აქ ჯემას მოსვლის დღიდან იდგა.

— დრო?

— სხვა სიტყვებით — საათია. სავსებით ჩვეულებრივი საათი, და არავითარი მისტიკა.

— და ამას... უსმენთ?

— ვაღიარებ, რომ ხანდახან ვუსმენ. ერთობ ყურადსაღები რამ არის, — ჩვეული ირონიით დაურთო მან, სირჩებში ღვინო ჩამოასხა და ჯემას ყურადღებიანი და დამცინავი მზერა მიაპყრო. — გინდათ, არ დამეთანხმოთ?

ჯემა შეყოყმანდა, არ იცოდა, რა ეპასუხა, ისე იყო შეშფოთებული ამ ჩაცმებული, გესლიანი გამოხედვით, რაც მუდამ მოკრძალებასა და საკუთარი თავისადმი ეჭვს აღუძრავდა.

— არ ვიცი.

კაცმა ისევ ჩაიქირქილა.

— თქვენს ასაკში ჯერ კიდევ გეპატიებათ ზოგი რამის არცოდნა. ჩემთვისა და მელანიასათვის კი უფიცის როლი უკვე შეუფერებელია... მონთმინეთ, მელანია, ეს გადაკრულად ნათქვამი თქვენს ასაკს კი არა, ერუდიციას ეხება. არც მეეჭვება, რომ ორმოცდაათი წლის ზღვარს ვერასოდეს მიაღწევთ.

თუმცა მელანია არც ცდილა ამ ბუნდოვანი კომპლიმენტის სინატიფეს ჩასწვდენოდა, სკამზე გასწორდა და ოდნავ განითლებულმა ჯიქურ ჰკითხა:

— თქვენ გგონიათ, ექიმო, რომ მე მალე მოვკვდები?

— ღმერთმა დაგვიფაროს, ძვირფასო მელანია! მე მხოლოდ...

— მაგრამ მეც თქვენსავით რომ ვუსტვენდე, ექიმო.. — ქალმა მაგნიტოფონზე თავით ანიშნა, სადაც ამ დროს მეტრონომის იდუმალეებით

მოცული კაკუნი შეწყდა და ახალგაზრდა მჭექარე ხმებმა რაღაც ძალზე მხიარული და სიცოცხლის ტრფიალთ ალსავსე სიმღერა წამოიწყეს, — ღმერთმანი, მალე მოვკვდებოდი... თუ სიმართლეს არ ვამბობდი, აქედან არ ავმდგარიყო. ვერსად ვიქნებოდი მშვიდად, ერთი წუთითაც კი. ვერც დავიძინებდი და ვერც შევჭამდი. სულ იმაზე ვიფიქრებდი, ვიფიქრებდი და ვიფიქრებდი — რომ დრო მიდის და ჩვენ ვერაფერს ვცდილობთ, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, არც მე, არც თქვენ და არც სხვას. არც შეჩერება ძალგვიძს მისი, არც უკან დაბრუნება. თუ არ მოვკვდები, ბებერ სტენგრევიციხასავით გავგიჟდებოდი. შევიშლებოდი, აქედან არ ავმდგარიყო. თქვენც შეიშლებით, ექიმო, თუ მოუსმენთ, როგორ მიდის დრო.

ვოიცეხოვსკიმ ჩაახველა.

— მე და თქვენ განსხვავებული ადამიანები ვართ, მელანია. თქვენ მხატვარივით აზროვნებთ, მე კი ვეტერინარივით... დანერეთ ამაზე ლექსი!

მელანიას ეწყინა.

— ჩემი ლექსები მუდამ თვალში ეკალივით გესობოდათ და ყოველთვის ბილიკზე დაგდებულ ქვად გეჩვენებოდათ, რომელსაც გვერდს ვერ აუქცევ. მაგრამ მე ამას მივეჩვიე და...

— და რამდენჯერ სულგრძელად გიპატიებიათ. ძალიან კარგი! მაღლობელი ვარ, მელანია. შეძლებისდაგვარად მუდამ შევეცდები თქვენი ნდობა გავამართლო.

ვოიცეხოვსკიმ სირჩა ასწია. ასევე მოიქცნენ მელანია და ჯემაც. ღვინო წითლად ლაპლაპებდა, ჯემას ისიც კი ეჩვენებოდა, მინაში ნაპერწკლებს ისვრისო, და გაიფიქრა, ეს, ალბათ, ბროლი არისო, მას ხომ ბროლი არასოდეს ენახა, მხოლოდ წიგნებში ამოუკითხა, რომ იგი ელვარე და ძალზე ლამაზი იყო. ჭიქების მიჭახუნება წკრიალა და მელოდიური გამოუვიდათ. ახალგაზრდა და მხიარული ხმები happy end-ზე მღეროდნენ, ბედნიერ დასასრულზე, რომლითაც გვირგვინდება ყველაფერი. და მართლაც, როგორც სამთავემ ერთობლივად დაადგინა და აღიარა, ყველაფერი ბედნიერად დასრულდა: ამ ერთი თვის განმავლობაში სერიოზულად ერთხელაც არ წაჩხუბებულან, არ წაკინკლავებულან, თავი არ შეურცხვენიათ. ასე რომ ჯემას პრაქტიკა, შეიძლება ითქვას happy end-ით დასრულდა, რაზედაც ახალგაზრდული ანსამბლი ისეთი აზარტითა და გატაცებით მღეროდა, სალამოს დასასრულს ლენტი გადაახვიეს, რომ ეს ზეოპტიმისტური შლაგერი კიდევ ერთხელ მოესმინათ. და მელანია, რომელსაც თმა აწუნოდა და სითბოსა და ცოტა ღვინისგანაც წამოწითლებულიყო, მაგნიტოფონის მელოდიას ღიღინით ჰყვებოდა, მცირედ, სულ რაღაც ნახევარი ტაქტით რჩებოდა სიმღერას, მაგრამ ეს ისეთი უმნიშვნელო რამ იყო, რომ ვოიცეხოვსკისა და ჯემას არც კი შეუმჩნევიათ. ყველანი მხიარულობდნენ, მაგრამ მხიარულებას სევდაც ახლდა.

„Segui il tuo corso, — გაახსენდა ვოიცეხოვსკის, — e lascia dir le genti!“¹.

იგი მუდამ ამ პრინციპით ცხოვრობდა და სინანული არასოდეს უგრძ-

1. შენი გზით იარე, ადამიანებმა კი ის იფიქრონ, რაც სურთ. (იტალ.).

ვნია. მაშ რა აკავებინებდა თავს ახლა? ის ხომ არა, რომ შეიძლება ხალხს გაეკიცხა, იმის შიში ხომ არა, რომ ადათს დაარღვევდა, რაც ნებისით თუ უნებლიეთ არაერთხელ დაურღვევია, როცა ისე არ ცხოვრობდა და იქცეოდა, როგორც სხვები ცხოვრობდნენ და იქცეოდნენ. გაკიცხვა მას არ აღელვებდა, ხოლო აღტაცება გულგრილს ტოვებდა, სრულიად უცხო-ცდილობდა, იდუმალებით მოცული ყოფილიყო, მაგრამ ვერც ღმრთობდა, როცა ვინმე მის ცხოვრებაში ერეოდა — სულაც არ გრძნობდა გულის გადაშლის მოთხოვნილებას. დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მისი გამოძახება ტელეფონით, მაგრამ ვერაფერს გამოჰკითხავდით და გულახდილად ვერ ააღაპარაკებდით, — ბევრს ეს აღიზიანებდა, როგორც შავი ქათამი აღიზიანებს თეთრ ქათმებს. ხოლო რას უშვრებიან თეთრი ქათმები შავ ქათამს, ყველამ იცის. ცოლი რომ მოუკვდა, გავრცელდა ვერსია არა მარტო თვითმკვლელობის, არამედ მკვლელობის შესახებაც. მოჩვენებითი იდუმალებით აღსავსე სიკვდილი ახსნას ითხოვდა: ადამიანი ლოგინში უნდა მოკვდეს და არა აბაზანაში, აბაზანაში სიკვდილი როგორღაც სათაკილოც კი არის, ყოველ შემთხვევაში ამგვარი სიკვდილი ეჭვის აღმძვრელია.

ვოიცხოვსკის თავგადასავლები ყველას პირზე ეკერა და თანდათანობით უხამს ხასიათს იძენდა. დედები მას ქალიშვილებს არიდებდნენ, თუმცა ამავე დროს ცდილობდნენ თავიანთ ბადეში გაეხვიათ. პირსუკან ხვადსა და გარყვნილს ეძახდნენ, მაგრამ მასთან სიახლოვე ეწადათ, მოხიბლულნი იყვნენ მისით. და თუმცა ხმა გავარდა, უკვე ასე ქალი ჰყავს მიტოვებულიო, ასმეერთე ქალი მშვენიერი სქესისთვის დამახასიათებელი რკინისებური ლოგიკით ფიქრობდა, მე გამონაკლისი ვიქნებიო. ამბობდნენ, სრულყოფილებას ეძებსო, თუმცა საკმაოდ ხანდაზმული იყო საიმისოდ, რომ სცოდნოდა, სრულყოფილება მხოლოდ ჩვენს ფანტაზიაში არსებობს. იგი იდეალს არ ეძებდა — ისეთი ხასიათისა და ტემპერამენტის კაცი იყო, უმალ ეკიდებოდა ცეცხლი, მაგრამ შემდეგ უიმედოდ უცივდებოდა გული და აქ ვერავითარი გარეშე ძალა ვერაფერს გახდებოდა. მას არ შეეძლო სხვა ადამიანად ქცეულიყო, ან თავი უნდა მოეკატუნებინა, ან ისეთი ყოფილიყო, როგორიც გახლდათ, მაგრამ თავის მოკატუნება არ სურდა და არც ის სიამოვნებდა, თავი სხვად გაესაღებინა...

ძლიერი და წინააღმდეგობრივი გრძნობა ეწეოდა ჯემასაკენ და ვოიცხოვსკი ამის თაობაზე არ ცდებოდა. იგი უცქეროდა ქალიშვილის ნათელ, ოდნავ მზემოკიდებულ სახეს, უცქეროდა მის ნაზ ნაკვთებს. ღმერთო ჩემო, ჯერ კიდევ მთლად ბავშვია! ცბიერების ნაკვალევიც არ ეტყობოდა. გაოცებითა და თითქოსდა მდუმარე შიშით გაფართოებული თვალები, რომლებშიც მყისვე იფეთქა ინტერესმა და ცნობისმოყვარეობამ, როგორც კი სურათს მიაპყრო ან სირჩაზე შეაჩერა. ვინრო, ჯერ ისევ მოზარდის გამხდარი მხრები, პატარა, ასევე მოზარდის მკერდი, ჯემპრში ლავინის ძვლები გამოსჩრია, წვრილი კისერი... ახლა, როცა ქალიშვილმა ნაძალადევი უფიათობა ჩამოიშორა, ჯემას მთელ არსებაში სისუსტე და უმწეობა გამოსჭვივოდა, ეს კი მამაკაცში მყისვე აღვიძებს დამცველისა და საყრდენის ღრმად ჩამარხულ, ჯერ კიდევ ნალირის ტყავში გახვეული წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებულ ინსტინქტს. მაგრამ კაცს ნათლად ახსოვდა ის ჭექაქუხილიანი ღამე, როცა ჯემა ფანჯარაში თეთრ მოჩვენებასავით იდგა და მქრქალი შუქის უხმო ციალში უცხო და თით-

ემის არარეალური ჩანდა, მძაფრად გრძნობდა თავის მაშინდელ მღელვარებას. იმ ღამეს ეგონა, რომ ეს სხვა ჯემა იყო, უსაზღვროდ პოეტური ქალი, რომელიც კაშკაშა ვარსკვლავით აფრქვევდა ქალურ სინაზეს, რომლის ციალსაც გაბრუებული კაცი თავისი ნერვების ყოველი უჯრედით ნთქავდა... და, აი, ახლა მის წინაშე ზის თითქმის მოზარდისებურად და ლავინებამოჩრილი ქალიშვილი, რომელსაც მოუხეშებდა ხელი ატვია. ვოიცეხოვსკის რატომღაც აღელვებდა ყოველივე ეს, განაიარალებდა და მის გატაცებას მანამდე უცნობი, მამაშვილური გრძნობის მსგავს განცდას ურევდა. იმ დღემდე ეგონა, რომ ქალზე ყველაფერი იცოდა, და ამის საფუძველიც ჰქონდა. მაგრამ ქალში მხოლოდ ცოლსა და საყვარელს ცნობდა. დედა არ ახსოვდა, ხოლო და და ქალიშვილი არასოდეს ჰყოლია, ამის გარეშე კი ქალზე ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია...

ბოლო სირჩას სვამდნენ. მელანია, რომელსაც აქოჩრილი თმა ყალყზე ედგა და ხანგამოშვებით შუბლზედაც ჩამოეშლებოდა ხოლმე, მაგნიტოფონს უსიტყვოდ აყოლებდა ხმას, რადგან ტექსტი არ ესმოდა. სამივენი ოდნავ შეზარხოშდნენ და ახლა მათი განშორების დრო დამდგარიყო.

„S'en aller, c'est un peu mourrir...“ — გაიფიქრა კაცმა.

დიახ, მის ასაკში განშორება პატარა სიკვდილია. რაც უფრო შედიხარ ხანში, მით უფრო ძნელია დაახლოებაცა და განშორებაც. რა ადვილად ხდება ეს ბავშვებში — უცებ პოულობენ საერთო ენას! პირველი შეხვედრისთანავე. „რა გქვია? მოდი, ერთად ვითამაშოთ!“ რა უცებ იყვარებენ ერთმანეთს ახალგაზრდები! ერთი ნახვით, პირველსავე საღამოს.

შენ კი რამდენი ხანი დაგჭირდა, პან ვოიცეხოვსკი? თვე? თუ წუთნახევარი — გაელვებიდან გაელვებამდე? არც ისე დიდი დროა, ვოიცეხოვსკი, ხომ ასეა?

მან ჩაიციხა.

მის ასაკში ყველაზე დიდი სიბრძნე ის არის, ძალიან არავინ დაიახლოოს. ადრე იქნება თუ გვიან, მაინც იძულებული გახდება გულიდან მოიგლიჯოს, ეს კი მტკივნეულია. თუმცა ადამიანის მიდრეკილებაა სულელურად მოიქცეს: რას არ იღონებს, რომ ფიზიკური ტანჯვა თავიდან აიცილოს, სულიერ ტკივილს კი ხარის სიჯიუტითა და ვირის შეუპოვრობით მიელტვის, შეცდომებზე ვერაფერს სწავლობს...

ღვინო ბოლომდე შესვეს, ყავაც დალიეს.

— ხვალ, წასვლის წინ, კიდევ შემოვირბენ გამოსამშვიდობებლად, — თქვა ჯემამ.

— ხვალ შინ არ ვიქნები, — ცივად ამცნო ვოიცეხოვსკიმ თავისლა განაოცრად.

— ჰო-ო... მაშინ, რასაკვირველია...

— შეიძლებოდა მოსულიყავით, ექიმო, და ავტობუსამდე გაგეცილებინათ! — თავისი აზრი გამოთქვა მელანიამ: შიშობდა, ერთი თვის ერთობლივი მუშაობის და განსაკუთრებით ამისთანა სასიამოვნო მეგობრული საღამოს შემდეგ, გამოთხოვება ერთობ ხანმოკლე, საქმიანი და გულგრილი არ ყოფილიყო.

1. განშორება პატარა სიკვდილია (ფრანგ.).

ვოიცეხოვსკიმ გაიცინა.

— იცით, რა არის გამომშვიდობება, მელანია?

— ეს არის...

— ... რეზინია. რაც მეტად გაჭიმავ, მით უფრო მტკიცუნულად მოგხვდება თითებზე.

ყველანი დუმდნენ, ისინი ერთსა და იმავეზე ფიქრუბნდნენ, სინამდისეში ისევ გაისმა ვოიცეხოვსკის ხარხარი.

— ყველაფრისათვის მადლობელი ვარ, — თქვა შეცბუნებულმა ჯემამ. — უბრალოდ არ ვიცი, რა უნდა ვთქვა ახლა.

ტელეფონმა დაინკრიალა. ვოიცეხოვსკიმ ყურმილი აიღო და მაშინვე დადო — არასწორად შეეერთებინათ. მაგრამ ამ მცირე ინციდენტმა დააფრთხო განშორების წუთის საზეიმო და ოდნავ სევდისმომგვრელი განწყობილება. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ აავსებდნენ ერთმანეთს კომპლიმენტებით ან, ვინ იცის, ისეთი დაპირებებით შეებორკათ თავი, რომელთა შესრულებაც შემდგომში მოსაწყენია და ძნელი, რადგან ის, რაც ჯემას დღეს ერთობ მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ხვალ შესამჩნევად გაფერმკრთალდებოდა, ერთი თვის შემდეგ კი შორეულ და ბურუსით მოცულ წარსულად მოეჩვენებოდა, სულ რაღაც ერთთვიანი აუცილებელი პრაქტიკა, რომელიც, გინდა არ გინდა, მურგალეში უნდა გაგველო ერთ საინტერესო ძიაკაცთან, რომლის გვარიც... დაიცა, რა ერქვა იმ კაცს? მას თუთიყუშიც ჰყავდა, სახელად ტიერი, და ნერონი, ბრმა თუ თითქმის ბრმა ნაგაზი. აგრეთვე სანიტარი მელანიაც ჰყავდა, რომელიც მშვენიერ ბლინებს აცხობდა, არცთუ დიდებულ ლექსებს თხზავდა და არაყს ფოთლებზე აყენებდა — ნამდვილი სანამლავი იყო... მაგრამ იმ კაცს რაღა ერქვა? პოლონური გვარი ჰქონდა... ჰო, ვოიცეხოვსკი! ფელიქს ვოიცეხოვსკი, თუ რაღაც ამის მსგავსი.

მელანიამ გაჩერებასა და მის ახლომდებარე მიდამოს მოავლო თვალი, იმის ხილვა უნდოდა, ვოიცეხოვსკი მოვიდა თუ არა, მაგრამ კაცი არ ჩანდა და ახლა დაეჭვდა, იქნებ სულაც არ მოვიდესო. სამაგიეროდ ქალმა სხვა რამ დაინახა — ჰუგო დუმინის გამხდარ-გაყვითლებულ სახეს ჰკიდა თვალი. კაცი ნელში მოხრილი იჯდა მერხზე, მუხლებშორის მუყაოს ნაბლისფერი ჩემოდანი მოექცია, რომელიც მელანიამ მყისვე იცნო — ზედ ეტყობოდა, რომ არავის უხმარია, არავის უთრევია — იგი თითქმის ისეთივე იყო, როგორც მაშინ ლაუვაში. აბა, ჰუგოს სად უხდებოდა მგზავრობა, ან რა ჰქონდა წასაღებ-წამოსაღები — მხოლოდ მაღაზიაში დაიარებოდა პროდუქტების, რომელიმე ინსტრუმენტისა თუ მასალის შესაძენად, ესენი კი ჩემოდნით არ დააქვთ.

და უცებ მელანია რაღაც ზეშთაგონებით მიხვდა, საით აპირებდა გამგზავრებას ჰუგო. ქალმა ეს ისე შეუცდომლად გამოიცნო, რომ გული ყელში მოეჭვინა. და, თუმცა გონებამ უკარნახა, უმჯობესია ახლოს არ მიხვიდე, შორიდან მიესალმეო — რადგან სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ, — ქალი მაინც მივიდა ჰუგოსთან, რადგან მელანიას შეეძლო ყოფილიყო მხოლოდ ისეთი, როგორც იყო. მელანიას არ შეეძლო ეცქირა, თუ როგორ იჯდა კაცი თავჩაქინდრული და ფერგამკრთალი, გაძვალტყავებული, მოკუზული და ბებრულად წანვეტებულ მუხლებშორის ნაბლისფერი ჩემოდანი მოექცია, არ შეეძლო ყოველივე ამისთვის საკუთარი თვალით

ეცქირა და მხოლოდ უსულგულოდ დაექნია მისთვის თავი შორიდან — არა, ამას მელანიას ვერ მოსთხოვდით, ეს მისთვის ნამეტანი იქნებოდა.

ჯემა წუთით მარტოკა დატოვა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რაც მას ჰუგოსგან აშორებდა. კაცმა მხოლოდ მაშინ აიხედა მალლა და ქალი შენიშნა.

— შენა ხარ, მელანია? — უსიხარულოდ, უინტერესოდ, უფრო მოვალეობის მოსახდელად უთხრა კაცმა და მერხის კიდისკენ მიიწია. — მოდი, დაჯექი.

თუმცა მელანია არ დამჯდარა, იგი იდგა და ჰუგოს უცქეროდა. გული შეეკუმშა ტკივილით, როცა ის ცვლილებები შენიშნა, კაცს მათი უკანასკნელი შეხვედრიდან სულ რაღაც ორი კვირის მანძილზე რომ განეცადა. მინისფერი ტუჩების კიდეები უსიცოცხლოდ ჩამოვარდნოდა, ცხვირი დაგრძელებოდა, რასაც სახის გამომეტყველებაც შეეცვალა, ისედაც გამხდარი ლოყები თითქოსდა უფრო ჩასცვივნოდა, თვლებში კი სიცარიელე ედგა, არ უბრწყინავდა, სიცოცხლის ნატამალიც არ ეტყობოდა. მელანია შეკრთა — ჰუგოს ისეთივე გამოხედვა ჰქონდა, როგორც ბებერ დუმინიხას...

— საით გაგინევია? — დაინტერესდა ქალი, თუმცა ისედაც ხვდებოდა, სადაც მიდიოდა.

— საავადმყოფოში უნდა დავწვე ერთი თვით მაინც.

— გაზაფხულმა გართულება იცის, — უთხრა ქალმა, დუმილი რომ დაერღვია. — ვიტამინები გაკლია და საერთოდ... აი, დათბება, მზე გამოიხედავს და მაშინ...

ჰუგომ თავი დაუქნია და მის გამხდარ სახეზე წამით გაიელვა იმედის ნაპერწკალმა — ალბათ, სიცოცხლე სწყუროდა.

— ჰო, გაზაფხულზე საშინლად მიჭირს იმ ჭმუნვის სახლში წასვლა, — უხალისოდ ჩაილაპარაკა ჰუგომ.

ახლა მელანიამ დაუქნია თავი.

— გასაგებია, მაგრამ რაკი საჭიროა, ჰუგო, მაშასადამე, უნდა ნახვიდე. იქ დიეტაზე დაგსვამენ, წამლებს დაგინიშნავენ და ფეხზე დაგაყენებენ.

— შენ ასე ფიქრობ?

— აქვე გავთავებულებო! — დაუდასტურა მელანიამ, — განა ტყუილად ვიმუშავე საავადმყოფოში იმდენი წელი? გგონია, ცოტა რამ მინახავს?

დიახ, დიდხანს იმუშავა საავადმყოფოში და კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა ისეთი სახე, ჰუგოს რომ ჰქონდა. და თითქმის სასონარკვეთილი ფიქრობდა იმაზე, თუ რატომ დააჯილდოვა ბედმა თვითონ რკინისებური ჯანმრთელობით და რატომ არის ეს დასაქცევი ქვეყანა ისე მოწყობილი, რომ თავისი ჯანის თუნდაც ნატამალის გაზიარება არ შეუძლია ჰუგოსთვის, რადგან მისი ჯანმრთელობა და ძალა ორივეს ეყოფოდა და დარჩებოდა კიდეც. ასე ფიქრობდა ქალი, ხოლო მისი ფართო პირი ამასობაში გამამხნეველად უღიმოდა დუმინს.

— ხომ გახსოვს, მაშინ საავადმყოფოში... თითქოსდა ხელახლა დაიბადე, — შეახსენა ქალმა და ამჯერად ჰუგომაც უხალისოდ გაიღიმა.

— გულწრფელად რომ ითქვას, მაშინ ექიმებმა კი არა, შენ აღმადგინე მკვდრეთით, მელანია.

— მე? — კითხვა შეუბრუნა ქალმა და თვალებზე ცრემლები მოადგა.

— რა მოგივიდა, მელანია, — დაღლილად ჩაილაპარაკა კაცმა. — არ გინდა...

„მე რომ არ მიმეტოვებინა... — ცხარედ საყვედურობდა მელანია შეიძლება ყველაფერი სხვანაირად შეტრიალებულიყო და ჰუგოს ახლა აქ ჩემოდნით არ მჯდარიყო... იგი უჩემობამ მორჩივით დააჭკნო“.

— ყველაფერი შეიძლება სხვაგვარად ყოფილიყო, — ხმამაღლა თქვა მელანიამ და ორი კურცხალი ქარდაკრულ სახეზე ჩამოუცურდა.

ჰუგომ ხელი უღონოდ ჩაიქნია.

— ახლა აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი...

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვები არ ყოფილა, მელანია ხედავდა, რომ მისთვის მართლაც სულ ერთი იყო, ასე აენყობოდა ცხოვრება, ისე თუ სულ სხვანაირად. რაც იყო, იყო. არაფერს ნანობდა და არც საყვედურობდა. კაცს ისიც კი არ ენადა, რომ წარსულისკენ ხეირიანად მიეხედა, რადგან ფიქრი მომავლისკენ ჰქონდა მიჰყრობილი. გაიხსენა, რომ ახალ სასწაულმოქმედ ნამალზე წაეკითხა სადღაც, და ჰკითხა, შენც ხომ არ წაგიკითხავს ამგვარი რამო. მაგრამ მელანიამ არ უპასუხა, მხოლოდ მდუმარედ, გულისტკივილით შესცქეროდა ჰუგოს. ის კი ნელში მოხრილი იჯდა მის წინაშე მერხზე, უკანასკნელ ხანს არათუ ჩამომხმარიყო, თითქოს დადაბლებულიყო კიდევ, გამხდარი და თითქმის გამჭვირვალე ჩანდა მასთან შედარებით, თვითონ კი ჯანით იყო სავსე და იმდენი სასიცოცხლო ძალა გააჩნდა, აღარ იცოდა, რა ექნა, რაც ჰუგოს უძღურების გვერდით უნამუსობად და დანაშაულად ჩანდა. ქალი დასთანხმდებოდა ჰუგოსთვის ადგილი გაეცვალა — თვითონ ყოფილიყო ავად და დატანჯულიყო, ჩამომდნარიყო და მომკვდარიყო კიდევ მის ნაცვლად, მაგრამ მისი სურვილი — მსხვერპლად შეწირვოდა, უნაყოფოდ და უქმად იფანტებოდა სივრცეში.

— დეიდა, ავტობუსი მოდის!

მელანია ახლალა მოეგო გონს და გაახსენდა ჯემა, მხურვალედ მოეხვია და მაგრად ჩაიკრა მკერდში. ჯემამ იგრძნო, რომ თავზე რაღაც დაენწვეთა, თან ესმოდა, როგორ უბაგუნებდა ვნებებითა და სიბრაღულით აღელვებული გული მელანიას. მელანია გულამოსკვნითა და თავდავიწყებით ტიროდა, როგორც საერთოდ აკეთებდა ყველაფერს. თუ ტიროდა, მხოლოდ გულამომჯდარი ტიროდა, ხოლო თუ იცინოდა, გულის შეღონებამდე იცინოდა. სიყვარულის გულისთვის მზად იყო თავი გაეწირა, სიძულვილში კი მკვლელობის წინაშეც არ დაიხევდა უკან.

— რა სახანძრო სირენასავით ვღრიალებ, — ცრემლების ყლაპვით ამბობდა ქალი. — პირდაპირ მრცხვენია ხალხის! თითქოს ვინმე დამემარხოს... სულელი ვარ, ბებერი სულელი!..

— დეიდა, მომიკითხეთ ექიმი... მე თქვენ ბარათს მოგწერთ... შეიძლება როგორმე დაგირეკოთ... სალამოხანს...

ჯემამ მისი მკლავებიდან თავი გაითავისუფლა, ავტობუსში შეხტა და ხელი დაუქნია — კიდევ ერთი წამით გაიელვა კარებში ყმანვილურმა, ღაჟღაჟა და მოღიმარე სახემ.

ეს წმინდა შემთხვევითობა იყო — ვოიცეხოვსკის არა ჰქონია განზრახული გზაზე ავტობუსს დახვედროდა: ეს სასაცილო და ბავშვური საქციელი იქნებოდა ისეთი ადამიანისთვის, როგორც ის იყო. ყველაფერი შემთხვევით მოხდა, თუ საერთოდ მართებულია აქ სიტყვა „მოხდა“. ავტობუსმა გრიალით ჩაუარა და გამომშრალ გზაზე მტვრის ბუცი დააყენა. მერე ხმაური მიხელდა, ყანებში ისევ სინყნარემ დაესადგურებამ სინყნარეში ტოროლები გაბმული გალობა გაისმოდა, მის თავს ზემოთ, სადღაც თვალუნვდენელ სიმაღლეზე რომ ეკიდნენ. შორიდან ტრაქტორის დუგდუგი ისმოდა და, როცა გზამ ტყისპირს მიაღწია, კაცმა გუგულის ხმაც გაიგონა — ამ გაზაფხულზე პირველი გუგულისა. საკუთარ თავზე გაეცინა, რადგან თავი ვერ შეიკავა და ჯიბეში ხელი ჩაიყო — ხურდა ფულს გავაჩხრიალებ, რომ მთელ წელიწადს ფული არ მომაკლდესო, მაგრამ გასაღებების ასხმულასა და ამჟამად სავსებით ზედმეტ ფარანს წაანყდა, რომელსაც ყოველგვარი საჭიროების გარეშე დაატარებდა თან იმ ჭექაქუხილიანი ლამის შემდეგ, სინათლე რომ ჩაქრა და მთელი მურგალე სიბნელეში ჩაიძირა. ჯიბეში შავი ფულიც ვერ აღმოაჩინა, მაგრამ ამას სულაც არ შეუწუხებია, მაშინვე გადაავიწყდა, რას ეძებდა ჯიბეში, ნელა მიაბიჯებდა და მხოლოდ გუგულის დინჯ ძახილს უგდებდა ყურს. და სანამ ესმოდა მისი ხმა, ფრინველი განუწყვეტლივ გაიძახოდა გუ-გუ-ს და ფელიქს ვოიცეხოვსკის ხანგრძლივ სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდა, ასი წლისას მაინც — გულუხვი გუგული იყო, მას არ შურდა ისეთი უმნიშვნელო რამ, როგორც არის დრო.

მზემ გამოიხედა და სახნავ თუ ნასვენ მიწებიან მქრქალ, თითქოსდა ბრტყელ პეიზაჟს მაშინვე არათუ სიცხადე, მესამე განზომილებაც კი მიანიჭა. ვოიცეხოვსკიმ მხარზემოდან გაიხედა უკან და თვალთ დაუბნელდა. ზეცის თავისუფალ და კამკამა ზოლში, ღრუბლებსა და შორიზონტს შორის, როგორც გიგანტური აფეთქების ჟამს, მზე იმდენად კაშკაშა და ელვარე სხივებს ღვრიდა, რომ თვალებს სწვავდა და აცრემლებდა. კაცმა ცხვირსახოცი ამოიღო, რომ თვალეები მოენმინდა, და მზისთვის მეტად აღარ შეუხედავს, რომელიც თვალეებს სჭრიდა, თუმცა როგორც ზღაპრულ ელდორადოში, სულ ოქროსფრად მოეგარაყებინა მურგალეს ძველი თუ ახალი შენობები, რომელთაც შორეული გასეირნებით დაღლილი უახლოვდებოდა. მაგრამ ეს დაღლილობა უფრო საამო იყო, ვინემ ქანცის გამწყვეტი. ოდნავ უკან ნერონი მისუნსულეებდა. ვოიცეხოვსკი მას ვერ ხედავდა, მაგრამ გამუდმებით ესმოდა, როგორ აფხაჭუნებდა ძალღი ბრჭყალებს ხრეშსა და კენჭებზე.

ისინი ვიდრიცაზე გადავიდნენ, რომელსაც შრობა დაეწყო. წყლიდან დასველებული ქვეები ჩანდა. თხმელის ტოტები მარაოსავით დანაოჭებულ ნაზ მწვანე ფოთლებს დაეფარა. მათ ქვეშ, ნოყიერი ტენიანი ნიადაგიდან, მალლა მოყელყელაობდნენ გრძელფეხება, ნაზი თეთრი ანემონები. მათ ასევე ნაზი და მალალკანჭება გოგონა კრეფდა და ცხელ მუჭში ბლუჯავდა, სადაც ისინი უმალ ჭკნებოდნენ. კაცმა იცნო გოგონა. ეს გახლდათ ელფა — ბავშვისთვის უცნაური სახელი შეერქმიათ, — ვიტოლდ სტენგრევიცის შვილიშვილი. კი მაგრამ სად არიან მისი საკუთარი შვილიშვილები — კანონიერები და შეიძლება უკანონოებიც? — ისინი ცხოვრობენ სადღაც ამქვეყნად, შეიძლება არც იცოდნენ, რომ შორეულ მურგალეში

ჰყავთ ბაბუა, ისევე როგორც თვითონ არ იცის, რამდენი შვილი ჰყავს პეტერს, იქნებ ზუსტად არც თვითონ პეტერმა იცოდეს ეს.

ვაჟიშვილი რომ გაახსენდა, ვოიცეხოვსკიმ ჯიბეში ისევ მოიძია გასაღებების ასხმულა და გადანყვიტა, გზად ფოსტაში შეევლო. წინკარში შევიდა, გაზეთები ამოიღო და იქვე იპოვა ბარათიც. ყუთში არაფერი იდგა, ფანჯარასთან ისე მიდგა — მინაში გარედან შუქი აღწევდა — მინაში თავისი ხელწერა იცნო. ეს იყო მისი ბარათი, პეტერს რომ გაუგზავნა. გამგზავნის მისამართს მსხვილი წითელი ხაზი ჰქონდა გასმული და კონვერტის კუთხეში იმავე წითელი ფანქრით ორი მოკლე, მკაცრი სიტყვა მიეჯღაბნათ: „არ ცხოვრობს“. და თუმცა ეს არ ყოფილა პირველი ბარათი, ასეთი წარწერით უკან რომ დაბრუნებია, ვოიცეხოვსკის მღელვარება დაეუფლა.

რას ნიშნავს „არ ცხოვრობს“? სადმე გაემგზავრა თუ გარდაიცვალა?..

ეჭირა ხელში ბარათი და იგრძნო, რომ ერთბაშად დაბერდა, სხეულში დაღლილობის ტყვია ჩაეღვარა, სახე კი ნაოჭებმა დაულარეს, — თავისი სახე ისე აღიქვა, თითქოს მაგარ ხეზე ამოკვეთილი გრავიურა ყოფილიყო. ყველაფერი, რაც გასეირნების ფაშს დაინშინდა და დაილექა, რითაც წყალი დანდა, ახლა ისევ აირია და ნაკადი აამღვრია. თავს ყველასგან მიტოვებულად და დავინწყებულად გრძნობდა, თითქოს არავის სჭირდებოდა და არათუ არ უყვარდა, არც ესმოდათ მისი, არაერთხელ დააპირა და შეეცადა, ვინმეს მაინც მიტმასნებოდა, მაგრამ ყველაფერი ისე აუვლიდა ხოლმე გვერდს და მიედინებოდა, როგორც მდინარე.

„S'en aller, c'est un peu mourrir,“ — ისევ გაიხსენა კაცმა და ცალყბად ჩაიცინა.

შემდეგ ისევ გზაზე გამოვიდა, წინ და ირგვლივ მურგალე გადაშლილიყო. მაგრამ სად არის ის სახლი ან კარი, სადაც აქ გატარებული ამდენი წლის შემდეგ შეუძლია მიუპატიჟებლად, დაუძახებლად შევიდეს, არა როგორც ექიმი, უბრალოდ როგორც ადამიანი, გარკვეული მიზნისა და საჭიროების გარეშე, იმისათვის, რომ ერთხანს მდუმარედ იჯდეს, რაკი ახლა უჭირს და თავს ცუდად გრძნობს, ჩაი ან რაღაც უფრო მაგარი, თუნდაც აყროლებული და საზიზღარი არაყი დალიოს, და სისუსტის წუთსა სძლიოს, რომლისგანაც ძლიერნიც არ არიან დაზღვეულნი.

არა, არ არის მართალი — ვიღაცა მაინცა ჰყავს. კაცმა, საღამოს მზის სხივებით განათებულ მურგალეს გზაზე რომ მიაბიჯებდა, თავისთვის დაბნეულად გაიღიმა. მელანია! მაშასადამე, შენი საქმე მთლად წასული არ ყოფილა, ხომ ასეა, პან ვოიცეხოვსკი? ბოლოს და ბოლოს მელანია ყველას ხომ არა ჰყავს...

იგი შინ დაბრუნდა, გაზი აანთო და ასადულებლად წყალი შემოდგა: ყავა უნდა დალიოს — შავი ყავა ტონუსს ამაღლებს! და საერთოდ... კმარა, მორჩა — არ შეიძლება ასე იაროს და იაროს წრის გარშემო მინდორში დაბმულ ცხენივით და ანადგუროს, თელოს ცხოვრების წრე. ნუ ცახცახებ და ნუ იკრუნჩხები გალუმპულ ვირთხასავით, პან ვოიცეხოვსკი! Ne psuj sobie krwil! პირველად როდი იწყებ ყველაფერს თავიდან. მთავარია, დაიწყო, მერე კი ყველაფერი თავისთავად აეწყობა...

მაგნიტოფონი ჩართო, ლენტა გადაახვია და იპოვა, რაც უნდოდა. და

1. სისხლს ნუ იწამლავ! (პოლ.).

იმ დროს, როცა ჭაბუკური მჭექარე ხმები ძველ კეთილ happy end-ზე მღეროდნენ, ბედნიერ დასასრულზე, იმის შესახებ, რომ ყველაფერი კარგად არის და უფრო უკეთ იქნება, ყველაფერი წარმოუდგენლად უკეთესად იქნება, ვოიცებოვსკი ტელეფონთან მივიდა, ყურმილი აიღო და ვეტერინარული უბნის ნომერი აკრიფა. აპარატთან დიდხანს არავინ მიდგოდა, მხოლოდ სიგნალის წივილიდა ისმოდა და კაცს უნდოდა უყურმილად დაელო, რომ ბოლოს ნაცნობი ბარიტონი გაისმა:

- უბანი გისმენთ.
- გამარჯობათ, მელანია! ვოიცებოვსკი ვარ.
- ხომ არაფერი მომხდარა, ექიმო?
- არა, მელანია, არაფერი მომხდარა... სრულიად არაფერი. უბრალოდ ვზივარ აქ, ყავას ვადულებ და უცებ... მაპატიეთ, მგონი გადმოდის!
- ვინ გადმოდის, ღმერთო ჩემო?
- ჩაიხსენებ ნყალი გადმოდის, ალბათ, ადუღდა... ტელეფონთან დამელოდეთ, თუ შეიძლება... გთხოვთ, მელანია, ახლავე გაზს გამოვრთავ.
- კაცმა გაზი გამორთო და მიბრუნდა.
- მელანია, რაზე გავჩერდით?
- იმაზე, რომ ზიხართ და ყავას მიირთმევთ...
- დიახ, და თავში ერთი იდეა მომივიდა. მინდა ვიცოდე, რა აზრის ხართ ამაზე.

- აბა, მითხარით!
- რა მოხდება, რომ ჩვენ შევუღლებით, მელანია?
- ჩე და... თქვენ?
- დიახ.
- სადენის მეორე ბოლოს გაბრაზებული ხვნეშა გაისმა.
- სად მოასწარით ასე გაღებვა, ექიმო?
- წვეთიც არ დამიღვია.

ყურმილში მხოლოდ მელანიას სუნთქვა ისმოდა. სიმღერა დამთავრდა და მეტრონომისა თუ სხვა რაღაცის მოზომილი დარტყმები გაისმარის მოსმენაც ახლა ვოიცებოვსკის სულაც არ უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო მაგნიტოფონს მისწვდენოდა და ეს გულისამრევად რიტმული და გამაღიზიანებელი ხმები გამოერთო.

- მელანია, სად დაიკარგეთ?
- არ გეკადრებათ, ექიმო, ჩემი გამასხარავება, — საცოდავი ხმით ჩაილაპარაკა ქალმა.

- მე სრულიად სერიოზულად გეუბნებით.
- მოეშვით ცელქობას! ნახავთ, ექიმო, თუ ხვალ თვითონვე არ შეგრცხვით. ნადით ახლა და დაიძინეთ. თქვენ არაფერი გითქვამთ და მე არაფერი გამიგონია. რას არ წამოროშავს მთვრალი კაცი! მერე კი...

- პირში წვეთიც არ ჩამიშვია.
- მაშ რა ბზიკმა გიკბინათ? ტემპერატურა გაიზომეთ და თუ... ვოიცებოვსკიმ სევდიანად გაიციხა.
- არასოდეს შემინიშნავს, მელანია, რომ ტემპერატურის გასინჯვას სამკურნალო ეფექტი გამოეღოს. კარგით, ვთქვათ, გავიზომე და ოცდათვრამეტი და ორი ხაზი მაქვს, მაშინ რაღა უნდა ვქნა?

- ავადმყოფობის ფურცელი აიღეთ და სანოლში გამოშუშდით.

— მერე ჩვენს ძვირფას ვეტერინარულ უბანს რაღა ვუყოთ? — მისთვის ჩვეული მსუბუქი დაცინვით ჩაურთო კაცმა.

— უბანს თავს ხომ არ შესწირავთ. დასვენებაც საჭიროა.

— დავისვენებთ, როცა...

— თფუ, თფუ, ექიმო! ენამ არ გიყვივლოთ... მე სერფოვს ვეუბნებით, ასპირინი მიიღეთ და დაშაქრული არაყიანი ჩაიბეჭდეთ.

— არაყიანი? — ვოიცებოვსკიმ კითხვა შეუბრუნა და ისევ ჩაიცინა. — ხომ არ გინდათ, მაცდუნოთ? ოლონდ მაშინ რაუდავაში მთავარ ექიმთან გამგზავრება თქვენ მოგიხდებათ, მელანია. სხვათა შორის რაიონში თქვენა ხართ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ნებისმიერ ინსტანციას შეუძლია ანგელოზები დაუფრთხოს და ფერშალი დაანიშვნინოს!

— მივალწევ ამას, თუ თქვენ ლოგინში ჩაწვებით. აი, ნახავთ, თუ არა! ნუ გეშინიათ, მთლად უვეტერინაროდ არ დაგვაგდებენ! თქვენ მხოლოდ ავადმყოფობის ფურცელი აიღეთ და ისეთ ამბავს ავუტეხავ...

— ოლონდ არსებობს ერთი „მაგრამ“, ძვირფასო მელანია.

— რომელი?

— სამწუხაროდ, ავად არა ვარ.

— ჰო, ხარკით ჯანმრთელი ხართ, მაშ არა. რაო, ბრმა ხომ არა გგონივართ? განა ვერ ვხედავ, რას დაემსგავსეთ ბოლო ხანს? ჩხირით ჩამოხმით, დაგრეხილი და დაჭმუჭვნილი ხართ, როგორც...

— ვაი-ვაი-ვაი, როგორ მაკრიტიკებთ, მელანია, თქვენი აზრით, სრულიად გამოუსადეგარი ვყოფილვარ! ნუთუ ასე ცუდად გამოვიყურები?

— აქვე გავთავებულებო! თქვენ რომ გიცქერით, ტირილი მინდება. დღისით გონებაარეული დადიხართ, ღამღამობითაც მთვარეულივით დაეხეტებით.

— ასეთია ჩვენი სამუშაო, ძვირფასო მელანია, და გინდა თუ არა, ღამღამობით უნდა იხეტიალო.

— სამუშაო! ეს სხვას უთხარით. მე თქვენ იმით გიცანით, რომ ნერონი გახლდათ. ნერონი რომ არ გხლებოდათ, შეიძლება ვერც მივხვედრილიყავ. ისე დაეხეტებით, თითქოს გუშინდელ დღეს დაეძებდეთ. ფანჯარასთან ვდგავარ და ვხედავ: აჩრდილივით დადიხართ, დაეხეტებით ელვის შუქზე, საიქიოდან მოვლენილივით დაბარბაცებთ და ტორტმანებთ, სულ მარტოკა ხართ, მარტოკა და ისეთი სევდიანი, ღამისაა გული გამისკდეს... ვფიქრობ, რა ჩემი საქმეა, მე რა მენალვლება-მეთქი? მაგრამ მაინც... რენტგენზე უნდა გაეშუქოთ, ექიმო!

„ესე იგი, მელანია ყოფილა! თეთრი რომანტიკული ზმანება ფანჯარაში... O, stary sentymentalny osioll“

ვოიცებოვსკიმ ღვარძლიანად გაიხსენა იმ ქარიშხლიანი ღამის განცდები და გაიფიქრა, ჩემმა საკუთარმა ფანტაზიამ გამაბრიყვაო. იქნებ ბედისწერამ მოგიგო ნიშნი, პან ვოიცებოვსკი?

— კარგად იყავით, მელანია... და მოცლილობის ჟამს ჩემზე იფიქრეთ!

— თქვენ კი ისე მოიქეცით, მე რომ გეუბნებით: ასპირინი მიიღეთ და დალიეთ... მისმენთ? მე...

— ხვალამდის, მელანია!

1. ო, ბებერო სანტიმენტალურო ვირო! (პოლ.)

ასე უთხრა და ყურმილი დადო. ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ხვალინ-
დელი დღე აღარ იქნებოდა — ორმოცდასამი წუთის შემდეგ დარეკავს
ტელეფონი, კიდევ თხუთმეტი წუთის შემდეგ კოლმეურნეობა „ბურუცი-
ემსში“ გაემგზავრება, უკან გამობრუნებულს ზუსტად ოცდასამ საათსა
და ნულ ნულ წუთზე მარცხენა მხრიდან ანაზღაურ შემოეფეფება, წყვილი-
დიდან გამოტყორცნილი სინათლის ჩქერი და საჭეს მკვეთრად მიატრია-
ლებს მარჯვნივ, თუმცა, როგორც გამოცდილი მძღოლი, მაშინვე მიხვდე-
ბა, რომ ავარიას თავიდან ვერ აიცილებს, შეჯახების უკანასკნელ წამს
იცნობს იმას, იმ მეორეს, მაგრამ ამას უკვე აღარ ექნება მნიშვნელობა,
რადგან გვერდიდან მიღებული შემზარავი ძალის დარტყმა გაზიკს შეარ-
ყევს, პატარა ჯაბახანა ღრჭიალით შეხტება და მთელი კორპუსით აძაგ-
დაგებული ჰაერში აფრინდება, გაისმის გასროლის მსგავსი ტკაცატკუცი.
გაზიკის ძარის გახეთქვას რომ მოჰყვება, და ყველაზე დიდხანს ბორ-
ბლები იცოცხლებენ, რომლებიც ინერციით იტრიალებენ და იტრიალე-
ბენ...

დაყოვნებული მოქმედების ნაღმი,
ანუ მოთხროვა ველქმსა და ინგუსის შესახებ

ქალი ინგუსის შესახვედრად გამოვიდა, მაგრამ ძრავის გუგუნის რომ
გაიგონა და საღამოს ბინდბუნდში მოტოციკლეტის ფარის მქრქალი შუქი
დაინახა, როცა შენიშნა, როგორ ცახცახებდა მოახლოებული ყვითელი
სხივების კონა, რომელიც ხან მარჯვნივ გახტებოდა, ხანაც მარცხნივ, და
არა მხოლოდ რყევის გამო — აქ ხომ განსაკუთრებული ორმოები და
ოღროწოღრო ადგილები არ ყოფილა, — და როცა კიდევ ერთხელ მიხვ-
და, რომ ინგუსი ნასვამი იყო, ხოლო თვითონ შეიძლებოდა დღეს ვეღარ
მოეთმინა და თავი ვერ შეეკავებინა, რითაც არაფერი, სულ არაფერი შე-
იცვლებოდა, პირიქით, მდგომარეობა უფრო გართულდებოდა, რადგან
ყვირილით ინგუსთან ვერაფერს გახდებოდა და თუ რამეს მიაღწევდი, მხო-
ლოდ კეთილი სიტყვით, — როცა ველქემ ყოველივე ეს გაარკვია და შე-
იგნო, უფრო ჭკვიანური ეჩვენა, ქმარს ახლა არ დანახვებოდა, ოდნავ დამ-
ცხრალიყო, დამშვიდებულიყო და კიდევ ერთხელ თავიდან ბოლომდე მო-
ეფიქრებინა, რის თქმას აპირებდა, თუკი უნდოდა, რომ საუბარი კინკლა-
ობასა და ჩხუბში კი არ გადაზრდილიყო, არამედ მდგომარეობა გამოეს-
წორებინა. აი, რატომ მიიმალა იგი ხეების ჩრდილში, სადაც მოტოციკლე-
ტის ფარის სინათლე ვერ შეაღწევდა, და დაელოდა, როდის ჩაივლიდა
ინგუსი.

და იმ დროს, როცა ძრავის ნაწყვეტ-ნაწყვეტი დუგდუგი თანდათანო-
ბით ახლოვდებოდა, ველქემ საკუთარი გულის ყრუ ბაგაბუგს გრძნობდა,
რასაც მთელი სხეული, თვით თითის წვერებიც კი ცახცახით ეხმიანებოდა,
რაც ქალს აგრძნობინებდა, თუ რამდენად იყო ალელვებული. თითქოსდა
ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო: რაკი ინგუსი ბრუნდებოდა, თა-
ნაც სალ-სალამათი, ქალი უნდა დამშვიდებულიყო, თუმცა საპირისპირო
რამ მოხდა და მღელვარება კი არ გაუნელდა, უფრო მოემატა. და როცა
ხეივანში შემოსული მოტოციკლეტის ძრავა მოულოდნელად ჩაქრა, ველქემს
მოეჩვენა, შემნიშნესო, და ყელში რალაც გაეჩხირა, თითქოს საკუთარი სა-

ხლისკენ მიმავალ გზაზე კი არ იდგა, სადაც დგომის სრული უფლება ჰქონდა დღე-ღამის ნებისმიერ დროს, არამედ სიბნელეში იმალებოდა ნაქურდალით.

„ნერვების ბრალია, — ფიქრობდა ქალი, — წყეული ნერვების“, — ინგუსი კი ამასობაში მოტოციკლეტის დამორჩილებას ცდილობდა და თავისთვის რალაცას დუდღუნებდა — იქნებ ხმადაბლა იტყვიან, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ღიღინებდა.

უნინ ვინმეს რომ ეთქვა ნერვები გაქვსო, ქალს გაეცინებოდა! პირველად ნევროპათოლოგთან ერთი წლის წინ მივიდა, ისიც არა საკუთარი ნებით — მძლოლის მოწმობის მისაღებად საბუთებს აფორმებდა. ახალგაზრდა ექიმმა ქალმა გასინჯა და განსაკუთრებული გულმოდგინებით მას შემდეგ ჩაეძია, როცა შეკითხვაზე, ნათესავებში გყავთ თუ არა ვინმე ფსიქიურად დაავადებულიო, ველძემ უთხრა, კი მყავსო, და დედა დაუსახელა... განა ასეთი სენი მემკვიდრეობით გადადისო, ჰკითხა ველძემ. დიახ, ხდება, თუმცა აუცილებელი არ არის. იქნება უძილობა განუხებთ, იქნებ მუდამ აფორიაქებული ხართ, იქნებ თავბრუსხვევა გაქვთო? არა, თავი არ მიბრუნის. უძილობა და მუდმივი აფორიაქება? ველძემ თავისთვის ჩაიციინა. რომელ ქალს არ უტყდება ძილი და არ იტანჯება, როცა ცხოვრება აერ-დაერევა? მართალია, ერთობ სათნო და სიმპათიური ქალი ბრძანდებოდა და ინსტიტუტიც დაგიმთავრებიათ, მაგრამ ეს არც თქვენ აცდებოდათ, თუკი ლოთი და ქალების მოყვარული ქმარი შეგხვდათო...

ინგუსი მისგან ისე ახლოს იყო, რომ ველძეს მისი არა მხოლოდ გაუგებარი ჩურჩული, არამედ შიგადაშიგ მისი დაძაბული სუნთქვაც ესმოდა და ნათლად არჩევდა მოძრავი ფიგურის ნაცნობ კონტურებს. კაცი კი ვერ გრძნობდა მის მზერას. ეტყობა, მუშაობით გაფიცებულმა ჩაფხუტი მოიხადა, ღვედით საჭეზე ჩამოჰკიდა, გადააფურთხა და ისევ ძრავის დაქოქვა განაგრძო, არ მოისვენა, სანამ თავისას არ მიაღწია, სანამ „მინსკი“ არ გაცოცხლდა და მოგუდულად არ დაიწყო დუგდუგი. მაშინ ინგუსი მოტოციკლეტზე მოექცა და სახლის მიმართულებით გააქროლა, იქ კი ძალღის მხიარული წკმუტუნის გაისმა, ხოლო შეცვიებულივით აძაგძაგებული ველძე ლასლასით მიჰყვებოდა ფარების სინათლეს, სანამ ეზოში არ ჩაქრა, მერე კი გზა სიბნელეში განაგრძო, რომელიც გაზაფხულის მსუბუქი ბურუსითა და ბუნზინის სუნით გაჟღენთილიყო.

„ნერვების ბრალია“, — ფიქრობდა ქალი, თან სიარულს განაგრძობდა, თითქოს ამით არა მხოლოდ განგაშის დამთრგუნველი გრძნობის ახსნა შეეძლო, არამედ თავის დამშვიდებაც.

ეზოში, ფანჯრიდან გადმოღვრილ სინათლეს სუსტად რომ გაენათებინა, არავინ ჩანდა.

ველძემ გარშემო მიმოიხედა — ინგუსს ჰაიჰარად ხომ არ მიუგდია მოტოციკლეტი, როგორც ხშირად სჩადისო. ამჯერად ჭკვიანად მოქცეულა და „მინსკი“ გარაჟში დაუყენებია, მაგრამ კარი მაინც არ დაუკეტავს. „ჭკუა არ მაკლია, მაგრამ ვერაფერში ვიყენებ...“ გაიფიქრა ველძემ და კარის დასაკეტად მივიდა. სანახევროდ ჩაბნელებულ გარაჟში მდგომი მანქანის ფარები სახლიდან გადმოღვრილ სინათლეს ირეკლავდა და ციმციმებდა. ყველაფერი რიგზე იყო, მოტოციკლეტიც თავის ადგილას იდგა. ბოქლომი საიდუმლო კლიტით დაკეტა, თან იმას ფიქრობდა, შიფრი ხომ არ შეეცვალა, რომ გაღება მხოლოდ მე შემიძლოსო, მაგრამ რომ აწონ-

დანონა ეს აზრი, უარყო, ვინ იცის, ამ ცვლილებას რა მოჰყვებო, — რადგან ინგუსი ისედაც ავადმყოფურად განიცდის, რომ ოჯახის მთავარი მარჩენალი აღარ არის, მაშასადამე, არც მეთაურია, როგორც უნდა იყოსო, მისი გაგებით, მამაკაცი. კი აქვს ლელვისა და წუხილის საბაბი — სახლი და მანქანა მის სახელზე არ არის გაფორმებული და თუჯაქის-გასკვლის უდიდეს ნაწილსაც თავისი ჯიბიდან როდი ფარავს! მამაკაცური თვისებებით, სასაცილოა პირდაპირი შარზეა და მიზეზს ეძებს, რომ იხმაუროს და იჩხუბოს, რადგან თავად ღმერთს დაუნესებია, რომ მამაკაცი ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილო იყოს, პირველ რიგში კი თავისი ქორწინებითა და საკუთარი ცოლით. კაცს უსიამოვნება არ უნდა მოაკლდეს, თუ ნამდვილი არა, გამოგონილი მაინც, თორემ ღვინოში რაღა უნდა ჩაახშოს...

მაინც რა აკლიათ ახლა მათ? განა ჭარბად, თავზე საყრელად არა აქვთ, რაზედაც უნინ ოცნებობდნენ და რისთვისაც ფულის შეგროვებას აპირებდნენ? წლების მანძილზე მომჭირნედ ცხოვრობდნენ, ფულს თითო მანეთობითა და კაპიკობით ინახავდნენ, რომ დროთა განმავლობაში, როცა ხანში შევიდოდნენ, ჭალარით შეიმოსებოდნენ და სენიც ხელს დარევდათ, შეეძინათ ის, რაც უკვე გააჩნიათ ახლა, როცა ორივენი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან და ჰყვავიან, როცა წინ კიდევ ხანგრძლივი ცხოვრება ელით... სულმოუთქმელად უნდა დაენაფონ და დატკბნენ ცხოვრებით...

არადა, რა ხდება, ღმერთო ჩემო, განა ეს ცხოვრებაა? აქეთ-იქით ინონიალო, გზაზე დაეყუდო, როგორც ძალი საკუთარი პატრონისა და მბრძანებლის მოლოდინში, რომელმაც არასოდეს იცის, რა ხასიათზე დაბრუნდება იგი — მოეფერება თუ წიხლს ჩააზელს? დაეყუდოს ველძე, ვინც საყოველთაო აღტაცებასა და შურს იწვევს, ლიგოტნელი მემკვიდრე, როგორც მას ეძახიან შურით გულგახეთქილი დაქალები თავისი ძვირფასი მულის მეთაურობით ველძე, რომელიც ყველას მსუბუქად ჩაუქროლებს ხოლმე თავისი საუცხოო საექსპორტო „ვოლგით“, რომლის შესაძენადაც ჭორიკანებს, ასე გულმოდგინედ რომ კილავენ, მაინც არ ეყოფათ ფული, მთელი სიცოცხლე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდეც რომ აგროვონ... არა, ეს ღარბ-ლატაკნი და თვალხარბნი ვერასოდეს იხილავენ ამისთანა მანქანას, როგორც საკუთარ ყურებს ვერ იხილავენ! ველძე, ვინც მუდამ ელეგანტურია და შეუძლია არისტოკრატიული დაუდევრობით ეცვას, ვისაც სკოლის დირექტორი მურგალეს პირველ მანდილოსანს უწოდებს! და თუმცა ჩვეულებრივ ეს სიტყვები არასერიოზული, ხუმრობაგარეული კილოთი წარმოითქმის, განა ამ ულამაზესი მამაკაცის — კასპარსონის სიტყვებში იმის დასტური არ იმალება, რომ ველძე სხვა ქალებისგან განსხვავდება და ერთგვარად მათზე მალლა დგას? ეს ხომ აშკარაა. მაგრამ ამას მხოლოდ მისი საკუთარი ქმარი ვერ ხედავს...

კარგი, კმარა. გრილი ხელები სახეზე ჩამოისვა. შეძლებისდაგვარად უნდა დამშვიდდეს. რატომ უნდა გაღიზიანდეს ამოდ. საყვედურებით შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს. როგორც ყოველთვის, ინგუსი მყისვე იპოვის თავის გასამართლებლად ათას ერთ საბუთს და ყოველივე ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ლანძღვა-გინებად გადაიქცევა. რაიმე აბი უნდა მიიღოს, რომ ხელები არ უცახცახებდეს და ხმა არ უთრთოდეს. სასაცილოა, თითქოს მას დაეშავებინოს რამე. საინტერესოა, რას იფიქრებდა

ინგუსი, რომ სცოდნოდა, ველძეს ახლა ხელები ისე უცახცახებდა, როგორც მაღალ და მრისხანე უფროსთან შეხვედრის წინ? სიბრალულსა და სინაზეს აგრძნობინებდა თუ სრულიად სხვა გრძნობებს აღუძრავდა? შეიძლება კმაყოფილებაც კი ეგრძნო, რადგან მამაკაცისთვის ხანგამოშვებით აუცილებელია თავისი ძალაუფლების გამოჩენა, რაც მეტ-ნაკლები სიძლიერით ზემოქმედებს ცოლის მოთმინებასა და ნერვებზე.

ველძე წინკარში შევიდა, სადაც სინათლე ანთებული დაეტოვებინათ: კაუჭზე მისი ქმრის კურტაკი ირხეოდა, რომელიც საკიდრით კი არ ეკიდა, არამედ სარჩულით. იატაკზე ეგდო მოტოციკლეტზე დასახურავი ცისფერი მუზარადი. ქალმა კურტაკი ჩამოხსნა და წესიერად დაკიდა, თასმით დაკიდა მუზარადიც; კედელს მიღმა დედის ბუტბუტი ისმოდა, სიტყვებს ვერ გაარჩევდით, ასე რომ გაუგებარი იყო, ვის ელაპარაკებოდა — ელფას, ინგუსს თუ საკუთარ თავს. არა, მაინც ინგუსს ელაპარაკებოდა, ველძემ ეს უცებ დაინახა; დედა წინ ედგა კაცს, უსუსური, ჩამომხმარი დედაბერი მხრებამდე ძლივს სწვდებოდა და ცხვირსახოცით მკერდს გულმოდგინედ უწმენდდა. კაცი კი მაღლიდან დასცქეროდა და მის წვერმოშვებულ, სიმთვრალით გამოთაყვანებულ სახეზე თანაგრძნობასა და სიბრალულში არეული უპატივცემულობა და ზიზღი აღბეჭდილიყო.

„თუ მეც ამნაირი თვალებით მიცქერის?“ — ანაზღად გაიფიქრა ველძემ.

— სისხლი... — მონოტონურად ლულულულებდა დედა და მზრუნველად განაგრძობდა პერანგის წმენდას. — სისხლი...

„სისხლი!“ — როგორც იქნა, მიაღწია ველძეს სმენასა და შეგნებამდე ამ შემზარავმა სიტყვამ. ქალს დაავიწყდა თავისი გადანყვეტილება, რაც შეიძლება თავშეკავებული და დამშვიდებული ყოფილიყო, და მოულოდნელობით თავზარდაცემული ქმარს სახელოში ისე მაგრად ჩააფრინდა, მისი თითები კაცის ღონიერ ხელს ჩაერჭო.

— დაჭრილი ხარ?

ნაცრისფერ კუბოკრულ ქსოვილზე, მარცხენა მხარეს, დაახლოებით გულის არეში, წითელი ლაქა გადღაბნილიყო.

— ინგუს... ძვირფასო! — აღმოხდა თითქმის გონმიხდილ ქალს, კაცმა კი თავი გადახარა, კბილები გააელვა და ხმამაღლა ჩაიხვიხვინა.

— ნამდვილი ქათმები ხართ! ეს კაპორია, ველძე, — თქვა კაცმა და დედის ხელი მოიშორა. — წადით და დაიძინეთ, მუთთერ. კმარა! პერანგი გასარეცხად უნდა ჩავაგდო. ცხვირსახოცით აქ ვერაფერს გააწყობ.

— მოიტა, სამრეცხაოში წავიღებ, — ნალვლიანად ჩაილაპარაკა ველძემ და ქმარს გაეცალა, თუმცა არ წასულა, მდუმარედ ადევნებდა თვალყურს, რა უხერხულად იხდიდა პერანგს, თან მაისურიც რომ მიაყოლა, და წელზემთ შიშველი დარჩა — ელექტრონის შუქზე კანს პრიალი გაუდიოდა, ამობურცულ კუნთებზე ისე დაჭიმულიყო, თითქოს მხარბეჭიანი სხეული შიგ ძლივს ჩატეულა და სადაცაა შემოასკდებო. და ჯერ ისევ განცდილი შიშის ტყვეობაში მყოფმა ველძემ, თითქოს ამ პრიალა კანზე ახალი ნაჭრილობევი შეენიშნოს, ოდნავი გულისრევაც კი იგრძნო, რადგან სისხლის დანახვას ვერ იტანდა. არადა, რამდენჯერ ყოფილა, რომ თავისი გამბედაობითა და უგუნურებით, თითქოს ბედსა სცდისო, ინგუსი ბენვისოდენაზე გადარჩენია უბედურებას, თანაც თავი სულაც არ შეუწუხებია იმაზე ფიქრით, როგორ გაუჭირდებოდა მის ცოლს ამის გადატანა.

კაცმა მზერა ველძეს მიაპყრო.

— რამ გაგაფითრა ასე, ძვირფასო? ხომ არ შეგცივდა?

ქალი შეერთა; ახლა უნდა უთხრას... ახლავე უნდა მოელაპარაკოს...

— ინგუს, — დაიწყო ველძემ, — ხომ არ...

— ეშმაკმა დასწყევლოს! — წამოიძახა კაცმა. — სად არის ჩემი ზოლებიანი პერანგი? ასე შიშველ-ტიტველი ხომ არ უნდა ვიდექი, დილას აქ დავკიდე, სამზარეულოში...

ველძემ იგრძნო, რომ კაცს მაშინვე გადაავიწყდა იგი, — თვითონ ჰკითხა, სიტყვა ჩამოუგდო, მაგრამ პასუხისთვის არც დაუცდია. კი მაგრამ თუ ქალი ავად არის? იქნებ თავს ცუდად გრძნობს? კაცს ეს ფეხებზე ჰკიდია. პერანგის საძებრად წავიდა, მერე შემობრუნდა, ღილები შეიკრა და გემრიელად დაამთქნარა, ეტყობა, არაფერი ახსოვდა.

— წამო, დავიძინოთ, ჰა?

— არა გშია? — უგულოდ ჰკითხა განაწყენებულმა და გულაცრუებულმა ქალმა, რომელსაც ყელში მწარე გუნდა გაეჩხირა.

— რატომღაც არ მშია, — აღიარა კაცმა და ველძეს დამნაშავესავით აღმაცერად შეაცქერდა.

— იქ... ჭამეთ კიდევ?

— მგონი კი. მაგრამ რა ვჭამეთ, რომ მომკლა, არ მახსოვს.

ინგუსმა მთელი სახით გაიღიმა, თუმცა ველძეს არც სიტყვით უპასუხნია და არც ღიმილით, მიტრიალდა და ფურნაკიდან ასევე მდუმარედ დაიწყო ვახშმის გამოღება, რომელიც იქ ინგუსისთვის დაეტოვებინა, რომ არ გაციებულყო.

— გემრიელი რამე გაქვს? — შემრიგებლურად ჰკითხა კაცმა, რომელმაც, თუმცა ნასვამი იყო, ეტყობა, მაინც შენიშნა, რა დაძაბულად დუმდა ველძე, რომელსაც შეიძლებოდა ყვირილი აეტეხა, საყვედურებით აევისო, რაც, ალბათ, მას არ უნდოდა: ღვინო რომ მოეკიდებოდა, მშვიდობიან გუნებაზე დგებოდა, ჩხუბი და აყალმაყალი არ უყვარდა, თუ, ცხადია, თავს ძალით არავინ მოახვევდა.

— არ ვიცი, რა დაგიტოვა დედამ, — უღიმღამოდ ჩაილაპარაკა ველძემ, თუმცა ვახშამი ფურნაკში თვითონ შედგა და კარგად იცოდა, რომ იქ სანებლიანი კატლეტი და შემწვარი კარტოფილი იდო. — სუფრა გაგიშალო თუ საკუჭნაოში გავიტანო?

— ჩემთან ერთად შენც თუ შეჭამ, მეც შევექცევი, თუ არადა ჯანდაბას ყველაფერი! — ნასვამი ადამიანის თავშესაქცევი, პირდაპირ ბავშვური სიჯიუტით თქვა ინგუსმა, თუმცა მისმა მოუხეშო სინაზემ ველძეში თითქოსდა გაარღვია შინაგანი კაშხალი და ქმრისა და საკუთარი თავის გასაოცრადაც, კი არ გაუცინია, არამედ ანაზდად ცრემლები გადმოსცვივდა.

„ნერვების ბრალია. ხომ არაფერი მომხდარა, — მესამედ გაიფიქრა ქალმა და გულამოსკვნით აქვითინდა. — წყეული ნერვების ბრალია...“

ველძე ბრაზობდა საკუთარ თავზე: ძალიან უნდოდა და ცდილობდა კიდევ თავშეკავება და გულგრილობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ცრემლებმა დააღალატეს, გასცეს მისი ფარული სასონარკვეთილება, მაგრამ სასონარკვეთილება სისუსტე და უძლურებაა, სასონარკვეთით ვერაფერს გახდები, ვერაფერს მოიპოვებ, ის შეიძლება მხოლოდ მარტოობაში გამოიტირო და გული მოიოხო, როგორც ძუ მგელი იოხებს ხოლმე გულს, როცა მთვარეს შეჰყმუის.

— ველძე, საყვარელო! — შეეშინდა ინგუსს. — რა დაგემართა, ძვირფასო? სამუშაოზე ხომ არავინ განყენინა?

ქალმა მდუმარედ გაიქნია თავი.

— დავილაღე... ვაიმე, როგორ დავილაღე, — უთავბოლოდ გაიმეორა ქალმა. არ ძალუძდა გამოეხატა, რამ დალაღა, თანაც ეეჭვებოდა, რომ ინგუსი გაუგებდა.

— მართლაც მძიმე შრომა გინევს! — მხურვალედ აუბა მხარი ინგუსმა, რომელსაც სინამდვილეში ვერ გაეგო, რომ ველძე უბრალოდ იმ ცხოვრებას დაეტანჯა, ისინი რომ ეწეოდნენ — მუდმივ შიშსა და მოლოდინს, გაურკვევლობასა და ბუნდოვანებას — ყოველივე იმას, რაც ქალს ახმოებს და ასავათებს ასჯერ უფრო მეტად, ვინემ ყველაზე უმძიმესი შრომა.

ინგუსი ქალს გადაეხვია და მკერდზე მიიხუტა. და ველძემ ღვინის სუნთან ერთად ბენზინისა და თამბაქოს სურნელიც იგრძნო, მამაკაცის ოფლის ჯანსაღი სურნელი, იგი ღონიერი სხეულის ცოცხალ სითბოში გაეხვია. პერანგქვეშ, ზედ ქალის ყურთან, მამაკაცის გული ბაგუნობდა, გეგონებოდათ, მკერდში დიდი საათის ხმადაბალი და თანაბარი რაკარუკი ისმისო, და ერთად აღებული ყველაფერი ეს — ნაცნობი სუნი, გულში ჩახუტების მახლობელი სითბო და სისხლის მშვიდი ჩუხჩუხი — ჩუმი ბედნიერების გრძნობად შეირწყა, რომელიც შესაძლებელია, თავის მოტყუება და სიცრუე იყო, როგორც ბევრი სხვა რამ, რაც მას განეცადა. ქალს ამგვარმა აზრმა გაუელვა, მაგრამ ველძემ იგი განდევნა და ნამიერ სისუსტეს დაემორჩილა. მთავარია, რომ ისინი ცოცხლები არიან და ახალგაზრდები, იმის ძალაც შესწევთ, თავიანთი ოჯახი ჯოჯოხეთად ან სამოთხედ აქციონ, და მხოლოდ მათზეა დამოკიდებული, როგორ შეძლებენ ამას...

ქალის ყურთან ინგუსმა ტკბილად დაამთქნარა. და ველძე, კაცის მკლავებში რომ გატვრენილიყო, ანაზდად მწარე მარტოობამ შეიპყრო. ქალმა სასწრაფოდ გაითავისუფლა თავი მისი მკლავებიდან, რომლებიც მას ახლა ცივი და ყალბი ეჩვენა და კვლავ ეჭვებით გატანჯულმა, ღირს თუ არა დღეს მისთვის რაიმეს თქმას, ქმარს სიგარეტი სთხოვა და უცნაურად განდგომილი თვალს ადევნებდა, რა უხერხულად და გულმოდგინედ იჩხრეკდა იგი ჯიბეებს, შემდეგ, როგორც იქნა, კოლოფი იპოვა და ერთი სიგარეტი ველძესთვის დააძრო, მეორე თავისთვის. უხმოდ გააბოლეს. ველძე მიხვდა, რომ ინგუსი ფიქრით სადღაც შორს იმყოფებოდა და, ალბათ, საერთოდ მოესწრო კიდევ დაევიწყებინა, რომ ქალმა იტირა, მას კი არ გამოუტყვევია, რა ატირებდა.

აბოლებული სიგარეტი ქურის კიდზე დადო, ორი თეფში აიღო — ერთი ინგუსისთვის, მეორე თავისთვის, სადილი მაგიდაზე შემოდგა და კაცის პირდაპირ დაჯდა, თუმცა მეტს ეწეოდა, ვინემ ჭამდა, და მდუმარედ, ნალვლიანად შესცქეროდა ქმარს, რომელსაც თავი ჩაეკიდა და კატლეტს უგულოდ ჩიჩქნიდა, რითაც, ალბათ, ოჯახურ თანხმობას უდიდეს მსხვერპლს სწირავდა. უბრალოდ სასაცილო იყო. ქალმა გაიფიქრა, ინგუსს საჭიროდაც არ მიაჩნია, რომ ამიხსნას, სად დაწანწალებდა აქამდე, სად გაატარა დრო, თითქოს ეს ცოლს სულაც არ ეხება, თითქოს მას დაუნერედი, უცილობელი უფლება გააჩნია, ისე მოიქცეს, როგორც მოებრიანებაო. აი, სადამდე მივიდა საქმე...

— ინგუს!

კაცმა თავი ასწია და ქალს შეაცქერდა, თან ლუკმას ზანტად ლეჭავდა. ველძე ერთხანს შეყოვნდა და სიგარეტიდან ფერფლი დაფერთხა.

— მმ? — დაიზმუვლა კაცმა.

— უნდა მოგელაპარაკო.

— განა სულ არ ვლაპარაკობთ? — შენიშნა კაცმა, ფიქვით რომელშიც ველძემ მსუბუქი შეშფოთება შენიშნა.

— ოდესმე ხომ მაინც უნდა განვსაჯოთ ჩვენი ცხოვრება.

— ცხოვრება? — კითხვა შეუბრუნა ინგუსმა, თითქოს სიტყვები ვერ გაარჩიო, თუმცა საკმაოდ გარკვევით გაიგონა, და ქალის ფხიზელმა თვალებმა ეს მშვენივრად შენიშნა. — ჩვენს ცხოვრებაში ისეთი რა არის... რომ განვსაჯოთ? — ჰკითხა კაცმა, მხრები აინურა და ლუკმა გადაყლაპა.

— ბევრი რამ.

ველძემ კვამლი ისე ღრმად ჩაისუნთქა, რომ ხველაც კი აუტყდა. ხელები ისევ აუცახცახდა. კიდევ კარგი, მიხვდა, რომ თამბაქო მოენია, — ეს ოდნავ მაინც ამშვიდებს. ერთი კვირის წინ გადაწყვიტა აღარ მოენია, მაგრამ გუშინ მისმა გადაწყვეტილებამ ჩაიღურის წყალი დალია, საკმარისი გახდა, ინგუსს სამსახურის შემდეგ ორი საათით დაგვიანებოდა, რომ ქალმა ისევ მოსწია. და თუკი ასე გაგრძელდა, საეჭვოა, რომ მიტოვება შეიძლოს. მიტოვებით კი უნდა მიატოვოს, განსაკუთრებით ახლა — განა შეიძლება, თავი ძალით მოიკლას?

— მაინც? — თავი შეახსენა ინგუსმა. ველძემ ფარული კმაყოფილებით შენიშნა, რომ ინგუსი აღარ ამთქნარებდა, უბედური იერი ჰქონდა და ოდნავ გაფითრებულიყო კიდევ.

— შენა გგონია, ეს შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს?

— რა?

— შენი ლოთობა. ნუთუ არასოდეს გიფიქრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ყველაფერი მომბეზრდეს?

— მოგბეზრდეს?

— ჰო.

ინგუსი კიდევ უფრო გაფითრდა, სახეზე მწვანე ფერი დაედო და ველძე ამას ღვარძლიანად ადევნებდა თვალყურს. ქალმა ისევ ღრმა ნაფაზი დაარტყა. თავს ძალას ატანდა, რომ ხელების ცახცახი დაეძლია. და როცა ქალი რაც შეიძლება მშვიდად, თითქმის ნაზად ალაპარაკდა, მას ხმაც უთრთოდა: —

— შენ იცი, ინგუს, როგორ მიყვარხარ... მიყვარხარ, და გული მტკივა, როცა ვხედავ, რომ...

ინგუსი ბორძიკით წამოდგა, ცოლს უაზრო თვალები მიაპყრო და ლილისფერი, გახევებული ტუჩებით ძლივს წარმოთქვა:

— მაპატიე, ველძე... ძალიან ცუდადა ვარ...

და გარეთ ხმაურით გავარდა. ღამის სიმყუდროეში მკაფიოდ ისმოდა, როგორ აღებინებდა. ველძე იჯდა, თავზე ხელები შემოეჭირა და ისევე, როგორც წელან გზაზე, უნდოდა ეყვირა... ხმამაღალი ბლავილი მოერთო. მაგრამ ამჯერადაც სძლია თავს. ერთხანს კიდევ იჯდა, მერე წამოდგა და ჩანთიდან აბები ამოიღო. ეს მშვენიერი, მაგარი ძილის წამალი ექიმმა დედას გამოუწერა. ველძემ ერთი აბი გადაყლაპა და რამდენიმე წუთში გარშემო ყველაფერს ტალღისებრი ხშირი ბინდი გადაუფარა. სანო-

ლამდე მილასლასდა, გაიხადა, დანვა და თითქოსდა მაშინვე ჩაიძირა მოთეთრო თბილ წყალში. მას არ გაუგონია, დაბრუნდა თუ არა ინგუსი.

— გამებუტე? — თავი ვერ შეიკავა ინგუსმა, მანქანის გასაღები გადაატრიალა და ცოლს გამომცდელად გადახედდა ველძემ მხრები აიჩეჩა:

— არა. რაზე მატყობ?

მაგრამ ველძეს მისკენ თავი არ მიუბრუნებია, არ გაუღიმიო, სახეზე ნათელი არ გადაჰფენია, რაც უფრო აბათილებდა მის სიტყვებს, ვინემ ამტკიცებდა. და მხრები გაოცებულმა ინგუსმაც აიჩეჩა.

ხანდახან ძნელია ველძეს გაუგო. ქანქარასავით ირხევა აქეთ-იქით. ვერასოდეს გამოიცნობ, ასიამოვნე თუ აწყენინე. თვითონ შეუჩნდა, გინდა თუ არა, ტყეში წავიდეთო! ჰოდა, აი, ინებეთ, უკვე მობეზრდა, მოიწყინა და მოიღუშა — მოჟამულ გუნებაზეა. ელფასაც გულს უწყალებს. სადაცაა მასაც ამოიჩემებს: უკანსვლით ისე არ დაიხიე, როგორც საჭიროაო, მოსახვევში მანქანას წესების დარღვევით გაუსწარიო... თვითონ დამჯდარიყო საჭესთან! მაგრამ გვიანაა ქალიშვილივით მანჭვა-გრეხა, — რაკი იკისრა, წინ უნდა გასწიოს... მას მხრები განიერი აქვს, ხოლო ნერვები მშვიდი, კოლოს კბენას როგორმე გაუძლებს, არ მოკვდება, ისეთი ხარია, მიწის მოხვნაც შეუძლია, ველძე კი...

დიახ, ეტყობა, რომ ველძეს ჯანმრთელობა შერყეული აქვს. სახეზე ყვითელი ფერი ადევს და ჩამომჭკნარია — დღეს პირდაპირ გული შეეკუმშა ინგუსს. დიდი ხანია გაზაფხულის დაუნდობელ კაშკაშა სინათლეზე არ უცქერია ქალისთვის, როცა ყოველი ნაოჭი და ფორი აშკარად ჩანს. პომადა, რომლითაც ველძეს ტუჩები შეეღება, და თვალებქვეშ შავი ფანქრით გავლებული ხაზები მხოლოდღა წარმოაჩენდნენ მისი კანის უფერულობასა და სიმქრქალეს, ხოლო ცისფრად შესურმული ქუთუთოები მის სახეს ხის თოჯინის უსიცოცხლო გამომეტყველებას ანიჭებდა. საღებავი ლამისაა თვალებში ჩასვლოდა და სახეზედაც თითქმის ექერცლებოდა, ასე რომ ინგუსმა რალაც მომენტში, როცა სიგარეტის მოსაკიდებლად მისკენ დაიხარა, კინალამ ცხვირსახოცი ამოიღო, რომ ცოლისთვის მთელი ეს კოსმეტიკა ჩამოეწმინდა, რომლის ცქერაც სიცილსა ჰგვრიდა, თუმცა ამავე დროს სევდითაც ავსებდა. ძალიან კი დაბერდა ზამთრის განმავლობაში ველძე! თავი ძლივს შეიკავა, რომ ქალის გარეგნობაზე რამე არ წამოეროშა, ღმერთო ჩემო, ეს ნამდვილი ნომერი იქნებოდა, ამაზე უარესი სხვა რა უნდა წამოეროშა! თუმცა იქნებ ველძე ისედაც მიუხვდა ფიქრს, ქალები ხომ თვალგამჭრიახნი და საოცრად გონიერები არიან... ჰოდა, სწორედ ასეა, წელან ხომ წამოაყრანტალა, თამბაქოს წევა ნაადრევ ნაოჭებს აჩენსო, ეტყობა, ველძეს ეს ეწყინა.

მაინც რამ გამოხრა და მოუთავა ხელი ასე? ნუთუ რაიმე სენი სჭირს? თუ მისი ლოთობისა და ოინების ბრალია, რასაც ამ უკანასკნელ ხანს მოუხშირა და რაც, ეტყობა, ასე ძლიერ უწამლავდა ქალს სისხლს? შეიძლება მისთვის სულაც არ იყოს უმნიშვნელო, რას ამბობენ მათ შესახებ ან როგორ უცქერიან აქ, მურგალეში? იქნებ საკუთარი სიმართლის მტკიცე რწმენა მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის საშუალება იყოს? სხვისი სული ბნელით არის მოცული... კი მაგრამ თვითონ რას იზამდა, ქალის ადგილას

რომ ყოფილიყო? ამის თქმა არც ისე ადვილია... ყველაფერი, რის მოფიქრებაც შეეძლო, მხოლოდ და მხოლოდ ტანზე მორგება და საკერებლის დადება იყო, მაშინ როდესაც ტანსაცმელი ხელახლა უნდა გამოეჭრა.

მაგრამ როგორ?

ინგუსმა ისევ გადახედა ცოლს, თუმცა ველძეს არც ამჯერად უპასუხნია მზერით, ვინ იცის, შენიშნა თუ ვერა ქმრის მზერა, მაგრამ მისკენ არ მიტრიალებულა, განდგომილივით გასცქეროდა გზას და კაცმა ხელახლა იგრძნო მარტოობა — ისევე, როგორც ნუხანდელ ღამეს, როცა ველძეს ეძინა, მისთვის კი ყოვლად გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა ქალს მშვიდად სძინებოდა, როცა თვითონ ფიქრები სტანჯავდა და თანაგრძნობა და გაგება სწყუროდა.

ინგუსი ხვდებოდა, რომ გასეირნებისას ველძესთვის იმედი გაეცრუებინა. თვითონ? თვითონაც გაუცრუვდა იმედი. რაში დასჭირდათ ტყეში გასეირნება? რა მისცათ ამ გასეირნებამ — სხვადასხვა სიმაღლის ღვიის სამი ბუჩქი, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, არც ისე აუცილებელი იყო? თუ ველძეს უნდოდა ის სასიხარულო და თბილი სიახლოვე გაეხანგრძლივებინა, ორთავემ რომ განიცადა დილით ადრე, ლოგინში წოლისას? მაგრამ ვერაფრის გახანგრძლივება ვერ შეძლეს.

— ვაი, ეს ნერონია! — შესძახა ელფამ და საქარე მინას მიანწყდა.

გზის მარცხნივ, საპირისპირო მხრიდან ნელა მოდიოდა ფელიქს ვოიცეხოვსკი და ხანგამოშვებით ხელჯოხს ეყრდნობოდა. ოდნავ კოჭლობდა, მაგრამ მსუბუქად მოაბიჯებდა. მასზე ერთი ნაბიჯით წინ კი უზარმაზარი ქოფაკი მოძუნძულებდა.

— ეს ნერონია, ნახეთ...

— ნუ ხტიხარ, ელფა! — უხეშად ჩააგდებინა ხმა ველძემ და როცა ვეტერინარს გაუსწორდნენ, ინგუსს უთხრა თუ საკუთარ თავს, მტრულად ჩაილაპარაკა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო: — ეტყობა, ვოიცეხოვსკის ყველაფრის უფლება აქვს...

— მაინც რის?

— როცა ჩვენი ჯეკი გზატკეცილზე გამოვარდება და ერთი ორჯერ დაიყვებებს, რწმუნებული ოქმითა და ჯარიმით გვემუქრება. სადრუნჩის გარეშე რატომ დარბისო. ამას კი, შეხე, დღისით-მზისით არც თასმა აქვს, არც სადრუნჩე. და გგონია, სიტყვას ჰკადრებს ვინმე? პანი ვოიცეხოვსკი და მისი კეთილშობილი ქოფაკი!

— რას ამბობ, ველძე, მათ შორის დიდი განსხვავებაა.

— მაინც რაშია განსხვავება, საინტერესოა!

— ჩვენი ჯეკი ყველა მოტოციკლეტს გამოეკიდება ხოლმე, ნერონი კი...

— ...თავისთავად, რომის იმპერატორია!

ინგუსმა არაფერი უთხრა.

— გახსოვს, — დუმილი დაარღვია ველძემ, — როცა ფურნეში რემონტი იყო, თეთრი პურის ნაკლებობა იგრძნობოდა და კაცზე თითო ბატონს იძლეოდნენ. ეს კი, ეს თავხედი, მაღაზიასთან იჯდა, ნერწყვს ყლაპავდა და ელოდა, როდის...

— ვოიცეხოვსკი?

— თავს ნუ ისულელებ, ინგუს! პარმალთან იჯდა, კარს თვალს არ აშორებდა და ელოდა, როდის მოვიდოდა ვოიცეხოვსკის რიგი. როცა იგი

ბატონით ხელში გამოვიდოდა, ძალღი წამოხტებოდა და მყისვე მის გვერდით გაჩნდებოდა! ვოიცეხოვსკი ბატონს შუაზე გადატეხდა და პირში უღებდა. პური ხალხს არ ჰყოფნიდა, ის კი ძალღს აჭმევდა. თანაც ამბობდა მთელი ქვეყნის დასანახად შვრებოდა, მაგრამ სულაც არ რცხვენოდა ხუმრობდა კიდევ: ნახევარი ძველისძველ მეგობარს უნდა მივცე, მაშ როგორღო, მკრეხელობა იყო!

— შენ კი... — ცივი ღიმილით უთხრა ინგუსმა, — გეტყობა, ის ნახევარი ბატონი დღემდე ყელში გაქვს გაჩხერილი და ვერასგზით ვერ გადაგიყლაპავს...

ახლა კი ველძემ ესროლა ქმარს ყინულივით ცივი, მედიდური და ბატონკაცური მზერა.

— თავს ნუ გაგიდის!

ინგუსი ერთხანს ისევ დუმდა, ველძე კი სულ უფრო და უფრო უცხო ხდებოდა, იმდენად უცხო, თითქოს არასოდეს ყოფილიყვნენ ძალზე მახლობელნი.

— ჰო, თავდასხმა თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა, — თქვა ბოლოს კაცმა და ჩაიციინა.

— არ მესმის, — უხეშად თქვა ქალმა და ტუჩები მოკუმბა.

— სამაგიეროდ მე მივხვდი, თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რატომ გესობა თვალში ეკალივით ვოიცეხოვსკი.

— რატომ, შენი აზრით?

— თვითონ გაანძრე ტვინი. საქმე ის ნახევარი ბატონი როდია, ძალღმა რომ გადასანსლა, და არც ის, რომ მილიციონერი ჯეკის გამო გვედავება. — ველძე ჯიუტად დუმდა. — შენ არ გსიამოვნებს, რომ ის საერთოდ დაიარება აქ... როგორც ხსოვნა, ეს ასეა.

— ხსოვნა? რის ხსოვნა, საინტერესოა?

— იმის ხსოვნა, რის გახსენებასაც არ ისურვებდი.

— შენ იმაზე ამბობ, რასაც ბოროტი ენები ლაყბობენ და ყბედობენ? — ჰკითხა ქალმა. — ვოიცეხოვსკის ძმაზე, არა?

— შენ ეს არა გჯერა?

— არა! კიდევ და კიდევ არა!

ამჯერად ორივენი დადუმდნენ.

— კარგია, ველძე, შენი უნარი მომცა იმის არდაჯერებისა, რის დაჯერებაც უსარგებლოა!

— კი მაგრამ მაშინ ხომ ომი იყო, — აჩქარებითა და მღელვარედ ალაპარაკდა ქალი. — და ომში აუარება ხალხს კლავდნენ.

— მოკვლა სხვადასხვანაირად და სხვადასხვა მიზეზით შეიძლება. მაგალითად, შეიძლება...

— მე არაფრის მოსმენა არა მსურს! — შესძახა ქალმა. — მე არავითარი წვრილმანების გარკვევა არ მინდა. ჩემი საქმე არ არის იმ კაცის განსჯა, ვინც სიცოცხლე მიბოძა!

— მერმე კი ბრმა კნუტივით მიგაგდო! გაიქცა, უკანმოუხედავად მოუსვა საკუთარი ტყავის გადასარჩენად.

— და მაინც ფიქრობდა ჩემზე. ამის დასტურია თუნდაც ანდერძი.

ინგუსმა უხალისოდ ჩაიციინა.

— ახლა იმის მტკიცებას დაიწყებ, მიყვარსო.

— ის მამაჩემი იყო — და ამით ყველაფერია თქმული!

— შენ თავი ცოტა სხვანაირად გაქვს მოწყობილი, ველძე. ჩემთვის ნახვი ნახვია, რა ლამაზ ფერებშიაც არ უნდა წარმომიდგინო. შენ კი მზადა ხარ, მას დელიკატესი უწოდო.

— ინგუს, სიტყვები შეარჩიე! — შესძახა ქალმა. ჩვენ ვინ გარდაცვლილ ჩემს მახლობელ ადამიანზე ვლაპარაკობთ, რომელსაც ჩვენთვის — შენთვისაც! — მხოლოდ სიკეთე სურდა და ვისი ფულიც, სხვათა შორის...

— ბაბუაზე ლაპარაკობთ? — მოულოდნელად ჩაურთო ელფამ.

— გაჩუმდი! შენ არავინ გეკითხება.

მყისვე ორთავემ გაკმინდა ხმა — მათ დაიფიქრეს ბავშვი, ვისი ყურისთვისაც ეს ამბავი გათვალისწინებული არ ყოფილა. შეძლებენ კი ელფა ყოველივე ამისგან გამიჯნონ? თუ შეძლებენ, რამდენი ხნით? ყველაზე დიდი, ალბათ, სკოლაში წასვლამდე. მერე რა უნდა ქნან? ნუთუ ერთ დღეს გოგონა არ დასვამს შეკითხვას, რომელზედაც არც იცი, რა უპასუხო? და ბავშვის ნაზმა სულმა დარტყმა რომ არ იგემოს, ისა და ველძე არ შექმნიან სიცრუის მოხერხებულ ბუფერს, მყარ ამორტიზაციას? თუ ელფასთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება სკოლასთან მდიდრული „ვოლგით“ მისრიალება, ვინემ მწარე სიმართლის გაგება? ჯანდაბას ყველაფერი!.. რატომ უნდა იტეხოს თავი ამაზე დღეს? მანამდე ჯერ კიდევ ორ წელიწადზე მეტია დარჩენილი.

მანქანა ნელი რწევით შევიდა ეზოში. წინ დედა მოეგებათ.

— რატომ დაიგვიანეთ ამდენ ხანს? — ჩაილაპარაკა დედამ. — გული კინალამ გამისკდა — ხომ არაფერი შეემთხვათ-მეთქი. არ უნდა წასულიყავით, რა გინდათ ტყეში. ვინ იცის, რა მოგივიდეთ...

— ერთი შენც! — ხელი ჩაიქნია ველძემ. — რა უნდა მოგვივიდეს?

— ვინ იცის... — თავი გადააქნია დედამ. — მოდი ჩემთან, ელფი!

ინგუსმა უნებლიეთ გაიფიქრა, დედა მაინცდამაინც არ ტყუისო — აკი მართლაც მოხდა რაღაც! და ეს იმაზე მეტია, ვინემ ჩვეულებრივი ჩხუბი გახლავთ, რომლის შემდეგაც საკმარისია ერთმანეთს აკოცონ, რომ ყველაფერი მყისვე გადაავიწყდეთ...

ინგუსმა ველძეც ჩამოსვა, მერე უკანსვლით მანქანა გარაჟში შეიყვანა, რადგან დღეს სხვაგან არსად აპირებდნენ წასვლას.

ისევ კვამლსადენს უნდა მიუბრუნდეს და დაამთავროს, წერტილი დაუსვას. წასადილევს შეშა უნდა დაჩეხოს. ყველაზე ჭკვიანური იქნება, მონდომოს და ცენტრალური გათბობა გაიყვანოს. ვერ მოიცალა საამისოდ, დრო ვერ იპოვა, სულ ყელამდე საქმეშია ჩაფლული! ერთს მოჰკიდებს ხელს, მეორეს და უკვე მესამე საქმე ელოდება. იქ რაღაცა ჭრიალებს, იქ ცეცხლი არ ეკიდება, იქ კიდევ კვამლი არ გადის. ტრიალებს, ძალღივით იჭერს საკუთარ კუდს, სანამ არ გაიფიქრებს — ყველაფერს მივაფურთხებ და თავს ვუშველიო...

ინგუსი მტანჯველ მღელვარებას მოეცვა, რომელიც ქავილივით აწუხებდა. ფიქრს ერთ საგანზე ვერ აჩერებდა, პირი უშრებოდა, ხელები მოუთმენლობისგან უთრთოდა, თუმცა ის, რასაც ახლა ასე ელტვოდა, სამუშაო არ ყოფილა. თვითონაც არ იცოდა, რისკენ მიემართა თავისი გამალებული, შფოთიანი სწრაფვა მოქმედებისადმი, მთელი ძალით ცდილობდა გაქცეოდა შემაშფოთებელ ფიქრებს, მაგრამ თავისი სურვილის სანაღმდეგოდ, ისევ და ისევ უბრუნდებოდა. გრძნობათა დომხალი სტა-

ნჯავდა, ძალ-ლონის მოკრების, ჩაგულისყურებისა და განმუხტვის საშუალებას უსპობდა. ინგუსი კარგად — დალახვროს ეშმაკმა! — ძალიან კარგად იცნობდა ამ განწყობილებას. თუმცა ცდილობდა არა მხოლოდ სხვებისთვის დაემალა იგი, არამედ საკუთარი თავისთვისაც: უნდოდა დაეღლია და თავდავიწყებას მისცემოდა, თუნდაც ერთი-ორი საათით ამოეგდო თავიდან მთელი ეს აურზაური და ხათაბალა, რასაც მისი ცხოვრება ეწოდებოდა.

ჭურჭელს რომ რეცხავდა, ველძეს წამდაუნუნე ესმოდა ხმადაბალი, ყრუ ხათქახუთქი, რაც შორს მდებარე ფარდულიდან არა მხოლოდ ჰაერის ტალღებს მოჰქონდა, არამედ მიწის მძლავრ რყევასაც და ქალს ეს მხოლოდ ყურით კი არ ესმოდა, და იქნებ იმდენად არა ყურით, რამდენადაც მთელი სხეულით, რომელშიც იგი გამოძახილს პოულობდა. ინგუსი შეშას ჩეხავდა და ცუღს კუნძს რომ უხათქუნებდა, მიწა ირყეოდა, რაშიაც კაცის გოლიათური ძალა იგრძნობოდა: ველძე ამ ძალის გამო ფარულ აღტაცებას გრძნობდა, რატომღაც უნებურ შიშსაც განიცდიდა, ისევე როგორც ყოველ სუსტ არსებას შეგნებულად თუ შეუგნებლად ეშინია ძლიერისა, ამავე დროს უსაფრთხოობის გრძნობაც უჩნდებოდა, რაც მას სწყუროდა, ისევე როგორც ყველას, განსაკუთრებით ნაზ ქალებს, სწყურიათ საიმედო დაცვა, რასაც მამაკაცის ფიზიკური ძალა აღუთქვამთ.

ქალს გაახსენდა, როგორ იჯდა ინგუსი მის წინაშე პირველი სირჩის გადაკვრის შემდეგ. ღვინომ უმაღ აუბრიალა ყურები, იჯდა ფერ-ხორცი-თა და ძალ-ლონით სავსე, და ველძემ რომ შეხედა, თავი უცებ ისეთი უფერული და შეუხედავი, ისეთი უთვალტანადო და დაჩიავებული მოეჩვენა, როგორიც არასოდეს ყოფილა: თითქოს ჩვეულებრივი, საშუალო დედალი ყოფილიყო, ეღვარე ფრთებით დამშვენებული, ძალ-ლონით აღსავსე, თავდაჯერებული მამლის წინაშე, და საკუთარი არარაობის შეგნებამ მიწასთან გაასწორა...

რატომ გრძნობდა ასეთ თავზარდამცემ შიშს, ინგუსი არ დავკარგო? იქნებ დედისგან გადმოეცა მუდმივი შიში — ვაიმე, არაფერი მოხდესო? ზედმეტია ლაპარაკი, რომ დედამ ცხოვრებაში ბევრი სიმწარე ნახა. პარტიზანები და თავდასხმები, ხიფათიანი ადგილები გზებზე და ტყის ჩხრეკა, ჩასაფრება და ალყა...

დილით მამას რომ აცილებდა, განა დედა დარწმუნებული იყო, რომ საღამოს დაუბრუნდებოდა? იშვიათად, ძალზე იშვიათად თუ ჰქონდა ამის იმედი. და თავისი მოთქმა-გოდებით, გამუდმებული შიშით დედამ ველძესაც მოუნამლა სული, გადასდო თავისი სენი...

ქალი ისევ სმენად იქცა და თეფშებიც ხელში შეაცივდა. ფარდულიდან ზომიერი და ენერგიული ბუბუნის ისმოდა. ინგუსი მათი ოჯახის, მათი კერის, მათი ბავშვებისათვის ჩეხავდა შეშას — ფიჭვის კოჭრიან, გაფისულ კუნძებს აპობდა. ცული კუნძში წამდაუნუნე იჭედებოდა და ღონემოჭარბებული ინგუსი მას ქვასავით ფქვავდა. ველძემ ანაზდად მისი ძალის მიმართ საკუთარი უპირატესობა იგრძნო! ეს საქანელათი ზეცაში აჭრას ჰგავდა, როცა აღტაცებისგან გული აგიფანცქალდება. მის ხელში ხომ ის უფლება და ბედნიერებაა, რაც მამაკაცისთვის მიუწვდომელია და შეუძლია მხოლოდ წარმოიდგინოს, მაგრამ გრძნობით ვერასოდეს იგრძნობს, ქალი სხვა არსების სიცოცხლეს განაგებს. მას ეკუთვნის უფლება

მოავლინოს იგი ამქვეყნად თუ მოკლას. შეუძლია მამაკაცს პატივი დას-
დოს და ბავშვი უშობოს, ან მის მიმართ სიძულვილი გამოავლინოს და
გაჩენაზე უარი თქვას. შეიძლება კი ქვეყანაზე ამაზე უფრო დიდი უფლება
არსებობდეს? ან ვისა აქვს? ღმერთს? სასაცილოა. რას წარმოადგენს ამა-
სთან შედარებით ინგუსის ფიზიკური ძალა? ყოველ შემთხვევაში ისინი
ბარიბარს არიან, რადგან არ არსებობს ამქვეყნად მამაკაცი, რომელსაც
ვაჟიშვილი არ უნდოდეს, ვაჟიშვილის ყოფნა-არყოფნა კი მის ხელთაა.

ველძე მიხვდა, რომ სინამდვილეში ყველაფერი უკვე გადანყვეტილი
ჰქონდა — მაშინ გადანყვეტიდა, როცა მაგიდასთან ისხდნენ და ანაზღად ინ-
გუსი გამხიარულდა და თვითონაც გუნება გამოუკეთდა. მაშინ იყო, რომ
უთხრა, მერე რალაცას გეტყვი, კარგსა და ძალზე მნიშვნელოვანსო, და
ჯერ ელფას გადახედა მრავალმნიშვნელოვნად, მერე დედას, და ეს გადა-
ხედვა იმდენად მჭევრმეტყველური იყო, რომ სხვისთვის უმალ ყველაფერი
ნათელი და გასაგები გახდებოდა, ინგუსი კი ვერაფერს მიხვდა, რადგან
ბენტერაა, სხვა რალაცებში — ძრავებსა და მექანიზმებში, რკინებსა და
მილებში თვალდახუჭულიც ერკვევა, მაგრამ უმთავრესის გაგებაში საოც-
რად გონებაჩლუნგია!

ველძემ ისევ აახმაურა ჭურჭელი და ცულის ბათქუნს რომ უსმენდა,
ქალი სიხარულით ფიქრობდა, აი, მოვრჩები ჭურჭლის რეცხვას, ფარდულ-
ში შევალ და ინგუსს ყველაფერს ვუამბობო. მათ ბავშვი ეყოლებათ! ეს
ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის და მათ ცხოვრებას ძირფესვიანად შე-
ცვლის... რა კარგი იქნებოდა, ველძეს ქმრისთვის ჯერ კიდევ დილით რომ
ეცნობებინა, ვთქვამთ, მაშინ, როცა ცეცხლის მოსაკიდებლად მათი სიგა-
რეტები ერთმანეთს შეეხნენ. ალბათ, ამის მსგავსი აღარაფერი მოხდებო-
და. მათი უბედურება, განსაკუთრებით კი ინგუსისა ისაა, რომ წარსულ-
ში ნამეტანს იქექებიან. ხოლო ბავშვი, რომელიც უნდა დაიბადოს, ხვა-
ლინდელი დღეა და შვილის სურვილითა და მოლოდინით შეპყრობილნი
წარას მომავალს მიაპყრობენ.

ველძემ კი, სულელმა, აბორტის გაკეთება განიზრახა! და მხოლოდ იმ-
იტომ, ისეთი არავინ მყავს, არავინ მყავს, ბავშვს მიმიხედოსო! სასაცი-
ლოა, მაშ არა! განა შეიძლება ვინმე არ გამოჩნდეს? ფულს გადაუხდის.
თუ საქმე გაჭირდა, დროებით მიატოვებს მუშაობას — მათხოვრები და
ღარიბ-ღატატები ხომ არ არიან, რომ თავს ამის უფლება ვერ მისცენ,
ისე არ უჭირთ, რომ ყოველ კაპიკს დასცახცახებდნენ...

ფიქრი გაუნყდა.

რა მოხდა? ველძე ისევ სმენად იქცა, ვერ გაეგო, სახელდობრ რა მო-
ესმა, და რომ ამჯერად ეს ხმაური კი არ იყო, არამედ, პირიქით, სიჩუმე
გახლდათ. ფარდულიდან აღარ ისმოდა მიწის შემარყვეველი ხათქახუთქი.
ერთხანს კიდევ იდგა, ელოდა, ხმაური განახლდებოდა, მაგრამ ღრმა, სრუ-
ლი სიჩუმე იდგა და ამ სიჩუმეში მხოლოდ ისღა ისმოდა, საწოლზე დედა
როგორ ტრიალებდა, აგრეთვე გზიდან მოისმოდა მოტოციკლეტის შორე-
ული თუხთუხი, თანდათანობით რომ ნელდებოდა.

ჭურჭელი საშრობზე დააწყო, გარეთ გამოვიდა და ფარდულისკენ გა-
ემართა. მორში სანახევროდ ჩარჭობილი ცული და ლურსმანზე დაკიდე-
ბული ძველი პიჯაკილა დაუხვდა. შეშის ნაპობებს ფისის მძაფრი სუნი ას-
დიოდა.

— ინგუს!

ხმა არავინ გასცა, მხოლოდ ლაფაროს ქვეშ ფაჩუნობდა რალაც — ან ჩიტი უნდა ყოფილიყო, ან თაგვი.

— ინგუსი

სადღაც აქვე უნდა იყოს, ახლოს, თორემ პიჯაკს ჩაიცვამდა და ცულს თავის ადგილზე დადებდა.

ველძემ ფარდულს გარს შემოუარა. სამხრეთ კედელთან უნდა იქნებოდა ჩრეთი. სახელოზე ჭიამაია დააჯდა და დაბლა, ხელისგულისკენ ჩაცოცდა. ველძემ ხელი მზისკენ გაიშვირა, ელოდა, შავი წერტილისოდენა ბუჭყი შეიფრთხილებსო, მაგრამ იგი ცოცვას განაგრძობდა, და ველძე უცნაური — უფრო სევდიანი, ვინემ მხიარული — გაოცებით უცქეროდა ხასხასა არსებას, გაზაფხულის დადგომას რომ გამოელვძებინა.

— ჭიამაია, გაფრინდა, წითელ კაბას გიყიდი... — ჩურჩულით ამბობდა ქალი, როგორც ბავშვობისას, და ჭიამაიამ ფრთები გაისწორა და მაშინვე გაუჩინარდა.

— ინგუ-უს!

ქალი გარაჟთან მივიდა. მანქანაცა და მოტოციკლეტიც ადგილზე იდგა.

„სადღაც აქვეა“, — თავს ირწმუნებდა ველძე, თუმცა გული რალაც ცუდს უგრძნობდა.

— ინ-გუ-უს! — უკანასკნელად დაუძახა ქალმა, რომელსაც იმედი აღარ ჰქონდა, რომ კაცი გამოეხმაურებოდა, და ინგუსი მართლაც არ გამოხმაურებია.

ინგუსს არ შეეძლო ქალის ძახილზე ეპასუხა — ამწუთს იგი შორს იმყოფებოდა, გაცილებით უფრო შორს, ველძეს რომ შეეძლო წარმოედგინა, თითქმის აურუციემსში, ლიგოტნედან იქამდე კი თერთმეტი კილომეტრია — თერთმეტია გზატკეცილით, მაგრამ თუ მოკლეზე გადაჭრი, მექანიზაციის სკოლის გავლით, მაშინ შვიდი კილომეტრი იქნება; თუმცა, თავისთავად ცხადია, ალბერტ კრაუზეს მოტოციკლეტზე ამხედრებულთ არ სჭირდებოდათ, მინდვრებში ელაყლაყათ და ტყე-ტყვე ევლოთ, რათა სულ რალაც ოთხი კილომეტრით შეემოკლებინათ გზა, „იჟისთვის“ ხომ ოთხი კილომეტრის გავლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა: ისინი გზატკეცილზე მარდად მიქროდნენ და გუტმანში მანამდე მივიდნენ, სანამ ველძე ჭურჭლის რეცხვას მორჩებოდა და ბოლოს და ბოლოს მიხვდებოდა, რომ ფარდულში სიჩუმეს დაესადგურებინა. და როცა ქალმა ინგუსს უკანასკნელად უხმო, თუმცა უკვე ძალიან ეეჭვებოდა, რომ იგი გამოეხმაურებოდა, კრაუზემ ბოთლს კბილებით მოაძრო საცობი და პლასტიკის თლაშოში ინგუსისთვისაც ჩამოასხა და თავისთვისაც. პლასტიკის თლაშო კი იმიტომ არის მოსახერხებელი, ხელიდან რომ გაგივარდეს, არ ტყდება და არც ოდნავ მღვრიე, სიყვითლეგარეული სითხე ჩანს შიგ, — მაგარი სასმელისთვის ხომ მთავარია გრადუსები და არა ფერი, არაყი თავში უნდა აგივარდეს, თორემ ვარდის წყლის სურნელი ვის რაში სჭირდება.

— მაშ გადავკრათ! — შეაგულიანა კრაუზემ. მისი ცოლი ორი დღით ქალიშვილთან გაემგზავრა, უმისოდ კი კაცი ილუპება. ძროხა, ღორი, ქათმები — ფუი, ამასაც თუ კვირა ჰქვია!

კრაუზემ თავისი სასმისი თვალის დაუხამხამებლად გამოსცალა, ინგუსმა კი დაყნოსა და დაიმანჭა.

— რას ყნოსავ ბოძთან მდგომ ქოფაკივით? გადაუძახე და შორჩა!

— ეს ის არის, გუშინდელი არაყი?

— ჰო. მერე რა იყო?

— გულ-მუცელი ამომიტრიალა, — აღიარა ინგუსმა. — შერე იცი, რა კუჭი მაქვს — ლურსმანს მოვინელებ.

— სდექ! ეგ რა ჩემი რახის ბრალია! ეტყობა, მანამდე დაგილევია რაღაც საწამლაღვი... მართალი თუ გინდა, დუქანთან ღვინო არ უნდა გვეწერუპა, პირდაპირ ჩემსას უნდა მოვსულიყავით. მაგრამ შემეშინდა, დედაბერი წასული არ იქნება-მეთქი. დალიე და, აი, ეს დააყოლე.

ინგუსმა დალია, დაიღრიჯა, მაგრამ არაფერი დააყოლა.

— დილით მეც ცუდად ვიყავი! — ძრწოლით გაიხსენა კრაუზემ. — არადა, უნდა წავიდე და ძროხა მოვწველო, თავი კი ლამისაა გამისკდეს. იმას ვფიქრობ, დედაკაცის მოჯამაგირე ხომ არა ვარ-მეთქი! თვითონ რიგაში ბრძანდება, მე კი პირუტყვს უნდა გადავყვე თან! გვერდი ვიცვალე და ხვრინვა ამოვუშვი, მაგრამ ვინ მოგასვენა! იმ ოხერმა ძროხამ ბლავილი ატეხა, ბებერი ქოსმენიც აჭყივლდა, თითქოს დანა დაჰკრესო... თვითონაც ყელი მიშრება, ელეთმელეთი მომდის. თითქმის ათ საათამდე არ ავმდგარვარ. მაგრამ როცა იქნება, ხომ მაინც უნდა ადგე. მანონი მოვხვრიპე, ლორსაც ვაჭამე, გაჭირვებით მოვწველე ძროხაც... ნაბახუსევზე გამოვალ-მეთქი, მაგრამ შინ კაციშვილის ჭაჭანებაც არ იყო. მარტოკამ ვცადე, მაგრამ ყელში არ გადამივიდა. სადილობაზე შინ დავფათურობდი, მაგრამ ხელიდან მივარდებოდა ყველაფერი. ბოლოს ბოთლი ჯიბეში ჩავიდგი და „იჟიკს“ მოვახტი: ვიფიქრე, ვინც პირველი შემხვდება, იმასთან ერთად დავლეფ-მეთქი... და მაშინ შენ გამახსენდი. მაგრამ შენკენ რომ მოვდიოდდი, ეჭვმა გამკრა — რაც უნდა იყოს, კვირა დღეა, ცოლი შინ ეყოლება-მეთქი... და უცებ, ღმერთო შენი სახელის ჭირიმე, მესმის, ფარდულში ვილაცა არ საქმიანობს! ვიფიქრე, დედაბერი და, მით უმეტეს, ქალბატონი არ იქნება-მეთქი. ალბათ, ჩემი ძმა ინგუსი იქნება-მეთქი!

ინგუსმა გაიღიმა.

— ბეღია! — უთხრა მან.

— მართლაც რომ ბეღია! — დაეთანხმა კრაუზე და თლაშოები მეორედ შეავსო.

— გული შემიტოკდა, როცა... დალიე, ინგუს! ამისთანა რახი მხოლოდ ძველ გაიძვერას ალბერტ კრაუზეს თუ ექნება. ხომ ასეა? ასეა! პრაქტიკის ამბავია, ძვირფასო, პრაქტიკის... თითქმის ოცდაათი წელიწადია. რას ვამბობ, ოცდაათზე მეტია! ფრიცების დროიდან ვხდი. მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა, ღმერთო ჩემო, რამდენი კარგი მეგობარი და ძმა-კაცი, რამდენი ნაძირალა და თაღლითი გავასვენეთ, შეიცვალა მთავრობები, დაიზარდნენ ბავშვები, შინნახადი არაყი კი, როგორც ამბობენ, საუკუნოდ დარჩა მწყობრში.

და თავისი სიტყვების დასტურად კრაუზემ ხმამაღალი ტენორით წამოიწყო სიმღერა, რაც ყოვლად მოულოდნელი იყო ამ უკვე გაჭალარავებული და მობერებული კაცისგან:

ჰეი, ლუდო, მათრობელავ,
ჩემზე ადრე გაჩნდი ქვეყნად:
დავიბადე — ქაფს იკრავდი,
მოვკვდები და შენ დარჩები...



უნიკალი

და თუმცა სიმღერაში ლუდზე იყო ლაპარაკი, ამას მათთვის ქვეყნად არ შეუშლია, კიდევ თითო სასმისი გაცილებით უფრო მაგარი საწამლავი გადაეკრათ, რომელიც კრაუზემ სულის ერთი მოთქმით გადაყლაპა და მძიმედ დაიქშინა, ინგუსმა კი ძლივს დალია და წინანდებურად დაიგრიბა და დაიმანჭა. დღეს არაყი რატომღაც ყელში არ გადასდიოდა, გულისამრევად მყრალი და მწარე ეჩვენებოდა. საერთოდ რატომ მოეთრა აქ — ყველაფერი მიატოვა და ისევ გუტმანში დაბრუნდა, საიდანაც გუშინ გვიან წავიდა ტვინგამოლაყებული და თავგზააბნეული. ნუხელ ხომ გადანყვითა, აქაურობას აღარ გაჰკარებოდა? ჩვეულებაა თუ ალბერტის განაწყენება არ შეეძლო? თუ წინააღმდეგობის სულისკვეთების ბრალია? იქნებ უნდოდა, ველქესთვის დაემტკიცებინა, რომ თავის ნებაზე ვერ ატარებდა? იქნებ სურდა, ჩამოერეცხა... ღვინოში ჩაეხშო ის, რაც მას ღრღნის და ახრჩობს?..

— რაღა ხარ ასე მოჟამული? — უხასიათობა შენიშნა კრაუზემ. —

— კბილები გტკივა თუ თვიური გჭირს?

ინგუსმა ხელი ჩაიქნია.

— თუ მეუღლემ დაგიჭოჭა გუშინდელი დღისთვის?

— კი არ დამიჭოჭა...

— წარმოდგენილი მაქვს — ცრემლად დაიღვრებოდა! ქალები ამის დიდოსტატები არიან. ოღონდ ატირე და პურს ნუ აჭმევ. მათთვის ცრემლები იგივეა, რაც ჩვენთვის ღვინო.

ინგუსი დუმდა.

— შენ კი ყურადღებას ნუ მიაქცევ! მე რომ ვუსმენდე, რასაც ჩემი ილზა ჩამჩინებს, კარგა ხნის მკვდარი ვიქნებოდი ან საგიჟეში გამომწყვდეული, დიახ! ყველაფერს სჯობია, ქალს თავი მორჩილად უქნიო, ჩუმად კი საქმე ისე აკეთო, როგორც თვითონ მოგეპრიანება.

— ყველაფრის დამალვა შეუძლებელია, ნამდვილად ასეა!

— მაშ ბაქიბუქით რომელი მთის გადაბრუნება გწადია?

— თვითონაც არ ვიცი! — კბილებში გამოსცრა ინგუსმა და თლაშოს ჩელი ისე მოუჭირა, პლასტიმასა გასკდა და არაყმა თითებშორის გამოჟონა. — ხანდახან მეჩვენებოდა, მელიორატორობას უნდა დავუბრუნდე-მეთქი. საკმარისია, იქ მივბრუნდე, რომ ყველაფერი თავის ადგილს დაიჭერს-მეთქი. გახსოვდეს, ერთად როგორ ვმუშაობდით, როგორ... თუმცა ამის თქმა არ გჭირდება, თვითონაც ყველაფერი იცი... მერე კი ეჭვმა დამიწყო ღრღნა — რა ვიცი, იქნებ უბრალოდ ამეკვიათა? აღარ მინდა ლიგოტნეში დარჩენა, მაგრამ სად უნდა წავიდე, თვითონაც არ ვიცი. ასე მგონია, გამუდმებით ნაგავში ვფუთფუთებ, ფუნის ნუმპეში... და ზედაპირზე ძლივს-ღა ვმაგრდები... და თავს ვეკითხები, რა გაკლია-მეთქი? არაფერი მაკლია: მყავს ცოლი, შვილი, მაქვს სახლი, მანქანა... თანაც არც საპყარი ვარ, არც ხეიბარი. და მაინც ძალღივით ვტრიალებ და საკუთარ კუდს ვიჭერ. ვერ ვეგუები ასე ცხოვრებას, თუმცა არც ის ვიცი, რა მსურს.

სანამ ინგუსი ლაპარაკობდა, კრაუზე წამოდგა, გაბზარული თლაშოს სამაგიერო იპოვა და შეავსო.

— გადაჰკარი და გუნებას გამოგიკეთებს.

— ვერ გამოგიკეთებს, — ჯიუტად უთხრა ინგუსმა, თუმცა არაყი მაინც გადაჰკრა.

— იცი, ინგუს, რას ამბობდნენ ჩვენთან ბანაკში ისეთებზე, როგორიც შენა ხარ?

— რაო?

— ქონი მოსჭარბებიაო.

— შენ არაფერი გესმის, ალბერტ!

— ყველაფერი იმის ბრალია, რომ გაჭირვება რა არის, არ იცი თავისუფალი დრო და ფული კი თავზესაყრელად გაქვს. ორიოდ წლით უნდა ჩაგსვას კაცმა, ძვირფასო, რომ თავისუფლების გემო იგრძნო და გაიგო, რა ბედნიერებაა, მაძლარი რომ ხარ და გვერდით დედაკაცი გინწევს.

— რას მაყვედრი ცოლსა და მაძლარ მუცელს! თვითონაც ჩემზე არანაკლებ ხარ მიჩვეული ამას. თითქოს ვირის აბანოში სხვა მჯდარიყოს ათ წელიწადს და არა შენ, დიახ. გამძლარ-დარწყულებული ყოველ საღამოს შენს იღბას უწვები გვერდით, მაგრამ საქვეყნოდ არ გაიძახი, ეს რალაც განსაკუთრებული ბედნიერება არისო, რადგან თუმცა ლაქლაქი შენი საქმეა, ჯერჯერობით ტყუილებში ღრმად არ შეგიტოპავს... ბუნაგში შეძვრები და დილამდე ქოსმენივით გძინავს, თან გულწრფელად გჯერა, დანაშაული გამოვისყიდო...

— რომელ დანაშაულზე მელაპარაკები, თუ ღმერთი გნამს! ხელები სისხლით არასოდეს გამისვრია! ამას ყველა დაგიმტკიცებს. თორემ ათს კი არა, ნამდვილად ოცდახუთ წელიწადს მომისჯიდნენ და ახლა, ალბათ, წმინდა და უცოდველი ზეცაში ვიფარფატებდი და ამ ცოდვიან — ეშმაკმა წაიღოს, — თანაც ასე ტკბილ არაყს კი არ დაფუნყებდი წრუპვას, დიახ.

— დამისხი, — უთხრა ინგუსმა და კრაუზეს თავისი სასმისი მიუჩოჩა.

— ეს სხვა ამბავია, — უმაღ მიუგო კრაუზემ, დარჩენილი არაყი სინათლეზე შეანჯღრია და მეორე ბოთლი გადმოიღო.

— ალბერტ!

— რა იყო?

— რაკი სიტყვა ამაზე ჩამოვარდა... მართალია, რომ... მითხარი, ვინ მოკლა ვოიცეხოვსკის ძმა?

კრაუზე მოიღუშა.

— რა ეშმაკად გინდა ეს? ცხონებულთა ხელახლა ცხონებას და მონათლულთა მონათვლას ხომ არ აპირებ?

— მინდა ვიცოდე! ამბობენ, შენც იქ ყოფილხარ...

— კი, ვიყავი.

— და იცი, ვინ... ოღონდ ნუ დამინყებ ახლა, იმ მომენტში მოსახვევს ამოვეფარე, მოშარდვა მინდოდა და არაფერი დამინახავსო...

— შემძლია დავიფიცო, ინგუს, რომ მე არ მომიკლავს! მეხი დამცემოდეს, თუ თითი მეხლოს...

— შენს ამბავს არ გეკითხები, ალბერტ, მე გეკითხები...

კრაუზემ ცალყბად ჩაიცინა.

— ჩემს ამბავს არ კითხულობ? მაშინ, ძვირფასო, თვითონაც მშვენივრად მოგეხსენება, ვინც მოკლა... მაგრამ მე რომ დაგისახელო, არ მომახლი: „ალბერტ, შე ძველო გაიძვერაგ და თაღლითო, თუმცა ჩემი მეგობარი კი ხარ, მაგრამ ახლა შენთვის ადვილია ყველაფერი ან გარდაცვლილ სტენგრევიცს გადააბრალო, ახლა ადვილია, თავი ჭკვიანურად გეჭიროს, მაგრამ მაშინ რატომ არ მოუხმე ჭკუას, ძაღლის გაგდებულს? დიახაც მეტყვი რადგან სხვა სხვის ომში ბრძენიარ. „მაგრამ არ ძალგვიძს ბედისწერის გამოცნობა, არა, არ ძალგვიძს“... ჰოდა, მოდი, ამის სადღეგრძელო დავლიოთ!

— ნუ ეშმაკობ, ალბერტ, ნუ მიედმოედები.

— მე არ ვეშმაკობ. მხოლოდ ვერ გამიგია, რაში დაგჭირდა წარსულის ქექვა? რომელმა ბზიკმა გიკბინა საჯდომზე? რაც იყო — იყო, რაც მოხდა — მოხდა... არც ერთი აღარ არის ცოცხალი, დაე, მშვიდად განისვენონ. ხოლო თუ იქ, იმქვეყნად, არსებობს ღმერთი, ამაში გარკვევა მისი საქმეა და არა ჩვენი.

ერთხანს დუმდნენ. ბოლოს კრაუზემ შემრიგებლურად დაურთო:

— სულ ერთი იყო, მაინც ვერ იცოცხლებდა...

— ვინ?

— ზენონ ვოიცეხოვსკი...

— ისეთი რა უყავით?

— ღმერთო ჩემო, რა გაყვირებს? არაფერიც არ გვიქნია. ოღონდ მანამდე, უკან დახვევისას, ლაზათიანად მიუბეგვავთ. მგონი, აიზსარგებს გადაჰყრია. არ ვიცი, ვინ მოათრია მერე ხუტორში მამასთან და როგორ გამოაშკარავდა ყოველივე ეს... ოღონდ ეს იყო, ერთხელ აქ, გუტმანში, ვიტოლდი გამოცხადდა და მითხრა, ალბერტ, ერთი საათით ჩვენთან ერთად წამოდიო.

— და წაჰყევი!

— მე ხომ...

— თითი დაგიქნიეს და თავქუდმოგლეჯით გაეკიდე. და, თავისთავად ცხადია, იარალი არ გესხა, არა?

წელში მოხრილი კრაუზე პლასტმასის თლაშოს ხელში ატრიალებდა. მერე თვალები ინგუსს მიაპყრო.

— შენი ცოლისძმა რომ შეეპყროთ და ჩაესვათ, თვითონაც თავქუდმოგლეჯით გაიქცეოდი, როგორც შენ ამბობ. თქვენ, ახალგაზრდები, ერთობ ჭკვიანები ხართ, ენაც გიჭრით, სანამ საქმე საქმეზე მიდგებოდეს. ჩემი დღე რომ გადაგხდომოდა, ძვირფასო, შარვალში ჩაისვრიდი, დიახ!

— რა უნდა გადამხდომოდა — იმას რომ მიათრევდით? სიარული არ შეეძლო და მერე...

— გითხარი და გიმეორებ: მე თითიც არ დამიკარებია!

— მაშ რას შვრებოდი? უცქეროდი? — თუ დარცხვენილი მიტრიალდი და ხვანჯარი შეიკარი?

კრაუზე ისევ დადუმდა.

— ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავ, შენ რაღას იზამდი? — ყრუ ხმით წარმოთქვა ბოლოს.

ამჯერად ინგუსმა იყუჩა.

— არ ვიცი, ალბერტ, თუმცა...

— მაღლობას მოგახსენებ, რომ გულახდილი მაინცა ხარ. შენა გგო-

ნია, მე კი ვიცოდი? არაფერიც. მე მაშინ სულ ოცი წლისა გახლდი. ლანირაკი ვიყავი, ლეკვი... დღეს ოცი წლის ბიჭები გიტარებით დანონიალებენ და, როგორც გაზეთებში წერენ, „თავიანთ ადგილს ეძებენ ცხოვრებაში“. ჩვენ არ შეგვეძლო, წლობით გვეძია ჩვენი ადგილი. ხანდახან ყველაფერი რამდენიმე საათში წყდებოდა: რომელ მხარეს ხარ, აქეთ თუ იქით? ასე იყო, ძვირფასო...

თლაშოები ერთმანეთს მიუჯახუნეს. პლასტმასის თლაშოებმა მინის სირჩებივით როდი დაინკრიალეს, ცივად და უსიცოცხლოდ შეეჯახნენ ერთმანეთს. ინგუსმა თავისი თლაშო ტუჩებთან მიიტანა. იგი ვერც სუნსა გრძნობდა, ვერც გემოს. სითხის ყლუბი საყლაპავ მილში ჩაეშვა და ცეცხლის ალივით ჩახრუკა.

— დიახ, მძიმე დრო იყო... — თქვა კრაუზემ, მოგონებებმა რომ გაიტაცეს. — ადამიანის სიცოცხლე გახვრეტილ გროშად არ ღირდა, ნამდვილად ასე იყო. იმას, ვისაც ეს არ გამოუცდია, გაუჭირდება წარმოიდგინოს, რა შავი დღე გვადგა, ძვირფასო...

კრაუზემ ჩაახველა და სიმღერა წამოიწყო:

მასვი, მაჭამე, მალხინე,
წამომანვინე, მაძინე...

და მაგიდაზე ხელის დარტყმით ტაქტი გამოჰყავდა. ინგუსმა ხელი ბოთლისკენ გაიწვდინა და ორივეს თლაშო შეავსო.

ერთიც მიყვარდა, მეორეც,
არც მესამესა ვკარ ხელი,
სამივ მიყვარდა ერთბაშად!
სიბერემდე,
სიბერემდე,
სიბერემდე
იყავ ჯეელი..

შეზარხოშებულ კრაუზეს ხმა კიდევ უფრო გაუნვრილდა და თრთოლვა შეეპარა. ბერდება, დიახაც ბერდება ალბერტ კრაუზე, ხმაც შეეცვალა, ერთ დროს კი ნამდვილი ბულბული იყო! ან რა სიმღერები იცოდა! ახლა კი ის ჯეელი აღარ არის! წლებს თავისი მიაქვთ. ორმოცდათხუთმეტისა გახდა, ხოლო ის ათი წელი, ვირის აბანოში რომ გაატარა, ორმაგად უნდა იანგარიშო...

— კიდევ თითოც და ავტობუსს გავყვები! — განაცხადა ინგუსმა. — თორემ შეიძლება ნამეტანი მომივიდეს, სწორედ ასეა.

— იჯექი! სად მიგეჩქარება? სახლი ვერსად გაგექცევა... ერთ წამში მიგაქროლებ!

— ველძეს შევპირდი... მგონი, რალაცას შევპირდი. ჰო, შეშას დაგიპობ-მეთქი.

— მოჯამაგირე ხომ არა ხარ, კვირადღეს შეშა რომ ჩეხო? ერთი გოგორა პურით გყიდულობენ, შენ კი, ბოთე... დარწმუნებული ვარ, სადავეები რომ მივუშვა, ჩემი იღზა მაშინვე გუთანში შემაბამდა. ვისხდეთ ერთხანს, ვიმღეროთ...

— უკანასკნელ ავტობუსს ნამდვილად გავყვები.

— უკანასკნელ ავტობუსამდე ჯერ დიდი დროა, იჯექი, ვიმღეროთ, სანამ ჩემი დედაბერი რიგაში იმყოფება, კარგი? „ჩემი ცოლი რიგელია...“
სამი-ოთხი!

ჩემი ცოლი რიგელია,
მე სოფელში ვცხოვრობ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგუსს სმენა არ უვარგოდა, მაგრამ ახლა ალბერტთან ერთად რომ მღეროდა, თითქოსდა არა უშავდა რა.

ის რომ ტაქსით დაბრძანდება,
მე აქ ლურჯას დავაქროლებ.

— გაგვიმარჯოს! — შესძახა ინგუსმა, რომელმაც იგრძნო, რომ სასმელი მოერია და დათვრა. სიმთვრალეში ისე გადაეშვა, როგორც ქვა ვარდება ხოლმე წყალში — საოცარი შვება იგრძნო და ყველაფერი დაივიწყა. და თუმცა მთელი დღევანდელი დღის განმავლობაში მამაკაცური სიჯიუტით ისწრაფოდა ჭეშმარიტებისა და სიცხადისაკენ, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც ეშინოდა ამ ჭეშმარიტებისა, გაურბოდა მას, რათა მტანჯველ ფიქრებს გაქცეოდა — და მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რა გზით მოახერხებდა ამას — დაე, თუნდაც კიდევ ერთხელ დამთვრალიყო...

ველძე წამოდგა, ჩანთა ხელისცეცებით იპოვა, მოძებნა წამლის შუშა და აბები ფრთხილად წამოყარა. შუშიდან ორი აბი გადმოვარდა. ქალი ხედავდა, სიბნელეში როგორ ქათქათებდნენ ისინი ნაცრისფერ ხელისგულზე. დაე, იყოს ორი... შუშაში კიდევ დარჩა, სხვა დროსაც რომ დასჭირდეს. მერე სამზარეულოში გავიდა თბილი წყლისათვის, ჩაიდნიდან დაისხა და აბებს წყალი დიდი ყლუპებით დააყოლა, რათა მწარე გემო არ ეგრძნო.

„განა მწარე გემოს ყველაფერი არ ტოვებს?“ — გაიფიქრა ველძემ, რომელმაც სიმწარე მაინც იგრძნო, და თავში გაუელვა, რომ ზუსტად ასე, სულმოუთქმელად დაცალა თავისი ცოლქმრული ბედნიერებაც, როგორც ჭიქა ლუდი, — ბოლომდე, ფსკერზე კი ნალექი დარჩა, რომელიც მაშინ ვერ შენიშნა და მხოლოდ ახლა იგრძნო. „ძალზე ბედნიერი ვიყავი, — ისე გაიფიქრა ქალმა, თითქოს საკუთარ თავს შორიდან უცქეროდა. — ასეთი ბედნიერება არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ეს იგივეა, საათის გაფრენილი ქანქარა რომ გაშეშდეს... ანდა ზეავარდნილი საქანელა გაჩერდეს ანაზდეულად... ასე არ ხდება, ხომ მართალია? მე კი მინდოდა, დღესასწაული არ გათავებულიყო. მეგონა, იმდენი ღვეზელი და ლუდი მქონდა, გაუთავებლად შემეძლო მეზეიმა და მექეიფა...“

მისი გონება თანდათანობით ეხვეოდა ბურანში. ეტყობა, წამალმა დაინყო მოქმედება. თავი დაუმძიმდა, სხეული კი ისე დაურბილდა, თითქოს ცვილისა ყოფილიყო, თითქოს ფეხებიც მისი კი არა, ვიღაც სხვისი იყო.

ეს შამპანურით დათრობას ჰგავდა. და ქალმა ცალყბად გაიღიმა. ახლა ცეკვის დროა, მე კი ჩემს ოთახში შევჩანჩალდები, ისევ ჩემს ცივ ქვეშაგებში შევწვები და ვიძინებ, ვიძინებ და ვიძინებ, რადგან ძილია ჩემი მხსნელი და გადამრჩენიო...

ეს რა არის?

გზატკეცილზე ისევ ათუხთუხდა მანქანა და ლიგოტნესთან გაჩერდა. ეს ინგუსია! ინგუსი დაბრუნდა!

და ქალი ერთბაშად განთავისუფლდა მტანჯველი დაძაბულობისაგან. ინგუსი, ინგუსი! ხელებმა თავისით მოძებნეს პალტო. ველძემ ქაჩქაროდ მოიხურა ზედ ღამის პერანგზე და ეზოში გამოვარდა ხმაური ისმოდა და ჯეკიც მთელი ძალით ყეფდა.

— ჯეკ, უკან, ჯეკ! — დაუძახა ველძემ, მაგრამ ძალის მობრუნება ვერ შეძლო და ქალი, თავს რომ ვერ მორეოდა, ბორძიკით გაიქცა გზატკეცილისაკენ, სადაც თანდათანობით უფრო ნათლად გამოიკვეთა „ზაპოროჟეცის“ სილუეტი.

— საღამო მშვიდობისა! — გაისმა სიბნელიდან ხმა.

ქალი მიესალმა, ახლოს მივიდა და მანქანასთან ორი ფიგურა შენიშნა — ქალისა და კაცის, თუმცა კაცი ინგუსი არ ყოფილა. ისინი კასპარსონები იყვნენ. ველძეს ძალა უცებ გამოეცალა და თავი მოტყუებულად იგრძნო, თითქოს ვიღაცას ბოროტად ეხუმროს.

— აქ რომ ჩავიარეთ, შევნიშნეთ, რომ შუქი გენტოთ. ავრორამ მითხრა, შეიძლება ქმარს ელოდებო... — ალაპარაკდა ასკოლდი.

— დიახ, — ყრუდ შეეპასუხა ველძე.

— გზაზე შევხვდით, მაგრამ... იცით...

„მკვდარია!“ — უხმოდ შესძახა ველძემ.

— ... უგონოდ მთვრალია, — დასძინა ავრორამ. — გვინდოდა მანქანაში ჩაგვესვა, მაგრამ მასთან ნორმალური ლაპარაკი არ შეიძლება. მხოლოდ ის გვითხრა, რომ...

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, — გაანყვეტინა ასკოლდმა.

ავრორამ მხრები აიჩეჩა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა, რომელშიც ისევ გაისმოდა დაუდგარი ჯეკის ნკავნკავი და ყეფა, ველძეს თავში ისე რომ ხმიანობდა, როგორც კასრში.

— სად არის? — იკითხა ბოლოს ქალმა, გონს მოსვლას რომ ცდილობდა.

— აურუციემსის გზატკეცილზე მოდის, — ამცნო ასკოლდმა. — და საერთოდ პერანგის ამარაა. ვიცი, რომ ეს თქვენთვის არცთუ სასიამოვნო ცნობაა. — და კაცი დადუმდა, ეტყობა, პასუხს ელოდა, მაგრამ ველძეს, რომელიც ცდილობდა სისუსტე დაეძლია, სიტყვაც არ უთქვამს. — ცუდია, თუ შუაგზაზე იბოდილა. თანაც ასეთ ამინდში. კინალამ დავეჯახეთ.

— გმადლობთ... ძალიან დიდი მადლობა...

თითქოს ქალს ყელში რაღაც პქონდა წაჭერილი, ხმა ჩახრინწვოდა. მას ცრემლები ახრჩობდა, სიმწრისა თუ შვების ცრემლები, ინგუსი ხომ ცოცხალია, მაგრამ ისევ, ისევ, ისევ მთვრალია, თანაც ჩვეულებრივზე უფრო მაგარი მთვრალი. იმის გამო, რომ გზაზე ფეხშიშველა გამოვარდა, ღამის პერანგის ამარა, რომელიც მთელი მტკაველით გრძელი იყო პალტოზე, კასპარსონის თვალში სასაცილოდ და საცოდავად წარმოედგინა თავი, განსაკუთრებულ უხერხულობას გრძნობდა მკაცრი და თავდაჯერებული ავრორას წინაშე, რომელსაც ბედმა გაუღიმა, რომ მისი ქმარი არა სვამდა. ველძეს უნდოდა, ავრორას მისი ცრემლები მაინც არ დაენახა, და

როგორც ბევრი სხვა რამ, მისი ცრემლებიც მზრუნველად დაფარა ნისლ-
მა.

მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— იქნებ წავიდე და წამოვიყვანო? — თქვა ბოლოს ველძემ.

— მართლა წადით, თორემ შეიძლება...

— დიდი მადლობა... დიდი... — ისევ გაიმეორა ქალმა, რომელიც არ
ფიქრობდა, რას ამბობდა.

შეცვიებულმა ველძემ პალტო მჭიდროდ შემოიხვია, ეზოში შებრუნდა
და გარაჟთან მივიდა. პო, მართლა, ჯერ უნდა ჩაიცვას და მანქანის გასა-
ღები აიღოს. თვლემამორეულ დაღლილობაში, ველძეს კვლავ რომ დაე-
უფლა მას შემდეგ, რაც გაიგო, ინგუსს არაფერი შემთხვევით, სინამდვი-
ლე მის შეგნებამდე ისევე ბუნდოვნად აღწევდა, როგორც ნისლში მახ-
ლობლად მდებარე საგნების კონტურები. ქალმა ჩაიცვა, ჯიბის ფარანი
აიღო, ჩამოსაკიდ ბოქლომზე შიფრი აკრიბა, მაგრამ, ეტყობა, რომელიღაც
ციფრი შეეშალა, რადგან სახელური არ დაემორჩილა. ხელახლა აკრიბა
შიფრი...

ასე, ბოქლომი გვერდზე გახტა. გარაჟის კარი ჭრიალით გაიღო. ფარ-
ნის შუქზე „ვოლგის“ ფარებმა გაიბრწყინეს — მანქანა თავის პატრონს
ისე უცქეროდა, როგორც წაბლისფერი თვინიერი ძროხა. ველძემ ხელი
ამომრთველისაკენ გაიწვდინა და გარაჟი თვალისმომჭრელი კაშკაშა სი-
ნათლით აივსო, რომელსაც დაბალი ქერიდან უაბაჟურო ასორმოცდაათ-
სანთლიანი ნათურა აფრქვევდა. ნესტიანი სიგრილიდან შემოსულს მოეჩ-
ვენა, რომ აქ, შენობაში, თბილოდა და შეხუთული ჰაერი იდგა. იგრძნო-
ბოდა ბენზინის, ზეთისა და ლაქის მსუბუქი სუნი.

ველძემ ყველაფერი ისე დატოვა, როგორც იყო — ბოქლომი სახელუ-
რში, გარაჟის კარი გაღებული, სინათლე ჩართული, — და მანქანა გარეთ
გამოიყვანა. უკან მიტრიალდა. იქნებ გადმოვიდეს მანქანიდან — შუქი გა-
მორთოს და კარი დაკეტოს? გაღებული ორსაგდულიანი კარი ქათქათა
სიბნელეში ლამურის ყურებს აგონებდა, და უნებურად კიდევ ერთხელ მი-
იხედა უკან.

„რა მინდოდა გამეკეთებინა? ეჰ, არაფერი...“

ნისლი, ნისლი... მანქანის მინებს მიღმა ნისლი წყალგარეული რძის-
ფერი ჩანდა, „ვოლგის“ წინ კი ყინვაშეპარულ მდინარესავით მიედინებოდა
ხეებშორის, უფორმო მასასავით ლივლივებდა, მიცურავდა და ჭავლს იყე-
ნებდა... როგორც მაშინ ხდება ხოლმე, თვალეები რომ გებლიტება და...

რა მოსდის? ნუთუ წყეული აბების ბრალია?

მანქანა გზატკეცილზე გამოიყვანა, იდუმალეებით მოცულ სილუეტებს
ჩაუარა და გზაჯვარედინისაკენ გაემართა. მანძილი და ზომები შეიცვალა
და ადგილმდებარეობა ისე გადაასხვაფერა, რომ თვალი ტყუვდებოდა. ბო-
ძები და ხეები ეულ ფიგურებს ჰგავდნენ. არაერთხელ მოეჩვენა, ინგუსს
ვხედავო, მაგრამ ყოველთვის რწმუნდებოდა, რომ ცდებოდა — ეს ადა-
მიანი კი არა, ფარების ბუნდოვანი და აბოლქვებული შუქით განათებუ-
ლი საგნების რაღაც ნაწილები იყო, და ამ შუქში შენობათა სილუეტები
კარჭაპებს მოგაგონებდათ, ნისლის ტბაში ლუზა რომ ჩაეშვათ. იმათ გაი-
ელვეს და თვალს მიეფარნენ, წინ კი თივის უზარმაზარ ზვინივით აღო-
მართა ოლე. გზის ორივე მხარეს თხრილები თეთრი ბურუსით ავსებუ-

ლიყო, მათ მიღმა კი არაფერი ჩანდა და „ვოლგა“ სინათლის მღვრიე გვირაბით მიიწეოდა წინ.

წინ ერთი მანქანაც არ შემოჰყვრია. გამუდმებით მხოლოდ ბუნქები და ხეები ამოყვინთავდნენ ხოლმე, ფარების შუქზე გაიელვებდნენ და ისევ უჩინარდებოდნენ, თითქოს დათრთვილული იყვნენ და ძილ-ღვიძილის ზღვარზე ბუნდოვან მოჩვენებებს ჰგვანდნენ.

ფიქრები თითქოსდა მის გარეშე არსებობდნენ. თავი და სხეული ტყვიასავით დამძიმებოდა და...

ანაზღად ველძე შეკრთა. რა იყო ეს? ღმერთო ჩემო!

ქალის წინ ჯანლიდან ამოისვეტა მოჩვენების კონტურები, თეთრ ნისლში თავისუფლად რომ მიცურავდა და აფრასავით გაშლილი ფრთებით შავი ფრინველივით მისრიალებდა. „მფრინავი პოლანდიელი“! გამყინავმა შიშმა მთელ სხეულში დენივით დაუარა, წამით ნებისყოფაცა და სხეულიც დაუდამბლავა. ყავისფერი „ვოლგა“ კი ისარივით გაიჭრა გზაჯვარედინზე. და ნისლისმიერი მოჩვენება მაშინვე გაქრა, ხოლო ზღაპრული ხომალდის ნაცვლად წინ პატარა, შავი ფერის, დაკუთხვილი, ძალზე ნაცნობი ჯაბახანა დაინახა. ქალი სამუხრუჭე პედალს დაანვა, თუმცა გასაგები იყო, რომ დააგვიანა, და უცებ გუნდასავით მოიკრუნჩხა და დაიყვირა, როგორც საშინელი ტკივილისგან დაიყვირებს ხოლმე ბოცვერი, გამკივანად და წვრილი ხმით, თუმცა ხრჭიალსა, ჭრიალსა და ჭახანში თავისი ხმა აღარ ესმოდა.

კუპენის მკვიდრნი — პრაქტიკულად ორი სხვადასხვა თაობის ქალი — ისე წყნარად ცხოვრობდნენ, ჩემი მურგალეში ჩასახლებიდან კიდევ ორსამ წელიწადს ერთობ ბუნდოვანი, უბრალოდ მცდარი წარმოდგენა მქონდა მათ ნათესაურ ურთიერთობაზე — მეგონა, მარიანა და ალისა დედაშვილი იყვნენ.

მაგრამ ამ დროს მოულოდნელად გამოჩნდა პეტერი, პეტერი კი ის კაცი არ არის, რომ ვერ შენიშნო და არ დაგამახსოვრდეს: წარმოსადეგი და მხიარული, დარდიმანი და მოლიმარი, თანაც გამომწვევად ჩაცმული — მხარზე თითქმის ფანტასტიკური ზომის ლურჯად მოკამკამე ჩანთა ეკიდა (საინტერესოა, რა ედო იმ ჩანთაში?), თავზე ეხურა მოხდენილი ქუდი — რალაც საშუალო ჩარლი ჩაპლინის ქვაბ-ქუდასა და ტიროლურ ქუდს შორის. პირველივე შეხვედრისას მეცნო მისი სახე, მაგრამ სახელდობრ ვის ჰგავდა პეტერი, უცებ ვერ მივხვდი. მე რომ შემხვდა, ქუდი მომიხადა და ქერა კულულები გამოაჩინა. თანდაყოლილი მოხდენილობით მდაბლად დამიკრა თავი, რამაც მეხსიერებაში ასევე გამიცოცხლა რალაც ადრე ნანახი და კარგად ნაცნობი. მივხვდი, რომ იცოდა, ვინც ვიყავი. გარდა ამისა, მისი არტისტულად თავისუფალი და თითქმის სასაცილოდ ზეიმური, თავდაჯერებული მოსაღმება, ისევე როგორც დამაბრმავებელი, თუმცა ერთობ მოურიდებელი ღიმილი, სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებასაც იძლეოდა: ეტყობა, ფიქრობდა, რომ მის შესანიშნავ პიროვნებაზე ვიცოდი ყველაფერი, რაც მურგალეში იყო ცნობილი, და რომ თავისთავად ეს პიროვნება ძალიან მომწონდა. მასში პროვინციელი დონჟუანის მანჭვა-გრეხა რალაცნაირ ხალას, მართლაც რომ შუქმფი-

ნარ გულითადობას ეთვისებოდა, მისი რწმენა საკუთარი მომხიბლველობისა და მიმზიდველობისა გაღიზიანებდათ და ამავე დროს გაღელვებდათ კიდევ ბავშვური გულახდილობით, არც სნობად მოჰქონდა თავი, არც ცინიკოსად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — იგი მამაკაცთა ისეთ კატეგორიას განეკუთვნებოდა, ქალები სხვებზე ხშირად რომ სწყევლიან და სხვებზე მეტად უყვართ.

ასეთი რამ გავიფიქრე, როცა პეტერს პირველად შევხვდი და, მიუხედავად მისი ვარაუდისა, მასზე ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდი, თუმცა მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, რომ ინტუიციას არ უღალატნია. ხოლო ის, თუ რამდენად არ ვიყავი საქმის კურსში, დე იმ ფაქტმა დაადასტუროს, რომ პეტერი — ამის გახსენებაც მრცხვენია! — ალისას ძმად მიმაჩნდა, თუმცა სინამდვილეში იყო...

დიახ, აქ გარკვეული სიძნელეები იჩენენ თავს — როგორ აგისხნათ ზუსტად და ამავე დროს რაც შეიძლება დელიკატურად, ვინ იყო ალისასთვის პეტერი, რადგან ჩვეულებრივი და ძალზე მკაფიო განსაზღვრა — იურიდიული თუ ტრადიციული — მამაკაცსა და დედაკაცს შორის არსებული ურთიერთობისა ამ შემთხვევაში მხოლოდ მიახლოებითი და სრულიად არაზუსტი იქნებოდა. ცოლია, საცოლე თუ საყვარელი? უკანონო ცოლია? „ცოლი“ არ ეთქმოდა, რადგან ოფიციალურად რეგისტრირებულნი არ ყოფილან. ალისასთვის საცოლე რომ გვეწოდებინა, უხერხული იქნებოდა, თითქმის დაცინვასავით აჟღერდებოდა, რადგან წუთისოფელში ხეტიალისას პეტერმა ცოლი სამჯერ შეირთო და გაეყარა და ბოლოს, მურგალეში რომ გამოჩნდა, არავინ (შეიძლება გამონაკლისს მარიანა წარმოადგენდა) იცოდა ზუსტად, მეოთხედ მიადგა თუ არა პეტერი ცოლქმრულ ნავსაყუდელს. ალისას უკანონო ცოლი რომ ვუნოდოთ, ერთად უფრო მეტხანს უნდა ეცხოვრათ, ვინემ სულ რაღაც ორი-სამი კვირაა ორისამი წლის განმავლობაში, პეტერი კუპენში რომ ატარებდა (თუ არ ჩავთვლით ერთ ზამთარს, ტრაულერით შორეული რეისის შემდეგ). ბოლო სიტყვა „საყვარელი“, რომელიც თითქოსდა შეესაბამებოდა მათი ეპიზოდური კავშირის ხასიათს, — უკიდურეს შემთხვევაში, ჩემი გაგებით — ძალზე არასერიოზულად და ქარაფშუტულად ჟღერდა, ყოველ შემთხვევაში იმაზე უფრო არასერიოზულად და ქარაფშუტულად, ვინემ მათი ურთიერთობა იმსახურებდა.

თუმცა ბოლოს და ბოლოს ზუსტ სახელწოდებას რა მნიშვნელობა აქვს — განა საქმის არსს ცვლის? სრულიადაც არა, რადგან ალისა პეტერს პატარძალივით უბინო ელოდებოდა, მოსიყვარულე ცოლივით ერთგული იყო მისი შინ არყოფნისას, და როცა გაცრუებული იმედები და ხელის მოცარვა, ცარიელი საფულე ან უბრალოდ შემთხვევითობა პეტერს კუპენის მისადგომებს მიაყენებდა, როგორც დინება მიაყენებს ხოლმე მოდრეიფე ხომალდს ნაპირთან, ქალი პეტერის საყვარლად და უკანონო ცოლად იქცეოდა — იმ დღემდე (რომელიც მუდამ უცნობი იყო და ვერც იწინასწარმეტყველებდა), როცა უცნაური და, ალბათ, ალისასთვის გაუგებარი მონატრება შორეთისა და გაშლილი სივრცისა ისევ არ ააშვებინებდა აფრებს და განუსაზღვრელი დროით არ გადაკარგავდა ჰორიზონტს იქით.

ამნაირი ბედი რომ რგებოდა, ალბათ, სხვა ქალი, როგორც იტყვიან, თმებს დაიგლეჯდა, ალისა კი... თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ვიცოდი ალისას შესახებ? გულცივი, სიტყვაძვირი ქალი ჩანდა, ერთ-ერთი იმათგანი,

რომლებიც სულაც ვერ იმსახურებენ სიმპათიას თავიანთი გადაჭარბებული თავდაჭერილობის გამო, რომლის მიღმაც შეიძლება იმალებოდეს როგორც მოკრძალება და გაუბედაობა, ისე უფმურობა და ქედმაღლობა. მაინც რა იმალებოდა ალისას გარეგნული სიცივის მიღმა, მე ვერ/გავიგე, მაშინაც კი ვერ გავიგე, როცა კუპენის ორივე დიასახლისთან — მოხუცთანაც და ახალგაზრდასთანაც — დავამყარე ურთიერთობა, ჩვენს ურთიერთობას პროზაული საფუძველი ჰქონდა — მათი მამულიდან რძე მიმქონდა. და თუმცა ჩემგან კუპენამდე დაახლოებით ერთი კილომეტრი მანძილია, ერთმანეთთან გვაკავშირებდა მოლაპარაკება, რომელიც არც ერთ მხარეს არ ამძიმებდა: სალამო ხანს სეირნობისას მათთან პატარა ბიდონი მიმქონდა, დილას კი ნებისმიერ დროს, როცა ჩემთვის მოსახერხებელი იყო, შემეძლო ჩემი ერთი ან ორი ბოთლი ახალმონველილი რძე წამომეღო, თანაც ყოველთვის სახლში შესვლა არ მჭირდებოდა, რადგან ბიდონს ეზოში ჩამოვაცემევი ხოლმე სარზე, რომელზედაც ნორჩი ნეკერჩხალი იყო აკრული. ყოველივე ეს მარიანამ მოიფიქრა — არ ვარგა ცარიელი ბიდონი მთელი ღამე სარქველდახურული გვედგას, აყროლდება, რძის ჭურჭელი კი სუფთა და სულივით სურნელოვანი უნდა იყოსო. სწორედ ასე მითხრა, რაც ძალზე ეუცხოვა ჩემს ყურს, რადგან ამ სოფლელ ქალს ლამაზ-ლამაზი სიტყვები არ უყვარდა. თუმცა მის ამ ნათქვამში ცხოვრებისეული სიბრძნე გაისმოდა. და, ალბათ, ამქვეყნად არ იპოვება ისეთი ადამიანი, რომელიც უარს იტყვის რძე იმ მამულიდან წაიღოს, სადაც, როგორც მარიანამ თქვა, ჭურჭელი სუფთა და სურნელოვანია.

მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის, ბიდონი მხოლოდ და მხოლოდ ბიდონია. თანაც ფიქრაც არასოდეს გამივლია, რომ ჩემს ბიდონს მარიანა კუპენის ბედისწერაში რაიმე როლის შესრულება შეეძლო...

თუმცა ამ მცირე გარიგების შემწეობით მე და მარიანა თუნდაც ოდნავ. დავუახლოვდით ერთმანეთს და მურგალეში არსებული მამულებიდან ყველაზე ხშირად კუპენში დავდიოდი ხოლმე. ყოფილა შემთხვევა, ერთმანეთს მხოლოდ თავაზიანობისთვის კი არ გამოვლაპარაკებოვართ, ხანდახან — განსაკუთრებით მაშინ, როცა ალისა შინ არ იყო, — ცხოვრებაზედაც გვილაყბია, საერთოდ ცხოვრებაზეც და კონკრეტულად მარიანას ცხოვრებაზეც, რომელშიც განსაკუთრებით დიდი ადგილი პეტერს ეჭირა.

ასე რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონებებიდან, რალაცასთან დაკავშირებით ან რალაცის გამო რომ მიამბობდა მარიანა, და აგრეთვე შემთხვევით წამოცდენილი ფრაზებით, შემექმნა გარკვეული წარმოდგენა, რომელშიც, ერთობ შესაძლებელია, მარიანა კუპენსა და მის ცხოვრებაზე ბევრი რამ სუბიექტურიც იყოს. რამდენი იყო სარწმუნო იმაში, რაც მარიანამ მიაგებო, ვერ ვეტყვით. მისი სიტყვების ჭეშმარიტება არასოდეს შემიმომწმეებია, თუმცა მათში ყველაფერი სარწმუნოდ როდი მეჩვენებოდა, პირველ რიგში კი ის, რომ მის ნაამბობში პეტერი ყველასა და ყველაფერს ჩრდილავდა, არადა მარიანას ცხოვრებაში ხომ ქმარიც იყო და ორი ღვიძლი ვაჟიშვილიც — ედგარი და კრისტაპი, ადრეულ ბავშვობაში რომ გარდაიცვალნენ. იქნებ დრომ ისე ნაშალა მის მეხსიერებაში საკუთარი ვაჟიშვილების ცოცხალი ნაკვთები, რომ ხეირიანად აღარც კი ახსოვდა. თუმცა როგორც ქალს, რომელსაც აგრეთვე პყავს შვილები, მიჭირს ამის წარმოდგენა — დედის გულში მაინც რჩება

ისეთი რამ, რის ნაშლა და გაცამტვერება დროს არ შეუძლია, მხოლოდ დავიწყების ფერფლს თუ წააყრის. მეორეც, მარიანას მოგონებებში პეტერი კეთილშობილების შარავანდედით იმოსებოდა, რასაც მცირე ხანით შქონდა იმასთან, რაც ჩვენ მურგალეში (იმ დროისათვის მეც) ვიცოდით მის შესახებ: ქარაფშუტული ქორწინებანი, უცნაური ფაქტობრივობა ალისასთან, აქეთ-იქით გამუდმებული წონილი, ყოველნაირ ქვეყნში ფხიანობა, ხე-ტყის ჭრით დაწყებული და ფეხსაცმელის საპირეების თარგვით დამთავრებული, ამავე დროს კი სრული უუნარობა რაიმესთვის ნამდვილად, სულითა და გულით მოეკიდა ხელი, ამას ისიც ემატებოდა, რომ მოსდიოდა ალიმენტების აღმასრულებელი ფურცლები, რომლებიც ეძებდნენ და ფეხდაფეხ დასდევდნენ მთელს საბჭოთა კავშირში, თუმცა ჩვეულებრივ მუდამ იგვიანებდნენ, რადგან იგი ასწრებდა კიდეც ერთხელ გამოეცვალა ადგილსამყოფელი, და ბოლოს თავმოწონების სურვილი, შეიძლება ითქვას, ერთგვარი კობტაპრუნობა, — საბოლოო ჯამში ცოდვათა და მანკიერებათა ისეთი ტვირთი გროვდებოდა, საექვო იყო, გადანონიდა თუ არა ისეთი აბსტრაქტული და უკიდურესად განუსაზღვრელი რამ, როგორიც კეთილი გულია, პეტერს რომ ვერავინ წაართმევდა...

ჰოდა, ერთხელ მარიანას დაახლოებით ვუთხარი კიდეც ეს. დაუფიქრებლად წამოვროშე და მერელა მოვედი გონს, ეს არ უნდა მექნა, მის შეხედულებებს მაინც ვერაფერი შეცვლის, მხოლოდღა ნავიჩხუბებთ-მეთქი. ერთ რამეში არ შევმცდარვარ — მარიანას შეხედულებები ჩემს მოსაზრებას არ შეურყევია, ისიც კი მომეჩვენა, რომ ეჭვის ნატამალიც კი არ შეპარვია თავის სიმართლეში. თუმცა ნაჩხუბებით მაინც არ ნავიჩხუბებულვართ. მარიანამ ერთხანს იყუჩა და ღრმა რწმენით მითხრა, ახლობელი და ძვირფასი ადამიანები ისეთები უნდა მივიღოთ, როგორიც არიან, ხოლო ყველა ჩვენი უბედურება და უთანხმოება იქიდან მომდინარეობს, რომ მხოლოდ საკუთარი თავისა გვესმის და გვინდა, სხვები ჩვენს ყაიდაზე გარდავექმნათ. სწორედ ასე მითხრა. იქნებ მე მგულისხმობდა და საკუთარ თავს, მაგრამ უფრო მგონია, პეტერი და თავისი თავი იგულისხმა. მას ხელები მშვიდად ეწყო მუხლებზე, ოდნავაც არ უცახცახებდა, სახე კი ისეთი ნათელი და გასხივოსნებული შქონდა, ძალა არ მეყო მეთქვა, შენი ეს შეხედულებები ხომ არ არის პეტერის უბედურებათა მიზეზი-მეთქი?

მარიანას სახე უბრწყინავდა, ყვავილივით იფურჩქნებოდა, როცა თვითონ ან მის გასაგონად სხვა ვინმე ახსენებდა პეტერის სახელს. გულახდილად უნდა ვთქვა, არასოდეს ვყოფილვარ მონმე ამგვარი ბრმა, თუმცა მაინც ასე ამალღებული დედური სიყვარულისა შვილის მიმართ, რადგან მონური სიყვარული ხომ ჩვეულებრივ სულიერებას მოკლებულია, მარიანას გრძნობები კი გამოირჩეოდა აღფრთოვანებით, რომლის ჩაქრობაც წლების განმავლობაში ვერაფერმა შეძლო. გეგონებოდათ, ბედს ყოველდღიურად მადლობას სწირავდა, რომ წილად ხვდა ბედნიერება პეტერის დედა ყოფილიყო. და თუ გენიალური შეიძლება ეწოდოს არა მხოლოდ გონებრივ ნიჭიერებას, არამედ გრძნობებსაც, ერთგულებითა და სიმტკიცით რომ არის აღსავსე, უფრო მეტიც — ათეული წლების განმავლობაში ჩაუქრობელ ეიფორიას, მაშინ მინდა გენიალური ვუნოდო მარიანას სიყვარულს პეტერისადმი, რომელიც მისი ღვიძლი შვილიც კი არა ყოფილა.

სხვათა შორის ამ გარემოებას ქალი ერთობ უხალისოდ და ძალზე იშვიათად ახსენებდა, მთელი ამ წლების განმავლობაში, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მხოლოდ ერთხელ წამოსცდა; პეტერის ბავშვობაზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, ქალმა თქვა, გვირგვინოვანი ბავშვები მუდამ ძლიერები იბადებიანო. გამიკვირდა და ვკითხე — რომელ გვირგვინოვან ბავშვებზე ლაპარაკობ-მეთქი? და მარიანამ ამიხსნა, ასე უცნაურად უწოდებენ ბავშვებს ეძახიანო. მიუხედავად იმისა, რომ ფილოლოგიური განათლება მაქვს, ვიცოდი მხოლოდ ქორწინებისგარეშე და ვინმესგან ნაყოლი, უკანონო და ნაბუშარი ბავშვების არსებობა, რომელთაც მეტ-ნაკლებად აბუჩად ამგდები ელფერი დაჰკრავს ხოლმე. გვირგვინოვანი ბავშვები კი იდუმალებით მოცულად, მე ვიტყოდი, ზარზეიმურადაც კი ჟღერდა და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებდა, თუ როგორი იყო მარიანას დამოკიდებულება პეტერისადმი.

იმ დროს ჩემთვის უკვე საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა, რომ იგი კუპენების შვილობილი იყო. პეტერი იმდენად ეგზოტიკური პიროვნება გახლდათ, მურგალეში მისი ყოველი იშვიათი გამოჩენისას ხალხი ხელახლა იწყებდა წარსულის ბზის განიხილებას, რაც მტერის ისეთ კორიანტელს აყენებდა, რომ ქეშმარიტების კონტურები მასში ძალზე სუსტად ილანდებოდა. ამიტომ მე არცთუ ძალიან ვენდობოდი ვერსიას, რომ პეტერი ვოიცეხოვსკის შვილი იყო. თუმცა მარიანამ დაადასტურა: დიახ, მისი შვილიაო. ევა ლუკაჩისგან ეყოლა, რომელიც მშობიარობას გადაჰყვამო. ბავშვი თურმე მარიანას დას — ელზას აუყვანია, რომელსაც თავისი ოთხი შვილი ჰყოლია. ვოიცეხოვსკი? ვოიცეხოვსკის შესახებ ისლა იცოდნენ, რომ ის მამამისთან ერთად რაუდავის ციხეში დახვრიტეს. და ელზა, რომელმაც ერთხანს იყოყმანა და ცრემლებიც ღვარა — რა უნდა მოვუხერხო ამოდენა ჯგროს ომის დროს, როგორ უნდა დავაპურო ხუთი ბავშვიო? — ბოლოს და ბოლოს დათანხმდა მიეცა ბიჭი და მარიანამ და მარტინმა იგი შინ მოიყვანეს. მერე ქალაქლებიც გააფორმეს, როგორც ჯერ არს, და ბიჭს კუპენის გვარი მისცეს, სახელად კი პეტერი შეარქვეს. თავდაპირველად მარტინს უნდოდა მისთვის ედგარი ან კრისტაპი დაერქმია, მაგრამ მარიანა არ დაეთანხმა. არ შეიძლება მიცვალებულის სახელის დარქმევა, ცუდის ნიშანიო.

ერთი სული მქონდა მეკითხა, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ფელიქს ვოიცეხოვსკისთან, რომელიც აქვე, გვერდით, ცხოვრობდა, მაგრამ საკმარისი იყო ამის თაობაზე სიტყვა გადამეკრა, რომ უცებ შემენიშნა — მარიანას ამის გახსენება არ ენადა, ყოველ შემთხვევაში მოყოლა მაინც. და თუმცა ცნობისმოყვარეობა, როგორც ადვილი მისახვედრია, არ მასკენებდა, გამოკითხვისგან თავი შევიკავე და დაწვრილებით ველარაფერი გავიგე. მაგრამ განა შეიძლება ნებისმიერ საკითხზე ყველაფერი გაიგო ან არის კი საჭირო ადამიანის სულში ფათური?..

მაგრამ თუ მარიანა დიდბუნებოვან ადამიანად მიმაჩნდა, რომელიც უჩვეულო შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობდა, ალისა, პირიქით, საკმაოდ პრიმიტიული არსების შთაბეჭდილებას ტოვებდა. თავისი სიცივიტით იგი თევზს ჩამოჰგავდა, უდრტვინველობით — ცხვარს, და თუკი მისი და პეტერის ურთიერთობით ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მისთვის ისევე უცხო იყო ეჭვიანობა, როგორც ქათმისთვის. გონჯს ვერავინ უწოდებდა, მაგრამ მზეთუნახავიც არ ეთქმოდა. გარეგნულად არავითარი

ვანსაკუთრებული ნაკლი არ გააჩნდა, მაგრამ შეიძლებოდა მრავალჯერ შეხვედროდი და ვერ შეგენიშნა, არ დაგმახსოვრებოდა, რა ფერის თვალები ჰქონდა (მოცისფრო-მონაცრისფრო თუ მომწვანო-მოყვითალო) ან რა ტონის თმა (ღია ნაბლისფერი თუ ქერა?). იგი ბრიენიეკში მუშაობდა, მელორეობის ფერმაში, საითაც გზა კუპენიდან ზედ ჩემს ეზოსთან გადიოდა, ასე რომ, სულ ცოტა დღეში ერთხელ, ხანდახან კი ფრუფრუადა მისი მოპედის ტკაცატკუცი და ან იქით მიმავალი დამინახავს, ან უკან დაბრუნებული, და თითქმის ყოველთვის, შუაზაფხულს თუ არ ჩავთვლით, ერთი და იგივე ტანისამოსი ეცვა: თავსაფარი, კურტაკი, მამაკაცის შარვალი და რეზინის ჩექმები. შარვლით იგი, როგორც იტყვიან, წვებოდა და დგებოდა. სახმარად შარვალი, ასე ვთქვათ, ძალზე მოსახერხებელია, თუმცა ალისას ერთობ საქმიანი და თითქოსდა უსქესო არსების ბეჭედს ასვამდა, რაც მამაკაცებს უფრო აფრთხობს, ვინემ ქალის აქსესუარებში გახვეული აშკარა სიმახინჯე.

აინტერესებდა თუ არა მას რაიმე იმ პატარა მეურნეობის, კუპენში რომ ჰქონდა, კოლმეურნეობის ღორებისა და, ცხადია, პეტერის გარდა? ძნელი სათქმელია. აგრეთვე არასოდეს მინახავს, რომ ალისას ხმამალლა, გულიანად გაეცინოს, და ეს ეჭვს აღმიძრავდა, პირქუში, ბუზლუნა ხასიათის არის-მეთქი, მაგრამ ამ ვარაუდს საეჭვოს ხდიდა ის, რომ ალისა არავის ლანძღავდა და არაფერზე წუნუნებდა, არავის კილავდა და ეკინკლავებოდა, თუმცა მელორე ქალები ფერმაში ხანდახან ერთმანეთს ნაეკიდებოდნენ ხოლმე, — საერთოდ მეზობლებსა თუ ამხანაგებთან ურთიერთობაში პირუთვნელი იყო და თავს ზედმეტის უფლებას არასოდეს აძლევდა. პო, მართლა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ შემთხვევას, როცა ამ უენო ქალმა გესლიანად და დაუნდობლად საკმაოდ დიდხანს ლანძღა ზოოტექნიკოსი, ღორებს უვარგისი საკვები რატომ მოუტანეო. თუმცა ეს შემთხვევა, ლიტერატურული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, იმდენად არატიპიური გახლდათ, რაიმე დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლეოდა და სულ სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით გამახსენდა, რომელიც ამ შემოდგომაზე მოხდა, როცა სოკო შემოვიდა.

ხანგრძლივი გვალვის შემდეგ თბილი თქეში მოვიდა და ჩვენს ტყეებში უამრავმა სოკომ ამოხეთქა. ყოველი მხრიდან — რაუდავიდან და რიგიდანაც კი — ჯგროდ დაიძრნენ ჩვენკენ მანქანები და მოტოციკლეტები, ასე რომ ნაკაფის ყოველ გზაჯვარედინზე თითო „მოსკვიჩი“ ან „იავა“ იდგა. სულელებად არც ჩვენ, მურგალელებს, გვინდოდა დავრჩენილიყავით და, ვისაც კი შეეძლო ორიოდ საათი გამოენახა, ხელში კალათსა და ვედროს იღებდა და ტყეში მიდიოდა.

და, აი, ერთხელ ამნაირ დღეს შევხვდი ალისას. ხავსმოდებულ ბორცვებსა და ნორჩ ტყეს, როგორც უკვე ვთქვი, აუარება სოკოს მკრეფავი შესეოდა, ამიტომ თავდაპირველად არც კი მიმიქცევია ყურადღება ვილაც შარვლიანი ქალისთვის, რომელიც შორიდან ხელით რაღაცას მანიშნებდა. აქ ყველას შარვალი ეცვა, ამხანაგებს ეხმიანებოდნენ და მხოლოდ ის ერთი ქალი როდი ყვიროდა — მართალი უნდა ითქვას, რომ ყველაზე მეტს ტყეში ძლიერი სქესის წარმომადგენლები გაჰყვირიან, ვის სისხლშიც, შეიძლება ძველი დროიდანვე, ცოცხლობს მძუნაობის პერიოდში ღრიალის ინსტინქტი. გზის გაგრძელებას ვაპირებდი, მაგრამ ქალი ჩემკენ გამოე-

შურა და მე ვიცანი იგი — ალისა იყო. თუმცა „ვიცანი“ ამ გარემოებას არ შეეფერება.

დიახ, ცხადია, ამ ქალში ალისა შევიცანი, მაგრამ იმდენად უჩვეულო და აფორიაქებული იყო, მაშინვე მივხვდი — რალაც მომხდარიყო. საერთოდ ფერმკრთალი სახე ჰქონდა, მხოლოდ ძლიერი ყინვისას თუ გაუწითლდებოდა ცხვირი. ახლა კი ღანვები ყირმიზისფერი გახდებოდა, მის ნათელ, ლურჯად მოკამკამე თვალებს კესანესფერი დაჰკრავდა. თითქოსდა ჩქარი სირბილისგან დაღებულ ტუჩები, მუდამ ასკეტურად სიფრიფანა და ფერმკრთალი რომ მეჩვენებოდა, ახლა დანამვოდა, წითლად უღვიოდა და თითქმის მგრძნობიარედ უცახცახებდა. და ამგვარი მოულოდნელი, უბრალოდ გასაოცარი მეტამორფოზით გაკვირვებულმა, მის ფიგურასაც იგივე ცვლილება შევნიშნე: ჩახსნილი კურტაკის შიგნით, თხელი ჯემპრიდან შესამჩნევად, თითქმის კადნიერად გამობურცულიყო ძუძუთა ნახევარსფეროები და ულაზათო ხუთმანეთიან შარვალს ვერ დაეჩრდილა მისი თქოების მოხდენილობა — ისე აივსო და აელვარდა ფერებით, როგორც ვაშლი, რომელიც თვალის დახამხამების უმალ დამნიფდა.

— რა მოხდა, ალისა? — ვკითხე.

— მინდა რალაც გიჩვენოთ, — მიპასუხა და ხმაში მღელვარება შეეპარა.

— სად არის?

თავით იმ მხარეს მანიშნა, საიდანაც ახლა მოვიდა, და ორივენი იქით გავეშურეთ — ალისა აჩქარებით მიდიოდა, რადგან ცდილობდა ჩემთვის გაესწრო, ასე რომ ძლივს ვენეოდი. როცა იმ ადგილს მივუახლოვდით, სადაც მივყავდი, ვიგრძენი, მთელი მისი არსება მღელვარებამ მოიცვა.

მოულოდნელად გაჩერებულმა ალისამ დაიჩურჩულა:

— იქ ბავშვია.

— ბავშვი?

— ჰო. მიტოვებული ბავშვი.

— ხომ არა ცდებით, ალისა? — შევეკითხე დაეჭვებული.

— თვითონ ნახეთ.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, სახელოში მკვეთრი მოძრაობით ჩამავლო ხელი და ყრუდ წამჩურჩულა:

— სსუ! შეხეთ, აი, ბავშვი!

მეც დავინახე ბავშვი ტანმორჩილი ნაძვის ძირას.

ბავშვი გახვეული იყო კუბოკრულ ქსოვილში — ვერ გაიგებდით, შალის ქსოვილი იყო თუ სუფრა — და, ეტყობა, გვერდზე იწვა, რადგან ქსოვილიდან მომრგვალებული თავი და დუნდულები მოუჩანდა. სიმაღლის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ათი-თორმეტი თვისა იქნებოდა, შეიძლება ერთი წლისაც, მაგრამ თუ ალისას იგი მძინარე ეგონა, მე... მაშინვე გულმა რეჩხი მიყო. ცოცხალ ბავშვებს ისე არ ხვევენ, როგორც ეს ბავშვი იყო გახვეული — თავიც არ უჩანდა, და არც ნაძვის ძირას აგებენ...

მიწიდან ჯოხი ავიღე.

— რა ნდა ქნათ ამ ჯოხით? — შეშფოთებით, თითქმის შიშით მკითხა ალისამ.

— ნასკვის გახსნა ვცადოთ, — მივუგე გახვეული ტუჩებით.

ალისა მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი, და უმალ ცარცივით გაფითრდა,

თითქოს ერთბაშად დიდი მწუხარება დატყდომოდეს თავს. ალისამ დამას-
წრო, დაიხარა, განასკვეული ნაცრისფერი თავსაფარი გახსნა და ორივენი
ჩვენს ნაპოვნს ზემოდან დავაცქერდით, თავის აწევა და ერთმანეთის შეხე-
დვა ვერ გაგვებედა.

კაბაში იდო ქოლგა, ქალის დაკეცილი ორი კოფთა და ქოლგისფერების
პაკეტი, რომელშიც ეწყობო ბუტერბროდები, გაქონილი ქაღალდის ფურ-
ცხის ნაჭუჭი...

ალისამ ისევ გამონასკვა თავსაფარი. კრინტიც არ დაგვიძრავს, ორ-
მოცდაათიოდე მეტრი ერთად გავიარეთ და ერთმანეთს დავშორდით.

არც მე და, მგონი, არც ალისას ეს ნაღვლიანი ამბავი არავისთვის გა-
გვიმხელია. მე იმიტომ, რომ შეკრულა, რომელშიც ბავშვი იყო გახვეუ-
ლი — თუნდაც მკვდარი, — მინდოდა გამეხსნა ჯოხით და არა ხელით.
ალისამ კი, ალბათ, იმიტომ, რომ შემთხვევით გამომიტყდა იმაში, რაც
ღრმად ჰქონდა გულში დამალული და უცხო თვალისთვის გათვალისწი-
ნებული არ ყოფილა.

მზე პირს იბანს, ანუ
მოთხრობა მარიანასა და ალისას,
იქნებ პეტრის შესახებაც!

„აი დადგა შემოდგომაც...“ — ფიქრობს მარიანა, რადგან დადგა დაუ-
პატიყებელი, უსურველი შემოდგომა, ის ისევ აქ არის, გარეთ მზე პირს
იბანს, ჟინფლავს და ცრის, თქორავს და ჟმურტავს და ფანჯრის მინები
გარედან ნაცრისფერი მძივებით არის დანიწკლული, წვიმა კი შეუჩერე-
ბლივ მოდის და მოდის უხმაუროდ, მიწაზე სქელი ნისლივით ეცემა, ხან-
გამოშვებით ქარი დაიქროლებს და წვიმა ფანჯარაზედაც მოაშხაპუნებს.
ალისას ოთახში გამავალი კარი ოდნავ შეღებული რომ არ იყოს და ღრი-
ჭოში ვარდისფერი შუქი და მუსიკის ხმა რომ არ აღწევდეს, მაშინ სიჩუ-
მე არ მოგეჩვენებოდათ ასე სრული, მაშინ, ალბათ, გაიგონებდით, ტყე-
ში, წყალგალმა, ხმადაბალი გუგუნით როგორ სკდება მიწა, როგორც
გაზაფხულზე იბზარება ხოლმე ყინული. და ხავსქვეშ რაკეტებივით რო-
გორ ამოხეთქავენ სოკოები.

მაგრამ ახლა ალისას ოთახის კარი შეღებულია, მის მიღმა კი მამაკა-
ცის ხმა მარიანას უმღერის, რომელსაც ისე ტკბილად ძინავს, ცოდვასა გა-
აღვიძო, და ხავერდოვანი ტენორი წვიმის საბურველივით ფარავს სხვა
ხმებს, თუმცა მარიანას — მარიანას სულაც არ ძინავს. არ შეუძლია დაი-
ძინოს, და არა იმიტომ, რომ მამაკაცის ხმა ასე აღმგზნებად ალერსიანია,
ოჰ, არა, მარიანა ძალზე მოხუცი ქალია და მის გულს მამაკაცის უნაზესი
და უტკბესი ხმაც კი ვერ ააღელვებს, თუმცა დაძინების საშუალებას სწო-
რედ გული არ აძლევს, გული ჭირვეულობს. სხეულის მთელი მარცხენა
მხარე უბუფდება და უცივდება, როგორც ადრეც დამართნია, მაგრამ რას
იზამ, იძულებულია თვალგახელილი იწვეს და ისმინოს სიმღერა მარიანა-
ზე, რომელსაც ისე ღრმად ჩასძინებია, როგორც მხოლოდ ახალგაზრდო-
ბისას იძინებენ.

მაგრამ ვარდისფერი ზოლის გასწვრივ ჩრდილი მისრიალებს, სინათ-
ლეს ეფარება და შავი ფიგურა წირთხლთან ირინდება. ეს მხოლოდ ალისა

შეიძლება იყოს, რომელიც დგას და უსმენს, ღვიძავს თუ არა მარიანას. თუ უკვე ჩასთვლიმა, მაშინ რადიო უნდა გამორთოს და კარიც მიხუროს, რათა არ შეაწუხოს იგი. მარიანას უნდა, რომ დაუძახოს შემოდის, მაგრამ მერე ფიქრობს: რად შინდა, რომ დავუძახო, სათემელი არაფერი მაქვს, მხოლოდ იმას თუ შევჩივლებ, გული მტკივა-მეთქი, მაგრამ რას უშველის ალისა, თუ ყველაზე საუკეთესო ექიმიც კი გულს ვერ ჩაუდგამს და არც ვალიდოლი, არც კორვალოლი და არც სხვა წვეთები შევბას არა ჰგვრის. რა შეუძლია საცოდავ ალისას: კეთილი სიტყვის თქმა, ჩაის მოტანა, საბნის შემოკეცვა, როცა თვითონ მალვიძარა, ალბათ, ისევ ოთხ საათზე უყენია. ნავიდეს, დაისვენოს გოგომ, თავს ნუ შეიწუხებს ტყუილუბრალოდ, დაწვეს და დაიძინოს, განა ცოტა ირბინა, ხვალაც ხომ სამუშაო ელოდება და არა დროსტარება.

კარი იხურება, ქრება ნათელი ზოლი, აღარც მამაკაცი უმღერის მარიანას ტკბილ ძილს, მხოლოდ შხაპუნა წვიმის წვეთები შრიალებენ ჩუმად, აკაკუნებენ ფანჯრებზე და ეზოდან აღწევს ძლივსგასაგონი მსუბუქი ხმაური: წვიმა ასხამს და ასხამს... მაგრამ შემოდგომა შემოდგომაა, და ვერაფერს გახდები. დრო დადგება და შოთხვი აყვავდება, უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ და, ღმერთო ჩემო, უკვე ფოთლები სცვივა. სიცხეში ერთ რამეზელა ფიქრობ: ღმერთო, ცოტა მაინც მოწვიმდესო, ქვეტუხილი კი თითქოს განზრახ სადღაც კილომეტრს იქით ბობოქრობს, აქაურობას გვერდს უვლის, შორეთში გადაიგრიალებს, გაიელვებს და მორჩა, ნახვამდის, მოგვჭამა ქირი, თუმცა დედამინა დაურწყულბებელია და კარტოფილის კანივით დასკდა. მერე კი ოქტომბერი დგება — არემარეს ლაზათი ეკარგება, ირგვლივ ფაფასავით ტლაპო დგება, ყველაფერს ჭყაპუნის გაუდის და საპონივით სრიალა ხდება, ღმერთო ჩემო, მიდიხარ და ფეხები გეფლობა, მაგრამ განათებული ფანჯრების სითბო განა როდისმე გიზიდავს თავისკენ ისე, როგორც შემოდგომის ავდრიან სალამოს? — არასოდეს. ჰოდა, ყველაფერში ასეა. გაზაფხულზე ბალები აყვავდებიან და ასე გგონია, ამ სილამაზეს არაფერი შეედრება, ამას რომ უცქერი, გული სიხარულით გევსება! მაგრამ, აი, ქარბუქი გადაუვლის არემარეს და განა არ გაცოცხლდება დათოვლილი ღობის სარი თუ თვით დამპალი ჯირკი, განა ყველაფერი არ ბრწყინავს, არ იცინის ზამთრის მზის შუქზე? აბა, მითხარით, რომელია უფრო ლამაზი? მეეჭვება, ვინმემ შეძლოს ამის თქმა. ადამიანებს რომ ჰკითხო — უმრავლესობა გიპასუხებს, ზამთარში ცივო, მორჩა და გათავდა...

ასე ფიქრობს მარიანა, ან რა უნდა ქნას მარტოდმარტომ ღამის სიბნელეში, როცა ძილი სათოფეზედაც არ ეკარება და მხოლოდ ფანჯარაზე წვიმის წვეთების შხაპუნი ესმის და აგრეთვე საკუთარი გულის ბაგაბუგი? ისეთ რამეებზე ფიქრობს, რისთვისაც ახალგაზრდობისას, ჯარასავით რომ ტრიალებ, დრო არ გყოფნის, როცა საკმარისია ბალიშზე თავი მიდო, რომ უმაღლ ღრმად ჩაგეძინოს...

იქნებ მოხუცებს ძილი იმიტომ უკრთებათ, რომ უკვე მოახლოებულია, ხელის განვდენალა დარჩენიათ მარადიულ სიმშვიდემდე, როცა თითოეულს შეუძლია იმდენი დაისვენოს, რამდენიც მოეგუნებება, და აინაზღაუროს ყველაფერი, რაც ოდესმე დაჰკლებია? განა რამდენი დარჩენია კიდეც — აბი, შეიძლება ხუთი წელიწადი? ზოგიერთები ას წელიწადს ცხოვრობენ, თუმცა მას ეს არ უწერია, ამისთანა გულით ას წელიწადს რას გაძლებ, ან

რა თავში იხლის, თვითონაც უნდა დაიტანჯოს და სხვასაც მძიმე ტვირთად დაანვეს. ერთ რამეს კი ისურვებდა — პეტერის ნახვას. არცთუ ისე ბევრი რამ უნდა, არცთუ ისე ბევრს ითხოვს — მხოლოდ ანახა და მეტი არაფერი, არც საჩუქრები უნდა, არც ფული, ისიც საკმარისია, რასაც ალისა მოულობს, თვითონაც პენსიას ღებულობს, ძროხაცა ჰყავთ, არც სასმელ-საჭმელი აკლიათ, არც ჩასაცემელ-დასახურავი, საყუდარიცა აქვთ. სხვა რაღა უნდათ? ცოდვა იქნებოდა საყვედური, წუნუნი და თაფლაკვერების გამოდევნება. მაგრამ, ალბათ, ყოველ ადამიანს აქვს რაღაც ისეთი, რასაც მთელი სულითა და გულით მიელტვის, და ყოველ ადამიანს ეს რაღაცა თავისი გააჩნია. მავანი, რომელსაც კისერზე ბავშვების ჯგრო ჰკიდია, მხოლოდ იმაზე ოცნებობს, თავისუფალი წუთი იპოვოს, როცა სულის მოთქმას შეძლებს, რადგან ძალა აღარა აქვს, აღარ შეუძლია ამ წივილ-კივილის მოსმენა, აღარც იმის ძალა შესწევს შარვლები და წინდები დააკეროს, მავანი კი, უნაყოფო, პირიქით, დილიდან საღამომდე იმას წუხს, მემკვიდრე რომ არა ჰყავს, რომლის გულისთვისაც თავს არ დაზოგავდა, წელზე ფეხს დაიდგამდა. მავანს რაღაც ნივთის შეძენის სურვილი არ ასვენებს და ძილი უტყდება, შამფურივით ტრიალებს ლოგინში, მავანს კი ოქროს ჯაჭვითაც ვერ დააბამ, ვერც ქონებით შეაკავებენ, ვერც ძალით, თუ ბორკილებს თავი ვერ დააღწია, ფეხს გადაიკვნეტს — ოღონდ გაიქცეს. ისიც საკითხავია — სად მივბრუნდებით, იქ უკეთესია, სადაც თავქუდმოგლეჯით გარბის? გული კი მიუწევს, უხმობს — იქით, იქით... იგივე არ მოსდით ცხოველებსა და ფრინველებსაც? ერთი შეიძლება ისე მოიშინაურო, რომ შენი ხელით დააპურო, მაშინ როდესაც მეორეს თვალი სულ ტყისკენ უჭირავს ან ზეცას უცქერის, გალიასა თუ ზღუდეს თავით ეხლება, სანამ თავს არ დააღწევს ან არ ჩამოხმება...

ასე ფიქრობს მარიანა და საითაც არ უნდა მიიქცეს მისი ფიქრი, ისევ და ისევ პეტერს უბრუნდება და მის გარშემო ტრიალებს, როგორც თოლიები შუქურის გარშემო. ამასობაში წვიმა თანდათანობით უმატებს და ქარიც ძლიერდება, ხანგამოშვებით ისმის, როგორ აკაკუნებენ და აბრახუნებენ წვიმის წვეთები მინაზე. და ამ ხმაურში მარიანა სხვა რამის გარჩევასაც იწყებს — ქალს თითქოს ესმის, რომ სადღაც ზარი რეკავს, მაღალ ნოტებზე წკარუნებს და მდინარის გაღმადან შხაპუნა წვიმის ნაცრისფერ საბურველში აღწევს.

„წუთუ დღეს ვინმეს ასაფლავებენ?“ — გაოცებულია ქალი, მაგრამ მერე გონს მოდის: არა, ასე გვიან არ შეიძლება ვინმეს ასაფლავებდნენ, მიწაში ფლავდნენ. ზარი კი წკარუნებს — ძინ, ძინ, თითქოს მიცვალებულს ასაფლავებენო...

უხეში, თითქოსდა ფოლადის ხელთათმანიანი ხელი მარიანას ისე უკუმშავს გულს, სუნთქვა აღარ შეუძლია. ჰგონია, სადაცაა გაინაბება და გაჩერდება, გაჩუმდება და...

— ალისა! — ტუჩების უხმო ცმაცუნით ჩერჩულებს მარიანა.

არა, არ გაინაბა, არ გაჩუმდა, არ გაჩერდა — გული მოლონიერდა და ისევ ძგერს, ალისას კი არაფერი ესმის — არც უხმო ძახილი და არც ზარის წკრიალი. მით უკეთესი. რას უშველის ალისა? დაე იძინოს, დაისვენოს გოგომ, ხვალ უქმე დღე არ არის, თავზესაყრელი სამუშაო აქვს. აბა, ერთი ყური მივუგდოთ — ხომ არ დაწყნარდა ის მნათე? კი, დაწყნარებულა,

აღარ რეკავს, აღარ აწკარუნებს, მხოლოდ წვიმის წვეთები შრიალებენ, აკაკუნებენ და ბრახუნობენ...

თუმცა არა, არ ძინავს ალისას, მხოლოდ სასთუმალთან დადგმულ რადიოს ისე დაუნია ხმა, რომ ძლივს ისმის. ალისა ჯერ კედევს არ გამხდარა იმ ასაკის, რომ ქათმებთან ერთად დაწვეს დასაძინებლად. თუმცა ხვალ მართლაც ხუთ საათზე უნდა ადგეს და სამუშაოც აუარება ექნება, როგორც ჩვეულებრივ, უფრო მეტიც, რადგან ღორებს სასაკლაოზე წაიყვანენ. ახლა კი თავქვეშ იდებს საკუთარი ხელით მოქარგულ ბალიშს, ფეხებზე ფლანელის საბანს იფარებს და ხელს ინვდის წიგნისკენ, რომლის ფურცლებშიც რისაც ნაყშებიანი ყაითანი ჩანდა, რომელიც არავინ უწყოდა, იქ იყო ჩადებული, სადაც საჭიროა, თუ არა. დღეს დილას, ფერმაში რომ მიეჩქარებოდა, სანიშნი რომანში ვარაუდით ჩადო, ჰაიჰარად, რადგან წუხელ ტახტის უკან გადავარდნოდა: იქნებ წუხელ კითხვისას ჩაეძინა, როგორც სხვა დროსაც მოსულია, როცა თვალები ებლიტება დაღლილობისგან, იქნებ ტაბურეტზე არ დაუდვია, ბალიშსა და კედელს შორის ღრიქოში ჩააგდო. განა სულ ერთი არ არის? მთავარია, რომ წიგნი ადგილზეა, არ დაკარგულა. გადაფურცლავს და ნახავს, გაიხსენებს, რაზე შეჩერდა გუშინ. მადლობა ღმერთს, კარგი ნაწარმოებია და ადვილად არ გავინწყდება. მასში სიყვარულის ამბავია მოთხრობილი. კაცს უყვარს ქალი, ქალს კი კაცი ისე მაგრად და ძალიან, ისე მგზნებარედ და ვნებიანად, როგორც მხოლოდ რომანებში გვხვდება, იმიტომაც ყიდულობენ ადამიანები რომანებს და იქეჭებიან შიგ, რომ იქ ბევრი რამ არის განსხვავებული და ლამაზი, ვინემ ცხოვრებაშია, ისე განა ეღირსებოდა მათი ხელში ალება. აბა, საღამოობითაც ღორების ამბავს რა ნააკითხებს, რომელთაც მთელ დღეს უცქეროდა და უსმენდა. ღმერთმა დაიფაროს!...

ასე ფიქრობს ალისა, წიგნს რომ შლის, მერე სანიშნს ამოიღებს და გვერდს თვალს გადაავლებს. აქ შეჩერდა თუ არა? აი, ეს ადგილი წაიკითხა თუ ჯერ არ წაუკითხავს?...

„— დავლიოთ „მერი“? — მკითხა ქალმა, ბოკალი გრძელი, წითლად შეღებილ ფრჩხილებიანი თითებით რომ ეჭირა.

— რომელი „მერი“? — დაინტერესდი მე.

— „სისხლისფერი“, ძვირფასო, — მომიგო ქალმა, გრძელი, ყვითელი თმა მოხდენილი მოძრაობით გაისწორა, თოჯინის ლამაზი სახე ჩემკენ მოატრიალა და განაგრძო: — დიდებული კოქტეილია — არაყი, პამიდვრის წვენი, წინაკა და მარილი, — მითხრა ქალმა და მგრძნობიარე ხასხასა ტუჩები შნოიანად მომუნა. მეგონა, ყოველ სიტყვას გემოს უსინჯავს-მეთქი. მხოლოდ მის ტუჩებს მივჩერებოდი, მაგრამ გარკვევით არ მესმოდა, რასაც ამბობდა. — ყურს სულ არ მიგდებ, ძვირფასო, — მითხრა მან.

ჩამეცინა.

— დიდებულია, გოგონი, — ვუთხარი მე. — მოდი, „OC“-ი დავამთავროთ, საღამოს კი შენთან „მერი“ დავლიოთ.

— დიდებული იქნება. შეგვიძლია მთელი ღამე ვსვათ.

ქალმა თავი მხარზე ჩამომაყრდნო.

— და გვიყვარდეს ერთმანეთი, — დავურთე მე.

თოვანებულმა იმ მომენტში გულწრფელად დაიჯერა, რომ ეს სწორედ ასე იქნებოდა, თუმცა მანამდე პეტერს არც ერთი თავისი დაპირება არ შეუსრულებია და, რასაკვირველია, არც ეს დაპირება შეუსრულდა. პეტერი ისევ გაემგზავრა და „ვერცხლისფერ ალვაში“ მას შემდეგ ფეხიც/არ შეუდგამთ, ეს იყო პირველი და უკანასკნელი სტუმრობა იმ კაფეში, როცა რაუდავაში საყიდლებზე ჩავიდნენ, თუმცა მაშინ არც მარტინისთვის, უყიდიათ ბოტები, არც შუასადები სეპარატორისათვის, არც ფანჯრების საგოზავი — სულ არაფერი, რისთვისაც ჩავიდნენ.

მაგრამ ალისა განა ამის გამო დადარდიანდებოდა ან საყვედური წამოსცდებოდა? რისი გულისთვის? ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მაინც დავინწყებას ეძლევა, რა ხშირადაც არ უნდა განმეორდეს და რა დიდხანსაც არ უნდა გაგრძელდეს... ხოლო ის ვახშამი „ვერცხლისფერ ალვაში“ იმდენად მშვენიერი იყო, რომ ისევ და ისევ შეიძლებოდა მისი გახსენება, ისევ და ისევ შეიძლებოდა დამტკბარიყო ოცნებაში, რადგან ხსოვნისათვის არ არსებობს წინააღმდეგობა და დაბრკოლება და მოგონებებისთვის უცხოა დრო და მანძილი.

ჰო, მართლა, იყო მაინც ერთი კვირადღე, როცა ალისას ძალიან მოუნდა ყოველივე ეს ხელახლა განეცადა, და არა ოცნებასა და წარმოდგენაში, არამედ სინამდვილეში, ცხადად. სწორედ მაშინ ქოსმენების მოვლისათვის პრემია მიიღო. ფული თითქოსდა ზეციდან ჩამოუგდეს. და უცებ აიტაცა — აიტაცა კი არა, წაღეკა და თავბრუ დაასხა „ვერცხლისფერი ალვის“ და ყოველივე იმის მონატრებამ, რაც იქ განიცადა.. ეს მონატრება მოულოდნელად დაატყდა თავს, როგორც ერთბაშად წამოსული თოვლი, და მთლად აურიხა ჭკუა-გონება — ისე მოუნდა კაფეში წასვლა, კინაღამ შეიშალა, თანაც ეჩვენებოდა, რომ ამ სურვილის ასრულებაზე ადვილი არაფერი იყო. და ოცნებაში უკვე გახვეულიყო დარბაზის ვერცხლისფერ შუქში, კარგი თამბაქოსა და ყავის სურნელში, ენაზე კი სურნელოვანი ტკბილღვეზელა ადნებოდა. ას გრამ კონიაკსაც მოატანინებს, რომ ყველაფერი ზუსტად ისე იყოს, როგორც მაშინ, როცა ორნი ისხდნენ ერთად...

და ოცნებით ფრთაშესხმული ალისა ისე აღელდა, თითქოს კაფეში თვითონ პეტერი ელოდა ან რაღაც მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას აპირებდა. და როცა ნოქარმა რიტმამ, ავტობუსში შემთხვევით მის გვერდით რომ დაჯდა, ჰკითხა, ასე გამოპრანჭული სად მიდიხარო, ალისამ ვერც სიმართლის თქმა შეძლო, ვერც ხვირიანი სიცრუის მოგონება, ვერაფერი მოიფიქრა და მხოლოდღა განითლდა, პირდაპირ წვინტილიან გოგოსავით შეეფაკლა ღანვები — ისე წამოეგზნო, რომ რიტმას სიცილი აუტყდა, ალბათ, პაემანზე მიდიხარო. და ქალი კიდევ უფრო განითლდა. სულელური რაღაც გამოვიდა, მაგრამ რა უნდა ექნა? ხომ არ გამოუტყდებოდა, „ვერცხლისფერ ალვაში“ ასი გრამი კონიაკის დასაღევად მივდივარო. ღმერთო დიდებულო, ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იქნებოდა და მეორე დღესვე მთელი მურგალეს საჭორაო გახდებოდა, ლოთსა და მოქეიფეს შეარქმევდნენ: ვის უნახავს, ქალს ასეთი რამ ჩაედინოს, თუ ცოტა არ უქრისო? წესიერი დედაკაცი ასეთ რამეს არასოდეს ჩაიდენსო. მაგრამ რა უნდა ექნა, თუ ალისას კიდევ ერთხელ უნდოდა იმ წუთების განცდა, ისე უნდოდა, ჭკუას ჰკარგავდა? თვითონ ამაში ცუდს არაფერს ხედავდა, მაგრამ აღიარება მაინც რცხვენოდა.

და როცა ალისა კაფეს მიუახლოვდა, მკერდში გული ისე ძალუმად უძგერდა, იძულებული გახდა, სული მოეთქვა, თითქოს ჩქარა ერბინოს, სინამდვილეში კი ნელა მოდიოდა, წინასწარ განიცდიდა სიამოვნებას და თანდათანობით შედიოდა როლში, ხოლო ორი ათმანეთიანი, ჩანთაში რომ შრიალეებდა, როცა ქალი შიგ რალაცას ჩადებდა ან ამოიღებდა, საკუთარი თავისადმი რწმენას მატებდა. მაგრამ როცა ისლა დარჩა, ნელი გაეწვინა და შიგნიდან ფარდაჩამოფარებული მინის კარი გაეღო, ძლიერი მღელვარებისგან სისუსტე იგრძნო, თითქოს კაფეში კი არა, ექიმის კაბინეტში შედიოდა კბილის ამოსალეზად. დიახ, ასეთი გრძნობა დაეუფლა. და მაინც მოიკრიბა გამბედაობა, სახელურს ხელი ჩასჭიდა და... მაგრამ კარი არ დაემორჩილა, თუმცა მის მიღმა სინათლე ციმციმებდა. მაშინ ალისამ დააკაკუნა, თხელი, ნაოჭებიანი ფარდის მიღმა ვილაცის სახემ გაიელვა და მიიმალა, და ეს ისე სწრაფად მოხდა, ქალმა ვერ მოასწრო დაენახა, ეს ის შვეიცარი იყო თუ არა, რომელმაც მაშინ ისა და პეტერი შეუშვა. მაშინაც ზუსტად ასევე გამოიჭყიტა: ეტყობა, აქ ასეთი წესი ყოფილა, რომ წესიერად გილას მანანნალებმა და ლოთებმა შესვლა ვერ შეძლონო.

ქალი ელოდა, აი, ახლა გაჩხაკუნდება საკეტი და კარი გაიღებაო, მაგრამ არ გაიღო და ალისამ კარზე ისევ დააბრაახუნა.

ამჯერად თავი მინის მიღმა ორიოდ წამით გამოჩნდა და ანიშნა, ვერ შემოგიშვებო, მაგრამ რაკი ალისა წასვლას არ აპირებდა, ბოლოს და ბოლოს შვეიცარმა კარი გამოაღო და ღრიჭოში უთხრა, ადგილები არა გვაქვსო.

მაშინ ქალმა გადაწყვიტა დაეცადა — ხომ შეიძლება ადგილი განთავისუფლდესო, მას ხომ ერთი ადგილი უნდოდა, თუნდაც სადმე კუთხეში ყოფილიყო. ქალი პარმალზე იდგა და უცქეროდა, ხეებიდან როგორ ცვიოდა ფოთლები — ისინი ჰაერში ტრიალებდნენ, დაბლა ეშვებოდნენ და ასფალტზე მისრიალებდნენ; ამ სურათში იყო რალაც სევდიანი სილამაზე და ალისას კვლავ უწინდელი გრძნობა დაეუფლა, თითქოს აქ პეტერთან მოსულიყო პაემანზე, ოლონდ დაძაბულ მღელვარებას უკვე აღარ განიცდიდა და როგორც სალამოს მზის ნაზ სხივებში, ისე გაეხვია ყოველივე მელანქოლიურ სიმშვიდეში.

კაფედან კომპანია გამოვიდა — ოთხნი იყვნენ, და ალისამ დააპირა კარში შემძვრალიყო, მაგრამ შვეიცარმა ისევ გადაუღობა გზა: ხომ გითხარი, ადგილები არ არის-მეთქი. მაშინ ქალი მიხვდა, რომ მისთვის ადგილი არ იქნებოდა, და თმის ძირებამდე განითლდა. თავდაპირველად სიბრაზისგან განითლდა, მოუნდა ამ კაცისთვის ხელი ლივრეაში ჩაევლო და ძნასავით დაეფერთხა, რომ ჯიბიდან ნაჩუქარი ფული ამოსცვენოდა, ხოლო უსუსური სხეულიდან შავბნელი სული ამოსვლოდა, ალისას საამისოდ ღონე ეყოფოდა და არც მჯილები ჰქონდა ზოგიერთ ბიჭზე ნაკლები. მაგრამ მერე კიდევ უფრო განითლდა, ამჯერად სირცხვილისგან, რადგან მიხვდა, რომ შვეიცარმა უწესო ქალად მიიჩნია, კაფესთან ძუენასავით რომ ტრიალებს და ჯოხითაც ვერ მოიშორებ.

და მთელი მისი ოცნება და სურვილი ერთბაშად ისე ჩაიფუშა, ისე დაიჩუტა, როგორც ღორის გახვრეტილი ბუშტი, და საკუთარი თავი ამ ახირებისა და ჭინიანობის გამო სულელ ბატად და გიჟად მიიჩნია: განა ბიფშტიქსსა და შემწვარ კარტოფილს, ფინჯან ყავასა და საფირმო ტკბილღვეზელას, თუნდაც სირჩა კონიაკსაც, რახის სუნი რომ დაჰკრავს, შეუძ-

ლიათ წარსული აღადგინონ, თუ იმ დღის შემდეგ, როცა გაზაფხულზე ისა და პეტერი აქ ისხდნენ, ნახევარი წელიწადი გავიდა? პეტერის გარეშე კი „ვერცხლისფერი ალვა“ მაინც შიშველი უდაბნო იქნებოდა, და ამისთვის, მას, იდიოტს, სიმწრით ნაშოვნის ფულის დახარჯვა უნდოდა!

ასე ფიქრობდა მაშინ ალისა და კაფედან ავტოვაგზისკენ ფეხაჩქარებით მიაბიჯებდა, მაგრამ გზაში იგრძნო, რომ შიმშილი კუჭს ეწვოდა, ვაგზლის ბუფეტში შევიდა, შედედებულ რძიანი ყავა და სამი ღვეზელი აიღო, შესახედავად და გემოთი აბედს რომ ჰგავდა. თუმცა ღვეზელს მაინც გულმოდგინედ შეექცა, ზედ აყოლებდა თბილ, უსიამოდ ტკბილ სასმელს. ფინჯანიც გამოწრუპა, ღვეზელის ფინჯანს არ დაუტოვებია და ისე ზორბად დანაყრდა, თანაც სულ რაღაც ორმოცდაცხრა კაპიკად, ისე გახურდა და გახალისდა, ავტობუსის გასვლამდე მოასწრო საფუნთუშეში გაქცეულიყო, მარიანასთვის ბლითები და კოლოფი ტკბილეული ეყიდა, და უკან ისე მოირბინა, წამითაც არ დაჰგვიანებია. ორმოცი წუთის შემდეგ კი ავტობუსიდან მურგალეში ჩამოვიდა. გული არაფერზე სწყდებოდა, არაფერი ანუხებდა, არაფერს ნანობდა, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ყველაფერი უკუღმა კი გაქოუვიდა...

„ორკესტრი ბლუზს უკრავდა“, — კითხულობს ალისა, რომელიც წიგნში თვალებით იმავე ადგილს აწყდება, და უნებურად სასთუმალთან დადგმული რადიომიმღებიდან გადმოღვრილ მუსიკას უსმენს. ხელს ნაზად უსვამს წიგნის გადაშლილ ფურცელს, თითქოს ცოცხალი არსება იყოს. „რა ლამაზად უყვარს ქალი!“ — ფიქრობს ალისა და თავისი ცხოვრებიდან თანდათან რომანზე გადაერთვება, რადიოთი კი შორიდან მოცურავენ ბლუზის რიტმები, შორეული სადგური სწორედ ბლუზს გადმოსცემს, ოღონდ ალისას ეს აზრადაც არ მოსდის. ეს რომ სცოდნოდა, ალბათ, ყველაფერი გაცილებით მშვენიერი მოეჩვენებოდა...

მეორე ოთახში მარიანაც უსმენს, ოღონდ მას არ ესმის თითქოსდა დაღლილი, ნაღვლიანი, მაგრამ შინაგანად ვნებიანი ბლუზი — მარიანა უსმენს ზარის უცნაურ ხმას, რომელიც ხან მოფრინდება შორიდან, ხან კი ისევ იკარგება, თუმცა ფიქრით ორივენი ერთსა და იმავეზე ფიქრობენ; თუ არა პეტერზე, სხვაზე ვისზე უნდა იფიქრონ შემოდგომის საღამოს, როცა გარეთ ცრის, ვისზე უნდა იფიქრონ, თუ არა ამ მსოფლიო მოხეტიალეზე, რომლისგან აგერ უკვე ხუთი თვეა ბაიბურიც არ ისმის, სამი ბარათი უკან დაუბრუნდათ და ვინ იცის, შეიძლება მეოთხეც დაუბრუნდეთ.

მაგრამ ამგვარი რამ პირველად ხომ არ ხდება? ოჰ, არა, არა, პირველად როდი ხდება. განა ასე არ მოხდა მაშინაც, როცა ზღვაში გავიდა? დიახ, ასე მოხდა. მაშინაც, როცა თითქმის ქვეყნის ბოლოს ამოჰყო თავი — სახალინზე? დიახ. კოლიმაში რომ შეერთო ცოლი... ღმერთო! მარიანამ და ალისამ მაშინ მოასწრეს მისი დამარხვაცა და დატირებაც: მორჩა, კაცი ისე დაიღუპა, არც კი ვიცით, სული სად განუტევაო! და უცებ ერთ მშვენიერ დღეს ღია ბარათი არ მიიღეს, ისიც სურათიანი. ჯობდა, თავისი ფოტოსურათი გამოეგზავნა, მაგრამ ამას ის ოტროველა რას მიხვდებოდა!

ბარათის წინა მხარეს რაღაც ტბა ჩანდა, ლაქაშმოდებული, ხოლო შორს დათოვლილი მთები თუ ქათქათა ღრუბლები, მეორე მხარეს კი პეტერის ხელით იყო დანერგილი:

„დედიკო!

ახალი წლიდან კოლიმაში ვიმყოფები. ის, რასაც შენ ხედავ, ~~ეს~~ ლონდონის ტბაა. გაგიკვირდება, რატომ არის ჯექ ლონდონისა, ის ხომ აქ არასოდეს ყოფილაო. სინამდვილეში კი ასე მოხდა: ტბაზე გეოლოგები მიცურავდნენ ნავით. ერთ მათგანს ჯექ ლონდონის წიგნი წყაღში გადუშუვარდა. და ტბასაც ამის მიხედვით შეარქვეს სახელი. საოცარია, არა? ჩემი საქმეები all right. საქმე ისე აენყო, რომ კიდევ ერთხელ შევირთე ცოლი. მას ტატიანას ეძახიან. ონეგინსაც ხომ ტატიანა ჰყავდა!!! მომიკითხე ალისა. თავისუფალი დრო რომ მექნება, იმასაც მოვწერ.

შენი პეტერი“.

ღია ბარათის თეთრი მხარე მთლიანად იყო შევსებული, ასე რომ ალისას შესახებ სულ კიდეში მიუწერა, თანაც გარდიგარდმო.

მაშინ მარიანა ყოყმანობდა, ვაჩვენო ალისას ღია ბარათი თუ არაო. მაგრამ მოკითხვა რომ გადასცა, უნდოდა თუ არა, იძულებული გახდა ეჩვენებინა. რას ფიქრობდა ალისა? წაიკითხა, სურათს თვალი შეავლო, მხრები აიწურა — თითქოს სიცივე იგრძნო, იქნებ იმის გამო, რომ ტბა გაველურებული, ცივი და ლაქაშმოდებული ჩანდა, გარშემო პირქუში ხეები იდგნენ, შორს კი თეთრად ქათქათებდა თოვლი და დიდრონი ღრუბლები ჩანდა, მხრები აიწურა, თითქოს მოიბუზა, თქმით კი ეს თქვა: „ხომ ლამაზია, დედა?“ ჭეშმარიტად ასე გახლდათ — სევდისმომგვრელი იყო და ცივი, უცხო და არნახული, მაგრამ საოცრად ლამაზი იყო...

კიდევ მოიწერა იქიდან პეტერმა? რაღაც არ ახსოვს. მგონი, არ მოუწერია. ამის შემდეგ ის სურათი მიიღეს, მარიანას თავზარი რომ დასცა, — ღმერთო, შენ დაგვიფარე! — გული ჩასწყდა, იმ სურათს რომ უცქეროდა. დაბერებული ჩანდა პეტერი, გაღუული, ჯანგატეხილი. კაცი ველარ იცნობდა! იქნებ ავად იყო. შეიძლება ისევ რაიმე უბედურება დაატყდა თავს?.. მართალია, კინკრიხოზე თმამ ადრე დაუნყო ცვენა, მაგრამ აქ, ფოტოსურათზე, წინილის ღინღლის მსგავსი რაღაც მარაოსავით ადგა თავის გარშემო. ნეტა ვირის აბანოში ხომ არ იჯდა? იქნებ ტიფით იყო ავად? თუმცა პირი ყურებამდე გახეოდა — იღიმებოდა, ოღონდ ეს ღიმილი როგორღაც უცნობი იყო, ერთი წინა კბილი აკლდა, იქნებ ლუდის ბოთლს სარქველი მოხადა და მაშინ მოიტეხა, იქნებ ჩხუბის დროს ჩაუმტვრიეს...

მერე მარიანა თავისი ამ შიშის გამო იმდენს იცინოდა, რომ თვალებიდან ცრემლები სდიოდა, რადგან სურათის უკანა მხარეს ასეთი მინაწერი იყო:

„ძვირფასო დედიკო!

მინდოდა, ჩემი ფოტო გამომეგზავნა, როგორც შენა მთხოვდი, მაგრამ, ღმერთმანი, არა მცალია, რომ წავიდე და გადავიღო. ამ სურათზე კი ჩემი ამხანაგია, სახელად იუჰანი, დიდებული ბიჭია. ჩვენ ერთად ვმუშაობთ, მე მის ოჯახში ვცხოვრობ, რადგან ცოლი გაეყარა და მარტოკა ცხოვრება არ სურს. მე ახლა თქვენგან სულ ახლოს ვარ — „ოკეანეზე“ ვმუშაობ. თევზის ქონს ვამზადებთ. ისეთი გეგმა გვაქვს, გადაირევი — ოცდაათი ტონა უცხიმო ქაშაყი, მაგრამ სირცხვილს არა ვჭამთ!

- S.P. 1. ახლა უკვე ვგრძნობ, რომ მალე შინისკენ გამოვწვევ!!!
 2. უცხიმო ქაშაყი რაიმე მჭლე მძორი არ გეგონოს, ჯიშის სახელწოდებაა.
 3. წინა კბილი იუჰანს მე ჩავუმტვრიე, მაგრამ ჯავრი კი არ მიყრია, არამედ...”

ქართული
 ბიზნესი

მერე ვერაფერს ამოიკითხავდით. ბარათის გამომგზავნის მისამართიც ძნელი გასარკვევი იყო, მაგრამ ალისამ მაინც გამოჩხრიკა და გაიგეს, რომ ბარათი ესტონეთიდან იყო გამოგზავნილი, რომელიც აქედან მართლაც ხელის განვდენაზეა.

ქალები მის ჩამოსვლას ელოდნენ და ემზადებოდნენ. ალისამ საღებავები და წებო, ფუნჯები და ცარცი იყიდა და მთელი სახლი სურათივით გაალამაზა, ჭეშმარიტი მღებავივით შეათეთრა და შეღება, გაგლისა და შეფითხნა, ყველაფერი ისე შეაკეთა, თვალს ვერ მოსწყვეტდით.

პეტერისგან კიდევ ერთი ბარათი მოვიდა — შინ წამოსვლას ვაპირებ, სამგზავროდ ვემზადები, უფროსებს განცხადებაც დავუწერე და, როგორც იტყვიან, ჩემოდნებზე ვზივარო. ბოლოს წერილი ასოებით მიეწერა — წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ჩემი ამხანაგი რომ ჩამოვიყვანო მურგალეში, სწორედ ის იუჰანი, ლატვიაში არასოდეს რომ არ ყოფილაო, რის საწინააღმდეგოც — ღმერთმა დაიფაროს! — არც მარიანასა და არც ალისას არაფერი ჰქონდათ: ჩამოვიდეს, ძვირფასი სტუმარივით შევხვდებით და მივიღებთ, ოღონდ ნუ დაგვძრახავს, რომ კუპენში განსაკუთრებით არაფერი გვაქვს, ისეთს ვერაფერს ნახავს, გაოცებისგან პირი დაალოს, რადგან აქ, მურგალეში, როგორც თვითონ პეტერმაც კარგად უწყის, ღირსშესანიშნავი არაფერია... ქალებმა მოითათბირეს და პეტერს სწორედ ასე მისწერეს, სთხოვეს, ყოველივე ეს უთხარი იუჰანს და გულითადი მოკითხვაც გადაეცო, მაგრამ ის ბარათი უკან დაბრუნდა. იფიქრეს, ხეირიანად ვერ ამოგვიკითხავს პეტერის დაჯღაბნილი მისამართით, ალბათ, ბარათმა პეტერამდე ვერ მიაღწიაო, და ალისა მოპედით ჰუგო დუმინთან გავარდა, რომელსაც ესტონურად ლაპარაკი შეეძლო და ცოტა წერა-კითხვაც იცოდა. დუმინმა დაადასტურა — სწორედ ასეა, მისამართი შეგშლიათო, სათვალე გაიკეთა და მკაფიო, თითქმის ბეჭდური ასოებით გამოიყვანა კონვერტზე სწორი მისამართი. და ის ბარათი მართლაც არ დაბრუნებულა, მაგრამ არც პასუხი მიუღიათ. გავიდა კიდევ ერთი თვე. ალისამ ახალი კაბა შეიკერა და თმა დაიხვია, პეტერის კი ბაიბურიც არ ისმოდა და ალისა დაიღია, როგორც დამცხრალი მთვარე.

მაშინ მარიანამ უთხრა: ადექი და სამუშაოზე მისწერეო, ალისა იწურებოდა და იშმუშნებოდა, ყოყმანობდა და უარობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გაბედა — ადგა და თევზსაჭერ გაერთიანება „ოკეანეს“ მისწერა, ოღონდ არ იცოდა, ვის სახელზე გაეგზავნა, ჯერ უნდოდა, დირექტორისთვის გაეგზავნა, მაგრამ მერე დაასკვნა, ალბათ, უხერხულია დირექტორის შეწუხება, განა იმისთანა დიდ კაცს მუშათა მთელი არმია ეხსომებაო? და გადანყვიტა, უფრო სწორი იქნება, კადრების განყოფილებას გაუგზავნო, სადაც ადამიანებზე ყველაფერი უნდა იცოდნენო. სამიოდე კვირის შემდეგ მიიღეს პასუხი: პეტერ მარტინის ძე კუპენი თევზის ქონის მწარმოებელ საამქროსა და საერთოდ გაერთიანებაში მიმდინარე წლის 17 მაისიდან აღარ მუშაობს და ანთავისუფლებულია საკუთარი სურვილით.

დაახლოებით აგვისტოს ბოლოს კი კუპენში რუსულად დაწერილი ბარათი მოვიდა. მარიანამ და ალისამ არ იცოდნენ, რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ — გაეხსნათ კონვერტი თუ არა. ბოლოს და ბოლოს გამბედაობა მოიკრიბეს და გახსნეს. იუჰანი იწერებოდა, პეტერის ამხანაგი, რომელთან ერთადაც ერთ საამქროში ამზადებდა თევზის ქონს და რომელთან ერთადაც ერთ ოთახში ცხოვრობდა, როცა იუჰანი ცდილობდა შეეტყუა, სწორედ ის იუჰანი, რომელსაც უნდოდა საკუთარი თვალით ენახა მურგალე, თუმცა იქ ერთი ღირსშესანიშნავი ადგილიც არ არის, არც ლამაზი ძეგლებია, არც ფრიალო კლდეები, სწორედ ის იუჰანი, სურათზე რომ იღიმებოდა და პეტერის მიერ ჩამტვრეული კბილის ნაცვლად ხვრელს რომ აჩენდა, თუმცა მათ — ვერც მარიანასა და ვერც ალისას — ვერ გაეგოთ, როგორ მოხდა ეს.

ეს ბარათიც ადასტურებდა, რომ მაისიდან პეტერი ოკეანეში აღარ მუშაობდა და არც იუჰანისას ცხოვრობდა, უფრო მეტიც, ბარათი იუწყებოდა, რომ იუჰანს უნახავს პეტერი, რომელსაც ტალინ-რიგის საღამოს მატარებლის ბილეთი ჰქონდა ხელში, რომელიც დილის რვა საათზე ჩამოდის რიგაში. შეიძლება მატარებელი თავის დროს ჩამოვიდა, მაგრამ პეტერი არ ჩამოუყვანია, იქნებ ჩამოიყვანა კიდეც, მაგრამ ეს საიდან უნდა იცოდნენ ამათ, ორმა მარტოხელა ქალმა, სადღაც მურგალეში, და საერთოდ, რა იციან თვითონ პეტერზე, მათ მხოლოდ უყვართ იგი...

ასე განვლო ხუთმა თვემ, პეტერმა კი მაინც ვერ ჩააღწია კუპენამდე, თუმცა, რიგიდან მურგალემდე სულ სამოცდაშვიდი კილომეტრია — არც ისე დიდი მანძილია, თუ ხუთ თვეზე გავყოფთ, ამ ხნის განმავლობაში პეტერი ცოცვა-ცოცვითაც კი უნდა ჩამოსულიყო. იქნებ რიგისკენ, იმ მხარეს, სადაც საღამოობით მზე წითლად ბრიალებს და, რომ ჩავა, მერეც დიდხანს ალისფრად აფერადებს ზეცას, ტყუილად მიუპყრიათ თვალი? იქნებ იგივე განმეორდეს, რაც რამდენიმე წლის წინ მოხდა, როცა პეტერს უგალედან ელოდნენ, სადაც ხე-ტყის დამზადებაზე მუშაობდა, წერილი კი, ღმერთმა უწყის, საიდან მიიღეს, მას ათასობით კილომეტრი გამოეწყო, ციმბირის თვალუწვდენელი სივრცეები გადმოელახა და ბოლოს მოსკოვიდან მოფრენილიყო. როგორც წესი, ეს ღია ბარათი იყო — ერთ მხარეს ოკეანე მოაგორებდა ტალღებს, ნაპირზე კი შუქურა აღმართულიყო, მეორე მხარე მსხვილი ასოებით დაწერილი სიტყვებითა და მრუდე, ერთმანეთზე გადახლართული სტრიქონებით იყო აჭრელებული, ნაწერის ნაკითხვას ის უფრო აძნელებდა, რომ პეტერს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ წითელი მელნით გაეხაზა. თუმცა ალისამ ასო-ასო ყველაფერი ამოიკითხა უკანასკნელ სიტყვამდე, ბოლო წერტილამდე.

„საყვარელო დედიკო!

გწერ ხომსკიდან. არც ომსკში აგერიოს და არც ტომსკში, რადგან იგი სახალინზე მდებარეობს და ლატვიიდან აქამდე — არ შეშინდე, დედა! — ათი ათასი კილომეტრია. თქვენ დასაძინებლად რომ წვებით, ჩვენ ტანსაცმელს ვიცვამთ. ვმუშაობთ გადასასვლელზე. ხიდს ვაშენებთ, ოღონდ მცურავს. მისი ერთი ბოლო კონტინენტთან იქნება, მეორე — აქ, სახალინზე... ღია ბარათზე ჩვენი შუქურაა. აქ ერთი ბიჭია, ტატუირება იცის, მეც დავიხატე მკერდზე ერთი სურათი. გარშემო ყვა-

ვილწული ავლია, შიგ კი სახელია გამოყვანილი. იცი, რომელი სახელი?
მ ა რ ი ა ნ ა !!!

შენი პეტერი.

S.P. მომიკითხე ალისა და დამიკოცნე. ჰო, კინალამ დაშავინყდა —
მეორე ვაჟიც შემეძინა! პაპის პატივსაცემად მარტინი დავარქ-
ვით (თუმცა ჩემს ცოლს თავდაპირველად ამ სახელის დარქმევა არ უნდო-
და!!!). ნახვამდის! მალე მოგწერთ“.

რა შიში აჭამა და რა საზრუნავი გაუჩინა მარიანას იმ წერილმა, ბაშ-
კირეთიდან რომ მიიღო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, თუმცა წერილი
ხალისიანი და მხნე იყო და, ჩვეულებრივ, ღია ბარათზე კი არ დაენერა,
არამედ რვეულიდან ამოხეულ უჯრედიან ფურცელზე.

„საყვარელო დედიკო!

ახლა მდინარე კადიშის მარჯვენა ნაპირზე ვმუშაობ. ახალ სარკინი-
გზო შტოს ვაშენებთ. საშინელი რელიეფია! ტრასა ორ მაღალმთიან უღელ-
ტეხილს შორის გადის. ათზე მეტი ხიდი უნდა გავდოთ და გრძელი გვირა-
ბი გავიყვანოთ!!! მე ამფეთქებლებთან ვმუშაობ. იცი, კლდის ნამსხვრევები
პირდაპირ ჰაერში დაფრინავენ, ღმერთმანი! თავდაპირველად, აფეთქებას
რომ იწყებდნენ, ნაქცეულ ხეებს ვეფარებოდი. ფრრრ — და ქანი სვეტივით
აიჭრებოდა ზეცაში! სწორედ რომ მეორედ მოსვლა იყო!!! აფახულე თვა-
ლები და გაუძელი! და გიხაროდეს, რომ თავი ჯერ კიდევ გაბია მხრებზე
და შარვალში არ ჩაგისველებია. მაგრამ თანდათანობით ვეჩვევი. აქ ხში-
რია ჭექა-ქუხილი — დღეში სამჯერ მაინც დაელავს და დაიქუხებს. გარ-
შემო კი ასაფეთქებელი ნივთიერება, დეტონატორები და სხვა უამრავი
ხარახურა ყრია, რაც ადვილად შეიძლება აფეთქდეს. მაგრამ ახლა ყოვე-
ლივე ეს ფეხებზე მკიდია, რადგან, როგორც ამბობენ, ადამიანი ყველაფერს
ეჩვევა!!! კარგი ოსტატი გვყავს, გვარად გრიცენკო, ერთხელ რიგაში ყო-
ფილა, სანატორიუმ „მაიორიში“, კაცური კაცია. მითხრა, კაცი არ ვიყო,
თუ პირველი ხარისხის ამფეთქებლად არ გაქციოო. ფხიანი ბიჭი ხარო,
მაგარი ნერვები გაქვს, საცვლების რეზინი კი არა, როგორც ზოგიერთებსო.
თვითონ დიდი სპეციალისტია. იანვარში, როცა მინა ჯერ კიდევ გაყინუ-
ლი იყო, ამონიტით ერთბაშად ჩვიდმეტი შურფი დატენა. მერე თოვლში
კურდღელივით დახტოდა და ზონარს ერთიმეორეზე უკიდებდა ცეცხლს.
უუუფ! და წავიდაა-ა! მინა, თოვლი და ქვები სვეტივით აიჭრა ცაში! თუ
აქ ზამთრამდე დავრჩი, მეც ვცდი ასეთ რამეს. უკვე გამოცდილება მექნე-
ბა, რადგან გრიცენკო სტაჟიორს მეძახის.

მინდოდა, ყოველივე ეს ალისასთვისაც ამეწერა, მაგრამ ხელს ვეღარ
ვიმორჩილებ და კალამშიაც პასტა გამოიღია. ჩემი ბარათი აჩვენე და გუ-
ლითადი მოკითხვაც გადაეცი.

შენი პეტერი.

P.S. ამ ბარათთან ერთად 50 მანეთს გიგზავნი. რამე კარგი და გემრი-
ელი იყიდე. ჰო, მართლა, ოქსაწნას ვეყრები!”

ამ ბარათის შემდეგ მარიანა ადგილს ვერ პოულობდა, დაძინებაზე კი
საერთოდ ფიქრიც ზედმეტი იყო. ღმერთო ჩემო, სად წასულა პეტერი, თი-
თქმის გეგნაში მოხვედრილა, ჯოჯოხეთში, გეგონება, ბრძოლის ველზეა,

სადაც გარშემო ცეცხლია და მიწა ყალყზე დგება. მარიანა გრძნობდა, რომ უბედურება მოხდებოდა. და როცა მახლობლად ფოსტალიონი ქალი შენიშნა, რომელიც ველოსიპედით დებეშებს არიგებდა, მკერდში რაღაც ჩასწყდა და თვალთ დაუბნელდა. თუმცა მაშინ ცუდი არაფერი მომხდარა. ერთი თვის შემდეგ კი ახალი წერილი მოვიდა — არა, წერილი კი არა, მისალოცი ბარათი, ალისას დაბადების დღე მოულოცა, რაც, ასევე დედასაც ესე, მოწმობდა, რომ პეტერი ცოცხალი და სალ-სალამათი იყო, მაგრამ იუნყებოდა, ამფეთქებლებთან აღარ ვმუშაობ, თუმცა იმავე გზის მშენებლობაზე დავრჩი, მაგრამ ამფეთქებლებთან აღარა ვარო. მხოლოდ მაშინ მოეხსნა მარიანას მხრებიდან ტვირთი და დამშვიდდა. თუმცა მეორედ დედის ალლომ აღარ უმტყუნა. მარიანას უეცრად გულმა უგრძნო, პეტერს რაღაცა უჭირსო, და სიმშვიდე დაკარგა, დაბნეული დადიოდა, თავს ვერაფერს უხერხებდა, ღამლამობით კი პეტერს ნახულობდა სიზმარში. შვილი საშველად უხმობდა და ქალი გარბოდა მისკენ, მაგრამ ფეხები ებლანდებოდა, პეტერი კი სულ უფრო შორდებოდა, უფრო ხმადაბლა ეძახდა, ქალი გონმიხდილივით გარბოდა, მისი გულისცემა გამოძახილს პოულობდა მკერდში, საფეთქლებში, ხელებსა და მუხლებში. ამ დროს მარიანას ელვიძებოდა და პეტერი აღარ უხმობდა, ქალს კი აკანკალებდა და ვერ დამშვიდებულიყო, რადგან იცოდა, რომ პეტერს რაღაც შემთხვეოდა, არ იცოდა, რა, მაგრამ იცოდა, რომ უბედურებას გადაჰყოფდა, და არც შემცდარა.

„ჩემო უსაყვარლესო დედა!“

ამ ბარათს საავადმყოფოდან გიგზავნი. ყურზე მომაკერეს და აქ აღმოვჩნდი. ექიმებს უნდათ ცოტა ამომკემსონ. არ გენყინოს, რომ აცაბაცა ნაწერი გამომდის, რომ ბატიფეხურად ვწერ. არ იფიქრო, ხასიათი გაფუჭებულიაო!!! მარცხენა ხელით ვჯღაბნი, რადგან მარჯვენა თაბაშირში მაქვს. სხვა მხრივ ყველაფერი all right!! მხურვალედ გკოცნით ორთავეს — შენცა და ალისასაც.

პეტერი.

P.S. როგორც კი ექიმები გამომიშვებენ, მაშინვე თქვენკენ გამოვქანდები, კუპენში. გულმა ისევ მშობლიური ადგილებისკენ გამომინია, ეშმაკმა წაიღოს!!!“

ღმერთო ჩემო, რამდენი იწუხეს ამ ბარათის გამო! ყველაზე თავზარდამცემი ის იყო, რომ კონვერტზე არ ეწერა პეტერის მისამართი, თორემ რომელიმე მათგანი მაშინვე მას მიაშურებდა, თუნდაც ქვეყნის დასალიერში ყოფილიყო წასასვლელი. ალისამ საფოსტო შტემპელი წაღმა-უკუღმა ატრიალა ხელში, მაგრამ მაინც ვერ გაარკვია, საიდან იყო ბარათი გამოგზავნილი, არხანგელსკიდან, ასტრახანიდან თუ რომელიღაც სხვა ადგილიდან. დიდხანს იჭყლიტეს ტვინი და იმკითხავეს იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაეგოთ ბარათში პირდაპირი მნიშვნელობით და რა არა. ნიშნავდა თუ არა „ამოკემსვა“, რომ პეტერს რაღაც გაუჭრეს და გაუკერეს? ან „ყურზე მომაკერეს“ რას ნიშნავდა — იმას, რომ უბედურება შემთხვევა თუ მართლა რაღაც დაემართა ყურზე?

მაგრამ როცა ბოლოს და ბოლოს პეტერი მურგალეში გამოჩნდა — თუმცა ოდნავ დაჭმუჭნილი და შელანძლული, რადგან შორეული მგზავრობიდან დაბრუნდა, როცა ვერაფერს იუთოებ და ხეირიანად ხელ-პირსაც ვერ

იბან, — და ხეივნიდან ხუტორისკენ მხნე ნაბიჯით გადმოუხვია, თან, როგორც ყოველთვის, გაღიმებული თეთრ კბილებს აელვებდა, იფიქრებდით, ცუდი არაფერი შემთხვევიაო. მხოლოდ შემდეგ, როცა პეტერმა ქუდი მოიხადა და დაჯდა, მარიანამ პირველ რიგში შენიშნა, რომ თმა ძალზე მოკლედ შეეკრიჭა, კინკრიხოზე შესამჩნევად შეთხელებოდა და გემწვლეული ადგილი უპრიალებდა. მერე კი შეძრწუნებულმა დაინახა, რომ ცალი ყური მეორისგან განსხვავდებოდა. მარცხენა ყური ისეთი არ იყო, როგორც მარჯვენა, თითქოს უფრო პატარაც იყო და უფრო მოღრეცილიც. და მარიანამ უნებურად დაიკვნესა კიდეც, თითქოს თვითონ ეგრძნოს გამგმირავი ტკივილი. შეძრწუნებულმა აღისამ ხელები თავზე წაივლო, პეტერმა კი ჩაიციხა და ხელი ჩაიქნია. ქალებს უთხრა, ჭრილობა მამაკაცს ამშვენებსო, მათ შეკითხვებზე კი ასე უპასუხა: ერთ საღამოს ჩაბნელებულ ქუჩაში თავს ხულიგნები დამესხნენ, ისინი ოთხნი იყვნენ, მე — ერთი. ორი მაშინვე მიწაზე გავაგორე, მესამეს სიფათში გავულანუნე, მაგრამ მეოთხემ ლუდის ბოთლი მხეთქა ყურზე და გონს მხოლოდ პალატაში მოვედი, საიდანაც ბარათი გამოგიგზავნეთო.

თუმცა სრული სიმართლე მაინც არ უთქვამს; სხვა დროს პეტერმა მარიანას ყველაფერი გულახდილად უამბო: საავადმყოფოში იმიტომ მოვხვდი, რომ „იმ ქალის ქმარმა“ ლოჯიიდან გადმომამგდოო. თუმცა საქმე არც მას შემდეგ ყოფილა მთლად კარგად, როგორც თვითონ ამბობდა. გონს კი მოსულა, მაგრამ მხოლოდ სამიოდე დღის შემდეგ, თანაც არა ჩვეულებრივ პალატაში, არამედ სარეანიმაციო ცენტრში, სადაც ექიმებმა ნაირნაირი ინსტრუმენტებითა და ხელსაწყოებით, აპარატებითა და მანქანებით სანახევროდ მკვდარი გამოაცოცხლეს. მერე სასამართლოებში მოუხდა წონიალი. „იმ ქალის ქმარმა“ ციხეში ამოჰყო თავი, „იმ ქალს“ კი პეტერისგან შვილი ეყოლება. მთელი ამ არეულ-დარეული ამბით უკიდურესად შეძრწუნებულმა მარიანამ რომ უთხრა, მაშასადამე, „ის ქალი“ ცოლად უნდა შეირთო, სხვანაირად როგორ იქნება, რა უნდა უყოს ჩვილ ბავშვს, თუ ქმარი ციხეში ჰყავსო, პეტერმა კეფა მოიქექა და უპასუხა, ვეჭვობ, რომ ეს არ გამოვა, რადგან პირველ ტატიანას არ გავყრივარ, განქორწინება არ უნდაო. რაო, „იმ ქალსაც“ ტატიანა ჰქვიაო? დიახ, ამოიოხრა პეტერმა, იმასაც სწორედ ტატიანა ჰქვია და განა ეს ბედის ირონია არ არისო?

ასე თქვა პეტერმა, მარიანას კამკამა თვალებით რომ მისჩერებოდა, და ბოლოს მარიანა ისე გაცხარდა, რომ გაბრაზებულმა მიახალა: პეტერ, შე მექალთანევ და ავაზაკო, შე ხვადო, შენა, ახია შენზე, ცხვირ-პირი რომ ამოუნაყავთ და გვერდები ჩაულენავთ, ის ტკივილი, რაც სხვებს მიაყენე, არ იქნება, საბოლოოდ უკან არ დაგიბრუნდეს და გული არ დაგიფლიტოს, რადგან ცხოვრება სამართლიანია, ჯერ სხვისი ცოდვა არავის შერჩენია და შენ როგორღა შეგრჩებაო. ასე უთხრა მარიანამ, რომელსაც უნდოდა მხოლოდ გაჯავრებოდა პეტერს, თუმცა თავზარდაცემული მიხვდა, რომ უნებურად თითქმის დაწყევლა იგი. პეტერმა ქერათმიანი თავი მორჩილად დახარა მარიანას წინაშე და სთხოვდა, რაც ძალი და ღონე შეგწევს, მცემეო, მაგრამ მარიანა მხოლოდ იმას ხედავდა, რომ პეტერს კეფა უმელოტდებოდა, აგრეთვე ხედავდა მის საცოდავ, დასახიჩრებულ ყურს და ხელი ველარ აღმართა პეტერისთვის თუნდაც უმცირესი ტკივილის მისაყენებლად, მხოლოდ ეგ იყო, რომ თვალთაგან ღვარივით წასკდა ცრემლე-

ბი. მერე დააცქერდა და შენიშნა, რომ თვალები პეტერსაც ცრემლებით ავსებოდა...

იქნებ შემთხვევითი ამბავია, რომ სწორედ ამ წუთს მარიანა, მოხუცი მარიანა ვოიცებოვსკიზე ფიქრობს, იქნებ შემთხვევითი სულაც არ არის, არამედ სავსებით კანონზომიერია, რადგან როცა პეტერს იხსენებენ გინდა არ გინდა, შეუძლებელია ვოიცებოვსკიც არ გაგახსენდეს, თუმცა მარიანას სულაც არ უნდოდა მისი გახსენება და მასზე ფიქრი, პირიქით, ქალს სურდა დაევიწყებინა, ყველაფერი ამოეგდო თავიდან, რაც ვოიცებოვსკისთან იყო დაკავშირებული, თუმცა წარსულის წაშლა მეხსიერებიდან არ ძალუძდა. მაგრამ თუკი მარიანას ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ჰქონდა წუთები, როცა უნატრია, ვინმე ამქვეყნად არ ყოფილიყო, ეს გახლდათ ვოიცებოვსკი, ფელიქს ვოიცებოვსკი, მხოლოდ ის, თუმცა, ღმერთმა დაიფაროს, ქალს მისი სიკვდილი არასოდეს ნდომებია, არც რაიმე სიავეს უსურვებდა, უფრო მეტიც, მის მიმართ არც მტრობას გრძნობდა, არც სიძულვილს, რადგან ვოიცებოვსკისთვის არაფერი ჰქონდა სასაყვედურო — მას მხოლოდ იმაში მიუძღოდა ბრალი, რომ ამქვეყნად ცხოვრობდა, და ისიც აქ, მარიანას თვალწინ, როგორც მარადიული მოგონება...

რის მოგონება?

და მაინც ვოიცებოვსკის არსებობა ამქვეყნად მარიანას სიმშვიდეს ურღვევდა, საშუალებას არ აძლევდა, ამღვრეული მოგონებები დანმენდოდა. ვოიცებოვსკის სიახლოვე სულს ისე უღრღნიდა, როგორც ჭია ავეჯს. ქალი ეჭვმა ჩამოაჭკნო, იმის გამუდმებულმა შიშმა გაახმო, რომ ვოიცებოვსკი როდისმე მაინც წაართმევდა პეტერს. და ყოფილა შემთხვევა, ისე დატანჯულა ხოლმე ამ ფიქრებითა და შიშით, დღისით ჭამა არ შეეძლო, ღამით — ძილი, ზუსტად ისე, როგორც ახლა, თუმცა მაშინ არ ცრიდა, გარედან შემოსული რეკვა თუ წკრიალი არ უფრთხობდა ძილს და არც გული უცემდა შეფერხებით, როცა თითქოსდა ბორძიკობს და ჩერდებაო, გვერდით კი, სიბნელესა და სიჩუმეში, მშვიდად სუნთქავდა მარტინი. მაგრამ ისიც, რომ მარტინი იქვე ჰყავდა, გვერდით, იმის იმედსა და რწმენას ვერ უნერგავდა, პეტერთან განშორება არ მომიწევსო. უკვე დაკარგული ჰყავდა კრისტაპი და ედგარი, კიდევ ვინმეს დაკარგვა მის ძალას აღემატებოდა, რადგან ყოველი ადამიანის გამძლეობას თავისი ზღვარი აქვს, როგორც ჭურჭელს — ტევადობა, და მარიანამ იცოდა თავისი ზღვარი, ცხადზე უცხადესად ჰქონდა შეგნებული, რომ პეტერის გარეშე ვერ იცოცხლებდა, პეტერთან განშორება მისთვის სიკვდილს უდრიდა, იქნებ სიკვდილზე უარესიც იყო. და ქალი ჩუმად გადააფორთხდებოდა ხოლმე მარტინს და ღამის სიბნელეში ფეხშიშველა მიიპარებოდა მეორე ოთახში, რათა დარწმუნებულიყო, რომ პეტერი იქ იყო და არაფერი მოსვლოდა, რომ ავი წინათგრძნობა მხოლოდ გამონაგონი და ნაბოდვარი იყო. ქალი უცქეროდა და უსმენდა, როგორ ეძინა პეტერს, თუმცა სიბნელეში თითქმის არაფერი ჩანდა და არც რამე ისმოდა, რადგან ბავშვებს ძალიან მშვიდად სძინავთ და პეტერსაც ასე ეძინა — თითქოს არც სუნთქავდა. ქალი ბიჭის თმას ეხებოდა და გრძნობდა, რა რბილი და გადატალღული თმა ჰქონდა, თბილი და ცოცხალი, და ცხოველმყოფელი სითბო მარიანასაც გარს ეხვეოდა.

ღმერთო ჩემო, რა შიში ჭამა მაშინ, როცა მარიანამ ერთ ღამეს აღ-

მოაჩინა, რომ პეტერის საწოლი ცარიელი იყო, და მიხვდა, რომ ბიჭი თურმე სულაც არ დანოლილიყო, რომ გაქცეულიყო, დიახ, გაქცეულიყო, თანაც თავშიშველი, უპალტოდ — მისი ტანსაცმელი კართან ეკიდა კაუჭზე, ეკიდა, როგორც საყვედური მარიანასა და მარტინის უგულობისა და სიმკაცრის გამო, რადგან მარტინი იმუქრებოდა, ბიჭს გავჯორავე და ყურს ავახვევო, მარიანამ კი ვერ შეძლო ბიჭი ისე დაეცვა, როგორც სავსე იყო, რადგან არ უნდოდა ქმარს წაჩხუბებოდა. ფიქრობდა, ხვალ დილამდე ჩემი კაცები დამშვიდდებიანო — ერთ მათგანს რისხვა და სიბრაზე გაუვლის, მეორეს მწარე წყენა გადაავიწყდება და ხელახლა გამოიდარებს, როგორც ჭექა-ქუხილის შემდეგ ხდებოდა; თუმცა ღამით პეტერი ხუტორიდან გაიქცა, გაიქცა როგორც დილეგიდან, ისე, რომ სიტყვაც არ უთქვამს, და არც პალტო წაუღია თან, არც ქუდი, თითქოს ტანსაცმელი, ისევე როგორც ყველაფერი კუბენში, ჭირიანი და გადამდებსენიანი იყო.

თუმცა არა, გაახსენდა მარიანას, მთლად ასე არ ყოფილა. იქნებ პეტერი გაიქცაო, მარტინს მოუვიდა აზრად და არა მარიანას. ქალმა თავისი დედაკაცური ჭკუით უცებ ყველაზე უარესი რამ წარმოიდგინა...

პეტერი კი ვოიცეხოვსკისას იყო.

მარიანა და მარტინი ველარ ისვენებდნენ, შეიძლება ვოიცეხოვსკიმ პეტერი წაიყვანოს და აღარ მოგვცესო. დიდხანს ფიქრობდნენ, თუ რომელი მათგანი სწევოდა ვოიცეხოვსკის შინ მოსალაპარაკებლად, ან რა ეთქვათ, ან როგორ აეხსნათ ყოველივე. თუმცა, მართალი რომ ითქვას, ფიქრობდა მხოლოდ მარტინი, რადგან მარიანა მხოლოდ ცხარე ცრემლებით ტიროდა, თითქოს ვიღაცას წესს უგებენ და ასაფლავებენო. მარტინმა ერთხანს იხვნეშა და იოხვრა, მერე მძიმედ, აუჩქარებლად წამოდგა და ცოლს უთხრა — ჯანდაბას, მე წავალ გოლგოთაზეო... ასე უთხრა ან განსვენებულმა მისმა ქმარმა და ქალს ეს დღემდე ნათლად ახსოვდა, თუმცა მარტინი მორწმუნე არასოდეს ყოფილა. წავიდა კიდეც და მოიყვანა პეტერი. მარიანამ ვერ გაიგო, რა ილაპარაკეს კაცებმა ერთმანეთში. თუ რამეს ჰკითხავდა, მარტინი ისე იჭმუხნებოდა, თითქოს კბილი სტიკივო, მერე ხელს ჩაიქნევდა და ეტყოდა — ჯობს, ნუ მკითხავ, აღარ მინდა ყველაფერი ხელახლა გავიხსენო და განვიცადო, თუმცა ყოველივე უკან კი დარჩაო...

ამ შემთხვევის გარდა, პეტერი კუბენიდან კიდეც ორჯერ გაიქცა, მაგრამ ერთხელ იქვე დაიჭირეს, შუკის ბოლოს, მეორედ კი, მშიერი და გათოშილი, თვითონ დაბრუნდა, რადგან ვოიცეხოვსკი რიგაში წასულიყო რაღაც კურსებსა თუ სემინარებზე, ბინა დაეკეტა, ვეტერინარულ უბანში კი ფერშალი ქალი დაეტოვებინა უფროსად... პეტერს ქალისთვის საჭმელი უთხოვია, ქალს მკაცრად მიუღია, ერთი ლაზათიანად შეუხურებია, დაუტუქსავს და შინ გამოუგზავნია — ქუჩა-ქუჩა რას დაწანწალებო. ჰოდა, დაბრუნდა.

ეს ამბავი ვოიცეხოვსკიმ სწორედ იმ ფერშალი ქალისგან გაიგო, კუბენში ჩავიდა და მარტინსა და მარიანას ჰკითხა, რა აზრისა იქნებით ამ წინადადებაზე — ერთ თვეს, სანამ შვებულებაში ვარ, პეტერმა ჩემთან იცხოვროსო. მარიანა გულისკანკალით დათანხმდა. ენა არ მოუბრუნდა, რომ ვოიცეხოვსკისთვის უარი ეთქვა. დაცარიელებულ სახლში ორ დღეს აწყდებოდა აქეთ-იქით, ადგილს ვერ პოულობდა, მესამე დღის დილას კი დაინახა, შუკაში განიერი ნაბიჯებით როგორ მოდიოდა პეტერი. ნუთუ

სტუმრად მოვიდა? არა, სამუდამოდ დავბრუნდიო. მაშ რა, გამოვიქეციო... აქ მირჩევნიაო.

იქნებ პეტერი უნდა დაეტუქსა და უკან გაეგზავნა, მაგრამ ყოველ ადამიანს შესაძლებლობათა ზღვარი გააჩნია, რომლის გადალახვაც არ ძალუძს და ვერც მარიანამ შეძლო. პეტერს მოეხვია, მკერდზე მიეხუტა და ყური მიუგდო, როგორ უცემდა გული. და არ არსებობდა ამტყვესნად ქალა, რომელსაც მისთვის ბიჭის წართმევა შეეძლებოდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ წართმევა, იმ ხელებს თუ მოსჭრიდნენ, რომლებითაც მკერდზე მიეკრა...

თვითონ პეტერი? განა მისგან თუნდაც იოტისოდენა ბოროტება უნახავს? არა, არასოდეს. ეშმაკობა და ცელქობა, ათასნაირი ოინი ახსოვს, სიავე და ცუდი — არაფერი. განა ბიჭმა მოზვერი სკოლაში მიტომ წაიყვანა, რომ გაენვალებინა? სულაც არა. ან ტაფით განზრახ იმიტომ სრიალებდა გორიდან, რომ შარვალი დაეხია? სულაც არა. მაშინაც კი, როცა ბატკნები ერთმანეთს გადააბა და მათგან უფრო პატარა დაიხრჩო, მარტინი კი პეტერს დაემუქრა, ცემით გაგასიებო, და ბიჭი პირველად გაიქცა ვოიცეხოვსკისთან, — მაშინაც კი ამ ოინებში არც სისასტიკე ყოფილა, არც სისადაგლე და არც ბოროტება. მხოლოდ ის მინდოდა, ერთმანეთს შერჩოლებოდნენ, — თქვა მერე ბატკნებზე პეტერმა. — მათი დახოცვა აზრადაც არ მომსვლიაო...

... ამ გასაოცარ ბალში კი, სადაც ახლა ადამიანთა უფერულ ფიგურებს შორის დავებეტები, წინ და უკან დინჯად რომ ირწევიან, ამ მყუდროების სამეფოში, სადაც რუხ აჩრდილებთან დავბორიალებ, რომლებიც ისეთი შრიალით ირხევიან, როგორი შრიალითაც ფოთლები ცვივიან ხიდან, — აქ არც შემოდგომაა, არც ზამთარი, არც გაზაფხულია და არც ზაფხული, აქ არც მზე იბანს პირს და არც მძაფრი ყინვაა, არც გაზაფხულის გამოღვიძებაა და არც ივლისის ხვატი, არ არსებობს წელიწადის დრონი, დღე და ღამე, რადგან თვით დრომ დაკარგა ფასი, მნიშვნელობა და აზრიც კი. შიშველი ხეების ქვეშ გაფურჩქნილ ვარდებს შორის დავაბიჯებ და ჩემი ფეხები თოვლზე ნაკვალევს ტოვებენ. აქ ყველაფერი თოვლით არის დანამქრული, თითქოს ეს-ესაა ქარბუქმა გადაიქროლაო. და არაფერს — არც ნადირს, არც მარხილს ნაკვალევი არ დაუტოვებია და ხეთა თეთრი ვარჯებიდან თოვლი არც ქარს ჩამოუფერთხავს, არც მოუსვენარ ციყვს, არც ტოტზე შემომჯდარ შაშვს. ჩიტები აქ ბუდეებს არ იკეთებენ, არ დებენ თეთრ და დანინწკლულ კვერცხებს, არც თაგვები შობენ ხოლმე სოროებში ტიტველ და თბილ ღლაპებს. აქ ყველაფერი წარსულს ეკუთვნის, აქ არ არსებობს ახლო და შორეული წარსული, აქ მხოლოდ არსებობს წარსული, როგორც ასეთი, საერთოდ წარსული, რომელშიც უთვალავი ბედ-იღბალი ერთმანეთშია არეული, როგორც იმ ნაკადულების წყლები, ერთ მდინარეს რომ ერთვიან. აქ არავითარ როლს არ ასრულებს არც ქონება და არც თანამდებობა, არც ასაკი და არც სქესი, საათი გაჩერებულია და ფულით აქ ვერაფერს იყიდის.

მდუმარედ შევცქერი ადამიანებს, ერთ დროს მურგალეში ჩემი მეზობლები და ნაცნობები რომ იყვნენ, ისინიც შემომცქერიან, თუმცა ვერ მხე-

დავენ. მე ყველაფერი ვიცი მათ შესახებ, მაგრამ ამის გამო სირცხვილს არა გრძნობენ, არ ღელავენ, ისევე როგორც მე არა ვღელავ. ჩემი ცოდნა არც სიამოვნებას მგვრის, არც კმაყოფილებას, იგი ყოველად გამოუსადეგარია, როგორც ძველი, ხმარებიდან დიდი ხნის ამოღებული მონეტა. მე დავიგვიანე — სარგებლობას ველარავის მოვუტან, არც არავის სჭირდება ჩემი დახმარება ან შებრალება აქ, ამ სამეფოში, სადაც არ შეიძლება შეცდომის დაშვება, ისევე როგორც შეცდომის გამოსწორება.

ადრე შემეძლო, ამ ადამიანთაგან ვინმე გამეფრთხილებინა და დამეცვა, დაბნეულობა გამეფანტა და უბედურება ამეცდინა. მაგრამ მაქვს კი ახლა საკმაო სურვილი იმისა, რომ სხვებს გავუგო? და საკმაოდ გარკვეულად მაქვს კი შეგნებული, რომ მოკვლა შეუძლია არა მხოლოდ ტყვიას ან დანას, ბორბალს ან ვირუსს, ინფარქტს ან მარყუჟს, არამედ სინდისსა და დარდს, წარსულსა და დაბნეულობას, მრავალი წლის განმავლობაში რაიმეს აკვიატებასა და წამიერ სისუსტესაც? და როგორც ახლა ჩავუვლი ხოლმე ამ უფერულ ფიგურებს, განა ასევე მდუმარედ არ ჩამივლია გვერდზე სხვისი ტანჯვისთვის, როცა გლობალური პრობლემების გადანყვეტიტ ვიყავი დაკავებული, მაშინ როდესაც ჩემს გვერდით იწვოდა საუკეთესო გალაქტიკები, ბუნების შედეგები — ადამიანთა სულები?..

მაგალითად ავიღოთ ველძე — მკვლელია იგი თუ მსხვერპლი? თუ მსხვერპლია, მაშინ, ვინ მოკლა? ინგუსმა? ნისლმა? თუ გაცოცხლებულმა წარსულმა? ვის მიუძღვის ბრალი მარიანას სიკვდილში? გულის მანკს? პეტერს? ვოიცეხოვსკის? თუ ჩემს ლურჯ ბიდონს? ან ვინ არის ვილის პერკონის დალუპვისათვის პასუხისმგებელი? რიტმა? ავტობუსის პარკი? შემთხვევითობა? თუ ძველი კონტუზია? ის სამყარო, საიდანაც ჩვენ ყველანი აქ ერთი გზით მოვხვდით, როცა დიადი კამარის თალქვეშ გამოვიარეთ, სამყარო, სადაც გაბატონებულია წინააღმდეგობა და განვითარება, ამ საკითხებზე ერთმნიშვნელოვან პასუხს არ იძლევა. მეორე მხრივ კი, აჩრდილთა ამ სამეფოში, სადაც ჩვენი ფიგურები ხმელი ლაქაშივით ერთფეროვნად ირწევიან ზუზუნითა და შრიალით, ყველაფერმა დაკარგა ყოველგვარი აზრი, რადგან რაიმეს შეცვლა და ხელახლა გადათამაშება მაინც არ შეიძლება და წინათ დაშვებული შეცდომებით მიღებული გამოცდილება აქ არ გამოდგება. იქნებ ამ ბალის ჩემ ბინადართაგან ვინმე ისურვებდა თავისი წარსულის გამოსწორებას, მაგრამ ეს სამეფო არა მხოლოდ ულმობელია, შემწყალეც არის — მის ქვეშევრდომთათვის უცხოა სინანულის გრძნობა.

შეუძლებელია ამ სამყაროს გარდაქმნა, შეიძლება მხოლოდ მისი მიღება. უაზროა მისი კანონ-წესების წინააღმდეგ ამბოხება, ყოველგვარი ბუნტი უნაყოფო იქნებოდა. აქ თვინიერება და მორჩილება მეფობს, რაც თანდათანობით მეც მეუფლება...

წკრიალა სიჩუმეში მოქანავე ფიგურებს შორის მივიწევ, თვითონაც არ ვიცი, საით და რატომ მივდივარ, მხოლოდ ბუნდოვნად ვემორჩილები რომელიღაც ძალას, რომელიც შეუმჩნევლად და მსუბუქად, ამავე დროს კი მბრძანებლურად მიმაქანებს, როგორც მდინარე მიაქანებს ხოლმე უნიჩბო ნავს, და ორსავე მხარეს გადაშლილი პეიზაჟი ორი ნაპირივით მისრიალებს: უძრავი ხეები და მოქანავე ფიგურები, უფერული ვარდები და ნაცრისფერი ქვები, მქრქალი თოვლი და ფეხდაუდგამი ბილიკები. მე არაფერი მაკვირვებს, რადგან ამ სამყაროს ნაწილი ვარ. ჩემში არც სიბრაულე-

ლი არსებობს, არც იმედი, მხოლოდ სხეული მევესება თანდათანობით ტყვი-
ისებრი დაღლილობით, თითქოს შორზე შორი გზა უკან მომეტოვებინოს
და მიზანს მივახლოვდეთ.

წინ აღმართულა კიდევ ოთხი თლილი ქანდაკება, კვადრატულ/ მოვ-
დანს რომ ქმნის, რომლის შუაგულშიაც ჩანს მოხრილი და დაფარული
რული რალაც მრგვალი საგანი. როცა მივუახლოვდით, დაფარული რალიც
იყო თოვლით დაფარული ოთხი მაღალი ტუია, ხოლო ის დაბალი და მო-
მრგვალებული რალაც — დიდი კაჭარი. ხელს ვინვდი და კაჭარს თოვლს
ვაცლი. რუხ გრანიტზე ამოკვეთილია ჩემი სახელი, გვარი და ორი თარ-
ილი, რომლებიც იმის დასაწყისსა და დასასრულს ნიშნავს, რასაც ადამიან-
ის ცხოვრებას ეძახიან.

მივხვდით, რომ მეც მკვდარი ვიყავი. თუმცა, ისევე როგორც ყოველი-
ვე სხვამ, ვერც ამან ამაღელვა და ამიჩუყა გული, თითქოს მე სულაც
არ მეხებოდა.

მკვლელობა, რომლის გამოც არ სჯიან,
ანუ მოთხრობა საკუთარ თავზე

ცოტანი არიან ისეთები, რომელთაც შეუძ-
ლიათ სხვაზე სიმართლე თქვან, მაგრამ არ
არსებობს ადამიანი, საკუთარ თავზე სრუ-
ლი სიმართლე რომ თქვას.

რეინის კაუქიტი.

ტყუილად როდი ამბობენ: ახალგაზრდობაში ჩადენილი ცოდვა ადა-
მიანს სიბერეში უწევსო, ხანდახან სიბერემდეც არ დაგვცალდება, სიმწი-
ფეში შევალთ და უნდა ვზლოთ. ეს წმინდა სიმართლეა და შემოძლია და-
ვადასტურო — თვითონაც ხომ ახალგაზრდობის ცოდვის ტიპიური მსხვე-
რპლი ვახლავართ.

ყოველივე კი ასე დაიწყო.

მკაცრი პედაგოგიკის რეკომენდაციების მიუხედავად (რომლებიც ჩემ-
თვის უცნობი იყო მაშინ), ბავშვობაში არა მხოლოდ მაღალხარისხოვან,
საგანგებოდ ბავშვებისათვის შეთხზულ წიგნებს ვკითხულობდი (რომლებ-
შიც ბოლო გვერდზე დღესაც უთითებენ ხოლმე, რომელი ასაკობრივი
ჯგუფისათვის არიან ისინი გათვალისწინებული), არამედ ყველაფერს მი-
ყოლებით, რასაც კი ხელში ჩავიგდებდი და აღმოვაჩენდი იმათი სახლის
სხვენზე, ვისთანაც ზაფხულობით მწყემსად ვუდგებოდი, ასე რომ ხელში
ადამიანის გონებით შექმნილი ერთობ განსხვავებული ხასიათის პროდუქ-
ცია მივარდებოდა, ბოკაჩოთი დაწყებული და კურტს-მალერით დამთავრე-
ბული, „კათოლიკური უწყებანი“ დაწყებული და „კაცი და ქალი“ დამ-
თავრებული, წმინდანთა ცხოვრებით დაწყებული და სამზარეულო წიგნე-
ბით დამთავრებული, ერთი სიტყვით, ნაირ-ნაირ წიგნებს ვკითხულობდი,
ცოდნას ვენაფებოდი, ვიღებდი განათლებას როგორც ხელოვნებაში, ისე
ლიტერატურაში, როგორც ზოოლოგიაში, ისე გეოგრაფიაში, როგორც კუ-
ლინარიაში, ისე სექსოლოგიაში, და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე
ვსწავლობდი კარგ და ცუდ ლექსებს, ვითვისებდი დიდი ხნის მოძველებულ

უამრავ ცნობას და ისეთ დებულებებსაც კი, რომლებიც ახლა უეჭველად შეფასდებოდა როგორც იდეალისტური და ამიტომ მავნედ ჩაითვლებოდა, განსაკუთრებით ჯერ კიდევ მოუმწიფებელი შეხედულებების სისტემის მქონისათვის, როგორც ათი-თორმეტი წლის ასაკში უდავოდ განზღობილ მც. და მთელი პასუხისმგებლობით შემოიძლია ამ მართლაც რომ მაკიაველური იდეების ვერაგობის დადასტურება, რადგან მათი შემდეგ შემდეგომში საკუთარ ტყავზე გამოვცადე, უფრო მეტიც — შეიძლება ითქვას, რომ ეს იდეები იყო ჩემი სიკვდილის არაპირდაპირი მიზეზი, თუმცა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ.

და თუკი ოდესმე ჩემს ქცევასა თუ საქციელში მისტიკისადმი მიდრეკილება ვლინდებოდა, ამის ფესვები სწორედ იქ უნდა ვეძიოთ — სხვენზე, სადაც დაჟანგულ უთოებსა და ფეხმოტეხილ სკამებს შორის, ჯარებსა და სართავებს შორის, ფოცხის ტარებსა და გასახმობად აცმულ წეკოს ფოთლებს უკან, იდუმალებით მოცულ ბინდბუნდში, იდგა აბლაბუდამოდებული, დამტვერილი, ფანტასტიკური სურათებით მოხატული, ჯადოსნური შიგთავსით სავსე ზანდუკები, შიგთავსით, რომელშიაც ისე ვეფლობოდი ხოლმე, როგორც ბუზი ჩაეფლობა სიროფში, უბეებს ძველი წიგნებითა და ყურნალებით ვიტენიდი, თავს კი ნაირ-ნაირი ინფორმაციით და (მაპატიეთ!) ხარახურით.

თუმცა ჩემთვის საბედისწერო გამოდგა რომელიღაც სტატიის ნაწყვეტი, რომელშიც ავტორი წინათგრძნობაზე წერდა. თურმე ადამიანი ხშირად ალლოთი გრძნობს, სახელდობრ რას შეუძლია მომავალში უბედურება მოუტანოს ან დალუპოს კიდევ, და იმ რალაცის ქვეცნობიერად თუ შეგნებულად ეშინია, სანამ მოსახდენი მართლაც არ მოხდება. წინათგრძნობათა სპეციალისტს უამრავი გასაოცარი ფაქტი მოჰყავდა. მაგალითად ასეთი: თურმე ერთ ინდივიდს მუდმივი შიში ჰქონდა ერთი რომელიღაც დიდი ფორმატის სურათისა, რომელიც გალერეაში კედელზე ეკიდა, ჰოდა, ბოლოს და ბოლოს ხელოვნების ეს ნაწარმოები ჩამოვარდა და თავზე დაემხო, ცხადია, ზემოთ მოხსენიებულ მსხვერპლს. მეორე პიროვნებას წყალზე ნებისმიერი ტრანსპორტით მოგზაურობის შიში ტანჯავდა. ეს პიროვნება მამრობითი სქესისა ყოფილა და მას ქალების თვალში ამცირებდა ეს ყოველ შემთხვევაში სხვებს ასე მიაჩნდათ — უსაფუძვლო და სასაცილო შიში. შიშის გადალახვის სურვილით შეპყრობილმა ჯენტლმენმა თანხმობა განაცხადა იახტით გასეირნებაზე. ადვილი წარმოსადგენია, როგორ დამთავრდებოდა ეს გასეირნება. მისი გვამი ნაპირზე მხოლოდ მესამე დღეს გამოირიყა.

დამლუპა ამ სტატიამ.

მუდამ იმის ცდაში ვიყავი, აღმომეჩინა, განსაკუთრებით რისი მეშინოდა, რომ ამით გამომეცნო, საიდან შეიძლებოდა საბედისწერო საფრთხე დამმუქრებოდა. თუმცა გამოირკვა, რომ წინათგრძნობის უნარი საკმაოდ ძლიერად არ მქონდა განვითარებული. მაშინ უფრო ხშირად იმის მეშინოდა, ჩემი პატარ-პატარა ოინები არ გამოვლინდეს-მეთქი. ხანდახან ვახერხებდი კვალის დაფარვას, ხან კი ვერა — მათგან გამომდინარე შედეგებითურთ, რომლებიც სულაც არ ყოფილა სასიამოვნო, თუმცა ჩემს სიცოცხლეს არავითარ შემთხვევაში არ უქმნიდნენ საფრთხეს. მე არაფერი მომდიოდა და სტატიის მაგიურმა გავლენამ თანდათანობით იკლო. ასე განვლო მოჩვენებით სიმშვიდეში დაახლოებით ცამეტმა წელიწადმა. ამ

დროის განმავლობაში არა მარტო საშუალო სკოლა დავამთავრე, არამედ მოვასწარი ჩამებარებინა გამოცდები მარქსიზმ-ლენინიზმში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში, ესე იგი, არც საკუთარ და არც საზოგადოების თვალში უკვე აღარ ვითვლებოდი მცირე განათლებისა და მერყევი შეხედულებების სისტემის მქონე ადამიანად.

და მაშინ, როცა ამას სულაც არ მოველოდი, მწერალთა კავშირში ახალგაზრდა ავტორთა სემინარზე მიმიწვიეს. დიდ დარბაზში ვიჯექი და სხვა ახალბედებთან ერთად ვუსმენდი, ჩემი ერთ-ერთი უფროსი კოლეგათაგანი (რომელსაც კოლეგას მაშინ ხმამაღლა კი არა, ჩემს გულშიაც ვერ ვუწოდებდი) რა ლამაზად ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სწორად წერა. ჩემზე უფრო ბეჯითები იწერდნენ ტრიბუნიდან წარმოთქმულ წესებს, რათა მერე პრაქტიკაში გამოეყენებინათ და ხათაბალაში არ გაბმულიყვნენ. მე კი, განსაკუთრებული გულმოდგინებითა და მონდომებით არასოდეს რომ არ გამოვიჩიოდი, ამასობაში ვათვალისწინებდი დარბაზს, სადაც პირველად ვიმყოფებოდი.

მაშ ასე, უზარმაზარ მდიდრულ დარბაზს რომ ვათვალისწინებდი, რომელსაც აბრეშუმის შპალერი ჰქონდა აკრული, სრულიად შემთხვევით მაღლა ავიხედე, ჭერში, და სწორედ ჩემს ზემოთ დავინახე ჭალი თუ კანდელაბრი, ხეირიანად არც კი ვიცი, რა ჰქვია, რომელიც წინანდელ მფლობელებს — ბენიამინებს კარგა ხანს ემსახურა და სულ ცოტა რამდენიმე ცენტნერს მაინც იწონიდა, თუ ტონას არა. და ეს უზარმაზარი ჩახჩახა ლამპარი, თვალისმომჭრელად რომ ბრჭყვიალებდა და კაშკაშებდა და — როგორც უცებ მომეჩვენა — ოდნავ ირხეოდა, პირდაპირ ჩემს თავზე ეკიდა. ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, თითქოს ჭალი სადაცაა მოსწყდებოდა ჭერს, მესმოდა კიდეც, ყრუ ტკაცანით როგორ იბზარებოდა ჭერი, და ვერასგზით, ვერავითარი ძალით ვერ მომეწყვიტა თვალი ამ ბრჭყვიალა და მძიმე ნივთისთვის, რომელიც ავბედითად ირხეოდა სულ უფრო მზარდი ამპლიტუდით. მოკლედ — იქით არ ვიხედებოდი, საითაც უნდა გამეხედა, და იმას არ ვუსმენდი, რაც უნდა მომესმინა, ამიტომ უყურადღებოდ მრჩებოდა ძვირფასი და ბრძნული დარიგებები, როგორ უნდა სწორად წერა, და ჩემი დოკლაპიობისთვის არა მხოლოდ იმავე დღეს დავისაჯე, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე დასჯილი დავრჩი.

იმ დღეს კი ჩემი ნაწარმოებები ისე გააკრიტიკეს, ქვა ქვაზე არ დატოვეს, და რეფერენტებმა ეზოპეს ენაზე მაგრძნობინეს, რომ ჩემი სახით ლიტერატურას უიმედო შემთხვევასთან ჰქონდა საქმე. და სწორედ ამ უკანასკნელმა შენიშვნამ, რომელიც, მართალია, ბუნდოვნად და საკმაოდ დელიკატურად წარმოითქვა, რათა საბოლოოდ არ ჩაეხშოთ ოპტიმიზმი, მონინავე ქალიშვილს რომ უნდა გააჩნდეს, ფატალური ეჭვი შთამინერგა, რომელიც შემდგომში ჩემი დაღუპვის მიზეზი გამოდგა, სახელდობრ კი, აი, რა: ეჭვი შემეპარა, იქნებ ჩემს ზემოთ დაკიდებული სავსებით რეალური, მასიური საგნებისგან სულაც არ მეღის საფრთხე და მწერალთა კავშირში ჩემს თავზე ჭალის მრისხანე რხევა სიმბოლურად უნდა მივიჩნიომეთქი. და რაც უფრო მეტს ვფიქრობდი და ვიჭყლეტდი ტვინს ამ საკითხზე, ვასკენიდი, რომ მძიმე საშიში ობიექტი, რომელიც შეიძლება თავზე ოდესმე დამეცეს (ყველა მისგან გამომდინარე შედეგებითურთ) სხვა არაფერი იქნება, თუ არა ლიტერატურა მეთქი.

ბუნებრივია, ამგვარ ვითარებაში ერთადერთი გონივრული გამოსავა-

ლი არსებობდა. თავი რომ დამეღწია მუდმივი შემადრწუნებელი შიშისთვის, რომელიც ნერვებს მანყვეტდა და მთელ ჯანმრთელობას მინადგურებდა, რაც მხოლოდ ჩემი კი არა, მთელი საზოგადოების საკუთრება გახლდათ, თავიდან უნდა მომეშორებინა შიშის გამომწვევი მიზეზი, ანუ უარი მეთქვა ჩემი სიცოცხლისათვის საშიშ და სხეულისა და სულისათვის მავნე ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. თუმცა დიდი ხანია ცნობილია და სამეცნიერო წიგნებშიაც დაწვრილებითა და დამაჯერებლად არის აღწერილი, რა არასასიამოვნო სუბიექტურ გრძნობებს და ორგანიზმის რა სერიოზულ მოშლას იწვევს აბსტინენცია, ანუ თავშეკავება, თუნდაც ნარკომანიის მსუბუქი ფორმის დროს, ვთქვათ, ისეთი, როგორცაა ნიკოტინიზმი და ალკოჰოლიზმი, არაფერს ვამბობ უფრო მძიმე შემთხვევებზე, ისეთებზე, როგორც არის მორფინიზმი და ლიტერატურული მოღვაწეობა. ერთი სიტყვით, მთელი რიგი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივდი, რომ ამ შემთხვევაში საჭირო ნებისყოფის მინიმუმი მაკლდა, ურომლისოდაც გამოჯანმრთელების მიზნით განხორციელებული ვერც ერთი ღონისძიება ნაყოფს ვერ გამოიღებდა.

ასე რომ ორი შესაძლებელი გზიდან მხოლოდ მეორე რჩებოდა, რომელიც, როგორც თავად ვხვდებოდი, სრული უსაფრთხოებით ვერ უზრუნველყოფდა, სახელდობრ კი რაკი ლიტერატურა თავისთავად მატერიალური მოვლენა არ არის და უშუალოდ ვერაფრით დამემუქრება, უნდა ავწონ-დავწონო და გავითვალისწინო მასთან დაკავშირებული ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ დროთა განმავლობაში ჩემს სიცოცხლეს დაემუქრონ. ამ აზრით ყველაზე ვერაგებად, პირველ ყოვლისა, პროტოტიპები მიმაჩნდა. იქნებ ეს შთაბეჭდილება ლიტერატურის ისტორიას შთაებერა ჩემთვის, რომლითაც გაჭყეპილი ვიყავი და რომელიც აღსავსე იყო უსიამოვნებებითა და შუღლით, საჯარო ლანძღვითა და გააფთრებული ცილობით — უბრალოდ ჯვაროსნული ომებით, რასაც რეალური თუ წარმოსახული პროტოტიპები ეწეოდნენ საბრალო და ხშირად ყოვლად უდანაშაულო ავტორების წინააღმდეგ. და თუმცა წინასწარი განზრახვით მკვლევარის არც ერთი შემთხვევა არ შემხვედრია, ბოროტი განზრახვისა და თუნდაც ფატალური შემთხვევითობისაგან თავი ასე პროცენტით დაზღვეულად მაინც არ მიმაჩნდა.

თუმცა ამ მხრივ წარმოუდგენლად გამიმართლა. პროტოტიპობას თავიანთი ნება-სურვილით მუდამ მხოლოდ „დადებითი გმირები იჩემებდნენ, მაშინ როდესაც ჩემი „არამზადები“ ჭკვიანები გამოდგნენ, ქარაგმებს ვითომ ვერ ხვდებოდნენ, უფრო მეტიც — ეჭვი რომ არავის გასჩენოდა, ესენი არიან პროტოტიპებით, ხშირად აქებდნენ ჩემს თხზულებებს, რითაც არა მხოლოდ შორსმჭვრეტელობას ავლენდნენ, არამედ სულიერ კეთილშობილებასაც, რომლის ჭეშმარიტი დაფასებაც მხოლოდ ავტორს შეუძლია.

უსიამოვნო ინციდენტს მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი, როცა „პროტოტიპს“ ვიწრო გზაზე შევხვდი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ბილიკზე, სადაც ორ ადამიანს გვერდის აქცევა უჭირს, თანაც მოქმედება ღრმა ბინდბუნდისას ხდებოდა, თითქმის სიბნელეში, და ის, მაშასადამე, პროტოტიპი, შეზარხოშებული იყო. „პროტოტიპი“-მეთქი, ვთქვი, ისიც ორჯერ, მაგრამ ჩემი სიტყვები უკან უნდა დავიბრუნო, რადგან ის არ ყოფილა პროტოტიპი, უკიდურეს შემთხვევაში ამ სიტყვის ვიწრო გაგებით

მაინც, როგორც მიღებულია მისი ხმარება ლიტერატურის თეორიაში, თუმცა საკუთარი თავი ასეთად მიაჩნდა და ამ გაუგებრობას შეეძლო საგრძნობი გართულება გამოეწვია, რადგან შეხვედრა მიყრუებულ ადგილას შედგა, როგორც უკვე გაუნყეთ, ბილიკზე, სადაც ძნელია გვერდის აქცევა, თანაც ის გაღეშილი მთვრალი იყო, თუმცა მისი გამოთქმებიდან, ზოგი რამ მომეწონა, კერძოდ, „ბებერ ცხვარზე უფრო დიდი ჩხუბისთავი ხარო“, და მისთანანი, რომლებიც ჩემს გმირს იან ბულკისს ვათქმევინე.

როგორც მოგახსენეთ, რაკი ბილიკზე გვერდის აქცევა არც ისე ადვილი საქმე იყო, გავჩერდი და, რამდენადაც შემიძლო, კიდისკენ მივიწიე. სწორედ ამ დროს იმან შემნიშნა და რალაც ამის მსგავსი ჩაიბუტბუტა — „ჰა!“ თუ „აჰა!“, მერმე პირდაპირ ჩემკენ გამოემართა და, თუმცა მხედავდა, რადგან არც ისე ბნელოდა, რომ ვერ დავენახე, კიდევ ერთხელ მკითხა, ნუთუ ეს მართლა შენა ხარო, და მეც არ უარყვავი, დავუდასტურე, დიახ, მე გახლავარ-მეთქი, თუმცა მისი ხმა სასიკეთოს არაფერს მიქადდა. ამაზე მომიგო, სწორედ შენ მინდოდი და ძალიან მოხარული ვარ, რომ, როგორც იქნა, შეგხვდიო. ასე მითხრა, მაგრამ მის კილოში მუქარის ნოტები ჟღერდა, რამაც მაიძულა დავეჭვებულიყავი, ნუთუ მართლა ისეა გახარებული, როგორც მიმტკიცებს-მეთქი. თუმცა მე რაც შეიძლება გულგრილად და მშვიდად ვკითხე, კაცმა რომ თქვას, რითა ხარ გახარებული-მეთქი.

მაშინ ყვირილი დამიწყო. შენ, დიახ, შენ, ბებერ ცხვარზე უფრო დიდი ჩხუბისთავი და მძვინვარე ხარ, შენ მაქციე მთელი ქვეყნის სასაცილოდ — სამუშაოზე ყველანი იან ბულკისს მეძახიანო! თავისი საბრალდებო სიტყვა იმდენად თვითმყოფი უცენზურო სიტყვებითა და გამოთქმებით შეამკო, ჩემი პროფესიული კრეტინიზმის გამო ამ ერთობ დრამატულ სიტუაციაშიც კი ვინანე, რომ თან უბის წიგნაკი არა მქონდა, რათა მისი ნათქვამი ჩამეწერა (მერე ზოგიერთი გავიხსენე, მაგრამ დეფიციტური ქალაქის ეკონომიის გამო სიცოცხლის ბოლომდე არ გამომიყენებია). ბოლოს მუქარით მკითხა, გველივით ვერაგო, რა გინდოდა მეტსახელ ბულკისით გათქვა, ეს იმის ქარაგმულად მინიშნება ხომ არ არის... მე სასწრაფოდ ავუხსენი, ღმერთმა დამიფაროს, არავითარი ქარაგმა ეს არ არის და არც მეტსახელი მიხმარია, ეს ნამდვილი გვარია, მე მყავდა სკოლის ამხანაგი, გვარად ბულკისი, მე მასთან მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვსწავლობდი და, რამდენადაც ვიცი, თავის დღეში წვეთიც არ დაუღვევია-მეთქი.

ერთხანს დუმდა და მერე მკითხა, ნუთუ ეს მართლა ასეა — შეგიძლია, დაიფიცო, რაც შენთვის წმინდაა, შეგიძლია, გულზე ხელი დაიდო და მითხრა, რომ, რასაც მეუბნები, სრული ჭეშმარიტებააო. ასე მითხრა და მის სიტყვებში თითქოს ყოყმანი და ჭოჭმანი გაისმა. მე დავუდასტურე: დიახაც შემიძლია დავიფიცო, გულზე ხელი დავიდო და ვთქვა, რომ...

და უცებ სავსებით მოულოდნელი რამ მოხდა — ბილიკზე ჩაიკეცა, მუხლებზე ხელები შემოიჭდო, თავი ზედ დადო და ატირდა.

კარგიო, მითხრა, ტირილით გული რომ იჯერა, მჯერა შენი, მაგრამ რა ვქნა ახლა, მას შემდეგ, რაც შენ ყურნალში თავი მომჭერი, ჩემს სიცოცხლეს რა ფასი აქვსო: სატყეოში ყველანი ჩემზე ხითხითებენ და ჭიხვინებენ, მინდა თუ არა, იძულებული ვარ, სამუშაო მივატოვო, სადაც მთელი თერთმეტი წელიწადი მიმუშავნია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ცოლი მეყრება, მემუქრება, დედასთან წავალო, და უკვე ბარგს ალაგებს, გამ-

წარებულმა დღეს სწორედ ამიტომ დავლიეო. და საერთოდ სხვა არაფერი დამრჩენია, თუ არა უახლოეს ტოტზე თოკის ჩამოკიდება, რადგან ყველაფერი აირ-დაირია, გაცამტვერდა, მხოლოდ ერთსა გთხოვ, კეთილად მომიგონო, რადგან ბოროტი კაცი არა ვყოფილვარ, იქნებ ოდნავ უხეში და ენაგრძელი კი ვიყავი, მაგრამ ბოროტი არა ვყოფილვარ.

და როცა გავიგონე, რა უსიცოცხლოდ თქვა, „ყოფილვარ“ მეფხვდი, რომ ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლებოდა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი მე გავრიე ჩემს ლიტერატურულ ნაცოდვილარში და ამიტომ მისი ბედისათვის პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. ფეხზე წამოვადე და ორივენი წავედით მის ცოლთან, რომელიც მართლა ალაგებდა ჩემოდანში კაბებს და დედასთან წასვლას აპირებდა. და ისევ დავიფიცე ყველაფერი, რაც ჩემთვის წმინდა იყო, გულზე ხელმიდებული ვარწმუნებდი, შენს ქმარს ბულკისთან არაფერი კავშირი აქვს — უბრალოდ ზოგი მისი გამოთქმა მომეწონა, რომელიც ნაწარმოებში გამოვიყენე-მეთქი (ეს მართლაც ასე იყო). რაკი ვხედავდი, რომ მისი ცოლი კაბების ჩალაგებას განაგრძნობდა, სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, რასაც ყველა ჩემი თანამოკალმე გამიგებს, და შევძახე, მზადა ვარ, საყვედურებისა და გაუგებრობის გამომწვევი ჩემი შეცდომები მოთხრობიდან ამოვიღო და წიგნში რომ დაიბეჭდება, მასში ავბედითი გვარი ბულკისი აღარ იქნება-მეთქი. ასე ვთქვი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ქალმა ჩემოდნიდან კაბების ამოღება.

წიგნში იან ბულკისი მართლაც სხვა გვარით მოვწათლე. წიგნში მართლაც აღარ იყო მისი საყვარელი რამდენიმე გამოთქმა. ის კაცი და მისი ცოლი რომ დამერწმუნებინა, სიტყვა შევასრულე-მეთქი, ორთავეს წარწერით ვაჩუქე წიგნი (უფრო სწორი იქნება ვთქვა, სამთავეს-მეთქი: სანამ ხელნაწერი გამომცემლობაში იდო და სტამბის დოლაბში გადიოდა, ცოლქმარს ბიჭი შეეძინა). ჩვენ დავმეგობრდით. და მაინც, როცა იმ ადგილებს გადავაველებ ხოლმე თვალს, ჩემი ხელით რომ შევამოკლე, მუდამ გაორებული გრძნობა მეუფლება: ერთის მხრივ, ჭმუნვასა და მძაფრ სინანულსა ვგრძნობ, თითქოს რაღაც ისეთი გამეტეხოს, რომლის დაწებება შეუძლებელია და წინ მხოლოდ ნამსხვრევები მეყაროს, მეორე მხრივ კი მეუფლება ჩუმი სიხარული და სიამაყეც კი, რომ ჩემს კოლეგებთან ერთად, რომლებიც თავიანთი რომანებით წარმატებით ებრძვიან ალკოჰოლიზმს და მკვეთრად ზრდიან შობადობას, ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობით შევძელი თუნდაც ერთი ოჯახის შენარჩუნება, მინიმუმ ერთი ადამიანი მაინც ვიხსენი უბედურებისგან და, ვინ იცის, იქნებ კიდევ ერთი არსების გაჩენასაც შევუწყვე ხელი. ასე რომ განსაკუთრებული გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ გმირების ჭეშმარიტი თუ წარმოსახვითი პროტოტიპები საერთოდ ჩემი პიროვნებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდნენ და არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით ჩემი სისხლი არ მოსწყურებიათ.

თუმცა ბედმა გამიღიმა და დაუდევრობის ამ ეიფორიაში დიდხანს ვერ ვიცხოვრე, რადგან ახლა უკვე სხვა რაღაცამ დამაფრთხო, კერძოდ — კრიტიკამ, თანაც ჩემი დამოკიდებულება კრიტიკის მიმართ უმჯობესია შევადართო ბავშვობის შორეულ განცდებს, როცა გარკვევით მქონდა შეგნებული, რომ ვიეშმაკე, და საქმე მხოლოდ ის იყო, გამოვლინდებოდა ჩემს მიერ ჩადენილი ცოდვა და ცელქობისთვის საკადრისად დავისჯებოდი, თუ

წყლიდან მშრალი ამოვიდოდი. მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა დანერვილ ნანარმოებთან რაოდენობა, ჩემს თავზე მით უფრო მრავლდებოდა კრიტიკული ღრუბლები, რამეთუ, როგორც იტყვიან ხოლმე, დანაშაულო დიდ-ხანს არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს; ეს ჩემი წინათგრძნობითაც მტკიცდებოდა, რადგან ყოველთვის, როცა ხელში ვიღებდი პერიფერულ გამოცემას, სადაც კრიტიკული სტატია იყო დაბეჭდილი და ჩემი ქაბულში მთხსენიებული, ფეხებში უცნაურ სისუსტეს ვგრძნობდი, თითქოს დამბლა დამცემოდეს. მერე ეს სისუსტე თანდათანობით მთელ სხეულს ეუფლებოდა და ბოლოს, თითქოს გაზი მომიჭირესო, გული იტრუნებოდა და ჩერდებოდა. მაგრამ ეს იყო მცდარი, სუბიექტური შეგრძნება და, პატიოსნად რომ გითხრათ, ჩემს სიცოცხლეს არ ემუქრებოდა.

მხოლოდ ერთხელ შექონდა ადგილი ასე თუ ისე სერიოზულ შედეგს. კერძოდ, აი, რა მოხდა: სტატიას ვკითხულობდი, რომელშიც, ასე ვთქვათ, დეტალურად იყო განხილული ჩემი შემოქმედება, უცებ გულმკერდის მარჯვენა არეში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. როგორც ხალხში იტყვიან, პირველად ეს ტკივილი უბრალო ჩხვლეტად მივიჩნიე, რომელსაც უნდა გაველო რამდენიმე წუთში, უარეს შემთხვევაში, ორ საათში მაინც. თუმცა ტკივილმა არც იმ ღამეს გამიარა და არც მეორე დილას. ვერ ვიტყვი, ტკივილი მიძლიერდებოდა ან მთლად აუტანელი იყო-მეთქი, მაგრამ მაინც მიშლიდა, რადგან მარჯვენა ხელს სულ ვერ ვანძრევდი, მაშასადამე, წერაც არ შემეძლო. ღრმად რომ ჩავისუნთქავდი, მარჯვენა ფერდში მტანჯველ ტკივილს ვგრძნობდი — თითქოს ხანჯლით მჩხვლეტდნენ, ამიტომ ღრმად სუნთქვას ვერიდებოდი და პირდაღებული ზერელედ ვსუნთქავდი, როგორც კატა, რომელსაც ძაღლები გამოდევენებიან და არაქათი გამოსცლია.

შემდგომში გარკვევით ვერ გეტყოდით, ეს ჩხვლეტა დიდხანს მანუხებდა თუ არა (დროთა განმავლობაში იგი ყრუ ტკივილად გადამექცა). საერთოდ ადამიანს ასეთი რამ ახასიათებს: ტანჯვის დაწყებას ზუსტად იმახსოვრებს, მაგრამ წამების დასასრული შეუმჩნეველი რჩება. მეც ასე დამემართა. უფრო მეტიც, როგორღაც დამავიწყდა კიდევ ეს შემთხვევა, სანამ ერთხელ, ორიოდ წლის შემდეგ, თერაპევტიმა ჩემს გულმკერდის ღრუში არ აღმოაჩინა მისთვის (და, თავისთავად ცხადია, ჩემთვისაც) უსიამოვნო ხმაური და რენტგენზე არ გამგზავნა.

რენტგენოლოგმა გამაშუქებელი აპარატის ბნელ ნაპრალში ჩამაყენა და მანამდე მატრიალა, მანამდე მაიძულა მესუნთქა და სუნთქვა შემეკავებინა, მანამდე მეკითხებოდა, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის დროს რაიმე ტკივილს ხომ არა გრძნობთო, რომ შთაბეჭდილება შემექმნა — ვაითუ გარდა ფილტვების ანთებისა, რასაც ექიმი ეჭვობს, გაცილებით უფრო მძიმე სენი მჭირს, უკანასკნელი სტადიის ტუბერკულოზის მსგავსი-მეთქი. ექიმს ვუთხარი: თუ ღმერთი გნამთ, ნუ მაშინებთ, პირდაპირ და გულახდილად მითხარით, რას ხედავთ თქვენს აპარატში, მე კი პირობას გაძლევთ, რაც არ უნდა მითხრათ, თავს ვაყვაცურად დავიჭერ-მეთქი. ამაზე შეკითხვით მიპასუხა: არც ისე დიდი ხნის, დაახლოებით ორი-სამი წლის წინ მძიმე ტრავმა ხომ არ გადაგიტანიათ — ვთქვათ, საავტომობილო კატასტროფაში ხომ არ დაშავებულხართ, ან იქნებ დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდით, რადგან მარჯვენა მხარეს ორი ნეკნი, მეხუთე და მეექვსე, მოტეხილი გქონიათ, ახლა კი შეზრდილანო. მის ხმაში ერთგვარი შეშფოთება იგრძნობოდა და მივხვდი, რომ ნეკნები არასწორად შექონდა შეზრდილი. თავი-

დან ვერასგზით ვერ მოვისაზრე, სად უნდა დავშავებულყავ ასე მაგრად, არც მანქანა დამჯახებია და არც დავცემულვარ, მერე კი გულ-მკერდის არეში მაშინდელი ტკივილი გამახსენდა, თანაც ზუსტად მარჯვენა მხარეს, და ამის შემდეგ იოლად აღვადგინე მეხსიერებაში ყველაფერი, რაც ამ შემთხვევასთან იყო დაკავშირებული, და ვაღიარე, ორიოდ წლის წინ კარგა ლაზათიანად მიმბეგვეს-მეთქი. მან თანაგრძნობით მკითხა, საჯაროდ მოხდა ეს თუ ოჯახშიო. ამით იმის გაგება ენადა, ქუჩაში მომხდარი ინციდენტის შედეგი იყო ეს თუ ოჯახური აყალმაყალისა. მე კი მცირე ხნით ჩავფიქრდი და ვუპასუხე, საჯაროდ მოხდა-მეთქი, რადგან ის ტკივილი პრესაში გამოქვეყნებულმა წერილმა მომაყენა.

გამახსენდა წინათგრძნობის თეორია, შევეცადე, აზრი რაც შეიძლება მეცნიერულად გამომეხატა, და ექიმს ვკითხე, იმ ფაქტს, რომ ჩემს სხეულში ორი გატეხილი და არასწორად შეზრდილი ნეკნია, გარკვეულ პირობებში შეუძლია თუ არა, სიცოცხლე მომიხსნაფოს-მეთქი. ექიმმა ჩაიციხა და მითხრა, არა, საკუთარი თავით ვაგებ პასუხს, ეს არავითარ შემთხვევაში სიკვდილით არ გემუქრებათ, ამ მხრივ შეგიძლიათ სავსებით დამშვიდებული იყოთ და თავი არ შეინუხოთო. ასი პროცენტით მართალი გამოდგა. ორი ნეკნი არათუ ჩემი სიკვდილის მიზეზი არ გამხდარა, არამედ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არავითარი უსიამოვნება არ მოუყენებია. უფრო მეტიც — მეჩვენებოდა, რომ გარკვეული იმუნიტეტის გამომუშავებაში შემინყო ხელი, თითქოს ჩემთვის კრიტიკის საწინააღმდეგო აცრა ჩაეტარებინოთ, რომელიც, ამრიგად, სულაც არ არის დამნაშავე ჩემს დაღუპვაში ან ამის ხელშემწყობ და დამაჩქარებელ ქმედებაში, ისევე როგორც უბრალონი არიან ჟურნალისტები, რომლებთან შეჯახებასაც, შეიძლება ითქვას, არავითარი ფიზიკური ტკივილი არ მოჰყოლია.

თავდაპირველად ჟურნალისტთა წინაშე არავითარ შიშს არა ვგრძნობდი — იმიტომ, რომ გარკვეულწილად მეც მათი ჯილაგისა გახლდით და, ცხადია, მათ მიმართ უსიტყვო გულითადობას ვიჩენდი, და იმიტომაც, რომ დიდი ხნის განმავლობაში მათ ნამოქმედარში ჩემი პიროვნების საწინააღმდეგო არავითარი აქტიურობა არ შემინიშნავს.

თუმცა დროთა განმავლობაში მდგომარეობა გართულდა. ერთხელ ინტერვიუერი მომადგა კარს. სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო (მერე გავიგე, თურმე პრაქტიკანტი ყოფილიყო), თუმცა თეორიულად კარგად მომზადებული, სავსებით ჩამოყალიბებული შეხედულებებითა და მკაფიო წარმოდგენებით მწერლის ცხოვრებაზე, მისი მუშაობის სპეციფიკასა და პროფესიულ საიდუმლოებებზე, ასევე სხვა წვრილმანებზედაც. ერთი სიტყვით, ჩანდა და იგრძნობოდა, რომ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სოლიდური, ყოველმხრივი მომზადება მიელო, რომლის გამოყენებასაც ახლა აპირებდა პრაქტიკაში შეგნებულად და პასუხისმგებლობის გრძნობით, რადგან მე გახლდით პირველი გამოჩენილი პიროვნება, ვისგანაც ინტერვიუს იღებდა, და ის ამას არც მალავდა, მე კი, გამოგიტყდებით, არ გამიმხელია, რომ თვითონაც პირველი ჟურნალისტი იყო ჩემთვის, რომელიც კითხვებს მისვამდა; მეჩვენებოდა, რომ ეს ჩემს ლიტერატურულ პრესტიჟს დასცემდა: რა მწერალია, ვინც ჟურნალისტებს არ აინტერესებთო! და მაინც, მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდა, ძალიან მალე და ადვილად მიხვდებოდა, რომ მე არავითარი გამოცდილება არ გამაჩნდა, რადგან ყველა შეკითხვაზე უთავბოლო, სამაგიეროდ ვრცელ და დაწვრილებით პასუხს ვიძლეო-

დი, თან შეძლებისდაგვარად ვცდილობდი ზუსტად გამომეხატა არა მხოლოდ ჩემი შეხედულებები, არამედ გრძნობათა ელფერიც. გამოცდილი ჟურნალისტის ყური უმაღ უშეცდომოდ იგრძნობდა ყოველივე აწეს მიღმა ახალბედას გულუბრყვილობას, რაში გარკვევაც მას ჯერ კიდევ არ შეეძლო და ამაში მისი დადანაშაულება უდიდესი უსამართლეობე იქნებოდა, რადგან მე, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მისთვის პირველად ვიყავი თუმცა იმ აზრით სულაც არა, როგორც ესმით ხოლმე ჩვეულებრივ ეს გამოთქმა.

რიგიდან ისე ემგზავრა, როგორც უბრალო მოკვდავნი მგზავრობენ ხოლმე, ესე იგი, რაუდავამდე ელექტრომატარებლით ჩამოსულა, იქიდან ადგილობრივ ავტობუსს გამოჰყოლია, ასე რომ მურგალეში ჩამოსული უკვე ოდნავ დაჭმუჭნილი, დაღლილი, მშიერი და ოდნავ დარცხვენილიც იყო იმის გამო, რომ იძულებული გახდა გაჩერებიდან ფეხით წამოსულიყო და რომ კარზე რედაქციის „მოსკვიჩით“ არ მომადგა. მაგრამ ჩემი სახლის ძალზე მოკრძალებულმა გარეგნულმა იერმა და ჩემმა გახუნებულმა სპორტულმა შარვალმა აშკარად აღუდგინა საკუთარი თავისადმი თითქმის დაკარგული პატივისცემა — ყოველ შემთხვევაში, თავს ისე ვგრძნობდით, როგორც ტოლი ტოლთან.

ჯერ ერთად ვისადილეთ. მას დიდებული მადა აღმოაჩნდა, რაც მე გაცილებით უფრო მომწონს, ვინემ ის, როცა სტუმარი უგემურად იკირკნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ან იპრანჭება, ან კუჭი სტკივა. სადილის დასასრულს წინ იმდენად წავინიეთ, რომ სავსებით გულახდილად მიაბზო ყველაფერი, რაც ამ ინტერვიუს უსწრებდა წინ: რედაქციის შტატის არც ერთმა მუშაკმა არ ისურვა ამ სიშორეზე წამოსვლა („სხვა ამბავია, ანა საქსთან რომ მივდიოდეთო!“ — როგორც თვითონ შენიშნა), ბოლოს და ბოლოს კინალამ ერთმანეთი დავჭამეთ და კენჭისყრა გადავწყვიტეთ, მურგალეში გამომგზავრების კენჭი მე მერგო და ამას სულაც არ ვნანობო. სიტყვა ასე დაასრულა და იმდენად სიმპათიურად გამიღიმა, მოჯადოებული დავრჩი.

მაგრამ რაც უნდა სასიამოვნო ყოფილიყო ჩვენთვის სადილობისას ძალდაუტანებელი ლაყობა, თავისთავად ცხადია, ამას ოდესმე მაინც უნდა მოღებოდა ბოლო. და მან უცებ სერიოზული გამომეტყველება მიიღო, პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო, რომელშიც წინასწარ მომზადებული შეკითხვები ეწერა, კალმისტარს თაღფაქი მოხსნა, ცხვირზე სათვალე გაისწორა და ჩაახველა. მე კი შინაგანად დავიძაბე, თუმცა თან მთელი ძალით ვცდილობდი საკუთარი გაუბედაობა დამემალა, და თავს შევფიცე, რაც უნდა იყოს, სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი-მეთქი — როგორც სახალხო სასამართლოზე.

მითხრა, საქმეს შევუდგეთ, ესე იგი, ინტერვიუ დავიწყოთო, და მკითხა, ამაზე რას იტყვითო. დავიწყოთ-მეთქი, მივუგე, მან კი ცალი თვალი უბის წიგნაკისკენ გააპარა (ამან გული ამიჩუყა) და პირველი შეკითხვა დამისვა, კერძოდ კი მთხოვა მეამბა, წერა როგორ დავიწყე.

მთელი ამ დროის განმავლობაში ფარული შიშით ვემზადებოდი რთული, ყოველ შემთხვევაში ძალზე ჩახლართული კითხვისათვის (თუმცა მაინც ვერ წარმომედგინა, რა კითხვა უნდა ყოფილიყო) და ახლა დასმული შეკითხვა იმდენად უბრალო მეჩვენა, რამდენადაც უბრალოა ყოველი გე-

ნიალური რამ. განა რა არის იმაზე ადვილი, ვისაუბრო იმის თაობაზე, რასაც ისა მთხოვს, და მე უფთხარი, რომ პირველ რიგში ავიღე ქალაქის თეთრი ფურცელი და ქვეშ ტრანსპარანტი ამოვუდე, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ შემეძლო გამართული სტრიქონებით წერა, კალმისტარში/მელანი ჩავასხი, რამდენადაც იმ დროს ბურთულებიანი კალმები არსებობდა, გვექონდა მხოლოდ მელნის კალმისტრები, რომლებიც მედღანს სავსებით შეუსაბამო ადგილას და გაუთვალისწინებელი დოზით უშვებდნენ, ამიტომ აუცილებლად მჭირდებოდა საშრობი, ჰოდა, როცა ყველაფერს მოვუყარე თავი, რაც მჭირდებოდა, დავჯექი და წერა დავიწყე-მეთქი.

საკუთარ თავზე საუბარი თანდათანობით უფრო და უფრო მომწონდა, თუმცა შემთხვევით მაღლა რომ ავიხედე, უცებ შევნიშნე, რომ ახალგაზრდა ყურნალისტს ყურები ასწითლებოდა, და მივხვდი, რომ რაღაც მესლებოდა. მან ეს დამიდასტურა და ამიხსნა, თქვენ კარგად ვერ გაიგეთ ჩემი შეკითხვის აზრი — პირველ ყოვლისა, შემოქმედებითი სტიმულები მაინტერესებს და არა ატრიბუტებიო. ასე მითხრა და თავგზა ამირია, რადგან ეგრეთ წოდებული შემოქმედებითი სტიმულები წერის პროცესთან ერთობ რთულ ურთიერთკავშირშია — რადგან წერა შეიძლება არა მხოლოდ ქალაქად, არამედ თავშიაც. დიახ, დიახ, შესძახა მან, სწორედ ეს მაინტერესებს, რაც თქვენ შეიძლება არცთუ ზუსტი ტერმინით აღნიშნეთ — თავში წერითო. როდის და რა პირობებში დაგენწყოთო ეს? ახლა ვიგრძენი, თვითონ როგორ ამიბრიალდა ყურები, რადგან ამ მეთოდით ბავშვობასა და ადრეულ სიყმაწვილეში, ალბათ, ასჯერ მაინც „დამიწყია წერა“, ჩემმა ინტერვიუერმა კი, რაც არ უნდა იყოს, უკანასკნელ ავტობუსს უნდა მიუსწროს, თანაც უსაფუძვლოდ როდი მეშინოდა, რომ ეს არ იყო მისი ერთადერთი შეკითხვა. ამიტომ ყოველივედან, რაც მენახა და განმეცადა და, როგორც იმან მითხრა, ჩემთვის შემოქმედებით სტიმულად ქცეულიყო, გამალებით ვცდილობდი გამეხსენებინა თუნდაც ერთი დალაგებული ეპიზოდი.

და უცებ გამახსენდა ერთი შემთხვევა იურმალის მატარებელში, რომელსაც, მგონი, პირველ ომის შემდგომ წელს ჰქონდა ადგილი. ვაგონში შემოვიდა ბრმა — ახალგაზრდა ინვალიდი, სავარძლებშორის ნელა წამოვიდა და ბლანტერის სიმღერა წამოიწყა — არ არსებობს იმაზე უკეთესი დრო, როცა ვაშლი ყვავისო, ვაშლის ყვავილი ღამეს ანათებსო, არ არსებობს იმაზე სანუკვარი წუთი, როცა სატრფო მოგაკითხავსო, — ასე მღეროდა ინვალიდი. ვაგონის ფანჯრიდან კი ყვავილებით თეთრად გადაპენტილი ბალები მოჩანდა. მაშინ გავიფიქრე, ინვალიდი აყვავებულ ბალებს ვერ ხედავს, მას შეუძლია მხოლოდ იმღეროს იმაზე, მკერდში ქალს ვერასოდეს ჩაიკრავს, რადგან კეპი ტაკვზე აქვს-მეთქი მიბმული, — როცა ყოველივე ამას ვუცქეროდი და სხვა რაღაცებიც წარმოვიდგინე, ჩემში რაღაც დაიმსხვრა...

ამ ადგილას ყურნალისტმა ლაპარაკი შემანწყვეტინა და შეკითხვა დამისვა: როგორ გავიგო სიტყვები „რაღაც დაიმსხვრაო“? მაგრამ ვერ ავუხსენი — მე ამას ვგრძნობდი, თუმცა გამოთქმა არ შემეძლო.

ერთხანს დუმდა, მერე ჩაახველა და მკითხა: ის უხელო ინვალიდი მართლა ისე შეუდარებლად მღეროდა, რომ თქვენში სულიერი გამოძახილი ჰპოვა და იმის შეგრძნება აღგიძრათ, თითქოს რაღაც დაიმსხვრაო? ვუთხარი, არა, ცუდად მღეროდა, როგორც იმღერებდა ნებისმიერი სხვა, ვი-

საც იგივე ბედი რგებოდა-მეთქი. და უცებ კიდევ დაებადა კითხვა: კი მაგრამ მაშინ ამისთანა მათხოვრობა ნებადართული იყო? ვუპასუხე, არა, არ ყოფილა ნებადართული, გმობდნენ ამას, ებრძოდნენ-მეთქი... და თქვენში მაინც „რალაც დაიმსხვრაო“? — გაოცებით შესძახა მან. ძალიან შემაშფოთა იმან, რომ მე თითქოსდა ასოციალურ მოვლენებს ვუჭერდი მხარს, ჟურნალისტი კი შემრიგებლურად დაინტერესდა: სად უამრთხუენთო ეს სცენა, არ მახსოვს, თქვენს რომელიმე ნაწარმოებში შემხვედროდესო. და როცა ვაღიარე, არსად გამომიყენებია-მეთქი, სერიოზულად დაეჭვდა: ამ შემთხვევაში განა შეიძლება ლაპარაკი ამ სცენის კავშირზე ჩემი ლიტერატურული გზის დასაწყისთან და საერთოდ ჩემს შემოქმედებასთან. ვიცოდი, რომ კავშირი არსებობდა, თანაც ღრმა, მაგრამ არც ამის დამტკიცება შემეძლო.

ასე მოექცა ხელახლა ჩვენი საუბარი ჩიხში.

კარგიო, მითხრა მშვიდობიანად ბოლოს, დაბნეულობა სულგრძელად შემინდო და შემომთავაზა შემდეგ საკითხზე გადავსულიყავი, რაზედაც სიამოვნებით დავთანხმდი. ჟურნალისტიც ისევ ბავშვური გულუბრყვილობით გააპარა თვალი უბის წიგნაკისკენ და მითხრა, მაინტერესებს, რა კავშირი არსებობს თქვენს შემოქმედებასა და ავტორის, ესე იგი, თქვენს ხასიათსა და ბიოგრაფიას შორისო, და, ეტყობა, რაკი სახეზე შიში გამომეხატა, დაუმატა, სულაც არ ვაპირებ თქვენი პირადი ცხოვრების წვრილმანები დაგაცდენინოთ, ეს ბურჟუაზიული გაზეთების მუშაკთა მანკიაო. რომ დამამშვიდა, შეკითხვა წამიკითხა: თქვენს შემოქმედებაში ვლინდება თუ არა ავტორის მენტალობა და ტემპერამენტი და, თუ ვლინდება, რა ზომითო? მე კარგად ვერ გავუგე. მაშინ ამიხსნა: თქვენი რომანებისა და ნოველების მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ჰარმონიული და მშვიდი ბუნების ადამიანია, რის გამოც მას, ისევე როგორც გაზეთის მკითხველებს, ბუნებრივია, შეიძლება დაებადოს...

ეტყობა, ამ დროს უადგილოდ გავიცინე, რადგან უბის წიგნაკს თვალი მოსწყვიტა, შემომხედა და განითლებულმა მკითხა, რაიმე სასაცილო ხომ არ წამომცდენიაო? არა-მეთქი, შევძახე, რადგან ისეთი შეშფოთებული გამომეტყველება ჰქონდა, შემებრალა. შეიძლება, იგავით გიპასუხოთ-მეთქი? მცირე ხნით ჩაფიქრდა და დამეთანხმა, თან დაუმატა, ისე მიპასუხეთ, როგორც საჭიროდ ჩათვალთო.

ჰოდა, ჟურნალისტს ვუამბე, შარშან ზაფხულში როგორ შევალვებინე ჩემი ოთახი. მე შინდისფერი ავირჩიე და ოსტატმა დამარწმუნა, რომ ჩემი სურვილი სულ ადვილი შესასრულებელია, — ოთახის კედლები შინდისფერი იქნება, სწორედ რომ შინდისფერი, მაგრამ ჯერ უნდა დააზუსტოს და შემითანხმოს ტონი, რადგან ტონი შეიძლება ცივიც იყოს და თბილიც, და ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ ტონზედაც მეგობრულად შევთანხმდით. ორი დღის შემდეგ ოთახში რომ შევედი, კედლები ცეცხლისფრად ბრიალებდა და ერთბაშად ისე დამაბრმავა, თითქოს კაშკაშა სინათლეს მოექრას თვალი. ოდნავ გონს რომ მოვეგე, ვუთხარი: იქნებ თავისებურად ცუდი არც იყოს, რომ ამიერიდან სახლში სახანძრო დაცვის კუთხე მექნება, მაგრამ, ალბათ, თქვენც ხვდებით, რომ ჯერჯერობით გაოგნებული ვარ და ამ აზრთან შეგუება მიჭირს-მეთქი. თანხმობის ნიშნად თავი დახარა: მესმის თქვენიო, ტონი მართლაც ცოტა ეგზოტიკური გამოვიდა და მკვეთრ კონტრასტებს მიუჩვეველ, ოდნავ კონსერვატიულ ნატურას ფუნჯის მონას-

მი მართლაც შეიძლება ნამეტანი კაშკაშა მოეჩვენოსო, მაგრამ ამქვეყნად შეუძლებელი არაფერია, თუ მოვისურვებთ, ყველაფერს გამოვასწორობთ, ჩემი ფუნჯისთვის, ოსტატის ფუნჯისთვის, ეს უბრალო რამ არის და, აი, ნახავთ, ხვალვე თუ თვალები არ დაგაჭყეტინოთ.

მისი წინასწარმეტყველება ზუსტად ასრულდა — თვალებზე მართლაც დავაჭყიტე და, ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩემს ადგილას, ადგილზე ყველას ასე დაემართებოდა, რადგან ახლა კედლები მუქი იისფერი იყო, გეგონებოდა, ხავერდი აუკრავთო და საერთოდ ოთახი საგვარეულო აკლდამას ჰგავდა. მზერა ოსტატს ვესროლე და ყველაფერი, რაც შევძელი გამომეხატა, მოკლე შორისდებულში ჩაეტია — „ჰმ“. ოსტატმაც ამითვე მიპასუხა — ანუ, აღმაცერად გამომხედა და თვითონაც წარმოთქვა — „ჰმ“.

ერთხანს მდუმარედ ვიდექით, როგორც აკლდამას შეეფერება.

მერე შევეკითხე, ან რაღა უნდა ვქნათ-მეთქი. ერთბაშად გამოცოცხლებულმა მითხრა, მოულოდნელი იდეა დამებადაო. დამაინტერესა, მაინც რა იდეაა-მეთქი. ოსტატმა შემომთავაზა, კედლებს ღია მწვანე ფერის საღებავი გადავუსვათ ზემოდან: რბილი, დამამშვიდებელი ფერია და სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამია, თვალებსა და ნერვებს ძალიან რგებსო. იგი უფრო და უფრო იკიდებდა ცეცხლს და, როცა აღტაცებით ამინერა, ამ ოთახში რა ლამაზი, საამო სიზმრები დამესიზმრებოდა, ან რა პარმონიულ და შინაარსიან წიგნებს დავწერდი, თანაც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ვიგრძენი, რომ ცეცხლი მეც შემომეგზნო და ფარხმალი დავყარე.

ვუთხარი, ისე იყოს, როგორც შენ გენებოს-მეთქი, და ხელი ხელს დავკარით.

ასე იქცა ის ოთახი ისეთად, როგორც ახლა არის — ნაზი მომწვანო ფერისა, ეს ფერი თვალისთვის საამოა და დამამშვიდებლადაც მოქმედებს. და თუ მე ხანდახან რაიმესი მეშინია, მხოლოდ იმისი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყვავილების ვაზა გადმოყირავდება და შემთხვევით კედელს წყალი მიესხმება, რის გამოც სამივე საღებავი ერთმანეთში აირევა, ან როდისმე კედელი გაიყვლიფება და მშვიდ სიმწვანეში ლილისფერი ან ცეცხლივით ხასხასა საღებავი გამოჩნდება.

ჟურნალისტმა ოთახს თვალი მოავლო და მკითხა, ეს ხომ არ არის ის ოთახი, რომელზედაც ახლა მელაპარაკებითო. დავუდასტურე, დიახ, ეს არის-მეთქი. საქმის ცოდნით შენიშნა, არცთუ მაღალხარისხოვანი რემონტიო (და ეს ფაქტი იყო), მაგრამ, ეტყობა, შეეშინდა, არ გავანანყენოო, და სასწრაფოდ დაუმატა, საერთოდ ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემააო, და ხელიდან არ გაუშვია შესაძლებლობა, გული მოეოხებინა — მოკლედ მიაშბო ის გასაჭირი, რაც მის მშობლებს ადგათ, ვისაც მამაძალმა მღებავმა საერთოდ მიუტოვა შუაგზაზე ბინის რემონტი და, ღმერთმა უწყის, სად დაიკარგა.

ჩვენი საუბარი ერთობ ცოცხლად და მეგობრულად მიმდინარეობდა, სანამ ახალგაზრდა ჟურნალისტს არ გაახსენდა, რომ მწერლის პიროვნებისა და მისი შემოქმედების ურთიერთდამოკიდებულების საკითხიდან, ღმერთმა უწყის, როგორ გადავედით სარემონტო სამუშაოებზე. იგი შემფოთებით შემომცქეროდა და მეც ასევე მივჩერებოდი. თვითონაც არ ვიცოდი, როგორ მოხდა ეს.

ჯერ საათს დააცქერდა, მერე უბის წიგნაკში ჩაიხედა, ჩაახველა და

მითხრა, შემდეგი შეკითხვა გარკვეულად წინა შეკითხვასთან არის დაკავშირებული, კერძოდ — ხომ არ შეგიძლიათ მოკლედ (ეტიყობა, უკვე ჩქარობდა, ავტობუსზე არ დამაგვიანდესო) ჩამოაყალიბოთ, როგორ აღიქვამთ გარე სამყაროდან მიღებულ შთაბეჭდილებებსო. ვუპასუხე, შემიძლია ეს ორი სიტყვით გითხრათ-მეთქი. სათვალეებზემოდან შემომხედდა: მაინც როგორ? ვაღიარე, ეს სავსებით პირდაპირი გზით ხდებოდა-მეთქი. თუმცა მას უნდოდა, კონკრეტულად სცოდნოდა ყველაფერი და ამით ისევ ჩიხში მომაქცია, რადგან ამ პროცესის განმარტება მე არ შემეძლო. საათს კიდევ ერთხელ დახედა. როგორც მომეჩვენა, ოხვრაც კი აღმოხდა და მითხრა, უკიდურეს შემთხვევაში შეგიძლიათ ვრცლად ილაპარაკოთ, მთავარს მერე თვითონ შევარჩევთ, და რომ გავუმხნევებინე, კიდევ ერთხელ გამიმეორა, შეგიძლიათ ილაპარაკოთ, რაც და როგორც მოგეპრიანებათო. მოკრძალებით შევაპარე, გეყოფათ მოთმინება, ილუსტრაციის სახით კიდევ ერთი სცენა მოისმინოთ-მეთქი? მომეჩვენა, რომ ჩემს სიტყვებზე ხელმეორედ ამოიოხრა, რადგან, ეტიყობა, ეპიზოდები და არაკები აღარ სიამოვნებდა. თუმცა ხმამაღლა მითხრა, მზადა ვარ, ყველაფერი მოვისმინო, რასაც ბრძანებთო.

და მე ვუთხარი: ის, რაც ახლა მინდა გიამბოთ, მატარებელში მოხდა, როცა... ამ ადგილას ბოდიში მომიხადა და სიტყვა თავაზიანად შემანყვეტინა, შემახსენა, რაც მატარებელში შეგემთხვათ, უკვე მოვისმინეო. იძულებული გავხდი, დამეზუსტებინა, რა ვქნა, ეს მეორე შემთხვევაც მატარებელში მოხდა, თუმცა ნაწილობრივ ბაქანზე ჰქონდა ამას ადგილი, იქნებ ნაწილობრივ კი არა, უმთავრესად ბაქანზე-მეთქი, რადგან მე მატარებელში ვიჯექი, მოქმედება კი გარეთ ხდებოდა, ბაქანზე, ასე რომ ერთგვარად შეიძლება ითქვას... აქ მან კიდევ ერთხელ მომიხადა ბოდიში, ჩემი შენიშვნით შეგაშფოთეთო, საქებარი მოთმინება გამოიჩინა და მთხოვა, სავსებით დამშვიდებით, აუჩქარებლად მომიყვებითო. მაშინ ისევ უკან დავბრუნდი და ისევ იმ ადგილიდან დავინყე, როგორ ვიჯექი ვაგონში და ვიცქირებოდი ფანჯარაში, როცა მატარებელი ბაქანს მიადგა. ბაქანზე უფრო სწორად ბაქანთან, შეზარხოშებული კაცი იჯდა მერხზე, რომელიც, ეტიყობა, ელექტრომატარებელს ელოდა. მაგრამ კაცი თვლემდა და ვერ შენიშნა მატარებლის მოსვლა და მხოლოდ მაშინ გაელვიძა, როცა ვაგონის კარები დაიკეტა. მერხიდან წამოვარდა, მაგრამ ნასვამი და ნამძინარევი რომ იყო, ბანცალ-ბანცალით წამოვიდა, რალაცას წამოედო და ასფალტზე ცხვირპირით დაეცა. მეტი არაფერი დამინახავს, რადგან მატარებელი დაიძრა და წავიდა. ეს შემთხვევა შემდგომ სადგურამდეც არ მეხსომებოდა-მეთქი, ვუთხარი (თან დავუმატე, ძალიან გთხოვთ დამიჯეროთ-მეთქი, და იმან თავი დამიქნია), მაგრამ ამ დროს ვიგრძენი, რომ ცხვირი მტკიოდა, ისე უჩვეულოდ მტკიოდა, ცრემლებს ვერ ვიკავებდი, ერთი სიტყვით, ისე მტკიოდა, როგორც გატეხილი ცხვირი სტკივით ხოლმე. და ანაზდად მაშინ ისევ ის კაცი გამახსენდა, ბაქანზე რომ დაეცა-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, შევკრთი, ისევ ხომ არ მისაყვედურებს, ასოციალური ტიპებისა და ანტი-საზოგადოებრივი მოვლენების ერთგული ხართო.

თუმცა უცებ გაიცინა, თანაც გულლიად, ბავშვურად, კბილები გააელვა და სათვალის მინებმაც გაიბრწყინეს. ნუთუ მართლა გტკიოდათ იმ ლოთის გატეხილი ცხვირი, თანაც მართლა ფიზიკურ ტკივილს გრძნობდითო, სიცვლით მკითხა, და მეც დავუდასტურე — დიახ, მართლა მტკიოდა, თანაც სწორედ ფიზიკურად-მეთქი.

სიცილით გული რომ იჯერა, ჩაფიქრდა და, არ ვიცი, მე მკითხა თუ საკუთარ თავს: ლოთის ცხვირი სად უნდა ჩავრთო, ინტერვიუში მისი ჩართვა არ შეიძლება, რადგან გაზეთის სადღესასწაულო ნომერში უნდა დაიბეჭდოს, ეს ხომ თვითონაც კარგად გესმითო... რასაკვირველია, ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო. და როცა მკითხა, კრიტიკოსებთან რა დამოკიდებულება გაქვთო, ველარ გავბედე, ორი გატეხილი ნეგნის ამხატვრის მომეტხრო, თუმცა მაქსიმალურ სიცხადესა და სიზუსტეს ვესწრაფოდი, ვცდილობდი საკითხისათვის არ გადამეხვია და არაფერი ამერ-დამერია, და საპასუხო შეკითხვა დავუსვი: ორი ჯგუფიდან რომელი კრიტიკოსები გყავთ-მეთქი მხედველობაში? ყურები ცქვიტა და მკითხა, ეს რა ჯგუფებზე მელაპარაკებითო? თუ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ვუთხარი მე, მაგალითად რომანს, ტომრის სახით წარმოვიდგინო, პირველი ჯგუფის კრიტიკოსები მას მხოლოდ გარედან მოუფათურებენ ხელს. თუ ტომარაში ჩადებულნი პრობლემა სადგისივით უჩხვლეთ ხელზე, მაშინ აღიარებენ: დიახ, არის პრობლემა, არისო. თუ პრობლემა უფრო ღრმად არის ჩამალული, მისი პოვნა, თავისთავად, არ შეუძლიათ და ამტკიცებენ, როგორც ასეთი, პრობლემა არ არსებობსო. მეორე ჯგუფი საპირისპიროდ იქცევა. ამ ჯგუფის კრიტიკოსები ტომარაში ჩადიან, შიგნიდან უკრავენ თავს და მერე შიგ ფათურობენ და იქეჭებიან და, ბუნებრივია, რომ ამისთანა წკვარამ სიბნელეში კარტოფილი ცხენის ჩონჩორიკში აერიოთ-მეთქი.

ყურნალისტი განითლდა, ჩვენი საუბრის მანძილზე იგი ხშირად წითლდებოდა, მაგრამ ასე პირველად აიღენა და, რაც ძალზე უცნაურია — კრიტიკოსებისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ მეტი აღარაფრის ცოდნა არ ისურვა, იქნებ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო (შეიძლება ლიტერატურულ კრიტიკაში თვითონაც მოღვაწეობდა ფსევდონიმს ამოფარებული), ან იქნებ ისეთმა ერთობ უხამსმა გამოთქმამ შეაცბუნა, როგორც ცხენის ჩონჩორიკია. უფრო მეტიც, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა, რადგან, ეტყობა, მისი შეხედულებები კრიტიკაზე ჩემი შეხედულებებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა, თანაც სულაც არ უნდოდა ნამჩხუბებოდა და დროც ცოტა დაგვრჩენოდა.

მან სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ახსენა და მერე მკითხა, ყველაზე მეტად რა გაღელვებთო. ამისთანა შესავლის შემდეგ ჩემთვის უმაღლესი გასაგები გახდა, რა პასუხს ელოდა ჩემგან. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციას, რომლის შესახებაც ყველანი ლაპარაკობენ, თუმცა არც იმას მალავენ, რომ არ იციან, თუ რა არის ეს, თუ ერთ კრიტიკოსს არ ჩავთვლით, რომელიც ირწმუნება, მე ვიცი, რა არისო. მაგრამ რამდენადაც ინტერვიუს დასაწყისში ჩემს თავს მტკიცე პირობა მივეცი, მოხდეს, რაც მოსახდენია, არაფერს ყურადღებას არ მივაქცევ და მხოლოდ სიმართლეს ვიტყვი-მეთქი, ვუპასუხე. ყველაზე მეტად ის მომენტი მალეღვებს, როცა რომელიმე ჩემი გმირი კვდება, და უცნაური გრძნობა მეუფლება, თითქოს შემეძლოს მისი გადარჩენა, მაგრამ მაინც — უნდა გამიგოს! — მაინც არ ძალმიძს ამის გაკეთება-მეთქი. სერიოზულად დამინყო დარწმუნება, მე მესმის თქვენით, მთელი ჩვენი საუბრის მანძილზე პირველად აუჩუყდა გული და მკითხა, ასეთ შემთხვევაში რას შვრებითო. ვუთხარი, არაყს ვსვამ-მეთქი. ამან აშკარად შეაცბუნა და კითხვა გამიმეორა, სწორად გაგიგეთ თუ არაო. როცა დავუდასტურე, გაუბედავად ჩაილაპარაკა — ოღონდ ნუ გენყინებათ და ეს ფაქტი ერთგვარად ხომ არ შეურაცხყოფსო

შემოქმედების სინძინდეს (ეტყობა, თავს იკავებდა და მოვლენებს თავიანთ სახელებს არ არქმევდა)? ძალიან შესიამოვნა, რომ სწორედ ეს ორი სიტყვა იხმარა — შემოქმედების სინძინდე, თუმცა იძულებული გავხდით მისთვის ცოტა მეწყენინებინა, რამეთუ „შემოქმედების სინძინდეს“ ჩემი აზრით, ეს სულაც არ შეურაცხყოფდა.

ეროვნული

სანამ ყავას ვადუღებდი, რადგან ორივენი დავიღალეთ და ურყავნივში რაღაც დოპინგს გვთხოვდა, ახალგაზრდა ჟურნალისტი უბის წიგნაკში გაკეთებულ თავის შენიშვნებს გადაავლო თვალი და, ეტყობა, შედეგებით არცთუ ძალიან კმაყოფილი დარჩა, ამიტომ იყო, რომ ყავის სმისას შენიშნა, ჩემი აზრით, ინტერვიუში ძალზე ცოტაა კონკრეტული ფაქტი და საერთოდ ნაკლებ საქმიანია, ვფიქრობ, ჩვენი საუბრის მთავარი ნაკლი სწორედ ამაში მდგომარეობს, და რედაქციაშიც, ალბათ, ასე მიიჩნევენო. დავინტერესდი, რის გაკეთება შეიძლება თქვენს სასარგებლოდ და ჩვენი საერთო ქმნილების, ესე იგი, ინტერვიუს სასარგებლოდ-მეთქი. პოდა, ისიც მთხოვდა და მევედრებოდა, „ზეცაში ნუ დაფრინავთ, დედამინაზე დაეშვი-თო“. მისი თხოვნა შევიწყნარე და არაფერი ვთქვი იმის შესახებ, რომ ჩემი ჩანაფიქრი უმთავრესად ძილში იბადება, როცა სამ განზომილებაში გამომწყვდეულად არა ვგრძნობ თავს, — დუმილი ვარჩიე, რადგან შეიძლე-ბოდა მასაც და რედაქციასაც ეს წმინდა მისტიკად ან უკეთეს შემთხვევა-ში სიცრუედ მოსჩვენებოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ მისდამი კეთილად ვიყავი განწყობილი და ვცდილობდი, იმედი არ გამეცრუებინა, იმედი (და ეს მხოლოდ შემდეგ გავიგე) მაინც გავუცრუე, რადგან უკანასკნელ ორ კითხვას ისე ვერ ვუპასუხე, როგორც თვითონ (და უნდა ვივარაუდოთ, რომ მით უმეტეს რედაქციაც) მოელოდა ჩემგან. მაგალითად, როცა მკითხა, რა საინტერესო შეხვედრები გქონდათ უკანასკნელ ხანსო, არ მიაბზნია იმ კონტაქტების შესახებ, მოძმე რესპუბლიკელ კოლეგებთან რომ მქონდა, ან ამას წინათ ჩატარებულ მკითხველთა კონფერენციის შესახებ, სამაგიეროდ გულუბრყვილო აღტაცებით შევძახე, სწორედ გუშინ გარეულ ტახს შევხვდი-მეთქი. ჟურნალისტი თანდათანობით უფრო და უფრო ილუშებოდა (რაც ენად გაკრეფილმა გვიან შევნიშნე), ხოლო მე დაწვრილებითა და შთაგონებით ვყვებოდი, როგორ მოხდა ეს შეხვედრა: როგორ აღმოვჩნდი ერთმანეთის პირისპირ სულ რაღაც ოთხი-ხუთი მეტრის მანძილზე და ერთურთს მიშტერებულნი გავშეშდით; რომ პრაქტიკულად — როგორც თვითონაც შეეძლო წარმოედგინა — ყველაფერი იმ სიახლოვეს ხდებოდა, რა სიახლოვეზედაც ბუნებაში ცოცხალი ტახი მანამდე არასოდეს მენახა, რომ არათუ ვგრძნობდი მის მძაფრ სიმყრალეს, არამედ ლურჯ ნაპერწკლებსაც ვხედავდი მის შავად მოელვარე და ამის გამო თითქოსდა ეშმაკურ თვალებში, რომ თითქოს ნერვებით ვებრძოდით ერთმანეთს და ნერვებმა მაინც ტახს უღალატა და არა მე — ას ოთხმოცი გრადუსით შეტრიალდა და გაქრა. ჩემამდე მხოლოდ ქშენა და ტოტების ლანალუნია აღწევდა და იმ მომენტში მთელი სისავსით შევიგნე, რომ ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო შეხვედრა, თუ ყველაზე საუკეთესო არა, ერთ-ერთი საუკეთესო მაინც.

და მხოლოდ იმ წამს გავაკეთე ის, რაც გაცილებით ადრე უნდა გამეკეთებინა, — ჟურნალისტს გადავხედე და დავინახე, რა მოლუშული იჯდა. უფრო მეტიც, მივხვდი, რომ საძაგელი ეგოისტი ვიყავი, რომლის გულისთ-

ვისაც ამ ახალგაზრდა ენთუზიასტს რიგიდან მურგალემდე ამოდენა გზა გამოეწვლია, მატარებელსა და ავტობუსში ეჯაყჯაყა, რადგან არ გამართლებია და კენჭისყრით აქეთ გამომგზავრება მას რგებია: განა ყოველივე იმისგან, რაც მე ვილაპარაკე, შეიძლება ინტერვიუ გამოვიდეს, ისიც საზეიმო ნომრისათვის? არავითარ შემთხვევაში!

მაგრამ ტყუილად როდი ამბობენ, კუზიანს სამარე გასწორებო, განა ჩემს შეცდომებზე რაიმე მისწავლია? არა, არაფერი. განა ვცდილობდი რაიმეს გამოსწორებას? კი ვცდილობდი, მაგრამ მხოლოდ თეორიულად. როცა ჟურნალისტმა უკანასკნელი კითხვა დამისვა, თუ ყველაზე მეტად რა მიწყობდა ხელს შემოქმედებით მუშაობაში, ვერ მივხვდი დამესახელებინა კარგი საყოფაცხოვრებო პირობები, ნაწარმოებების გამოქვეყნების საშუალება, უფრო მეტიც — ისიც კი ვერ მოვიფიქრე, რომელიმე იმ შესანიშნავ ადამიანთაგანი დამესახელებინა, რომლებიც მუდამ უანგაროდ მიჭერდნენ მხარს და რომელთაგან დიდად ვარ დავალებული, სამაგიეროდ სულ სხვა რაღაც ვთქვი, სახელდობრ კი — ძალღი-მეთქი!

წამით სახეზე ნათელი გადაეფინა, ალბათ, იმიტომ, რომ თვითონაც ძალღების მოყვარული იყო. ამავე დროს მომეჩვენა, რომ მასში თითქოსდა ორი ურთიერთსაპირისპირო ძალა იბრძოდა და არ იცოდა, რომელ მათგანს დაჰყოლოდა და დამორჩილებოდა. და თუმცა (ამის მიხედვითა ძნელი არ იყო) ჩემი სიტყვები საკმაოდ გარკვევით გაიგონა, კითხვა მაინც გამიმეორა, სწორედ გავიგონე თუ არა და მართლა ძალღი გყავთო მხედველობაში? მე დავუდასტურე, ეს ასეა და თქვენ სწორედ რომ ზუსტად გავიგონიათ-მეთქი. უნებური სიცილი თუ ყიყინი აღმოხდა. შეირხა, თითო სათვალე ისევ გაისწორა და ინება გაეგო: საინტერესოა, როგორ ვლინდება ეს და საერთოდ რაში შეიძლება გამოვლინდესო? მე ვუთხარი, რომ არც ერთ სულიერ არსებას თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი არ მიუტანია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი შემოქმედების სამსხვერპლოზე (მას მოსწონდა მაღალი სტილი), გარდა ჩემი ძალღისა-მეთქი, რადგან საკუთარი ნებით მთელი დღეების განმავლობაში შიშველ, ცივ იატაკზე ინვა მაგიდის ქვეშ, ჩემს ფეხებთან, იცავდა ჩემს შრომასა და სიმშვიდეს, მასთან ერთად გავიარე ასობით და ათასობით კილომეტრი, გზაში ვიგონებდი რომანის თავებს, მთელ რომანებსაც კი, ის კი სულაც არ მიშლიდა ხელს, პირიქით, ყურადღებითა და პატივისცემით ისმენდა ყველაფერს, რის თქმაც აზრად მომივიდოდა. უფრო მეტიც — როცა მუშაობაში გართულს საოცარი თავისუფლება მეუფლებოდა, რასაც (თუკი ტერმინი აუცილებელია) შემოქმედებითი ეიფორია შეიძლება ეწოდოს, დღე-ღამის ნებისმიერ დროს ძალღი მზად იყო ჩემთან ერთად გაეყო სიხარული, და როცა შეზარხოშებულივით განუწყვეტლივ ვიმეორებდი ხმადაბლა რომელიმე ლექსის სტრიქონს ან გამოთავყვანებამდე ვდილინებდი რომელიმე უბრალო მოტივს, ძალღი არასოდეს მოითხოვდა, ჩამასუნთქეო. უფრო მეტიც. როცა ტყეში დავსეირნობდი და ხმამაღლა ვმღეროდი რაღაც ამის მსგავს სისულელეს:

ყოჩაღ, ჩემო ლამაზო, კარგო, ენამზიანო,
 ვიცხოვროთ და ვიხაროთ, შვილნი დავაფრთიანოთ... —
 ანდა პროგრამულ რამეს, ვთქვათ, ასეთს:
 ვინც დაეცა, დაეცა, ჩვენ კი ვცხოვრობთ, ძვირფასო,
 დროშა მაღლა გვიჭირავს, ძირს არ დავხრით არასდროს,

ვისაც ახსოვს ცოლი, შვილი, ოჯახი და ფუძე,
ჩვენს გზას ნუ დაადგება, თუ ამას ვერ გაუძლებს, —

ძალს აზრადაც არასოდეს მოსვლია, ეჭვი შეჰპარვოდა, რომ ისე არ ვიქცეოდი, როგორც უნდა მოვქცეულიყავი: თასმაზე გამობმული ჩემს გვერდით მოხტოდა და შემეძლო მუდამ ის მეკეთებინა, რაც მომეპრიანებოდა, ხარბად, მთელი მკერდით დავწაფებოდი თავისუფლებას და ამავდროს მეგრძნო თავდაჯერებულობა, რასაც სხვა ცოცხალი არსების ჩვენს გვერდით ყოფნა გვანიჭებს ხოლმე, — და სავსებით შესაძლებელია, რომ ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთები, თუ ყველაზე ბედნიერი არა, ერთ-ერთი უბედნიერესი მაინც...

ასე ვუთხარი და როცა სათქმელს მოვრჩი, სიმპათიურ მოღვაწეს სათვალის მიღმა თვალები ისე დათაფლულად და ტკბილად უყუყუნებდა, ეჭვი შემეპარა, ჩუმად და უხმაუროდ, სხვებისაგან მალულად, კრიტიკისა და ინტერვიუს გარდა კიდევ სხვა რამესაც ხომ არ წერს-მეთქი. თვალები ისევ უბრწყინავდა, როცა მთხოვა: ხომ არ შეიძლება, ის გასაოცარი ძალის ვნახო. საერთოდ ჩემს ქოფაკს უცხო ხალხი არ უყვარს, თუმცა ჟურნალისტიკისთვის არც უკბენია და არც შეულრენია, რითაც დაამტკიცა, რომ იგი კარგი კაცი იყო, თუმცა კი დღე ამოდ დაკარგა, რამდენიმე საათი მეც ნამართვა და თან არც ის დამალა, რომ იმედი ვერ გავუმართლე. მე და ჩემმა ძალმა უკანასკნელ ავტობუსზე გავაცილეთ და იგი გაემგზავრა.

თავისთავად ცხადია, ინტერვიუ არც საზეიმო ნომერში დაბეჭდილა და არც ჩვეულებრივში. არ ვიცი, ამ შემთხვევამ რაიმე გაკვეთილის როლი შეასრულა თუ არა მის ცხოვრებაში, მე კი უდავოდ შევიძინე გარკვეული გამოცდილება, ესე იგი, მივედი დასკვნამდე, რომ ჟურნალისტები, ისევე როგორც ქალები, ცდილობენ თავიანთი „მსხვერპლი“ თავიანთ ხატად და მსგავსად გამოძერწონ, ამიტომ ყველაზე გონივრულია, ეს ილუზია მაინც არ მოუსპო მათ. ეტყობა, არც შევმცდარვარ, რადგან ჩემი შემდგომი ინტერვიუები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იბეჭდებოდა.

თუმცა დასასრულ გულისტკივილით უნდა ვაღიარო, რომ წინათგრძნობამ უნამუსოდ მიმტყუნა, თანაც, უნდა ითქვას, ყველაზე კრიტიკულ მომენტში. მაშინ, როცა უნდა გავეფრთხილებინე, საფრთხე გემუქრებო, მოლაღატურად დუმდა, რამეთუ, როგორც არვიდ გრიგულისმა ბრძანა, ადამიანს მისთვის ნასროლი ტყვიის ზუზუნნი არ ესმის.

ტყვიის ზუზუნნი არც მე გამიგია იმ საბედისწერო ჟამს, როცა მწერალთა კავშირის სამდივნოში ჩემთან ახალგაზრდა, ქერათმიანი ქალი მოვიდა, რომელიც შემდგომში, — თავზარდამცემი სიტყვა „მკვლელი“ რომ არ ვიხმაროთ, რაც არასგზით არ ესადაგება ამ ტურფა და ნაზ არსებას, — ასე ვთქვათ, ჩემი სიკვდილის მიზეზი გახდა. მოვიდა და გამეცნო, მითხრა, მუზეუმიდან ვარ და ექსპოზიციისათვის მწერალთა ხელნაწერებსა და ნივთებს ვაგროვებ, ამასთან დაკავშირებით თქვენგანაც მინდა ზოგი რამ მივიღო. ვუპასუხე, სრულად მაქვს შეგნებული თქვენი აზოცანა და მისია და მაინც ამ საქმეს წინ ერთი წინააღმდეგობა ელოება-მეთქი. სახეში შემომხედა და მკითხა: რა წინააღმდეგობაო? ვუთხარი, ჯერჯერობით, როგორც თვითონაც ხედავთ, ცოცხალი ვარ-მეთქი. მაშინ სიცილით შესძახა — „აჰა!“ და დაუმატა, არ არსებობს ისეთი წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვაც არ შეიძლებოდესო. თუმცა ქალი აღერ-

სიანად იცინოდა და შემპარავად მელაპარაკებოდა, უნებურად შევკრთი, რაც, ეტყობა, არც მას დარჩენია შეუნიშნავი, რადგან დაუყოვნებლივ მი-
თხრა, ეტყობა, სწორად ვერ გამიგეთ, თქვენთვის ცუდი კი არა მსურს, ღმერთმა დამიფაროს, თქვენს სიცოცხლეს როდი ხელვყოფთ. ჩემი ნათქ-
ვამი მხოლოდ და მხოლოდ იმ აზრით უნდა გაიგოთ, რეჟიმულური ცო-
ცხალი მწერლების მასალებსაც აგროვებს, რათა დროთა განმავლობაში
არაფერი დაიკარგოს, არ დაიღუპოს და მომავალი თაობებისათვის შემოი-
ნახოს, რადგან არიან შეუგნებელი ინდივიდები, ისინი წვავენ და ყრიან
ნივთებს, რომლებიც, დრო რომ გაივლის, უდიდეს ღირებულებას იძენენ.
ამავე დროს მუზეუმი ითვალისწინებს მწერლის პიროვნებისა და მისი შე-
მოქმედებითი პროცესისადმი თანამედროვეთა დიდ ინტერესს და ცოცხა-
ლი ლიტერატორების სისტემატურ და პერიოდულ გამოფენებს აწყობს,
ერთ-ერთ ამნაირ უახლოეს გამოფენაზე კი თქვენი ექსპონირება გვაქვს
განზრახული.

შეშინებულმა ვკითხე, მცდარად ხომ არ მესმის თქვენი ნათქვამი-
მეთქი. მან კი მომიგო, სულაც არა, ამჯერად სავსებით სწორად გესმი-
თო — მუზეუმს უნდა, რომ თქვენ გამოგფინოთ, სხვა სიტყვებით რომ
ვთქვათ — თქვენი ხელნაწერები, წერილები, ფოტოსურათები, პირადი ნი-
ვთები და ასე შემდეგო. კუთხეში მიმწყვდეულმა ვალიარე, ძველ ხელნა-
წერებს ხშირად ცეცხლში ვყრი, ჩემს სახელზე გამოგზავნილი ბარათების
საჯაროდ გამოფენა უხერხულად მიმაჩნია, ხოლო პირადი ნივთები, სამ-
ნუხაროდ, ჯერჯერობით თვითონ მჭირდება-მეთქი. ქერთმიანი თავი
კეკლუცად დახარა, საამოდ გამიღიმა და მითხრა, ერთგვარად შემოძლია
გავიგო თქვენი, ჩემის აზრით, გადაჭარბებული მოკრძალება, თქვენ კი,
თქვენის მხრივ, მეც უნდა გამიგოთ: მუზეუმს მხოლოდ წლისა და ნახევარ-
რი წლის კი არა, კვარტალური გეგმაც აქვს, და მე, როგორც მეცნიერმა
მუშაკმა, ამას ანგარიში უნდა გავუწიო.

მზად ვიყავი, პატივისცემა გამომეხატა მუზეუმის გეგმებისადმი, თუ-
კი ისინი მე პირდაპირ არ შემეხებოდა, რაშიაც ქალს გულახდილად გამო-
ვუტყდი. მაშინ მან ხმადაბლა წარმოთქვა რამდენიმე ფრაზა, რომლები-
თაც მომმართავდა არა მე, არამედ კულტურული ადამიანის კეთილგო-
ნიერებას, და განაწყენებულს ქვედა ტუჩი უცახცახებდა. ქალი ლაპარა-
კობდა ლიტერატურის პუმანურობასა და უმაღლეს ინტერესებზე, რაც
ყველა წვრილმანსა და პიროვნულზე მალლა დგას, და ჭეშმარიტი გრძნო-
ბითა და შთაგონებით წარმოთქმული ეს სიტყვები მოწმობდნენ, რომ მი-
სი სახით საქმე მქონდა პატრიოტსა და ენთუზიასტთან, რომელიც ერთი
ნაბიჯითაც არ დაიხვეს უკან და ლიტერატურის ინტერესებისათვის სამ-
კვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გადაიხდის. შემეძლო ბედისთვის სამდუ-
რავი მეთქვა, რომელმაც მუზეუმის ეს თანამშრომელი მომივლინა, მაგ-
რამ არ შემეძლო მისით არ აღვტაცებულიყავი. და თითქოს იგრძნო, რომ
ჩემი სიმტკიცე შერყეული იყო, ახლა პირადად მე მომმართა, მითხრა,
თქვენს ნაღვანს უდიდეს პატივსაც ვცემ და თქვენგან მხოლოდ ერთ რამეს
ვითხოვ — ჩემს შრომასაც ოდნავი პატივი ეცითო. ეს რომ მითხრა, უნე-
ბურად წარმოვიდგინე, როგორ შევხედავდი იმ ადამიანს, მუშაობაში ხელს
რომ შემეშლიდა — დიახ, მე მას არამზადად და ბოროტმოქმედად ჩავ-
თვლიდი და ჩემი აზრი უნებურად ასე გაგრძელდა: ახლა ამ ახალგაზრდა
ენტუზიასტ ქალს გზაზე გადავედობე, უფრო მეტიც — გაქანების საშუ-

ალებას არ ვაძლევ, ხელს ვუშლი, თუმცა ამას ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ და ავი განზრახვის გარეშე ჩავდივარ-მეთქი. და როცა ამ აზრამდე მივედი, ვიგრენი, რომ ფარ-ხმლის დაყრას ვინყებდი, მან კი თავის მხრივ, როგორც დაკვირვებულმა ფსიქოლოგმა, მაშინვე შენიშნა ეს კრიტიკული მომენტი, სახე უმაღლესად გაუბრწყინდა და მკითხა, როდის შეიძლება მასალებისათვის მოგაკითხოთო.

შინაპირითაა

ვუთხარი, მორგალეში ვცხოვრობ და ჩემთან მოსვლა გაგიჭირდებათ-მეთქი, რამაც ის, ჩემი ვარაუდის საწინააღმდეგოდ, სულაც არ შეაშფოთა: ეს ენერგიული და ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანი არავითარ წინააღმდეგობას არ სცნობდა. მაგრამ, ალბათ, იმის კი ეშინოდა, ვაითუ გული აიცრუნოს და დაპირება არ შემისრულოსო. ასე რომ მცირე კამათის შემდეგ შევთანხმდით, რომ „მასალებს“ დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ თვითონ ჩავუტანდი, როცა რიგაში საგამომცემლო საქმეებზე ჩავიდოდი.

ამ დაპირებით დაიწყო ჩემი ტანჯვა და ჩემი სიცოცხლის დასასრულიც მოახლოვდა — თუმცა არც იმ მომენტში და არც მომდევნო დღეებში ეს არ ვიცოდი და არც ვეჭვობდი, რადგან წინათგრძნობამ (როგორც უკვე მოგახსენეთ) მიმტყუნა და ვერ დამიფარა საბედისწერო საშიშროებისგან. მართალია, საწერ მაგიდას მთელი კვირა არ მივჯდომივარ, მაგრამ ეს იძულებითი უსაქმურობა ავის მომასწავებლად მაინც არ მიმიჩნევია. უსაქმოდ დავებეჭებოდი სახლში, თაროებზე ნივთებს ვათვალიერებდი და მაგიდის უჯრებში ვიქექებოდი, ძველი ქაღალდების დასტებს ვხსნიდი და ალბომებს ვფურცლავდი, ახლობლების სახეებსა და საკუთარ ადრინდელ სახეს ვუცქეროდი, თან უკვე ვგრძნობდი ფარულ, გულისშემკუმშველ ტკივილს და განშორებით გამოწვეულ სევდის მსგავს რაღაცას, თუმცა ჯერ კიდევ ვერ ვამჩნევდი მძიმე აპათიას, რომელმაც უცებ შემიპყრო და სამუდამოდ დამეუფლა. ჩემს ნივთებში ისეთ რაღაცას ვეძებდი, რის გამეტებაც არ დამენანებოდა, მაგრამ რაც უფრო მეტს ვარჩევდი და ვფურცლავდი, მით უფრო მძიმედ და ტკბილად მეხვეოდა გარს საკმეველივით წარსულის კვამლი, რომელიც საკუთარი თავის ნაწილად მიმაჩნდა, და ისეთს ვერაფერს ვპოულობდი, უმტკივნეულოდ რომ მიმეცა, გულიდან უსისხლოდ მომეგლიჯა.

ბოლოს ხელნაწერებამდე მივალწიე და იმათ დავუნყე ფურცვლა, გაყვითლებულ, კიდევებშემოცვეთილ, უკვე თითქოსდა სხვისი ხელით აჭრელებულ ფურცლებს, რომელთაც არათუ ასოები და სიტყვები, სხვადასხვა წვრილმანი შემთხვევებისა და მცირე შეჭირვებათა ნიშნებიც შემოენახათ, რომლებიც უცხო ადამიანს არაფერს ეუბნებიან და არც შეიძლება უთხრან რამე, ყოველ შემთხვევაში იმას მაინც არა, რითაც ჩემთან არის ეს დაკავშირებული. ერთ ფურცელს ჯერ კიდევ აჩნდა ჩემი პირველი კატის ნაკვალევი. იმის შემდეგ კიდევ მყავდა ოთხი კატა, მაგრამ არც ერთი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა, რადგან, როგორც ხალხში ამბობენ, არ შეიძლება კატა მდინარეში აბანავო, მე კი ამას ვაკეთებდი. ქაღალდზე აქა-იქ მოწაბლისფრო ლაქები ჩანდა, იმ ადგილებს რომ მიუთითებდა, სადაც მუშაობა მიძნელდებოდა და კალამს გვერდზე გადავდებდი ხოლმე, რათა ყავა მომედუღებინა. მაგრამ ჭიქებისა და თითების გადღაბნილი ანაბეჭდები იმაზე ხშირად მხვდებოდა, ვინემ ვისურვებდი, და თუმცა ჭიქაში უმთავრესად ალუბლის წვენი, ჩაი ან მინერალური წყალი „ესენტუკი—

17“ ესხა, უცხად გავიფიქრე, რომ წყურვილის მოკვლის ეს მრგვალი ბეჭდები უცხო თვალს შეიძლებოდა საეჭვოდ, იქნებ საძრახისადაც კი მოსჩვენებოდა. მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი და ჩემთვის მნიშვნელობა მქონდა, ან ახლა რას ფიქრობდნენ ადამიანები ჩემზე, ან მომავალში რას იფიქრებდნენ (ეს მხოლოდ შემდგომში გახდა ჩემთვის სულ ერთი), და შუვერიდან ერთიმეორეზე მიყოლებით დავინყე ყველა იმ ფურცლის წმინტება, რომლებსაც რაღაც უცხო ლაქა აჩნდა, თუმცა ეს ლაქები უცხოდ შეიძლებოდა მოსჩვენებოდა გარეშე ადამიანს — ჩემთვის ისინი ჩემი ცხოვრების ნაწილი გახლდათ, რადგან, როცა მშიერი ვიყავი, მუშაობისას ვჭამდი, როცა მწყუროდა, ვსვამდი, ცრემლები რომ მომერეოდა, ვტიროდი, კიდევებზე ვხატავდი, ფურცლის შუაგულში კი მზესუმზირას გროვას ვყრიდი — ერთი სიტყვით, ვაკეთებდი იმას, რის გაკეთებაც მაგიდასთან მომეპრიანებოდა, არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემი სურვილებისა და გულისთქმის, სისუსტისა და ნაკლის საჯაროდ გამოფენა მომიხდებოდა ოდესმე.

ორასამდე შედარებით ხეირიანი ფურცელი გადავარჩიე, დაახლოებით იმდენი, რამდენიც ნორმალური ზომის საქალაქულ ეტევა, და მუზეუმის თანამშრომელს მივუტანე, მკითხა, სულ ეს არისო? — დიახ, სამწუხაროდ, ეს არის-მეთქი, ვუთხარი მე, მაგრამ ქალი უცებ ისე მოიღუშა, რომ ჩემდა უნებურად ფრაზა დამოკიდებული წინადადებით დავამთავრე: „... რის თავმოყრაც ჯერჯერობით შეეძელი“. და წინადადების ეს ნაწილი, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, წინადადების ნაწილი კი არა, ერთადერთი სიტყვა, იმედის მომცემი ჯერ ჯერობით გახდა საბოლოოდ ჩემი დაღუპვის ქეშმარიტი დასაწყისი. იძულებული გავხდი, შევპირებოდი, რომ ერთ კვირაში „დამატებით მასალებს“ მივუტანდი.

ცხადია, ეს ჩემი მხრივ უნამუსობა იყო, რადგან გადავწყვიტე მეტი არაფერი მიმეცა. მე ვირწმუნე და რამდენიმე დღეში ეს რწმენა საბოლოოდ განმიმტკიცდა კიდევ — არაფერი მქონდა ისეთი, ადვილად რომ შეველეოდი, ასე რომ ახალი დაპირება უფრო სასონარკვეთით იყო ნაკარნახევი, ვინემ გულწრფელი თანხმობით. მუზეუმის სტუმართმოყვარე კედლებში მეტად აღარ გამოვჩენილვარ. მაგრამ თუ იმის იმედი მქონდა, რომ ამისთანა ბავშვური ფანდის წყალობით მუზეუმის მუშაკს თავიდან მოვიშორებდი, მწარედ ვცდებოდი. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრიდან რვა დღის შემდეგ ტელეფონის ზარი გაისმა. საქალაქთაშორისო ზარი იყო რიგიდან, და ყურმილში ჩემი ნაცნობის სასიამოვნო, მელოდირი ხმა გაისმა, რომელმაც თავაზიანად და მაინც დაჟინებით შემახსენა, რაზედაც მოვილაპარაკეთ და მორიდებულად მისაყვედურა, ის ხელნაწერები, მუზეუმს რომ გადმოეცით, საკმაოდ ხარისხიანი არ გამოდგა, კერძოდ კი — ერთობ არასრული და ფრაგმენტულიაო. და, რაკი სიმართლის თქმა ტელეფონით საუბრისას გაცილებით უფრო ადვილია, ვინემ როცა ადამიანს თვალეში უცქერი, სიმხნევე მოვიკრიბე, რაც შეიძლება დელიკატური გამოთქმები შევარჩიე და ვაგრძნობინე, ჩვენი მოლაპარაკება გაუქმებულად მიმაჩნია-მეთქი, და ისეთი საბუთები მოვიტანე, თუმცა ძალზე გულნატკენი დარჩა, სავსებით გასაგებად ჩათვალა, რამაც ნებისმიერი შიში გამიყუჩა.

ჩავთვალე, რომ საფრთხემ ჩაიარა, და დავმშვიდდი (ესეც ჩემი შეცდომა იყო).

უფრო მეტიც — თანდათანობით გონს მოვეგე, სულიერი წონასწო-

რობა აღვიდგინე და საწერ მაგიდასთან ჩხირკედელაობას შევუდექი. თუმცა დასასრული უკვე ახლოს იყო.

და ერთხელ, დღის პირველ ნახევარში, როცა სხვენის ოთახში ვმუშაობდი, შემოსასვლელთან დაბმულმა ძაღლმა გაშმაგებული ყევა ატეხა. რადგანაც შინ მხოლოდ მე ვიყავი, დაბლა ჩავედი, თან ხელში ანგარიშ-მიუცემლად მეჭირა ავტოკალამი — მინდოდა გამეგო, ვინ და რა რესაქტებზე მოვიდა-მეთქი. თავდაპირველად ჭიშკართან მდგომი ნარინჯისფერი „ყიგული“ დავინახე, მერე ეზოში შევნიშნე ნაცრისფერ კოსტიუმიანი ქალი, რომელიც იდგა და სახლს გამოსცქეროდა — ეტყობა, ძაღლის ეშინოდა და გზის გაგრძელება ვერ გაებედა.

ეს ის ქალი იყო, მაგრამ ახლომხედველი ვარ და ეს ძაღზე გვიან შევნიშნე, როცა უკან დახევა უკვე შეუძლებელი იყო ისე, რომ ლაჩრულ გაქცევას არ დამსგავსებოდა. მის შესახვედრად გავემართე. მისალმება რომ დავაპირე, მაშინლა შევნიშნე, რომ ავტოკალამი ისევ მარჯვენა ხელში მეჭირა. კალამი ქალმაც შენიშნა და თვალები წამოენთო — მე ეს აშკარად დავინახე. და თუმცა, როგორც ცნობილია, ამას წინ უსწრებდა ჩვენი არცთუ ძალიან სასიამოვნო საუბარი ტელეფონით, ქალს თავი თავისუფლად ეჭირა და საყვედურებით არ ავუვსივარ, მხოლოდ თავაზიანად და ერთგვარი ცბიერებით შემახსენა დანაპირები, ერთი სიტყვით, თავი ისე ეჭირა და ისე იქცეოდა, როგორც უნდა იქცეოდეს და ეჭიროს თავი სტუმარს.

მე კი, პირიქით, ყოვლად უვარგისი მასპინძელი გახლდით. არა მხოლოდ შინ არ შევიწვიე, როგორც წესი და რიგია, უფრო მეტიც — ვუთხარი, სახლში რემონტი მაქვს და თქვენთვის ვერაფრის პოვნა ვერ შევძელი-მეთქი (ეს აშკარა სიცრუე იყო, რასაც ქალი მშვენივრად მიხვდა). მაპატიეთ-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ამგვარ პირობებში ვერაფერს გარგებთ, თუმცა ძალიან კი მწყდება გული, რომ ამსიშორე გზა ამაოდ გამოგივლიათ-მეთქი. ასე ვუთხარი იმით გულმოცემულმა, რომ ზურგს, როგორც იტყვიან, ძაღლი მიმაგრებდა.

შევნიშნე, რომ ჩემს ამ სიტყვებზე ქალმა ჩემს ავტოკალამს მიაპყრო მზერა, უფრო მეტიც, დავინახე, როგორ გაუფართოვდა გუგები, წამისწამ როგორ უფართოვდებოდა უფრო და უფრო და როგორ ნთქავდნენ ისინი ფერადი გარსის მონაცრისფრო სილურჯეს, ასე რომ თვალები თანდათან მთლად შავი გაუხდა. და როცა მე ლაპარაკს მოვრჩი, ქალს კი თვალები ისე გაუშავდა, რომ ანტრაციტის ორ ნატებს დაემსგავსა; ოდნავ ჩახლერილი, მოგუდული ხმით მკითხა, რას იტყვით ჩემს წინადადებაზე, რომ მუზეუმს თქვენი ავტოკალამი გადასცეთო.

ამაზე ვუპასუხე, მაშინ მე რით უნდა ვწერო-მეთქი. ჩაიცინა და მკითხა, განა თქვენი მატერიალური შესაძლებლობა იმის საშუალებას არ გაძლევთ, რომ ახალი კალამი იყიდოთო? ჩემი მატერიალური შესაძლებლობა, როგორც ქალმა თქვა, კი მაძლევდა, თავისთავად ცხადია, ამის საშუალებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ამ კალამს შევეჩვიე. და მაინც, როგორც ადამიანთა უმრავლესობას, მეც მინდოდა იმაზე უფრო კეთილშობილი გამოვჩენილიყავ, ვინემ სინამდვილეში გახლდით. თორემ ამ სიმბათიურ თანამშრომელს ეგონებოდა, რომ მე ნივთების მონა ვარ, ფეტიშიზმს ვაღიარებ, რასაც ჩემს ნაწარმოებებში სასტიკად ვგმობ. კალამი ერთხანს კიდევ მეჭირა ხელში, თითებით კიდევ ერთხელ შევიგრძენი ჩემთვის ნაცნობი მისი გლუვი კორპუსი, რომელიც, როგორც მეჩვენებოდა,

დროთა განმავლობაში შეთვისებოდა ჩემს ხელს, და მუზეუმის თანამშრომელს გავუწოდე.

ქალმა კალამი სასწრაფოდ გამომართვა და მერე მკითხა, ქვითარი ხომ არ მოგართვათო. ქვითარი მე არ მინდოდა. მე აღარაფერი მინდოდა. გავტრიალდი და შინ შევედი. ზურგში დამადევნა, რეგულარულად დაგირეკავთო: თუ რაიმე აღმოაჩინოთ მუზეუმის შესაფერისი, განიხილეთო.

მგონი, არაფერი მიპასუხნია, თვითონ კი დაპირებას მისრულებდა — საშუალოდ სამ დღეში ერთხელ, მერე ყოველდღე მირეკავდა რიგიდან, ყოველთვის ბოდიშს მიხდიდა და თავაზიანად მეკითხებოდა, სამუშაოს ხომ არ მოგწყვიტეთო. ვეუბნებოდი, არა, ხელი სულაც არ შეგიშლიათ-მეთქი, და სულაც არ ვტყუოდი, არ ვტყუოდი უბრალოდ იმიტომ, რომ აღარ ვწერდი. მერე მეკითხებოდა, ჩემთვის, ესე იგი, მუზეუმისთვის, ხომ ვერაფერი აღმოაჩინეთო, მე კი ყოველთვის ვპასუხობდი, თქვენი სურვილი ნუთითაც არ მავინყდება და პირველი შესაძლებლობისთანავე, ასე თუ ისე, აუცილებლად დაგეხმარებით, ესე იგი, მუზეუმს დაგეხმარები-მეთქი.

მერე მომბეზრდა ერთი და იმავეს ლაპარაკი და, როცა კვლავ ზარის გაბმული ნკრიალი გაისმა, ყურმილი უმცროს ქალიშვილს ავაღებინე. მკითხა, რა ვუთხრა, თუ მუზეუმიდან რეკავენო, მეც ვუთხარი, რაც უცებ პირზე მომადგა: უთხარი, დედას ძინავს-თქო. ჩემი საქციელი რომ უკიდურესად არაპედაგოგიური არ ყოფილიყო, მართლა გავედი ჩემს ოთახში, ტახტზე დავწექი და ჭერს უაზროდ მივაჩერდი. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს ვინექი ასე, რომ ჩემი ქალიშვილი შემოვიდა და მითხრა, ისევ რიგიდან რეკავენ და შენ გკითხულობენო. მე უკვე აღარ მენალვლებოდა, რას იფიქრებდნენ ჩემზე, და შვილს ვთხოვე, უთხარი, რომ ჯერაც ძინავს-მეთქი. ჩემი ქალიშვილი ისევ შემოვიდა და მითხრა — მუზეუმიდან კითხულობენ, კიდევ რამდენ ხანს იძინებსო. მაშინ გამიელვა აზრმა: იქნებ ავდგე, ტელეფონთან მივიდე და ვუთხრა, ჩემს სანერ მაგიდას მოგცემთ, რადგან მას შემდეგ, რაც სანერ-კალამი აღარ მაქვს, პრობლემამ — რაზე ვწერო — ყოველგვარი აზრი და აქტუალობა დაკარგა-მეთქი.

მაგრამ წამოდგომა მიჭირდა, ან რა საჭირო იყო, და შვილს დავავალე ეთქვა, არ ვიცი, რამდენ ხანს იძინებსო.

გვიან საღამოს მაინც წამოვდექი და სარკეს რომ ჩავუარე, შიგ სრულიად შემთხვევით ჩავიხედე: სახე ძველი პერგამენტივით ჩამყვითლებოდა, თმა ხელოვნური ბოჭკოს კონასავით ამწუნოდა, თვალები მოხარშულ თევზივით ჩამქრობოდა, ტუჩის კუთხეებში სიცოცხლე ჩამკვდარიყო, — ეს უფრო კლოუნის ნილაბი იყო, ვინემ ცოცხალი ადამიანის სახე.

ვუცქეროდი ჩემს გამოსახულებას. ისეთი შესახედავი ვიყავი, უნდა შევძრწუნებულყავი, რადგან, ასეა თუ ისე, მე ხომ ქალი ვარ, მაგრამ არაფერი მიგრძვნია. მხოლოდ წოლა მინდოდა. უკვე მთელი დღე-ღამე იყო, რაც ვინექი, მაგრამ მაინც წოლა მინდოდა, მხოლოდ წოლა. სარკიდან ისევ ტახტს დავუბრუნდი — კვლავ წამოვწექი და ჭერს მივაჩერდი. მომეჩვენა, რომ ჭერიდან თეთრი, მსუბუქი ფანტელები წამოვიდა და ჰაერში აფარფატდა. ფანტელები დაბლა ცვიოდა, ზედ მეყრებოდა და მთელი სხეული თოვლით დამეფარა.

უცებ ამ ნელ თოვაში თითქოსდა ძალზე შორეული ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. მივხვდი, რომ ისევ მუზეუმიდან რეკავდნენ, მაგრამ არც წამოდგომის თავი მქონდა და არც რაიმეს თქმისა და მხოლოდ ის მესმოდა, რას ჩასძახოდა ყურმილში ჩემი ქალიშვილი, ცრემლები რომ ახრჩობდა:

— არ არის და არც იქნება. მოხდა ის, რაც თქვენ გსურდათ, რასაც ცდილობდით — გარდაიცვალა.

მინდოდა, დამეყვირა, არა, ეს შეცდომაა, არ მოვმკვდარყარ-მეთქი, მაგრამ თოვლი გულზე მანვა და სულს მიხუთავდა. გამწარებულმა/ყელზე ვიტაკე ხელი, მკერდიდან სიმძიმეს ვიშორებდი, მაგრამ ~~სხვა~~ არ მიბრუნდებოდა. ზემოდან კი წინანდებურად მოფრიალებდნენ ~~მე~~ მაცვივოდნენ თეთრი, მსხვილი ფანტელები...

— Dzień dobry, panie, dzień dobry... — სადღაც სულ ახლოს, ჩემს თავს ზემოთ, გაისმა ძალზე ნაცნობი ტიტინი და თოვლის ფარდის მიღმა თითქოსდა ტიერის აჩრდილმა გაიელვა.

ტიერი ზემოდან დამცქეროდა, მე კი ქვემოდან შევყურებდი. მაგრამ შემდეგ საიდანღაც ხელები გამოიწვდინეს — ფრინველი გაუჩინარდა, და ისევ თეთრი ფანტელების ფარდა ალივლივდა, რომელშიც სადღაც შორს ამოცურდა ორი თვალი და ფარებივით მიახლოვდებოდა, თან ყურადღებითა და თანაგრძნობით შემომცქეროდა.

— ცოცხალი ხართ? ცოცხალი ხართ! — ხმადაბლა თქვა ვიღაცამ და მოთეთრო ქაოსში ბუნდოვნად გაიელვეს ნაცნობმა ნაკვთებმა. გამწარებით ვცდილობდი მეხსიერებაში აღმედგინა, ვინ იყო ეს გამხდარ სახიანი კაცი, მოაზროვნის მაღალი შუბლი რომ ჰქონდა. მაგრამ ჩემი გათოშილი მეხსიერება უსაშველოდ ღრმა თოვლში დაეხეტებოდა, ნისლში დაბორი-ალებდა, სადღაც წინ მქრქალი სინათლისკენ ფათურით მიიწევდა, როგორც გრძელი, ჩაბნელებული დერეფნის ბოლოსკენ. — ნუ ილაპარაკებთ! თქვენ არ უნდა ილაპარაკოთ...

არ ვიცოდი, რომ ვლაპარაკობდი ან თუ ვცდილობდი დალაპარაკებას. ყელი ისევ თითქოსდა დახშული მქონდა და საკუთარი ხმა არ მესმოდა. თუმცა მქრქალი ციმციმი თანდათანობით მინელდა, თითქოს ქარბუქი ჩადგაო, და ნაცნობსა და ამავე დროს უცნობ სახეში ვოიცებოვსკის ნაკვთები შევიცანი.

„ცოცხალი ხართ? ცოცხალი ხართ!“ — მისივე სიტყვებით მინდოდა დამეყვირა, მაგრამ არაფრის თქმა არ შემეძლო, გაღიმებას შევეცადე, მაგრამ, ალბათ, ღიმილიც ცალყბა და უსუსური გამომივიდა, ალბათ, უფრო ტკივილისაგან დაღმეჭას ჰგავდა, ვინემ სიხარულის გაელვებას, რადგან ვოიცებოვსკის თვლებში თანაგრძნობა გამოკრთა.

— ძლიერი ტკივილი იცის... — ვერ გამიგია, მეკითხება თუ მიდასტურებს, რომ ეს ასეა, თუმცა არავითარ ტკივილს არა ვგრძნობ. — გულს შემოუტევია ოდნავ... ლელდეს ჩემი სახლის წინ უნახიხართ, მელანიამ კი აქ მოგიყვანათ. ველძემაც შემოგვთავაზა თქვენი საავადმყოფოში წაყვანა და კასპარსონმაც, მაგრამ მე და მელანიას, — ვოიცებოვსკის გაელიმა, — ორ ყოჩად მედიკოსს, შეგვეშინდა, შეცდომა არ დაგვეშვა. „სასწრაფოს“ დავურეკეთ. სადაცაა უნდა მოვიდეს...

ცნობამიხდილობის ფანტასმაგორიიდან თანდათანობით ისევ სინამდვილეს ვუბრუნდებოდი.

ესე იგი, ცოცხლები ყოფილან ლელდე და ველძე, ალბათ, ვილის პერკონიცა და მარიანაც, პეტერიც და ჰუგო დუმინიც — ყველანი ცოცხლები იყვნენ და არაფერი, სულ არაფერი მომხდარა. და მე უზარმაზარი შვება ვიგრძენი. მკვეთრად შევტოკდი და კვნესა აღმომხდა: მეც მძაფრი და მწვავე ტკივილით მიბრუნდებოდა სიცოცხლე.

მ. დობრონრაპოვი



ბავშვთა აღზრდა-განათლება ბიბლიისა და წმიდა მამების სწავლებლით

თარგმნა ვასილ ბურაკაძემ

VI. თანატოლთა გარეშე

ყველაზე მზრუნველ მშობლებსაც და ყველაზე გულმოდგინე და კეთილსინდისიერ აღმზრდელთაც არ ძალუძთ განუყრელად თავიანთ აღსაზრდელებთან იმყოფებოდნენ. დღეს იქნება თუ ხვალ, უსათუოდ წარმოიშობა ისეთი ვითარება, როცა მათი ყურადღება შორდება ბავშვებს და ისინიც გარეშე გავლენას ექვემდებარებიან. თუმცა ამგვარ ვითარებათაგან დამოუკიდებლადაც მშობლები და აღმზრდელები არ უნდა ზღუდავდნენ ბავშვებს თავიანთი განუწყვეტელი მყოფობით მათს სიახლოვეს და, რომ იტყვიან, არ უნდა ცდილობდნენ მათი ყოველი ნაბიჯის განსაზღვრას. აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროა დროდადრო ბავშვებს დამოუკიდებლობა მივანიჭოთ და მარტო დავტოვოთ საკუთარ თავთან. ბავშვები ხომ მარადიულად პატარები არ იქნებიან — ისინი გაიზრდებიან, მოზრდილ ადამიანებად იქცევიან, ბუნებრივად გამოვლენ მშობელთა მეურვეობიდან და ადრე თუ გვიან იძულებულნი შეიქნებიან დამოუკიდებლად წარმართონ საკუთარი ცხოვრება. მაგრამ უნარი დამოუკიდებელი ცხოვრებისა, სხვათა შეწევნის გარეშე, თანაც, შეძლებისდაგვარად სწორი და შეცოდებებს მოკლებული ცხოვრებისა, თავისთავად როდი ეძლევა ადამიანს ზრდასრულ ასაკთან ერთად. არა, ასეთი უნარი უნდა შეიძინოს ადამიანმა, და შეიძინოს თანდათა-

ნობით, ნელ-ნელა, საკუთარი გამოცდილების გრძელი რიგით; ასეთი ცხოვრება, ისევე როგორც ყოველივე სხვაც, ადამიანმა უნდა ისწავლოს. ამდენად ესეც მშობელთა სხვა მოვალეობაა — ამ მნიშვნელოვან საქმეშიც დაეხმარონ თავიანთ შვილებს. მათს ბავშვებს ამქვეყნად მოუწევთ ცხოვრება — ამ დიდ ცხოვრებისეულ ზღვაში; მათთვის აუცილებელი იქნება ადამიანთა რთული, ხშირად მეტად დახლართული ურთიერთობების ცოდნა. და მშობლებმა წინდაწინ, ვიდრე ბავშვები ამ ცხოვრების ზღვაში შესცურავდნენ, უნდა შეასწავლონ მათ ყოველივე ეს. ამ მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია, შესაძლებლობა მიეცეთ ბავშვებს თავიანთი თანატოლების წრეში იმყოფებოდნენ.

მართალია, ბავშვების ერთობლივ-ამხანაჯური ცხოვრება ნაკლებად გამოხატავს იმ რთულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომლისთვისაც ისინი ემზადებიან, მაგრამ მაინც იგი უფრო ახლოსაა ამ უკანასკნელთან, ვიდრე ბავშვების ცხოვრება საკუთარ სახლში, მშობლებთან და და-ძმებთან, საკუთარ მშობლიურ სახლში ბავშვები უმწეო, სუსტ არსებათაგან ხშირად გადაიქცევიან ხოლმე ყოვლისშემძლე ტირანებად. მათთვის ზოგჯერ საკმარისია გაჭირვებულება, ასე ვთქვათ, ფეხების გაფარჩხვა და ბლავილი, რომ ზედმეტად მგრძობიარე მშობლები მათს ყურმოჭრილ მონებად და მსახურებად იქცენ! მაგრამ რასაც ასე ადვილად აღწევენ ბავშვები მშო-

1. გავრძელება, დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 5—6, 1999 წ.

ბელთა სახლში, იმას თითქმის ვერასდროს იღებენ ამხანაგების, თანატოლების წრეში. ასეთ ვითარებაში ისინი თვალნათლივ რწმუნდებიან იმ კეშმარიტებაში, რომ სხვათა დახმარებისა და სამსახურის იმედი მხოლოდ იმას შეიძლება ჰქონდეს, ვინც თვითონ ყოველთვის მზად არის დაეხმაროს და ემსახუროს სხვებს; რომ დათმობითაც მხოლოდ იმას დაუთმობენ ხოლმე უფრო მეტის ხალისით, ვინაც სხვა დროს თვითონაც არ ყოფილა უარზე თავისი უფლებები შეეწირა სხვათა ინტერესებისათვის. ასე რომ, თანატოლთა წრეში ბავშვებს შეეძლებათ საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სხვა აუცილებელ მოთხოვნასაც გაეცნონ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სხვათა სიტყვებიდან კი არ გაიგონ ეს, არამედ — საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით. ამხანაგთა წრეში ყოფნა ბავშვებისათვის იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ დროს მათ შესაძლებლობა აქვთ სავსებით ბავშურად იცხოვრონ სწორედ იმ ცხოვრებით, როგორც მხოლოდ მათი ასაკისათვის არის დამახასიათებელი. ამის ძალით ბავშვებს გარკვეული თავისუფლება ენიჭებათ საკუთარი პიროვნული სულიერი ძალებისა და უნარის განვითარებისათვის.

თუმცა თანატოლთა შორის ყოფნის ყველა ეს უდავო კეთილისმყოფელი შედეგი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუკი ბავშვის ამხანაგებიც კეთილზნისანი და კარგი თვისებებისა არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ურთიერთობების ნაყოფი ფრიად არასასურველი აღმოჩნდება. ისუ ზირაქის ძე ამბობს: „ვინც ფისს შეეხება, გაისვრება და მასავით შავი შეიქნება, ხოლო ვინც ამპარტავანს დაუახლოვდება, მას დაემსგავსება“ (13, 1). ღმრთივსულიერი ბრძენი სოლომონ მეფეც გემოძღვრავს: „რომელი თანა-უვიდოდის ბრძენთა, ბრძენ იყოს, ხოლო რომელი თანა-გურიობდეს (ანუ მეგობრობდეს) უგუნურთა — საცნაურ იყოს“, ანუ მათსავით განირყვნასო (იგავნი 13, 20). კვალად პავლე მოციქულთანაც ამას ვკითხულობთ: „ნუ სცთებით: განხრწნიან წესთა კეთილ-

თა ზრახვანი ბოროტნი“ (1 კორინთ, 15, 33). მართლაც, ასეც უნდა იყოს, რამეთუ, თუკი ცეცხლის ალი ერთ სახლს მოედება, შემდეგ სხვა, მეზობლად მდგარ სახლებსაც გადაედება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ძლიერი ქარიც დაუბერავს და ცეცხლის ალსა და ნაპერწყმებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადაისვრის, რის შედეგადაც ყოველივე დაიფრფლებს. ზუსტად ამგვარადვე თანატოლების ზნეობრივი ნაკლოვანებანი უსათუოდ გადაედება ხოლმე იმას, ვინც მათთან მეგობრობს, თანაც ცნობილია ისიც, რომ ცუდი ჩვევებისა და აღზრდის მქონე ბავშვები ყოველმხრივ ცდილობენ თავიანთი ბოროტი ზნე ამხანაგებსაც გადასდონ და დაიმსგავსონ ისინი! საკუთარი მანკიერებების სხვებისთვის გადაცემა მათ იმის გამოც სურთ, რომ შერცხვენა აიცილონ თავიდან, რამეთუ, როცა გარშემო ყველა მანკიერი იქნება, სასირცხვილოც, თითქოს, არაფერი აქვს ცოდვილს. ამ მიზნით ეს წახდენილი მოზარდები სიცილად იგდებენ ყოველივე ამაღლებულსა და წმიდას; ხოლო საკუთარი უბატობის, ცუდი საქციელის შემთხვევებს შეამკობენ, ალაპაზებენ და საამაყო საქციელად წარმოადგენენ; ისინი გატაცებით უყვებიან თანატოლებს თავიანთ სამარცხვინო საქმეებს, უზნეო, გარყვნილ წარმატებებსა და გამარჯვებებს თავმოსაწონ გმირობად უსახავენ, რომელსაც უსათუოდ უნდა მიბაძოს ყველამ. და აი, ასე იღვრება დამღუბველი მხამი ჯერ კიდევ მოუმაგრებელ, კეთილ გულებში ბავშვებისა!

ამასთან დაკავშირებით წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „როგორადაც სხეული იღუბება დასნებოვნებული პაერისაგან გაჩენილი ავადმყოფობით, ზუსტად ასევე ხშირად ადამიანის სულიც დიდ ზიანს განიცდის მანკიერ ადამიანებთან ურთიერთობისაგან“. როგორადაც მწარე ხეზე დამყნილი ტკბილი ნაყოფი იღებს მის გემოს და მწარე შეიქნება, ასევე უზნეო ამხანაგებთან დამეგობრებული ბავშვი თითქმის ყველა შემთხვევაში დასნებოვნდება ხოლმე მათი ნაკლოვანებებით. ეს საკუ-

თარ თავზე გამოუცდია ეკლესიის ზოგიერთ მამასა და მოძღვარს, ამიტომაც მათი სიტყვები განსაკუთრებით ღირებულია ჩვენთვის. აი, მაგალითად, რას მოგვითხრობს ნეტარი ავგუსტინე: „მე ისეთ სიბრძნეში დავეხეტებოდი, რომ მრცხვენოდა იმდენი უსირცხვილობის არქონა, რამდენიც ჩემს ამხანაგებს ჰქონდათ, დღითიდღე მე სულ უფრო ბიწიერი ვხდებოდი მხოლოდდამხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი პატიოსნებისათვის სასაცილოდ არ ავეკდე მათ და ამით უპატიო არ შევქნილიყავი მათს თვალში. ღმერთო ჩემო! შენ ხედავდი, თუ რა უსირცხვილობით და სიამოვნებით ვიდოდი მე ბაბილონის ქუჩებში და როგორ ვტკბებოდი მის ტალახში გორაობით, თითქოს ეს უძვირფასესი ბაღში ყოფილიყოს. უხილავი მტერი ფეხით მთელავდა და თავისი ნებისაებრ მატარებდა, რამეთუ მე, საწყალობელი, ყველგან სიხარულით მივყვებოდი მას“. რა იყო მიზეზი ასეთი ღრმა ზნეობრივი დაცემისა ამ, შემდგომში დიდი ადამიანისათვის? — ამ კითხვაზე თვით ნეტარი ავგუსტინე მოგვიგებს: „ჰოი, მტრულ მოგობრობავ! შენ იმდენად განრყენი ახალგაზრდა ადამიანების გულებს, რომ ისინი ხშირად ყოველგვარი გამორჩენის გარეშე და არა იმისთვის, რომ ვინმეს ზიანი მიაყენონ, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, ოდენ თავშესაქცევად და ხუმრობისათვის სჩადიან ბოროტებას! ხდებოდა ხოლმე — იტყოდნენ ამხანაგები, წამო ჩვენთან ერთად, ესა და ეს გავაკეთოთ, და მეც მივყვებოდი, და სულაც არ მრცხვენოდა ყველა იმ უჯერო საქციელის ჩადენისა!“

აი, ასე დამღუპველია უზნეო ამხანაგებას წრე, ასეთ ამხანაგთა შორის მყოფ ბავშვს იგივე ემართება, რაც გზისპირად შემთხვევით ამოსულ ხეს, რომელიც მალე იღუპება, რადგან ყველა მხრიდან გამლულები ეხებიან, ტოტებს სტეხენ და ყველა მიმართულებით ხრიან.

ამიტომაც შენსკენაა მომართული ეს სიტყვა, მზრუნველო, ნაზო დედაო! თავს მოველე ახალნერგს, ხშირად მორწყე საღ-

მართო სიტყვით, რათა არ განხმეს ცხოვრებისეულ უზნეობაში, და თუკი პირნათლად აღასრულებ შენს დედობრივ მოვალეობას, მისი ტკბილი საყოფები თავის დროზე შენს დამსახურებულ ფიქვად შეიქნება. გულმოდგინედ ირყევი ბავშვის შემოსვლებსა და გასვლებს, მის საქციელსა და ნაცნობობას. „და ყოველი საცოი დაიმარხე გულსა შინა, რომლისაგან არიან გამოსავალნი ცხოვრებისანი“ (იკაენი 4, 23). და თქვენც, ბავშვებო, ისწრაფეთ დაეხმაროთ მშობლების ამ კეთილ მზრუნველობას თქვენს მიმართ — თქვენ თვითონაც ყოველმხრივ ეცადეთ თავიდან აიცილოთ უზნეო ამხანაგებთან ურთიერთობა! უმტკიცესი კავშირიც კი გაწყვიტეთ თქვენს ყველაზე საყვარელ მეგობრებთან, თუკი რაიმე ბოროტებას და უჯერო თვისებას შენიშნავთ მათში, და თუკი ამის გამოსწორების ძალი არ გექნებათ, მოშორდით მათ, რათა მათთან ახლო ურთიერთობით უხილავად არ გადაგედოთ მათი მანკიერებები და მათი ბიწიერების თანამოზიარენი არ შეიქნათ. წმიდა ანტონი დიდი გვასწავლის: „დახვრილ სამოსიანნი იმათაც სვრიან, ვინც მათ შეეხება; ზუსტად ასევე ბოროტი ნებელობისა და უჯერო საქციელის ადამიანებიც, როცა ურთიერთობა აქვთ შეურყვანელებთან და უგვან საქმეებზე ელაპარაკებიან მათ, ლაფში სვრიან მათს სულებს სასმენელთა მეშვეობით“.

„ნუ გაერთობი უსწავლელთან (ანუ უზრდელთან), რათა არ შეურაცხყო შენი წინაპრები“, ანუ შენი მშობლები, ხოლო პირველ რიგში, თვით საკუთარი თავი, — შეგვაგონებს ისუ ზირაქი (8, 4); ხოლო სოლომონი ასე დაგვმოდვრავს: „ნუ ექმნები მოყუას კაცსა გულმწყრალსა და მეგობარსა მრისხანესა ნუ თანა-ექცევი, ნუ უკუე ისწავნე გზანი მისნი და მიიღო მახე სულისა შენისაი“... (იკაენი 22, 24—25). ამ მხრივაც, დაე, წმინდა მამების — ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვათა საქციელი იყოს ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი; რამეთუ ეს ღმრთივსულიერი მამანი სიყრმიდანვე მხოლოდ კეთილკრძალულ და მშვიდობისმოყვარე თანა-

ტოლებთან მეგობრობდნენ და არა — უტიფარ, ფიცხ და ლალ ამხანაგებთან, ანუ მხოლოდ იმათთან ამხანაგობდნენ, ვისთან ურთიერთობასაც სარგებლობა შეიძლებოდა მოეტანა მათთვის, რამეთუ კარგად იცოდნენ, რომ უფრო ადვილია მანკიერების გადაღება, ვიდრე სათნოების გადაცემა; რომ უფრო მალე სხვისი სწეულებით დასწებოვნდები, ვიდრე საკუთარ ჯანმრთელობას გადასცემ სხვას. ამიტომაც, თქვენც ბავშვებო, ისეთი მეგობარ-ამხანაგები მოიძიეთ თქვენთვის, რომელნიც ცხოვრების მძიმე ვითარებაში მტკიცე სიმაგრე და საფარველი შეიქნებიან თქვენთვის, ცხოვრების წამალი იქნებიან და რომელთაც ვერაფერს შეგიცვლით, რამეთუ ასეთი ერთგული მეგობრების შეძენით დიდ საუნჯეს მოიპოვებთ, რომელსაც ვერაფერს წაგართმევთ (ისუ ზირაქი 6, 15-16). და ეს სრული სიმართლეა.

წრფელი, წმიდა მეგობრობის მაგალითს, უდავოდ, ეკლესიის ორი უდიდესი წმიდა მამა — ბასილი დიდი და გრიგოლ ღვთისმეტყველი გვაძლევს. აი, რა ამაღელვებელი სიტყვებით გადმოგვცემს ამ წმიდა კავშირს თვით წმიდა გრიგოლი წერილში ბასილისადმი: „ვინ დამიბრუნებს მე გარდასულ დღეთა სიხარულს, როცა შენთან ერთად ვიზიარებდი მწუხარებათ? ვინ დამიბრუნებს უწინდელ ფსალმუნთვალლობას და ღამისთევით, ლოცვიან მსხვერპლთშეწირვას ღმერთისადმი და თითქოსდა სხეულის გარე ცხოვრებას? ვინ დამიბრუნებს ჩვენს ერთობლივ მეცადინეობას საღმრთო წერილის შესწავლაში და იმ ნათელს, რომელიც ჩვენ ერთად შევიძინეთ მასში სულიწმიდის წინამძღვრობით?... მაშ, ჩემთან იყავი სულით და შემეწიე მე იმაში, რომ წარვემატო სათნოებათა შორის! შენით უფრო მეტად ვსუნთქავ მე, ვიდრე ჰაერით; და ოდენ იმით ვცოცხლობ, რომ შენ წარმოგიდგენ მარადის ჩემს გვერდით, რაკი შენს სახეს დავატარებ სულში“...

მართალია, ასეთი მეგობრობა ძალზე იშვიათია და ამგვარი მეგობრები ძნელად თუ მოინახებიან ჩვენს გვერდით, მაგრამ

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ჩვენს ამხანაგთა შორის ამჟამად შეუძლებელი იყოს ისეთი ადამიანის პოვნა, ვინც ერთგულ მეგობრობას გაგვიწევდა. საჭიროა მხოლოდ ჩვენ თვითონ ვეძებოთ კეთილნი და სასარგებლონი სხვებზე და ვეძებოთ ალერსიანი და თბილი გული და მის ძახილს უსათუოდ გაიგონებს ჩვენი მომავალი ერთგული მეგობრის თანამგრძობი გული. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო სიტყვებს გვეუბნება იგივე ისუ ზირაქი: „მხოლოდ სულელი ამბობს — არა მყავს მეგობარი და არც მაღლიერია ვინმე ჩემი სიკეთისათვისო“... რამეთუ „უფლის მოშიში მეგობრობას ისე წარმართავს, რომ როგორც თვითონაა, იმგვარივე იყოს მისი მახლობელი“ (ზირ. 20, 16; 6, 17).

როცა ბავშვების თანატოლ მეგობარ-ამხანაგებზე ვსაუბრობდით, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობდით როგორც ყმაწვილკაცებს, ასევე ყმაწვილქალებსაც. ამიტომ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული მოთხოვნები ყმაწვილკაცებზე კიდევ უფრო მეტად სწორედ ყმაწვილ ქალებს ეხებათ, რადგან თავდაბლობა, კეთილწესიერება, სიმორცხვე და სათნოება პირველ ყოვლისა სწორედ ქალის დამამშვენებელი თვისებებია და, ასე ვთქვათ, მის უპირატეს, განსაკუთრებულ ნიქს წარმოადგენს. თუკი უგვან მამაკაცთა საზოგადოება სულს უმღვრევს ზნეობრივად წაუხდენელ ადამიანს და განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მოზარდებზე, მრავალგზის უფრო დამლუბველია ურცხვი ქალების ზეგავლენა. ამასთან, როგორც უკვე ითქვა, დედა ოჯახური ცხოვრების გულისგულია, ქალის — დედის ხელთაა მთლიანად ბავშვების თავდაპირველი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საქმის წარმატება თუ წარუმატებლობა; უპირატესად სწორედ დედაზეა დამოკიდებული, თუ რა მიმართულებით აღიზრდება ყრმა და როგორ განვითარდება მისი სულიერი ცხოვრება. ამიტომაც ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ღვთისმომიშველთა დედაკაცს ძველი დროის მოძღვრები: „დედაკაცი მხნე ვინმე პოსს, რამეთუ უბატონო-

სხეს არს ანთრაქთა მრავალსასყიდლისათა ეგუვითარი იგი. მოსავ არნ მის ზედა გუ-
ლი ქმრისა მისისა“ — ამბობს ბრძენი სო-
ლომონი (იგავნი 31, 10-11), ხოლო ისუ
ზირაქთან ვკითხულობთ: „ცოლის სიკე-
თე ქმარს ახარებს და მისი გამჭრიახობა
აპოხიერებს მის ძვლებს. უფლის წყალო-
ბაა ჩემი ცოლი და ფასდაუდებელია განს-
წავლული სული, მადლის მადლია კდება-
მოსილი ცოლი და ვერა სასწორი ვერ აწო-
ნის პატიოსან სულს“ (ზირ. 26, 13-15).
და თუკი ასეა, მაშინ აუცილებელია ყო-
ველი ღონე ვიხმაროთ, რათა მომავალ
დღეებში კეთილკრძალულება აღვზარდოთ
და სიწმიდით დავიცვათ მათი სულები, მა-
თი ზნეობრივი გრძნობის სიწრფელე...

ნეტარი იერონიმე შემდეგს სწერს დე-
დაკაც ლეტას, რომელმაც სთხოვა წმიდანს,
მასწავლე როგორ აღვზარდო ჩემი ასულით:
„ის ძეგობარი ყმაწვილი ქალი კი არ უნდა
მოსწონდეს შენს ასულს, ვინც კარგად
იცმევს და გარეგნულად სხვებზე ლამა-
ზია, ანდა ვისაც თვალეში მგზნებარე ენე-
ბები გამოუკრთის და მშვენიერი ხმით შე-
უძლია სასიამოვნო სიმღერების მღერა, არ-
ამედ ის დაქალი, რომელიც დინჯია, თავმ-
დაბალი და სამოსიც ჩვეულებრივი აცვია“...
იგივე წმიდა მამა შემდეგს მისწერს დემე-
ტრიადას, რომელმაც თავი ქალწულებას
მიუძღვნა: „ერიდე ყმაწვილქალთა თავი-
სუფალ ქცევას, მოურიდებლობას, რომე-
ლნიც თავებს იმკობენ, თმებს იშლიან,
ფერუძარილს ისმევენ სახეზე, იცვამენ
მკიდროდ შემოჭერილ თათმანებს, სწორ,
უნაკეცო კაბებს და ისეთ ფეხსაცმელს,
ყოველ ფეხის გადადგმაზე ხმას რომ გა-
მოსცემენ, და ამას ყოველივეს იმისთვის
იქმან, რომ უფრო ადვილად წაიწყიდონ
თავი... ხოლო შენს კეთილ, შენს საყ-
ვარელ ძეგობარ ქალად ის უნდა ითვლე-
ბოდეს, ვინც არ თვლის თავს ლამაზად,
არ ზრუნავს თავისი სახის სილამაზეზე და
საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც
არ განიშიშვლებს სხეულის ცალკეულ
ნაწილებს, არამედ მალავს თავის გარეგ-
ნობას და თვალეზაც მხოლოდ იმისთვის
იყენებს, რომ გზა დაინახოს“...

ეს ღმრთივსულიერი რჩევა წმიდა მა-
მისა ჩვენმა თანამედროვე ყმაწვილქალე-
ბმაც უნდა ყურად იღონ და მეგობრება-
დაც ისეთი ქალიშვილები ბიორჩონ, რომე-
ლთა ცხოვრება უბიწოა, სიტყვა — წყნა-
რი, ზნე — კეთილი და რწმუნდაბალი, ხო-
ლი კეთილკრძალულება — მეურყვნელი.

VII. თეატრისა და სხვა ამაო სანახაობების მნიშვნელობა ბავშვთა აღზრდა-განათლების საქმეში

როცა ბავშვების აღზრდა-განათლებაზე
ვლაპარაკობთ, ზედმეტი არ იქნება, თუკი
ორიოდ სიტყვას თეატრისა და სხვა ამაო
სანახაობების მნიშვნელობაზე ვიტყვი
ამ საქმისათვის. ზოგიერთი მშობელი, უმ-
თავრესად საზოგადოების მაღალი და სა-
შუალო წრიდან, თვლის, რომ თეატრი თა-
ვისებური აღმზრდელობითი სკოლაა, სადაც
ზნეობრივი გაკვეთილები ხატოვანი სურა-
თებით ეძლევათ მსმენელ-მაყურებელთა
ამდენად ისინი ქმედითია — თვალსაჩინო
და დამარწმუნებელი. დავუშვათ ერთი წუ-
თით, რომ მართლაც თეატრი წმიდა ზნეო-
ბრიობის სასწავლებელია (რაც, როგორც
ქვემოთ დავინახავთ, სულაც არ არის
ასე!) მაინც, ამ შემთხვევაშიც კი, მშობ-
ლებისა და აღმზრდელების მოქმედების
სახე, როცა ისინი უფლებას აძლევენ ბავ-
შვებს თეატრალურ წარმოდგენებს ესწრე-
ბოდნენ, არაფრით არ შეიძლება გამართ-
ლებული იყოს. ბავშვები — ბავშვებად უნ-
და დარჩნენ, სანამ ზრდასრულ ადამიანე-
ბად იქცეოდნენ, — ამბობს ერთი ცნობი-
ლი პედაგოგი. იმ მშობლებს კი, რომელ-
თაც თეატრში, ცირკში თუ სხვა ამაო სა-
ნახაობებზე დაჰყავთ ბავშვები, სურთ და-
არღვიონ ბავშვთა სულიერი განვითარების
ეს ბუნებრივი მიმდინარეობა. მათ უნდათ
ბავშვებმა რაც შეიძლება მალე გადალახონ
ყრმობის ასაკი და ლამის აკვნიდანვე შე-
უდგნენ ზრდასრულ ადამიანთა ცხოვრებას,
ანუ ინტერესდებოდნენ ყოველივე იმით,
რითაც მხოლოდ ეს უკანასკნელნი შეიძ-
ლება დაინტერესდნენ. და რა შეიძლება
გამოვიდეს ამ საქმიდან? — მხოლოდ ის,

რომ ასეთი მშობლები მიიღებენ უმწიფარ ნაყოფს, ყოვლად უგემურსა და უხმარს, რომელიც ძალზე მალე წახდება. მათ ხელთ მხოლოდ ნაადრევად „დაბრძენებული“ არანორმალური ბავშვები შერჩებათ, ვითომცდა ბევრისმცოდნეები, სინამდვილეში კი — ოდენ მოხუცი ჭაბუკები. და მშობელთა ასეთი მცდარი შეხედულების მაგნე შედეგები მით უფრო საცნაური გახდება ჩვენთვის, თუკი იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ თეატრი არასდროს არ ყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს ზნეობრიობის მქადაგებელი სკოლა, როგორც მას ზოგიერთნი მცდარად მიიჩნევენ.

ავიღოთ თუნდაც ყველაზე გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები, — მათში უსათუოდ ვნახავთ რაიმეს ისეთს, რაც ჭკუისსასწავლი იქნება უფროსთათვის და მავნებელი ბავშვებისათვის. და რაღა უნდა ვთქვათ მოურიდებელ მწერალთა ურცხვ ნაწარმოებთა შესახებ, რომლებიც, მიუხედავად ამისა, მაინც ხშირად იღვმება თეატრალურ სცენაზე?! წმიდა პავლე მოციქული შეუფერებლად მიიჩნევს ქრისტიანისათვის ყოველივე იმას, რასაც იგი უწოდებს „საძაგლებას, სიცოფის სიტყვას და ღალატს“ (ეფეს. 5, 4). თეატრში კი ხშირად ისეთი საძაგელი და ღალი სიტყვასაუბრები ხშიანობს, რომ ნებისმიერი ზრდილი ადამიანი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, იმზომამდე, რომ ყურთა დაცობასაც კი ისურვებს; თეატრში არც თუ იშვიათად იყენებენ იმგვარ კოსტუმებს, იღებენ ისეთ პოზებს, დაუსვებენ იმნაირ მოძრაობებსა და ექსტებს, რომლებიც არაორაზროვნად მიანიშნებენ მღაბალ ვნებებზე და მაყურებელ-მსმენელებშიც ბილწ, ავხორცულ გულისთქმებს აღმოაცენებენ. ასეთ სანახაობათა წინაშე წაიბილწება ყოველგვარი სისუფთავე და უზაკველობა, მეტადრე — ბავშვისა.

თავის დროზე წმიდა იოანე ოქროპირი ამბობდა: „ბერიკაცნი შეარცხვენენ თავიანთ ჭაღარას, ჭაბუკნი ღუპავენ თავიანთ სიყმაწვილეს. მამები კი მანკიერებათა უფსკრულში ჩეხავენ თავიანთ შვილებს

ყველაზე უმანკო ასაკის დასაწყისშივე, როცა თან მიჰყავთ ისინი სათეატრო თუ საცირკო სანახაობებზე, — ასე რომ, სულაც არ შესცოდავდა ის, ვინც მათ მამებად კი არა, შვილთა მკვლელებად ჩათვლიდა, რომლებიც უკეთესობით უტყავენ თავის მიერ შობილთა სულებს“. მართლაც, იოანე ოქროპირის თანამედროვე თეატრალური სცენა ყველაზე აღმაშფოთებელი უზნეობის სასწავლებელი იყო: იქ ყველაზე უწესო სიტყვები და სიმღერები გაისმოდა; მსახიობი კაცები და ქალები დანაშაულებრივი ავხორცობის გაკვეთილებს უტარებდნენ მსმენელ-მაყურებელთ და თვითონაც გარყვნილი, თავაშვებული ცხოვრების ადამიანები იყვნენ. წმიდა იოანე ოქროპირის სიტყვით, ეს იყო „ისეთი წყლული, ისეთი ბადე, რომელში მოხვედრილიც ძნელად თუ დააღწევდა თავს, — ეს იყო დამღუპველი სიამოვნება და წაწყმედა ავხორცობის მოყვარულთათვის“. ჩვენი აწინდელი თეატრი, რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესია ძველი დროის თეატრზე, მაგრამ მაინც, როგორც ვნახეთ, ვერ ვიტყვით, რომ მას არაფერი აქვს საერთო იმ წარმწყმედ თავშექცევასთან, რომელზეც წმიდა იოანე ოქროპირი ლაპარაკობდა. დღესაც თეატრი თავისუფალი არ არის დაუფარავი, არაორაზროვანი უწესობისა და უხამსობისაგან და მასში დღესაც არის საშიშროება იმისა, რომ ადამიანები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, ვნებების აღმგზნებ, დამათრობელ შთაბეჭდილებებს მიეცნენ, რომლებიც ბინდავენ გონებას, ჯანსაღ აზრს და ბილწ გულისთქმებს აღმოაცენებენ. მართლაც, ვინ არ იცის, რომ თეატრალურ წარმოდგენებზე ზოგიერთი მაცდური სცენა მაყურებელთა განსაკუთრებულ მოწონებას იწვევს და ისინიც თავშეუკავებელი ტაშისცემითა და ძახილით მოითხოვენ მათს განმეორებას?! რა სასიკეთო: გაკვეთილი შეიძლება იყოს ეს ბავშვებისათვის?! განა ამით ისინი თავიდანვე არ მიეჩვევიან უჯერო საქციელის მოწონებას და უხამსობის მიჩნევას ჩვეულებრივ რამედ?! აი, რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმათ, ვინც ასეთ გაკვე-

თილებს უმართავს ბავშვებს! ამის მიუხედავად, ზოგიერთი მშობელი თავის დაუდევრობაში კიდევ უფრო შორს მიდის, როცა არათუ უშვებს შვილებს თეატრში, ცირკში, თუ სხვა ამაო, მავნე სანახაობებზე, არამედ იმის უფლებასაც აძლევს, რომ თვით მათაც მიიღონ მონაწილეობა მსგავს წარმოდგენებში. საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ მოზრდილ დამსწრეთა უმრავლესობა აღშფოთებას გამოხატავს ხოლმე ამ უკანასკნელი მოვლენის გამო. თუმცა ბევრი მხოლოდ შემწყნარებლურად იღიმებიან, როცა ბავშვებს სცენაზე ხედავენ, სადაც ისინი ნაირ-ნაირ სიმღერებს მღერიან და სასაცილოდ იქცევიან; მორწმუნე ადამიანებში კი ამის დანახვა მწუხარე გრძობებს ჰბადებს სულის სიღრმეში. ღმერთმა ინებოს, რომ ყველა მშობელმა იგივე იგრძნოს, და მაშინ, იქნებ, ამ სავალალო მოვლენამ ჩვენი ცხოვრებისა ნაკლები გავრცელება ჰპოვოს, რამეთუ თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე მზრუნველად გვაფრთხილებს წმიდა სახარებაში: „ეგრძალებით, ნუუკუე ვინმე შეურაცხყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყვი თქვენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ჰხედავენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა... ვაი სოლისა ამის საცთურთა მათგან, რამეთუ კნებლიათცა მომავალ არიან საცთურნი, ხოლო ვაი მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური“ (მათე 18, 10, 7; მარკოზი 9, 42; ლუკა 17, 1-2).

VIII. აღმზრდელობითი ზოგადი და მათი ხასიათი

ბავშვი, როგორც ცნობილია, იზრდება და ვითარდება სხვადასხვა ზეგავლენის ქვეშ, რომელნიც ხშირად ურთიერთგადახლართულია და სრულიად მოულოდნელად იჩენენ ხოლმე თავს. ყველა ამ ზეგავლენის გათვალისწინება, ანდა ზოგიერთის თავიდან აცილება, ხოლო სხვათა გაძლიერება ყოველთვის როდია შესაძლებელი ყველაზე დაკვირვებულნი და გამოცდილი მზერისთვისაც კი. და აი, მშობლები არც თუ

იშვიათად მწუხარებით ამჩნევენ, რომ მათი შვილები სხვადასხვაგვარნი იზრდებიან — ერთნი კეთილნი, მეორენი კი ცუდნი, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების პირობები, თითქმის ყველაფერ ერთნაირი ჰქონდა. ამის გაგება მშობლებს ვაცბუნებას ზოგჯერ საზღვარი არა აქვს, საქმე კი სულ ადვილად შეიძლება აიხსნას იმით, რომ მათ, სამწუხაროდ, თავის დროზე გამორჩათ მხედველობიდან სწორედ ასეთი გარემოებანი, რომელთა ბოროტი ზეგავლენითაც დარღვეულ იქნა მშობლების მთელი მზრუნველობა შვილთა სწორი აღზრდისათვის. რა მიზეზითაც არ უნდა ხდებოდეს ეს, მაინც უეჭველი ის არის, რომ მშობელთა და აღმზრდელთა მთელი ძალისხმევა, მიმართული ბავშვების აღსაზრდელად ჭეშმარიტი რელიგიურ-ზნეობრივი სულისკვეთებით, ზოგჯერ ამაო გამოდგება ხოლმე და ბავშვების განვითარება სხვა, არასწორი გზით მიემართება. მშობელთა სავალალოდ ასეთ შემთხვევაში ბავშვს ნაკლოვანებები უმკვიდრდება, ზოგჯერ სერიოზულიც, რომელთა აღმოსაფხვრელადაც აუცილებელი ხდება ამა თუ იმ ზომის მიღება. ამ ზომების ცოდნა უდავოდ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა მშობლებსა და აღმზრდელებს ბავშვების გამოსწორებაში. საბედნიეროდ, ისინი შეწევნის გარეშე არ რჩებიან, რადგან მათს დასახმარებლად ამ დროს პედაგოგიკა ვგველინება — მეცნიერება ბავშვების აღზრდა-განათლების შესახებ. იგი ზედმიწევნით ჩამოთვლის აღმზრდელობითი ზომების სხვადასხვა სახეებს და იმასაც უთითებს, თუ მათგან რომელი უნდა გამოვიყენოთ ბავშვთა ამა თუ იმ ცუდი საქციელის დროს, ზნეობრივი ნაკლოვანებებისა და მანკიერებების გამოსაწორებლად. მაგრამ თანამედროვე პედაგოგიკა სავსებით განსაზღვრულად და ერთმნიშვნელოვნად ვერ პასუხობს უმთავრეს საკითხს — რა ხასიათი უნდა ჰქონდეს საერთოდ აღმზრდელობით ზომებს, ანუ როგორი სულისკვეთებით უნდა იყოს ისინი განმსჭვალული, რამეთუ ერთნი პედაგოგთაგან მკაცრი ზომების გატარებას

მოითხოვენ, თვით სხეულებრივი დასჯის ჩათვლით, სხვანი კი, პირიქით, მხოლოდ ნაზი, ფაქიზი დამოკიდებულებით გვიჩვენებენ ბავშვების აღზრდასა და გამოსწორებას. აზრთა ამგვარი სხვადასხვაობა და პერყეობა უცნობია იმ აღმზრდელისათვის, ვინც კარგად უწყის საღმრთო წერილისა და ეკლესიის წმიდა მამათა შეხედულება ამ საგანზე, რომლითაც საკითხი აღმზრდელობითი ზომების ხასიათის შესახებ სავსებით განსაზღვრულადაა გადაწყვეტილი, ისე რომ, ყველა შემთხვევაში არანაირი ეჭვისა და შეცბუნებისათვის ადგილი არ რჩება. სინაზეც, ალერსიც, მაგრამ ამავე დროს, ძალაუფლებაც, — აი, ის, რითაც აღმზრდელებმა და მშობლებმა ყოველთვის უნდა იხელმძღვანელონ აღსაზრდელთა საქციელთან მიმართებაში. კვლავაც გავიხსენოთ ბავლე მოციქულის ღმრთივსულიერი შეგონება: „მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზარდებით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისაითა“ (ეფეს. 6, 4). ამრიგად, მოციქულთა თავის სიტყვით, არ უნდა განვარისხოთ, არ უნდა გავალიზიანოთ ბავშვები ზედმეტად მკაცრი და უხეში დამოკიდებულებით, არ უნდა დავამციროთ მათი ადამიანური ღირსება, რათა ამით არ განვამოროტოთ და არ გავასასტიკოთ ისინი. თუმცა ალერსიან, ნაზ მოპყრობასაც მათ მიმართ გარკვეული ზომა და საზღვარი უნდა ჰქონდეს, რათა განებივრებითა და თავზე ხელის გადასმით სულ არ წავუხდინოთ ზნე ჩვენს ბავშვებს. ასეთი რამ გადაჭრით არის დაგმობილი თვით ბავლე მოციქულის მიერ, რომელიც თვითონაც მიმართავდა მკაცრ ზომებს თავის სულიერ შვილთა მიმართ, თუკი ჩათვლიდა, რომ მათი გამოყენება სასარგებლო იქნებოდა მის მოწაფეთა სწორ გზაზე დაყენებისათვის.

ამასთან დაკავშირებით წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „ერთი მძიმე ცოდვილის მიმართ მან (ბავლე მოციქულმა) სხეულებრივი ტანჯვა გამოიყენა, მსგავსად იმისა, როგორც კარგი მკურნალიც სხეულის გარედან მოწვას მიმართავს, თუკი

სხეულება შინაგან მისაღები საკურნებელი საშუალებით არ იკურნება“. ეკლესიის იგივე წმიდა მამა ამბობს, რომ „უფალმა ღმერთმა შვილების სიყვარული უბოძა მათს მშობლებს, მაგრამ ღმერთმა დაუდო ამ სიყვარულს ბავშვების შესაბამისად. ბავშვთა მხრივ უმნიშვნელო შეცოდებათა მიმართ ღმერთი შემწყნარებლობას მოითხოვს მშობელთაგან, ხოლო ბოროტ ბავშვთა შემთხვევაში, საღმრთო განწესებით დაუშვებელია მათი განებივრება და წაქეზება. შვილთაგან ათასი შეურაცხყოფისა და უსიამოვნების მიღების კვლავ მაშეძლებს რომ კვლავაც ალერსიანი რჩებოდნენ ამგვარი შვილების მიმართ, რასაც ზოგი იქმს კიდევ ბუნებრივი სიყვარულის ძალით, მაშინ ჩვენი, კაცთა მოდგმა უკიდურეს უკეთურებამდე მივიდოდა. ბევრი ბავშვი თავისი უზნეობის გამო ურგებად ვაზრდილი, მოპკლებია მშობლიურ სახლსაც და მთელი მამისეული მემკვიდრეობაც დაუკარგავს, რადგან ხშირად შეურაცხუყვია საკუთარი მშობელი, მაგრამ კიდევ უფრო ბევრნი მშობელთა შეურაცხყოფელთაგან არ მისულან აქამდე, რადგან ღმერთმა განუწესა მშობლებს შვილთა დასჯა და თავისი რისხვის სხვაგვარადაც გამოხატვაც — ბავშვის განგდებაც თავისაგან, როცა ის ჯიუტად სჩადის ბოროტებას“.

ბავშვების განებივრება მათთვის ბოროტ საქციელში ხელისშეწყობა დამღუპველია და ძალზე სახიფათო თვით მშობელთათვის. აი, რას შეგვაგონებს ამასთან დაკავშირებით ისუ ზირაქი: „შვილის განებივრებელი კრილობებს შეუხვევს შვილს და მის ყოველ წამოყვირებაზე შეუქანდება გული. გაუხედნელი ცხენი ჯიუტად იქცევა, თავის ნებაზე მიშვებული შვილი კი თავხედურად იქცევა. გაანებივრე შვილი — შევაშინებს, ეთამაშე და — დაგამწუხრებს“. ამიტომ „ნებაზე ნუ მიუშვებ მას სიკაბუკეში, და გვერდები დაუევე, ვიდრე ნორჩია, რომ არასოდეს გაჯიუტდეს და შენს მორჩილებაზე ხელი არ აიღოს. გაწვრთენი შვილი და იშრომე მასზე...“ (30, 7-13). და ამაში მას წმიდა

იოანე ოქროპირი ეთანხმება: „როცა მამებს არ სურთ უსჯულოდ და უწესრიგოდ მცხოვრებ შვილთა არც გაწკებლვა, არც სიტყვით დასჯა და არც მათი დამწუხრება, ისინი ხშირად უკიდურეს ბოროტმოქმედებათათვის შეპყრობილთ ხედავენ თავიანთ ძეებს, სამჯავროზე მიყვანილთ და ზოგჯერ სიკვდილით დასჯილთაც ჯალათების მეშვეობით... შვილის ასეთი შერცხვენისა და უბედურების შემდეგ როგორ უნდა შეხედოს მამამ თავლებში შემხვედრთ, როგორ არ დაიწვას სირცხვილით?“ ამიტომაც ქემმარიტია ბრძენი სოლომონ მეფის სიტყვები: „შვილმან უგუნურმან არცხვენის მამა—დედათა თვისთა“ (იგავნი 29, 15).

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: სუსტი მეთვალყურეობა ბავშვების ყოფა-ქცევაზე და მით უმეტეს ხელის შეწყობა მათი ცუდი მიდრეკილებებისა და ჩვეულებებისათვის მშობლებს მხოლოდ მათი საკუთარი სინდისის სამსჯავროზე კი არ არცხვენს, რის გამოც მათ დიდი გულისტკივილი დასტანჯავს, არამედ უალრეს პასუხს აგებინებს ღმერთის მიუდგომელი მართლმსაჯულების წინაშეც. ამის დასადასტურებლად ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას გავიხსენებთ, აღსრულებულს ძველს დროში, ოდესღაც ებრაელებს პირველმღვდელმთავრად და მსაჯულად მრავალი სათნოებით შემკული კაცი ჰყავდათ, სახელად ელი, რომელსაც ორი ძე ჰყავდა — ოფნი და ფინეზი. ისინი სულ არ ზრუნავდნენ თავიანთ ზნეობრივი სიწმიდისათვის და უკიდურეს უკეთურებას მიეცნენ. მოხუცი მამა ცდილობდა სიტყვით შეეჩერებინა ისინი, სწორ გზაზე მოექცია, მაგრამ ჯეროვანი სიმკაცრითა და მშობლისმიერი ძალაუფლების გამოყენებით არასდროს არ მოპყრობია გზასამცდარ ძეებს. იმის ნაცვლად, რომ ფინეზიკურად დაესაჯა ისინი, გაეძევებინა მშობლიური სახლიდან, გამოსწორებისათვის საჭირო ყველა ღონე ეხმარა, ელი მხოლოდ მამობრივი სიტყვიერი დაყვავებითა და რბილი გაკიცხვით კმაყოფილდებოდა. „ნუ ეგრე, შვილნო, არა კეთილ არს ამბავი ესე, რომელი მესმის თქვენთვის;

ნუ ეგრე ზამთ, ვითარმცა არა მონებთ ერსა უფლისასა“ (1 მეფეთა 2, 24). ამრიგად, მღვდელმთავარმა და მსაჯულმა ელიმ საკუთარი ვაჟიშვილების მიმართ არ გამოამქლავნა ჯეროვანი მტრული სიმტკიცე და ძალა. ხოლო ამჟამინდელი შვილების გამოსასწორებლად, როგორც წმიდა იოანე ოქროპირი შენიშნავს, „საჭირო იყო მძაფრი ქრილობის მიყენება მათთვის, ისეთისა, როგორსაც ეს ჩირქოვანი წყლული მოითხოვდა. აქ არ იყო საკმარისი ოდენ სიტყვიერი შევონებანი და რჩევა-დარიგება, აუცილებელი იყო დიდი შიშის დაცემაც ჭაბუკთათვის, რათა აღკვეთილიყო მათი ახალგაზრდული უზრუნველობა. ელიმ კი არ გააკეთა ეს და, აი, მასზე და მთელს მის სახლეულზე ღმერთის სამართლიანი რისხვა მოიწია: უფალმა გაუმხილა თავის რჩეულს — სამოელს: „აჰა ესერა მე აღვასრულებ ყოველთა სიტყვათა ჩემთა ისრაელსა ზედა, რათა ყოველსა, რომელსა ესმეს, ოხრიდენ ორნივე ყურნი მისნი. დღესა მას, რომელსა აღვადგინო, ელის ზედა დავდვა, რასაცა ვიტყოდე და ყოველსა სახლსა მისსა ზედა დავდვა, და აღვასრულო... რამეთუ მოვიგო შური სახლისა ჩემისა სახლსა მისსა ზედა უკუნისამდე ჟამთა უსჯულოებისათვის ძეთა მისთასა, რამეთუ ძვირსა იტყოდეს ღმერთისათვის ძენი მისნი, და არა განსწავლნა“ (1 მეფ. 3, 11-13). და მართლაც, ღმერთის მსჯავრი მალე აღსრულდა; რამოდენიმე ხნის შემდეგ ღმერთმა ისრაელიანთა მტრების — ფილისტიმელთა ხელთ ჩააგდო მღვდელმთავარ ელის ძენი — ოფნი და ფინეზი და ომის დროს ორთავე მოკლულ იქნა, სჯულის კიდობანიც მტრებმა გაიტაცეს, ხოლო უბედურმა მამამ, როცა ეს ამბავი შეიტყო, ვერ გაუძლო ტკივილს და თვითონაც სული განუტევა“. ამ დროს იგი 98 წლისა იყო. ფინეზის ორსულმა ცოლმაც, ქმრისა და მამამთილის სიკვდილით შეძრწუნებულმა, ძე შვა, თვითონ კი მოკვდა (1 მეფ. 4).

ამრიგად, ვინც თავის შვილებს ანებივრებს, ზომაზე მეტად უაღერსებს, დანაშაულისათვის არ სჯის და ყოველმხრივ დაპ-

ფუფუნებს, ასეთი მშობელი მხოლოდ ბავშვებს კი არ ვნებს, არამედ საკუთარ თავსაც და საზოგადოებასაც დიდ უბედურებას მოაწევს. ამიტომაც გვირჩევს ბრძენი ისუ ზირაქი შვილების ფიზიკურ დასჯასაც (30, 12), როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს. შესაძლოა ზოგს ასეთი რჩევა სასტიკად მოეჩვენოს. უცნოდ მამისეული სიყვარულისათვის, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება მხოლოდ ზედაბირული შეიძლება იყოს. საღმრთო წერილის სიტყვები სულაც არ ავალდებულებენ აღმზრდელებს მკაცრად ექცეოდნენ ბავშვებს, ისეთი სისასტიკით სჯიდნენ, რომ ლამის ჯანმრთელობაც შეურყიონ. პირიქით, ამ ბრძენი მოძღვრის სიტყვით, ბავშვის ჯანმრთელობას მშობლები განსაკუთრებულად უნდა უფრთხილდებოდნენ, ვითარცა უმაღლესს ქვეყნიურ სიკეთეთაგან. როცა შეგვაგონებს ფიზიკურად დასაჯეთ ხოლმე დამნაშავე შვილებიო, ბრძენი ისუ ზირაქი ამავე დროს, — თითქოს სურს გამორიცხოს მისი სიტყვების არასწორი გაგებაო, — შემდეგსაც გვეუბნება: „ჯანმრთელი და ძალ-ღონით ძლიერი ღატაკი სჯობს სხეულით დაძაბუნებულ მდიდარს. სიმრთელე და სიძლიერე ყველა ოქროს სჯობს. ხოლო ჯანსაღი სხეული — განუზომელ სიმდიდრეს. სიმდიდრე როდია უკეთესი ჯანმრთელ სხეულზე, და არ არსებობს უფრო დიდი სიხარული, ვიდრე გულის სიხარული“ (30, 14-16).

ამიტომ ნუ შეგვაცბუნებს ბრძენკაცის რჩევა, რაც იმისთვის კი არ მოგვცა, რომ სასტიკნი ვიყოთ საკუთარი შვილების მიმართ, არამედ იმისთვის, რომ სისუსტე არ გამოვიჩინოთ აღსაზრდელებისადმი და ამით მათს წახდენას არ შევუწყოთ ხელი. ყოველი ბავშვი მტკიცე, სერიოზულ და მკაცრ წინამძღვრობას საჭიროებს. და როცა ოდენ სიტყვა და დაყვავება არ იღებს სათანადო შედეგს, მაშინ შეგვიძლია სხეულებრივი დასჯაც გამოვიყენოთ, ოღონდ ისე, რომ ბავშვის ჯანმრთელობას არაფერი ვავნოთ. ეს სულაც არ ეწინააღმდეგება ბუნებრივ მამობრივ სიყვარულს. აქ მნიშვნელოვანია არა იმდენად აღმზრდელი-

ბითი ღონისძიების თვით ხასიათი და რაგვარობა, რამდენადაც ის განზრახვა და მიზანი, რისთვისაც ჩვენ მას შევძართავთ. უბრალო სიტყვითაც შეიძლება შეიღოს გაცილებით უფრო მძაფრი და სახიფათო კრილობა მივაყენოთ, ვიდრე უფრო მკაცრად. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ფიზიკურად დავსაჯოთ შვილი, მაგრამ ისე უნდა გავაკეთოთ ეს, რომ მისთვის სავსებით ცხადი იყოს, რომ ასეთი უკიდურესი სასჯელი არჩეულია აუცილებლობისა გამო, იძულებით, სხვა გამოსავლის არქონის გამო და სხვა ვითარებაში იგი სულაც არ არის სასურველი; დაე, დაინახოს აღსაზრდელმა, რომ დასჯა მისივე სარგებლობისათვის ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოყენებულ იქნა ყველა უფრო რბილი ზომა. ასეთ პირობებში ბავშვი ვერ დაინახავს მშობლისათუ აღმზრდელის მოქმედებაში სურვილს მისი დამცირებისა და შეურაცხყოფისა, მისთვის რაიმე ზიანის მიყენებისა, და აღსრულებულ სასჯელსაც მორჩილებით მიიღებს. ისე, რომ გულიც არ გაუსასტიკდება. ამასთან, მშობლებისადმი ბავშვიური სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობაც არ დაუჩლუნგდება, რამეთუ ყოველთვის მშობლების მიმართება მისადმი გულისშიერი ალერსითა და სიყვარულით იყო აღსავსე და ბავშვიც ყოველთვის გრძნობდა მათგან სიბოლსა და სიკეთეს. ამიტომ, თუკი ჩვენი დამოკიდებულება აღსაზრდელისადმი გულწრფელად კეთილისმყოფელია და მზრუნველი სიყვარულით აღსავსე, იგი ყველა შემთხვევაში, ფიზიკურად დასჯის დროსაც, ჩვენს ქმედებაში სწორედ ამ კეთილისმყოფელ მიმართებას შეიგრძნობს და არ გაბოროტდება. იგი სამართლიანად აღიარებს უწინდელი ალერსიანი დამოკიდებულების შეცვლას მკაცრი მიმართებით და ამაში მხოლოდ საკუთარ თავს დაადანაშაულებს.

კვლავაც წმიდა იოანე ოქროპირს მოვუსმინოთ: „მკურნალი მხოლოდ მაშინ კი არ არის ქების ღირსი, როცა ბაღში თუ ველ-მინდვრად გაიყვანს სხეულს და როცა უხვ ტრაპეზს სთავაზობს მას, არამედ მაშინაც, როცა აიძულებს უჭმელ-უსმელად

დაპყოს ხანი, როცა საწოლს მიაჯაჭვავს და მისსავე საკუთარ სახლს საპყრობილედ გადაუქცევს, როცა ყველა მხრიდან ფარდებით დაუბნელებს ოთახს და თვით დღის სინათლესაც კი მოაკლებს სნეულს, რათა განკურნოს; როცა მწარე წამლებს ასმევს და ხშირად წყლულებსაც მოუწვავს ანდა დანით გაუჭრის, — რამეთუ მაშინაც იგივე მკურნალია ეს და მხოლოდ კეთილი სურს სნეულისათვის“. ასეთი მკურნალისა მარადეამს მაღლიერი დარჩება ყოველი ადამიანი, თუკი ის განაშორებს მისგან დამღუპველ სნეულებას, და ასე იქნება მაშინაც კი, თუკი მას ავი სენით მოცულ სხეულის რომელიმე ნაწილს საერთოდ მოაჭრიან — ხელს, ფეხს ან სხვა რომელიმე ორგანოს.

სნეულთა მსგავსად ბავშვებიც ყოველთვის მაღლიერებით გაიხსენებენ თავიანთ კეთილისმყოფელ მშობლებს. დაე, თუნდაც მათ მკაცრი ზომებიც გამოეყენებინოთ აუცილებელ შემთხვევებში და მიიმედაც დაესაჯოთ ისინი. განა არა სჯობს, საყვარელი მშობლებისაგან თუ აღმზრდელებისაგან მიიღო მკაცრი შეგონება, ვიდრე მოსამართლის მიერ იქნე დასჯილი და, საერთოდ, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველისაგან?! სწორედ ასე უბრალოდ და, ამავე დროს, უცთომლად უყურებდნენ ბავშვების აღზრდა-განათლების საქმეს ქრისტეს ეკლესიის ღმრთივსულიერი მოძღვრები. სწორედ ამიტომ ბრძანებს ბრძენი სოლომონ მეფეც: „ნუ განაყენებ ჩვილთა ყრმათა სწავლასა (ანუ სასჯელს); უკუეთუ სცე მას კვერთხითა, არა მოკვდეს. შენ სამე სცე კვერთხითა, ხოლო სული მისი იხსნე სიკვდილისაგან“ (იგაგნი. 23, 13-14). ამიტომაც, უწყის რა ასეთი სასჯელის მთელი ძალა და სარგებლობა ბავშვისთვის, პავლე მოციქული ასე იკითხავს: „უკუეთუ სწავლასა დაუთმოთ, ვითარცა შეილთა შეგიწყნარებს თქვენ ღმერთი, რამეთუ ვინ-მე არს შვილი, რომელი არა სწავლის მამამან?!“ (ებრ. 12, 7). ამიტომაც სწორედ ამას შეგვაგონებენ ეკლესიის წმიდა მამები და მოძღვრები, როცა ჩვენთვის საინტერესო

საკითხზე ლაპარაკობენ. სულაც არ არის საჭირო მათი ნათქვამისათვის რაიმეს მიმატება, რათა მეტი დამაჯერებლობა შევიძინოთ მათს ზემომოყვანილ რჩევა-დარიგებებს, რამეთუ ისინი ქრისტეცენტრული სიტყვაზე და მანვილდობიერ ქრისტიანობაზე უფრო დამარწმუნებელია და ყველა ქრისტიანისათვის მისაღები. ამ რჩევა-დარიგებათა სარგებლობა ჩვენთვის საფსებით ცხადია. და თუკი წინასწარ აკვიატებული აზრით არ შევხვდეთ მათ, ისინი არანაირ გარედან დაცვას არ საჭიროებენ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ვაჩვენოთ, თუ როგორ ეთანახმიერება და იზიარებს თანამედროვე მეცნიერება აღზრდა-განათლების შესახებ ამ ძველისძველ, მაგრამ მარადის ქმედით ცხოვრებისეულ რჩევა-დარიგებებს, მოვიყვანთ ცნობილი პედაგოგის — ბემეს შეხედულებას. თავის „პედაგოგიურ წერილებში ახალგაზრდა დედებისადმი“, იგი ურჩევს მათ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ბავშვის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში: „გამოსწორების ერთადერთი საშუალება ამ შემთხვევაში არის ერთი პატარა მიტყუპვა და ბრძანების მშვიდად გამეორება“. კიდევ სხვა შემთხვევა: ვთქვათ ბავშვი ჭირვეულობას დაეჩვია, თავისი სურვილებისა და მოთხოვნებისადმი სულ მცირე წინააღმდეგობის გამო ის ყვირილს, ფეხების ბაკუნს იწყებს, ერთის სიტყვით, ვაი-უშველებელს ტყბავს. ამის თავიდან ასაცილებლად ბემე ურჩევს დედებს, ბევრი ღოლიავი კი არ დაუწყონ ბავშვებს და სხვადასხვა მამამბელი რამ კი არ შესთავაზონ დასამშვიდებლად — სათამაშოები თუ სასეირნოდ წასვლა, არამედ, უბრალოდ, კვლავაც ერთი კარგად მიტყუპონ, ოღონდ ყოველგვარი გაბრაზებისა და ყვირილის გარეშე, სრულიად მშვიდი, სერიოზული სახით. და თუკი დედა ასეთ მეთოდს მიმართავს ბავშვის დასაშოშმინებლად და საბოლოო ჯამში გამოსასწორებლად, მალე თვითონვე გაოცებული დაინახავს ამ ხერხის კეთილი ზეგავლენის შედეგებს. „ვიცი, — განაგრძობს ბემე, — რომ ყოველი დედისათ-

ვის მეტად მტკივნეულია საკუთარი საყვარელი შვილის ცემა, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, თითქოს ასეთი დასჯა სასტიკი საქციელი იყოს: ბავშვი ბუნებით შემწყნარებელია და ადრეულ წლებში ძალზე მალე და ადვილად ისწავლის, თუ რას ნიშნავს უფროსთა მოჩივლება, და დედასაც ნაკლებად დასჭირდება ხოლმე მომავალში ეს ღონისძიება. ხოლო სისასტიკის გამოვლინება დედის მხრიდან ის იქნებოდა, თუკი იგი ყოველივეში დაუთმობდა და გაანებივრებდა ბავშვს და ამით სრულ ურჩობამდე მიიყვანდა, რის გამოც ბავშვის აღმზრდელები იძულებულნი იქნებოდნენ უფრო მკაცრი დასჯისათვის მიემართათ იმ დროს, როცა მას უფრო გონიერი ასაკი დაუდგებოდა, თუმცა ისიც ცნობილია, რომ მაშინ ასეთი ღონისძიება ხშირად უსარგებლო და დაგვიანებულია“. აი, ასეთია თანამედროვე ბედაგოვის აზრი, რომელსაც დიდად უყვარს ბავშვები და მთელი თავისი ცხოვრებით სწორედ მათი აღზრდა-განათლების საქმეს ემსახურება, — ის აზრი, რომელიც კაბინეტის სიწყნარეში კი არ იშუა, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებით — მრავალწლიანი მრავალფეროვანი დაკვირვებითა და მშობელთა მრავალრიცხოვანი მოწმობებით ჩამოყალიბდა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს აზრი არ ახალია, ძველია და სწორედ საღმრთო წერილიდან მომდინარეობს, და იგი მრავალგზის აქვთ განმეორებული ეკლესიის ღმრთივსულიერ წმიდა მამებსა და მოძღვრებს. ეს გარემოება იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ მას ვერაფრით ვერ ავუვლით გვერდს. მართლაც, ბრძენი სოლომონ მეფიდან და ისუ ზირაქიდან დაწყებული, ახალი აღთქმის წმიდა წიგნებით გაგრძელებული და ძველი დროის ისეთი სახელგანთქმული საეკლესიო მწერლებით დამთავრებული, როგორნიც იყვნენ წმიდა მამები — ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, ნეტარი თეოდორიტი, იერონიმე და ავგუსტინე. ყველგან განწესებულია აღ-

ზრდის ეს მეთოდი — ბავშვების ფიზიკური დასჯის, მათდამი მკაცრი, მაგრამ სიყვარულით აღსავსე სამართლიანი მოპყრობის აუცილებლობა. ამ წმიდა მამების დროიდან ჩვენს დღეებამდე საუკუნეები, მთელი ათასწლეულები განვიხილავთ დიდი შუალედის განმავლობაში ადამიანის შინაგანი სულიერი ცხოვრების შესწავლაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ, მაგრამ აღზრდის ხასიათი და მეთოდები თითქმის არ შეცვლილა — ისინი დღესაც ცხოვრებისეული და ქმედითია. დრო-ჟამის მსვლელობა, რომელიც უღმობლად არღვევს ყველა ჩვეულებრივ ადამიანურ საქმეს, უძღურია აღზრდა-განათლების ხასიათისა და საშუალებების შესახებ იმ რჩევათა წინაშე, რომელთაც საღმრთო წერილი და წმიდა მამები იძლევიან. ამდენად, ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ეს ღმრთივსულიერი რჩევები სამუდამოდ შეინარჩუნებენ მშობელთათვის თუ აღმზრდელთათვის სახელმძღვანელო მნიშვნელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნა ნათელია. სიტყვები — წკებლა, ცემა მხოლოდ საქმის არმცოდნე, ფაქიზი ყურისათვის უღერს უცნაურად, რომელიც განებივრებულია ცხოვრებით. ხოლო იმ ადამიანისათვის, ვინც საკუთარი, ხშირად მწარე, გამოცდილებით იცის ცხოვრება და ვინც მას ღრმად დაკვირვებული თვალით უყურებს, განარჩევს რა სულს — ფორმისაგან, საქმის არსობრიობას უბრალო გარეგანი მხარისაგან, — მისთვის საუხეობით ბუნებრივია აღზრდა-განათლების ასეთი მეთოდის გამოყენება. თუმცა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მკურნალობის საუკეთესო მეთოდი ის არის, როცა მკურნალმა არამხოლოდ გაჭრა-მოწვა იცის ჭრილობებისა თუ წყლულებისა, არამედ მათი შეხვევაც, მათზე მალამოს დადებაც. ამიტომ აღზრდა-განათლების უმაღლესი და უპირველესი წესია არამხოლოდ მხილება-დასჯა, არამედ — შეგონებაც

და ნუგეშისცემაც.* ვინც მხოლოდ ამ უკანასკნელ საშუალებებს მიმართავს და ოდენ სიტყვით შეაგონებს აღსაზრდელებს, ის უზრუნველებად აქცევს მათ და ურჩობას აჩვენებს, ხოლო ვინც მხოლოდ ამხელს და ფიზიკურად სჯის, ის კიდევ უფრო ცუდი თვისებებით შემოსავს ბავშვს — სიჯიუტითა და სისასტიკით. ამრიგად, ბავშვთა აღზრდა-განათლების საშუალებები სხვადასხვაგვარი უნდა იყოს: მკაცრი დამოკიდებულება არ უნდა გამორიცხავდეს მშობლიურ სინაზესა და აღერსიანობას, რაშიც ეკლესიის წმიდა მამა ამბროსი მედიოლანელიც შეგვაგონებს: „ჭრილობებს

ღვინით მოჰბანენ ადამიანს და მალამოთი შეუხორცებენ. — წერს იგი. — ამგვარადვე აღზრდის საქმეშიც შეწყნარებლობა და აღერსიანობა ყოველთვის უნდა იყოს შეერთებული სიმკაცრესთან“.

სინაზის უნარი
 ბავშვისათვის
IX. განათლების აუცილებლობა და ხასიათი

ბრძენი სოლომონ მეფე გვეუბნება: „და მივხედენ მე ხილვად სიბრძნისა და განცხრომისა და სიხარულისა (ანუ უგუნურებისა), და რამეთუ არს უმეტეს სიბრძნე უფროის უგუნურებისა, ვითარცა უმეტეს არს ნათელი ბნელისა. ბრძნისა თვალნი თავსა მისსა, და უგუნური ბნელსა შინა ვალს“ (ეკლესიასტე 2, 13-14). ხოლო მისსავ იგავთა ღმრთივსულიერ წიგნში ვკითხულობთ: „უმეტრება სულისა თვისისა არა კეთილ, ხოლო დაუდგრომლობა (ანუ უგუნურება, გაუნათლებლობა) ფერხთა ცოდვათა შეამთხვევს. უგუნურებაი კაცისა განრყუნის ზრახვითა მისითა და ღმერთსა აბრალებენ გულითა“ (იგავნი 19, 2-3). ამიტომაც საღმრთო წერილის ფურცლებზე ძალზე ხშირად ვხვდებით შეგონებებს მასზედ, რომ აუცილებელია სიბრძნის შესწავლა. ისუ ზირაქის ძე ასე დაგემოდღვრავს: „მვილო, სიყრმიდანვე იზრუნე სწავლაზე და იბოვი სიბრძნეს, ვიდრე ჭაღარით შეიმოსებოდე. მხვნელ-მთესველივით მიეახლე მას და მის კეთილ ნაყოფს დაელოდე, რადგან მასზე ზრუნვაში მსუბუქად დაიღლები, მის ნაყოფს კი სწრაფად იგემებ... ფხვებზე მისი (სიბრძნის) ბორკილები დაიდები და ქედზე — მისი ჯაჭვი. ბეჭები მიუშვირე და იტვირთე იგი, ნუ მოგბუზრდება მისი ბორკილები. მთელი შენი სულით მიეახლე მას და მთელი შენი ძალით დაიცავი მისი გზები. გამოიკვლიე და ექებე სიბრძნე, და შეიცნობ მას; და როცა მისი მფლობელი შეიქნები, ნულარ მიატოვებ მას. რადგან საბოლოოდ მასში ჰპოვებ შევებას და იგიც სიხარულად მოგიბრუნდება. მისი ბორკილები შენთვის ძლიერი საფარველი იქნება, ხოლო ჯაჭვი მისი — შესამოსელი

* აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სკოლაში და, საერთოდ, აღმზრდელობით სისტემაში თუმცა კი ოფიციალურად აკრძალული იყო ფიზიკური დასჯის, როგორც აღზრდის მეთოდის გამოყენება, რადგან მას წარსულის (ანუ ქრისტიანულ-მონარქისტული სახელმწიფოს) მავნე გადმონაშთად მიიჩნევდნენ, სინამდვილეში ფიზიკურ დასჯას ფართოდ მიმართავდნენ მასწავლებლებიცა და მშობლებიც, რადგან ამას ბუნებრივად მოითხოვდა ცხოვრებისეული გამოცდილება, და ამ მეთოდის ქმედითი შეგავლენაც არავისში ეჭვს არ იწვევდა. ასევე გრძელდება ჩვენში დღესაც — ოფიციალურად ბავშვების ფიზიკური დასჯა აკრძალულ-დაგმობილია (როგორც ვნახეთ, საღმრთო განწესების საწინააღმდეგოდ!) სკოლებშიც და ოჯახშიც. თანამედროვე დემოკრატიულ მოწინავე ქვეყნებშიც იგივე სურათი გვაქვს — იქ საერთოდ ყველაფერი საღმრთო მცნებებისა და განწესებების საწინააღმდეგოდ კეთდება და ადამიანი ბავშვობიდანვე ანტიქრისტიანული სულისკვეთებით იზრდება. გამონაკლისია ე. წ. მესამე სამყაროს ზოგიერთი ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ არ აღმოუფხვრიათ ძველი წეს-ჩვეულებანი, მომდინარე საღმრთო სჯულიდან — ბუნებითიდან და დაწერილიდან, თუმცა მათი აღზრდის სისტემა, რა თქმა უნდა, არ არის გამსჭვალული ქრისტიანული სულისკვეთებით (მთარგმნელი).

დიდებისა... როგორც დიდების სამოსით, ისე შეიმოსები სიბრძნით და სიხარულის გვირგვინს დაიდვამ... თუ ისურვებ მას, განისწავლები, თუ სულთ მიუნდობი, დახელოვნდები... მოხუცთა საკრებულოში დადექ და ვინც უფრო ბრძენია, მას მიეახლე... თუ სწავლულს იხილავ, დილაადრიანად ეწვიე. დაე, გაცვითოს შენმა ფეხებმა მისი კარის ზღურბლი“ (ზირაქ. 6, 18-19; 24-29; 31-32; 34-36).

ეკლესიის წმიდა მამები და მოძღვრები ჯეროვან ხარკს უღებენ სიბრძნეს, რომელიც ყველაზე კარგი სამკაულია არა მხოლოდ ახალგაზრდული და მოწიფული ასაკისათვის, არამედ მოხუცთაც ღირსად შექნის საბატო ჭადარისა (სიბრძნე სოლომ. 4, 8-9). „ბერიკატო სხეულის ყველა ძალა ღალატობთ, — ამბობს ნეტარი იერონიმე, — და მხოლოდ სიბრძნე მატულობს ხოლმე, როცა სხვას ყოველივეს კვდომა დაუწყია უკვე; იმ ადამიანთა სიბერე, ვისაც სიჭაბუკე პატიოსანი საქმიანობით გაუტარებია და დღითა თუ ღამით უფლის სჯული უსწავლია, დროთა განმავლობაში სულ უფრო განსწავლული და ბრძნულია, და იგი სიხარულით მოიმკის თავისი ოდინდელი სწავლის ტკბილ ნაყოფებს“. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი კი წერს: „ცოდნა ფრთებად ემსახურება ადამიანს. უამფრთებოდ ვერ იფრენ: ჩიტიც ხომ ვერ გაფრინდება, თუ ფრთები შეკვეცილი აქვს“. ასევე ეკლესიის სხვა წმიდა მამა და მოძღვარი, კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს: „მეცნიერების უგულუბელყოფა და ზიზი იგივეა, ვენახის ნაყოფებით დატკობა გინდოდეს, თვით ვენახის მოვლაზე დაშრომა კი — არა!“. აი, ასე საბატო, სასარგებლო და ღირსად ქებულია ცოდნა.

მაგრამ რა არის ეს სიბრძნე, რომელსაც ეკვრის დიდად აფასებს საღმრთო წერილი. რომელსაც უსოდენ აქებ-ადიდებენ ეკლესიის წმიდა მამები და მოძღვრები და რომელსაც ნამდვილად ძალუძს უზარმაზარი, შეუცვლელი სამსახური გაუწიოს ადამიანებს ქვეყნიურ ცხოვრებაში? ალბათ არც არის საჭირო ვრცლად ვილაპარაკოთ იმის თაობაზე, რომ განათლების მი-

ზანი სულაც არ არის ოდენ ახალი და მრავალფეროვანი ცოდნის შეძენა, როცა ცოდნის შეძენას ვესწრაფვით, ყრველთვის უნდა გვახსოვდეს თვით ქრისტე მაცხოვრის გაფრთხილება მასწავლებლის, რასაც ვესწრაფვით, ნათელს ნათელად ბნელი არ გამოდგეს: „უკუეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენ — მე?“ (მათე 6, 23). ცოდნის მიღებისას უნდა გვეშინოდეს იმ ადამიანთა ხვედრის გაზიარებისა, რომლებიც ცოდნის შეძენით სენს, ტკივილს იძენენ (ეკლესიასტე 1, 18). ხოლო სწორედ ასეთი საშიშროება ემუქრება ყველას, ვინც ცოდნას მხოლოდ თვით ცოდნისათვის ეძიებს, ისე, რომ სულ არ აქვს მხედველობაში ცოდნის ზნეობრივ-რელიგიური, აღმზრდელობითი მიზანი, თვით უფალი გვეუბნება საღმრთო წერილში იერემია წინასწარმეტყველის პირით: „ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნისა მიერ თვისისა... არამედ ამას ზედა იქადოდენ მოქადული — გულისხმის-ყოფასა და ცნობასა ჩემსა, რამეთუ მე ვარ უფალი, მოქმედი წყალობისა და მსჯავრისა და სიძარტლისა ქვეყანასა ზედა, რამეთუ ამათ შინა არს ნება ჩემი“ (იერემია 9, 23-24; შდრ. I კორინთ, 1, 31). საღმრთო წერილისავე მტკიცებით, „დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა“ (იგავნი 1, 7), და არამხოლოდ დასაბამი, არამედ სიბრძნის სრულყოფილებაც უფლის მოშიშებაა (ზირაქ. 1, 16). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველგვარი გონებრივი მუშაობის დროს ამოსავალი წერტილი და სახელმძღვანელო წესი უნდა იყოს ღმერთის კეთილმოშიში ხსოვნა, რომელიც არის ჭეშმარიტი სიბრძნის წყარო და მომნიჭებელი (იოანე 8, 12; I იოანე 5, 20; იაკობი 1, 5; ფსალმ. 26, 1; იგავნი 2, 6). ამასთანავე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამქვეყნად ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის მიზანი, და მაშასადამე, განმანათლებლური მოღვაწეობისაც, არის მიახლოება ზნეობრივი წარმატების იმ იდეალთან, რომელიც მაცხოვრის სიტყვებითაა გამოხატული: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“ (მათე

5, 48). ამავე სულიკვეთებითაა განმსჭვალული ეკლესიის წმიდა მამათა და მოძღვართა გამონათქვამებიც. წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „როცა სული კეთილკრძალულია, მაშინ მას არანაირი დანაკლისი არ ექნება მკვერმეტყველების მეცნიერების არცოდნისაგან, ხოლო როცა სული წახდენილ-გარყენილია, მაშინ მისგან უდიდესი ზიანი მომდინარეობს, დაე. თუნდაც ასეთ ადამიანს ენაც დიდად დახელოვნებული პქონდეს ორატორობაში, — და კიდევ უფრო მეტი ზიანი იქნება მისგან სწორედ იმის გამო, რომ მისი სიტყვა ასე ძალმოსილია, რამეთუ მკვერმეტყველებასთან შეერთებული უკეთურება გაცილებით დიდი ბოროტების მომტანია, ვიდრე გაუნათლებლობა; სიტყვიერებაში წარმატებული მეცადინეობისათვის აუცილებელია კეთილი ზნეობრიობა, კეთილ ზნეს კი არანაირი შეწევნა არ სჭირდება სიტყვიერებისაგან. ღვთისმოსიში, კეთილკრძალული ამ განსწავლულობის გარეშეც შეიძლება იყოს ადამიანი, მაგრამ მეცნიერებებში ვერაფერ ვერ წარმატება, — და ეს არც არასდროს მომხდარა, — კეთილი ზნე-ჩვეულებების გარეშე, თუკი მეცნიერებისაგან თავისუფალ მთელს დროს ადამიანი მანკიერებებსა და გარყენილებაში გაატარებს. და რა სარგებლობა გვექნება ცოდნისაგან, თუკი უმთავრესი მოგვეშლება?! ანდა რა დაგვაკლდება მეცნიერებათა არცოდნისაგან, თუკი უმთავრესი შეძენილი გვექნება?!“

ასევე, ეკლესიის სხვა მოძღვარიც, ნეტარი ავგუსტინე შემდეგს ამბობს: „რა სარგებლობას მომიტანს ჩემი გონება, ესოდენ მოქნილი მეცნიერებებისადმი, გონება, რომელსაც მასწავლებლის დახმარების გარეშე ესმის ყველაზე ძნელადგასაგები წიგნები, მაგრამ ამავე დროს უაზროდ და მკრეხელური უკეთურებით შესცოდავს კეთილმსახურების მეცნიერებაში?! ან კი შენს ყრმათათვის, უფალო, რითი იყვნენ საზიანო ნაკლებ განვითარებული გონების აღმზრდელნი, თუკი ისინი არ განგეშორებოდნენ შენ და თუკი მათი ზემოქმედებით შენს ეკლესიაში უხიფათოდ და-

ფრთიანდებოდნენ სულიერად შენი ყრმები, საზრდოობდნენ რა ჭეშმარიტი სარწმუნოებით და აღორძინდებოდნენ რა შენდამი წრფელი სიყვარულით?!”

ამრიგად, მხოლოდ იქ სიბრძნეა ბაჯადლო ოქროზე აღმტკბულნი და მხოლოდ ის ცოდნა აღამაღლებს და განადიდებს ადამიანს, რომელიც გვასწავლის სიმართლის გზით, მართლმსაჯულების გზით სიარულს. „არა არს კაცისა სიბრძნე, არა არს სიმხნე, არა არს ზრახვაი მხდომ უფლისა (ანუ საწინააღმდეგო ღმრთისა)“. — დაგვმოძღვრავს ბრძენი სოლომონი (იგავნი 21, 30). ხოლო წმიდა იაკობ მოციქული გვასწავლის: „ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სლვისაგან საქმენი თვისნი სიმშვიდითა სიბრძნისაითა“ (იაკობი 3, 13), რადგანაც მისივე სიტყვით, ჭეშმარიტი სიბრძნე, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს „სიწმიდე და მშვიდობაი, სახიერებაი, მორჩილებაი, სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კეთილთაითა, განუკითხველ და შეუორგულებელ“ (იქვე, მუხლი 17). ამასთან დაკავშირებით წმიდა ანტონი დიდი შემდეგს გვეუბნება: „ის ადამიანები როდი არიან გონიერნი, რომელთაც გულისხმავყვითათ მეცნიერებანი და შეუსწავლიათ ძველ ბრძენკაცთა წიგნები, არამედ ისინი, ვისაც გონიერი სული შეუძენია და ვისაც ძალუძს განარჩიოს კეთილი ბოროტისაგან, ცუდისა და საზიანოსაგან კი სულისათვის იელტოდეს, ხოლო კეთილსა და დიდად სარგოს სულისათვის გულმოდგინედ ესწრაფვოდეს. და ამას ყოველივეს ღმერთისადმი უდიდესი მადლიერებით იქმოდეს. მხოლოდ ესევეთარნი შეიძლება სამართლიანად იწოდებოდნენ გონიერ ადამიანებად“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გასაკები ხდება, თუ უმთავრესად რას უნდა მიექცეს ყურადღება აღსაზრდელთა სწავლავანათლების საქმეში: რა თქმა უნდა, იმას, რაც ყველაზე სარწმუნოდ და სანდოდ უზრუნველყოფს მათს სარწმუნოებრივ-ზნეობრივ განვითარებას. ეს კი სავსებით ეთანახმიერება ჩვენ მიერ ზემორე გაცხადე-

ბულ მიზნებს სწორი აღზრდა-განათლება. სა. რამეთუ ასეთი მთავარი საგანი ბავშვების განათლებისას უპირველესად ყოველისა არის საღმრთო წერილი, რომელიც პავლე მოციქულის სიტყვით, „ჩვენდა სამოძღვრებელად დაიწერა, რაითა მოთმომინებითა მით და ნუგეშის-ცემითა წიგნთაითა სასოებაი გუაქუნდეს“ (რომ. 15, 4). ასე რომ, საგანმანათლებლო საგანთა შორის პირველი ადგილი დათმობილი უნდა ჰქონდეს საღმრთო წერილის სწავლებას. ხოლო სხვა ყოველივე სწორედ ღვთის სიტყვის საფუძველზე, მის შუქზე უნდა შეისწავლებოდეს ყველა ასაკის მოსწავლეების მიერ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სწავლა-განათლება წარმატებული იყოს და სწორი გზით მიემართებოდეს, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში მეცნიერებათა შესწავლისაგან ადამიანს, და აქედან გამომდინარე, მთელს საზოგადოებასაც, ნამდვილი სარგებლობა არ ექნება.

თუკი წმიდა ბიბლიას გადავშლით და მის ფურცლებზე ვეცდებით ამის დამადასტურებელი ადგილების პოვნას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სწორედ ასეთია უფალი ღმერთის ნება. პირველ ყოვლისა ეს ჩანს მისი მიმართვიდან ოდესმე რჩეული ერის — ისრაელისადმი. როცა ეს ხალხი აირჩია საღმრთო გამოცხადების რელიგიურ-ზნეობრივ ჭეშმარიტებათა შემნახავად, უფალმა მისი მომზადებაც დაიწყო ასეთი მაღალი დანიშნულებისათვის. და რა მოიმოქმედა მან ამისთვის? უპირველესად ის, რომ მრავალგზის ჩააგონა მას ყოველივე იმის შეთვისება, რაც წარმართი ხალხებისაგან გამოარჩევდა ისრაელს და ღირსად აქცევდა მას შემოქმედი ღმერთის წყალობათა მიღებისა. უფალი სჯულს, ანუ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ კანონებს აძლევდა ძველი აღთქმის ისრაელს და მოითხოვდა მისგან, რომ, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს განწესებანი შეესწავლათ, და არამხოლოდ ზრდასრულ ისრაელიანებს, არამედ მათს ყრმებსაც. ასე, მაგალითად, ეგვიპტიდან თავიანთი გამოსვლის წინ ებრაელები პასექის დღესასწაულს აღნიშნავდნენ, და კანონიც ამ

დღესასწაულის სხვადასხვა წესის შესახებ მათ თავიანთთვისაც უნდა შეენახათ და თავიანთი ძეებისთვისაც. და როცა ეს უკანასკნელნი შეეკითხებოდნენ თავიანთ მშობლებს: „რაი არს ესე მსახურებაი ესე?“ — მშობლებს ამგვარად უნდა უპასუხებოდათ, უფლის სწავლებისამებრ: „ესე არს მსხვერპლი შეწირვისა ზატიკისა უფლისა, რამეთუ დაიცვა სახლები ძეთა მათ ისრაელისათა ქვეყანასა მას ეგვიპტისასა, რაჟამს — იგი პკვემდა ეგვიპტელთა მათ გვემითა მით განუგებელითა და სახლები ჩვენი იგი განარინა“ (გამოსვლათა 12, 26-27).

აი, კიდევ ერთი მაგალითი საღმრთო წერილიდან: პასექის დღესასწაულობასთან დაკავშირებული განწესების მიცემის შემდეგ, უფალმა ღმერთმა ისიც განუჩინა ებრაელებს, რომ ისინი თავიანთ პირმშობებს — ვაჟიშვილებსა თუ ასულებს ღმერთს მიუძღვანებდნენ სამსახურებლად, ხოლო პირველშობილ პირუტყვთ — შესწირავდნენ. ამ წესთან დაკავშირებითაც შეეძლოთ ებრაელთა შვილებს ეკითხათ თავიანთი მშობლებისათვის — რა კანონია ესაო, და მამები კვლავაც ვალდებულნი იყვნენ უფლის სიტყვისამებრ გაეცათ პასუხი მათთვის (გამოსვლ. 13, 1-2; 12-15). ასე იყო სჯულისმდებელ მოსეს დროს. იგივეს ვხედავთ ჩვენ მისი მემკვიდრის — ისუ ნაკვს მსაჯულობის დროსაც. ისრაელიანთა გადასვლისას მდინარე იორდანზე ებრაელი ერის ახალმა წინამძღოლმა, უფლის ბრძანებით, მოუწოდა 12 ადამიანს, თითოს ისრაელი ერის თორმეტი ტომისაგან, და უთხრა მათ — იორდანეს სასწაულებრივად დამშრალი ფსკერიდან თითო ქვა აიღეთ, „რათა იყვნენ ესენი თქვენდა სასწაულად მარადის“, ხოლო როცა ძენი თქვენნი შეეკითხებიან თქვენ — „რაი არიან ქვანი ესე თქვენდა?“ ასე მიუგეთ, რომ ისინი მოსახსენებლად გვაქვს იმ დროისა და იმ სასწაულისა, როცა „დასწყდა იორდანე მდინარე პირისაგან კიდობნისა სჯულისა უფლისა ყოვლისა ქვეყანისასა. რაჟამს წიაღვიდოდა მას. და იყვნენ თქვენდა ქვანი იგი სახსენებელად ძეთა ისრაე-

ქრისტიანების, წმიდა მოვალეობაა კარგად შევისწავლოთ ჩვენი რწმენის, ჩვენი სასოების საგანი. და რა უნდა მოვიმოქმედოთ ამისთვის? ვის, ან რას მივმართოთ დახმარებისათვის? ამის შესახებ თვით ქრისტეს შესაიდუმლე — წმიდა მოციქული იოანე გვასწავლის: „...ვიცი, რამეთუ ძე ღმრთისაი მოვიდა და მომცა ჩვენ გონებაი, რაითა ვიცოდით ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩვენ ჭეშმარიტისა თანადისა მისისა იესუ ქრისტესა. ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი, ცხოვრებაი საუკუნოი“ (იოანე 5. 20). აი, სად არის ჩვენი ჭეშმარიტი ცოდნა, რამეთუ ფსალმუნთგალობელიც ღაღადებს — „უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა“ (ფსალმ. 26, 1); ანუ სწავლა-განათლებასაც და სიცოცხლესაც ჩვენ უფალი გვანიჭებს. და საღმრთო სჯულშიც ყველა ჩვენს შეკითხვაზე ვიპოვით პასუხს და იმ ეჭვებსა თუ გაცბუნებებსაც გავიფანტავთ, რომლებიც ნებისმიერ მართლმადიდებელ ქრისტიანს შეიძლება აწუხებდეს. ამისთვის აუცილებელია მტკიცედ გვახსოვდეს წმიდა პავლე მოციქულის სიტყვები და შეძლებისდაგვარად ვასრულებდეთ კიდევ მას: „და სიტყვაი იგი ქრისტესი დამკვიდრებულ იყავნ თქვენ თანა მდიდრად ყოვლითა სიბრძნითა; ასწავებდით და კმოძვრიდით თავთა თქვენთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა, მადლითურთ უგალობდით გულთა შინა თქვენთა უფალსა. და ყოველსა, რასაცა იქმოდით სიტყვით გინა თუ საქმით, ყოველსავე სახელითა უფლისა იესუსისითა იქმოდით. და კმადლობდით ღმერთსა და მამასა მის მიერ“ (კოლას. 3, 16-17). მოციქულის ამ შეკონებასთან დაკავშირებით წმიდა ფილარეტ მოსკოველი წერს: „ეს ის რაღია, როცა ჩვენ დროდადრო ვისმენთ საღმრთო სიტყვას სხვათა ბავეთაგან, ანდა თვით ჩვენვე წარმოვთქვათ და შეგვიძლია ზეპირადაც დავისსომოთ. არა, საჭიროა, რომ იგი დამკვიდრებული იყოს ჩვენს არსებაში და, მამასადამე, ცოცხლობდეს კიდევ ჩვენში, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? — ისე, რომ სხვა აზრები გონებაში და სხვა სუ-

რვილები გულში უცხო სტუმრებივით უნდა მივიდოთ, — მხოლოდ დროებით, აუცილებლობისა გამო, ღვთის სიტყვა კი, ქრისტეს სიტყვა, გამუდმებით გვქონდეს აზრით გონებაში, გულშიც და სხვა ტონებულ სურვილად; იგი უნდა იქონიეს ყველა ჩვენი საქმის სული და გული. გულუხვი მოძღვარი დასძენს — „დამკვიდრებულ იყავნ თქვენ შორის მდიდრად ყოვლითა სიბრძნითაო, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება ოდენ ბავშვობაში მიღებული ძუნწი დაწყებითი საღმრთო სწავლებით დავკმაყოფილდეთ; საჭიროა თანდათანობით გავიღრმავოთ იგი და ახალ უფრო დიდ წარმატებებს მივადწიოთ სულიერ სწავლა-განათლებაში, რათა არანაირი, თვით საიდუმლოში დაფარული, სიბრძნე არ მიგვაჩნდეს ჩვენთვის უცხოდ, და ყოველთვის მორჩილებით განვიწყობდეთ გონებას ღმერთის შემეცნებისათვის, ვულს კი — ზეციურ სიკეთეთა შეგრძნებისათვის“.

და მეტად გვაკვირვებს ხოლმე, როცა ზოგჯერ, მიუხედავად ამისა, მაინც გვესმის ასეთი სიტყვები ქრისტიანთაგან: რაში გვჭირდება ეს, ჩვენ ხომ ქადაგებები არ უნდა წარმოვთქვათ?! ეს ხომ მხოლოდ სასულიერო პირთა საქმეა! მაშ, რა აუცილებელია ღრმად და გამოწვლილვით შევისწავლიდეთ საღმრთო სჯულს, ანდა, რაც იგივეა, საღმრთო წერილს?! — ასეთი მსჯელობა, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურია! ადამიანებთან მიმართებაში ჩვენ უფრო მეტ ყურადღებას ვიჩენთ, ვიდრე შემოქმედ ღმერთთან მიმართებაში. ჩვეულებრივ, ჩვენ ზედმიწევნით შევისწავლით ხოლმე იმ ადამიანთა შეხედულებებს, რომელთაც ჩვენზე მაღალი მდგომარეობა უკავიათ, რათა ვცდილობდეთ მათი სურვილისა და შეხედულებისამებრ ვიქცეოდეთ, ვაამებდეთ მათ. ხოლო ჩვენი შემოქმედისა და მაცხოვრის ღვთაებრივი ნების მიმართ შესაძლებლად მიგვაჩნია დაუდევარნი, უყურადღებონი ვიყოთ, რაც არამც და არამც არ გვებატოება. უცნაურობასთან ერთად ასეთი მსჯელობა იმასაც მოასწავებდა, რომ ჩვენ უგულბებულ-

გყოფდით საკუთარ კეთილდღეობას და უარყოფდით იმ საკურნებელ ზეთსა და მალამოს, რომლებითაც ჩვენი მრავალი წყლულის, სხეულებისა და უძღურების განკურნვა შეგვეძლებოდა.

წმიდა იოანე ოქროპირი გვასწავლის: „ვერავინ ვერ ასწავლის ადამიანს ისე, როგორც ღვთის სიტყვა... გვედრებით ყველას, ვინც ამქვეყნიურ ცხოვრებას ხართ მიჯაჭვულნი: მოისმინეთ ღვთის სიტყვა, წაიკითხეთ იგი! შეიძინეთ საღმრთო წიგნები — ჩვენს სულთა საკურნებელი საშუალება! სხვას თუ არ ისურვებთ, ახალი აღთქმის წიგნები მაინც შეიძინეთ და იკითხეთ, ჩვენი მუდმივი მოძღვარნი — წმიდა მოციქულთა საქმე, სახარება, მწუხარება თუ გეწვევათ, მათ მიეახლეთ ვითარცა იმ ჭურჭელს, რომელიც საკურნებელი ნივთიერებითაა სავსე. რაიმე დანაკლისი თუ შეგეპოხევათ, ახლობელ ადამიანთა სიყვდილი, — მაშინაც სწორედ საღმრთო წიგნებიდან ეძიეთ ნუგეში თქვენი უბედურებისათვის. ანდა, უმჯობესია, ოდენ კი ნუ მიეახლებით მათ, არამედ თქვენი არსების წიაღში მიიღეთ ისინი, და მარადის გონებაშიც დაიმარხეთ. ყოველგვარი ბოროტება სწორედ საღმრთო წერილის უცოდინარობისაგან მომდინარეობს! რამეთუ უმისოდ ჩვენ თითქოს უსაჭურველოდ გამოვდივართ ბრძოლის ველზე. და როგორღა კავიმარჯვოთ?! როგორღა ვცხოვნიდეთ?! წმიდა წიგნებით ცხოვნება ადვილია, ხოლო უმათოდ — შეუძლებელია!“

მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. ქრისტიანის ზრუნვა მხოლოდ საკუთარი თავით არ უნდა შემოიფარგლოს. ყოველი ჩვენგანის ვალია სხვა ადამიანებზეც ვზრუნავდეთ. მეზღვაურებს, რომელნიც ვარცელ ზღვებზე მოგზაურობენ, ასეთი ჩვეულება აქვთ: დაე, თუნდაც მათს ხომალდს ზურგის ქარი მიაქანებდეს და დაე თუნდაც მათს სიცოცხლეს სრულიად არაფერი არ ემუქრებოდეს და ისინიც სრული სიმშვიდით დასტკბებოდნენ, მაინც, თუკი დაინახავენ შორს, რომ ვიღაც სხვას ხომალდი ჩასძირვია, უმაღვე ღუზას ჩაუშვებენ, იალქნებს აახვევენ და პატარა ნა-

ვებით ეცდებიან იმათ გადარჩენას, ვინც წყალშია და მათს დაუხმარებლად ძალე ჩაიძირება. ეს მავალითი ნაბიჯი იმსახურებს შიბაძვას. ყოველი ჩვენგანიც ხომ ქვეყნიური ცხოვრების უფროსი ზღვაში მიცურავს, სადაც უფროსი ხომალდი იძირება და მრავალნი განწირულნი არიან დასაღუბად. ამიტომ ყველამ, როგორც კი დავინახავთ რომ ვიღაცას, ამ ზღვაში მყოფს, ღამის დაუკარგავს ხსნის საუნჯე, უნდა გავაჩეროთ ჩვენი ნავი, დაე, თუხდაც ძალზეც გვეჩქარებოდეს მეორე მხარეს მიღწევა: უნდა გადაედოთ ჩვენი ყველა საქმე და ვიჩქაროთ მოყვასი ამოვიყვანოთ წარწყმედის მორევიდან. რამეთუ საღმრთო წერილიც ამას განგვიწესებს, როცა პავლე მოციქულის პირით დავგმობდვრავს: „ნუვინ თავისასა ხოლო ეძიებნ, არამედ — მოყუისასაცა თითოეული“ (1 კორინთ. 10, 24); „კაცად-კაცადი ჩვენი მოყვასსა სათნო-ყოფოდენ კეთილისათვის აღსაშენებლად“ (რომ. 15, 2). სწორედ ამასი მდგომარეობს ქრისტიანი სიყვარული, რომელიც თავისას კი არ ეძიებს, არამედ, პირველ ყოვლისა, სხვის სიკეთეს, რათა სხვის შეწევნაში ნახოს თავისი. როცა ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენს გვერდით მყოფს სამოსი არასწორად ან უხერხულად აქვს ჩაცმული, მივუთითებთ მას, ანდა იქვე გაუხსწორებთ საყელოს ან სხვას რასმე. და თუკი ამას ვიქმთ ასეთი უმნიშვნელო საგნის ვამო, რისვანაც ადამიანს არანაირი ზიანი არ ადგება, რაოდენგზის უცნაური იქნებოდა, თუკი გვერდით ჩავუვლიდით ადამიანს, ვინც უჯერო ცხოვრებით უდიდეს ზიანს აყენებს საკუთარ თავს — სამარადისოდ იღუპავს მას, და ერთ სიტყვასაც არ ვეტყოდით შესაგონებლად. უხერხულად ჩაცმული სამოსი ოდენ სასაცილოა, უმნო დასანახად, სულის ცოდვიანი მდგომარეობა კი ყოველწარწყმედიანია. და გულგრილობისათვის ჩვენც პასუხი მოგვეთხოვება. აკი ქანქარის მიწაში დამფვლელრც იმის ვამო კი არ განიკითხა უფლის მიერ, რომ რაღაც დანაშაული ჩაიდინა, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ არ განამრავლა უფლისაგან მიღებული ტა-

ლანტი — ნიჭი, ანუ იმისათვის, რომ არავინ არ დაშოქდვრა, არავინ არ გამოასწორა. არავინ არ აღზარდა თავის მოყვასთაგან (მათე 25, 25-30). ასევე ისიც, ვინც მშვიდ-მწყურვალ ქრისტეს არ მისცა საჭმელ-სასმელი, იმისთვის კი არ იქნა განკითხული უფლისაგან, რომ რაღაც ცოდვა-დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ არ დაეხმარა გაკვირვებულს, სასარგებლო არ გახდა მოყვასისათვის (მათე 21, 41-46).

ამრიგად, ჩვენც გვეკუთვნის პავლე მოციქულისეული მცნება. მიცემული მისი მოწაფის ტიმოთესადმი: „ქადაგე სიტყუაი, ზედა-ადექ უამითი-უყამოდ, ამხილე, შეპრისხენ და ნუგეშინის-ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღურებითა“ (11 ტიმ. 4, 2). მაშასადამე, ყოველი ჩვენგანიც ვალდებულია ამ მაღალი საქმიანობისათვის ემზადებოდეს და ამისთვის რაც შეიძლება ხშირად გადაშლიდეს საღმრთო წერილს, რომლის „ყოველი წიგნი ღმრთივ სულიერი და სარგებელი სამოძღურებლად არს და სამხილებლად და განსამართლებლად და სასწავლელად სიმართლისა, რაითა აწვე იყოს ღმრთისა იგი კაცი სრულყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა განმტკიცებულ“ (11 ტიმოთე 3, 16-17). და ეს მოვალეობა — მოყვასთა რელიგიურ-ზნეობრივი სრულყოფისათვის ზრუნვისა მხოლოდ მამაკაცებს როდი ეკისრებათ, არამედ — დედაკაცებსაც, რის დასტურსაც საღმრთო წერილშივე ვხვდებით წმიდა პავლე მოციქული ამბობს: „და დედაკაცსა თუ ესუას ქმარი ურწმუნოი და მას ჯერ უჩნდეს ყოფაი მის თანა, ნუ დაუტევენ ქმარსა მას... რამეთუ რაი იცი, დედაკაცო, აცხოვნო თუ ქმარი შენი?“ (1 კორინთ. 7, 13, 16). მაგრამ როგორ შეუძლია მორწმუნე ცოლს აცხოვნოს თავისი ურწმუნო ქმარი, ანდა, საერთოდ თუ ვიტყვით, მორწმუნე დედაკაცს — ურწმუნო, შეცთომილი მამაკაცი? რა თქმა უნდა, სწავლა-დამოძღვრითა და შეგონებით. მართალია, პავლე მოციქული განკვირვებებს ამასაც: „მოძღურებად დედათა არა უბრძანებ“ (1 ტიმ. 2, 12), მაგრამ წმიდა მათა

მათა განმარტებით, აქ იგულისხმება დამოძღვრა ამბიონიდან, ანუ ის, რომ დედაკაცს არ შეუძლია მღვდელი იყოს, ხოლო სხვა სახით სწავლა-დამოძღვრის უფლება მისთვის არავის წაუღებია.

მაგრამ სანამ სხვების დამოძღვრას შევუდგებოდეთ, ჩვენ თვითონვე უნდა ვისწავლოთ და მოვემზადოთ ამისთვის, რამეთუ თუკი ბრმა უწინამძღვრებს ბრმას, ორთავე უფსკრულში გადაიჩენება. და ასეთი საგანმანათლებლო საქმიანობისათვის ქალებიც უნდა მოემზადონ, ხოლო მომზადება ყველამ უნდა დავიწყოთ საღმრთო წერილის ღრმა შესწავლით, სადაც ყოველივე „სამოძღურებლად არს... და სასწავლელად სიმართლისა“. პირველი საუკუნეების ქრისტიანებს კარგად ჰქონდათ შეგნებული საღმრთო წერილის შესწავლის უდიდესი სარგებლობა და ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდნენ თვითონაც კარგად აღესრულებინათ ეს საქმე და შეიღებინათ თავისაც ესწავლებინათ ბიბლია. ნეტარი იერონიმე ზემორე მოხმობილ წერილში კეთილმსახურ დედაკაც ლეტასადმი, რომელმაც სთხოვა წმიდანს, მასწავლე როგორ უნდა აღეზარდო ჩემი ასულიო, შემდეგს სწერს: „ძვირფასი ქვებისა თუ აბრეშუმის ნაცვლად მას საღმრთო წიგნები უნდა შეაყვარო; იქროქსოვილი და ბაბილონური მატყელი კი არ უნდა იზიდავდეს მას, არამედ დაკვირვებული და გულმოდგინე შესწავლა ყოველივე იმისა, რაც სარწმუნოებას განეკუთვნება. პირველ ყოვლისა კი, დაე, ფსალმუნები შეისწავლოს მან და მათი გალობით ინუგემოს თავი; დაე, სოლომონის იგავებით შეისწავლოს მან ცხოვრების მეცნიერება; დაე, ეკლესიასტედან შეიძინოს ჩვევა ყოველივე საეროს მოძაგებისა; მართალი იობის წიგნში იბოვის იგი სათხოებასა და მოთმინების მაგალითს. ხოლო როცა სახარებების შესწავლაზე გადავა, დაე, ნურასდროს გაუშვებს ხელიდან წიგნს... დაე, დასასრულ, ყოველგვარი შიშის გარეშე შეისწავლოს წიგნი ქებათა ქებისა, რათა მისი თავიდანვე წაკითხვით არ ავნოს თავის სულს იმით, რომ, ეგებ ვერ გულისხმა-ჰყოს, რომ გრძნო-

ბისმიერ ხატებათა მიღმა აქ სულიერი მე-
ულლეობის ხატოვანი განდიდება გვაქვს“...

დაე, ნუ გაიოცებენ ასეთ რჩევა-დარიგე-
ბას ეკლესიის წმიდა მამისა ჩვენი აღმზრ-
დელი ქალები; დაე, გაიხსენონ მათ ჩვენი
ყოველთა აღმზრდელი — ღმრთივ რჩეული
ყრმაქალი მარიაში, რომელიც ტაძარში
აღზრდისას, სხვა, ყმაწვილ ქალთათვის გა-
ნკუთვნილი საქმიანობების გარდა, საღმ-
რთო წერილსაც შეისწავლიდა, როგორც
ამას წმიდა საეკლესიო გადმოცემა მოგვი-
თხრობს. ამ ვადმოცემით, მთავარანგე-
ლოზი გაბრიელი სწორედ მაშინ გამოეცხა-
და ქალწულ მარიამს, როცა იგი საღმ-
რთო წერილს კითხულობდა და ახარა, რომ
მისგან მთელი კაცობრიობის მხსნელი —
იესო ქრისტე იშვებოდა (ლუკა 1, 26-38).
დაე, ყველა ყმაწვილ ქალს ყოველთვის
ახსოვდეს ეს, რათა იმას მიჰბაძავდნენ,
ვინც მათი მსგავსი ბუნებისა იყო და
მათსავეთ ჯერეთ სრულიად ყმაწვილი ქა-
ლი შეიქნა ღმერთის მშობელად. დაე, წაი-
კითხონ ჩვენმა აღმზრდელმა ქალებმა წმი-
და სახარება და ნახონ, თუ როგორ არჩია
ლაზარეს დამ — მარიამმა უფლის ფერხ-
თით ჯდომა და მისი ღვთაებრივი სიტყვე-
ბის მოსმენა ქალისათვის ბუნებრივ საქმი-
ანობას და როგორ იქნა ამის გამო მარ-
თაზე მაღლად დაყენებული თვით მაცხოვ-
რის მიერ, თუმცა მართაც, უდავოდ, კე-
თილ და სასარგებლო საქმეს აკეთებდა.
უფლის სიტყვისამებრ, ჯილდოს ღირსია
ისიც კი, ვინც თუნდაც ერთ თას ვრილ
წყალს მიაწვდის მისი სახელით ყოველ
მწყურვალს (მათე 10, 41), მართა კი მთლი-
ანად სტუმართმოყვარეობის გრძნობას მი-
ეცა და თვით უფალსა და მის მოწაფეებს
უმზადებდა ტრაპეზს. მაგრამ, აბა, ნახეთ,
რა უთხრა უფალმა მართას, როცა მან მა-
რიამს უსაყვედურა, რატომ შენც არ მეს-
მარებო: „მართა, მართა! ზრუნავ და შფოო
ხარ მრავლისათვის. აქა ერთისაი არს სახ-
მარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამო-
ირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისკან“
(ლუკა 10, 41-42). და როცა ეცდებიან
მართას მიბაძონ სტუმრის — თვით უფალ
იესო ქრისტეს — გამასპინძლებაში იმით,

რომ ღარიბ-გლახაკნი და უსახლკარონი
შეიწყნარონ, ჩვენმა ღვთაებრებმა დაე,
მარიამსაც მიბაძონ. ანუ სხვადასხვა საკ-
მელთა მომზადებას ღვთაებრივი მოძღვ-
რების შესწავლა ამჯობინებდნენ. ჩიუსხდნენ
უფალს ფერხით: „ღმრთივ სიტყვებზე,
რომელი შეიყვარა სულმან ჩემან“ (ქება-
თა ქება 3, 4) და „გულმან უთქუას მეუ-
ფესა სიკეთისა შენისაი, რამეთუ იგი თა-
ვადი არს უფალი ღმერთი შენი“ (ფსალმუ-
ნი 44, 12), ხოლო უფალი ეტყვის ესევი-
თარ ღვთაებრს: „ერთ არს ტრედი ჩემი,
სრული ჩემი, ერთ არს დედისა თვისისა;
რჩეულ არს მშობლისა თვისისა... ასულ-
თა და დედოფალთა იხილეს სძალი და
ჰნატრიდეს მას“ (ქებათა ქება 6, 8), ანუ
თავის სძლად აღიარებს მას უფალი.

ამრიგად, თუკი ჩვენ გვსურს არამხო-
ლოდ სახელად ვიყოთ ქრისტიანები, არა-
მედ საქმიანაც ვამართლებდეთ ამ სახელს
და თუკი გვსურს შევნებული დამოკიდუ-
ბულება გვქონდეს ჩვენი რწმენის საგან-
თან, მაშინ გულმოდგინედ უნდა ჩავუღრ-
მავდეთ სარწმუნოების ქეშმარიტებების
შესწავლას. მხოლოდ საღმრთო სწავლება-
ში მოვიძვეთ ჩვენ იმ ნათელს, რომელიც
გაფანტავს ჩვენი უცნობლობის წყვედიადს,
ჩვენი ეჭვებისა და შეცბუნებების უკუნს,
და ამ ნათელთან ერთად სიმშვიდესაც მო-
ვუპოვებთ ჩვენს ტანჯულ გულს...

X. საერო მცნობიანობათა შესწავლის აუცილებლობა

ზემოთ, აღზრდა-ვანათლების ხასიათ-
ზე საუბრისას ჩვენ ვთქვით, რომ საღმ-
რთო წერილის, და ეკლესიის წმიდა მამათა და მოძღვართა შეხედულებით, განათლებას საფუძვლად უნდა დაედოს ღმერთის სიტყვა. მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, თითქოს განათლების საქმე მთლიანად მხოლოდ საღმრთო წერილის შესწავლით უნდა შემოიფარგლებოდეს და აგრეთვე მასთან დაკავშირებული სასულიერო, ანუ საღვთისმეტყველო საგნებისა. რელიგიური განათლება არ გამოირიცხავს საერო განათლებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია მეფე სოლო-

მონი, რომელმაც ღრმა რელიგიურ მცნობელობას შეუერთა უვრცესი ცოდნა საერო მეცნიერებების სფეროში. ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ მან სამი ათასი იგავი დაწერა, (ანუ ღმრთივსულიერი მოკლე გამოხატვებები, რომლებიც აღსაესაღებოდა ებრაელებს და სამოძღვრებო-სახელმძღვანელოა ყოველი მორწმუნისათვის), აგრეთვე ხუთი ათასი ქება. და ამავ დროს იგი საქმის ღრმა ცოდნით ლაპარაკობდა „ძელთათვის ფიქსურად ღიბანისათა მიჯნეჯილამდე, რომელ ზღუდესა ზედა აღმოსცენდის და თქვა პირუტყვთათვის და ფრინველთათვის და ქვეწარმავალთათვის და თევზთათვის“, ისე რომ „მოვიდეს ყოველნივე ნათესავნი სმენად სიბრძნისა მის სოლომონისსა, ყოველნი მეფენი ქვეყანისანი, რომელთა ესმოდა სიბრძნე მისი“ (III მეფეთა 4, 32-34). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოლომონი იყო ღვთისმეტყველიც, ბუნებისმეტყველიც, ფილოსოფოსიც და პოეტიც, და იგი „განბრძნდა უფროის ყოველთა კაცთა უფროის წინანდელთა კაცთა და უმეტეს მეცნიერთა ეგვიპტისათა“ (იქვე, მუხლ. 30-31).

ამრიგად, ყოველივე ამას მეფე სოლომონის შესახებ ჩვენ საღმრთო წერილიდან ვგებულობთ. მასშივე ვპოულობთ ყოველად სასარგებლო რჩევებსაც მასზედ, თუ როგორ შეგვეძლება ფართო, ყოველმხრივი გონებრივი განვითარება. საკულისხმომია ისიც, რომ ცოდნის შემძენნი, დაე, თუნდაც ეს ცოდნა საერო იყოს, ბიბლიაში დასახულნი არიან პატივისცემის ღირს ადამიანებად. ღმრთივსულიერი მწერლის სიტყვით, კაცმა „მეცნიერმან მოღუაწებანი მოიპოოს, ცნას იგავი და დაფარული სიტყვაი, თქმული ბრძენთაი და უწყებანი მათნი“ (იგავნი 1, 5-6). ხოლო ისუ ზირაქის ძე ამბობს: „იმდენი პატივი მიაგე მკურნალს, რამდენადაც გპირდება იგი, რადგან უფალმა შექმნა იგი... ცოდნა მკურნალს თავს აღუმაღლებსო და დიდებულთა წინაშეც პატივს მოუხვეჭს. უფალმა მიწისაგან შექმნა წამლები და გონიერი კაცი არ უგულვებელჰყოფს მათ... წამლის მკეთებელი მათგან ნარეუს ამზა-

დებს და არ დასრულდება მისი საქმიანობა; მისგანაა მშვიდობა დედამიწის ზურგზე“ (ზირაქი 38, 1, 3, 4, 7-8). ასევე სხვა ადგილასაც თავისი წიგნისა ეს, სიბრძნისა და მეცნიერების ძველი პატივისცემელი შემდეგს შენიშნავს: „სიბრძნის მფლობელი დიდებას დაიმკვიდრებს და სადაც კი მივა, მას უფალი აკურთხებს... სიბრძნის მძებნელნი, რიყრაჟზე წამომდგარნი მისთვის, სიხარულით აღივსებიან“ (ზირაქ. 4, 13, 12). თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე ითავისებს სახელწოდებას სიბრძნისა: როცა მწიგნობრებსა და ფარისევლებს ამხელს მათს ბოროტ წინაპრებთან თანაზიარობაში, რომელთაც წინასწარმეტყველები არ მიიღეს და მოკლეს, და როცა იმასაც შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში შვილებმაც (ამქვეყნად მოსული ძე-ღმერთის უარყოფით) და მათმა წინაპრებმაც (უფლის რჩეულ წინასწარმეტყველთა მოკვლით) ის აღასრულეს, რაც წინასწარვე უწყოდა ღმერთმა მათთვის, — მაცხოვარი ასე განაგრძობს თავის სიტყვას: „ამისთვისცა — იგი სიბრძნემან ღმრთისამან თქვა: მოვაგლინე მათა (ანუ ებრაელებთან) წინასწარმეტყველნი და მოციქულნი, და მათგანნი მოსწყვიდნენ და დევნენ... იძიოს სისხლი ყოველთა წინაისწარმეტყველთაი, დათხეული დასაბამითგან სოფლისაით ნათესავისა ამისგან“ (ლუკა 11, 49-50).

აზრი საერო განათლების უდიდესი მნიშვნელობისა და მისი სრული შეთავსებადობის შესახებ სულიერ განათლებასთან ზედმიწევნით არის გაცხადებული ეკლესიის წმიდა მამებისა და მოძღვრების ქმნილებებში. ასე, მაგალითად, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის მამხილებელ სიტყვაში იმპერატორ იულიანე განდგომილის წინააღმდეგ, ვინაც ქრისტიანებს სიტყვიერების მეცნიერებათა შესწავლა აუკრძალა, ამბობს: * „დაე, ჩემი აღმფოთება სიტყვიერების ყველა მოყვარულმა გაიზიაროს, რომელნიც მას ვითარცა წმიდა საქმეს მისდევენ, — იმათ, ვის შორისაც ყოფნაზე მეც არ ვიტყოდი უარს! რამეთუ სხვა ყოველივე მე სხვებს დაფუტოვე, ვისაც სურდა და უყვარდა ეს, — სხვებს დაფუტე

სიმდიდრე, წარჩინებულობა გვარისა, დიდება, ძალაუფლება, — ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც ამქვეყნად ტრიალებს და რაც ოდენ სიზმარივით ატკბობს ადამიანებს, და მხოლოდ ერთს რასმე უიტოვებ საკუთრივ ჩემთვის — სიტყვის ხელფონებას, და არც ვკიცხავ თავს იმ შრომისათვის ზღვასა თუ ხმელზე, რამაც ეს სიმდიდრე — მჭევრმეტყველება — მომაპოვებინა... თქმ, ნეტავი მეცა და ჩემი ყოველი მეგობარიც შემოსილი ვიყოთ სიტყვის ქმედითი ძალით! აი, ეს არის პირველი რამ, რაც მე შევიყვარე და რაც ახლაც მიყვარს უპირველესის, ანუ ღვთაებრივის შემდეგ და იმ სასოებათა შემდგომ, რომელნიც ყოველივე ხილულსა და წარმაგულს აღემატება“.

სხვა ადგილას იგივე წმიდა მამა ასევე თანავრძნობით ლაპარაკობს საერო გა-

* ბერძნულ-რომაულ სამყაროში, ანტიკურ პერიოდში განათლების მქონედ ის ადამიანები ითვლებოდნენ, ვისაც სამი სასკოლის სკოლა ჰქონდა დამთავრებული: 1. დაწყებითი, სადაც უმთავრესად წერაკითხვა და ანგარიში ისწავლებოდა, 2. გრამატიკული სკოლა, რომელშიც შეისწავლებოდა ძველი დროის აღიარებულ პოეტთა, მწერალთა და ფილოსოფოსთა თხზულებანი; ეს იყო ერთგვარი საშუალო სკოლა და 3. რიტორიკული სკოლა — უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც ორატორობას — მჭევრმეტყველების მეცნიერებას შეისწავლიდნენ და მრავალი საერო თანამდებობების დასაკავებლად ემზადებოდნენ უზარმაზარ რომის იმპერიაში, დაწყებული მცირე დასახლებული პუნქტის განმგებლობით და დამთავრებული სენატის წევრობითა და იმპერატორის მრჩევლობით, ანდა თვით სულმწიფობით. ქრისტიანთა მღვწელი იმპერატორის იულიანე ჯანდომილის ბრძანებით, ქრისტიანებს ნება ეძლეოდათ მხოლოდ დაწყებითი სკოლაში ესწავლათ და ამრიგად, ისინი არ დაიშვებოდნენ სახელმწიფო მმართველობაში ანუ დაბალ დონეზეც კი (მთარგმნელი).

ნათლების შესახებაც: „ვეფიქრობ, ნებისმიერი გონიერი ადამიანი სიკეთედ აღიარებს ჩვენთვის განსწავლულობას, და არამხოლოდ ამ ჩვენს უკეთილმოძილეს ცოდნას, რომელსაც მუჟაყვეა სიტყვის ყოველგვარი სამკაულზე — თუ სხვათაგანზე, და მხედველობაში ოდენ ცხოვნება აქვს, — არამედ გარეგან, საერო განსწავლულობასაც... რომელსაც ქრისტიანთაგან ბევრნი, თავიანთი არასწორი განსჯით, თაკილობენ და უარყოფენ ვითარცა ბოროტგანმზრახს, სახიფათოსა და ღმერთისაგან განმამორებელს. ცა, მიწა, ჰაერი და სხვა ყოველივეც, რაც არის მათზე და მათში, არ უნდა მოვიძაგოთ იმის გამო, რომ ზოგიერთებმა ბოროტად მოიანზრეს ისინი და ღმერთის საფერი პატივი და თავფანისცემა. ქვეშარიტი ღმერთის ნაცვლად, სწორედ მათ მიაგეს როგორც „ღმერთებს“. პირიქით, ვისარგებლებთ რა მათგან ყველაფერ იმით, რაც ცხოვრებისათვის გვესაჭიროება, ჩვენ თავიდან ავიცილებთ ყოველივე სახიფათოს და არ შემუდგებით უკუნურებთან ერთად ქმნილების დაპირისპირებას შემოქმედი ღმერთისადმი, არამედ ქმნილებათა მიერ, პავლე მოციქულის სიტყვისაებრ, ვიმსჯელებთ მათს დამზადებულზე, რომლის ძალითაც ჩვენ განმზადებულნი ვიქნებით „დასარღვევლად ძნელოვანთა“, და უსათუოდ „დავარღვევთ გულის სიტყუათა და ყოველსა სიმაღლესა, აღმაღლებულსა მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა, და წარმოვსტუშენავთ (ანუ დავატყვევებთ) ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა“ (11 კორინთ. 10, 4-5).

ასევე არც ცეცხლის, საზრდოს, რკინისა და მისთანათა შესახებ შეგვიძლია თქმა, რომ რომელიმე მათგან თავისთავად ანდა ყველაზე მეტად არის სასარგებლო თუ მავნე, რამეთუ ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ რთვორ მოიხმარს მათ. თვით გესლიან ქვეწარმავალთა შორისაც მოიძეებებიან იმგვარნი, რომელთაც ჩვენ საკურნებელი შედგენილობების დასამზადებლად ვიყენებთ. იგივე შეიძლება ითქვას განსწავლულობისა და მეცნიერებების შესახებ:

ცოდნა შეიძლება სასარგებლოც იყოს ადამიანისათვის და საზიანოც, იმისდა მიხედვით, თუ ვინ როგორ იყენებს მას. ამიტომაც არ უნდა დავაკნინებდეთ ცოდნას, როგორც ამას ზოგიერთნი იქმან, პირიქით, უგუნურებად და უცნობლებად უნდა ვადიაროთ ისინი, ვინც ასეთ შეხედულებას ადგას და სურს ყველანი მათგვარნი იყვნენ, რათა საერთო ნაკლოვანებაში დაჰფარონ საკუთარი ნაკლოვანება და არ იქნენ მხილებულნი გაუნათლებლობასა და უცნობლობაში“.

ასეთი შეხედულება საერო მეცნიერებაზე არ იყო მხოლოდ წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის კერძო აზრი, ამას ყველა სხვა ცნობილი მოძღვარიც იზიარებდა ქრისტეს ეკლესიისა როგორც ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, ასევე შემდგომაც. მაგალითად წმიდა ანტონი დიდი ამბობს: „უსწავლელნი და უბირნი სასაცილო საქმედ მიიჩნევენ განსწავლულობას და არ სურთ ყურად იღონ მეცნიერებისა, რადგან მეცნიერება მათს უცნობლობას ამჟღავნებს; ესევეთართ სურთ, რომ ყველანიც მათი მსგავსნი იყვნენ“.

კვალად, ქრისტიანობის მხნე დამცველი კლიმენტი ალექსანდრიელი გვასწავლის: „თუკი არსებობენ ისეთი სულმოკლე ადამიანები, რომელთაც ისევე ეშინიათ ფილოსოფიისა, როგორც ბავშვებს — მოჩვენებებისა, და ფიქრობენ, თითქოს ფილოსოფია შეიძლება მიზნუნი იყოს მათი დაცემისა, მაშინ ამგვარი ადამიანები, დაე, დაეცნენ, რათა თავიანთი დაცემით ასწავლონ სხვებს, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფია აუცილებელია“. მისი აზრით, ჭეშმარიტი ფილოსოფია არის ღვთაებრივ და კაცობრივ საგანთა ცოდნა; არსებობს მეცნიერება, რომელიც გვაძლევს ცოდნას ჩვენს დამოკიდებულებაზე ღმერთთან და ქმნილ სამყაროსთან, და რომელიც მიგვითითებს საშუალებებზე სიბრძნისა და სათნოებათა მისაღწევად.

ცნობილია, აგრეთვე, რომ ნეტარ იერონიმეს საყვედურობდნენ კიდევ იმას, თითქოს იგი, თავისი ზედმეტი მიდრეკილებისა გამო საერო მეცნიერებებისადმი და

წარმართული სიბრძნისადმი, თავის ქმნილებებში ზოგჯერ უხვად იყენებდა მაგალითებს საერო მეცნიერებებისა, და ამ, წმიდანის „მამხილებელთა“ ბზრით, არაწმიდებით ჩირქსა სცხებდა ეკლესიის სისპეტაკეს. მაგრამ ნეტარი იერონიმე სულაც არ შეუცბუნებია ამ საყვედურებს, რადგან დამცველიც ჰყავდა წმიდა პავლე მოციქულის სახით, რომელიც თავის ეპისტოლეში ძველი დროის წარმართი ბრძენკაცების სხვადასხვა გამონათქვამებსაც იყენებდა (იხ. მაგალითად, ეპისტოლე ტიტესადმი თავი 1, მუსლი 12), აგრეთვე ეკლესიის სხვა წმიდანების სახით: კოდრატეს, მოციქულთა მოწაფის, არისტიდეს, იუსტინე მოწამისა და ფილოსოფოსის სახით, სარდიის ეპისკოპოსის მელიტონის, დიონისე აეროპაგელის, ტაციანეს, ირინეოს ლიონელის, კლიმენტი ალექსანდრიელის, ტერტულიანეს, ლაქტანციუსისა და სხვათა სახით. ამიტომაც ზემოსხენებულ საყვედურებზე ნეტარი იერონიმე სამართლიანად პასუხობდა, რომ „რა გასაკვირია, თუკი მეც, განვწმედ რა წარმართულ მეცნიერებას ყოველივე არაწმიდისა და ცრუსაგან, მარჯვედ ვიყენებ მისი მჭევრმეტყველების დახვეწილობას ეკლესიის წევრთა განმრავლებისათვის?!“

ასეთი შეხედულების მართებულობას საერო ლიტერატურისა და მეცნიერებების აუცილებლობის თუ სარგებლობის შესახებ ვერაფერს დააყენებს ეჭვის ქვეშ. გარდა საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობისა, საერო, ეგრეთ წოდებული პუმანიტარული მეცნიერებანი ღირებულების მქონენი არიან იმის გამოც, რომ ეკლესიის წარმომადგენლებს ეხმარებოდნენ მეტის წარმატებით შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობანი, დაკისრებულნი მათდა საუკუნოვანი, საპასუხისმგებლო მდგომარეობით მღვდელმსახურებისა. ეს კარგად ჩანს მოხმობილი მაგალითით ნეტარი იერონიმეს ცხოვრებიდან. ამავე სულისკვეთებისაა წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებიც: „შე ეცდილობდი ვარეგანი (ანუ საერო) განსწავლულობითაც განმემდიდრებინა თავი, რათა ჭეშმარიტი განათლების დასახ-

მარებლად გამომეყენებინა იგი და რათა ოდენ ცარიელი მჭევრმეტყველების მცოდნენი, მკლერი სიტყვებით რომ მოაქვთ თავი, არ აღმაღლებულიყვნენ ჩემზე და არც თავიანთ ბადეში გავეხვიე მზაკვრული ბრძნობებით“.

ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასი იყო ქრისტეს ეკლესიის ინტერესები და ვისაც საკუთარი თავიც მის ცოცხალ ნაწილად მქონდა შევნებული, გულმოდგინედ შეისწავლიდა საერო მეცნიერებებს, ძველ დროში კი ეს სწორედ წარმართული მეცნიერებები იყო; ოღონდ იმის გამო კი არ შეისწავლიდნენ, რომ გულისმიერი მისწრაფება მქონდათ მათდამი და არც უბრალო სიამოვნებისა გამო, არამედ მხოლოდდამხოლოდ იმისთვის, რომ სარგებლობა მოეტანათ მაშინ ჯერ კიდევ ახლადდაარსებული ქრისტეს ეკლესიისათვის; შეისწავლიდნენ იმ მიზნით, რომ დაეცვათ ქრისტიანობა წარმართობის ბოროტი მზაკვრობებისაგან და იმიტომაც, რომ სურდათ წარმართობისავე იარაღით დაემარცხებინათ ეს უკანასკნელი, — მსგავსად მწყემსი დავითისა, ისრაელის მომავალი მეფისა, წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნისა, რომელმაც ამპარტავან გოლიათს მისივე მახვილით მოჰკვეთა თავი (1 მეფეთა 17, 51)...

ფუტკრები უჩვეულო შრომისმოყვარეობითა და გულმოდგინებით მიმოფრენენ ძალზე დიდ მანძილზე, რათა ყველანაირი ყვავილისაგან მოაკროვონ ნექტარი თავლის დასამზადებლად; ზუსტად ამგვარადვე ძველი დროის ბევრი წმიდა მამა და მოძღვარი ეკლესიისა ცდილობდა თავისი დროის ყველაზე ცნობილ სასწავლებელს სწვეოდა და იქაური სახელგანთქმული მასწავლებლებისაგან მიეღო საერო განათლება. ასე, მაგალითად, წმიდა ბასილი დიდმა ადრე დასტოვა მშობლიური სახლი და კაპადოკიის კესარიას მიაშურა, რათა იქაურ სკოლაში შესულიყო სასწავლებლად. ცოდნის წყურვილმა იგი აქედან კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა, შემდეგ კი — ათენში. მისი გულთადი მეგობარი წმიდა ვრიგორ

ლეთისმეტყველი კიდევ უფრო ბევრ საერო სკოლაში სწავლობდა; კაპადოკიისა თუ პალესტინის კესარიის, ალექსანდრიისა და ათენის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების კედლებში გულმოდგინედ ეუფლებოდა განათლებას. რომელიც იმჟამად უმთავრესად წარმართული იყო. საერო სასწავლო დაწესებულებებში განათლების მიღებას ეკლესიის სხვა წმიდა მამები და მოძღვრებიც ესწრაფვოდნენ თავიანთ სიკაბუკეში, თუკი ამის საშუალებას მათ ცხოვრებისეული გარემოებანი და მატერიალური საშუალებები აძლევდათ (ასეთი იყო, მაგალითად, წმიდა ამფილოქე იკონიელი). და რა გამოვიდა აქედან? შემდგომში ეკლესიის ამ უდიდესი მწყემსებისათვის ეს სამეცნიერო მოგზაურობანი არათუ ამაო არ გამოდგა, არამედ უდიდესი სარგებლობაც მოუტანა მათაც და ეკლესიასაც, რადგან უხვი კეთილი ნაყოფი გამოიღო. მათზე ყველაზე მეტად მართლდება ძველი ბრძენკაცის სიტყვები: „მოხეტიალე კაცმა ბევრი იცის და მრავალნაცადი გონიერულს გვაუწყებს“ (ზირაქი 34, 9). მართლაც, მათს ცოდნას ჰკვირობდა მთელი იმჟამინდელი განათლებული მსოფლიო. მათ წინაშე თანამედროვე მეცნიერმაც უნდა მოიხაროს ქედი.

წმიდა ბასილი დიდისადმი მიძღვნილ გამოსათხოვარ სიტყვაში, რომელიც წმიდა გრიგოლ ლეთისმეტყველმა მის საფლაგზე წარმოსთქვა, იგი ამბობდა: „რაგვარი მეცნიერებაა არ შეუსწავლია მას?! ანდა უკეთ რომ აქვათ, რაგვარ მეცნიერებებშია არ წარმატებულა იგი გარდამეტებულად, თითქოსდა მხოლოდდამხოლოდ ამ მეცნიერებას ეუფლებოდაო მთელი ცხოვრების განმავლობაში?! ისე ღრმად შეისწავლა მან ყოველივე, როგორც სხვას არავის ერთი მეცნიერებაც კი არ შეუსწავლია! თითოეული მეცნიერება მან იმგვარი სრულყოფილებით შეისწავლა, თითქოს სხვა არც არაფერი ესწავლოს... ვინ შეედრება მას მჭევრმეტყველებაში, რომელიც მის ბაგეთაგან ცეცხლოვანი ძალმოსილებით სუნთქავდა! მასავით ვის ძალედვა სათანადო წესები დაემკვიდრებინა ვრა-

მატიკაში თუ ენაში, მწყობრად დავლაგებინა ისტორიული მოვლენები, დაუფლებოდა ლექსის ზომებს, კანონები დაედგინა ლექსთწყობისათვის?! ვინ იყო ეგზომ ძლიერი ფილოსოფიაში, — ნამდვილად ამაღლებულ, ზენასოფლისაკენ მსწრაფველ სიბრძნისმეტყველებაში, და ასევე ფილოსოფიის იმ ნაწილში, რომლის საგანიც ლოგიკური დასაბუთებანი და ურთიერთდაპირისპირებანია, აგრეთვე შეპაექრებანნი, და რომელიც დიალექტიკად იწოდება?! რამეთუ უფრო ადვილი იყო ლაბირინთისთვის დაგეღწია თავი, ვიდრე მის სიტყვათა ბადისათვის, როცა ის საჭიროდ ჩათვლიდა მის დაგებას... მკურნალობის მეცნიერება კი — ეს ნაყოფი სიბრძნისმეტყველებისა და შრომისმოყვარეობისა — აუცილებელი გახადეს ბასილისათვის თვით მისმავე სწეულებრივმა უძღურებებმა და მისმა გულმოდგინებამ სწეულთა მოვლაში; სულ მცირითგან დაიწყო მან და დიდადაც დახელოვნდა ამ მეცნიერებაშიც... ერთის სიტყვით, ეს იყო ხომალდი, იმდენად დატვირთული განსწავლულობით, რამდენადაც ეს ადამიანის ბუნებას ძალუძს დაიტოს“.

წმიდა ბასილი დიდს ასეთ განსწავლულობაში უბაძავდნენ თვით წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, მისი ძმა კესარიოსი, იოანე ოქროპირი და, საერთოდ, ქრისტეს ეკლესიის ბევრი სხვა ბურჯი. მათი დიდი განსწავლულობის მოწმეები იყვნენ ადამიანები აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, სადაც ამ წმიდა მამებს შემდგომში ყოფნა და მოღვაწეობა უხდებოდათ. და დიდმა ცოდნამ საერო, წარმართული მეცნიერებებისა მათ, როგორც ვთქვით, მხოლოდ სარგებლობა მოუტანა. წარმართმა მეცნიერებმა, რომლებიც აქამდე თავს იქებდნენ თავიანთი განათლებულობით და ცდილობდნენ მისი შემვეობით დაეკნინებინათ ქრისტიანობა, ვითარცა უბირ ადამიანთა რწმენა, მათ წინაშე იმთავითვე შეიგრძნეს თავიანთი ჩისუსტე. წარმართებმა დაინახეს, რომ ის, რასაც აქამდე მხოლოდ თავისად მიიჩნევდნენ, სწორედ ქრისტიანთა საკუთრება ყოფილა და რომ ყო-

ველგვარი ცოდნა ოდეს ნამცეცია საღმრთო სიბრძნის წინაშე. წარმართი მეცნიერები მარცხდებოდნენ ხალხე ქრისტიან მეცნიერებთან სიტყვიერ პაურობებში და ამან დიდად შეაშფოთა მთელი წარმართული სამყარო. მათმა უფლებდქუეუებერატორმა იულიანე ვანდგომილმა, როგორც აღვნიშნეთ, კანონიც კი გამოსცა, რომლითაც უკრძალავდა ქრისტიანებს ბერძნულსაერო მეცნიერებების შესწავლას...

ამრიგად, ეკლესიის წმიდა მამათა და მოძღვართა მიმართება საერო მეცნიერებებისადმი იმდენად კკუისსასწავლია, რომ მას ვერაფრით ვერ აუუვლით გვერდს. ზემოთქმულიდან კი ცხადია, რომ საერო მეცნიერებების უგულებელყოფა ჩვენთვის, ქრისტიანთათვის, არ შეიძლება. პირიქით, აუცილებელია მათი გულმოდგინე შესწავლა — შესწავლა ცისაც, ქვეყანისაც და ყოველივესიც, რაც კი არის მათზე და მათში, რამეთუ მთელი ეს ქმნილი სამყარო თვალსაჩინო დადასტურებაა საღმრთო სიბრძნისა, ყოვლადძლიერებისა და სიყვარულისა.

„ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულთა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყაროი“ (ფსალმ. 18, 1), — ამბობს წმიდა დავითი, მეფე და წინასწარმეტყველი. გონება არა აქვთ ცასა და სამყაროს, არც ბაცენი, არც ენა! მამ, როგორღა ლაღადებეს ისინი ამის შესახებ? „თვით თავიანთი არსებობითა და სახით, — ამბობს წმიდა იოანე ოქროპირი. — ცა დუძს, მაგრამ მისი ზილვადობა დიდ საყვირებზე უფრო ხმაშაღალ ნიშანს ვვაძლევს, გვასწავლის რა თვალთა შემვეობით და არა სასმენელთა გზით. სადაც არ უნდა მიდიოდეს ადამიანი, ყველგან მას თვალუწვდენი ცა ადგას თავზე და განაკვირვებს თავისი დიდებულებითა და სიმშვენიერით, და ადამიანიც მასზე დავირვებით საკმარის დამოძღვრას იღებს შემოქმედი ღმერთის დიდებულებასა და სახიერებაზე. ამასთან, ეკლესიის დიდ მწყემსს — უფალ ღმერთს რომ მხოლოდ წიგნების შემვეობით დაემოძღვრა ადამიანები, წერა-კითხვის მცოდნე გულისხმა-პყოფდა მათში დაწერილს, ხოლო

წერა-კითხვის უცოდინარი სხვათა დახმარების გარეშე ვერანაირ სარგებლობას ვერ მიიღებდა მათგან; თანაც წიგნს მხოლოდ მდიდარი იყიდდა, უქონელს კი არ შეეძლებოდა მისი შეძენა. კვალად იმ ენის მცოდნე, რომელსაც დაწერილი იქნებოდა ეს წიგნები, შეიმეცნებდა მათს შინაარსს, ენის უცოდინარნი კი ვერაფერს გაიგებდნენ, ცის შესახებ კი ამას ვერ ვიტყვით: ამ წიგნში ჩახედვა ერთნაირად ძალუძს უბრალო ადამიანსაც და ბრძენკაცსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც, სკვითსაც და ბარბაროსსაც... ამქვეყნად მოარული ყოველი ადამიანი გაიგონებს ცის ხმას, რადგან მხედველობის გრძობის მეშვეობით იგი ყოველი ჩვენგანის გონებაზე აღწევს. როცა ამაზე მიგვანიშნებს და იმასაც გვიჩვენებს, რომ ქმნილება საერთოდ ყველა ადამიანისათვის აღსაქმელ ხმას გამოსცემს, წმიდა წინასწარმეტყველი გვეუბნება: „არა არიან თქუმულ არცა სიტყუა, რომელთა-იგი არა ესმა ხმაი მათი (ანუ ცათა). ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმაი მათი და კიდეთა ქვეყანისათა — სიტყუაი მათი“ (ფსალმ. 18, 4-5) (წმ. იოანე ოქროპირი. „საუბარი ანტიოქიელ ხალხთან“).

და არამხოლოდ ცანი დადადებენ ღმერთის დიდებულებისათვის, არამედ ქვეყანაც, დედაშიწაც: „ცეცხლი, სეტყვაი, თოვლი, ნჳინვარი, სული ნიაფ-ქარისაი, რომელნი ჰყოფენ სიტყვასა მისსა (ანუ უფლისა); მთანი და ყოველნი ბორცვნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძვნი“ (ფსალმუნი 148, 8-9). ამიტომ დედაშიწასაც უნდა ჩავუკვირდეთ: ვიფიქროთ მისი ნაყოფიერების ძალაზე — როგორ არ იღევა მისი წიაღი მიუხედავად იმისა, რომ ესოდენი ხნის განმავლობაში გამუდმებით აღმოაცენებს. ჩავუფიქრდეთ წყაროებსაც — ამდენხანს რომ გამოედინებინ და არ დაშრტებიან. ჩავუფიქრდეთ ზღვასაც — როგორ არის, ესოდენ მდინარეთ რომ მიიღებს თავის თავში და კვლავაც ისეთია, როგორიც იყო. და საითაც არ უნდა მივაპყროთ ჩვენი მზერა, რაკნინ ქმნილებასაც არ უნდა დავაკვირდეთ, — ყველა და ყველაფერი ერთხმად შემოგ-

ვლადადებს: „ვითარ განდიდნეს, უფალო, საქმენი შენნი, და ყოველივე სიბრძნითა შენითა“ (ფსალმუნი 103, 24) და ჩვენც შევლადადებთ შემოქმედ ღმერთსა, დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველი ყოფიან საქმენი შენნი, და ვერარა სიტყვა ვერ იტყვის სრულად სადიდებელს შენი საკვირველებისა!..

აქედან ჩანს, რომ ქმნილ სამყაროს ძალუძს გვიწინამძღვროს ღმერთის შემეცნებისაკენ მიმავალ გზაზე. ბუნების წიგნი — ესეც გამოცხადების წიგნია, რომელიც ჩვენს თვალწინაა გადაშლილი და რომელშიც ეგზომ ნათლად აღბეჭდა ზეციურმა შემოქმედმა და სამყაროს გამგებელმა თავისი დაფარული სიბრძნე და უსაზღვრო სიყვარული. „უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაით ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების და სამარადისოი იგი ძალი მისი და ღმრთეებაი“ — გვასწავლის წმიდა პავლე მოციქული (რომ. 1, 20). და წარმართებს რომ შესძლებოდათ სწორად ემსჯელათ ღმერთის ქმნილების შესახებ, მაშინ ისინი არ ეთაყვანებოდნენ და არ ემსახურებოდნენ მას შემოქმედი ღმერთის ნაცვლად. მართლაც, თუკი ცა ესოდენ მშვენიერია, და თუკი მზე, მთვარე და ვარსკვლავებიც ასე ამკობენ მას, მაშინ რაოდენგზის უფრო მშვენიერი უნდა იყოს ის, ვინც ეს მშვენიერება შექქმნა! ასევე, თუკი ესოდენ მშვენიერი არიან მთები და ქედები, ტყეები და ველები, ველ-მინდვრები და ყვავილები, და თუკი ასე მშვენიერია ქმნილებათა გვირგვინიც — ადამიანი, სულ მცირედით ნაკლები უფლის ანგელოზებზე, მაშინ რაოდენგზის უდიდებულესი და უმშვენიერესი უნდა იყოს ის, ვინც ყოველივე ეს შექქმნა თავისი ძლიერებითა და სიბრძნით. აკი ბრძანებს კიდევ მეფე სოლომონი: „ამაონი არიან ბუნებით ყველანი, ღვთის უმეცრებაში მყოფნი, რომელთაც ხილულ სიკეთეთაგან ვერ შეძლეს შემეცნება არსებულისა და ვერც საქმეთა მიხედვით გამოიცნეს ხელოვანი; არამედ ან ცეცხლი, ან ქარი, ან სწრაფი ჰაერი, ან ვარსკვლავ-

ვთა წრე, ან წყალი, ან ცის მნათობები მიიჩნიეს სამყაროს განმგებელ ღმერთებად. თუკი მათი სილამაზით დატყვევებულთ ესენი ღმერთები ეგონათ, ისიც უნდა შეეცნოთ, თუ რაზომ უმჯობესია მათზე უფალი, რადგან მან, დასაბამმა მშვენიერებისა, შექქმნა ისინი. ხოლო თუ მათი ძალა და მოქმედება აკვირვებდათ, მათგანვე უნდა შეეცნოთ, რაზომ ძლიერი იქნებოდა მათზე მათი შემოქმედი. რადგან ქმნილებათა სიდიადისა და მშვენიერების კვალობაზე მათი შემოქმედის შეიცნობა“ (სიბრძნე სოლომონისი 13, 1-5). როცა არყოფნიდან არსებობად მოიყვანა ქმნილება და უსახო ნივთიერებიდან შექქმნა ათასგვარი ქმნილებანი, ღმერთმა ამით საკუთარი ყოვლისშემძლებლობის ცხადი დადასტურება მთადეა მათში და ამავე დროს ბუნების გახრწნადობისა და წარმავლობის ნიშნებიც აღბეჭდა, რათა ქმნილების სიმშვენიერის გამო შემოქმედის ძალას ვკვირობდეთ, ხოლო მათი ბუნების გახრწნადობისა და წარმავლობის გამო არ ვაკერპებდეთ და არ ვეთაყვანებოდეთ ქმნილებას ვითარცა ღმერთს. მზეც კი, ესოდენ დიადი ქმნილება ღმერთისა, ეგზომ გაბრწყინებული და მთელი ქვეყნიერების გამნათებელი, ზოგჯერ დღისითაც კი დაბნელდება ხოლმე, როცა მას მთვარე ამოეფარება, ღამით კი საერთოდ პქრება ჩვენს თვალთაგან, და ესეც იმისთვის ხდება, რომ ჩვენ არ ვეთაყვანებოდეთ მას ვითარცა ღვთაებას, როგორც ამას დღემდე იქმს ზოგიერთი ხალხი... რა არის მზეზე ნათელი? — მაგრამ ისიც ბნელდებაო, — ამბობს ბრძენი ისუ ზირაქი (17, 31).

ამრიგად, მშვენიერი და დიდებულია ცა, მაგრამ იგი იმისთვის არის შექმნილი, რომ ჩვენ შემოქმედ ღმერთს ვეთაყვანებოდეთ; ასევე შეუდარებლად ბრწყინვალეა მზე, მაგრამ ისიც იმისთვის არის დაბადებული, რომ ჩვენ ჯეროვან პატივს მივაკებდეთ მის დამბადებელს. აღმოსავლელი ბოგვები გაბრწყინებული ვარსკვლავით მიხვდნენ, რომ იშვა ყოველთა მეუფე და ბეთლემს ჩავიდნენ ახალშობილი იესო ქრისტეს თაყვანისსაცემად (მათე 2, 1-2,

11). მაშ, ჩვენც აღთქმა მიეცეთ საკუთარ, თავს, რომ როცა მხეს, მთვარეს და ვარსკვლავებს დავაკვირდებით და შევნიერებებს შევისწავლით მათს შესახებ, ჩვენი აზრები და სულიერი მსჯერეუ ჩვენი ყოვლი ღმერთისაკენ მივაპყრებთ — ჩვენს შემოქმედისა და მპყრობელისადმი მთელი ხილული თუ არახილული ქმნილებისა. წმიდა მეფესა და წინასწარმეტყველს დავითს მივბაძოთ, რომელიც ასე მიმართავდა უფალს: „მოვიხსენე დღეთა პირველთაი და ვიწურთიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა ხელთა შენთასა ვზრახევდ“ (ფსალმ. 142, 5), და რომელიც ცათა — ღმერთის ხელთა ქმნილების, მთვარისა და ვარსკვლავთა დანახვაზე, სულიერი ალტაცებით შეჰღალადებდა მას: „უფალო, უფალო ჩვენო, ვითარ საკვირველ არს სახელი შენი ყოველსა ქვეყანასა ზედა, რამეთუ ამალდა დიდად შვენიერებაი შენი შესკნელს ცათა“ (ფსალმ. 8, 2).

და ნეტავ ყოველი ჩვენგანის სულისათვისაც მისაწვდომი იყოს ასეთი სარწმუნოებრივი გრძნობა! ბედნიერია, ათასგზის ბედნიერია ის ადამიანი, ვის არსებაშიც ვაკვირვება ზეციურ სამყაროთა წინაშე, როცა ის მთვარით განათებულ ღამეში ვარსკვლავებით მოჭედოილ ცას შეჰყურებს, მხოლოდ ღრმა მოწიწებას კბადებს მათი შემქმნელი ყოვლადძლიერი ღმერთის დიდებულებისა და სიბრძნისადმი. და ნეტარია ის, ვინც არა მხოლოდ ბაგეებით, არამედ შინაგანადაც, მთელი თავისი არსებით იმეორებს წმიდა მეფსალმუნის ზემორემოყვანილ სიტყვებს და შეგნებული აქვს მათი ღრმა აზრი და ურყევი ჭეშმარიტება...

თუნცა მხოლოდ ბუნება როდი უნდა იყოს ჩვენი შესწავლის საგანი. ცნობილია, რომ არის იმგვარი აზრებიც, რომელთა გამოთქმაც ადამიანს არ შეუძლია. წმიდა მამათა სიტყვით, ეს არის ალტაცებულ-გაოგნებული გონებისმიერი მოძრაობა. იმისთვის, რომ ნათლად შეგვეძლოს ჩვენი აზრების, გრძნობებისა და სურვილების გადმოცემა, მათი სიტყვებით გამოხატვა, საჭიროა სიტყვის ძალის შექმნა; ამისთვის

კი აუცილებელია სიტყვიერ მეცნიერებათა შესწავლა. ჩვენ უნდა შევასწავლოთ ბავშვებს პოეტების, მწერლების, ორატორებისა და ისტორიკოსების ნაწარმოებები. და ჩვენ უკვე დავრწმუნდით, თუ რა გულმოდგინედ შეისწავლიდნენ ყოველივე ამას თავიანთი სიტყვებით ეკლესიის კანდელინი — წმიდა მამები და მოძღვარნი. ამასთანავე, ისინი გვასწავლიან, ძალზე დიდი სიფრთხილე გამოვიჩინოთ ამ საქმეში და მხოლოდ იმგვარი ნაწარმოებები შევარჩიოთ შესასწავლად, რომლებიც ნამდვილად შეუწყობენ ხელს გონებისა და გულის ჯეროვან, ქრისტიანულ განვითარებას. როცა ახალგაზრდა მორწმუნეებს დამოძღვრავს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მათ სწავლისას წარმართი ავტორების ნაწარმოებები, წმიდა ბასილი დიდი ამბობს: „რაკი პოეტები ერთნაირნი არ არიან თავიანთი ქმნილებებში, ამიტომ ყველაფერზე როდი უნდა შეჩერდეთ გონებით; როცა ისინი კეთილ ადამიანთა საქმეებსა თუ გამოხატვებებს გადმოგვცემენ, მაშინ ჯერ არს შევიყვარებდეთ და მივბაძავდეთ მათ; ხოლო როცა ხნებოროტ ადამიანებზე უხდებარ საუბარი, უნდა ვერიდოთ მათს მიბაძვას და ისევე დავიცოთ ყურნი, როგორც ამას ოდესღაც ოდისევსი იქმდა, რათა სირინოსთა სიმღერის დამატყვევებელი ხმა არ გაეგონა. უჯერო სიტყვებისადმი მიჩვევა ზოგიერთთათვის შესაძლოა უჯერო საქმეებისაკენ მიმავალი გზაც აღმოჩნდეს. ამიტომაც ყოველმხრივ უნდა დავიცვათ სული, რათა სიტყვათაგან მიღებული სიამოვნებით ჩვენდა შეუმჩნეველად რაიმე ბოროტიც არ შევიძინოთ, როგორც ზოგნი საწამლავს იღებენ ხოლმე თაფლთან ერთად. ამიტომაც ნუ შევაქებთ მელექსეებს, როცა ისინი ბოროტსიტყვაობენ, დასცინიან, წარმოგვიდგენენ მოტყუილეთ და მემთვრალეთ, ანდა როცა ბედნიერებას ღმერთში დროსტარებითა და ლალი სიმღერებით შემოფარგლავენ... იგივე უნდა ითქვას მემატიაზეებზეც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი მხოლოდ მსმენელთა გასართობად წერენ გარდასულ მოვლენებზე. ასევე ნურც მკვერმე-

ტყველებს ნუ მივბაძავთ მოტყუების ხელოვნებაში, რადგან სიტყუე უჯეროა ჩვენთვის სამსჯავროებზეც და ყველგან სწავანაც, რამეთუ ჩვენ ცხოვრების პირდაპირი, ჭეშმარიტი მტერი ვართ ჩვენი... მათგან მხოლოდ იმგვარად უნდა შევიდეთ სათნოებებს აქებენ, ხოლო მანკიერებებს — კიცხავენ... ამა თუ იმ თხზულების შესწავლისას ფუტკრებს უნდა მივბაძოთ, რომლებიც განურჩევლად კი არ ასხდებიან ყველა ყვავილს, და არც იმ ყვავილთაგან მიაქვთ ყოველივე, რომელთაც აღირჩევენ, არამედ მხოლოდ თავისთვის საჭიროს იღებენ, ყოველივე დანარჩენს კი იქვე სტოვებენ. აკი ჩვენც, როცა ვარდს ვწყვეტთ, ეკალს ვერიდებით! ასევე თხზულებებშიც სასარგებლო მივიღოთ, მავნე კი უკუვაგდოთ“.

ქრისტეს ეკლესიის მსოფლიო მოძღვრის ეს ბრძნული რჩევა, რომელიც მან თავისი დროის ჭაბუკებს მისცა, დღესაც ინარჩუნებს თავის ქმედით მნიშვნელობას. და თუკი ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდობა ხშირად გაიხსენებს წმიდა მღვდელმთავრის სიტყვებს, ამით უდიდესი სარგებლობა ექნებათ. ამ რჩევის შესრულება სწავლის დროს აუცილებელია ყველასთვის. წმიდა ბასილი დიდი აფრთხილებდა იმდროინდელ ჭაბუკებს წარმართული თხზულებების დამღუპველი ზეგავლენის გამო, მაგრამ არ უკრძალავდა მათ ამ ნაწარმოებთა შესწავლას. მართალია, დღეისათვის წარმართული დრო, თითქოს, შორეულ წარსულს ჩაბარდა და კერბთაყვანისმცემლობა აღარ არის გავრცელებული მთელს ქვეყნიერებაზე, მაგრამ ამით საქმის მდგომარეობა ჩვენთვის საინტერესო საკითხში — სწავლა-განათლების საკითხში — სულაც არ გაუმჯობესებულა, მეტიც — გაუარესდა კიდევ რადგან თვითმარქვია მოძღვარ-მასწავლებლები სულაც არ გადაშენებულან, და უფრო მომრავლდნენ კიდევ ძველ დროსთან შედარებით. ახლაც ხშირად გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც, სახარების ფარისეველთა და მწიგნობართა მსგავსად, მზად არიან ზღვა და ხმელი

მოვლონ, ოღონდ კი თუნდაც ერთი გამოუცდელი სული აცთუნონ და შემდეგ მტკიცედ პყავდეთ შეპყრობილი თავიანთ ბორკილებში (მათე 23, 15). ძველ დროსთან განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა ახალგაზრდობას იმ წარმართ ავტორთა თხზულებებთან პქონდა საქმე, რომლებიც პირდაპირ აცხადებდნენ თავს ქრისტეს მტრებად, დღეს კი ქრისტიანობის მტრები დიდის დახელოვნებით ინიღბებიან — ამჟამად ისინი გაცილებით უფრო მზაკვრულად მოქმედებენ. ისინი მოყვასისადმი კეთილგანწყობილ ადამიანებად გვაჩვენებენ თავს და თავის ბოროტ, განმხრწნელ, ქრისტიანობის საწინააღმდეგო საქმეს აუჩქარებლად აკეთებენ, თანდათან, ფრთხილად და შეფარულად. ამ ადამიანებზე ქრისტეს მაცხოვრის სიტყვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ჩვენთან მოდიან „სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ“ (მათე 7, 15). თავისთავად გასაკებია, რომ ასეთ დახელოვნებულ მტრებთან ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე ძველი დროის წარმართ მოწინააღმდეგეებთან ქრისტეს ეკლესიისა, რადგან გაცილებით ადვილია იმ დარტყმის მოგერიება, რომელსაც პირდაპირ, დაუფარავად გვაყენებენ, ვიდრე მოულოდნელი შეფარული დარტყმისა, როცა მტერი იმალება.

ასე რომ, სწავლა-განათლების საქმეში დღესაც უდიდესი სიფრთხილე, საღი წინდახედულება გვმართებს, რათა არ ავცდეთ იმ სწორ გზას, რომელიც საღმრთო წერილითა და ეკლესიის წმიდა მამათა სწავლებითაა ჩვენთვის დასახული. თუკი ძველ დროში იტყოდნენ ხოლმე — სწავლა სინათლეა, უსწავლელობა კი სიბნელო, დღეს, ძალზე ხშირ შემთხვევებში სწორედ არასწორი სწავლა-განათლება აღმოჩნდება ხოლმე სიბნელედ, დამღუპველად ადამიანისათვის, რადგან ის განამორებს მას ღმერთისაგან. დღევანდელი განსწავლელობა ხომ უმეტეს შემთხვევებში ბნელში ვალს და შორსაა ჭეშმარიტებისაგან. ამიტომ მეტად დროულია ჩვენთვის წმიდა

პავლე მოციქულის ძველი, მაგრამ მარადის ეწედიოი რჩევა: „ძმანო, წყურმა იქმნებით გონებითა, არამედ ბოროტისათვის ყრმა იყვნით, ხოლო გონებითა სრულ იყვნით“ (1 კორინთ. 14, 14) — უმეტესოდ ავტორიტეტით და შევარცხებოდნენ — მსჯელობის-მენდით ამ რჩევას. აკი ჩვეულებრივ საზრდოში, რომელიც ჩვენს სხეულს ასაზრდოებს, ჩვენ განვაგდებთ ყოველივე მავნეს; და რატომ არ უნდა მოვიმოქმედოთ იგივე მეცნიერებებში, რომლებითაც სულს ვასაზრდოვებთ?! — რატომ არ უნდა განვარჩიოთ სასარგებლო და საზიანო სულისათვის მეცნიერებებშიც და რატომ უნდა დავტვირთოთ გონება ყველაფრით, რასაც ისინი გვთავაზობენ, რათა წყლის ნაკადივით გავვიტაცონ?! თუკი ვემის მესაქვეც განუსჯელად კი არ მივადებს ხომალდს ნებისმიერ მხარეს, საითაც ქარი უბერავს, არამედ უხიფათო ადგილისაკენ მიმართავს მას; თუკი ყველა სხვა ხელობის ადამიანიც თავისი ხელობის შესაბამისად ისწრაფის საქმის კეთებას, მაშინ მოსწავლე ახალგაზრდობამაც რატომ არ უნდა იაროს პირდაპირი, სწორი გზით, რათა თავის მიზანს მიაღწიოს — ჯეროვანი განათლება მიიღოს, თანახმიური მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და სასარგებლო საზოგადოებისთვისაც და თვით მისთვისაც?! რატომ უნდა მისდიონ მათ იმ ცრუ-მოძღვრებს, რომლებიც, წმიდა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვით, „იტყვიან ბოროტსა კეთილად და კეთილსა ბოროტად, რომელნი დასდებენ ბნელსა ნათელად და ნათელსა ბნელად, და რომელნი დასდებენ მწარესა ტკბილად და ტკბილსა მწარედ“ (ესაია 5, 20)? — და რატომ არ უნდა მისდიონ მათ კაცობრიობის უდიდეს მოძღვარსა და აღმზრდელს, ჩვენს უფალ იესო ქრისტეს, რომელიც თვით არის სიბრძნე და ჭეშმარიტება (იოანე 14, 6) და რომელსაც ვერავინ ვერასდროს ვერ ამხელს უმართლობასა და მის სიტყვათა არაჭეშმარიტობაში (იოანე 8, 46)?! საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, რაც ხალხთა მოძღვარი წმიდა პავლე მოციქული ასე შეაგონებდა ქრისტიანებს:

„გლოცავ თქვენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი-იგი წვალებასა და საცთურსა იქმან გარუშე მის მოძღურებისა, რომელი თქვენ გისწავიეს, და განეშორენით მათგან, რამეთუ ეგვეითარნი იგი უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა არა მშონებენ, არამედ თვისსა მუცელსა, და ტკბილად მეტყველებითა მით და კურთხევითა აცთუნნიან გულნი უმანკოთანი“ (რომ. 16, 17-18). ამიტომაც დროა, დიდი ხანია დროა უკვე, „რაითა არღარა ვიყვნეთ ყრმა ჩჩვილ დელვა-ატეხილ და მიმოტაცებულ ყოველსა მას ქარსა მოძღურებისასა სივერაგითა ვაცთაითა და ზაკულებითა მანქანებისა მის მიმართ საცთურებისა“ (ეფეს. 6, 17). ხოლო იმისთვის, რომ უკეთ მივადწიოთ ამას და ქმედითად მოვიგერიოთ მტერთაგან გამოტყორცნილ ბოროტნი და განხურვებულნი ისარნი აუცილებელია აღვიტყუროთ სულიერი მახვილით, „რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი“ (ეფეს. 6, 16-17); აუცილებელია ავიღოთ სარწმუნოების ფარი და ღმერთის სიტყვის ნათელში, წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის უცთომელი წინამძღვრობით გამოვიცნოთ, თუ რა განანათლებს გონებას მეცნიერებათა შესწავლაში, რა აკეთილშობილებს გულს ცოდნაში და, პირუკუ, რა განგვაშორებს მათში კეშმარიტი გზისაგან. და თუ ამას ვიქმთ და ვიხელმძღვანელებთ ღმერთის სიტყვითა და კეშმარიტი სარწმუნოების სწავლებით, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რა უნდა იყოს ჩაჟნი შესწავლის საგანი, და რა — არა. დაე, თუნდაც რაიმე არ ვიცოდეთ, მაგრამ ნუ ვიურვებთ ამის გამო, რამეთუ საღმრთო წერილი ამასაც გვასწავლის, რომ „სჯობს მცირედი ნაწილი შიშითა ღმრთისაითა, ვიდრე საუნჯეთა დიდთა უშიშოებით“ (იგავნი 15, 15). სჯობს მცირედი ადგილი გავთხაროთ, ღრმად ჩავიდეთ მიწის წიაღში და დიდი საუნჯე მოვიძიოთ, ვიდრე მრავალ ადგილას ვთხაროთ ცოტაოდენზე და სრულიად ამაოდ. დაე, ყველა სიტყვის-გებისას ნუ აღვემატებით მოწინააღმდეგეს და დაე ყველა საკითხში ნუ ვიქნებით პირველნი, — ამისგან არანაირი

ზიანი არ მოგვადგება! რამეთუ ასეთ მდგომარეობაშიც შეიძლება დამსახურებული პატივისცემით ვსარგებლობდეთ ადამიანთაგან და უფალი ღმერთისაგანაც უდიდესი საზღაური მივღეოთ. უნდა კი არასდროს არ უნდა გუნდადეს კეშმარიტებას.

ასე რომ, ამჟვეყნად მხოლოდ ის ვისწავლოთ, რისი ცოდნაც განუყრელად იქნება ჩვენთან ამა ქვეყნადაც და ცათა შინაც (ნეტარი იერონიმე), და რაც სარგებლობას მოუტანს ჩვენი ცხოვნების საქმეს. დაე, ჩვენთვის ამ საქმეში მისაბამ მაგალითად იყვნენ ეკლესიის წმიდა მამები — ბასილი დიდი და გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომეონიც, მათივე აღიარებით, მეცნიერებათაგან მხოლოდ იმას იღებდნენ, რაც კეთილშესახურებისათვის იყო სასარგებლო, და ჯარყოფდნენ ყველაფერს, რასაც დაცემის უფსკრულისაკენ მიჰყავს ადამიანი. დაე, ნეტარი იერონიმეს სახეობაც წარმოუდგეს ჩვენს გონებრივ ხედვას, ვინც შემდეგს იტყოდა საკუთარი თავის შესახებ: „მე ხშირად ვუსმენდი აპოლინარიუს ლაოდიკელს (უადრეს მწვალებელს, დაგმობილს ეკლესიის მიერ), მაგრამ როცა ის საღმრთო წერილში დამმოძღვრავდა, მე არამც და არამც არ ვიღებდი მის სადავო, არა-გონიერ სწავლებას“.

XI. დასკვნა

ამით ჩვენ შეგვეძლო დაგვემთავრებინა ჩვენი შრომა ბავშვების აღზრდა-განათლების შესახებ, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი საკითხები უკვე განვიხილეთ. მაგრამ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუკი დასასრულ, ყურადღებას იმასაც მივაპყრობთ, თუ როგორ შეესატყვისება თანამედროვე აღზრდა-განათლების სისტემა საღმრთო წერილის და ეკლესიის წმიდა მამების შეხედულებებს ამ საგანზე.

ჩვენი საუკუნე, არც თუ უსაფუძვლოდ წოდებული განათლებულ საუკუნედ, მიუხედავად ამისა, ძალზე მძიმე სწეულებით ევენება. გონებრივ წარმატებათაგან

გაამპარტავნებულმა, მან რაღაც „ღვთა-
ებად“ ადამაღლა თავისი გონება, კერბად
გაიხადა იგი და მოწიწებით თაყვანს სცემს
მას, როგორც ამას ძველი წარმართნი იქ-
მოდნენ მოლოქის კერპის წინაშე. ჩვენს
დროში გონება შექმნილა ადამიანთა უმრავ-
ლესობისათვის ყველა საგნის საზომ-
საწყაოდ; უპირატესად სწორედ გონე-
ბით განისაზღვრება ადამიანის მინაგანი
ღირსების ხარისხიც; მავანი განათლებული
და გონიერია ადამიანთა საზოგადოების
თვალში, სხვა კი უბირი და გაუნათლებე-
ლი, — აი, ასეთია ჩვეული გამოძახილი,
შექება თუ გაკიცხვა პიროვნებისა, რაც ყო-
ველის მხრიდან გვესმის. და ამ დროს გუ-
ლისა და ნებულობის განვითარება უკან,
პლანზე გადადის, თითქოს ისინი ჩვენთვის
მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისა შექ-
ნილანო. რომ მოხდეს და ვინმეს გონები-
თი განსჯის განუვითარებლობა ვუსაყვე-
დუროთ, დავრწმუნდებით, რომ ამით უფ-
რო დიდ დარტყმას მივაყენებთ მის თავ-
მოყვარეობას, ვიდრე მაშინ ვიქმდით ამას,
თუკი ზნეობრივ ნაკლოვანებებზე მივუთი-
თებდით. ჩვენთვის კი ძნელი არ არის
იმის დანახვა, რომ გონების ამგვარ გაღ-
მერთებას მხოლოდ მწარე ნაყოფები მო-
აქვს. მართლაც, ჩვენს სკოლებში დღეს
ბევრს რასმე ასწავლიან. ავიღოთ თუნდაც
საშუალო სკოლა — რა საგნებს აღარ ას-
წავლიან იქ! ძალზე ბევრი ახალგაზრდუ-
ლი ძალა და ენერჯია იხარჯება მათს შე-
სწავლაზე, ისე რომ, შედარებით სუსტი
სხეულის მქონენი ვერც უძლებენ ასეთ
დატვირთვას. მაგრამ თუკი ასეთი ხანგრ-
ძლივი და მძიმე გონებრივი მეცადინეობის
კეთილისმყოფელი შედეგების ხილვასაც
მოვისურვებთ, ვნახავთ, თუ რა საოცრად
უმნიშვნელოა ისინი. ღრმად სამწუხაროდ
ჩვენდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი გან-
სწავლულობის კეთილისმყოფელი გავლენა
ჩვენს ცხოვრებაზე ნამეტნავად სუსტია.
მეცნიერება თითქოსდა ჩაკეტილი რჩება
სასწავლო დაწესებულებების კედლებში,
ხოლო საზოგადოების ყოველდღიური, ხში-
რად მეტად მნიშვნელოვანი ინტერესები,
ანუ ის ყოველივე, რის გარშემოც ტრია-

ლებს მისი ყოფა-ცხოვრება და საუბრები,
ნაკლებად აირეკლავენ განსწავლულობის
გამაკეთილშობილებელ შედეგებს. მარ-
თალია, განათლების ნაყოფები საზოგადო-
ებში გამოაქვთ, მაგრამ ეს უეჭურეულად გამო-
ჩენის, ნივთიერი სახსრების მიზ-
ნით ხდება, და არა გარემოს გასაკეთილ-
შობილებლად, ანუ არა იმისთვის, რომ
მათი შემწევობით მიღწეულ იქნას რაც შე-
იძლება დიდი სულიერი წარმატებულობა
საზოგადოებისა. სამწუხაროდ, უარესიც
ხდება: ყველასთვის ცნობილია, რომ სწავ-
ლა-განათლებამიღებული ადამიანი ზოგ-
ჯერ არათუ გაუნათლებელზე ძალა დგას
ზნეობრივობით, არამედ მასზე გაცილებით
ნაკლებია; ცოდნა ხშირად მხოლოდ კიდევ
უფრო ხვეწს ადამიანის უარყოფით თვის-
ებებს და ზრდის გზებს ამ თვისებათა გა-
მოსავლინებლად, ისე, რომ ცხადად აღს-
რულდება ბრძენი სოლომონის სიტყვები:
„სიმრავლესა შინა სიბრძნისა სიმრავლე
მეცნიერება არს, და რომელმან შესძინოს
ცნობა, შესძინოს მან საღმობა“ (ეკლესი-
ასტე 1, 18). ვინც ჩვენი სოფლის ყოფა-
ცხოვრებას ახლოს იცნობს, უსათუოდ შე-
ამჩნევდა ერთ საგულისხმო მოვლენას:
ხშირად წერა-კითხვის მეცოდნე გლე-
ხკაცი, ვისაც სახალხო სკოლის
კურსი გაუვლია, თავისი ინტერესე-
ბისათვის იყენებს ხოლმე თანასოფელთა
— წერა-კითხვის უცოდინართა — გაუნა-
თლებლობას, რათა მეტი გამოჩენა ნა-
ხოს. ვთქვათ, როცა სთხოვენ — არბა
დაგვიწერე უფროსებისადმიო, თავისი წი-
გნიერი სიბრძნით ქედამაღლებული გლეხი
ორი სხვადასხვა ზომის ფურცელს იღებს
და ეუბნება მთხოვნელს, თუ დიდ არზას
დავწერთ, მეტი ფული უნდა მომცე, თუ
პატარა არზას — ნაკლებიო. და გულუბ-
რყვილო, წერა-კითხვის უცოდინარი გლე-
ხიც, ვისაც დღემდე მრავალსიტყვიანი არ-
ზა უფრო ქმედითი კგონია, ანკესზე ეგე-
ბა. ასეთი მაგალითები ძალზე ბევრია,
და არამხოლოდ ნაკლებგანვითარებულ
ადამიანთა წრეში, არამედ უფრო განათ-
ლებულთა შორისაც. თუნდაც ვეჭილები
ავიღოთ, უნივერსიტეტდამთავრებულნი

და საკმაოდ განათლებულნი ჩვენი დროის კვალობაზე: განა ისინი ყოველთვის თავისუფალნი არიან ანგარებიანი საცთურის წინაშე — თეთრი შავად წარმოაჩინონ, და შავი თეთრად? ვაი, რომ არა! ჩვენი ცხოვრების მწარე სინამდვილე გვიდასტურებს, რომ უხვი გასამრჯელოს მოლოდინი საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ადვოკატებსაც ხშირად სინდისზე ხელს აღებინებს და სიცრუეს ალაპარაკებს სასამართლოში...

სად უნდა ვეძიოთ ასეთი სამწუხარო მოვლენების მიზეზი? უეჭველია, ერთ-ერთი ამ მიზეზთაგან სწორედ ცალმხრივ, არასრულყოფილ აღზრდა-განათლებაში ძვეს, კერძოდ კი იმაში, რომ გონებრივ განვითარებას გამოდევნებულნი, ჩვენ ხშირად უგულვებელყოფთ სულიერ განვითარებას, გულისა და ნებელობის ჯეროვან აღზრდას. ბავშვის გონებისაგან ჩვენ რაღაც საკუჭნაოსმაგვარს შევქნით, რომელშიც სხვადასხვა მრავალფეროვან ცნობებს ვაკროვებთ, ათასგვარ ცოდნას, და გვგონია, რომ ამით საქმე უკვე გაკეთებულია. სინამდვილეში კი ასე ფიქრი სავალალო შეცდომაა, რამეთუ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობიდან გვრჩება, რომ აღსაზრდელის მხოლოდ ერთ სულიერ უნარს ვავითარებდით, მხოლოდ მის გონებრივ შესაძლებლობებს ვხვეწდით, და სულ არ ვაძლევდით ჯეროვან საზრდოს მის ფაქიზ გულს, და მისი ნების გამოვლინებებსაც ნაკლებად ვწინამძღვრობდით. აქედნად, ჩვენ ოდენ მრავლისმცოდნეს აღვზრდით და არა მთლიან ადამიანს ყველა მისი სულიერი ძალის განვითარებით. და ეს მაშინ, როცა სწორი აღზრდა-განათლების უმთავრესი ამოცანაა ადამიანის არსებობის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება. მხოლოდ ამგვარი აღზრდა-განათლება შეიძლება იყოს საიმედო საწინდარი იმისა, რომ აღსაზრდელისაგან მაღალ-ზნეობრივი პიროვნება დადგება, რომელშიც გონებრივი განვითარება შეხამებული იქნება გულის განათლებასთან და სწორედ ამ უკანასკნელში ჰპოვებს იგი თავის საბოლოო მიზანსა და გამართლებას.

რამეთუ თვით უფალი ჩვენი და მაცხოვარი იესო ქრისტე გვეუბნება: „გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყვანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, უკეთესნი... ანგა-პრებანი და უკეთესნი, არაწმიდებანი, თუალ-ბოროტებანი... ამპარტავნებანი, უგუნურებანი“ (მათე 15, 19; მარკოზი 7, 21); ასევე ბრძენი სოლომონიც ამბობს: „და ყოველი საცოი დაიმარხე გულსა შინა, რომლისაგან არიან გამოსავალნი ცხოვრებისანი“ (იგავნი 4, 23). ამიტომაც როცა გონების განათლებაზე დავფრებით, „გულშიც უნდა დავიმარხოთ ყოველი საცო“, ანუ ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ მის წარმატებულ განვითარებასაც და ამისთვის გულმოდგინედ განვაგდოთ ჩვენგან ყოველივე ის, რასაც შეეძლება აგვაცილოს ამ მიზანს. ქვეყნიური სიბრძნის სწავლების გაკვეთილებს უნდა თან ახლდეს დამოძღვრანი მართალ სარწმუნოებასა და შეურყვნელ ზნეობრიობაში. ამგვარი აღზრდა-განათლება უსათუოდ გააჯანსაღებდა თანამედროვე ახალგაზრდობას, გადალლილს ცხოვრებისა და აზრის უწესრიგობისაგან. ეს წინ წამოსწევდა მათს თვალში ყოველივე იმას, რაც ასე დაუფიქრებლად უკუიგდება ვითარცა მოძველებული და უსარგებლო, და მაშინ ყველას ფრთას შეასხამდა იმედი, რომ ქრისტიანული გრძნობის სითბოთი განმსჭვალული და რელიგიურობით განსულიერებული ჩვენი სკოლა შეძლებს აღზარდოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტი შვილები, რომლებიც ღირსეული მოქალაქენი იქნებიან თავიანთი სამშობლოსი.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ბავშვების აღზრდა-განათლების თანამედროვე მდგომარეობა მთლად ვერ შეესატყვისება საღმრთო წერილისა და ეკლესიის წმიდა მამათა და მოძღვართა შეხედულებებს ამ საგანზე*. ეს შეუბამობა, რა თქმა უნდა, ყველგან ერთნაირი არ არის, რასაც ადვილად შევამჩნევთ, თუკი ერთმანეთს შევუდარებთ საერო სასწავლებლებსა და სასულიერო-სამრევლო სასწავლო დაწესებულებებს. საერო სკოლების კურსდამთავრე-

ბულებმა ხშირად ბერძნულ-რომაული გმირების ისტორია უფრო კარგად იციან, ვიდრე საღმრთო ისტორია, ადამიანთა ხსენისათვის უფლის ქვეყნიური საზოგადო მსახურების ამსახველი მოვლენები, და უფრო წარმართი მოღვაწეების გმირობებით არიან გატაცებულნი, ვიდრე ქრისტიან წმიდა მოღვაწეთა ღვაწლით. მართალია, საერო სკოლებშიც ასწავლიან საღმრთო სჯულს, მაგრამ მისი სწავლება ოდენ ცალკეული გაკვეთილებით შემოიფარგლება და არანაირ კავშირში არ არის სხვა საგნების სწავლებასთან. გაცილებით უკეთესია მდგომარეობა სასულიერო სასწავლებლებისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა, რომელთა მთავარი დანიშნულებაა რელი-

გიურ-ზნეობრივი განვითარება ბავშვებისა, მისწრაფება — მათი აზრი და სინდისი სარწმუნოებრივი ღმერთებისა და სიკეთის მიმართული, რათა აღსაზრდელებმა თავიდანვე შეიგნონ რწმენა და ზნეობა ის საფუძველია, რომელზეც ადამიანის არსებობა უნდა იყოს დაყრდნობილი. მართალია, ამ სკოლებშიც აქვს ადგილი დათმობილი საერო საგნების სწავლებას, მაგრამ ამას რელიგიურ-ზნეობრივი მიმართულება უნდა ჰქონდეს მინიჭებული, ყოველივე უნდა უკავშირდებოდეს და ექვემდებარებოდეს სარწმუნოებრივ განათლებას...

გვჯერა რა სასულიერო სასწავლებლების მომავალი წარმატებული არსებობისა, ჩვენ გვსურს საერო სკოლებსაც იგივე ვუსურვოთ, და ამასთანავე ვევედროთ უფალ ღმერთს შეგვეწიოს ჩვენ იმის მიღწევაში, რომ ყველა ჩვენს ბავშვზე, სულ ერთია ისინი სასულიერო სასწავლებლების აღსაზრდელები იქნებიან, თუ საერო სკოლებისა, რაც შეიძლება მალე აღსრულდეს საღმრთო წერილის გამონათქვამი სრულყოფილ ადამიანზე: „სჯულსა უფლისასა არს ნებაი მისი და სჯულსა მისსა ზრახავნი იგი დღე და ღამე“ (ფსალმუნი 1, 2), რამეთუ „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მათე 5, 8).

ტფილისის სასულიერო სემინარია,
1898 წელი.

(დასასრული)





მხატვრული სიტყვის ლოგიკა

I ეპიკური ფიქცია

ისტორიული და ფიქციონალური თხრობა

ყველაზე პირდაპირ გზას სიტყვიერი მხატვრული შემოქმედების ლოგიკური სისტემისაკენ ეპიკური ანუ თხრობითი მხატვრული შემოქმედების ანალიზი გვიჩვენებს. მაგრამ პირდაპირ გზაზე ლაპარაკი სრულებით არ ნიშნავს, რომ ანალიზი მარტივი იყოს. საქმე ეხება ურთულეს მიმართებებს, როგორც კი შეიძლება არსებობდეს არა მარტო მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ, ალბათ, ენობრივ ფუნქციებში საერთოდ. მაგრამ თუ დიდაქტიკური თვალსაზრისით ხშირად მარტივი მიმართულებიდან უფრო რთულზე უნდა გადავიდეთ ხოლმე, მხატვრული შემოქმედების სტრუქტურა შებრუნებულ სურათს გვთავაზობს: უფრო მარტივი სტრუქტურები შემეცნებისათვის ნათელი ხდება მხოლოდ თხრობითი მხატვრული შემოქმედების რთული სტრუქტურიდან გამომდინარე.

ამ სირთულის მიზეზს თვით თხრობით მხატვრული შემოქმედების გადმოცემა წარმოადგენს, რომელიც უსაფუძვლოდ არ ქცეულა თანდათანობით ლიტერატურის თეორიულ დაკვირვებათა ცენტრალურ საგნად. მაგრამ თუ ლიტერატურის თეორიას აქამდე არ გაუხსნია ეპიკური თხრობის არსი, ეს იმის გამო, რომ თხრობის პროცესს იგი პომპოვენურ პროცესად აღიქვამს, ე. ი. ეპიკური მხატვრული შე-

მოქმედების თხრობას, რომელსაც შემდგომში ეპიკურს ანუ ფიქციონალურს ვუწოდებთ, იგივე თვისებების მქონე პროცესად მიიჩნევს, როგორცაა არაეპიკური, ე. ი. ისტორიული თხრობა, ანუ, როგორც ახლავე შევვიძლია ვთქვათ, სინამდვილისეული გამონათქვამი. კონტრადიქტორულ დაპირისპირებას — ეპიკური და არაეპიკური თხრობა — გარკვეული აზრი აქვს. რადგან არაეპიკური თხრობა იმის გამო ისტორიული თხრობის იდენტური, რომ საერთოდ თხრობის მხოლოდ ეს ორი, სტრუქტურულად ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმა არსებობს. ე. ი. ეს ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო იმით, და საერთოდ, არა იმიტაც, რომ მათ (როგორც ეს ინგარდენის კვაზიმსჯელობათა თეორიას უდევს საფუძვლად). ერთ შემთხვევაში არასინამდვილის, მეორე შემთხვევაში კი სინამდვილის გაგება შეუძარდება, არამედ საქმე ეხება თხრობის ორ სრულიად განსხვავებულ ფუნქციას, რომლებიც სხვადასხვა მიზნებს ისახავენ და რომელთა შემოქმედებით თხრობითი მხატვრული შემოქმედება და ამის შედეგად დრამატულიც, ენის გამონათქვამის სისტემიდან გაძევებულია. აქვე გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეპიკური ანუ ფიქციონალური თხრობის

ცნება მხოლოდ მესამე პირში თხრობას გულისხმობს და არა პირველ პირში თხრობას. მხოლოდ მე-ამე პირში თხრობა არის ეპიკური ფიქცია, მიმეზისი, ამ ცნების მკაცრი ლიტერატურის თეორიისეული გაგებით. ამრიგად, ამ თავში ლაპარაკია ლიტერატურული ფიქციის ფუნქციონისა და ცნების, მხატვრული შემოქმედებას ფიქციონალური ანუ მიმეტური უნარის განსაზღვრებითს აღწერაზე, რომლის ურთულეს, მაგრამ ლოგიკურად ყველაზე საგულისხმო ფორმას ეპიკურა ფიქცია, ფიქციონალური თხრობა წარმოადგენს.

ეპიკური ფიქციის აღსაწერად ჩვენთვის, როგორც ვთქვით, უმოკლესი გზა ფიქციონალური და ისტორიული თხრობის შედარებითი ანალიზია. რადგან ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია უბრალოდ, გადაჭრით, მხოლოდ სახელდებით განსაზღვრა. თუ რა გვარისაა ერთი ან მეორე, უნდა შევეცადოთ, სამაგალითო ტექსტებზე დაკვირვებით შევიცნოთ მათი ხასიათი. ამ მიზნისათვის ვიყენებთ ჩვენს მე-3 მაგალითს, „იურგ იენაჩის“ დასაწყისს:

„შუადღის შზე დასცქეროდა შიშველ, კლდის ქიმებით შემოზღუდულ იულიუსის უღელტეხილს გრაუბიუნდენში. მწველ, შვეულ სხივებზე მიფიცებულ კედლებს აღმური ასდიოდა...“

ჩინა თავში დავადგინეთ, რომ ამ რომანის დასაწყისი ისეთივე ლოგიკურ სტრუქტურაა აგლენს, როგორსაც ნაწყვეტი რილკეს წერილიდან (და აიქენდორფის პროზად გაშლილი ლექსი, რომელსაც ამ თავში არ შევსებთ). ეს მონაკვეთი რომ რომანის დასაწყისია, არ არის გადამწყვეტი. აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი გარემოება: ნაწყვეტი ისეა აგებული, რომ თუ მას თავისი მიმართებებიდან და კონტექსტიდან ამოვკლავთ (როგორც მოვიქცით კიდევ დასაწყისში), მასში ვეღარ შევიცნობთ რომანის ფრაგმენტს. განსაკუთრებით კი ამ შემთხვევაში, როცა იულიუსის უღელტეხილი გრაუბიუნდენში ჩვენთვის ნაცნობი გეოგრაფიული სინამდვილეა. ასეთი აღწერა ისტორიულ

დოკუმენტებშიც შეიძლებოდა შეგვხვედროდა: წერილში, დღიურში, მოგზაურობის აღწერაში და მისთ. ამასთან, სახიუნდა გაესვას, რომ ცნება „ისტორიული“ ჩვენს შემთხვევაში გამოიყენება არა მისი ვიწრო, ჩვეულებრივი მნიშვნელობაში, ამ ცნებასთან უშუალოდ დაკავშირებული გაგებით, როგორც ისტორიულ-მეცნიერულად დადგენილი ვითარებისა და მოვლენების აღნიშვნა, არამედ როგორც ისტორიული სინამდვილის არსი. ამრიგად, ისტორიული გამონათქვამი ამ—ფართო გაგებით ნიშნავს სინამდვილისეულ გამონათქვამს; ამასთანავე უნდა დავძინოთ, რომ სინამდვილისეული გამონათქვამი არ შემთხვევა ისტორიულ გამონათქვამს, არამედ გამონათქვამის სხვა სახეებსაც მოიცავს (როგორც ქვემოთ უფრო ზუსტად ვნახავთ). ისტორიულ გამონათქვამს ლიტერატურის სფეროში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზეპირი გამონათქვამის სხვადასხვა ფორმებს) ისტორიული დოკუმენტების სხვა, მეტად თუ ნაკლებად ობიექტურ ფორმებთან ერთად უწოდებენ წერილებს, დღიურებს და სხვას, და ისინი შესაძლებელია გამოვიყენოთ შესაბამისი სინამდვილის აღსაწერად, რამდენადაც მათი ჭეშმარიტება და სარწმუნოობა დამოწმებულია: (რისი დადგენაც შეადგენს სწორედ ისტორიული მეცნიერების ამოცანას).

ჩვენი რომანის ნაწყვეტი, რომანიდან ამოღებული, შეიძლებოდა სწორედ ასეთ ისტორიულ დოკუმენტში შეგვხვედროდა და, პირიქით — ნაწყვეტი რილკეს წერილიდან შეიძლებოდა რომანის ნაწყვეტიც ყოფილიყო. ახლა ჩვენ იმ წერტილს მივადექით, როცა კონტექსტის თვალსაზრისი ჩვენი არგუმენტირებისათვის უნდა გამოვიყენოთ. მარხილით მოგზაურობას, რაც რილკეს წერილშია აღწერილი, ჩვენ იმითომ აღვიქვამთ სინამდვილეში მომხდარ ამბად, რაკი ის წერილშია მოცემული; ამ წერილის სინამდვილე კი იმ ფორმით, როგორც იგი ამჟამად ჩვენთვისაა ხელმისაწვდომი, იქიდან ჩანს, რომ იგი რილკეს წერილების კრებულშია და-

სტამბული. მაგრამ რას ვულისხმობს სინამდვილის ეს ცნება? რა კომპონენტებს შეიცავს წერილში აღწერილი ამ პროცესის სინამდვილის განცდა? მხოლოდ ამ კითხვით თუ გავცდებით მშრალ კონსტატაციასა და ტავტოლოგიურ განსაზღვრებს.

სინამდვილის ეს განცდა ორ მომენტს შეიცავს. რაკი აქ მოთხრობილი აღწერილია არა როგორც სიზმარი ან ფანტაზია, არამედ როგორც სინამდვილეში განცდილი, ეს ნიშნავს, რომ აქ აღწერილი საგნობრივი ვითარება: ცაცხვების ხეივანი, სასახლის ფლიველები და ა. შ. ნამდვილად არსებობენ ან აღწერის დროს არსებობდნენ, და თანაც იმისგან დამოუკიდებლად, რაიმე იქნებოდა მათ შესახებ მოთხრობილი თუ არა. სწორედ ამ გარემოების ძალით განისაზღვრება წერილში მოცემული აღწერა სინამდვილისეულ გამონათქვამად. მაგრამ მისი განსაზღვრა ამით არ ამოიწურება. ამას ერთვის მეორე, სტრუქტურული ელემენტი, რომელიც აუცილებლობით, პოლარულობის მიმართებითაც კი არის დაკავშირებული პირველთან. ისევე, როგორც გამონათქვამის ობიექტის სინამდვილე გვაქვს შეგნებული, ამავე დროს შეგნებული გვაქვს გამონათქვამის სუბიექტის სინამდვილაც. იმისდა მიუხედავად, გაგვაჩნია თუ არა რაიმე საბაზი მისი განსაკუთრებული ინდივიდუალობით დაინტერესება-დაუინტერესებლობისათვის. როგორც შემდგომში დავინახავთ, ეს დამოკიდებულია სინამდვილისეული გამონათქვამის სახეობაზე. მაგრამ ჩვენ რომ საერთოდ შევვიძლია ვივარაუდოთ გამონათქვამის სუბიექტის სინამდვილე ანუ მისი ნამდვილად არსებობა, უკვე იქიდან ჩანს, რომ ყოველთვის შევვიძლია დავსვათ კითხვა მისი (გამონათქვამის სუბიექტის) თხრობის დროის მიმართ. ე. ი. თხრობა ყოველთვის მიმართულია ან შეიძლება იყოს მიმართული გამონათქვამის დროზე და ამდენად ისტორიული „მე“-ს ადგილზე დროში. და რადგან გამონათქვამის სუბიექტსა და ობიექტს შორის პოლარული მიმართებაა, ეს სხვას არაფერს ვულისხმობს, თუ

არა თავისთავად ნათელ ფაქტს — რომ კითხვა გამონათქვამის ობიექტს, მის სინაარსსაც ეხება. შესაძლებელი კითხვა ხდომილების ანუ საგნობრივი ვითარების დროის მიმართ ამავე დროს არის კითხვა მისი სინამდვილის შესახებ სინამდვილის ეს განსაზღვრა კი არ უპირისპირდება მის დამოუკიდებლობას გამონათქვამის სუბიექტისაგან, არამედ ავსებს მას. რაც დროში ხდება, სინამდვილეა, და სწორედ ამიტომაც იმისაგან დამოუკიდებლად ხდება, იქცევა თუ არა იგი გამონათქვამის ობიექტად.

სინამდვილის, შესაბამისად, სინამდვილისეული გამონათქვამის ამ განსაზღვრას, რომელიც უადამწყვეტია მხატვრული შემოქმედების სტრუქტურის გასაშუქებლად. კიდევ რამდენიმე განმარტება უნდა დავართოს. რაც დროში ხდება თუ არსებობს, ამავე დროს გარკვეულ ადვილზეც ხდება. სინამდვილის კოორდინატთა სისტემა განისაზღვრება და აღიწერება დროისა და სივრცის კოორდინატებით. სინამდვილის აღწერისათვის მისი სახეობისდამისხედვით რელევანტურია ერთი ან მეორე კოორდინატი. საგნის ყოველგვარი მეცნიერული თუ არამეცნიერული აღწერისათვის — განმსაზღვრელია ობიექტის არსებობა სივრცეში, ისტორიული სინამდვილის აღწერისათვის კი — დროის კოორდინატი. მაგრამ შედმეტია იმის შესხენება, რომ აღწერის უთვალავი სახეობა და ფორმა სივრცობრივ და დროულ განსაზღვრათა დაკავშირების უთვალავ ხარისხს შეიცავენ.

სინამდვილის ცნების შემდგომი განმარტება ეხება ჩვენს განსაზღვრას, რომ ნამდვილი საგანი გამონათქვამის სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობს. რადგან, მხატვრული შემოქმედების პრობლემის გათვალისწინებით ამ განსაზღვრის ერთ-ერთ მომენტად უნდა ვივარაუდოთ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ არანამდვილის საკითხი. არანამდვილი არ უნდა აგვერიოს არა-ნამდვილსა ანუ ფიქციურში. ჩვენი ყურადღება უნდა მივმართოთ სინამდვილის ამსახველი გამონათქვამის

არა იმდენად ობიექტურ პოლუსზე, რამდენადაც სუბიექტურზე. აქედან გამომდინარე, სიზმარეული თუ ოცნებისეული ფანტაზიის, ილუზიისა თუ სიცრუის შინაარსი თითქოს არ უნდა თავსდებოდეს სინამდვილისეული გამონათქვამის ცნების ფარგლებში, რადგან იგი სუბიექტისაგან დამოუკიდებელი კი არ არის, არამედ პირიქით — აუცილებლად დამოკიდებულია მოლაპარაკე სუბიექტზე — სახელდობრ, მის მიერაა შექმნილი და გამოგონილი. ასევე, თავისი არანამდვილობის გამო, იგი თითქოს არ უნდა იყოს ლოკალიზებული დროში. მაგრამ თუ უფრო ყურადღებით ჩავუკვირდებით, არასინამდვილისეული გამონათქვამიც სინამდვილისეული გამონათქვამის თვალსაზრისსა თუ კატეგორიაში მოექცევა. არანამდვილი ნამდვილის კონტრადიქტორული დაპირისპირება კი არაა, არამედ მხოლოდ მისი თანდათანობითი ტრადიციის კერძო გამოვლინება. შეუძლებელია ლოგიკური სიზუსტით დადგენა იმისა, თუ რამდენად შორდება ფანტაზიისა თუ სიცრუის ამსახველი გამონათქვამი სინამდვილეს. ეს კი შეუძლებელია იმის გამო, რომ გამონათქვამის სუბიექტი ნამდვილია, გამოთქმულის ნამდვილი მისამართია, რომლის ნამდვილობის, შესაბამისად არანამდვილობის ხარისხი სინამდვილესთან შეჯერებით შეიძლება დადასტურდეს. მეოცნებე, ფანტაზიორი, მატყუარა თუ შემცდარი — სინამდვილისეულ გამონათქვამებს ქმნის, თუნდაც მათი შინაარსი „ირეალური“ იყოს, ე. ი. შეუძლებელი იყოს მისი შეჯერება შესაბამის, განსაზღვრულ სინამდვილესთან. მაგრამ არანამდვილი ბოლოს და ბოლოს სხვა არაფერია, თუ არა გამოცდილებისა და განცდის შესაძლებლობის გამუდმებით მოძრავი ზღვარი და, როგორც შემდეგ დავინახავთ, იგი მკაცრი ლოგიკური კანონზომიერებით განსხვავდება ფიქციისაგან.

სინამდვილისეული გამონათქვამის არსი საბოლოოდ ასე შეიძლება განისაზღვროს: გამოთქმული წარმოადგენს გამონათქვამის სუბიექტის განცდისეულ ველს,

რაც იგივეს ნიშნავს, რომ გამონათქვამის სუბიექტსა და ობიექტს შორის პოლარული მიმართებაა, რომლის ყველაზე ეგზისტენციალური ძირითადი კომპონენტია დროის მიმართება. რადგან მარხილით გასეირნება რილკეს ~~წარმოადგენს~~ ისტორიულსა და ისტორიულად დადასტურებულ დოკუმენტშია მოცემული, მას სინამდვილის ხასიათი აქვს, ე. ი. ჩვენ მას აღვიქვამთ, როგორც აქ მოლაპარაკე „მე“-ს განცდას — კერძოდ, როგორც წარსულ განცდას, რადგან ამბავი ნამყოფი დროშია მოთხრობილი. შემდეგ დავინახავთ, რომ იგივე ითქმის ყველაზე ობიექტურ ისტორიულ დოკუმენტებზეც კი — მაგ.: სამეცნიერო-ისტორიულ ნაწარმოებზე, თუმცა მისი კითხვისას ჩვენი ყურადღება მიმართულია არა განცდის, ე. ი. სუბიექტის სინამდვილეზე, როგორც წერილში, არამედ აღწერილი საგნის სინამდვილეზე.

ჩვენს შემთხვევაში საქმე ეხებოდა იმის გაშუქებასა და განსაზღვრას, რაც გამონათქვამის სინამდვილის ხასიათს (ისტორიული „მე“-ს გამონათქვამის) შეადგენს. და დავინახეთ, რომ მისთვის კონტექსტის ფაქტი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ეს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდება და გადამწყვეტ კრიტერიუმად მოგვევლინება, როცა ჩვენს ეპიკურ მაგალითს მივუბრუნდებით, რომელიც ასეთი შედარების შესაძლებლობის თვალსაზრისითაა შერჩეული. რადგან, როგორც დავრწმუნდით, ამ მიზნისათვის რომანის ნებისმიერი ნაწყვეტი არ გამოდგებოდა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელსაც ერთი შეხედვით „არ ეტყობა“, რომ ის რომანიდანაა ამოღებული. „იურგ იენაჩის“ დასაწყისი ისეა აგებული, რომ იგი, როგორც რილკეს მარხილით მოგზაურობა, შეიძლებოდა ისტორიული დოკუმენტის, დღიურის, მოგზაურობის, წერილის ნაწყვეტიც ყოფილიყო. თუკი ამ ნაწყვეტს დამოუკიდებლად წარმოგვიდგენდნენ, ჩვენ შეგვეძლო შუადღის მზით ვავარვარებული იულიუსის უღელტეხილის გაშიშვლებული კლდეები გრაუბიუნდენში მოხრობელი სუბიექტის განცდად,

თვით სუბიექტი კი — ისტორიულ „მე“-დ, გამონათქვამის ნამდვილ სუბიექტად მიგვედო: ხოლო თუ ამ ნაწყვეტის კითხვისას ვიცით, რომ ეს რომანის დასაწყისია, და ამრიგად, რომანის არენაზე შევაჭრებით, ჩვენი კითხვისეული განცდა სრულიად სხვა ხასიათისა იქნება. მისი მთავარი ნიშანია ის, რომ იგი მოკლებულია სინამდვილის ხასიათს; თუმცა მოქმედების აღწერილი ადგილი ჩვენთვის ცნობილ გეოგრაფიულ სინამდვილეს ეკუთვნის და თვალსაჩინო აღწერის საშუალებებით იგი უმაღლეს ზომამდეა „გააწყობული“. მაგრამ ეს აღწერა არ აღძრავს ჩვენში სინამდვილის განცდას მხოლოდ იმის გამო, რომ ვიცით, — რომანის კითხვა დავიწყეთ. ეს მტკიცება შეიძლება კვლავ ტავტოლოგიად მოგვეჩვენოს, რომელიც არაფრით განსხვავდება ზემოთ გაკრიტიკებულ კვანი-მსჯელობათა ტავტოლოგიისაგან, „არასრული სერიოზულობის“ მომენტით რომ ახლავს. მაგრამ სწორედ აქ იმალება მხატვრული შემოქმედების ჭეშმარიტი ლოგიკის ანკესი, რასაც მოგვიანებით უფრო დაზუსტებით დავამტკიცებთ. არა-სინამდვილისეულ განცდას თავისი გარკვეული ლოგიკური, შემეცნებით-თეორიული (ამ ხიტყვის ფართო გაგებით) მიზეზი აქვს, რაც თავის გრამატიკულ-სემანტიკურ გამოხატულებას ჰპოვებს ფიქციონალური თხრობის გარკვეულ ფენომენტებში. იმის მიზეზიც, რომ „იურგ იენაჩის“ დასაწყისი, — რომელიც წმინდა ვერბალური თვალსაზრისით არ განსხვავდება შესაძლებელი ისტორიულ-ბიოგრაფიული აღწერისაგან, — არა-სინამდვილის განცდას აღძრავს, თვით „მონათხრობში“ კი არ ძევს, არამედ ეპიკურ „მე“-ში, ანუ „მთხრობელში“, თუ ისევ ტრადიციულად ვიტყვი. რაკი ჩვენ ვიცით, რომ ვკითხულობთ რომანს და არა მოგზაურობის აღწერას, აღწერილ პეიზაჟს უნებურად მთხრობელს არ ვუკავშირებთ. ჩვენ ვიცით, რომ ეს უნდა აღვიქვათ არა მთხრობელის, არამედ სხვა პირთა — ფიქციური პერსონაჟების, რომანის გმირების გან-

ცდისეულ არედ, რომელთა გამოჩენას მოველით, რაკი რომანს ვკითხულობთ.

„ახლა შორიდან... ძაღლის ყეფა მოისმა. ძაღლა, ... მთის ფერდზე ბერგამასელი მწყემსი შუადღის ქედს მისცემოდა. უცებ წამოხტა... მხატვრულ მხრებზე შემოისხა და კლდის ქიმიდან მკვირცხლი ნახტომებით დაეშვა ცხვრის ფარისაკენ, რომელიც თეთრ მოძრავ წერტილებად ჩასდევდა ხევის სიღრმეს... ბოლოს მგზავრი გამოჩნდა... აი, იგი ორ რომაულ სვეტს მიუახლოვდა. ზურგჩანთა მოიხსნა... შეუყოვნებლად ამოიღო ტყავის საქალდე და მონდომებით შეუდგა ამ ორი საპატიო ნანგრევის თეთრ ფურცელზე ხატვას. ცოტა ხნის შემდეგ კმაყოფილებით დასცქეროდა თავის ნახელავს... ცალ მუხლზე დაეშვა და ზუსტად გაზომა ღირშესანიშნავი სვეტები. „ხუთნახევარი ფუტი“, ჩაილაპარაკა თავისთვის. „აქ რას საქმიანობთ? ჯამუშობთ?“ გაისმა მის გვერდით მძლავრი ბანა“.

ქვემოთ დაეინახავთ, თუ რატომ წარმოადგენს ტექსტის ამ ნაწყვეტში წინადადება — „შეუყოვნებლად ამოიღო ტყავის საქალდე“ — უტყუარ ლოგიკურ საბუთს საიმისოდ, რომ ჩვენ ნამდვილად რომანთან გვაქვს საქმე და არა თვითმხილველის ცოცხალ აღწერასთან, ე. ი. ისევ ისტორიულ დოკუმენტთან. ეს საბუთი შედის იმ ძირითად ფენომენტთა რიგში, რომლებიც ავლენენ სწორედ კატეგორიულ განსხვავებას ფიქციონალურ და ისტორიულ თხრობას შორის.

თხრობით შემოქმედებას (მესამე პირში თხრობას) რომ სწორედ რომანის, ან უფრო ზოგადად, ეპიკური პერსონაჟები განსახლჭრავენ, ბანალური და თავისთავად ნათელი ფაქტია და იმდენად ტავტოლოგიურად ჟღერს, მასზე ეპიკური შემოქმედების არც ერთი თეორია არ შეჩერებულა. მაგრამ ეს ფაქტი არც ისე ბანალური და ტავტოლოგიური გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ ფაქტს, რომ რომანის პერსონაჟები ფიქციური პერსონაჟებია. რადგან მხოლოდ ეს ფაქტი იძლევა ლიტერატურული ფიქციის — როგორც

ეპიკურის, ასევე დრამატულის — სტრუქტურის საფუძველს, ეპიკური და დრამატული კი ამჯერად მხატვრული შემოქმედების ლოგიკური სტრუქტურის თვალსაზრისით უპირისპირდება ლირიკას, როგორც ფიქციონალური ჟანრები და კატეგორიულად განსხვავდებიან მისგან, მაგრამ ყველა იმ მოვლენას მხოლოდ ეპიკური ფიქცია ავლენს და არა დრამატული. რადგან მხოლოდ თხრობის პრობლემა იძლევა იმ ლოგიკურ-შემფუძვლებითი და გრამატიკულ-სემანტიკური მიმართებების

ჩვენების საშუალებას, რომლებიც ფიქციას სინამდვილისაგან განასხვავებენ. ენა მხოლოდ თხრობით შემოქმედებაში მოქმედებს და ცოცხლობს მთელი თავისი ტოტალობით და არა დრამატულში, მხოლოდ მასზე ნათლად გამოიხატება, როცა ენა ფიქციურობის განცდას ქმნის და არა სინამდვილისას. ეს კი ნიშნავს: მხოლოდ ისტორიულ და ფიქციონალურ თხრობას შორის არსებული განსხვავების მეშვეობით შეიძლება ფიქციის ლოგიკური სტრუქტურის შემუშავება.

ეპიკური წარსული

როგორც ჩვენს მაგალითში — „იურგენაჩის“ დასაწყისში აღვნიშნეთ, რომანის პერსონაჟთა გამოჩენის მოლოდინი აღწერილს იმთავითვე არა-ნამდვილად, ე. ი. არა „ეპიკური მე“-ს განცდისეულ არედ წარმოგვიდგენს. მაგრამ ამით მხოლოდ მიახლოებით მივანიშნებთ იმ განცდას, რომელიც მესამე პირში მოთხრობილი ნაწარმოების კითხვისას გვეუფლება — ჰომეროსი იქნება ეს თუ ნებისმიერი სავაზეთო რომანი. ამაზე შეიძლება შეგვეკამათონ, რომ არსებობს ძალზე „სუბიექტურად“ მოთხრობილი რომანები, რომლებშიც მოთხრობელი საგანგებოდ მიმართავს „თავის საყვარელ მკითხველს“ „მე“ და „ჩვენ“ ნაცვალსახელებით. ასეთ შემოკამათებაზე მხოლოდ მაშინ შევძლებთ პასუხის გაცემას, როცა „ეპიკური მეს“ ანუ „მოთხრობელის“ არსი და ფუნქცია ენობრივი და ლოგიკური თვალსაზრისით სრულად იქნება გაშუქებული და ამრიგად, არა-ნამდვილის კითხვისას აღძრული ფსიქოლოგიური განცდა თავის დასაბუთებას ჰპოვებს.

ამ მიზნით თხრობის იმ ენობრივ-თეორიულ მოვლენას უნდა მივმართოთ, რომელიც სხვებზე ზუსტ დასაბუთებას იძლევა და ისეა აწყობილი, რომ მისგან გამომდინარე, უწყველად შეიძლება ყველა დანარჩენი თხრობითი ფენომენის ახსნა და განვითარება. ასეთი მოვლენა არსებობს და გასაკვირი არაა, რომ იგი დაკა-

ვშირებულია ზმნასთან, ზმნის დროსთან და, ამდენად, დროის პრობლემასთან. წინადადებაში თუ მეტყველებაში სწორედ ზმნა სწყვეტს პირებისა თუ საგნების „ყოფნის რაგვარობას“, აზუსტებს მათ ადგილს სივრცეში და ლაპარაკობს მათ ყოფნა-არყოფნაზე, მათ ჯერ კიდევ ყოფნაზე, აღარ ყოფნასა თუ ჯერ არ ყოფნაზე.

„ათი ზანზალაკის წკარუნი მიაცილებდა მარხილს ცაცხვების გრძელ ხეივანში, მან გადაუხვია და გამოჩნდა სასახლის მოედანი“, გვამცნობს რილკე 1904 წ. 4 დეკემბრის წერილში, და ჩვენ ვიცით, რომ მან ამ დღემდე იმოგზაურა მარხილით, რომ მისთვის ზამთრის მოგზაურობა შვედიაში წარსული ამბავია: რადკან იგი წარსულ დროში მოგვითხრობს ამის შესახებ. „შუადღის მზე აცხუნებდა შიშველ, კლდის ქიმებით შემოზღუდულ იულისის უღელტეხილს გრაუბიუნდენში. კედლებს აღმური ასდიოდა“... ეს აღწერაც დროშია მოთხრობილი. და მაშასადამე, — იტყვიან გრამატიკოსები და მხატვრული შემოქმედების თეორიტიკოსები, — ეპიკოსი თავის ამბავს წარსულად ეადმოვცემს, ან ყოველ შემთხვევაში, ისე, თითქოს ეს წარსული იყოს. ასე რომ, დიდად არ გავცილებივარო ბოეთეს მოსაზრებას ეპიკური და დრამატული შემოქმედების შესახებ, რომელიც მან შილერთან ცნობილ დისკუსიაში გამოთქვა 1797

წლის დეკემბერში და რომლის ციტირებას ხშირად მიმართავენ ხოლმე — „დრამატურგი (მიმი) ამბავს სავსებით აწმყოდ წარმოგვიდგენს, ეპიკოსი (რაფსოდი) კი — სავსებით წარსულად“. და თუმცა ის განცდა, რომელიც ერთნაირად გვეუფლება რომანისა თუ პომპროსის ან ნიბელუნგების სიმღერის კითხვისას, იმ გარემოებაზე მიგვანიშნებს, რომ ეპიკური მოქმედების წარსულობის და, ასე გასინჯეთ, წარსულად წარმოსახულობის საკითხიც კიდევ უფრო პრობლემატურია, ჯერ კიდევ ვერ გავცილებივართ იმ მოდიფიცირებას, რომელიც შილერმა გოეთეს ზემოთ მოყვანილ მტკიცებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბა: „რომ მხატვრული სიტყვის ხელოვნება ზოგჯერ ეპისკოპოსსაც აიძულებს, აწმყოდ წარმოსახოს მომხდარი“. ისტორიული პრეზენსის ხშირი გამოყენება სწორედ გააწმყოების ამ ცნების მნიშვნელობის სასურველი შინაარსი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ შილერი, რომელიც „გააწმყოებას“ „წარსულის“ საპირისპიროდ იყენებს, საკმაოდ ანიჭებს მას ამავე დროს იმ ტემპორალურ მნიშვნელობას, რომელიც გერმანული სიტყვისათვის „gegenwart“ არის დამახასიათებელი, მაგრამ ისტორიული აწმყოს თეორიებთან დაკავშირებით გააწმყოების ცნება ტემპორალური თვალსაზრისით გადაჭარბებულად იქნა შეფასებული, რასაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით: გადაჭარბებით შეფასება კი გამომდინარეობს უეჭველი პიპოთეზიდან, რომ ეპიკურად მონათხრობი იმის გამოა წარსულად გააზრებული და წარმოდგენილი, რაკი იგი პრეტერიტუმის გრამატიკული ფორმითაა მოთხრობილი. ხოლო საკითხი, რომ ენობრივი გადმოცემის რაიმე მომენტში პრეტერიტუმი შეიძლება არ გამოხატავდეს წარსულ მოქმედებას, დისკუსიის საგნად არ ქცეულა. ამიტომ თხრობის ეპიკური ფორმა არ იქნებოდა დამაკმაყოფილებლად აღწერილი, თუკი გადაუჭრელი დარჩებოდა ისეთი ენობრივი და გრამატიკული პრობლემები, როგორცაა, მაგ., განცდილი მეტყველების პრობლემა-

მაგრამ სწორედ მნიშვნელობის ის თითქოსდა პარადოქსული შეცვლა, რასაც ფიქციონალური თხრობის პრეტერიტუმი განიცდის, სრული დამაჯერებლობით აღასტურებს მის ფიქციონალურებას ან, თუ სხვაგვარად ვიტყვით, სხვაგვარად განსაზღვრავს, რომ ეპიკური „შე“ არ არის გამონათქვამის სუბიექტი. მნიშვნელობის შეცვლა კი იმაში მდგომარეობს, რომ პრეტერიტუმი კარგავს წარსულის აღმნიშვნელ გრამატიკულ ფუნქციას.

ამის დასამტკიცებლად, უპირველეს ყოვლისა, პრეტერიტუმის გრამატიკულ ფუნქციაში უნდა გავერკვეთ. ჩვენი მიზნებისათვის საკმარისი არაა, მაგალითად, პრეტერიტუმის განსაზღვრა პ. პაულისა და ო. ბეჰაგელის მსგავსად „აწმყოსადმი“ მისი მიმართება-მიუმართებლობის ნიშნით, იმ წერტილის მეშვეობით, რომელიც „წარსულში ძევს“ და რომლიდანაც ხდება წარსულში დროის ათვლა.

ათრისტული იმპერფექტის და საერთოდ დროების განსაზღვრას აკლია რაღაც მნიშვნელოვანი, რაც მათ უფრო ღრმა შრეებიდან ახსნიდა, ვიდრე გრამატიკიდან. ეს მნიშვნელოვანი მომენტი, გერმანული და უცხო ენების გრამატიკათა გადასინჯვისას რომ დავადგინე, მხოლოდ ძველ გერმანულ გრამატიკოსს ქრისტიან აუგუსტ ჰაიზეს შეუნიშნავს, რომლის „გერმანულ გრამატიკაში“ გრამატიკული კანონები და ფორმები უპირატესად აზრობრივ-ლოგიკური მიმართებებიდანაა გამოყვანილი. დროების მისეულმა ახსნამ მიმაქცევინა სწორედ ყურადღება ისტორიულ და ფიქციონალურ თხრობას შორის არსებული კატეგორიული სხვაობის ნამდვილ მიზეზზე. თუმცა თვით ჰაიზეს, როგორც ყველა სხვა მანამდელ თუ მის შემდგომ გრამატიკოსს, ეს სხვაობა არ გაუცნობიერებია.

თუ პაული და ბეჰაგელი დროთა მხოლოდ აწმყოსადმი მიმართებაზე ლაპარაკობენ, ჰაიზე აწმყოს ცნებას აღრმავენს, როცა დასძენს: „აწმყო, შესაბამისად მოლაპარაკე სუბიექტის ახლანდელი წამი“. ამით ჰაიზე გაცილებით უფრო მკვეთრ

განსხვავებას ავლენს სამ მთავარ დროს — პრეზენსს, პრეტერიტუმსა და ფუტურუმს შორის. მათ „სუბიექტურ დროებს“ უწოდებენ, რადგან ისინი მოქმედებასა და პროცესს უბრალოდ ათავსებენ. მოლაპარაკე სუბიექტის ცნებით ჰაიზემ გამონათქვამის სუბიექტი დროის განსაზღვრაში და, ამდენად, დროის, ან (რაც იგივეა) სინამდვილის სისტემაში შეიყვანა. ეს კი ნიშნავს, რომ გამონათქვამის სუბიექტი დახასიათებულია, როგორც დროში არსებული, ე. ი. ნამდვილი, ეს კი თავის მხრივ სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს, თუ არა იმას, რომ ლაპარაკს აწმყობზე, წარსულსა და მომავალზე აზრი აქვს მხოლოდ გამონათქვამის ნამდვილ, ჭეშმარიტ სუბიექტთან მიმართების პირობებში. შემდგომში გამონათქვამის სუბიექტის ცნების თანაბარი მნიშვნელობით გამოვიყენებთ უფრო გნოსეოლოგიურად შეფერილ ცნებას მე-ორიგო, რაშიც ბრუგმანისა და ბიულერის ტერმინოლოგიას ვემყარებით. ეს ცნება აღნიშნავს „მე“-ს (განცდის ანუ გამონათქვამის „მე“-ს) მიერ დაკავებულ ნულოვან წერტილს, სივრცობრივ-დროული კოორდინატების სისტემის ორიგოს, რომელიც „ახლა“ და „აქ“ განზომილებებს ემთხვევა, ანუ მისი იდენტურია. „ახლა — აქ — მე — სისტემის ორიგოს, რომელსაც შემოკლებით „მე-ორიგოდ“ აღვნიშნაეთ, ბრუგმანი და ბიულერი ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუნქციების აღსაწერად იყენებენ. ეს პრობლემა კი ჩვენც გამოგვადგება ჩვენს დასაბუთებებში, როგორც მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი არგუმენტი.

ჩვენ გამონათქვამისეული სუბიექტის ლოგიკურ ცნებას გნოსეოლოგიური სუბიექტის, მე-ორიგოს ცნებით ვცვლით, რადგანაც წმინდა გრამატიკული თვალსაზრისი არაა საკმარისი იმ თავისებურ გრამატიკულ მიმართებათა გასაშუქებლად, რომლებიც ფიქციონალური თხრობის პროცესში მთხრობელისაგან გაუცნობიერებლად წარმოიქმნებიან: ენის ვერც ერთი სფეროც ვერ გვიჩვენებს ისე მკაფი-

ოდ, როგორც მხატვრული შემოქმედება, რომ სინტაქსის სისტემა ძალზე ვიწროდ მოზომილი სამოსელია ენის შემოქმედებითი სიცოცხლისათვის, რომლის წყარო აზროვნებისა და წარქმედების უფრო ყოვლისმომცველ სფეროშია. უწყვეტობით სინტაქსის ეს ვიწრო სამოსელი გასკდება, როცა ამ სფეროს პროცესები იჩენენ თავს — და საქმეც იმაშია, რომ ისინი იჩენენ ხოლმე თავს — სხვა არაფერი დაგვრჩენია ვარდა იმისა, რომ ეს ადგილები ახლად ჩადგმული ნაჭრებით გაფაფართოვოთ. ჩვენის აზრით, ასეთ „ნაჭრად“ შეიძლება განვიხილოთ ეპიკური წარსული. ამრიგად, დროების გრამატიკული თეორიის ამ ნაჭრით გაფართოებისათვის საჭიროა გნოსეოლოგიურ მიმართებათა წვდომა, რომლებიც მას საფუძვლად უდევს და ბოლოს შევეხებით იმ მიზეზებს, თუ რატომ არა აქვს ფიქციაში პრეტერიტუმს წარსული მოქმედების გამოხატვის ფუნქცია.

ამ მიზნით პირველ რიგში განვიხილოთ პრეტერიტუმის ფუნქცია სინამდვილისეულ გამონათქვამში ობიექტური გამონათქვამის ორ მარტივ მაგალითზე. 1. ზეპირად თუ წერილობით გაცნობებთ რომელიღაც პიროვნების შესახებ: „ბატონი, სამოგზაუროდ იყო“. 2. ნებისმიერი წინადადება ნებისმიერი ისტორიული ნაწარმოებებიდან, მაგალითად ფრიდრიხ დიდის ამბავი: „მეფე ყოველ საღამოს უკრავდა ფლეიტაზე“. ეს გამონათქვამები მესამე პირის ან ობიექტური ფაქტის შესახებ ჰაიზეს თეორიის თანახმად „მოლაპარაკე სუბიექტის (ე. ი. გამონათქვამის სუბიექტის) წარსულშია გადატანილი“; ჩვენი ტერმინოლოგიით: ორივე გამონათქვამი შეიცავს რეალურ მე-ორიგოს, რომლიდანაც მისი სივრცობრივ-დროული სისტემის დროის კოორდინატზე აითვლება დროის შუალედი, რომელიც აქ არაა დათარიღებული. დასახელებული პროცესების პირველ მაგალითში მე-ორიგო მკაფიოდ ჩანს. მე ახლა და აქ გამცნობთ, რომ ბატონი X სამოგზაუროდ იყო, ჩემი ახლა-

დან ვიხედები ბატონ X-ის მოგზაურობის დროისაკენ და შემიძლია ვუპასუხო კითხვას, თუ როდის იყო იგი სამოგზაუროდ. ჩემი გამონათქვამის იმპერფექტიდან გამომდინარეობს აგრეთვე ისიც, რომ ეს მოგზაურობა წარსულს ეკუთვნის და იგი (ბატონი X) ახლა აღარაა სამოგზაუროდ. მეორე, ისტორიულ მაგალითში, მე-ორიგო იმდენად თვალში საცემი აღარაა, მაგრამ მაინც არსებობს ისევე, როგორც პირველში. ისტორიული ნაწარმოები, მასში შემავალი გამონათქვამების ტოტალურობა თითქოს დროისა და სივრცის სისტემაზე მალა დგას. ეს გამონათქვამებია „ობიექტური მოქმედებით“ ხასიათდება და არაა დაკავშირებული, ან აღარაა დაკავშირებული გამონათქვამის ავტორის „ახლა“-და „აქ“ მონაცემებთან. ესაა გამონათქვამთა ობიექტურობის ჩვეულებრივი განსაზღვრა და სწორედ მასში უნდა ვეძიოთ ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ არაა მხატვრული შემოქმედების სტრუქტურა ამოცნობილი, რატომაა ლიტერატურული ჟანრები მცდარად განსაზღვრული, ხოლო ეპოსი და დრამა, როგორც ობიექტური ჟანრები, რატომ უპირისპირდება ლირიკის სუბიექტურ ჟანრს.

შეცდომა ისაა, რომ გამონათქვამის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიგვიღია სინამდვილის სტრუქტურული ფაქტორი და, ამდენად, მე-ორიგო, სახელდობრ, არა მარტო გამონათქვამის ავტორის მე-ორიგო, არამედ გამონათქვამის ადრესატია. ისტორიული გამონათქვამი არ არის ჩვენი პირველი მაგალითისაგან პრინციპულად განსხვავებული გამონათქვამი, ისიც მოლაპარაკე სუბიექტის ანუ მე-ორიგოს წარსულშია გადატანილი. უპირველეს ყოვლისა კი — ისტორიული ნაწარმოების ავტორის წარსულში. კუგლერს, რომელმაც თავისი ნაწარმოებო ფრიდრიხ დიდის შესახებ 1840 წელს გამოსცა, ფრიდრიხის ცხოვრების დრო დაახლოებით 70 წლით უსწრებს წინ. მაგრამ ეს ნაწარმოები შესაბამისი მკითხველისთვისაც წარსულშია გადატანილი:

1940 წლის მკითხველისათვის ფრიდრიხ დიდის ცხოვრება 170 წლის წინანდელია. დროის ევსისტენციალური მნიშვნელობა ისტორიული სინამდვილის განცდისა და ფენომენისათვის იმაში ვლინდება, რომ იგი გამონათქვამისა და მკითხველის „გადამცემსა“ და „მიმღებს“ სინამდვილის ეროსივრცესა და განცდაში აერთიანებს. და ეს ითქმის როგორც გადამცემისა და მიმღების ერთდროულ, ასევე მათ არაერთდროულ არსებობაზე. როცა რაიმე ამბავი სინამდვილის შესახებ ავტორზე დიდხანს ცოცხლობს, — დაბეჭდილი წიგნისა თუ დღიურების, ან სხვა სახით, თავდაპირველი მოხრობელის მე-ორიგოს ადგილს შესაბამისი მკითხველის მე-ორიგო იკავებს — ცხადია, დროის განცდის თვალსაზრისით. ამ შინაარსის ნამდვილობაზე სწორედ ის ვარემოება მიუთითებს, რომ შემინდელ მკითხველს სხვა დროისმიერი დამოკიდებულება უჩნდება მონათხრობის შინაარსისადმი, ვიდრე მის ავტორს. კითხვა „როდის“ შეიძლება დაისვას მხოლოდ იმ მე-ორიგოს პოზიციიდან, რომელიც ამბავს გადმოგვცემს. ყოველივე წარსული (ყოველივე ისტორიულის ფართო გაგებით), ისევე, როგორც ყოველივე ახლანდელი თუ მომავალი, მიმართულია „მე“-ზე, ჩემს წარსულში, აწმყოსა ან მომავალში არსებობს; თუნდაც ამ წარსულ, ახლანდელსა თუ მომავალ მოვლენებს არაფერი ჰქონდეთ საერთო ჩემს ინდივიდუალურ კერძო „მე“-სთან. მოვლენისათვის „როდის“ კითხვის დასმის შესაძლებლობა მისი სინამდვილის დამასაბუთებელია, თვით კითხვა კი ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად მე-ორიგოს არსებობას მოწმობს. სინამდვილის ამსახველი გამონათქვამის პრეტერიტუმი ნიშნავს, რომ გადმოცემული ამბავი წარსულია, ან, რაც იგივეს გულისხმობს, მე-ორიგო მას წარსულად იცნობს.

ახლა განვიხილოთ ფიქციის იმპერფექტი. დავუშვათ, რომ წინადადება „ბატონი X სამოგზაუროდ იყო“ რომელიმე რო-

მანიდანაა ამოღებული. მაშინვე ვიგრძნობთ, რომ მისი ხასიათი სრულიად შეიცვალა. ჩვენ ვეღარ დავუსვამთ კითხვას „როდის“ — თარიღი მოცემულიც რომ იყოს, მაგალითად: 1890 წლის ზაფხული. თარიღის დასახელებით თუ დაუსახელებლად რომანის წინადადებად ნე შევიტყობ არა იმას, რომ ბატონი X სამოგზაუროდ იყო, არამედ იმას, რომ იგი სამოგზაუროდაა. ასეთივე ვითარება გვექნება წინადადებაში ფრიდრიკ დიდის შესახებ, თუკი მას ფრიდერიკუსის რომანში შევხვდებით. და ეს მიუხედავად იმისა, რომ აქ ლაპარაკია ისტორიულ პიროვნებაზე, რომლის სინამდვილეში არსებობაც ჩვენს დღევანდელობას 200 წლის წინანდელ წარსულში კარგად მოეხსენება. რომანის წინადადებაც — „მეფე ყოველ საღამოს ფლეიტაზე უკრავდა“ — გვამცნობს არა იმას, რომ იგი მაშინ, 200 წლის წინ აკეთებდა ამას, არამედ იმას, რომ იგი ამას ახლა აკეთებს. იმპერფექტის გრამატიკული ფორმა ორივე წინადადებაში კარგავს თავის ფუნქციას — გვამცნობს გადმოცემული ფაქტების წარსულობა.

მაგრამ ეს გარემოება არ აიხსნება წმინდა ფსიქოლოგიურად, ჩვენი კითხვის განცდიდან გამომდინარე. მას არ ექნებოდა ადგილი, თავისი სტრუქტურულად განსაზღვრული ლოგიკური და გნოსეოლოგიური მიზნეზები რომ არ გააჩნდეს. მათ შესაძლებლად ჩვენი კითხვისეული განცდიან მხოლოდ სუბიექტური სიმბტომების ამარა როდი ვართ; არსებობს ნამდვილი ობიექტური სიმბტომი, გრამატიკა, თვით ენის ქცევა, რაც უფრო ზუსტ განმარტებას იძლევა აქ არსებული მიმართებებისათვის. რომანის წინადადების „ბატონი X სამოგზაუროდ იყო“ — ვაგრძელებად შეგვიძლია ასეთი ფორმის წინადადება წარმოვიდგინოთ: „დღეს მან უკანასკნელად შემოიარა ევროპული საპორტო ქალაქი, რადგან ხვალ მისი გემი ამერიკისაკენ მიემგზავრებოდა“. წინადადებას ფრიდრიქის ფლეიტაზე დაკვრის შესახებ კი რომანში შემდეგი ფორმა შეიძლება ჰქონდეს:

„ამ საღამოს მეფეს კვლავ სურდა ფლეიტაზე დაეკრა“. აქ ჩვენ ვაწყდებით ობიექტურ გრამატიკულ სიმბტომს, რომელიც თავისი უჩინარობის მიუხედავად ვადაწყვეტ საბუთს იძლევა საიმისოდ, რომ ფიქციონალური თხრობის იმპერფექტი არ წარმოადგენს წარსულის გამონათქვამს; და ეს იმის გამო, რომ იმპერფექტთან შეიძლება დაკავშირებული იყოს დროის დეიქსური ზმნიზებები.

ეს ფენომენი უფრო ზუსტ განალიზებას საჭიროებს, რაც განსაკუთრებით თვალში საცემია აქ გამოყენებულ დროის ზმნიზებებზე — ხვალ, დღეს საღამოს და სხვ., რადგან რეალურ სამეტყველო სიტუაციაში ასეთი დაკავშირება შეუძლებელია. მაგრამ რეალურ მეტყველებაში ეს შეუძლებელია წარსული დროის ზმნიზებებისათვისაც, რადგან იმპერფექტთან ისინი არ იხმარება.

ეს ნაწყვეტი შტიფტერის „მალნარის“ დასაწყისი გახლავთ. იგი იმის გამოა ჩვენი პრობლემისათვის განსაკუთრებით მიზანშეწონილი, რომ მასში მხოლოდ გარემოს აღწერა კი არაა მოცემული, როგორც „იურგ იენაჩის“ დასაწყისში, არამედ ეს აღწერა გადმოცემულია პირველ პირში, რომელიც შემდეგ რომანში აღარ ჩანს. ამ განსაკუთრებულ ეპიკურ ფორმას აქამდე არ შევხებივართ, რადგან იგი, როგორც ასეთი, ფიქციონალური თხრობის კანონების დასასაბუთებლად გამოუსადეგარია. ქვემოთ დაწვრილებით განვმარტავთ მის ადგილს ეპოსსა და მხატვრული შემოქმედების სისტემაში. იმ სახით კი, როგორც იგი ჩვენს მაგალითში გვევლინება, განსაკუთრებულად მკაფიო კონტრასტული მოქმედების წყალობით ჩვენთვის საინტერესო საგნობრივ ვითარებას წარმოაჩენს. მხატვრული შემოქმედების თეორეტიკოსისათვის ეს მოვლენა ამ ნაწყვეტს საგანძურად აქცევს, ახდენს რა ისტორიული და ფიქციონალური თხრობის კონცენტრირებას, რაც მათ ლოგიკურ განსხვავებას ძალზე ხატოვნად ავლენს. მოთხრობა იწყება მოქმედების ადგილის აღწერით პრეზენსში:

„ავსტრიის ჩრდილო საზღვარს 30 მილის სივრცეზე მალნარის მუქი ზოლი გასდევს დასავლეთისაკენ... შემდეგ ტყე მთაგრეხილიდან განზე უხვევს და ჩრდილოეთის მიმართულებით რამდენიმე დღის სავალზეა გადაჭიმული. სწორედ მთისა და ტყის ამ გასაყარის მიდამოებში მოხდა ის ამბავი, რომელიც გვსურს მოგიხროთ“.

პრეზენსში გადმოცემული გარემოს ეს აღწერა, თუმც რომანის დასაწყისია, „იურგენანის“ დასაწყისისაგან განსხვავებით, სინამდვილის აღწერას წარმოადგენს. და ეს მიიღწევა არა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის წყალობით, არამედ პრეზენსის წყალობით, რომელიც ისტორიული პრეზენსი კი არაა, არამედ იმ „ახლამომენტს“ (თუნდაც დაუთარილებელს) აღნიშნავს, რომელშიც მთხრობელი მოგვითხრობს — რის გამოც მთხრობელის ცნებას აქ ბრკეალებში არ ვათავსებთ. მთხრობელი აქ რეალური მე-ორიგოა, ამიტომ იგი იგონებს იმ დროს, როცა თვით დაეხეტებოდა აღწერილ მიდამოში, რომანის მომავალი მოქმედების არენად რომ უნდა იქცეს; და აქ მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად ნამდვილი თუ არანამდვილია ეს მოგონება; აქ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ თხრობის ფორმას, ეს სინამდვილისეული გამონათქვამის ფორმაა, — გამონათქვამის ნამდვილი სუბიექტის და, ამდენად, რეალური მე-ორიგოს გამონათქვამი; და შემთხვევითი არაა, რომ დასაწყისში გამოყენებულ შედარებით ზოგად პირის ნაცვალსახელს „ჩვენ“ (რომელსაც ხშირად მიმართავენ თეორიულ განმარტებებში) მალე პირველი პირის უფრო პიროვნულ-ეგზისტენციალური ნაცვალსახელი ენაცვლება:

„სრული სიმართლის გრძობა მეუფლებოდა ყოველთვის, როცა კი იმ ზღაპრულ ტბასთან ავიდოდი... ერთი და იგივე აზრი შემიპყრობდა, ამ ლაქვარდოვან ნაპირზე რომ ვიჯექი ხოლმე... ხშირად ვმჯდარვარ გარდასულ დღეებში ძველ გალავანში...“

ამ ნაწყვეტის იმპერფექტიც, ისევე როგორც წინას პრეზენსი, მთხრობელის ახ-

ლა-ზეა მიმართული. იგი ვადმოგვცემს თავის ცხოვრებას, თავის სიჭაბუკისდროინდელ წარსულს, როცა იმ მიდამოში უხეტიალია. შემდეგ მე-მთხრობელისათვის თანამედროვე მოქმედების ადგილის აღწერა მისთვის ისტორიულ-მთხრობაში ინაცვლებს, ე. ი. იგი თავისი ფანტაზიით უფრო შორეულ წარსულში გადადის, რომელიც თავად არ განუცდია:

ახლა კი, ჩემო საყვარელო მკითხველო, თუ უკვე დატკბი ცქერით, ორი საუკუნით უკან დავიხსიოთ.

მკითხველის თვალწინ გადაიშლება ციხე-ქალაქის სურათი, რომელსაც აცოცხლებს ფანტაზია ციხის ნაცნობი ნანგრევების მიხედვით: მაგრამ მიუხედავად ამისა, რომანის მოქმედება ჯერ არ იწყება. აქ უმაღლეს საქმე გვაქვს ლიტერატურულ მაგალითთან, რომელიც ფანტაზიასა და ფიქციას შორის არსებულ ლოგიკურ-ენობრივ-თეორიულ განსხვავებას ასახავს, რაზეც ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება:

„ძველი გალავნიდან ცოტა მოშორებით ლურჯთვალა შროშანები, ზიზილები და ბუერები წარმოიდგინე; წინა კედლამდე თეთრი ქვიშა მოაყარე, შესასვლელ თაღში კი წიფლის მკვიდრი კარიბჭე ჩადგი...“

მონახაზი ფანტაზიისეული ამ სურათისა, რომელიც მკითხველის წინაშე წარმოდგება, სინამდვილის ამსახველი გამონათქვამია, თუმცა მის შინაარსს აშკარად ფანტაზიის ნიშანი აზის, რადგან იგი მიმართულია „მოლაპარაკე სუბიექტზე“, წარმოდგენილია, როგორც მისი ფანტაზიის ნაყოფი, არა როგორც მთლიანად არანამდვილი, რადგან იგი ლოკალიზებულია მთხრობელისათვის განსაზღვრულ წარსულ ეპოქაში. მთხრობელი მე-ორიგოს თანდასწრებით აღბეჭდილი ფანტაზია გრძელდება მაშინაც, როცა იგი რომანის მომავალ გმირებს — ჰაინრიხ ვიტინგჰაუზერის ორ ქალიშვილს გვაცნობს, რადგან ისინი ჯერ კი „არ მოქმედებენ“, არამედ ნახატისათვის განკუთვნილი ცოცხალი სურათებით გამოჩნდებიან:

...კარი ფართოდ იღება — მოგწონს ეს მშვენიერი წყვილი?.. უმცროსი ფანჯარასთან ზის და ქარგავს... უფროსი ჯერ არ გამოჩენილა...

არც ამ აღწერის პრეზენსია ისტორიული პრეზენსია, რომელიც იმპერფექტს ცვლის ხოლმე, თუმცა მთხრობელი ისტორიულ წარსულზე მოგვითხრობს. მაგრამ აქ ამას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მთხრობელის კვლავ თანმხლებ მე-ორიგოს, რომელიც თავისი ფანტაზიის წყალობით წარსულის გარკვეულ მომენტში გადასულა; ამიტომ ოთახი გოგონებით მას ჯერ ისევ სურათივით უღვას თვალწინ და მკითხველსაც ასევე წარმოუდგენს — პრეზენსში; ასეთ პრეზენსს ტაბულარულსაც უწოდებენ. და მხოლოდ მაშინ, როცა გოგონების ეს მუნჯი სურათები ცოცხალ სახეებად — როგორც არისტოტელე ამბობს, მოქმედ ადამიანებად იქცევიან, პოეტისაგან გაუცნობიერებლად და მკითხველისაგან შეუმჩნეველად ჩნდება იმპერფექტი:

ფანჯარასთან მჯდომი ბეჯითად განაგრძობს ქარგვას და მხოლოდ დროდადრო თუ გადახედავს დას. იგი ერთბაშად შესწავლავს ძებნას და თავის არფას სწვდება, რომელიც კარგა ხანია, თითქოს ოცნებაში წასული, ცალკეულ ბგერებს გამოსცემს. ბგერებს, რომლებიც ერთმანეთს ვერ უკავშირდებიან, ანდა რომელიღაც ჩაძირული მელოდის ნაკვალევს წარმოადგენენ. უცებ უმცროსმა თქვა....

ამ „თქვა“-დან მოყოლებული, თხრობა პრეტერიტუმში გრძელდება, მოცემულ კონტექსტში კი ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მხოლოდ ახლა შევიჭვრით ფიქციის სამყაროში. ვერც ერთი ტექსტი უფრო მკაფიოდ ვერ დაგვანახებს, რომ ამ იმპერფექტით ქრება მთხრობელის მე-ორიგო, ბაკვეულწილად ჩამოშორდება თხრობას და მის ადგილს რომანის გმირების ფიქციური მე-ორიგონესები იკავებენ. ამ „თქვა“-მდე მოთხრობის მოქმედების ადგილი და დრო ჯერ კიდევ თვით მთხრობელის წარსულში იყო — მის ნამდვილ მე-ორიგოზე, მის ნამდვილ ახლათხრობაზე მიმართული. ისინი შეადგენდ-

ნენ სინამდვილისეული გამონათქვამის თემას, თუნდაც ეს სინამდვილე ფანტაზიის შედეგად იყოს შექმნილი, ვატიკონილი. მხოლოდ იმპერფექტი აქცევს მუნჯ სურათს ცოცხალ ხატად, რომელმაც მხატვრული შემოქმედების ეფექტის ეფექტისაზრისით კი — ფიქციად. ამ ზღვარს მკაფიოდ გვიჩვენებს სწორედ ამ იმპერფექტის კონტრასტი სურათის აღწერისას გამოყენებულ პრეზენსთან, რომელიც ამ შემთხვევაში ისტორიული პრეზენსი არ არის. სურათის აღწერას, ცხადია, პირველივე სიტყვებიდან — „უმცროსი ფანჯარასთან ზის და ქარგავს...“ — ფიქციაში გადაყვართ, რამდენადაც გოგონებს მათი საქმიანობის პროცესში ვხედავთ. მაგრამ აქ მოცემული კომპოზიციის ტენდენცია ისე ზუსტად მართავს გრამატიკულ მნიშვნელობებს, რომ ეს პრეზენსი მხოლოდ მაშინ მიიღებდა ისტორიული პრეზენსის მნიშვნელობას, ეს აღწერა რომ „თქვა“-იმპერფექტს მოსდევდეს. რადგან მაშინ იგი უკვე ფიქციის სამყაროს კუთვნილება იქნებოდა. ამის საპირისპიროდ შეიძლება დაისვას კითხვა, არის თუ არა სწორედ იმპერფექტი პრეტერიტუმში, ის ფაქტორი, რომელიც ფიქციონალურ თხრობას ფიქციურობას ანიჭებს; ჩვენს ტექსტში ხომ შეიძლებოდა მის ადგილზე პრეზენსი მდგარიყო, ისე რომ, ფიქციონალური ხასიათი არ შეცვლილიყო, სწორედ ეს კითხვა ეხება ეპიკური პრეტერიტუმის ნამდვილ ქცევასა და არსს. ვიდრე მას მთლიანად გავშიფრავდეთ, გადავხინჯოთ ტექსტის შემდგომი ხასიათი, არა მხოლოდ იმისათვის, რომ მისგან გამომდინარე მოსალოდნელი წინააღმდეგობანი გავაბათილოთ, არამედ იმის გამოც, რომ სწორედ იგი ამუშავებს განსაკუთრებული სიტყვადით ეპიკური პრეტერიტუმის ფენომენოლოგიას.

უპირველეს ყოვლისა, განვამტკიცოთ ის აზრი, რომ ფიგურები მხოლოდ მას შემდეგ იძენენ სიტყვას და ნამდვილ „მოქმედ“ პირებად გვევლინებიან, რაც ტექსტში იმპერფექტის ფორმა — „თქვა“ გამოჩნდება; ეს კი, ღრმადაც რომ არ ჩავუკვირდეთ ამ მოვლენის არსს, იმას ნი-

შნავს (და ეს უშუალოდაც იგრძნობა), რომ ამერიკიდან ხდომილება და ამდენად, ხდომილების დრო, მთხრობელს კი აღარ მიეძარება, არამედ ამ ფიგურებს. ამრიგად, შედგა მე-ორიგოს გადასვლა სინამდვილის სისტემიდან სხვა — ფიქციის სისტემაში, ან, როგორც შეიძლებაოდა გვეთქვას, ფიქციის არეში, რამდენადაც დღეს, გუშინ თუ ხვალ მიმართულია უკვე არა მთხრობელის რეალურ ახლა-და აქ-განზომილებებზე, არამედ ფიგურირების ფიქციურ ახლა — და აქ-ზე — და ამიტომაც ხდება შესაძლებელი მისი დაკავშირება გრამატიკულ იმპერფექტთან:

მაგრამ ახლა დადგა დღე, როცა ამ ბაღის მოლსა და ყვავილნარს... პირველად უნდა ეხილა რაღაც სხვა, გარდა ფოთლების სიმწვანის და ცის სილაყვარდისა...

ეკითხულობთ მე-2 თავის — „ტყის ბილიკის“ დასაწყისში. და აქ ჩვენთვის საინტერესო ტექსტი კიდევ ერთხელ გვაძლევს შესაძლებლობას, ნათლად გავაშუქოთ ფიქციონალური თხრობის კანონი მისი საპირისპირო მოვლენის — სინამდვილისეული გამონათქვამის მეშვეობით. ამ თავის დასაწყისში კიდევ ერთხელ გამოჩნდება მთხრობელის ნამდვილი მე-ორიგო, რომელიც აძევებს, წყვეტს ფიქციას. იგი კვლავ ისე აღწერს პეიზაჟს, როგორცაა ის მის დროს — მისი თხრობის დროს:

მოლდავეთის წყაროებით მდიდარ მხარეს დღესაც ვრცელი ტყეები და ფიჭვნარი აკრავს გარს. ტყის ანკარა ნაკადულს დღესაც მისდევს ბილიკი, რომელიც ველის გავლით მეტყევეების სოფელ პირშბერგენისაკენ მიიკლაკნება... მაშინ კი არც სოფელი იყო და არც გზა, — მხოლოდ ველი და ნაკადული...

ამ ნაწყვეტში, ისევე როგორც დასაწყისში, პრეზენსი და იმპერფექტი თავის ბუნებრივ გრამატიკულ ფუნქციას ასრულებენ — აღნიშნავენ „მოლაპარაკე სუბიექტის“ ახლანდელსა და წარსულს, და ამდენად, დროის ზმნიზებებიც — „დღეს-დღეობით“ და „მაშინ“ — სწორად და

ბუნებრივად უკავშირდებიან თავიანთ დროებს. ხოლო ბოლო წინადადების „იყო“ მხოლოდ იმის გამოა აქ ნამდვილი, სინამდვილის ამსახველი გამონათქვამის იმპერფექტი, რამდენადაც იგი პრეზენსში გამოცემული წინადადების „დღეს-დღეობით“-ს უპირისპირდება, ისევე, როგორც „მაშინ“ ამავე მიზეზის გამო ნამდვილი წარსულისაკენ მიმართული ზმნიზდება.

ჩვენი ტექსტი შესაძლებლობას გვაძლევს, უშუალოდ დავეუბრისპიროთ ერთმანეთს ნამდვილი დღეისდღე და ფიქციური დღეისდღე, ნამდვილი პრეტერიტუმი და არანამდვილი, ფიქციური პრეტერიტუმი; ამ ტექსტის უკვე ზემოთ ციტირებულ წინადადებაში ადგილიდან — „დღეს დადგა ის დღე“ — „დღეს“ პლუსქუამპერფექტს უკავშირდება. ამ წინადადებით გადადის სწორედ დასაწყისის სინამდვილისეული წინადადება წარსული დროის გავლით კვლავ ფიქციონალურ თხრობაში; „დღეს“ აღარაა მიმართული მთხრობელის თვალსაზრისზე, არამედ რომანის მოქმედ პირთა ფიქციურ ახლა-და აქ-განზომილებებზე.

წკრიალა, სასიამოვნო ხმები — გოგონების ხმები აღწევდა ტვერიდან, რასაც ნაზი ზანზალაკების წყვეტილი რეკვა ენაცვლებოდა.

და რომანის ფიქციური სამყარო შემდგომში ისე იშლება, რომ მასში აღარ იჭრება არც რეალური მთხრობელის ორიგო და არც აღწერილობა პრეზენსში (რაც ამ შემოჭრებისთვისაა დამახასიათებელი და რომელსაც ამ მოთხრობაში არასოდეს არა აქვს ისტორიული პრეზენსის მნიშვნელობა); შემდგომში თხრობა პრეტერიტალურ ფორმაში ვითარდება და უკვე აღარ იძლევა „როდის“ — კითხვის დასმის შესაძლებლობას.

მტიფტერის ეს მაგალითი — კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი — იმის გამოა ჩვენი პრობლემისთვის ასე განსაკუთრებულად ხელსაყრელი, რომ თხრობის ეს ფორმა საშუალებას გვაძლევს, ფიქციონალური თხრობის პრეტერიტუმის პრობლემა მის გენეზისშივე ვაჩვენოთ.

ეს ადგილი შეიცავს პარადოქსულ ფენომენს: პრეზენსი გამოხატავს აღწერილი დროისა და ადგილის წარსულობას, მის შემდეგ მდგომი პრეტერიტუმი კი — „თქვა“ — პირიქით, მათ ახლანდებობას; პრეტერიტუმის ეს ფორმა გამოჩენისთანავე აღარ აღიქმება წარსულობის გამოხატველად, პრეტერიტულად აღწერილი პირები და ხდომილებანი „ახლა და აქ“ არიან.

მაგრამ ამით არაფითარ შემთხვევაში არაა ამომწურავად გაშუქებული ეპიკური ან ფიქციონალური პრეტერიტუმის და, ამდენად, ფიქციონალური თხრობის ფენომენოლოგია. აქამდე ჩვენ ვაჩვენეთ, რომ პრეტერიტუმში ჰკარგავს წარსულის ფუნქციას, რისი მიზეზიც ისაა, რომ ეპიკური მოქმედების დრო, ე. ი. თვით ეპიკური მოქმედება, მიმართულია არა რეალურ მეორეგოზე — „მოლაპარაკე“ ანუ გამოწვევამის სუბიექტზე, არამედ რომანის ფიქციურ მეორეგინესებზე. ახლა კი საჭიროა იმისი ნამდვილი მიზეზის აღმოჩენა, თუ რატომ არ განვიცდით ჩვენ ეპიკურ მოქმედებას როგორც წარსულს, თუმცა იგი პრეტერიტუმშია მოთხრობილი.

აღბათ სწორია, რომ პომეროსს ან ნიბელუნგების სიმღერის ავტორს სურდათ მოეთხროთ ამბავი, რომელიც მათი ხალხების გონებაში ცოცხლობდა, როგორც ერთხელ მომხდარი. მაგრამ ვაცხადებთ მეტი დამაჯერებლობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ავტორთ არ სურდათ ამბის გადმოცემა, როგორც ერთხელ მომხდარისა. ამაზე მეტყველებენ ის ზმნები, რომლებსაც ეპიკოსები იყენებენ. ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ გარეგანი და შინაგანი პროცესების ზმნებს. ზმნები, როგორიცაა მიდის, ზის, დგას, იცინის და ა. შ. გარეგანი პროცესებს აღნიშნავენ, რასაც ჩვენ, ასე ვთქვათ, გარეგნულად ვხედავთ იმ ადამიანებზე, რომელთა აღქმა შეგვიძლია. ისინი გამოიყენებიან ყოველგვარი სახის აღწერისათვის, მათ შორის არაეპიკური აღწერისთვისაც. მაგრამ ეპიკოსი ვერასოდეს ვერ გავა ფონს მხოლოდ ამ ზმნებით. მას ესაჭიროება შინაგანი

პროცესების ზმნები, როგორიცაა ფიქრობს, ჰგონია, გულისხმობს, გრძნობს, იმედოვნებს და სხვ. და ეპოსი ისეთივე იყენებს მათ, როგორც ვერ გამოიყენებს გერცერთი მაცნე თუ მოთხრობელი — ვერც ზეპირ და ვერც წერილობით. თუ ჩვენს საკუთარ ფსიქოლოგიურ-ლოგიკურ გამოცდილებას მოვიშველიებთ და გავიხსენებთ, რომ სხვა რეალური პიროვნების შესახებ ვერასოდეს ვერ ვიტყვით: ის ფიქრობდა თუ ფიქრობს, გრძნობდა თუ გრძნობს, ეგონა თუ ჰგონია და ა. შ. — დავინახავთ, რომ მოთხრობაში ამ ზმნების გამოჩენისთანავე პრეტერიტუმში, რომელშიც იგია მოთხრობილი, უაზრო ფორმად იქცევა, თუ მას წარსული დროის ფორმად მივიღებთ. სხვა სიტყვები: ამ ზმნების გამოყენება დამაჯერებელი გნოსეოლოგიური საბუთია საიმისოდ, რომ პრეტერიტუმს ეპოსში არ გააჩნია წარსული დროის ფუნქცია, ისევე, როგორც საამისო გრამატიკული საბუთია დეიქსურ ზმნიზედებთან მისი დაკავშირება (რაც, თავის მხრივ, ცხადია, პირველთაა განპირობებული).

ამასვე შეიძლება შემოკვედავონ, რომ ისეთი ზმნები, როგორიცაა ფიქრობს, ჰგონია, გულისხმობს და სხვ., არაეპიკურ, ისტორიულ წარმოსახვაშიც შეიძლება იყოს გამოყენებული; მაგალითად, შემიძლია ვთქვა: ნაპოლეონი იმედოვნებდა, ან ეგონა, რომ რუსეთს დაიპყრობდა. მაგრამ „ეგონას“ გამოყენება აქ მხოლოდ მეორადია და ასეთ შემთხვევაში მას მხოლოდ ირიბი გადმოცემის მაჩვენებლის დანიშნულება შეიძლება გააჩნდეს. მოღწეული წყაროებიდან გამოტანილია დასკვნა, რომ ნაპოლეონს ეგონა, დაიპყრობდა რუსეთს. ისტორიულ, სინამდვილის ამსახველ ცნობაში კი ვერ იქნება წარმოდგენილი ნაპოლეონი, რომელსაც „ახლა“ და „აქ“ ჰგონია, ე. ი. თავისი შინაგანი პროცესების, თავისი არსებობის მთელი სუბიექტურობით, მეორეგობით; ხოლო თუ ეს მოხდა, ჩვენ ხელთ გვექნება რომანი ნაპოლეონზე, ფიქცია. ეპიკური ფიქცია ერთადერთი გნოსეოლოგიური არეა, სადაც შესაძლებელია პირის მეორეგობა (სუ-

ბიექტურობა) შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც მესამე პირისა. შინაგანი პროცესების ზმნები, რომლებიც საამისოდ დამაჯერებელ საბუთებს იძლევიან, განაპირობებენ ამავე დროს პრეტერიტუმის წარსული დროის ფუნქციის დაკარგვას, თუმცა თვით ეს ზმნები და ფიქციის სხვა ზმნებიც პრეტერიტუმში ღვანან. წარსულის განცდა არ არსებობს, როცა რომელიმე პირის შესახებ ნათქვამია, რომ იგი ასე თუ ისე ფიქრობდა, იმედოვნებდა ან ესა თუ ის თქვა.

ზმნა „თქვა“ განსაკუთრებულ განმარტებას საჭიროებს. მას შუალედური ადგილი უკავია გარეგანი და შინაგანი პროცესების გამომხატველ ზმნებს შორის. ეს ნიშნავს, რომ შინაგანი პროცესი გახმოვანებულია და ამდენად მისი აღქმა შესაძლებელია. მაგრამ მას მაინც სხვაგვარი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა ზმნებს, რომლებიც აღქმად ბგერებს აღნიშნავენ, მაგალითად, მღერის, ყვირის და ა. შ. ზმნა „თქვა“ მიმართულია არა გახმოვანებულის ბგერით მასალაზე, არამედ მის აზრზე. ამიტომ სემანტიკური თვალსაზრისით ის ისეთივე შინაგანი პროცესის ზმნაა, როგორც „ფიქრობს“, „იმედოვნებს“ და სხვა, და მას ზუსტად ისევე ვიყენებთ ირიბ გადმოცემაში, როგორც ამ ზმნებს. სწორედ ამიტომ მათ, რომ ნაფიქრი თუ ნაიმედოვნები ითქმის და გამოიხატება კიდევ, როცა რომელიმე პიროვნების შესახებ ვიტყობინები, რომ მან ესა თუ ის გაიფიქრა, ეგონა, ამასა და იმას იმედოვნებდა. ამ მიზეზით ფიქციაში ზმნა „თქვა“ შინაგანი პროცესების ზმნების ღონეს უერთდება. და რადგან ყველაზე ხშირად გვხვდება პირდაპირ მეტყველებასთან ერთად, რომელსაც იგი წინ უძღვის, ფიქციის ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას იწვევს, მან თქვა — ეპიკურ ფიქციაში ნიშნავს არა იმას, რომ ვიღაც „მთხრობელი“, ირიბ ფორმაში გადმოგვცემს, თუ რა „უთქვამს მას“, არამედ იგი წარმოგვიდგენს მოქმედ პირს, რომელიც ამბობს, ისევე, როგორც შინაგანი პროცესების სხვა ზმნები წარმო-

გვიდგენენ მას მოფიქრალსა თუ მოიმედოვნეს. ამდენად, ამ მოვლენის მნიშვნელობა იმაშია, რომ, თუ ჩვენს მაგალითში ფიქციონალური პრეტერიტუმში/პირველ რიგში „თქვა“ — ზმნასთანაა დაკავშირებული და მისი შემდგომი პარადოქსული მიმართება წარმოიშობა, მაშინ პრეტერიტუმში „გაააწმყოების“ შთაბეჭდილებას აღძრავს. ვიდრე ამ მნიშვნელობის უფრო ღრმა ფენებს მივყვებოდეთ, ფიქციონალური პრეტერიტუმის ხასიათის შემდგომი კვლევა უნდა გავაგრძელოთ.

შინაგანი პროცესების ზმნები და მათ შორის „თქვა“ — ზმნაც, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ პრეტერიტუმის პრეტერიტარული მნიშვნელობის გაქრობაში, მიგვანიშნებენ მხატვრული თხრობის იმ ფენომენზეც, რომელმაც შეიძლება პირველად აგრძნობინა ენისა და ლიტერატურის თეორიას ეპიკური მოქმედების მოჩვენებითი წარსულობის (ან წარსულად გააზრებულობის) პრობლემა: ე. წ. „განცდილი მეტყველება“. მის პრობლემას წარმოადგენდა სწორედ გაუფორმებელი შემეცნების ნაკადის ეს გადმოცემა მესამე პირის იმპერფექტის ფორმაში. მისი გადაწყვეტა იმის გამო არ ხერხდებოდა, რომ შემჩნეული არ იყო განსხვავება სინამდვილის ამსახველ გამონათქვამსა და ფიქციონალურ თხრობას შორის და ამით განპირობებული პრეტერიტუმის მნიშვნელობის შეცვლა. განცდილი მეტყველება კი შინაგანი პროცესების ზმნების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. ამ მოვლენას კიდევ უფრო მკაფიოდ ხსნის ის გარემოება, რომ ფიქციაში რეალური მეორიკო შეცვლილია ფიქციური მეორიკონესით და ისეთი გამოთქმების იმპერფექტის ფორმა, როგორიცაა — „რადიდებული იყო ეს ლურჯი ცა“, ან „ნეტავ ასე რამ შეაცდინა“ — სხვას არაფერს გულისხმობს, თუ არა მათ ფიქციურ „ახლა“-სა და „აქ“-ს.

განცდილი მეტყველება, რომელიც რომანის განვითარების გზაზე ეპიკური თხრობის ფიქციონიზაციის ყველაზე ეფექ-

ტურ საშუალებად იქცა (თუმცა დღეს იგი ყველა საგანზეთა რომანში გამოიყენება), ამჟამად ლიტერატურულ-თეორიული და ლოგიკური თვალსაზრისით უაღრესად ხელსაყრელი საშუალებაა ეპიკური პრეტერიტუმის აპრეტერიტული და, როგორც შემდგომში ვნახავთ, საერთოდ, ატემპორალური ფუნქციის ასახსნელად. ყოველივე ამის ნათელსაყოფად ჩვენს მოსაზრებას შემდეგ სამ ნაწყვეტს დავურთავთ:

ეს უბრალოდ არ შეიძლებოდა სინამდვილე ყოფილიყო — რომ იგი მხოლოდ მასზე ფიქრობდა! მაგრამ რამდენს გაიგებდა იგი? უკვე სამ წუთში ხომ არ დაკარგავდა? და ეს უნდა გაეხედა, ვინ თხოვლობდა ამას მისგან, ვის შეეძლო ეს მოეთხოვა?

(ელზარდ შაპერი: უკანასკნელი ადვენტი)

ხელი უშვა მის ხელს. მათი ქორწინების აღსასრული დადგა, ფიქრობდა ალელვებული და თან შემსუბუქებული. ჯაჭვი გაწყდა; ის ამალღდა, ის თავისუფალი იყო, როგორც გადაწყდა, რომ ის, სეპტიმუსი, ყველაში გამორჩეული, თავისუფალი უნდა ყოფილიყო; მხოლოდ... ის, სეპტიმუსი მარტო იყო...

(ვირჯინია ვულფი: მისის დელოვეი)

და მან გულში მშობლიური ეკლესიის სამრეკლო იმ კოშკს შეადარა, მალლობზე რომ იდგა. ის კოშკი, უყოყმანოდ, პირდაპირ ზევითკენ რომ მიემართება, ფართოსასურავიანი, წითელი კრამიტებით დაბოლოებული, მიწიერი ნაგებობა — სხვა რისი აგება შეგვიძლია ჩვენ?.. მალლობზე გადმომდგარი ეს კოშკი კი, რომლის გარდა გარშემო არაფერი ჩანდა, რამდენადაც ახლა შეიძლებოდა შეტყობა, საცხოვრებელი სახლის კოშკი იყო, ალბათ მთავარი სასახლის კოშკი, თანაბარი წრიული ნაგებობა პატარა სარკმლებით, რომლებიც ახლა მზეზე ელავდნენ — ამაში იყო რაღაც არაბუნებრივი — და სოლარიუმი-სებური ბორდიურით.

(ფრანც კაფკა: ციხე-კოშკი)

ფიქციის სტრუქტურის შესწავლის საქმეს ვერაფერს შევმატებთ, თუ იმპერფექტის თავდაპირველ გრამატიკულ მნიშვნელობას მორჩილად ჩავეუქილებით და თხრობის ასეთი ჩვეულებრივი ფორმის პირობებშიც ვერ დავძლევთ ეპიკურ მოქმედების აღქმას, როგორც წარსული ან გახსენებული მოქმედებისას. ამასთან დაკავშირებით საჭიროა კრიტიკულად განვიხილოთ „გახსენების“ ცნება, რომელიც ბოლო დროს შემოვიდა მხატვრული თხრობის თეორიაში. ამერიკელი ფილოსოფოსის სუსანე ლანგერის მნიშვნელოვან ნაშრომში ხელოვნების თეორიის საკითხებზე — „გრძობა და ფორმა“ — ნათქვამია, რომ მხატვრული თხრობის მიზანია არა იმის შესახებ ინფორმირება, თუ რა და როდის მოხდა, არამედ „ილუზიის შექმნა წარსულის საგნებზე, განვლილ და განცდილ მოვლენათა მოჩვენება, მსგავსად აბსტრაქტული და დასრულებული მეხსიერებისა“. მაგრამ აღწერს კი ცნებათა ეს რთული კომპლექსი იმ ფენომენს, რომლის შესახებაც ვლადიმერაკობთ? შეესაბამება იგი კითხვისეულ განცდას და, როგორც ალბათ უბრალოდ შეგვიძლია დავამტკიცოთ, ავტორის კონცეფციის განცდას? რა არის გახსენების განცდა მისი აუტოხთონური მნიშვნელობით? გახსენება პირველადი სახით დაკავშირებულია მხოლოდ საკუთრივ განცდილთან. მხოლოდ ჩემი საკუთარი წარსულის მოგონება შემიძლია. რეალური მესამე პირის წარსულის შესახებ კი, რომელიც მე მასთან ერთად არ განმიცდია, შემიძლია მხოლოდ ირიბად შევიტყო, ცნობად მივილო, ისევე, როგორც ისტორიული, ჩემს ცხოვრებამდელი წარსული. „ისტორიული შემეცნება“ — მეხსიერებად რომ ყალიბდება, როგორც ს. ლანგერი ფიქრობს, — მეტაფორაა, რომელიც ცხოვრების შესაძლებელ განცდას გამოხატავს, ისტორიის განცდის ერთ-ერთ შესაძლებელ გაგებას წარმოადგენს. მაგრამ ასეთი გაგება მცდარი იქნება, თუ მას „წარსული დროის“ საფუძველზე რომანის მიმართ გა-

მოვიყენებთ. ეს თავს იჩენს სწორედ რთულ ცნებაში, რომელიც ამჯერად აღარ შეესაბამება არც საგნობრივსა და არც განცდილულ ფენომენს. იგი შედგენილია ს. ლანგერის განსაზღვრის შესაბამისად, რომლის მიხედვით მხატვრული პროზა ქმნის არა უბრალოდ ცხოვრების, არამედ განვლილი ცხოვრების ანარეკლს. ალბათ სწორია, თუმცა ტავტოლოგიურიც, რომ ფიქცია ცხოვრების ილუზიას ქმნის, რის გამოც არისტოტელემ მას მიმეზისი უწოდა. მაგრამ არასწორია ილუზიურობის (ანარეკლურობის) წარსულთან დაკავშირება. ანარეკლად შეიძლება მხოლოდ ისეთი რამ დავსახოთ, რაც კონკრეტულია, საკანია, ან რაც რაიმე საგნობრივზე (პირებზე, საგნებზე) ასე თუ ისე გამოვლენილ შემოქმედებას წარმოადგენს. ცხოვრება ანარეკლის სახით შეიძლება წარმოდგენილ იქნას თამაშში, ხელოვნებაში; მაგრამ წარსული ცხოვრება არ შეიძლება წარსულის სახითვე ვარდაიქმნას ანარეკლად, რადგან წარსულობა აღქმას არ ემორჩილება. ესაა ცნებითი, თარიღებით დასაზღვრული, ცოდნაზე დაფუძნებული ფენომენი. ვთქვათ მუხეუმში წარსული ეპოქის საგნებს ვხედავთ: ავეჯს, კოსტუმებს, იარაღს — ჩვენ მათ მხოლოდ ჩვენი ცოდნიდან გამომდინარე ვუკავშირებთ ისტორიულობის ცნებას, რასაც მართავს და აზუსტებს დროისა და ადგილის მონაცემები. ხოლო როცა ასეთ საგნებს ტილოზე ვხედავთ, თითქმის მთლიანად ქრება იმის შეგნება, რომ ისინი წარსულ ეპოქას ეკუთვნიან, და განვიცდით მათ, როგორც საგნების ანარეკლს ხელოვნებაში, რომლებიც დროის გარეშე დგანან. თუმცა ს. ლანგერი ცდილობს აბსტრაქტული, ილუზორული წარსულის ცნებით ხაზი გაუსვას, რომ ლაბარაკია არა „ნამდვილ“ წარსულზე, იგი ვერ ამჩნევს, რომ ამით წარსულის ცნება საერთოდ ბათილდება ან მცირდება. როცა ფიქცია (არა მხოლოდ ეპიკური, არამედ დრამატული და ეკრანულიც) ცხოვრების ანარეკლს ქმნის, იგი მას გამოსტაცებს წარსულს, გამოსტაცებს

დროს და, ამდენად, სინამდვილეს საერთოდ.

ჩვენ შევჩერდით ლანგერის თეორიაზე განცდილი მეტყველების ფორმის გათვალისწინებით, რადგან მისი კონსტრუქციის დასამტკიცებლად სწორედ ეს საკითხია ყველაზე შესაფერისი. თხრობის სხვა ფორმათაგან იგი ყველაზე აშკარად მიგვიითითებს იმ პრინციპულ შეცდომაზე, რომელიც დამახასიათებელია ეპიკური შემოქმედების ყველა თეორიისა და განსაკუთრებით ეპიკური წარსული დროის თეორიისათვის — იმ მოკლენის გაუთვალისწინებლობაზე, რომელიც ეპიკურ შემოქმედებას ეპიკურობას ანიჭებს; ფიქციური პირები, „მოქმედ პირთა მიმეზისი“, რაც მხოლოდ არისტოტელემ სცნო ცენტრალურ ფენომენად, და კიდევ უფრო მეტად გააკვირვებდა მას ამ ფაქტის უგულებელყოფა თავის თანამედროეთაგანაც კი, განცდილი მეტყველება რომ სცნობოდა. რადგან თავისი გრამატიკული პარადოქსით მხოლოდ იგი (განცდილი მეტყველება) ამიშვლებს მთლიანად დროთა იმ პარადოქსულ კანონს, რომელიც მასში თითქოსდა „ბუნებრივი აუცილებლობით“ მოქმედებს; ამიტომაც მისი ერთადერთი გრამატიკული ადგილი მხატვრული თხრობაა. „ვინ მოითხოვდა ამას მისგან, ვის შეეძლო ამის მოთხოვნა?“ — „მას შემდეგ, რაც მან მიატოვა, ის, სეპტიმუსი მარტო იყო“ — „მალლობზე გადმომდგარი ეს კოშკი კი, რომლის გარდა გარშემო არაფერი ჩანდა — ...ამაში იყო რადაც არაბუნებრივი“, — ამ ზმნების იმპერფექტი, შესაბამისად პლუსკუამპერფექტი ისშობა, მნიშვნელობას ჰკარგავს. რელევანტურია მხოლოდ თვით ზმნის მნიშვნელობა, რომელიც ვადმოკვებებს იმ ფიქრსა თუ განცდას, მოქმედ პირებში რომ მიმდინარეობს ფიქციური არსებობის ამ ფიქციურ მომენტში. „...ის, სეპტიმუსი, მარტო იყო“ — კითხვისას გვიჩნდება განცდა, რომ ის „მაშინ“ კი არ იყო მარტო (ან კი მართლაც როდის?), არამედ, იგი მარტოა თავის საბრალოდ, დამსხვრეულ სულთან თავისი ცხოვრების ამ წამ-

ში. სწორედ რომანისეული სახე, ფიქციური პერსონაჟია ის ძალა, რომელიც აღწერითი ზმნების იმპერფექტის მნიშვნელობას არარაობად აქცევს. თხრობის სხვა ფორმათაგან ყველაზე მკაფიოდ და ხელნეხსახებად ამას განცდილი მეტყველება ამტკიცებს: რადგან იგი „დიאלოგისა და მონოლოგისაგან განსხვავებით, რომლებსაც თავისთავად იგივე ფუნქცია აკისრიათ — გადმოცემის ეპიკური ფორმისა და, ამდენად, პრეტერიტუმის შენარჩუნებით, ყველაზე ადეკვატური საშუალებაა (შემოხვევითი როდია მისი პოპულარობა), წარმოადგინოს სახეები მათ მეორიგინობაში. განცდილი მეტყველება უშუალო: სიცხადით ათვალსაზრისებს იმ ლოგიკურ-სემანტიკურ პროცესს, რომელიც პრეტერიტუმში წარსული დროის ფუნქციის ჩაქრობის მიზნით: დროულ-სიერცობრივ მიმართებათა, ე. ი. სინამდვილის მიმართებათა სისტემის გადაადგილება ფიქციურ სისტემაში, ნამდვილი მეორიგინოს შეცვლა (როგორც მას სინამდვილის ამსახველი ამბის ყველა მთხრობელი წარმოიდგენს) პერსონაჟთა ფიქციური მეორიგინესებით. თუ როგორ უნდა აიხსნას ლოგიკურად ფიქციის „მთხრობელი“ (რომელსაც გააზრახ ყველა ბრჭყალებში ესვამთ), პრინციპული საკითხია არა მარტო ეპიკური ფიქციის, არამედ საერთოდ მხატვრული შემოქმედების სისტემის გასაშუქებლად და ამ კითხვას მომდევნო მონაკვეთში უნდა გავცეთ პასუხი. რამეთუ ეს პასუხი მხოლოდ მაშინ იქნება ბოლომდე გააზრებული, როცა შეძლებისდაგვარად გაირკვევა ის ლოგიკური და ენობრივი პროცესები, რომლებიც ეპიკურ ფიქციაში მიმდინარეობს.

დავუბრუნდეთ ჩვენს თავდაპირველ მაგალითს „იურგ იენაჩი“-დან. ფიქციონალური თხრობის ჩვენეული ანალიზი, რომელიც დროებით ჩამოშორდა მას, პასუხობს კითხვაზე, თუ წმინდა ლოგიკური თვალსაზრისით მთხრობის ფიქციონალობას რატომ აცლენს მხოლოდ წინადადება „შეუყოვნებლად ამოიღო ტყავის საქალაღდე“, რის გამოც ჩვენ პრეტერიტულად

აღწერილ მოქმედებას განვიცდით არა როგორც წარსულს, ან რაც იგივეა, არა როგორც ხამდვილს, არამედ როგორც ფიქციურად „ახლანდელს“, ე. ი. არა-ნამდვილს. ეს იმიტომ, რომ რომანის დასაწყისის ყველა წინამდებარე წინადადება ისეთი ზმნებითაა აგებული, რომელთაც შეეძლოთ ეს აღწერა სინამდვილისეულ ამბად, უშუალო მხილველის გადმოცემად წარმოეჩინათ. წმინდა როხუსის დღესასწაულის აღწერა გოეთეს ნაწარმოებიდან „რაინზე, მაინსა და ნეკარზე“:

გორმასსა და ბუჩქნარში, ხშირ ჯავნარში აღუღვებული ბრბო ირევა, ისმის ყვირილი: შეჩერდიო! აგერ! აქ!.. ერთი სწარტი, ჯანდონიანი ყმაწვილი წინ გამოარბის, რომ კარგად დაანასოს ხალხს გასისხლიანებული მაჩვი...

სტრუქტურულად არ განსხვავდება იმ ხერხისაგან, რომლითაც „იურგ იენაჩის“ დასაწყისში მოქმედი პირებია შემოყვანილი: უცებ შორიდან ძაღლის ყეფა მოისმა. ძაღლა მთის ფერდზე... ბურგამასელი მწყემსი შუადღის ძილს მისცემოდა, ახლა წამოხტა... ბოლოს მგზავრი გამოჩნდა...

მხოლოდ რამდენიმე წინადადების შემდეგ მდგომი წინადადება — „შეუყოვნებლად ამოიღო...“ ცვლის ნაწყვეტის სტრუქტურას, რომელიც აქამდე გარეგანი პროცესების ზმნებითაა აგებული და ისევე ნაკლებად განსხვავდება სინამდვილისეული ცნობისაგან, როგორც გოეთეს მოგზაურობის აღწერა ან რილკეს წერილი. ყველაფერი, რაც აქაა ნათქვამი, შესაძლებელია გამოხატულების სუბიექტის განცდა-აქტის არეში იყოს მოქცეული. და რაც არ უნდა უხილავი იყოს ის ზღვარი, რომელიც აქ გადის (მოგვიანებით ამას უფრო ნათლად ვნახავთ), იგი ენობრივ სფეროებს კატეგორიალურად ჰყოფს ერთმანეთისაგან ისე, რომ ერთადერთი სიტყვის — „შეუყოვნებლად“ — გარეშე — შეუყოვნებლად ამოიღო თავისი ტყავის საქალაღდე — ამ წინადადების შინაარსიც აღქმის სფეროსათვის შეგვეძლო მიგვეკუთვნებინა. სწრაფად აკეთებს ეინმე რაიმეს თუ ხელა, ამისი დადგენა დაკვირვებით

შეიძლება. მაგრამ სწრაფად აზროვნებს იგი ამ დროს თუ ნელა — სცილდება დაკვირვების ფარგლებს და ამის გამო ამ წინადადებაში კონტექსტიდან მოწყვეტილია კი ფიქციონალური, რომანის წინადადებას შევიცნობთ. ეს კი ნიშნავს, — რასაც კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი — რომ ამ თხრობით ნაწარმოებში მთხრობელი ავტორის წარსულში კი არ ვიმყოფებით, არამედ ბატონი ვახასა და დანარჩენ მოქმედ პირთა „აწმყოში“. „ხუთნახევარი ფუტი, ჩაილაპარაკა თავისთვის“. „აქ რას საქმიანობთ, ჯამშუშობთ?“ გაისმა მის გვერდით მძლავრი ბოხი ხმა... და ა. შ. უფრო ზუსტად თუ ჩამოვყალიბებთ, ეს არის „აწმყო“, რომელიც მიუხედავად „ამოიღო, თქვა, გაისმა“ — ზმნების იმპერფექტისა, არ დვას მთხრობელი ავტორის წარსულში, ისევე, როგორც რილკეს მარხილით მოგზაურ...-მა წერილში, ან წმინდა როხუსის დღესასწაული გოეთეს მოგზაურობის აწმყრაში, მიუხედავად აქ გამოყენებული ნამდვილი ისტორიული პრეზენსისა, ავტორის წარსულში ხდება.

მხატვრული სიტყვის ხელოვნება, როგორც ერთხელ შილერმა მიუგო გოეთეს, ეპიკოსი ავტორისაგან მომხდარის გააწმყოებას მოითხოვს. „გააწმყოების“ ცნებას შილერი აქ გერმანული „აწმყოს“ ცნების იმ გაგებით იყენებს, რომლის ძალითაც იგი დროის მნიშვნელობის თვალსაზრისით წარსულს უპირისპირდება, რომლის გარშემოც ტრიალებდა ორი მწერლის დისკუსია, და რასაც შილერი გამოხატავს კიდევ მიმდევობის ფორმით — „მომხდარი“. როგორც გერმანულ, ასევე რომანულ ცნებაში — „représenter, représentation“ — შემავალი ტემპორალური მნიშვნელობა გამოყენებისას ყოველთვის როდია წინ წამოწეული დომინანტის სახით. ე. ი. წარსულთან დაპირისპირებულობა აქ უფერულდება იმ წარმოდგენის მნიშვნელობის მიღმა, რომელიც გერმანულ სიტყვას ამავე დროს უფრო მეტად აკავშირებს თვალსაზრისით წარმოდგენის მნიშვნელობასთან, ვიდრე რომანულს. გააწმყოების ცნების მნიშვნელობის ეს ანალიზი საყურადღებოა

როგორც ფიქციონალური თხრობის პრობლემატიკისათვის, ასევე, პრეტერიტუმის ფენომენოლოგიასთან მჭიდრო კავშირის ძალით, ისტორიული პრეზენსისთვისაც.

რათა ხათლად ჩანდეს რომანში მოთხრობილ მოქმედებას წარსულად არ განვიცდით, ჩვენ იგი აღვნიშნეთ როგორც ფიქციური აწმყო და გარკვეული მოსახრებით რამდენსამე ადგილას „აწმყოების“ ცნება ბრწყალებშიც ჩავსვით. ეს იმიტომ, რომ აქ ვაწყდებით ისეთ მიმართულებებს, რომლებიც უფრო დაწვრილებით გამოკვლევას საჭიროებენ. თუ სწორია, რომ თხრობის პრეტერიტული ფორმა არ ნიშნავს მოთხრობილი მოვლენებისა და მოქმედი პირების წარსულობას, ან წარსულად გააზრებულობას, გვაქვს თუ არა ამ შემთხვევაში იმის უფლება, რომ მათ აწმყო, თუნდაც ფიქციური აწმყო ვუწოდოთ? როცა ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ რომანის წინადადება — „ბატონი X სამოგზაუროდ იყო“ — არ ნიშნავს, თითქოს იგი ერთხელ, ამა და ამ დროს იყო, არამედ ნიშნავს, რომ იგი არის სამოგზაუროდ — აქვს თუ არა აქ პრეზენსს ტემპორალური პრეზენსის მნიშვნელობა ზუსტი გაგებით? თუ ამ კითხვას რაიმე დამატებითი შენიშვნის გარეშე დადებითად ვუპასუხებთ, უთუოდ ლოგიკურ შეცდომას დავუშვებთ, რომელიც ეპიკური პრეტერიტუმის მთელ ფენომენოლოგიას კვლავ ეჭვქვეშ დააყენებდა, ხაზსაც კი გადაუსვამდა მას. თვით იმის მტკიცებაც, რომ თხრობის პრეტერიტუმი დეიქსურ ზმნიშვნელობაში შეიძლება იყოს დაკავშირებული, ჯერ კიდევ არ არის გადამწყვეტი საბუთი საიმიხოდ, რომ გრამატიკული პრეტერიტუმი გრამატიკული პრეზენსის მნიშვნელობას იძენს. რომელია ის ლოგიკური, არც თუ ადვილად მოსახელთებელი „შეცდომა“, რომელსაც ამით ჩავიდენდით? ჩვენ მოგვიხდებოდა მოქმედება ორ სხვადასხვა შემეცნებით-მეცნიერულ დონეზე. რომანის მოქმედ პირთა ფიქციურ აწმყოს არაწარსულობის განცდას ვერ გავუტოლებთ. ე. ი. „ფიქციური აწმყოთი“ აღნიშნულ დროის მოცემულ მომენტს ვერ

შევიყვანთ რომანის მოქმედების განცდაში, რომელიც საერთოდ არავითარ მიმართებაში არაა მკითხველის (და ავტორის) დროის განცდასთან. რომანის მოქმედება რომ წარსულად არ განიცდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ჩვენს მიერ აწმყოდ განიცდება. რადგან, წარსულის განცდას, როგორც ასეთს, აზრი აქვს მხოლოდ აწმყოსა და მომავლის განცდასთან მიმართებაში, და ეს სხვას არას ნიშნავს, თუ არა იმას, რომ აწმყოს განცდა, ისევე, როგორც წარსულისა და მომავლის, სინამდვილის განცდაა. ფიქციონალურ პრეტერიტუმს, ცხადია, წარსულის განცდის აღმძრავი ფუნქცია არ აკისრია, მაგრამ არც მხოლოდ ფიქციური აწმყოს განცდის აღძვრისა: ფიქციონალური თხრობის არატემპორალური „იყო“ სრულიად არ ნიშნავს ტემპორალურ „არის“. „ფიქციური აწმყო“ ცნება თავისთავად ლოგიკურად ისევე ნაკლოვანია, როგორც ზემოთ გაკრიტიკებული „virtual past“. მას აზრი აქვს მხოლოდ „ფიქციური წარსულისა“ და „ფიქციური მომავლის“ ცნებებთან დაპირისპირებაში. ეს კი ნიშნავს, რომ იგი დროის ფიქციურ სისტემას ეკუთვნის, რომელიც მხატვრულ თხრობის პროცესში შეიძლება შეიქმნას, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი შემადგენელი ნაწილი იმ გასაფორმებელი მასალისა, რომელსაც სინამდვილე მთელი თავისი მრავალფეროვნებით აწვდის მხატვრულ შემოქმედებას. რომანის მოქმედ პირთა ფიქციური დრო — აწმყო, წარსული თუ მომავალი — მხოლოდ მაშინ იქცევა განცდად, როცა იგი გაფორმებულია, თხრობით-წარმოსახვითი საშუალებებითაა შემუშავებული; ისევე, როგორც სივრცე მხოლოდ მაშინ გამოჩნდება რომანში, როცა იგი მოთხრობილია. დროის მომენტის ნებისმიერი მოხსენიება თხრობით (მაგრამ აგრეთვე დრამატულ) მხატვრულ ქმნილებაში არ შეიძლება აღინიშნოს, როგორც „დროის გაფორმება“. მოვლენები, მოქმედება, ცხოვრება, ცხადია, დროში მიმდინარეობს, დროის მონაცემები მოქმედების მსვლელობასთან ერთად აკედდება, მაგრამ ამის გამო ისინი

არ საჭიროებენ უფრო მეტ მნიშვნელობას ან თემატურობას, ვიდრე, მაგალითად, მიმართულების აღნიშვნა სივრცისათვის. ფიქციური აწმყო მინიშნებულია დროის დეიქსური ზმნიზებებით — დღეს, ხვალ, ისევე, როგორც ფიქციური წარსული — წარსულის, ფიქციური მომავალი კი — მომავლის ზმნიზებებით, ან გამოსახვის სხვა საშუალებებით. მაგრამ მხატვრული პროზის დიდ ნაწილში (ეს ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია) ფიქციური დრო არაა მინიშნებული. „გააწმყოება“ ეპიკური სახეების ტემპორალურ აწმყოზე, წარსულსა თუ მომავალზე დაყრდნობის გარეშე ხდება. თუმცა აშკარაა, რომ კრიმპილდეს შურისგება მის ცხოვრებაში უფრო „გვიანდელია“, ვიდრე მისი ვნება, „ნიბელუნგების სიმღერაში“ არაა მოთხრობილი ის დრო, რომელიც სინამდვილის მასშტაბის მიხედვით ვნებასა და შურისგებას შორის უნდა იყოს ჩავლილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოეტი ააწმყოებს ვნებასა და შურისგებას. ნაწარმოების შესაბამის მონაკვეთში ისინი „ახლა და აქ“ ხდება. ჩვენ მის ცხოვრებას ახლა და აქ განვიცდით და არა მაშინ და იქ. და როცა ნაწარმოების ბოლოს მას ძმებზე ვანდალივით ვამძვინვარებულს ვხედავთ, არ ვამბობთ, რომ ის ახლა სხვაა, ვიდრე ერთ დროს იყო. რადგან კრიმპილდე კი არ იყო, არამედ მუდამ არის. თუ ჩვენ მის სულიერ განვითარებას ავსახავთ ისე, როგორც ეს ავტორსა აქვს მოცემული, ამ ასახვაში ვერ შევიყვანთ სინამდვილის მასშტაბით გავლილად გასაახრებელ დროს, როგორც შემოქმედებით ფაქტორს. ამის უფლება მხოლოდ მაშინ გვექნება, თუ მწერალი შევწებულად იყენებს დროს, როგორც შემოქმედებით აზრობრივ ფაქტორს, როგორც ეს თანამედროვე ეპოსში ვირჯინია ვულფის, ჯოისის, თომას მანისა და სხვათა ნაწარმოებებში ხდება.

ამრიგად, თხრობით მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედება ახლა და აქ, გააწმყოებულად მიმდინარეობს და არ არის აუცილებელი, რომ ამ „ახლას“, ამ გააწმყოებას, ტემპორალური აწმყო მნიშვნე-

ნელობა ჰქონდეს, თუმცა შეუძლია მიიღოს იგი ფიქციურად და ადვილადაც მაგრამ თუ მხატვრული სიტყვის ხელოვნება ეპიკოსი მწერლისაგან გააწმყოებას მოითხოვს (როგორც შილერის ფიქრობდა კოეთესაგან განსხვავებით და მის გარდაკიდევ მრავალი იყო ამ აზრისა), ეს ცნება მცდარი იქნება, თუ შილერივით ვიგულისხმებთ, რომ „მომხდარი“ წარსულის გააწმყოება უნდა მოხდეს თხრობითი მხატვრული შემოქმედების პრეტერიტუმს მხოლოდ იმიტომ აღარ გააჩნია წარსულის ფუნქცია, რომ მხატვრული შემოქმედება გააწმყოებას ახდენს არა ტემპორალური გაგებით. გააწმყოების ცნება თავისი ორპროსტების გამო არა მარტო უსუსტოა, არამედ ფიქციონალური, მინეტური შემოქმედების სტრუქტურის აღსანიშნავად იგი ნაკლოვანი და მცდარიცაა. იგი აქ ნიშნავს ფიქციონალიზაციას. და ამასთან, წინააღმდეგობაში არ ჩავვარდებით, თუ ამის მიუხედავად ვიტყვი, რომ რომანის მოქმედება „ახლა“ და „აქ“ ხდება, და სწორედ ამით მივანიშნებთ, რომ იგი წარსულად არ განიცდება. რადგან „ახლა და აქ“ — და ამით იკვრება პრეტერიტუმის უფუნქციობის მტკაცების წრე — შემეცნებითი და აგრეთვე ენის თეორიის თვალსაზრისით ნიშნავს ნულოვან პუნქტს სინამდვილის სისტემისა, რომელიც დროისა და სივრცის კოორდინატებით განისაზღვრება. ეს ნიშნავს მე-ორიგოს, რომელთან მიმართებაშიც „ახლა“-ს არავითარი უპირატესობა არ გააჩნია „აქ“-ის წინაშე და, პირიქით, არამედ სამივე ეს განსაზღვრა განცდის წარმოქმნის პუნქტს აღნიშნავს. რომანში აღწერილ მოქმედებას დღის, გარკვეული თარიღის და, საერთოდ, დროის, „აწმყოს“ მოუცემლად — (ტემპორალური მნიშვნელობით არა პუნქტუალური, არამედ ნებისმიერად, სუბიექტურად აღქმის კვალობაზე გამდილი „აწმყოსი“) — ადვილად როგორც „ახლა და აქ“, როგორც ფიქციური (არისტოტელეს სიტყვებით — მოქმედი) ადამიანების განცდას, ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ

არა იმას, რომ ამ ადამიანებს მათ ფიქციურ მე-ორიგოსობაში ადვილად და მათზე ახლა ისევე მიმართული დროის ყველა შესაძლებელი მომენტში, როგორც ნებისმიერი სხვა მომენტში, ამათ იაიცაა ნაკლებად, როგორც პრეტერიტუმის მიერ წარსულის გამომხატველი ფუნქციის დაკარგვა არ ნიშნავს აწმყოს ფუნქციის შექმნას. თუნდაც რომანის წინადადება — „შუადღის მზე დასცქეროდა იულიუსის უღელტეხილის შიშველ მწვერვალებს“ — გვამცნობდეს, რომ შუადღის მზე „დასცქერის“ იულიუსის უღელტეხილს, რადგან ფიქციურ მოქმედ პირთა სცენაზე შევდგით ფენი, ამ პრეზენტულ ფორმას ისევე ნაკლებად ექნებოდა პრეზენტული მნიშვნელობა, როგორც პრეტერიტალურ ფორმას — ტემპორალურად პრეტერიტალური. ასეთი პრეზენტული მნიშვნელობა სხვა არა არის რა, თუ არა ის მნიშვნელობა, რააც ტილო აქ ქანდაკება გადმოგვცემს — აქ-ყოფნის, მარად ყოფნის მნიშვნელობა, გაქვავებული „ახლა და აქ“, გერმანული „gegenwart“-ისა და რომანული „reprasentere“ ცნების ძირითადი არსი, რომლის მიმართ ტემპორალური მნიშვნელობა მეორადი და წარმოებულია. „ახლა“ დამოკიდებულია „აქ“-ზე, და არა „აქ“ — „ახლა“-ზე.

ფიქციონალიზაცია, ფიქციურ მოქმედ პირთა ახლა და აქ წარმოდგენილი ხდომილება აცამტვერებს დროის ფორმის იმ ტემპორალურ მნიშვნელობას, რომელშიც მოთხრობილია ეპოსი — გრამატიკული იმპერფექტის პრეტერიტალურ მნიშვნელობას, მაგრამ ასევე ისტორიული პრეზენსის პრეზენტულ მნიშვნელობასაც. თუმცა დროის ეს პრობლემატური და საკამათო ფორმა შემოთ სისტემურადაა ახსნილი და განმარტებული, აქ მაინც უნდა ჩავრთოთ მისი უსუსტი აღწერილობა, კერძოდ, კრიტიკული მიზნით, რათა დავამტკიცოთ იმ ფუნქციის აბსურდულობა, რომელსაც მას პოეტები და ინტერპრეტატორები მიაწერენ ხოლმე. ამრიგად ჩვენ მხატვრული

სიტყვის ლოგიკის ერთ-ერთ ისეთ წერტილში ვიმყოფებით, სადაც ესთეტიკური საკითხებიც უნდა გადაწყდეს.

ისტორიული პრეზენსი თითქმის ყოველთვის იყო თხრობის გააწმყოების თეორიის მთავარი საყრდენი. მაგრამ მისი დასასიათება ერთგვარად გააბუნდოვანა იმ გარემოებამ, რომ ერთმანეთისაგან არ განუსხვავებიათ მისი გამოყენება პირველი პირით გადმოცემულ ზეპირსა და წერილობით თხრობაში, ისტორიულ დოკუმენტებსა (შესაბამისად გადმოცემებსა) და ეპოსში, რაც იმის ბრალია, რომ ენათმეცნიერებამ და გრამატიკამ დროის ფორმებისა და ნაცვალსახელთა გამოკვლევას საფუძვლად დაუდო თხრობის ერთმნიშვნელოვანი ცნება. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველგან და ყოველთვის მისი ახსნისას გადამწყვეტი იყო წარსულთან მიმართება. მთხრობელი, როგორც ესპერსენი ამბობს, „გადის“ რა ისტორიის ჩარჩოებიდან, ისე წარმოიდგენს და წარმოსახავს წარსულში მომხდარს, თითქოს ეს აწმყოში მის თვალწინ ხდებოდეს. ამასთან საქმის ვითარებაზე არავითარ გავლენას არ ახდენს, „მოქმედებას გადმოვიტანთ აწმყოში,“ თუ „ჩვენ გადავინაცვლებთ წარსულში“. ისტორიული პრეზენსის გამააწმყოებელი ფუნქციის უფრო ზუსტი და, ჩემის აზრით, ნამდვილად გადამწყვეტი, ფენომენის მთელი არსის მომცველი დასაბუთება მოცემულია ვუნდერლიჰ-რაისის ნაშრომში, სადაც ისტორიული პრეზენსის წარმოშობა ახსნილია ცოცხლად მოთხრობილი ავტოთავგადასავლებით, როცა მთხრობელს განვლილი ამბები „კვლავ ახლანდელ განცდებად ეჩვენება“. თავი დავანებოთ იმაზე მსჯელობას, თუ რამდენად მყარია ეს ახსნა ენის ისტორიის თვალსაზრისით. ენის ფსიქოლოგიის კუთხით მხოლოდ იგი ვანმარტავს გააწმყოების განცდას, რასაც მთხრობელი და მსმენელი განვლილი ამბების პრეზენსული აღწერით ეზიარებიან. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს მხოლოდ საკუთარი განცდის ამსახველ დოკუმენტებში, ე. ი. ყოველგვარი სახის ავტობიო-

გრაფიულ გადმოცემაში. საამისოდ კარგი მაგალითია გერპარტ ჰაუბტმანის მოგზაურობის აღწერა „საბურძნეთის გაზაფხული“ (1907). იგი მთლიანად პრეზენსშია მოთხრობილი, ისე რომ არა მარტო მდგომარეობის აღწერები არამედ მოგზაურობის ყოველი ნაბიჯი იმ წამზეა დაყვანილი, როცა იგი ხდებოდა, ყოველივე ფილმისებურადაა რეპროდუცირებული:

მოსახვევს ვუახლოვდებით. გზა რკალისებურად მიემართება ეანგისფერ კლდოვან კედლებს შორის... ნელა მივამიჯვრებით თეთრ შარაზე. მყუდროებას ვურღვევთ მტკაველნახევარი სიგრძის მწვანე ხელიკს, გზაზე... რომ გადადის. წინ გვხვდება პატარა სახეღარი, რომელსაც ზურგზე კურდღლის ცოცხას მთელი მთა ადგას...

ეს აღწერა პირველ პირშია გადმოცემული, რაც განაპირობებს იმ გარემოებას, რომ პრეზენსი, მიუხედავად მისი უდაოდ გამააწმყოებელი შემოქმედებისა, წარსულისადმი მიმართებას ინარჩუნებს. დიას, ავტობიოგრაფიული გადმოცემა თხრობის ერთადერთი სახეა, სადაც წარსულის შეგნება სწორედ იმის გამოა შენარჩუნებული, რომ პრეზენსი აქ ახდენს გააწმყოებას ამ ცნების ჭეშმარიტი გაგებით. რაკი მთხრობელი ამ პროცესებს მოგზაურობის დროს ვერ ჩაიწერდა, პრეზენსის ისტორიული ხასიათი შეაფიოდ იკვეთება — ჩვენ ვიცით, რომ ეს მოგზაურობა დიდი თუ ცოტა ხნის წინათაა მომხდარი. მაგრამ, რაც შეეხება ავტობიოგრაფიული აღწერისათვის დამახასიათებელი წარსულის გაცნობიერებას, მხოლოდ პრეზენსის გამოყენება ვერ გამოიწვევს სხვა შემოქმედებას, თუ იგი პრეტერიტუმს არ ენაცვლება. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ჩვენს მიერ უკვე მოხმობილ გოეთეს წმინდა როხუსის დღესასწაულის აღწერაში, სადაც პრეზენსისა და პრეტერიტუმის მონაცვლეობა ისეთი განურჩეველია — „პროცესია აღმართს მიუყვება“... „წითელი აბრეშუმის ბალდახინი ამოტივტივდა,“ — რომ ამ ორი დროიდან არც

ერთს არ გააჩნია გამაცოცხლებელი უპირატესობა მეორის წინაშე, მაგრამ ამასთანავე არ იკარგება იმის შეგნება, რომ მოგზაურობის ეს განცდა მას შემდეგაა ჩაწერილი, რაც ეს მოგზაურობა მოხდა. რადგან აქ აღწერილი პროცესები წარმოდგენილია როგორც თვითგანცდა, ე. ი. პირველ პირში მთხრობელი თავის თავს დამსწრედ წარმოგვიდგენს (რაც არსებითაა პირველ პირში ყოველგვარი მონათხრობისათვის — ნამდვილისა თუ გამოგონილისათვის, ამიტომ განცდილს მას და მის მაშინდელ ადგილს ვუკავშირებთ მისსავე წარსულში. ავტობიოგრაფიულ გადმოცემაში ისტორიული პრეზენსი არ ცვლას დროის შეგრძნებას, თუმცა იგი სწორედ აქ მიუთითებს იმაზე (რამაც სავსებით ვეთანხმები ვუნდერლიპ-რაისს), რომ მთხრობელი ცოცხლად გადადის წარსულ განცდაში და მით ახდენს მის გააწმყოებას როგორც თავისთვის, ასევე მსმენელისთვისაც — რადგან პირად მოგონებაში ცოცხალი წარმოდგენა „მაშინდელისა“ და „უწინდელის“ გრძობას ემთხვევა, მოგონების გზით მისი რეპროდუცირებისას კი, მეორე მხრივ, იგი ემთხვევა თვითმოგონებისა და კვლავ განცდის ახლანდელ წერტილს. მოგონების უაღრესად ეგზისტენციალური მნიშვნელობა და ფუნქცია (რაც მეტაფორული აზრით სხვა გონებრივ პროცესებზეც შეიძლება იქნეს გადატანილი, მაგ., ცოდნაზე) ისტორიული პრეზენსის გაშუქებაშიც იჩენს თავს.

ობიექტურ ისტორიულ დოკუმენტში ეს ვითარება სავსებით იცვლება. მოვიყვანთ მაგალითს ისტორიის თანამედროვე სახელმძღვანელოდან (იგი შეესაბამება მაღალ კლასებში ისტორიის სწავლების ყველა თანამედროვე მოთხოვნას), რომელიც თითქმის მთლიანად ისტორიული პრეზენსის გამოყენებითაა შედგენილი:

ბარბაროსა წინდახედულად ახორციელებს სახელმწიფოს ეკლესიასთან კავშირის ახალ პოლიტიკას, იგი იყენებს ყველა უფლებას, რაც მას ვორმსის კონკორდატმა მიანიჭა, რათა გერმანული ეკლესიის

დიდებულები კვლავ მტკიცედ მოიგდოს ხელში... ამავე დროს მეფე ანახლებს გვირგვინის უფლებას... გერმანულ ურთიერთობათა ამ წინასწარი განმტკიცების შემდეგ, 1154 წელს, ^{ფრედრიქი} რომს მიემგზავრება ერთგულების დამტკიცებელი გვირგვინის მისაღებად. ზემო და შუა იტალიაში მოგზაურობის შედეგად მის თვალწინ მთელი სიგრძე-სიგანით იშლება ის სიძნედეები, რომლებიც...

(მსოფლიოს ისტორია, II, 1947)

რასი მდგომარეობს განსხვავება ამ ისტორიულ პრეზენსსა და ავტობიოგრაფიული მაგალითის ისტორიულ პრეზენსს შორის? ორივე სინამდვილისეული გამონათქვამია. ორივეში სახეზე გვაქვს რეალური მე-ორივო, გამონათქვამის სუბიექტი. მაგრამ ობიექტური, შესაბამისად ობიექტურად აღწერილი საგნობრივი ვითარებანი ისტორიის სახელმძღვანელოში (ფარდობითად) ობიექტურია იმის გამო, რადგან ისინი წარმოდგენილნი არიან გამონათქვამის სუბიექტისაგან დამოუკიდებლად და არა როგორც თავად მისგან განცდილი. თუმცა გამონათქვამის სუბიექტს, ისტორიკოსს, თავისი ვარკვეული ადგილი აქვს დროში, ისევე, როგორც ავტობიოგრაფიული გადმოცემის მე-ს — ბარბაროსას დრო მის წარსულშია. მაგრამ ჩვენ ამ მოთხრობილ მოვლენებს ვუკავშირებთ დროის არა ამ წერტილს, რომელიც საკმაოდ დაშორებულია მომხდარი მოვლენების დროიდან და ამიტომ, სწორედ იმის გამო, რომ ისტორიკოსს არ შეუძლია ავტობიოგრაფიასავე მოიგონოს და „გააწმყოს“ აღწერილი ამბები, ამ ისტორიულ პრეზენსს გააწმყოების ფუნქცია არ გააჩნია. ისტორიული წარმოსახვისა ამ ტიპის გათვალისწინებით ბრუგმან-დელბრიუკი ისტორიულ პრეზენსს განიხილავს არა გააწმყოების, ე. ი. წარსულსა და აწმყოს შორის დროული მიმართების თვალსაზრისით, არამედ მიაწერს მას დრამატული გათვალისწინების ფუნქციას: „მოლაპარაკეს მოქმედება

თვალწინ უდგას, როგორც დრამაში და ამ მოქმედების ფარგლებს მიღმა მისთვის დროულ მიმართებათა წარმოდგენა არ ცოცხლდება“. თუ გამოთქმას — „როგორც დრამაში“ — ეპიკური ფიქციით შევცვლით, დავინახავთ, რომ დელბრიუკი აქ სავსებით სწორია. ისტორიული პრეზენსი აქ ასრულებს არა ტემპორალური გააწმყოების, არამედ ფიქციური გააწმყოების ფუნქციას. იგი პრეტერიტუმზე უფრო ძლიერად წარმოაჩენს მოქმედ პირებს, როგორც თავისთავად მოქმედთა, აჩვენებს მათ მოქმედების განხორციელების პროცესში, მაშინ, როცა იმპერფექტი ისტორიულ გადმოცემაში უფრო მეტად განხორციელებულ მოქმედებებს, ფაქტებს გვამცნობს.

ისტორიული პრეზენსის ფიქციონალიზაციის ეს ფუნქცია კიდევ უფრო მაღალ ხარისხში იჩენს თავს ობიექტურ ისტორიულ გადმოცემაში — ვილანდის ფ. ზენგლესეული ბიოგრაფიის მრავალ ადგილას. მოვიყვანთ ერთ-ერთი ასეთი მონაკვეთის ანალიზს, რადგან მისი ფარულ საზღვრების წარმოჩენა ძალზე საყურადღებოა ისტორიული პრეზენსის გაშუქებისათვის ეპიკურ ფიქციაში.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა ვილანდმა უცებ ევანგელური ქორწინება გადაწყვიტა. მან იცოდა, რომ ამ პირობებში ქრისტიანს დედისაგან თანხმობის მიღება სავსებით გამორიცხული იყო... იგი ყოველ ღონეს იხმარს ქრისტიანს პროტესტანტული ქორწინების წინააღმდეგ. ამიტომ ვილანდს სურს ქალიშვილი რაც შეიძლება სწრაფად წამოაყვანიოს აუგსბურგიდან... და თავის სახლში დაბალოს. ერთ-ერთი მოთახის ფანჯრებზე უკვე ქაღალდია აკრული, რომ მჭობლებმა ვერაფერი შენიშნონ, მხოლოდ მოხუც ფლორიანეს აქვს იქ შესვლის უფლება, ის კი სამარის კარამდე ხმის გამღები არაა... კეთილ შმელცს აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ მოიცადოს... და მამა და ქალიშვილი როტის მონასტერში გააცილოს... ვილანდი როტს მაემგზავრება, მამას და ქალიშვილს იქ

ველარ უსწრებს... ახლა მისთვის ყველაფერი დამთავრებულია. სიკვდილს ნატრობს... ასეთ მდგომარეობაში ხის სახლში როტიდან დაბრუნებული... აღარ ესმის ღმერთისა, როგორ შეუძლია მას ასეთი ბარბაროსულად გულქვანად დასწრების შექმნა. ნუთუ არავითარი საშუალება არ არსებობს, რომ თავი დააღწიოს მათ?

პრეზენსის ფორმით გადმოცემული ეს მონაკვეთი ძალიან ახლოს დგას რომანულ, ფიქციონალურ თხრობასთან (მაშინ, როცა ზემოთ მოყვანილ ისტორიულ მაგალითზე ამისი თქმა, ცხადია, შეუძლებელია). ამ ბიოგრაფიულ გადმოცემაში, რომლის იმპერფექტს თავისი ბუნებრივი გრამატიკული წარსულის ფუნქცია აქვს, გამოყენებულია შინაგანი პროცესების გამომხატველი ზმნები და გამოსახვის სხვა ისეთი ფორმებიც კი, რომელთა კანონიერი ადგილი მხოლოდ ფიქციონალურ თხრობაშია: „ჩაფიქრებული ზის სახლში“... „ღმერთისა აღარ ესმის“... „ნუთუ არავითარი საშუალება არ არსებობს, რომ თავი დააღწიოს მათ?“ — განცდილი მეტყველების ეს კითხვითი ფორმაც კი. როგორ უნდა აეხსნათ თხრობის ეს „ისტორიული“ ფორმები? ბიოგრაფი თავად გადადის ვილანდის წარსულში, თუ „აწმყოდ“ წარმოგვისახავს მას? აქ თავს იჩენს ღირსშესანიშნავი ფენომენი — ასეთი ფიქციონალური ზემოქმედების გააწმყოება სწორედ იმპერფექტის მეშვეობით იქნებოდა მიღწეული და უპირველეს ყოვლისა, ამ ადგილებზე, რომლებიც იმპერფექტის გამოყენების შემთხვევაში ასეთ სახეს მიიღებდნენ: ასეთ მდგომარეობაში იჯდა იგი სახლში ფიქრებში წასული... მას აღარ ესმოდა ღმერთის... ნუთუ არავითარი საშუალება არ არსებობდა, რომ თავი დაეღწია მათგან? აქ იმპერფექტი შინაგანი პროცესების გამომხატველი ზმნების ძალით ვილანდს რომანის პერსონაჟად წარმოაჩენდა. მას რომ ღმერთისა აღარ ესმოდა, თავის თავს რომ ეკითხებოდა, შესაძლებელი იყო თუ არა ბარბაროსი ადამიანებისაგან თავის დაღწევა, — მთხრობელის მიერ ვილანდისათვის მი-

წერილ აზრებად აღიქმებოდა, მთხრობელი ისტორიული კი აღარ იქნებოდა, არამედ ფიქციონალური; და მაშინვე თავს იჩენდა პრეტერიტუმის პარადოქსული ხასიათი ფიქციაში: ყოველგვარი წარსულობა და ამდენად, ისტორიული ნამდვილობა წაიშლებოდა, გაბათილდებოდა. ამ ისტორიულ გადმოცემაში, ამ განსაკუთრებული ფორმის წინადადებებში სწორედ პრეზენსი გვინარჩუნებს ისტორიულობის შეგნებას: მას „დოკუმენტური“ ფუნქცია აქვს, იგი აღნიშნავს იმ წერილების შინაარსის გადმოცემას, რომელთაგან ბიოგრაფი ვილანდის მაშინდელ გარეგან და შინაგან სიტუაციას აღადგენს. პრეზენსის მეშვეობით ძლიერდება დოკუმენტის ისტორიულობის შეგნება — რადგან დოკუმენტები არსებობენ, სახეზე არიან, მაშინ როცა ცხოვრება, რომელიც მათშია ასახული, უკვე გავლილია. ამრიგად, ამ გადმოცემის პრეზენსი გარეგანი და შინაგანი მდგომარეობის „გამააწმყოებელ“ ფუნქციას ისტორიულ ფუნქციას უკავშირებს და ამით ხელს უშლის რომანულ ფიქციონალიზაციაში გადასვლას, რაც ასეთი სახის აღწერაში ხშირად ხდება ხოლმე და ამ შემთხვევაშიც მოხდებოდა, მთხრობელს რომ იმპერფექტი გამოეყენებინა.

ზენგლეს მაგალითი, რომელიც თხრობის ორი ფორმის მიჯნაზე დგას, ერთგვარ ნათელს ჰფენს ისტორიული პრეზენსის ფუნქციას მხატვრულ პროზაში. სინამდვილისეულ გამონათქვამში, ობიექტურ ისტორიულ გადმოცემაში გამოყენებასთან შედარება ძალზე მკაფიოდ ქვეჩვენებს, რომ ეპიკურ ფიქციაში პრეზენსს ნამდვილი ფუნქცია არ გააჩნია: არც ტემპორალური და არც ფიქციონალურად გამააწმყოებელი. ორივე უშუალოდ გამომდინარეობს იქიდან და იმითაა განპირობებული, რომ პრეტერიტუმს იქ (ეპიკურ ფიქციაში) არა აქვს წარსულის გამომხატველი ფუნქცია. გვსურს ეს ფენომენი განვმარტოთ — თომას მანის „ბუდენბროკების“ ნაწყვეტის მაგალითზე, რომელიც ამ რომანში ერთადერთია პრეზენსის ფორ-

მით დაწერილი, რაც გარკვეულ მიზანს ემსახურება — აღწერილი პროცესის სიცხოველისა და მღელვარების განსაკუთრებული თვალსაჩინოებით წარმოდგენას: ტონის მოლოდინი რატუმის წინ, სადაც სენატორის არჩევნები მიმდინარეობს:

საქმე ვაჭიანურდა. როგორც ჩანს, კურიებში დებატები ჯერ დაცხრომას არ აპირებენ... ვითომ რატუმის ორ მსახურთაგან ერთ-ერთი, უფრო ხანდაზმული ბატონი კასპერსენი, თავის თავს სახელმწიფო მოხელეს რომ უძახის, ის არის ამის ავან-ჩაფანი? მაშ, ბატონი კასპერსენი... ტუმის კუთხეებით გადასცემს გარეთ მომლოდინე ხალხს ყურმოკრულ ამბებს?... რატუმის წინ ყველა კლასის წარმომადგენლებს მოუყრიდა თავი... თამბაქოს დეჭვაში გართული ორი წვერმოშვებული მუშის უკან ერთი ქალი დგას, აღელვებული თავს აქეთ-იქით სწევს და ცდილობს მუშების ასოვან მხრებს შორის რატუმს დაინახოს... „მაგისი და არ იყო, ორ ქმარს რო გამოექცა და ძმას შინ ჩამოუჯდა?“ წამოსასხამიანი ქალი შეკრთა... „რა მოხდა მერე! ჩვენ რა ვიცით, რატო გამოიქცა. მერე და ევ რა კუნსელის ბრალია?“... „მართლაც, რა იმის ბრალია, — ფიქრობს პირბადიანი ქალი და მოსასხამის ქვეშ ხელები ემუშტება, — მართლაც რა იმის ბრალია, დიდება შენდა, ღმერთო!“

(თომას მანი, ბუდენბროკები. თარგმანი დალი კოკაია-ფანჯიკიძისა, ჰბილისი, „ნაკადული“, 1970).

რომანის ასეთ მონაკვეთებზე დაკვირვებისას, უპირველეს ყოვლისა, ნიშანდობლივია პრეზენსის ტრადიციული ტემპორალური გაგება — რომ იგი ახდენს წარსულში მომხდარი პროცესების გააწმყოებას, „თითქოს ისინი ჩვენს თვალწინ ხდებოდეს“. განა აქ აღწერილი პროცესები ნაკლებად გააწმყოებულად წარმოგვიდგებოდა, ისინი რომ იმპერფექტში იყოს გადმოცემული? განა ისინი უფრო აწმყო-

ოა, ვიდრე იგივე რომანის სხვა სცენები, მაგალითად, ასეთი:

უცნაურმა მოუსვენრობამ შეიპყრო, მოძრაობის, სივრცისა და სინათლის სურვილმა. სკამი უკან გასწია, სალონი გადაჭრა და მაგიდის თავზე დაკიდებული გასია ჭადი აანთო. შეჩერდა, ნელა და ნერვიულად აწვალებდა ცრქელი უღვაშის ბოლოებს და უაზროდ იყურებოდა აქეთ-იქით ამ მდიდრულ ოთახში.

ჩვენი აზრით, აღარაა საჭირო იმისი მტკიცება, რომ არც იმპერფექტული და არც პრეზენსული აღწერა წარსულის განცდას არ აღძრავს. ამ ორი სცენიდან არც ერთი არ აღებატება მეორეს ტემპორალური აწმყოს თვალსაზრისით, ორივეში საქმე გვაქვს პერსონაჟთა „ახლა“ და „აქ“ მომენტებთან, რაც არც ერთ შემთხვევაში არაა აქცენტირებული განსაკუთრებული ტემპორალური ცნებების მეშვეობით (დროისა ზმნიხედებით ან შედსართავეებით) როგორც ფიქციონალური აწმყო დრო. ისტორიული პრეზენსის ტემპორალური გაგება უკვე იმიტომ არაა სწორი, რომ არც იმპერფექტი არ მიგვითითებს წარსულზე. მაგრამ რატომ არა აქვს პრეზენსს განსაკუთრებული, იმპერფექტზე აღმატებული ფუნქცია ფიქციონალური გააწმყოებისა? მას ხომ სწორედ ასეთი ფუნქცია აქვს ისტორიულ გადმოცემაში — როგორც ისტორიის წიგნიდან, ასევე ზენგლეს „ვილანდიდან“ მოყვანილ მაგალითებში? ამაზე მეტაფორით შეგვიძლია გავცეთ პასუხი, — რომ ცისფერ ზედაპირზე მკვეთრად გამოიყოფა მიდამოს მეწამული ნაგლეჯი, მაგრამ არა იგივე მეწამულ ზედაპირზე. ისტორიულ გამონათქვამში პრეზენსი სრულიად სხვა ფორმაა დროისა, ვიდრე პრეტერიტუმი, რომელსაც იქ ნამდვილი წარსულის ფუნქცია აკისრია. ეპოსსა და რომანში კი იგი არ არის სხვა, ე. ი. სხვაგვარი ფუნქციონირებით არ ხასიათდება, რაკი პრეტერიტუმი იქ ხელს არ უშლის „ახლა და იქ“ მომენტის ფიქციურ განცდას, იგი არ საჭიროებს ისეთი დროის ფორმით შეცვლას, რომელიც ლოგიკურად სხვაგვარად

სტრუქტურირებულ კონტექსტში, სახელდობრ, სინამდვილისეულ გამონათქვამში, გარკვეულ პირობებში ისეთი ფიქციონალური შემოქმედებით შეიძლება ხასიათდებოდეს, რომელიც პრეტერიტუმით ასეთივე წარმატებით ვერ მიიღწევს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ისტორიული პრეზენსით აგებულ ყოველ ფიქციონალურ კონტექსტში გამონაკლისის გარეშე პრეზენსი კვლავ პრეტერიტუმით შევცვალოთ და ამასთან ჩვენი ფიქციური განცდის ვერავითარი ცვლილება ვერ შევნიშნათ: საქმე გაჭიანურდა... ყველა კლასის ადამიანი იყო აქ... ორ მუშაკაცს უკან მანდილოსანი იდგა... არა, მართლაც, რა მისი ბრალია, ფიქრობდა ქალი. ამ ნაწყვეტში ზმნების მაგალითზე შევნიშნავთ, რომ შინაგანი პროცესების ზმნები კიდევ უფრო უმტკივნეულოდ იტანენ ოსრობისათვის ჩვეული დროის ფორმით შეცვლას, ვიდრე სხვა ზმნები. სწორედ ისინი წარმოადგენენ საუკეთესო საბუთს საიმიხოდ, რომ იმპერფექტი ფიქციაში არ არის წარსულის გამომხატველი, რადგან თვით ისინი თამაშობენ გადამწყვეტ როლს მეორიგონიზირებასა ან რომანის პერსონაჟთა ფიქციონალიზაციაში. მაგრამ ფიქციონალიზაცია არ ძლიერდება იმით, რომ გამონათქვამის ისეთი ფორმა, როგორცაა „გაიფიქრა ქალმა“, არ შეიძლება შეგვხვდეს ისტორიულ გამონათქვამში, ე. ი. მას არ შეუძლია აღნიშნოს წარსული მოქმედება, და იმპერფექტი აქ საუსებით ჩახშულია, პრეზენტული ფორმა ხელისშემშლელიც კია. იგი თითქმის ამბავილებს ყურადღებას იმაზე, რომ ჩვენ მხოლოდ რომანში შეგვიძლია შევიტყოთ, თუ რას ფიქრობს ესა თუ ის პირი სწორედ ახლა და ამით ერთგვარად არღვევს ფიქციური ცხოვრების იმ ილუზიას, რომელსაც რომანი ქმნის. ხოლო რაც ასე ამკარა და ნათელია შინაგანი პროცესების ზმნებთან დაკავშირებით, ძალაში რჩება ისტორიული პრეზენსის გამოყენებისათვის საერთოდ ფიქციაში. ამრიგად, ჩვენ მივადექით ეპიკური პრეტერიტუმის ფენომენოლოგიას; უფრო ზოგადად: შეგვიძლია ავ-

მსათ დროის ფორმის ფენომენოლოგია ფიქციონალურ თხრობაში.

ის გარემოება, რომ პოეტურ თხრობაში, ეპიკურ ფიქციაში, პრეტერიტუმს გრამატიკულად ისე შეიძლება მოვექცეთ, როგორც ეს შეუძლებელია რეალურ გამონათქვამში, იმის ნიშანია, რომ ზმნის პირიანი ფორმა აქ თავის დროულ მნიშვნელობას ჰკარგავს. ის კავშირი, რომელიც

სინამდვილისეულ გამონათქვამში ზმნური სიტყვის მნიშვნელობის მინაარსსა და მის დროის ფორმას შორის არსებობს, რაც არ უნდა ჩრდილაედეს აქ ერთიმეორეს, ფიქციაში გარკვეულწილად იშლება. ამ მომენტის ნათელსაყოფად ძალზე საგულისხმო იქნება მხატვრობასთან შედარება. როგორც სურათი არ შეიძლება დაიხატოს პაერში, არამედ მისთვის აუცილებელია რაიმე სუბსტრატი — კედელი ან ტილო, — ასევე ეპოსის თხრობა აუცილებლად ზმნის პირიანი ფორმაში უნდა წარიმართოს. ნახატის გარეშე ტილოს მისთვის დამახასიათებელი მატერიალური ღირებულება გააჩნია. ხოლო როგორც ნახატის სუბსტრატი, ე. ი. ნახატის ფარგლებში, იგი ჰკარგავს ამ მატერიალურ ღირებულებას, უკვე აღარაა ტილო, როგორც ასეთი. ასევე ემართება პირიანი ზმნის დროის ფორმასაც. პრეტერიტუმს ფიქციის გარეშე, სინამდვილისეულ გამონათქვამში, თავისი ავტოხტონური გრამატიკული ფუნქცია აქვს, იგი გამოხატავს გამონათქვამის სუბიექტის მიმართებას წარსულთან, პრეზენსსაც ამავე დროს საკუთარი ტემპორალური მნიშვნელობა აქვს — გამოხატავს ერთდროულობას ან ფუნქციონირებს, როგორც ისტორიული პრეზენსი. ფიქციაში კი, როგორც თხრობის დროის ფორმა (ე. ი. არა როგორც დროის ფიქციური მონაცემები, რომლებიც მიმართულია რომანის მოქმედ პირთა ფიქციურ ცხოვრებაზე, ან მათ მეტყველებაში მოიხსენიება), პრეტერიტუმში წარმოადგენს (რომელსაც სემანტიკურად მიეკუთვნება ისტორიული პრეზენსი) მხოლოდ სუბსტრატს, რომელშიც თხრობა უნდა წარიმართოს. იგი, როგორც წარ-

სული დროის ფორმა, ისევე უჩინარია, როგორც ტილო ნახატში და ზმნისგან, რომელსაც იგი უკავშირდება და რომელიც უსათუოდ პირიანი ფორმით უნდა წარმოსდგეს, მხოლოდ მისი სემანტიკური მინაარსილა რჩება, მხოლოდ მდგომარეობა და ა. შ., რომელიც შესაბამისი ზმნითაა გამოხატული, და არა ის, რომ ეს მოქმედება თუ მდგომარეობა წარსულია. როცა „ანა კარენინაში“ ვკითხულობ: „ობლონსკების სახლში ყველაფერი აირ-დაირია“, — ვიტყობ არა იმას, რომ თქვენს ყველაფერი აირ-დაირია, არამედ რომ აირ-დაირია, და თუნდაც ეს წინადადება ისტორიულ პრეზენსში იდგეს, ზუსტად იგივეს შევითქვამდი: საცობრივ ვითარებას და არა დროს.

ვიდრე საბოლოოდ განვსაზღვრავდეთ ფიქციონალური დროის ფორმების ფენომენოლოგიას, უნდა გავაშუქოთ ისეთი რომანების დროის პრობლემა, რომლებშიც იგი (დრო — რ. ლ.) ნივთიერ როლს თამაშობს და ამ მიზნით განსაკუთრებულ საბაბს იძლევა ფიქციონალურ მიმართებათა მცდარი განმარტებისათვის. პრეტერიტუმის ტემპორალური გაუფასურების წინააღმდეგ შეიძლება მოგვიმარჯვონ რომანის დასაწყისი, სადაც დროის წარსული მომენტი ისტორიული სიზუსტითაა დათარიღებული:

1903 წლის 2 მარტი ცუდი დღე იყო 30 წლის მოხელის, აუგუსტ ემისათვის; პატრონთან უთანხმოება მოუხდა და, ვიდრე შემთხვევა მიეცემოდა, თვითონ წასულიყო სამუშაოდან, გაათავისუფლეს. ისე, რომ გაათავისუფლება იმდენად არ აჯავრებდა, რამდენადაც თავისი მოუქნელობა.

(ქერმან ბროხი, ემი ანუ ანარქია)

ავტორისა და მკითხველისათვის უთუოდ ნაცნობ წარსულს აღძრავს ეს თარიღი, რომელიც, ალბათ, პირადად ახსოვს რომანის გამოსვლის დროის, 1931 წლის მომსწრე მრავალ ადამიანს. — აღძრავს თარიღი — 1903 წლის 2 მარტი — 28

წლის შემდეგ განცდას, რომ ეს დღე წარსულშია? არავითარ შემთხვევაში. იგი მხოლოდ ასახელებს დღეს, რომელიც მნიშვნელოვანია რომანის გმირის ცხოვრებაში და რომლის შემდეგობით ამავე დროს შევიტყობთ, რომ საუკუნის დასაწყისი გმირის ცხოვრების გარემოდ უნდა წარმოვიდგინოთ, რაც ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა ემის განსაკუთრებული გამოცდილებისა და ცხოვრების გაგების ჩამოყალიბებაში. ეს თარიღი არის ფიქციური „ახლა და დღეს“ ფიქციური პერსონაჟის ცხოვრებაში, რაც მისი ცხოვრების შემობრუნების წერტილს წარმოადგენს; ეს არ არის „მაშინ“ მკითხველისა და ავტორის განცდილი თუ განუცდილი წარსულიდან, რომელიც მის განცდაში ფიქციას საერთოდ არ ახლავს. თარიღი არ თამაშობს რაიმე განსაკუთრებულ როლს, ვიდრე ამ დღის ნებისმიერი სხვა დახასიათება რომანში, იგი მხოლოდ სინამდვილის მასალის ნაგლეჯია, სხვა არაფერი, და ფიქციაში ისევე ფიქციურია, როგორც სახლი და ქუჩა, ტყე და მინდორი, როგორც ქალაქები მანჰაიმი და კელნი, სადაც რომანი „ემი“ თამაშდება, როგორც იულიუსის უღელტეხილი და ფიქციური „ახლა და აქ“ მომენტის შუადღე, რითაც „იურგ იენაჩი“ იწყება. რადგან, როგორც კი დრო და ადგილი ფიქციური მოქმედი პირების, ე. ი. ფიქციურ არეს შექმნიან, თვით მათი „სინამდვილეს“ უზრუნველყოფილია, თუნდაც ფიქციის არეში ისეთი შეზღუდვები ნაწილებიც იყოს, რომლებიც მეტნაკლებად საზოგადოდ ცნობილი სინამდვილიდან წარმოსდგებიან. რაც შეეხება გეოგრაფიულსა და ისტორიულ სინამდვილეს, მათი ცოდნა ხომ სავსებით ფარდობითია. კელნი და მანჰაიმი გეოგრაფიულად გაუთვითცნობიერებელ, მაგალითად, სხვა კონტინენტის მკითხველს ისევე ნაკლებად შეიძლება მიუთითებდეს ამ ქალაქების სინამდვილეზე, როგორც საზოგადოდ უცნობი სახელი სადღაც არსებული სოფლისა, რომელიც რომანის ავტორისათვის, მოქ-

მედების ადგილად რომ აირჩია იგი, სრულიად გარკვეულ გეოგრაფიულ სინამდვილეს მიეკუთვნება. აქ თავს იჩენს ისევე და ისევე კონტექსტის მნიშვნელობა სინამდვილის, შესაბამისად არა-სინამდვილის პრობლემა-სათვის. როცა გეოგრაფიული სახელი (ისევე, როგორც ნებისმიერა სხვა სახელი) ისტორიულ დოკუმენტში, სინამდვილასეულ ვადმოცემაშია მოხსენებული, ისეთ მკითხველებსაც კი, რომლებიც არ იცნობენ ამ სახელს, ეჭვი არ ეპარებათ ამ ადგილის სინამდვილეში. ფიქციაში კი პირაქით — საკმაოდ ცნობილი სინამდვილი ადგილის რეალობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, იგივე მტკიცება შეიძლება მივუყენოთ დროის სინამდვილესაც. 1903 წლის 2 მარტი რომანში ისევე ფიქციურია, როგორც 1984 წელი, რომელშიც გადატანილია ორველის საბედისწერო პოლიტიკური უტოპია — და ცხადია, არა იმის გამო, რომ წიგნის ვაშოქვეყნების მომსწრე ადამიანებს ეს დრო არ განუცდიათ (რაც შემდგომი თაობისათვის უკვე ვაბათილდებოდა), არამედ იმის გამო, რომ საქმე ეხება რომანის დროს. და ის ვარემოება, რომ ეს უტოპიაც, როგორც მომავლის ყველა სხვა უტოპიები, იმპერფექტშია მოთხრობილი და არა ფუტურუმში, ეპიკური პრეტერიტუმის ატემპორალური მნიშვნელობის კადევ ერთი სატოვანი განმარტებაა. უტოპიაც ფიქციურ მოქმედ პირებთან მიმართებაში მოგვითხრობს თავის მოვლენებს, როგორც მათ „ახლა და აქ“-ს, ისე, რომ მისი ფიქციური სტრუქტურის მიმართებანი არავითარი თვალსაზრისით არ განსხვავდება თანამედროვე ან „ისტორიული რომანის“ მიმართებისაგან.

მრავალსიტყვაობა აღარაა საჭირო იმის ნათელსაყოფად, რომ არც ისტორიული რომანის იმპერფექტსა აქვს რაიმე საერთო მისი მასალის ისტორიულ ხასიათთან. 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომს, რომლის (როგორც ისტორიული მოვლენის) მიმართ დღევანდელ თაობას სხვაგვარი დროული მიმართება აქვს, ვი-

დრე წინა საუკუნის 80-იანი წლების თაობას, ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში“ ისევე „აწმყოდ“ განვიცდით, როგორც იმ 80-იანი წლების მკითხველები, როცა ეს რომანი გამოქვეყნდა. რადგან, არც ისეთი რომანის კითხვას არ ახლავს მე-ორივით და ამდენად დროისა და სინამდვილის მასალა ჩვენთვის ისტორიის, წარსულის კუთვნილებაა; და ამიტომ თხრობის „იყო“-ს ზუსტად ისევე განვიცდით, როგორც გამოწავონზე აგებულ რომანში — მოქმედ პირთა ფიქციური „ახლა“-ს სახით: ნაპოლეონს განვიცდით ისევე, როგორც თავად ანდრეი ბოლკონსკის, რომლის შესახებაც ისეთავე სიზუსტით არ ვიცით, გამოგონილია ამ ვმირის მასალა თუ ნაპოლეონივით ისტორიული. როგორც ისტორიული ნაწარმოების საგანი ნაპოლეონი აღწერის ობიექტია, რომლის შესახებაც რაღაცაა გამოთქმული. როგორც ისტორიული რომანის საგანი, ნაპოლეონი იქცევა ავრეთვე ფიქციურ ნაპოლეონად. და ეს ხდება არა იმის გამო, რომ ისტორიული რომანი შეიძლება გადაიხაროს ისტორიული სინამდვილიდან, ისეთი ისტორიული რომანებიც კი, რომლებიც ისტორიული დოკუმენტის სიზუსტით მისდევენ სინამდვილეს, ისტორიულ პირებს გარდაჭმნიან არა-ისტორიულ, ფიქციურ სახეებად, გადაჰყავთ ისინი შესაძლებელი სინამდვილის სისტემიდან ფიქციის სისტემაში. რადგან, ეს უკანასკნელი მხოლოდ იმით ვანისაზღვრება, რომ ფიგურა წარმოდგენილია არა ობიექტის, არამედ სუბიექტის სახით, მის ფიქციურ მე-ორივინობაში (ან, როგორც ავრეთვე შესაძლებელია, რომანის სხვა მოქმედი პირის განცდის არის ობიექტად). ინგარდენის თეორიაში კვაზი-მსჯელობათა შესახებ მხედველობიდან გამორჩენილია სწორედ ხორცშემსხმელი სავნობრივი ვითარებანი: ეს არის ფიქციონალიზაციის პროცესი, რომელიც რომანის ყოველგვარ ისტორიულ მასალას არა-ისტორიულად აქცევს.

ეს მიმართებანი, რომლებიც ჩვენ აქ მხოლოდ მავალითის სახით განვაფიქსირებთ ფიქციური დათარიღებისა და ეპიკური პრეტერიტუმის ურთიერთკავშირიდან, დამახასიათებელია არა მხოლოდ ისტორიული რომანისათვის, არამედ ისტორიული დრამისთვისაც. აქედან კი საესებით ნათელი უნდა იყოს, რომ თხრობის პრეტერიტუმს არაფერი აქვს საერთო ისტორიულ ამ დროის სხვა ნებისმიერი მონაცემებით დაბასიათებულ ფიქციონალურ მასალასთან. მაგრამ თუ ამ მოსაზრებას ასეთი ზოგადი ფორმით გამოეთქვამთ, შეიძლება შემოვფეგამათონ, განსაკუთრებით რომანის ისეთი თანამედროვე ტიპის გათვალისწინებით, რომელიც წარსული დროის თეორიებს ჩვენი მტკიცების საწინააღმდეგო საბუთად გამოადგებათ: ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც მონათხრობის წარსულობა განსაკუთრებითაა ხაზგასმული, ან უბრალოდ თემატურია. ვერძანულ ლიტერატურაში ამ ტაპს წარმოადგენენ, მაგ., თომას მანის „იოსების რომანი“ და რობერტ მუზილის „უსივინებო კაცი“, თუმცა ამ მხრივაც თითოეული მათგანი ვარკვეული თავისებურებით ხასიათდება. თომას მანის პუმორისტულ-მეთოდურ ამოსაფალ წერტილს და მსატერულ ხერხს წარმოადგენს თვალსაზრისი, რომელსაც იგი თავის თხრობას უქვემდებარებს: მოულოდნელი სიცოცხლე მიანიჭოს და გაააწმყოოს იოსების ლეგენდა; მაგრამ ამავე დროს, მუდმივი კომენტირების გზით, ისტორიულ-ფსიქოლოგიური შემეცნების ობიექტად აქციოს იგი. მუზილიც, თხრობის მისეული განსაკუთრებული სტილით, მუდამ სიფხიზლეს უნარჩუნებს შეგნებას — რომ ეს სატირული რომანი, დაწერილი ამჟამად წარსული „კაკანიენსის“ (ავსტრია-უნგრეთის მონარქია) ეპოქის, 1913 წლის შესახებ, როცა რომანის მოქმედება ხდება, წარსულად უნდა მივიღოთ, და სწორედ ამის გამო, მოქმედების ცენტრი „პარალელური აქცია“ — ფრანც იოსების მთავრობის 1918 წლის იუბილესათვის მზადება, თანადროული სატირის ცენტრალურ ობიექტს წა-

რმოადგენს. მაგრამ არც ერთ ნაწარმოებში წარსულობის, ასე გასინჯეთ, ისტორიულობის შეგნება, შესაბამისად მითიურობა, არ მიეწერება პრეტერიტუმს, რომელშიც ისინი მოთხრობილნი არიან, ისევე, როგორც ყველა ეპიკური ნაწარმოები. ცხადია, მუზილის რომანის ერთ-ერთ ასეთ წინადადებაში, როგორცაა: „უალტერი და ის ახალგაზრდები იყვნენ დღეისათვის უკვე იმ გარდასულ დროში — უკანასკნელი საუკუნის დამდეგს, როცა ბევრს ეგონა, რომ საუკუნეც ახალგაზრდა იყო. მაშინვე დასამარებულს არც მეორე ნახევარში გამოუჩენია თავი“ (1 ნაწ., თავი 15) — ხაზგასმულია მოთხრობელის (როგორც ავტორის) დროული დისტანცია მისი რომანის მოქმედებიდან. მაგრამ ეს თვით ტექსტის შემწეობით ხდება — „დღეისათვის იმ გარდასულ დროში, მაშინვე დასამარებული —“; აქ თხრობა ისტორიული გადმოცემის სახეს ღებულობს, ამით კი ხელახალი ძალით გამოანათებს ხოლმე ის სატირული მნიშვნელობა, რაც ამ ნაწარმოებში მოთხრობილ მასალას თანამედროვეობისათვის აქვს. და მიუხედავად ამისა, ეს რომანიც რომანია, კერძოდ, ფიქციურ მოქმედ პირებს მათი ფიქციური ცხოვრების „ახლა და იქ“ მომენტში ქმნის ყველა იმ საშუალების გამოყენებით, რომლებიც თხრობის განვითარების თანამედროვე ეტაპის განკარგულებაშია. ისეთ აღწერებში, როგორცაა ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი, რომელიც ალალბედზეა ამოგლეჯილი ულრიჰის — უთვისებო კაცისა და მისი წრის ადამიანების ისტორიიდან: „ვიდრე ულრიჰი კლარისას ესაუბრებოდა, არც ერთს არ შეუმჩნევია, რომ მათ ზურგს უკან მუსიკა დროებით შეწყდა. ვალტერი ფანჯარასთან მივიდა. ის ვერც ერთს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ისინი მისი მხედველობის არის ზღვართან იდგნენ. ეჭვი სტანჯავდა მას“ (1, თავი 17) — მოთხრობელის თხრობის „ისტორიული“ დისტანცია ისევე ქრება, როგორც ნებისმიერ რომანში; პრეტერიტუმს წარსულის მნიშვნელობის ნატამალიც აღარ რჩება.

ეპიკურ მხატვრულ ნაწარმოებში თხრობა შეიძლება ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ მისი მასალა აღებულია წარსულიდან — ისტორიული თუ გამოკონილი წარსულიდან, მაგრამ პრეტერიტუმს ქვეყნებს იმაზე და არც მისი მნიშვნელობის წარმოადგენს, რომ მოთხრობილი მასალა ყველა შემთხვევაში წარსულია ან წარსულადაა გააზრებული. როგორც მუზილის, ასევე თომას მანის რომანიდან და „მალნარის“ მაგალითიდანაც ჩანს, რომ ეს შთაბეჭდილება სულ სხვა საშუალებებით იქმნება და არა აქვს მნიშვნელობა, ნამდვილი ისტორიული მასალის თხრობასთან გვექნება საქმე თუ გამოკონილისა.

იქ კი, სადაც „ომისა და მშვიდობის“ მსგავსად ისტორიული მასალა ისევე „გააწმყოებულია“, როგორც იგივე რომანის გამოკონილი ნაწილი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ აღძრავს წარსულობის შეგნებას, არამედ სწორედ გვაფიქვებს მას, ეპიკური პრეტერიტუმის ფენომენოლოგიის შემდგომი ახსნა-განმარტებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია პრეტერიტუმის ფიქციონალური ფუნქციონირება თითქოსდა ისტორიულ პარტიკულში. გვსურს კვლავ ტექსტზე ვაჩვენოთ ეს მომენტი. როცა ვკითხულობთ:

ექვსის ნახევარზე ნაპოლეონი სოფელ შევარდინოსაკენ გაემართა ცხენდაცხენ. უკვე ინათა, ცა გადაწმენდილიყო; ერთადერთი ღრუბელი ჯერ კიდევ ეკიდა აღმოსავლეთის მხარეს. მიტოვებული საგუშაგო კოცონები დილის სუსტ სინათლეში იღველფებოდა.

მხოლოდ ზმნების მნიშვნელობის შინაარსი აღძრავს განცდას, იმისგან დამოუკიდებლად, თუ დროის რომელ ფორმაში დგანან ისინი. მაგრამ ენის, ამ შემთხვევაში კონტექსტის კანონები ისე მკაცრად და უტყუარად მოქმედებენ, რომ ეს მიმართულებანი სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგებოდა, ამ წინადადებას რომ ისტორიულ დოკუმენტში, მაგალითად, ამ ომის დღეთა უშუალო მოწმის გადმოცემაში შევხვედროდით, — ნაპოლეონის ამ დი-

ლის ჯირითის ამბავს შევარდინოს სანგ-რისაკენ, სადაც ისტორიულად დამოწმებული საომარი მოქმედებანი მიმდინარეობდა. აღმქმელი შეგნების წინა პლანზე, ალბათ, მაშინაც მოქმედების, შესაბამისად სიტუაციის აღწერილობის მატარებელი ზმნები იდგებოდნენ, მაგრამ „მაშინ“ ცნების მნიშვნელობის შინაარსი, — მაშინ ყოფილის, ამჟამად კი წარსული ომის დღისა — მთლიანად მაინც არ დაიკარგებოდა. რადგან, ისტორიულ გამონათქვამში აღწერადროში იქნებოდა მოცემული: გამონათქვამის სუბიექტის და ამდენად, მკითხველის დროში. და თუ ამ წინადადებებზე, — ჯერ როგორც რომანის აღწერასა და შემდეგ როგორც ისტორიულ გამონათქვამზე, — ისტორიული პრეზენსის ცდას ჩავატარებთ, სწორედ თავისი ისტორიული სიმართლის ძალით ისინი განსაკუთრებით საგულისხმონი აღმოჩნდებიან ეპიკური თხრობის დროის ფორმათა სუბსტრატული ხასიათის საკითხისათვის. ისტორიულ პრეზენსს ისტორიულ გამონათქვამში: „ექვსის ნახევარზე ნაპოლეონი ამხედრებული მიემართება სოფელ შევარდინოსაკენ. უკვე თენდება...“ ერთგვარი ფიქციონალიზირებისა და გაცოცხლების ზემოთ აღწერილი ზემოქმედება ექნებოდა. რომანის აღწერაში კი ასეთი ფიქციონალიზირება საჭირო არაა, რადგან აქ უკვე თავისთავად მოთხრობილია ნაპოლეონის იმდილანდელი „ახლა და აქ“ სახელდობრ, მოთხრობილია არა ვინმეს მიერ, ვინც მისი შევარდინოსაკენ სვლის თვითმხილველი მოწმე იყო, არამედ ასე ვთქვათ, როგორც თავის თავთან მარტო დარჩენილი ნაპოლეონის „ახლა და აქ“, რაც თხრობაში მიიღწევა. აქ თავს იჩენს ერთი ფენომენი, რომელიც უკვე მრავალჯერ აღუნიშნავთ, მაგრამ არასოდეს არ დაუსაბუთებიათ: პრეტერიტუმს ჩვენ უფრო ადექვატურად, ესთეტიკურად უფრო კეთილ მოქმედად აღვიქვამთ, ვიდრე ისტორიულ პრეზენსს, რომელიც, როგორც უკვე დავაკვირდით „ბუდენბროკების“ მაგალითზე, — მეტისმეტი დაჟინებით მიგვიით-

თებს, რომ საქმე გვაქვს ფიქციურ მიმართულებებთან და სწორედ ამით ხელს უშლის იმ ილუზიასა და მითბუცდილებას, რისი შექმნაც ფიქციონალური თხრობის არსს წარმოადგენს. ყუყუღუნველას განაგებს ესთეტიკური კანონიერების იდეა უშუალოდაა განპირობებული მხატვრული სიტყვისა და ენობრივი ლოგიკის, ასე ვთქვათ, გაუცნობიერებელი მიმართებებით, რომ ამ მიზნებით იგი უფრო ახლოს უნდა განვიხილოთ.

ეს კანონი ორ ასპექტს ავლენს. პირველი, ესთეტიკურად უფრო გარეგანი, იმას ემყარება, რომ საქმიანად ზედმეტი ესთეტიკურადაც ზედმეტია. რაკი ისტორიული პრეზენსი ფიქციაში არავითარ ჭეშმარიტ ფუნქციას არ ასრულებს, არც ტემპორალურსა და არც ფიქციონალიზაციისას, იგი ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს პრეტერიტუმით, ისე რომ, გავლენა არ მოახდინოს ფიქციის განცდაზე, თუ არ ჩავთვლით ფიქციური მოქმედი პირის განცდის თავისებურებას, რაც მოთხრობელს პრეზენსის მეშვეობით სურს გამოხატოს. ამ ფენომენში შეიძლება გაგვარკვიოს ყოველმა ექსპერიმენტმა, რომელსაც ჩვენ რომანის ნებისმიერ პრეზენტულ მონაკვეთზე ვატარებთ, იმისდამიუხედავად, ლიტერატურული რანგის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე თუ არა. ერთ-ერთი პერიოდული მოვლენა გერმანულ თხრობით ლიტერატურაში მე-18 საუკუნიდან მოკიდებული მე-19-ის მოზრდილი მონაკვეთის ჩათვლით. ჩემის აზრით, მხოლოდ ადასტურებს ამ დაკვირვებას: დროის ამ ორი ფორმის თვალშისაცემი ცვლა, ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი. ფრანგულის გავლენა რომც ვივარაუდოთ, — ვთქვათ, ისტორიული პრეზენსი ფრანგულ Imparfait-ს შეესაბამებოდეს, გერმანული იმპერფექტი კი — passe defini-ს, ე. ი. უხეშად რომ ვთქვათ, მდგომარეობის აღწერასა და მოქმედების განვითარებას, მაინც შეუძლებლად მიმაჩნია, მაგალითად, ვილანდის პოეტურ ეპოსსა ან მორიკეს „მხატვარ ნოლტენში“ შესაბამისი წესრიგის აღმოჩე-

ნა. თვალსაზრისით მთავრით მოვიტანოთ ნიშნები ამ რომანიდან:

მან ფრთხილად მოხვია ქალს მხრებზე ხელი, ისიც ოდნავ გადაიხარა უკან და თავი კაცს მიაყრდნო, ისე რომ, ფართოდ გახელილი წყლიანი თვალებით ნიკაპს ქვემოდან შეატყერდა. ალერსითა და უზრუნველად შეჰყურებს ქალი, ისიც ალერსით ახებს ბაგეებს მის ნათელ შუბლს. დიდხანს არაფერს დაურღვევია ეს მთრთოლავი სიჩუმე. ბოლოს იგი ხალისით ამბობს... კონსტანცაც შეირხა, თითქოს უნდოდა ეთქვა... სიტყვა კვლავ ყელში გაეჭნირა...

გოეთეს „სულთა არჩევით ნათესაობაზე“ პ. ბრინსმანის გულმოდგინე დაკვირვების შედეგად ამ მოვლენის სტილისტურმა პრობლემამ ხელახალი აქტუალობა შეიძინა, კერძოდ კი იმის გამო, რომ იმპერფექტისა და პრეზენსის მონაცვლეობას, რასაც ხშირად მიმართავს გოეთე, ბრინსმანი დიდ იდეურ მნიშვნელობას ანიჭებს, როცა „სულთა არჩევითი ნათესაობის“ ცენტრალურ თავებში (II ნაწ., თავი 13 და 14) პრეზენსს დემონური ხდომილების მატარებლად მიიჩნევს. ამ მოვლენაზე მსჯელობისას შეძლებისდაგვარად შეიძლება გამოვიყენოთ განსხვავება დიაქრონულ და სინქრონულ პერსპექტივებს შორის, რასაც ახალმა ლინგვისტიკამ მიაქცია ყურადღება. სწორედ დროის ფორმები შეადგენენ სინქრონული გრამატიკის სპეციფიკურ საგანს, რადგან ისინი არიან მორფემები, თვით ზმნები კი — სემანტეზები. შესაძლებელია, თანამედროვე ლინგვისტიკამ თავისი თვალსაზრისის დადასტურებად მიითვალოს ჩვენი მტკიცება ტემპორალური მნიშვნელობის დაკარგვის შესახებ, რასაც ზმნები ფიქციონალურ თხრობაში განიცდიან. ეს კი, პირიქით, ფიქციის წმინდა ფენომენალური საგნობრივი ვითარების კიდევ ერთი დადასტურებაა: სახელდობრ, რომ „გააწყობა“ და, ამდენად, მონათხრობის იდეური შინაარსი მორფემებს კი არ ემყარება, არამედ სემანტებს და მათ შესაბამის მნიშვნელობას. ეპიკური ფიქციის ისტორიულ

პრეზენსთან დაკავშირებით ეს ნიშნავს, რომ მისი შინაარსობრივი განმარტება ცალკეული ტექსტების მიხედვით, ე. ი. დიაქრონიაში განხილვა, მარტო დასკვნებამდე ვერ მიგვიყვანს, ისულთა არჩევითი ნათესაობის“ ტემპორალური მონაცვლეობის ისტორიული პრეზენსის ბრინსმანისეული გაგება, როგორც დემონური ხდომილების გამოხატულებისა, სწორედ იმის გამოა უფრო სუბიექტური და ბუნდოვანი, ვიდრე მოქმედებიდან, მოქმედ პირთა დახასიათებიდან გამომდინარე განმარტება — რომ ტემპორალური მორფემა შედარებით „მუნჯია“, ე. ი. ტემპერალურის გარდა იგი არავითარ მნიშვნელობას არ ატარებს. პრეზენსის ღრმა აზრობრივი ფუნქციებით დატვირთვა გარკვეულ მიმართულებებში სწორედ იმის გამო მეჩვენება გადაჭარბებულად, რომ ამავე რომანის სხვა თავებში, მაგ.: იმ მონაცვლეობებში, რომლებიც შარლოტეს ეხება, იგი არ იძლევა საამისო საბაბს; გარდა ამისა, იმპერფექტისა და პრეზენსის ხშირი მონაცვლეობა ამ ეპოქის სხვა ნაწერებშიც გვხვდება. ისეთი მორფემები, როგორცაა, მაგალითად, გენტივის სუფიქსი ზედსართავ სახელებში ან დატივის გამოყენება განსაზღვრულ ზმნებთან, ჩემის აზრით, ენობრივ მოდის ექვემდებარება და ნაწარმოების იდეური შინაარსის გაგებას არ ემსახურებიან. ვფიქრობ, დროის ფორმათა ცვლა, რასაც გოეთე არამარტო რომანში, არამედ ბიოგრაფიულ ნაწერებშიც მიმართავს, სინქრონული თვალსაზრისით უნდა აიხსნას და არა დიაქრონულით. სინქრონული თვალსაზრისით ახსნის ერთ-ერთი მაგალითი იყო, როცა ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ ზმნების ტემპორალური მნიშვნელობა და ფუნქცია, რომელიც ამავე დროს ეგზისტენციალურიცაა, სახელდობრ, სინამდვილეზეა მიმართული და არა ფიქციაზე, ფიქციონალურ თხრობაში ფერმკრთალდება და ქრება. ამიტომ, წერის ასეთი მოდის ზემოქმედება, როგორცაა იმპერფექტისა და პრეზენსის განუწყვეტელი მონაცვლეობა, თვით გოეთეს რომანშიც ხელისშემშლელი უფროა, ვი-

დრე ნაწარმოების იდეური შინაარსის გაგების ხელშემწყობი. ეს ხელისშემშლელია სისტემატურ-ლოგიკური თვალსაზრისით სწორედ იმით აიხსნება, რომ ფიქცი-აში ისტორიული პრეზენსი იმის გამოა შედმეტი, რომ პრეტერიტუმს აქ წარსულის ფუნქცია არ გააჩნია და ამიტომ გავლენას არ ახდენს ფიქციონალურ შემოქმედებაზე — არც ხელს უშლის მას და არც ხაზს უსვამს (რითაც ისევ და ისევ ხელს უშლის).

ამით ჩვენს თვალწინ გადაიშლება შემდგომი ასპექტები აქ მოქმედი ესთეტიკური კანონისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თხრობის პრეტერიტული ფორმა უფრო კეთილ შეგავლენას ახდენს, როცა მის დინებას არ არღვევს პრეზენტული ჩანართები. ამ დროს პრეტერიტუმის თავდაპირველ გრამატიკულ მნიშვნელობას — წარსულის გამოხატვას — ფაქტიურობის თვისება ერთვის. სემანტიკური თვალსაზრისით დროის ყველა დანარჩენი ფორმებისაგან პრეტერიტუმი იმით გასხვავდება, რომ იგი ერთადერთი გამოხატავს ერთმნიშვნელოვნად ფაქტიურობის ხასიათს. ფუტურუმზე რომ საერთოდ არაფერი ვთქვათ, რომელსაც მუდამ ახლავს შესაძლებლის გამოხატვის მნიშვნელობა, პრეტერიტუმი პრეზენსისაგან სწორედ ფაქტიურობის ამ ერთმნიშვნელოვანი ხასიათით განსხვავდება. პრეზენსი ხომ როგორც ცნობილია, მრავალმნიშვნელოვანია. მრავალ ენაში იგი ფუტურუმის ნაცვლად გამოიყენება, მაგრამ უპირველეს ყოვლისა შედროულ ლოგიკურ და იდეურ მიმართებებს აღნიშნავს. წინადადება „ბულბული გალობს“ შეიძლება გამოხატავდეს როგორც ბულბულის ახლანდელ გალობას, ასევე ბულბულის გალობის შედროულ თვისებასაც. „ბულბული გალობდა“ კი მხოლოდ ერთ წარსულ ფაქტს შეიძლება გულისხმობდეს. თუ პრეტერიტუმი მხატვრული თხრობის ადექვატურ ფორმად აღიქმება, ამ აღქმის მცდარი ინტერპრეტაცია იყო, როცა მას „წარსულის ილუზიის“ ანგარიშზე სწერდნენ. ამის მიზეზი „ფაქტიურობის“ ერთგვარ თანამნიშვნელობაში

მდგომარეობს, რომელიც ფარულად უსვამს ხაზს ცხოვრების ილუზიის იმ განცდას, სწორედ ფიქცია რომ აღძრავს და იწვევს, ან უკეთესად არ არღვევს მას. ამ ფენომენში გადაჭარბებული ფუნქცია გაეგვას ხაზი იმას, თუ რამდენად პრეტერიტუმი თავისი ფაქტიურობის მნიშვნელობის გამო იქცა ფიქციონალური თხრობის დროის ფორმად. მისი კეთილმოქმედება, უმაღლეს მნიშვნელობის შენარჩუნებაშია მაშინ, როცა წარსულის გამოხატველი მნიშვნელობა ქრება. ფაქტიურობა მისი სემანტიკური ერთმნიშვნელოვნების ყველაზე თვალშისაცემი გამოხატულებაა, მაგრამ თვით ეს ერთმნიშვნელოვნება მხოლოდ არაერთმნიშვნელოვან პრეზენსთან შედარებით მკლავდება. აქედან გამომდინარე, პრეზენსის მრავალმნიშვნელოვნება წარმოადგენს ფაქტიურად იმის ობიექტურ საფუძველს, რომ მისი გამოყენება თხრობის დროის ფორმად, ისტორიული პრეზენსის სახით, გარკვეულ რისკს უკავშირდება. ისტორიული პრეზენსის ფორმით გადმოცემულ მონაკვეთებზე თითქმის ყოველთვის გვხვდება ისეთი ადგილები, რომლებშიც სხვა მიზეზების გამო უნდა იყოს პრეზენსი (სწორედ უნდა იყოს და არა შეიძლება, რომ იყოს). ეს ერთნაირი წარმატებით ითქმის გოეთეს თხრობის ხელოვნებაზეც და ისეთ უწესრიგ მოთხრობილ რომანზეც, როგორიცაა ვერფელის მოლიანად პრეზენსში დაწერილი რომანი „ბერნადეტე“. მოვიტანთ პატარა ნაწყვეტს ამ ნაწარმოებიდან, რომელიც ლოგიკური უწესრიგობის ნიმუშს წარმოადგენს, რაც პრეზენსის გადაჭარბებულ ხმარებითაა „მიღწეული“.

აქედან „მომდინარეობს“, რომ ეპოქები, რომლებიც უნივერსუმის ღვთაებრივ აზრს უარყოფენ, კოლექტიური უკუნურების მახვერპლნი ხდებიან, რაც არ უნდა გონიერად და განათლებულად თვლიდნენ ისინი თავს საკუთარ შეგნებაში. ამ პირველ მაიმუნისებურ ფენომენს „ხმდება“ ბერნადეტეს თანახმოვანი, მადელაინ პილოტი. მადელაინი უაღრესად ბუსიკალურია. ღვთაებრივი მის მთელ არსებას „ი-

ყრობს“, ვისაც იგი წყალობს. დემონური თითქოს საქმეს „იადვილებს“ და ამიტომ გზის გასაკვლევად ჩვენს ტალანტებს „ირჩევს“... მაღელაინშიც ყველაზე ნიჭიერ ორგანოს ირჩევს — მის სმენას. ერთ ნამუშაოდღევს გოგონა მღვიმეში „მუხლებზე დაჩოქილი“ ლოცულობს...

გამოყოფილი ზმნები იმდენად აშკარად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ მნიშვნელობით, რასაც მათი პრეზენსი გამოხატავს, რომ ამის დაწვრილებით ინტერპრეტაციას აღარ შეეუდგებიო. მაგრამ „სულთა არჩევით ნათესაობაშიც“ დაიძვრება ისეთი ადგილები, რომლებშიც პრეზენსის მრავალმნიშვნელოვნების გამო მისი ხელისშემშლელი შემოქმედება ისტორიულ პრეზენსს ბრალდება:

ოტილია მას (ქირურგს) ყველაფერში მხარში უდგას: საქმიანობს, მოაქვს, ზრუნავს, თან თითქოს სხვა სამყაროში ცხოვრობს: რადგან უდიდესი უბედურება, ისევე როგორც უდიდესი ბედნიერება, ყოველსაგანს სახეს უცვლის: და მხოლოდ მაშინ, როცა ყველა ამათ ცდის შემდეგ კეთილშობილი კაცი თავს გააქნევს, შემდეგ წყნარი „არა“-თი-პასუხობს, იგი ტოვებს შარლოტეს ოთახს...

ისტორიული პრეზენსის კრიტიკა როგორც ფიქციონალური თხრობის დროის ფორმისა, კიდევ ერთხელ ადასტურებს დროის ამ ორივე ფორმის სუბსტრატულ ხასიათს ფიქციაში, ასევე იმ მიზეზებს, რომელთა გამო სუბსტრატად გამოყენებაში პრეტერიტუმს ენიჭება უპირატესობა პრეზენსის წინაშე. მაგრამ იმ გარემოებას, რომ პრეტერიტუმში სუბსტრატად იქცევა და სწორედ ამით წამოსწევს წინ ცხოვრების ილუზიას, რომელსაც ფიქცია აღძრავს, თავისი ლოგიკური საფუძველი აქვს — რასაც კიდევ ერთხელ უნდა გაეხვას ხაზი — გრამატიკული დროის ნამდვილი ფუნქციის დაკარგვა, რაც თავის მხრივ იმას ემყარება, რომ მხატვრული თხრობის შინაარსი ფიქციურია, ე. ი. მთხრობელის განცდის არეს კი არ წარმოადგენს, არამედ ფიქციური მოქმედი პირებისას, სხვაგვარად, რეალური მე-ორიგოს ადგილს

ფიქციური მე-ორიგინესები იკავებენ, და ეს ისევე და ისევე იმას ნიშნავს, რომ სივრცისა და დროის, ანუ სივრცისა და დროის სისტემა, რომელშიც ეპიკური თხზულების (ასევე დრამატულს) კონსტრუქციას გვიხდება მოძრაობა, ფიქციური დროისა და სივრცის სისტემაა. ვიდრე მომდევნო მონაკვეთში იმ ენობრივ-სტრუქტურულ პრობლემებზე გადავიდოდეთ, რომლებიც ამ უკანასკნელ მიმართულებებს უდევს საფუძვლად და მთლიანად ხსნიან მათ, უფრო ზუსტად უნდა აღვწეროთ ფიქციური დროისა და სივრცის სისტემა, არა მარტო მის ფიქციურ დროულ, არამედ სივრცობრივ კომპონენტთან მიმართებაშიც. ეს მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ამ წერტილიდან მოკიდებული, შემეცნებითი თეორიის გზით ნათელი ხდება, თუ როგორაა დაკავშირებული მხატვრული სიტყვა და, კერძოდ, ფიქციონალური მხატვრული სიტყვა ხელოვნების მოელ სისტემასთან.

ეპიკური პრეტერიტუმის წარსულის გამომავალზე მნიშვნელობის დაკარგვა ჩვენ ვაჩვენებთ თვალსაჩინო ენობრივ ფენომენზე — რომ მასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს დროის დეიქსური ზმნიშედები. მაგრამ უფრო მოგვიანებით გავარკვევით, რომ რომანის მოქმედებისა და რომანის გმირების „ახლა და აქ“ განცდას დროის ზმნიშედები, მაგალითად, დღეს, ხვალ, ან გუშინ კი არ უწყობენ ხელს, — ისინი შეიძლება სულაც არ იყოს ტექსტში და, მიუხედავად ამისა, „ახლა და აქ“ განცდა გამოწვეული იქნება. წავიკითხოთ, მაგალითად, „დღეს შობა იყო, მას კიდევ ნაძვის ხე უნდა მოერთო“, — ზმნიშედა „დღეს“ უფრო ძლიერად ვერ გამოხატავს „ახლა და აქ“ მომენტს, ვიდრე ასე რომ იყოს ნათქვამი: შობადღე იყო. დიახ, იგი ვერ გადმოგვცემს იმაზე უფრო თვალსაჩინოდ „ახლა“ მომენტს, ვიდრე, მაგალითად, სურათის დათვალიერება, რომელზეც ნაძვისხის მორთვაა ასახული. და პირიქით, სურათი არ ნიშნავს უფრო ძლიერ „ახლას“, ვიდრე რომანში აღწერილი ან დრამატულად და ფი-

ღმის სახით წარმოდგენილი მოქმედება. ფიქციონალური მხატვრული თხზულების „ახლა და აქ“ პრინციპში არაფრით არ განსხვავდება ფერწერულად თუ სკულპტურულად წარმოდგენილი „ახლა და აქ“ მომენტისაგან. ერთიცა და მეორეც დროის ეგზისტენციალურ მდინარებაზე. ცვალებად სივრცობრივ-დროულ სინამდვილეზე მალა დგას. ნახატის ფიქციური „ახლა და აქ“, ასე ვთქვათ, გაქვავებული ფიქციური „ახლა და აქ“ არის: გაქვავებული იმ ნივთიერ მასალაში, რომელშიც იგია წარმოდგენილი. ლიტერატურული ფიქციის „ახლა და აქ“ მისი მასალის საფუძველზე შეიძლება გავრცობილ იქნას, მიმდინარე დროის წარმოდგენად ან ილუზიად, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის უკვე ნაგულისხმევი იმით (როგორც ფიქრობდა ლესინგი), რომ თხრობითი (ან დრამის სახით ნიშნად) წარმოსახვის პროცესი ემპირიულად დროში ხორციელდება. ფიქციური, მიმდინარე ან შეჩერებული დროის წარმოსახვა განსაკუთრებული საშუალებებით ხდება, ისევე, როგორც სივრცის წარმოსახვა, ლიტერატურულ ფიქციაში იქნება ეს, თუ ნახატში. ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურული საშუალებაა დროის აბსტრაქტული მითითება დროის დეიქსური ზმნიშედებით — დღეს, გუშინ, ხვალ, ერთი კვირის წინ და სხვა, რომლებიც „ახლა“ — მომენტის ორიგოწერტილს დროის კოორდინატად განაგრცობს (სახელდობრ, წარსულისა და მომავლის უსასრულობამდე). მათემატიკურად და ფიზიკურად ისინი შეესაბამებიან სივრცის აბსტრაქტულ მითითებებს: უკან, წინ, მაღლა, დაბლა, მარჯვნივ, მარცხნივ და სხვ., რომლებიც ორიგოს „აქ“ — წერტილს სივრცის კოორდინატად განაგრცობენ (უნივერსუმის უსასრულობამდე). სწორედ დეიქსური ზმნიშედები (როგორც დროის, ასევე სივრცისა) წარმოდგენენ განსაკუთრებით შესაფერის კრიტერიუმს ფიქციის სტრუქტურის, მისი არა-ნამდვილობის ლოგიკური ხასიათის გასამუქებ-

ლად. და ეს მათი დეიქსური ხასიათის წყალობით; რადგან სწორედ მას, თავისი ბუნების ძალით, არ მალუძს ფიქციაში ნამდვილი გათქვეფა, არ მალუძს ნამდვილილუზიად ქცევა, განსხვავებული სინამდვილის სხვა მასალისაგან მისი ქცევა თავდაპირველად სივრცის ზმნიშედებზე უკეთ ხერხდება, ვიდრე დროისაზე, რადგან სივრცეში „ჩვენება“ ნამდვილი ჩვენებაა, დროში ჩვენება კი მხოლოდ გადატანითია.

ამის გამოა, რომ თვალსაჩინო წარმოსახვის პრობლემის გადმოსაცემად, რაც მხატვრული თხრობის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს, სივრცის ზმნიშედები უფრო ინტენსიურადაა გამოყენებული, ვიდრე დროისა. ასევე იქცევა კ. ბიულერი თავის „ენის თეორიაში“ (1930). მაგრამ, რადგან ენის სხვა თეორეტიკოსთა მსგავსად, არც მას განუხვავებია ერთმანეთისაგან ნამდვილი და ფიქციონალური წარმოსახვის მიმართებანი, მისი თეორია ამ უკანასკნელ მოვლენათან მიმართებაში მცდარი გამოდგა. ეს გარემოება პირველი შეხვედრისთანავე მხოლოდ იმიტომ არ გვეცემა თვალში, რომ სივრცულ დეიქსისებს ენობრივ-გრამატიკული თვალსაზრისით ნაკლები სირთულე ახლავს, ვიდრე დროის დეიქსისებს. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, მათ დროის ფორმები არ მართავს. ამიტომ აქ არ გვაქვს ფიქციონალური მიმართებებისათვის ეგზომ მამხილებელი ნიშანი: დროის დეიქსისების ისეთი დაკავშირება პრეტერიტუმთან, როგორიც მხოლოდ ფიქციაშია შესაძლებელი. ისეთი სიტყვები, როგორიცაა აქ, იქ, მარცხნივ, მარჯვნივ, აღმოსავლეთით, დასავლეთით და სხვ. გრამატიკული თვალსაზრისით თავისუფალია; არ არსებობს ისეთი სინტაქსური ან ზმნიური კონტექსტი, რომელშიც მათი დგომა შეუძლებელი იყოს. „ხვალ შობა იყო“ — ესა და მსგავსი შეხამებანი არ ამახვილებენ ჩვენს ყურადღებას სივრცობრივ განსაზღვრათა რაიმე განსაკუთრებულ ხასიათზე და არ წარმოდგენენ ამოსავალ წერტილს რაიმე მტკიცებისა-

რაუიულად ცნობილ ადგილს — რომს გამოგონილი ადგილით შევცვლით. თუ ბიულერი ფიქრობს, რომ სიტყვით „აქ“ მკითხველი რომანის გმირისაკენ გადაადგილდება, სიტყვა „იქ“ კი მას ადგილზე ტოვებს და იგი „შორიდან ჭვრეტას“ იწყებს, მაშინვე ნათელი გახდება, რომ გამოგონილ ადგილთან მიმართებაში, როგორც „აქ“, ასევე „იქ“ უაზრობად იქცევა სივრცული მიმართების აღნიშვნის თვალსაზრისით ჩემს რეალურ არსებობასა და იმ ფიქციურ ადგილმდებარეობას შორის, რომელშიც რომანის გმირი მოძრაობს. აქ რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ამას თვით ბიულერიც გრძნობს, როცა დასძენს, რომ „ზღაპრული ქვეყანა, ფსიქოლოგიურად თუ ვიტყვით, სადღაც მდებარეობს და მას „აქ“ — ცნებას ვერაფრით ვერ დავუკავშირებთ“. მაგრამ მას არ გაუცნობიერებია, რომ ყოველივე ეს „ზღაპრის“ მეტ-ნაკლებად გამოგონილ მოქმედების ადგილს, ე. ი. მხატვრული შემოქმედების ფიქციურ სამყაროს კი არ ემყარება, არამედ იმ ფიქციურ მიმართებათა სისტემას, რომელიც მასში მოქმედებს. ისეთ რომანშიც, რომლის მოქმედება რომში მიმდინარეობს, „აქ“ არ ნიშნავს, რომ მუჰამედი, ე. ი. ავტორი და მკითხველი, რომანის გმირისაკენ გადაადგილდებიან, ხოლო „იქ“, — რომ იგი თავისი ადგილიდან, შორიდან ჭვრეტს მოქმედებას, არამედ როგორც „აქ“, ერთნაირად მიემართება ფიქციურ ფიგურას, რომანის პერსონაჟის ფიქციურ მეორიგოს. ეს მაშინვე ნათელი გახდება, როგორც კი დროის დეიქსურ ზმნიზედას „იქ“ ზმნიზედათან დავაკავშირებთ. „იქ იგი დღეს მთელ დღეს აქეთ-იქით დააბოტებდა“ ისევე შესაძლებელია, როგორც „აქ იგი დღეს...“

ასე რომ, ადგილის ზმნიზედა „აქ“ ისევე, როგორც დროის ზმნიზედა „ახლა“ ყველაზე ნაკლებად გამოსადევია იმის გასარკვევად, თუ რა ემართება ადგილის დეიქსის ენობრივი თვალსაზრისით, როცა ის ფიქციაში დგას. „აქ“ — ზმნიზედის თავდაპირველი დეიქსური

მნიშვნელობა ენობრივ სმარებაში საკმაოდ გაცვეთილია. ყველგან — ისტორიულ გადმოცემასა თუ სინამდვილისეულ გამონათქვამში — არა მარტო შესაძლებელია „აქ“ — ზმნიზედის „იქ“-ის ადგილზე გამოყენება, ისევე, როგორც აზრობრივი გადანაცვლება შეუმჩნეველი იქოს, — იგი ფუნქციონირებს აგრეთვე ყოველ შესაძლებელ, არა მარტო სივრცულ მიმართებათა აღმნიშვნელ კავშირებში, მაგ.: „აქ ერთი წამით უნდა შევზრდეთ“ და სხვა ამგვარი. თუ რა ემართება ადგილის დეიქსისებს სინამდვილისეულ გამონათქვამში ერთი მხრივ, და ფიქციაში მეორე მხრივ, უფრო დამაჯერებლად შეგვიძლია შევიცნოთ ისეთ სივრცულ მონაცემებზე, რომლებიც „აქ“ — ცნებას განაგრცობენ: მარცხნივ, მარჯვნივ, წინ, უკან, დასაუღეთით, აღმოსავლეთით და სხვ. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ვიკითხავთ (რითაც ბიულერის გადაადგილების თეორიის მართებულობას ვადიარებთ), ხომ არ გვიჩნდება ისეთი გრძნობა, თითქოს ჩვენც რომანში თვალსაჩინოდ აღწერილ ოთახში „გადავიწველეთ“ ისე, რომ პერსონაჟებთან ერთად მათგან მარცხნივ, თუ მარჯვნივ, წინ თუ უკან ორიენტაციის უნარი შეგვწევს. ბიულერი გვიჩვენებს, როგორ ხდება ასეთი ორიენტაცია თვალსაჩინო წარმოსახვაში, სახელდობრ, სხეულებრივი შეგრძნების მეშვეობით. კიოლნ-დოიცი: „რაინის მარცხენა — რაინის მარჯვენა — თუ ამ საგნობრივ ვითარებას მკაფიოდ შევიგნებ, ვგრძნობ, ჩემი მკლავების შზადყოფნას, გზის მაჩვენებლის მსგავსად (ახლა და აქ) იმოდროს. წარმოსახვით გადაადგილების ფაქტების მეცნიერული ახსნისას ამგვარი დაკვირვებები უნდა გავითვალისწინოთ“. ბიულერი სწორია, რამდენადაც ლაპარაკია სადღაც არსებული სივრცობრიობის წარმოსახვაზე. რადგანაც, რარიც ძნელიც არ უნდა იქოს ორიენტაცია წარმოსახვაში, — დეიქსური ზმნიზედებით მონიშნული წარმოსახვითი სივრცის მოსმენისა თუ კითხვისას, — პრინციპულად ეს შესაძლებელია, და ყოველ

შემთხვევაში, ვადამცემი ხელსაყრელ მდგომარეობაშია მიმღებთან შედარებით. მის ხელთაა წარმოსახვის მართვა წინასწარი აღქმის მეშვეობით. სხვაგვარად: რეალური წარმოსახვისას — „აქ, იქ, მარჯვნივ, მარცხნივ“ და სხვ. — ყოველთვის შენარჩუნებულია მიმართება რეალურ მე-ორიგოზე: მეტყველება ენის საჩვენებელი ველის ფარგლებში მოძრაობს. *Deixis am phantasma* შესაძლებელია, „როცა მუჰამედი მთისკენ გადაადგილებულად გვეჩვენება“, ვანაგრძობს ბიულერი, „მისი სხეულებრივი შეგრძნება წარმოსახვით ოპტიკურ სცენას უკავშირდება: ამიტომ პოზიციისა და მიმართულების მაჩვენებელი სიტყვები — აქ, იქ, წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ — მას ზუსტად ისევე შეუძლია გამოიყენოს ფანტასმაზე, როგორც აღქმის პირველად სიტუაციაზე. და იგივე ითქმის მსმენელზეც. თომას მანის „ბუდენბროკების“ ნაწყვეტზე — მენგსტრასეზე მდებარე სახლის ლანდშაფტებიანი ოთახის აღწერაზე — ჩავატარებთ პატარა ექსპერიმენტს, რომლითაც გვსურს ვაჩვენოთ, რომ ცნება „ფანტასმა“, „ფანტაზირებული ოპტიკური სცენა“ (ეს გამოთქმა ჩვენს სიტყვათხმარებაში უმაღლ ფიქციის სამყაროს მიგვანიშნებს, ვიდრე რეალურ ადგილმდებარეობას, მაგრამ ბიულერი მას აქ საერთოდ წარმოსახვის მნიშვნელობით იყენებს) თავისი (ვანუყოფელი) მნიშვნელობით არავითარ შემთხვევაში არ უდრის წარმოსახვის ფენომენს და იგი ვერ უზრუნველყოფს ორიენტაციას ფიქციურის წარმოსახვის სფეროში პოზიციის მაჩვენებელი სიტყვების მეშვეობით:

ფანჯრის მოპირდაპირე შუშებიანი კარიდან ბინდბუნდში სვეტებიანი სადარბაზო შემოსასვლელი ილანდებოდა, ხელმარცხნივ მაღალი, თეთრი, ორფა კარი სასადილო დარბაზში ვადიოდა. მეორე კედელზე... ღუმელი საამოდ გუზგუზებდა (თარგმანი დ. კოკაია-ფანჯიკიძისა, გვ. 8).

ეს აღწერა, თუმცა იგი რომანშია მოცემული (რაც ჩვენთვის უკვე ცნობილია,

რადგან რომანის პერსონაჟები აქამდე გამოჩნდნენ არენაზე), რეალური აღწერაა და იგი ასე აღიქმებოდა მაშინაც, თუ შემთხვევით არც გვეცოდინებოდა, რომ თომას მანს აქ საკუთარი ოჯახის სახლი აქვს აღწერილი. უწინდელი ფიქციური, სტრუქტურული ნიშანი აქცევს ამ აღწერას რომანის პერსონაჟებისაგან დამოუკიდებლად, სწორედ „ბუდეკერის“ მონაცემად. სიტყვებით — „შემომსვლელიდან ხელმარცხნივ“ — მთხრობელი გულისხმობს მოაზრებულ, მაგრამ არა ფიქციურ პირს, — თავის თავს, მკითხველს, თუ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ოთახში შემსვლელად შეიძლება მოვიაზროთ, ისე, რომ გამოხმობილია შესაბამისი მკითხველის რეალური მე-ორიგო და მას, თავისი „სხეულის შეგრძნების ძალით ამ ოთახის მიმართებებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა ძალუძს. თუ ახლა ჩვენს ექსპერიმენტს მივმართავთ და სიტყვა „შემომსვლელს“ „კონსულის მეუღლე ბუდენბროკით“ შევცვლით, ერთბაშად დავკარგავთ ორიენტაციას. მონაცემი „კონსულის მეუღლის ხელმარცხნივ“, რომელიც სოფაზე თავისი დედამთილის გვერდით ზის, მკითხველის სხეულის შეგრძნებასთან ვერ შეჯერდება. რადგან „ხელმარცხნივ“ ახლა კონსულის მეუღლის ფიქციურ პერსონაჟზეა მიმართული, რომლის მდგომარეობის შესახებ ამ ოთახში იმიტომ ვერ შევიქმნით ზუსტ სივრცულ წარმოდგენას, რომ იგი — ამ შემთხვევაში — წმინდა ფიქციური იქნებოდა. თომას მანი, რომელსაც სურდა, შეძლებისდაგვარად ზუსტი წარმოდგენა მოეცა ამ ოთახის შესახებ, რომელიც მისთვის რეალური იყო, გაუცნობიერებლად მიჰყვა შეშინების თეორიის კანონებს და თავისთავად რეალური მიმართების მონაცემი რეალურ მე-ორიგოს დაუკავშირა, რითაც, ასე ვთქვათ, ერთი წამით გასცდა ფიქციის სამყაროს“.

ეს ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ სივრცულ დეიქსისებს იგივე ემართება, რაც დროისას, როცა ისინი ფიქციონალურ თხრობაში დგანან. მათზეც შეგვიძლია

ვთქვით, რომ ისინი მიმართულნი არიან არა მწერლის, და ამდენად, მკითხველის რეალურ მე-ორიგოზე, არამედ რომანის პერსონაჟთა ფიქციურ მე-ორიგინესებზე. ამ მიმართების შეცვლისას ისინი თუმცა არ იწვევენ გრამატიკულ ცვლილებებს, როგორც დროის დეიქსისები, მაგრამ სამავიეროდ მათზე ხელშესახებად გვიჩვენებენ, თუ რა არის მიმართების ასეთი შეცვლის მიზეზი, რომელიც ერთნაირად ეხება ორივეს. ეს მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ფიქციაში ჩვენებითი სიტყვის გრამატიკულ იერს ინარჩუნებენ, ისევე, როგორც ეპიკური პრეტერიტუმი ინარჩუნებს წარსული დროის ფორმის გრამატიკულ იერს. დეიქსური ზმნიხედება — როგორც დროის, ისე სივრცისა, ფიქციაში კარგავენ თავიანთ დეიქსურ, ეზისტენციალურ ფუნქციას, რომელიც მათ სინამდვილის ამსახველ გამონათქვამში აქვთ და იქცევიან სიმბოლოებად, რომელთა სივრცული, შესაბამისად დროული თვალსაჩინოება ფერმკრთალ ცნებად იქცევა. როცა „სულთა არჩევით ნათესაობაში“ მებაღე ხავსის ქოხის მდებარეობას აღწერს:

ჩინებული სანახავია: ქვემოთ სოფელი, ოდნავ ხელმარჯვნივ საყდარი... მოპირდაპირე მხარეს სასახლე და ბაღები... მარჯვნივ კი ველი იშლება...

როცა შტიფტერის პერსონაჟები ხშირად „ჩრდილოეთისა“ თუ „სამხრეთისა“ საკენ“ მიეხეტებიან, — მიმართულების ამ მონაცემებს ჩვენ იმ მიმართებათა აღნიშვნებად ვღებულობთ, რომელთა შესახებ ვიცით, რომ ისინი სივრცეს ეკუთვნიან, მაგრამ რომელთა წარმოდგენა შეგვიძლია ჩვენი საკუთარი რეალური აქადგილიდან და არა ფიქციურ პერსონაჟთა ფიქციური იქ. ადგილიდან გამომდინარე, სივრცულ ზმნიხედებთან დაკავშირებული ეს მომენტი უფრო ნათელ მკესს ჰფენს ზმნიხედებსაც. ისეთ მონა-

ცემებსაც, როგორცაა: დღეს, ხვალ და სხვ., სწორედ მათი თავდაპირველი დეიქსური ხასიათის გამო, ფიქციაში მხოლოდ გაფერმკრთალებულ ცნებით სიმბოლოთა ფუნქციაღა რჩებას, რომელთა შესახებ ვიცით, რომ ისინი დროის მიმართებებს აღნიშნავენ, მაგრამ მათ ეგზისტენციალურ დროდ ვერ განვიცდით. ისინი შეიძლება არც გვექონდეს ფიქციაში, მაგრამ ამით ახლა — ილუზია არ ირღვევა, ისევე, როგორც არ დაირღვევა მოქმედების და ამდენად, პერსონაჟთა აქ-ილუზია სივრცის დეიქსისთა გარეშე. ახლა-და-აქ-განცდა, რომელსაც ფიქცია გვიქმნის (ეპიკური, და როგორც შემდგომ ვნახავთ, დრამატული და ფილმურიც), მოქმედ ადამიანთა მიმეზისის ე. ი. ფიქციური პერსონაჟების განცდაა, რომლებიც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ და სწორედ თავისი ფიქციურობის გამო დროისა და სივრცის გარეშე არსებობენ, — თუნდაც რომანის სამოქმედო არეს გეოგრაფიულად და დროულად ცნობილი სინამდვილის მონტაჟი შეადგენდეს. სინამდვილის განცდას თვით საგანი კი არ განსაზღვრავს, არამედ განმცდელი სუბიექტი. ხოლო თუ ეს უკანასკნელი ფიქციურია, მაშინ ყოველგვარი, თავისთავად ცნობილი გეოგრაფიული თუ ისტორიული სინამდვილე ფიქციის არეში ექცევა, „ილუზიად“ გარდაიქმნება და არც ავტორსა და არც მკითხველს არ სჭირდება თავის მტვრევა იმაზე, თუ რამდენადაა შემკული მისთვის ცნობილი სინამდვილე ისეთი მტრიხებით, რომლებიც თავისი ფანტაზიურობით ამ სინამდვილის ფარგლებს სცილდებიან. ეს არის საბოლოო, რომანის ყოველი მკითხველისათვის კარგად ნაცნობი შედეგი იმ ფუნქციებისა, რომელთაც ახორციელებს ენის ლოგიკა, როცა მისი მიზანია, აღძრას ფიქციის განცდა და არა სინამდვილისა.



სამიონ შრანკი

თარგმნა დიდი მჭადიშვილმა



Мне грустно и тяжело,
печаль моя светлая

ნათელი სევდა

რაც უფრო უკვირდები პუშკინის სულიერ სამყაროს, მით უფრო მწვავედ გრძნობ რაოდენ ნაკლებ არის დღემდე გაცნობიერებული და შეფასებული პუშკინის შემოქმედების სიღრმე და სიდიადე. პოეტის სულიერი სამყაროსადმი ზედაპირული დამოკიდებულება ნაწილობრივ თვით მისი პოეზიის ფორმით არის განპირობებული. თავისი მშვენიერებით იგი ატყვევებს მკითხველის ცნობიერებას და ყურადღება მასში მოცემული სულიერი შინაარსის მნიშვნელობასა და სიღრმიდან გადააქვს. ამიტომაც, რომ ზოგჯერ იმდენად მარტივად გამოიყურება, ზერელე თვალისთვისაც არასაკმარისად სერიოზული ჩანს.

ცხადია, ბარბაროსობა იქნებოდა, არ დაგვეფასებინა ეს სრულყოფილი პოეტური ფორმა, მაგრამ დროა ვაღიაროთ, რომ იგი არ არის ის რაღაც თვითკმარი, რაც შეიძლება სათანადო სისრულით აღიქვა და შეაფასო დამოუკიდებლად იმისა, რასაც გამოხატავს. მისი სრულყოფილება საბოლოო ანგარიშში იმ მომხიბვლელობის დასტურია, რაც ღრმა, ჭეშმარიტი სულიერებისათვის არის ნიშანდობლივი.

ჩემს მიერ შემოთავაზებული ამ მოკლედ და, ბუნებრივია, ფრაგმენტული განსჯით მიზნოდა თქვენი ყურადღება პუშკინის სულიერი სამყაროს ერთ-ერთ იმ ძირითად მოტივზე შემეჩერებინა, რომელიც, როგორც წესი, არა თუ ყველაზე ნაკლებ შემჩნეული, არამედ უარყოფილიც კია. პუშკინი „სიცოცხლით სავსე“, „სიცოცხლის მოყვარულ“ პოეტად არის მიჩნეული. მისი პოეზიის ამ სულისკვეთებას მეცხრამეტე საუკუნის რუსულ ლიტერატურაში გაბატონებულ ტრაგიზმის მო-

ტივს უპირისპირებენ. მთელი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე პუშკინის სულიერი სამყაროს უგულვებელყოფა მასში „მწუხარების“ მოტივის არარსებობის გამო საყოველთაოდ არის ცნობილი. ნ. ა. ბერდიაევმა, რომელიც არ მალავდა პუშკინის მიმართ თავის არაკეთილგანწყობას, მას მთელ რუსეთში „ერთადერთი რენესანსული სული უწოდა და ამაში იგი, როგორც ჩანს, გულისხმობდა, რომ პუშკინის სულიერი არსი ამქვეყნიური ცხოვრებით ტკობასა და ტრაგიზმს მოკლებული სილამაზის კულტით ამოიწურებოდა.

პუშკინის გულუბრყვილო სიცოცხლის-მოყვარეობის ესოდენ გაქრცელებულ აზრს, ცხადია, რაღაც საფუძველი, გაჩენის რაღაც რეალური მიზეზი უნდა ჰქონოდა. მიზეზი კი თვალში საცემია — პუშკინი თავისი ტემპერამენტით, თავისი სტიქიურობით, თავისი სულიერი წყობით ნამდვილად „სიცოცხლით სავსე“ ადამიანი იყო, რაც ახალგაზრდობაში შმაგ მხიარულებასა, ტკობის დაუოკებელ წყურვილსა და სიცილისადმი მიდრეკილებაში გამოიხატებოდა, ხოლო მოწიფულობის ასაკში თავი მის გულგახსნილობასა, თანაგრძნობის გამოჩენის უნარსა და ყოველგვარ პურიტანობაზე უარის თქმაში იჩინა. ხომიაკოვის სიტყვით, მისი სიცილი ისეთივე მომაჯადოებელი იყო, როგორც მისი ლექსები. თუმცა ეს ასევე ფსიქოლოგიური დახასიათებაც ერთგვარ შესწორებას საჭიროებს.

მეორე, უფრო ღრმა და არსებით საფუძველს აღნიშნული ფართოდ გავრცელებული აზრის შესახებ, ქვევით დავუბრუნდები. აქ მხოლოდ მიზნოდა მიმეთითე-

ბინა, რომ პუშკინის პოეზიის არსსა და მნიშვნელობაზე მსჯელობა მარტო იმის მისედვით, რომ მისი ხასიათის ეს თვისება პოეზიაზეც აისახა, მეტისმეტად ზერულე და ზედაპირულია. განსაცვიფრებელია, მაგრამ პუშკინის პოეზიის სწორედ ტრაგიკული ელემენტია დღემდე ყველაზე უფრო ნაკლებად შემჩნეული და გათვალისწინებული, მაშინ როდესაც, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ედგინდეს, სიცოცხლის ტრაგიზმის განცდა მისი პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მოტივია. საკითხი რომ არ გავართულოთ, მოვეშვათ ადრეულ, ლიცეუმის პერიოდის შემოქმედებაში აქლერებულ „სევდისა“ და „კაეშნის“ ნოტებს და შევეხოთ პუშკინის მხოლოდ მოწიფულ ლირიკას (მათ შორის მისი პოემების ლირიკულ აღიარებებსაც). მკითხველს ვთხოვ, ნება მომცეს მოვიყვანო პუშკინის რამდენიმე სტრიქონი:¹

„ასე ქრება ცდომილება წამებული ჩემი სულიდან“; „ჩაამდა გულში უსასრულო შავი ფიქრები“; „მათ სიშიშვლეში ვხედავ მუქსაც, სიცოცხლესაც, სიყვარულსაც... მეგობრობასაც — მძულს პირქუში გამოცდილება“... „ჩემი ლექსები სევდისაა გამოძახილი“... „სულს ჩემსას აფსებს მწუხარე სევდით“... „არ ღირს ქვეყანა ტკივილებად ჩვენი სულისა“... „ო, ადამიანებო, საბრალო მოდგმის, ცრემლისა და დაცინვის ღირსნო!“ „გულში მიღულდა მწარე ფიქრები“... არ არის ქვეყნად ბედნიერება, არის მხოლოდ უძრაობა და ნებელობა.

ეს მცირე, ანდემზე აღებული მაგალითებიც საკმარისია, რათა ვაიცნობიერო, თუ რა არსებით ადგილს იკავებს პუშკინის სულიერ ცხოვრებაში მწუხარების, მოწყენილობის, იმედგაცრუების მოტივები თუ სიცოცხლის იმანენტური ტრაგიზმის შეგნება. ამ პოეტური გამონათქვამების დადასტურება მის წერილებში გა-

1. ტექსტში მოყვანილი ციტატები წარმოდგენილია პწკარედული თარგმანით (მთარგმნ.).

მოთქმული პირადი აღიარებებითაც შეიძლება: „მერწმუნეთ, ცხოვრება თუმცა „ტკბილი ჩვეულებაა“, მაგრამ ისეთ სიმწარეს შეიცავს, საზიზღარიც კი ხდება“. „მე ბედნიერების ათეიტუტუ ვაჩუქა მე არ მწამს ბედნიერებისა“... „სწორედ ეს კი ოსიპოვს. „გისურვებ ბედნიერებას, თუმცა კი ეს თითქმის შეუძლებელია“, — სწერს დელვიგს ქორწინების მილოცვისას.

ცხოვრების ტრაგიკული აღქმის თაობაზე, ლირიკულ აღსარებებთან ერთად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმასაც, თუ როგორი არსებითი ადგილი უჭირავს პუშკინის შემოქმედებაში ადამიანის სიცოცხლის ტრაგიკული საწყისის ობიექტურ აღწერას. უპირველეს ყოვლისა, ამას ადასტურებს პუშკინის დრამატული ნიჭი, რომელიც „ბორის გოდუნოვში“ უდავოდ შექსპირულ ძლიერებას აღწევს. ყოველი მცირე დრამატული სცენა აქ ადამიანის სულში გაბატონებული დამლუპველი დემონური ძალების აღწერას წარმოადგენს. თავი რომ დავანებოთ ჭაბუკობის დროინდელ „რომანტიკულ-ბაირონულ ეპოქას, „პოლტავა“ და „ბრინჯაოს მხედარი“ მძაფრი დრამატისმით არის აღსავსე და ორივე ეს ნაწარმოები ყველა მოქმედი პირის ტრაგიკული სიკვდილით მთავრდება. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო მაინც „ევგენი ონეგინია“. შინაარსობრივ მრავალფეროვნებასა და პოემაში გაბნეული „ნახევრად სასაცილო, ნახევრად სევდიანი“ დაკვირვებებისა და განსჯის გვერდით, რომანის მთელ დაძაბულ კომპოზიციაში სამი — ევგენის, ტატიანასა და ლენსკის სახეები გამოირჩევა. სამივე ამ პერსონაჟის სიცოცხლე ტრაგიკული მარცხითა და დაღუპვით მთავრდება.

კიდევ უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ პუშკინის მიერ ცხოვრების ტრაგიკული აღქმის ხასიათსა და შინაარსს. ამ მხრივ პუშკინი არსებითად განსხვავდება ტრაგიკული სულის ისეთი ტიპიური წარმომადგენლისაგან, როგორცაა მაგალითად ლერმონტოვი. მისი პოეტური სიტყვის უდიდესი ძალის მიუხედავად, ლერმონტოვი იმ-

დენად სუბიექტურია, რომ ვერც საკუთარ თავს და ვერც მკითხველს ვერ უხსნის, რა სტანჯავს. პუშკინი პირიქით, იგი მეტი-მეტად ბრძენი, მეტიმეტად ობიექტურია — მხოლოდ იწუწუნოს საკუთარ ტანჯვაზე — ღრმად იცნობიერებს მის ობიექტურ საფუძველს და განმარტებას აძლევს.

ჭეშმარიტი პოეტი არასოდეს გამოთქვამს განწყებულ აზრებს. იგი ყოველთვის რეალობის ცოცხალ სურათს იძლევა. პუშკინი დათრგუნულია ადამიანის სიცოცხლის საბედისწერო განწირულების შეგნებით. ვიდრე სასიკვდილო სენი შეეყრებოდა, ივან ილიჩ ტოლსტოის აზრადაც არასოდეს მოსვლია, სკოლაში ნასწავლ სილოგიზმს — „ყოველი ადამიანი მოკვდავია — რახან ადამიანი ხარ, მაშასადამე, მოკვდავი ხარო“ — მასთან, ივან ილიჩთან, რაიმე სერიოზული, უშუალო კავშირი ექნებოდა. ხომ არ არის დაფუძნებული მთელი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სიკვდილის ფაქტის დავიწყებაზე? განა ხშირად ვიცნობიერებთ მთელი სიგრძე-სიგანით, რომ ჩვენცა და იმ ადამიანების უმეტესობაც, რომელსაც ვხვდებით, ბევრი-ბევრი, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ სასიკვდილო სარეცელზე იქნება დასვენებული? განა ხშირად ვაკებთ საკუთარ ცხოვრებასა და ადამიანებთან ურთიერთობებს ამ უდავო ჭეშმარიტების საფუძველზე? დიახ, პუშკინი ხედავს, რომ ადამიანის ცხოვრება სიკვდილის შავბნელი ფრთით არის ჩრდილდაკრული. და თუ ეს თავისთავად ჯერ კიდევ არ არის ცხოვრების რელიგიური აღქმა, ყოველ შემთხვევაში დაძაბული და აშკარა მეტაფიზიკური აღიარება მინდა.

ავიღოთ ელევია — „სიხარულის ჩამკვლელი შეშლილობის წლები“. ამ ლექსის პირველი ოთხი სტრიქონი ცხოვრების მთელ ფილოსოფიას იძლევა — იგი თითქოს შოპენჰაუერის პესიმიზმის ფილოსოფიის რომელიღაც ვარიანტს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, შოპენჰა-

უერისათვის სიხარული მხოლოდ სურვილის დაკმაყოფილების მოკლე წამია, მაშინ როცა ტანჯვა და მწუხარება ადამიანის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, უინაიდან ნება, სურვილები და სწრაფვაა მის არსში ჩადებული. ყოველივე ამაში კი დაუკმაყოფილებლობა ივარაუდება. თავისთავად ეს თეორია ძალიან აუბრალოებს და, აქედან გამომდინარე, ამახინჯებს სულიერი ცხოვრების რეალურ შედგენილობას. პუშკინი, პირიქით, ღრმა ფსიქოლოგიურ გამოცდილებას გვიმხელს და გვიზიარებს. თუ ხორციელი ტკბობა უსწრაფესად ქრება და მწარე ხინჯს გვიტოვებს, სევდა — რაც უფრო სიმწიფეში შედის ადამიანი, მიწიერი სინამდვილის აღქმით დაუკმაყოფილებელ სულს უფრო მეტად და მეტად განამტკიცებს, ამიტომაც სიცოცხლის ერთადერთი ღირსეული, განხორციელებადი მიზანი — „აზროვნება და ტანჯვაა“.

პუშკინის პესიმიზტური ფილოსოფია შეიძლება ორ ძირითად დებულებამდე დავიყვანოთ. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის სული თავისი სანუკვარი ოცნებებითა და იმედებით მართა სინამდვილის ობიექტურ სამყაროში. ობიექტური სამყარო, უპირველეს ყოვლისა, „გულცივი ბუნებაა“. ადამიანის სიცოცხლე სიკვდილით მთავრდება. „საფლავის ურნაში“ იკარგება საყვარელი ქალის მწუხარებაცა და სილამაზეც, მაშინ როცა „გულცივი ბუნება“ მარადიული სილამაზით ბრწყინვალეობას განაგრძობს, ძველი სახლი, რომელშიც საბრალო ევგენის ოცნება — პარაშა ცხოვრობდა („ბრინჯაოს მხედარი“), უკვალოდ გააქრო წყალდიდობის ბოროტმა ძალამ. ევგენი იცნობიერებს, რომ „მთელი ჩვენი ცხოვრება არარაა, სიზმარია, დაცინვაა ბედისწერისა; გათუნდება მეორე დღე და „გუშინდელი უბედურების“ კვალიც აღარსად იქნება. ბუნების „გულცივობასა“ და კონტრასტს ცხოვრებასა და ადამიანის გულის სასოებას შორის პუშკინი განსაკუთრებული სიმწვავეით ბუნების

გალვიძების დროს განიცდის—გაზაფხული სევდას ჰგვრის, შემოდგომა კი აჯადოებს, თავისი თვინიერებით მომაკვადავი ქალიშვილის ავადმყოფურ სილამაზეს აკონებს.

მაგრამ ადამიანის პიროვნული ობიექტური სამყარო ბრბოს და მისი ცხოვრების ჩვეულებრივ სულიერ წყობასაც შეიცავს. პუშკინის სიძულვილი „ბრბოს“, „მდაბი-ორობის“, „ადამიანთა ჯოგის“ მიმართ (ცხადია, მისთვის ეს წარმოადგენს არა სოციალურ კატეგორიას, არამედ, უბრალოდ, ადამიანების გარემოს, უწინარეს ყოვლისა იმ საზოგადოებას, რომელსაც თავად განეკუთვნება) საყოველთაოდაა ცნობილი, არც კი ღირს მასზე შეჩერება. მთელი ცხოვრება, ამიტომ მთელი მისი შემოქმედებაც, დაძაბული ცნობიერების იმ ღრმა უფსკრულზეა დაფუძნებული, რომელიც ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროს ადამიანების კულტურული გარემოსა და ცხოვრების გარეგნული წყობისაგან აცალკევებს.

პუშკინის „პესნიშმის“ პირველი თეზისი ასეთია: მარტოობა თავად ადამიანის სულის სიღრმეშია, რასაც მეორე თეზისიც უერთდება: ადამიანის სულს, თავად ადამიანის სამშენებლის ირაციონალური, ქაოტური ვნებების გამო, შიშითაც ემუქრება საშიშროება და იგი მას დაღუპვისაკენ მიაქანებს. პუშკინის სულიერი ცხოვრებისა და შემოქმედების ეს მოტივი საყოველთაოდ არის ცნობილი. მისი დრამატული ნიჭის ძალა სწორედ ადამიანურ ვნებათა ბნელი სამყაროს მძაფრ აღქმაში, მის მაცდუნებლობასა და დამლუპველობაშია. დაუნდობელ რეალობასთან შეჯახებულ ვნებებს შემლილობამდე მივყავართ — ეს პუშკინის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი თემათაგანია.

იგი ადამიანის ბნელ, სულის დამლუპველ ვნებათა აღწერის უდიდესი ოსტატია. დოსტოევსკიმ ამ მხრივ არსებითად უკვე პუშკინის მიერ გაკვალული გზით იარა. სპირნოვა მოგვითხრობს, თუ როგორ

მსჯელობდა პუშკინი „ბოროტების მიმ-ზიდველობის“ შესახებ: „ეს მიმზიდველობა ალბათ აუხსნელი იქნებოდა, ბოროტება მშვენიერი გარეგნობით რომ არ იყოს დაჯილდოებული. მე ყველაფერში ვუჯერებ ბიბლიას — წიგნები სკეტანის შესახებ არის იქ ნათქვამი. იმ მუხლებში, რომელიც დაცემულ სულს შეეხება, მშვენიერსა და მზაკვარს, უდიდესი ფილოსოფიური სიბრძნეა ჩადებული“. ბნელ სტიქიურ ვნებებს, რომელიც უკარგავს ადამიანს მყარ სულიერ წონასწორობას, იგი უკვე თავისთავად მიჰყავს დაღუპვისაკენ. პუშკინი ლაპარაკობს, „თავისუფლების დამლუპველ სიგიჟეზე“ — „ყველგან ვნებები საბედისწერო, მაგრამ სად არის... სად არის ხსნა ბედისწერისგან“... არის კიდევ ერთი გამოვლენა ადამიანის ცოდვილი სულის ტრაგიზმისა — რომელიც პოეტის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს — ეს არის ტანჯვა სინდისის ქეჩნის გამო. ჩანს, პუშკინის შემოქმედების არც ეს ელემენტია სათანადოდ შეფასებული, მაშინ როცა მთელ რუსულ ლიტერატურაში სინდისის ქეჩნის, მონანიების აღწერაში პუშკინს ბადალი არა ჰყავს. უცნაურად გვეჩვენება, მაგრამ სრულიად უდავოა, რომ დოსტოევსკი, რომელმაც გენიალურად ახსნა ადამიანის სულის ქვეცნობიერ სიღრმეთა ინსტინქტური რეაქცია დანაშაულის ჩადენისას, ზოგჯერ არ იძლევა სინდისის ქეჩნის, გაცნობიერებული ზნეობრივი მონანიების აღწერას. პუშკინთან, პირიქით — ღირიკული აღსარება თავისი მხატვრული ძალითა და გამომხატველობით შექსპირის „მაკბეტის“ დონეზე დგას.

პუშკინმა იცის, რომ უნაყოფო სინა-ნული გამოუსწორებელი წარსულის შესახებ, მიაღწევს რა გარკვეულ ზღვარს, შეიძლება მონანიებაში, ზნეობრივ განწმენდასა, გონების განათებასა და თვალის ახელაში გადავიდეს. უკვე სიმწიფის ასაკში პოეტი კვლავ შედის ცარსკოე სელოს ბაღებში — თავისი ნეტარი სიჭაბუკის თავშესაფარში, ვინაიდან ზნეობრივი

პროცესის საბოლოო შედეგი სულიერი აღორძინებაა: „ასე ქრება ცდომილება წამებული ჩემი სულიდან და ჩნდება მასში ჩვენებები თავდაპირველ უმწიკველო დღეთა“.

და აი, ჩვენ უკვე განსჯის მოსახვედრში ვდგავართ. პუშკინის შემოქმედებაში ტრაგიზმის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, თუ არ შევაფასებთ იგი, მისი ახსნა პოეტის სულიერ სამყაროს დამახინჯებულ პერსპექტივაში წარმოგვიდგენს. ხედავს რა ღრმად და ნათლად ადამიანის სულის ტრაგიზმს, პუშკინი სულიერი ცხოვრების ისეთ სიღრმისეულ ფენებსაც კითხულობს, რომელიც უკვე სცილდება ტრაგიზმის საზღვრებს და თავის არსებაში სიმშვიდესა და გასხივოსნებულ სიხარულს შეიცავს. ამას იგი განმარტოებაში ჰპოვებს, გულისყურიან მშვიდ ფიქრსა და შემოქმედებაში. „შფოთვა“, „ამბოხი“, „ტანჯვა“, „წამება“, „მწუხარება“, „ვნება“ — ამ სიტყვების გვერდით ისეთი სიტყვები, როგორცაა: „განმარტოება“, „სიწყნარე“, „ფიქრი“, „გაბრწყინებული“, „ნათელი“ — პუშკინის ლექსიკის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს. პოეტმა უწყის „ნათელ აზრთა მშვენიერება“. გარდასულ სიჭაბუკეში მისთვის მხოლოდ „წუთები გრძნობამორევისა“, „ახალგაზრდული იმედები, გულის სიმშვიდე“, „ნეტარება და გატაცება“, ძვირფასი: „შენ კვლავ ჩემთან ხარ ნეტარებავ, მშვიდია გრძნობა, ნათელია ჩემი გონება“. სწრაფვა განმარტოებით ჭვრეტისაკენ და მისით ტკბობა პუშკინის მთელ შემოქმედებას გასდევს და უმეტესწილად „ოჯახის“ კულტში (ან „ზანდუკებში“) სიმბოლიზდება. პოეტი აქ ღრმა მისტიურ თვითშეგნებას აღწევს. პოეტი ნათელ, გულში ჩამწვდომ სიტყვებს მისტიური გამოცდილების ძირითადი დებულებებისათვის, რაც მდგომარეობა იმაში, რომ გარეგან შთაბეჭდილებებსა და შფოთვას განრინებული თვითშეგნებისათვის, როგორც წმიდა ხალსკი ამბობს, იხსნება

„რაც შეადამიანური“ (ინთება ღვთიერი შუქის „ნაპერწყალი“).

ამით უკანასკნელი უღრმესი ფენა ადამიანის სულისა მკაფიოდ არის განიჯნული წმიდა სუბიექტურ-სულიერ სიტყვენით რომ ვთქვათ „მისტიკური, მეტისმეტად ადამიანური“ მშვენიერი ცხოვრებისაგან. ფილოსოფიური და რელიგიური „სულსა“ და „სამშვიდველს“ შორის ნათელი მხოლოდ ამის ცანობა-ერების საფუძველზე ხდება. ცალკეულ ადამიანთა მშვენიერ ცხოვრებაში ეს განსხვავება ალბათ ბუნდოვნად ჩანს, ორივე საწყისი უმეტესწილად როგორც ძველად გასარჩევად არის ერთმანეთში გადასული. როგორც ქვემოთ ვნახავთ, პუშკინთან სულის ეს სიღრმე ანარეკლს მშვენიერ ცხოვრებაში ჰპოვებს და ამ ვხით გარეთ გამოეყოფა. მაგრამ ამასთან ერთად პუშკინისათვის მკაფიო განსხვავებაა მათ შორის დამახასიათებელი. მიგვიჩივებს რა მასში ორი სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის ურთიერთმონაცვლეობაზე. ამ გაორებულობას იგი თავადვე აღიარებს თავისთავში. გაორებულობა მისთვის დამახასიათებელ ერთდროულ შეთავსებადობას შეაქვს მის ცხოვრებაში. ერთგვარ ზნეობრივ არასრულყოფილებასაც სათავე სწორედ ამ გაორებულობაში უდევს, ამასთან არაჩვეულებრივ შინაგან გასხივოსნებასა და ჩაღრმავებულობასაც თავის სიცოცხლის პოლო დღეებშიც კი, დუელის წინ, იგი იმავე გაორებულობით იყო სავსე. მაშინ როცა გულ-მუცელი უდუღდა შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის ვაშო, ეჭვებისაგან განრისხებული და გაცოფებული იყო — „რაც უფრო მეტი სისხლი დაიდქრება, მით უკეთესით“, — „ჰქონდა როგორიღაც ამაღლებული, რელიგიური განწყობა, ლაპარაკობდა ღვთით მოვლენილ ბედისწერაზე და ადამიანის ხასიათში ყველაზე მაღლა ყოვლის მიმართ შემწყნარებლობასა და კეთილგანწყობას აყენებდა“, — წერს პლეტნევი.

პუშკინს მთელი თავისი სიცოცხლის

მანძილზე არასოდეს გამოსვლია ის, რაც ზოგჯერ საშუალო, ნაკლები უინისა და ვნების მქონე ადამიანებს გამოსდით — ეს არის პრაქტიკული ზნეობრივი ცხოვრებით დამშვიდება, განკურნება სულიერი ჯანყისაგან. „ის იყო ღმერთების ცოცხალი ორგანო, ოღონდ ცხელი... ცხელი სისხლი უდუღდა ძარღვებში“, — წერს ტიუტჩევი. მხოლოდ სიკვდილის სარეცელზე მიაღწია პოეტმა სრულ ზნეობრივ გამწმენდასა და გასხივოსნებას.

აქ ჩვენ, ცხადია, ვვინტერესებს პუშკინის არა ზნეობრივი შეფასება, მითუმეტეს იმ გენიოსისა, რომელიც უზარმაზარ სულიერ სამყაროს ფლობს. არამედ ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, პუშკინის ფარული სულიერი სიღრმის, როგორც ფაქტის ახსნა და ნათელყოფაა მნიშვნელოვანი.

სიწყნარე, პარმონიულობა, ენითუთქმელი სიტკბოება და სულის ფარული, სიღრმისეული შრეების რელიგიური გასხივოსნება პოეტს საშუალებას აძლევს განსაკუთრებული სიცხადით, მთელი დაძაბულობით ვაიცნობიეროს ადამიანის ცხოვრების როგორც ტრაგიკში, ისე მისი ამაოება. სწორედ ამ სიღრმისეული სულიერი შრეების რელიგიური ხასიათის, ანუ მისი ონტოლოგიური მნიშვნელობის შეცნობიდან გამომდინარე აღიქვამს რელიგიის დიდ მნიშვნელობას. ყოველი ქმნილების სიწმინდეს, სამყაროს ყოველ მოვლენას. სილამაზის პოეტური აღქმა, ქალის სილამაზე იქნება ეს თუ ბუნებისა, მისთვის ერთდროულად დამამშვიდებელიცაა და რელიგიური ცნობიერების გამსხივოსნებელიც. პუშკინის მშუოთვარე ეროტიკას — მისი სიცოცხლის ტრაგიკული შეგრძნების ერთ-ერთ მთავარ წყაროთაგანს, რელიგიურ ეროტიკაში გადადენის ტენდენცია ვააჩნია. მას არ შეუძლია სილამაზეს გრძნობამორევის გარეშე უყუროს — ქალის სრულყოფილი სილამაზე მისთვის იმ რაღაც მოვლენას წარმოადგენს, რომელიც მალა დგას „სამყაროსა და ვნებებზე“. მისი ეროტი-

კული გრძნობა არ თავსდება მიწიერი სამყაროს ფარგლებში, მისთვის შუასაუკუნეების ეროტიკული რელიგიურობაა მახლობელი. იგივე ითქმის ბუნების/მისეულ აღქმაზეც. ზღვის „სევდიან ხმაურში“ „სულის წამლები დრეტად დაიწყეს უფსკრულის ხმა“ ესმის. ზღვის სულს ბაირონს აღარებს, რომელიც „ზღვის სულივით“ ძლიერი, ღრმა, პირქუში, დაუცხრომელი და დაუთკებელი იყო. მაგრამ იმავე ზღვის ხმაურში „ტალღების მძლავრი ქორი, ქვეყნიერების შემომქმედის ქებაა-ქება“ ესმის. ამ ფარული სულიერი ცხოვრებისა და განცდილ შემრიგებლურ „უკვდავ გრძნობათა“ მთავარი შედეგი — თვით ყველაზე უმნიშვნელი ადამიანის სულის მნიშვნელთვნებისა და სიწმინდის უშუალო რელიგიური შეგრძნების გამო — ადამიანების მიმართ საყოველთაო სიყვარულისა და ყურადღების განწყობაა. „ყველაფრისადმი კეთილგანწყობის“ ეს თვისება, რომელსაც ადამიანში იგი ყველაზე მაღლა აყენებს, მისთვის განსაკუთრებულად არის დამახასიათებელი. „პუშკინი თავის ბუნებით უფრო თანაგრძნობისათვის იყო გულგახანილი, ვიდრე სიძულვილისათვის. მასში სიყვარული უფრო იყო, ვიდრე ბრძენი და გულსწყრომა“, — იკონებს ვიაზემსკი.

პუშკინის შემოქმედებაში ეს ყოველივე მისთვის დამახასიათებელ ყოველგვარ სიყვარულთ ურთიერთობაში იჩენს თავს. პოეტისათვის უცხოა სიძულვილზე დაფუძნებული ცივი, ბოროტი ირონია, მწარე სატირა, როგორც ამას გოგოლთან და ვარკვეულწილად დოსტოევსკისთანაც აქვს აღვილი. ირონია პუშკინთან ან სევდინია, ან კეთილშობილი ხუმრობა, ხოლო ორივე შემთხვევაში ერთნაირად შემწყნარებლური. იგი მკითხველს თითქმის ყველა მისი ვმირის მიმართ სიყვარულს თუ არა, თანაგრძნობით სავსე გაგებას მაინც აიძულებს, თვით ბოროტმოქმედი პუგაჩოვისა თუ დამნაშავე გერმანის მი-

მართაც კი. ამ მხრივ იქ იშვიათად შევხვდებით გამონაკლისს.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მაინც არის ის, თუ როგორ აისახება ეს სულიერი მიზანდასახულობა პუშკინის ტრაგიზმზე. დიას, იგი სრულიად მოკლებულია იმ გაბოროტებასა და ამბოხს, რაც ასე დამახასიათებელია, მაგალითად, ლერმონტოვისა და დოსტოევსკისთვის. პირიქით, პუშკინის ტრაგიზმი შერბილებული მწუსარე რეზინიაცია — სევდაა. ცხადია, ეს ჯერ კიდევ არ არის ჭეშმარიტად ქრისტიანული შემწყნარებლობა, მაგრამ ეს ადამიანის მიერ მისკენ გადადგმული ნაბიჯია. წმინდა რეზინიაციული ვანწყობაა ვადმოცემული პუშკინის წერილში ვიახემსკისადმი: „ნუ უწყრები ბედისწერას, აბა წარმოიდგინე საკუთარი თავი ნებაზე მიშვებულ უზარმაზარ მაიმუნად. ვინ შეაბამს ჯაჭვს, ვინ დააბამს? არც მე, არც შენ და არც არავინ. ვერაფერს გახდები, ამიტომაც არც ლაპარაკს აქვს აზრი“. მაგრამ მხოლოდ ცხოვრების ვარდაუვალი სიმწარის თავმოდრეკით მიღებაზე დაფუძნებული რეზინიაციით როდი ამოიწურება ის სულიერი მორჩილება, რაც პუშკინის ტრაგიზმისთვის არის დამახასიათებელი. რეზინიაცია მხოლოდ ჭეშმარიტი შინაგანი გასხივოსნებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. თუ, ერთი მხრივ, როგორც უკვე ვნახეთ, მარად განახლებული ბუნების მშვენიერება მტანჯველ კონტრასტშია ადამიანის სიცოცხლის უანწირულობასა და წარმავლობასთან, ადამიანის საშუალოდ დაკარგულ ახალგაზრდობასა და მისი გულის დამსხვრეულ იმედებთან, მეორე მხრივ გულცივი ბუნების მშვენიერება არის ერთგვარი დამამშვიდებელიც სიკვდილის გარდაუვალობაზე ფიქრისას. მწარე ფიქრები მინორულ-პარმონიული აკორდით მთავრდება. სწორედ ამ აზრითაა მომხიბვლელი „ვეგენი ონეგინის“ ბოლო სცენებიც: ტატიანა უარყოფს ონეგინის დაგვიანებულ სიყვარულს არა რაღაც ცივი და ქედმაღალი პურიტანობის გამო, არამედ იმ შეგნებით, რომ

მისი დამახვრეული სულის გადარჩენის ერთადერთ გზად პირად სიკეთეზე უარის თქმა და მოვალეობის აღსრულება მიაჩნია. ვნებათა შინაგანი გასხივოსნების ეს პროცესი თავის გაყრდნობის პუშკინის ეროტიკულ ტანჯვაში გამოვლენს. მშფოთვარე ეროტიკა მასთან არა მარტო რელიგიურ ელფერს იძენს, არამედ უანგარო სიტყვობებითა და სინაზითაცაა სავსე.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვჩვენებოდეს, რომ რეზინიაცია, რაც ასე ძლიერადაა პუშკინის პოეზიაში, ის კი არა, თვით გასხივოსნებაც, რომელიც კეთილი შემრიგებლობით აგვირგვინებს ყველაფერს, ცხოვრების ტრაგიკულობისა და ბოროტების პასიურ შემწყნარებლობას ვარაუდობს. მაგრამ ეს მცდარი შთაბეჭდილებაა. პუშკინი ძალზე ვნებიანად ხალისიანი, სულიერად მეტისმეტად აქტიური ადამიანი იყო, რათა წმინდა პასიურობა მისთვის იდეალი ყოფილიყო. სწორია მხოლოდ ის, რომ კარამაზოვისათვის ჩვეული ამბოხი, სამყაროს აღშფოთებელი კიცხვა მისთვის სრულიად არ არის დამახასიათებელი. იგი საკმარისად ბრძენია, რათა ამკარად დაინახოს გარდუვალობა, გადაულახაობა იმისა, რასაც ერთ თავის შენიშვნაში ახასიათებს, როგორც ყოფიერების „მარადიულ წინააღმდეგობობას“. მაგრამ ამასთან ერთად მას ესმის, როგორც ესთეტიურად, ისე მორალურად, რომ ყოველგვარ ტრაგედიას თავისი დასახრული უნდა ჰქონდეს, და რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მისი გააზრება. იგი არასოდეს თვრება მასით, არასოდეს ეფლობა მასში პასიურად. ტრაგიზმი იმიტომ ეძლევა ადამიანის სულს, რომ ასე თუ ისე იგი ვადალახულ იქნას. და პუშკინიც ძალზე აქტიურად რეაგირებს ამაზე. როდესაც არ შეუძლია სძლიოს იმ ამბოხობურ ვნებას, რომელიც მას ტრაგიკული გამოუვალობისაკენ მიაქანებს, სიკვდილს ეძიებს შეგნებულად, რამეთუ სიკვდილიც ხომ ერთგვარი გამოსავალია! სწორედ ასე ხსნის მისი სი-

ცოცხლის ტრაგიკულ დასასრულს მისი ამ დასასრულის ყველა მოწმე. მაგრამ, როგორც სულიერ და ზნეობრივ არსებებს, პუშკინს ესმის ამგვარი გამოსავლის არადამაკმაყოფილებლობა: „არა, არ მსურს, ძმებო, სიკვდილი, მინდა ვიცოცხლო, ვიაზროვნო, მინდა ვიტანჯო“. ტანჯვა, აზრით გარდაქმნილი და გასხივოსნებული, თავად უნდა შევიდეს დადებით ფაქტორად ყოფიერების „მარადიული წინააღმდეგობრიობის“ სულიერი დაძლევის პროცესში. პუშკინს ესმის, რომ ბრძოლა მიდის „არა სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მიწიერ ბოროტებათა სულების წინააღმდეგ“ და რომ ეს ბრძოლა უდიდეს, ან, უფრო სწორად, ერთადერთ ნამდვილ, სწორედ შინაგან, სულიერ აქტივობას მოითხოვს. შედეგი ამ დაუღალავი სულიერი აქტივობისა არის გასხივოსნება მისი სულისა, რაც მისსავე სულში უცნაურად ეხამება მისი ბუნების ბოლომდე გადაულახავ მშფოთვარებას.

ამაში ჩვენ პუშკინის „გულმხიარულების“ თაობაზე არსებული აშკარა გაუგებრობის საბოლოო და გაცილებით ღრმა ახსნას ვხედავთ, რაც მდგომარეობს იმაში, რომ პუშკინის თავისი არსით ტრაგიკული პოეზია არა მხოლოდ ფორმით არის ესთეტიკურად იმდენად მშვენიერი, რომ მისი ეს სრულყოფილება თითქმის ჩრდილავს მისი შინაარსის სიღრმეს, არამედ აირეკლავს კიდევაც პოეტის მიერ მიღწეულ სულიერ გაცისკროვნებას ანუ სულიერ სიმშვიდეზე არეკლილი შუქითაც ბრწყინავს.

ერთ-ერთი ყველაზე გონიერი მწერლის, მუსიკის ფაქიზი შემფასებლის ოლდოს პაქსლის სწორი შენიშვნა — მოცარტის მუსიკა, მართალია, მხიარული ჩანს, მაგრამ სინამდვილეში სევდიანიაო, შე-

იძლება გავავრცელოთ პუშკინის პოეზიაზეც, რომელიც სულიერად ასე ახლოს დგას გენიალურ მოცარტთან, ეს ნათესაობა, როგორც ჩანს, თავადაც პქონდა პუშკინს გაცნობიერებული. ორივე შემთხვევაში ახსნა ერთი და იგივეა: გამოხატული სევდა, მწუხარება, ტრაგიზმი — იმდენად არის როგორცაც წყნარი, არამიწიერი, ანგელოზური მიმტევებლობისა და ცნობიერების შუქით გასხივოსნებული, რომ მისი შინაარსიც კი სიხარულით აღსავეს გერვენება.

პუშკინი თავად აღნიშნავდა თავისი პოეზიის ტრაგიზმის ნაციონალურ-რუსულ ხასიათს: „დაწყებული მეეტლიდან პოეტამდე — ყველანი ნაღვლიანად ვმღერითო“. მაგრამ, ჩემი აზრით, მისი ტრაგიზმის ის თავისებური სულიერი ფორმებია ეროვნული ხასიათის მიხედვით უფრო ტიპიური, რომლის მოხაზვასაც ზევით შევეცადე.

რუს მწერალთა და პოეტთაგან ცხოვრების ტრაგიკულობის ასეთი ბრძნული აღქმა გვხვდება აგრეთვე ტიუტჩევთან (როგორც მხატვართან), ჩეხოვთან, ხოლო ცოცხლებიდან — ბუნინსა და ახმატოვასთან.

და მაინც, მართალი იყო გოგოლი, როცა სწორედ პუშკინს მიიჩნევდა ნამდვილი რუსი ადამიანის მაგალითად. სწორედ პუშკინისათვის არის დამახასიათებელი ტრაგიზმის შეხამება სულიერ სიმშვიდესთან, ბრძნულ მორჩილებასა და რუსული ხასიათისათვის ყველაზე უფრო ტიპიურ გასხივოსნებულობასთან. პუშკინის ტრაგიზმი არის არა ამბოხი, არა გაბოროტება ცხოვრების წინააღმდეგ, არამედ წყნარი, მორჩილი, შემრიგებლური მწუხარება — ნათელი სევდა.

შეცდომის გასწორება:

„საუნჯის“ ა. წ. მე-5-ბ ნომრის 114 გვერდზე ბოლოდან მესამე აბზავის მეექვსე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „და ეს ხელიდან გამიძვრეს. ვერ გავარჩიე, რა თევზი იყო წელან, ანკესზე“